# მნათობი

9

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე | № 9 | სექტემბერი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

12431

## შინაარსი

### ხუთწლედის ადამიანები

**აკაკი გეწაძე** — ვარსკვლავი ანათებს მიწას . . . . . . . . 3

**გივი გოგიჩაიშვილი** — სამაია. რომანი. . . . . . . . . . . 27
**გივი მაღულარია** — მითი. . . . . . . . . . . . . . 69
**ალექსანდრე პუშკინი** — ევგენი ონეგინი. დასასრული. თარგმნა ოთარ ჭელიძემ . . . . . . . . . . 89
**ნასიმი** — ლექსები. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ . . . . 99
**მურმან ლებანიძე** — ლექსები . . . . . . . . . . . 102

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

**ილია მელქაძე**—ხალხთან კავშირი კომუნისტური პარტიის ძლიერების წყაროა 115
**იოსებ ლორთქიფანიძე** — გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში . . . . . . . . . . 124
**დიმიტრი იოვაშვილი** — არჩილ სულაკაურის პროზა . . . . . . . 133
**შალვა გოზალიშვილი** — იროდიონ ევდოშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში . . . . . . . . . . 143
**ოთარ ჯინორია** — დღევანდელი ხელოვნებათმცოდნეობის ზოგიერთი მწვავე საკითხისათვის . . . . . . . . . . 153
**დავით ლაშქარაძე** — ევროპეიზმი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში 174
**მ. ი. გულუზადე** — ნასიმი . . . . . . . . . . . 188

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარქსის ს. ს. სიქ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური (პ/მგ. მდივანი), ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 7/VIII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-73 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01969. ტირაჟი 13 150. შეკვ. 2291.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ვარსკვლავი ანათებს მიწას

ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

ლ. ი. ბრეჟნევი

ახალსოფლის მიწა-წყალზე გაზაფხული ჯანღონით აივსო და მზად არის კვერთხი ზაფხულს გადაულოცოს. ბუნების ყოველ გამოღვიძებას ახალ-ახალი სილამაზე მოაქვს, ახალი სუნთქვა, ახალი ფერები. სადაც არ უნდა მიეჩქარებოდეს მგზავრს, უეჭველად შეჩერდება, ბუნების მშვენიერებით რომ დატკბეს, თვალი გაიხალისოს და სულში ახალი ფერები შეუშვას. მაგრამ მიწაზე მომუშავე ხალხს ამ მარად ძველი და მარად ახალი სილამაზის საყურებლად როდი სცალია. მზეთუნახავივით იღვიძებს ნაზამთრალი მიწა და ეს მზეთუნახავი ათას საქმეს და საზრუნავს უჩენს ადამიანს. თუ დროულად არ მოუარე ბაღსა და ვენახს, ყანას და ბოსტანს, ახლა გაცდენილი ერთი დღე შემოდგომაზე ათასნაირ ზარალად შემოგიბრუნდება და წარბშეკრული გისაყვედურებს კიდეც: არ იცოდი, რომ გაზაფხული შემოდგომის მუშააო! ამიტომ გამრჯე კოლმეურნე გაზაფხულის სილამაზეს სულ სხვანაირი თვალით ზომავს, ვიდრე გზაზე ჩვეულებრივ გავლილი მგზავრი. გლეხისთვის ლამაზია მხოლოდ ის დღე, მუშაობით რომ დაღლის, ამაოდ რომ არ გაუცდება. ამ დროს ათასი ხელიც რომ ჰქონდეს, უსაქმოდ არცერთს არ დატოვებს.

მართალია, ცას ხელს ვერ მიაფარებ და ვერ უბრძანებ: არ იჭირვეულოო, მაგრამ მარტოოდენ მისი მოწყალებითაც ვერ იცხოვრებ.

გამრჯე და მუყაით ახალსოფლელებს საქმე არც ავდარში ელევათ, არც დარში.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ერთი ახალსოფელი. ზოგს თავზე დასაცქერის ხავსით დაფარული და ქონგურებჩამონგრეული ციხე-სიმაგრე, რომლის აშენებასაც ხალხი ლეგენდის წყალობით თამარ მეფეს მიაწერს, ზოგიც უფრო ძველი ნაციხრებითა და ნაეკლესიარებით არის ცნობილი.

ახალსოფელი, რომლის ამბავსაც გიამბობთ, ნამდვილად ახალია ყოველმხრივ.

აი, ელვარი გოგობერიშვილი-გოგსაძისა, სხვა ქალებთან ერთად, ადრიანად სწვევია კოლმეურნეობის ვენახს და ვაზებს ზედმეტ ამონაყარს, ყვიორს, მარჯვედ აშორებს. ელვარი ერთერთი პირველი ახალსოფლელია, რომელიც მაშინ დაიბადა აქ, როცა ახალსოფელი ჯერ არც იყო ახალსოფლად მონათლული. იგი ოცდათორმეტი წლისაა მხოლოდ.

თვითონ ახალსოფლის ახლანდელი თავკაცი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით გოგობერიშვილი, რომელიც კოლექტივიზაციის

დროს აკვანში იწვა, ამ სოფელსა და მის კოლმეურნეობაზე თორმეტი წლით უფროსია.

ამ ახალსოფელს კერაგამოცვლილთა სოფელსაც ეძახიან და ზღვისპირელი რაჭველების სოფელსაც.

პატარა ხნისაა იგი, მაგრამ მისი სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ამ სოფლისა და მისი თავკაცის ქება წაკითხვითაც ბევრჯერ წამიკითხავს და მოსმენითაც ბევრჯერ მომისმენია. ჩვიდმეტიოდე წლის წინათ ვინახულე კიდეც ახალსოფელი და, აი, კვლავ გადავწყვიტე ჩასვლა. ვიდრე იქ ჩავიდოდი, სოფლის თავკაცი გუდაუთაში შემომხვდა... ყვავილოვან სკვერში რაიონის მოწინავე ადამიანთა ახლადგაკეთებულ სტენდს რომ ჩავუარე გვერდით, ნაცნობმა ბრგე ვაჟკაცმა შემომხედა. ამ საპატიო დაფიდან მომაჩერდა კიდევ სამი ახალსოფლელი: ფერმის გამგე გაიოზ კივილაძე, რიგითი კოლმეურნე-მევენახე ჟუჟუნა ციხისელი და რეკორდსმენი მეაბრეშუმე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თინა მაისურაძე.

ეს მოულოდნელი შეხვედრა ფრიად სასიამოვნოდ დამირჩა და გულმა ახალსოფლისაკენ უფრო ხალისით გამიწია.

სოფლის შემოგარენს გორაკიდან გადავხედე. ახლადაფრენილი თვითმფრინავიდან რომ ჩახედავ, ზღვასა და მიწას თეთრი არშია ჰყოფს, ულამაზესი არშია. იმ გორაკიდანაც ახალსოფლის ნაპირზე მოთამაშე ზღვის ტალღები თეთრ არშიად ელვარებდა.

სერიბაბადან ოქროს სანაპირომდე სიგრძით შვიდ კილომეტრსა და სიგანით ოთხიოდე კილომეტრზე გადაჭიმულა ახალსოფლის ადგილ-მამული. აქ ზღვაც ახლოა და მთაც. ზღვის სილურჯესა და თეთრად მოქათქათე, ჯერ თოვლაუღებელი ბზიფის ქედის შუა ზურმუხტისფრად ბიბინებს ბალჩა-ბაღები, ბოსტნები, სანერგეები, ჩაის ბუჩქები, სათიბები, საძოვრები, ყანები და ვენახები, ველზე გაშლილი და ფერდობებზე შეფენილი ვენახები.

— ნეტავი გვქონდეს ამ მიწა-წყლის ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი სურათი და ახლანდელისთვის შეგვადარებინა, — მეუბნება დავით გოგობერიშვილი, — ვისაც მაშინ აქ გაუვლია, ვერაფრით წარმოიდგენს, ეს იგივე ადგილიაო. უბრალოდ შეცვლილი და გარდაქმნილი კი არაა, თითქმის ხელახლაა შექმნილი. აი, რა სასწაულის მოხდენა შეუძლია გამრჯე ადამიანს. რევოლუციამდე ეს მიწა-წყალი თითქმის უკაცრიელი ყოფილა. თავადები ლაკერბაია და მარღანია აქაურ ულრან, ველურ ტყეებში ნადირობით ირთობდნენ თავს, მერე მთელი შემოგარენი მეფის მოხელეებისთვის მიუყიდიათ ჩალისფასად და ამ მიწას უგრინოვიჩი, ლოპატინი და პეტროვი დაჰპატრონებიან, მაგრამ მალე რევოლუციას მოუსწრია და ისინი ძველებ კუდამოძუებულნი გაუძევებიათ. შემდეგაც თურმე აქ დასახლებას ყველა ერიდებოდა, საცხოვრებლად უვარგისი, ავი ადგილიაო. და აი, ეს უკაცრიელი, ველური, ულრანი ტყით დაჩრდილულ-დაჭაობებული მიწა, ყოვლად ცუდი და გამოუყენებელი რომ ეგონათ, ჩვენ ავახმაურეთ.

დავითი იგონებს, თუ როგორ გაჩნდა აქ სოფელი. ამ სოფელსა და დავითს ხომ უერთმანეთოდ თითქმის არ უცხოვრიათ, ერთი ბიოგრაფია აქვთ, წუთისოფლის ერთ უღელში არიან გაბმულნი, ერთ გზას მიუყვებიან, ჭირიც და ლხინიც საზიარო აქვთ, ფიქრიც, საზრუნავიც და ტვირთიც ერთი აქვთ. ასე შეერწყა ერთმანეთს სოფლისა და მისი თავკაცის ბედ-იღბალი.

ბატონს სამი გლეხი გაქცევია. მალე უპოვნია, დაუბრუნებია და ასე დაუსჯია: კლდოვან მთაში ტყე გაჩეხეთ, სოფლისაგან მოწყვეტილად დაესახლეთ და თავი გარეულ ღორებსა, დათვებსა და მგლებზე ნადირობით ირჩინეთ და ნანადირევი ყოველდღე მეც მომართვითო. ასე გაჩენილა უგზოუკვლო მთაში მსჯავრდადებულთა სოფელი ჯავისა. ეს მსჯავრდადებული სოფელი თურმე იმითაც დასაჯეს, რომ ეკლესიის ასაშენებელი მიწა არ უკურთხეს და უკურთხებელ მიწაზე ვერც სასაფლაო გაიჩინა. როცა ვინმე მოუკვდებოდა, იძულებული იყო მიცვალებული ბილიკ-ბილიკ სოფელ წესში ჩაეტანა და გლეხთა ეკლესიის გალავანში დაემარხა. მაშინ ლუხუნის ხეობიდან ჯავისისკენ კლდოვანი და ლადალუდა, კიბისებური ბილიკი მიუყვებოდა და პირველ უბანს ამიტომაც კიბულა დაარქვესო.

რაკი ჯავისის მიდამოებში საყანე ადგილი ცოტა იყო, წესელებთან და სხვა სოფლელებთან ერთად, ახოების გასატეხად გალმა მთას, საფიჩხიას მიაშურეს. იქ მეფის მოხელეები თოფებით დაუხვდნენ: უკან გაბრუნდითო. გლეხებმა რამდენიმე თოფი იშოვეს, სხვები ნაჯახებით და ფიწლებით შეიარაღდნენ და მეფის მოხელეებს პირისპირ დაუდგნენ: გვესვრით, გესვრითო! უმიწობა და სიღარიბე ჰამლა სოფელს, უკან დასახევი გზა არა ჰქონდა. გამწარებულმა უმიწო გლეხებმა გაიმარჯვეს. ტყეები გატეხეს და ახოები გაიჩინეს.

მაშინ საფიჩხიიდან ჯავისამდე ხშირად ისმოდა გადაძახილ-გადმოძახილი. ეს ორი მთა არც ისე ახლოს იყო, მაგრამ ერთმანეთს თვალდათვალ გაჰყურებდა და სიშორე ხელს არ უშლიდა საფიჩხიის ახოში მომუშავე კაცს ოჯახში მიეწვდინა ხმა. გაღმა-გამოღმა გაძახილი უფ-

რო მკაფიოდ ისმოდა, ვიდრე ერთი მთის ორ პატარა გორაკს შორის. ორ მთას შუა ღრმა ხეობის თავზე გადაჭიმული ცარიელი სივრცე ადამიანის ხმას რალაცნაირად აძლიერებდა კიდეც. საფიჩხიის ყანებში მომუშავე ხალხს კარგად ესმოდა რომელიმე მეტიჩარა მამალი ღლისითაც რომ აყივლდებოდა ხოლმე ჯავისაში და სოფელში კარგად ესმოდათ ყანაში მომუშავე ხალხი რომ მღეროდა ხოლმე. მაგრამ ასევე ადვილი როდი იყო ერთი მთიდან მეორეზე ჭირნახულის გადაზიდვა. ჯერ მარხილებით თითქმის უგზო გზით ლუხუნის ხეობაში უნდა ჩაეტანათ, მერე ჩოჩიალა ურემზე გადაეტვირთათ და ალმაცერ, ოღრო-ჩოღრო ფერდობებზე რის ვაივაგლახით აეთრიათ, ცოტაა იმის თქმა, წელებზე ფეხს იდგამდნენ და ისე ირჩენდნენ თავსო. იცოცხლეთ, ისინი თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ უტყეოდ დარჩენილი საფიჩხიის ციცაბო ფერდობები მალე ჩამოირეცხა, ბევრი ადგილი დაიმეწყრა კიდეც და... სახნავ-სათესი მიწის სიმცირემ ხალხი ისევ საგონებელში ჩააგდო.

ჯავისის ტყეში ბლომად იყო წაბლი, პანტა, ჰუტა ვაშლი, მაყვალი, დათვის მსხალა, შავი და წითელი კუნელი, მოცვი, არყასოკო, ნიუვი, ფიჭვასოკო, მაჭკუანარა, თიორში, მეკენძალა, ქალაკოდა და სხვა მხალეული, მაგრამ მარტოოდენ ბუნების მიერ მზამზარეულად ნაბოძები სიკეთით ხომ ვერ იცხოვრებდნენ! ხან სად ეძებდნენ საახოვე მიწას და ხან სად, რომ ოჯახი გადაერჩინათ.

ნათქვამია, მდიდარს ქონება უმრავლდება და ღარიბს ბავშვებიო. უჭირდა სოფელს, მაგრამ მაინც მრავლდებოდა. ზოგს ცხრა შვილი ჰყავდა, ზოგს თორმეტი. სოფლის გამრავლებასთან ერთად თანდათან მრავლდებოდა მისი ჭირ-ვარამიც.

შეუპოვარი რაჭველები მიწასთან ბრძოლისას დაღლას არაფრად მიიჩნევდნენ, მაგრამ თანდათან ილლებოდა მიწა და ზოგჯერ გლეხს იმასაც აღარ უბრუნებდა, თესლად რომ ჩაუბნევდა ხნულში.

ჯავისელ გლეხს თანაბრად სძულდა მგელი და დათვი. მგელი საქონელს უჭამდა და დათვი სიმინდის ყანას. დათვს ხშირად მაჩვიც ეშველებოდა.

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ალაპარაკდნენ: შავი ზღვის პირას აუთვისებელი მიწები ყოფილა და მთავრობას უთქვამს, ვინც იქ საცხოვრებლად გადასვლას ისურვებს, ყოველნაირად დავეხმარებითო. შეიქმნა ერთი მითქმამოთქმა და ბჭობა. ჯავისის მთებში სათიბავად თუ სათოხრად წესელებიც ხშირად დაიარებოდნენ და საუბარში ისინიც ერეოდნენ ხოლმე, ზოგმა უმალვე განაცხადა წასვლის სურვილი, ზოგიც ორჭოფობდა და მხოლოდ გვიან გადაწყვიტა კერა-ფუძის შეცვლა. დღევანდელ დღესავით ახსოვს დავითს მაშინდელი დავა და კამათი. სანახშოზე თავშეყრილ ხალხს მხოლოდ გადასახლების ამბავი ეკერა ენაზე.

— შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს! — გაიძახოდა ის, ვინც დარჩენაზე მტკიცედ იდგა.

— კერიას გამოცვლამ ბედის გამოცვლა იცისო, ბიძიკოებო! — კვერს უკრავდა მეორე.

— ჰოდა, ჩვენი ბედი უკეთესობისაკენ შემობრუნდება! — ეკამათებოდა მესამე.

— გადარგული ხეც კი ძნელად ხარობს, ბიძიკოებო! — უკან არ იხევდა დარჩენის მსურველი.

სანახშოზე სეირის საყურებლად მოსული ბიჭები ოხუნჯობდნენ:

— ამბობენ, ზღვა ფიცხი კაცის წამალია, ამშვიდებს და ადინჯებსო, რაჭველს კი რაღა დადინჯება უნდა!

ზოგს დიახაც უნდოდა ჯავისიდან წასვლა, მაგრამ ერთი ფიქრი აწვალებდა: ქვიტკირის სახლი მაქვს, სოფელი რომ აიყაროს, ამ სახლს ვერ გავყიდი და მუქთად ხომ არ მივატოვებო. ხეტავი პალატის აშენებაზე ამდენი არ მეჯახირა, დამედგა ხის ოდა და მეცხოვრა, ტყე არა მქონდა ახლოს თუ რაო.

არავინ ამტყუნებდა, ყველას ესმოდა მისი გულისტკივილი. გამრჯე გლეხკაცს ენანებოდა ქვიტკირში დუღაბთან ერთად ჩაქცეული თავისი ოფლი და სიჭაბუკის ჯანი.

ჯავისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვალიკო გოგობერიშვილმა ამ ამბავში უფრო ღრმად ჩახედვა ურჩია მეზობლებს:

— კერას ხალათივით ვერ გამოიცვლი, არც ისე ადვილია, მიატოვო შენი ნალოლიავები კარმიდამო, შენი დარგული ვაზი, შენი აშენებული სახლკარი და შრამელი, შენი ნაწვავ-ნადაგი ყანა, შენი ბავშვობის ნაფეხურები და ახალი ფუძე გაიჩინო. ამ საქმეს დიდი დაკვირვება უნდა. წავიდეთ, გავსინჯოთ ის ადგილები და, თუ ჭკუაში დაგვიჯდეს, მერე ვიფიქროთ გადასვლაზე.

ჭეშმარიტი ქართულიაო, დაეთანხმნენ მეზობლები.

ორიოდე კვირის შემდეგ მთიანი რაჭიდან ჩასული კაცები ზღვისპირეთში დაიარებოდნენ და როგორც სამამამთილო აკვირდება საპატარძლოს, ისე სინჯავდნენ იქაური მიწა-წყლის ავ-კარგს. ოჩამჩირეში ჩავიდნენ და კინდღი დაათვალიერეს. არ მოეწონათ. გაგრისკენ გასწიეს, ბზიფის შემოგარენი შემოიარეს და ტუჩი აიბზუეს, არც ეს დაუჯდათ ჭკუაში. ბოლოს გუდაუთიდან შვიდიოდე კილომეტრზე, სოფელ გომბორასა და თეთრწყალასშუა ულრან ტყეს მიადგნენ და აქ შეაჩერეს არჩევანი. რაჭისაკენ ზოგი კმაყოფილი გამობრუნდა, ზოგიც იმედგაცრუებული.

— როგორია ზღვისპირეთის წყალი, ჰაერი, მიწა, მზე? ჩვენსას სჯობია? — პირველად ეს იკითხა ხალხმა.

— იქ ზღვაც არის და მდინარეც, ასე რომ, იბანავე, რომელ წყალშიც მოგეხასიათოს. სადაც მდინარეა, იქ სასმელ წყალს რა გამოლევს. ჰაერი ზღვისაა, მიწა რბილი და ნოყიერია, მზე — რამდენიც გინდა, თავს არ მოგანატრებს. მთიდან ჩასულებს პირველხანობას ალბათ გაგვიჭირდება, მარა, კაცი რას არ ეჩვევა, ბოლოს მოგებულნი დავრჩებით. — ამბობდა ერთი.

— ვითომ? იქნებ უფრო სანანებლად გაგვიხდეს, ჰა? — თვალებსა წკურავდა მეორე.

მშობლიურ კუთხეში დაბრუნებულნი ზღვისპირეთის სხვადასხვანაირად ხატავდნენ.

— მთელი ღამე ბაყაყები ისე ყიჟინებენ, უძილობით რომ კვდებოდე, რული არ მოგეკიდება. ჰაერიც რაღაცნაირია, მარილიანი და იოდიანი.

— აჰა, ვინც ჩიყვიანია ის წაიდეს. ამბობენ, იოდიანი ჰაერი ჩიყვს არჩენსო. რომელი ხართ ჩიყვიანი? — ესეც სალაზღანდაროდ აქცია ზოგმა.

— რას იტყუები, კაცო, და ხალხს აშინებ? ღმერთმანი, ნამდვილი აგარაკი ყოფილა. ჩვენი დაბევებული ადგილიდან ხუთიოდე კილომეტრზე ისეთი კურორტია, ხალხი თურმე მოსკოვიდან ჩამოდის დასასვენებლად.

— წყალი? წყალს ნუღარ იკითხავ, ძმაო. ასეა დამყაყებული, ცხვირთან ახლოს ვერ მიიტან. ისევ ჩვენი წიწკილა წყაროები დაილოცოს, იქაური ჰა კი ვინც ისურვოს, ღმერთმა იმას მოახმაროს, არც წყალს აქვს გემო, არც საჭმელს. რაჭაში მიწა რომ შეჭამო, ისიც გემრიელია, იქ კი... ნუღარ იტყვი, კაცო.

— რაჭის მიწას, ნიაღვრები გვიჭამს. ნიაღვრების ნარჩენს თუ ვჭამთ, მალე ესეც შემოგველევა, ხომ ხედავ, რა ცოტა დაგვრჩა. იქ კი ძუძუსავსეა მიწა, თანაც ვაკეზე, ისე კი არაა, აქ ფხეკში ფეხს რომ ვერ იკიდებ და სიმინდს შურდულით თესავ, ეზოში ურემს რომ აბამ და ყანაში — კვახს, ლუხუნში არ ჩამიგორდესო, შენს სახლთან ხვლიკი „უტორმუზოდ“ რომ ვერ ადის.

— სამაგიეროდ მე ავდივარ ადვილად. მთის ფხეკებზე მოსიარულეს მუხლი მაგარი აქვს. ვაკე სიარულს აიოლებს და კაცს მუხლს სანეხველას სოკოსავით უსუსტებს.

— ჰოდა, იყავი შენი მაგარი მუხლით აქ. კარგად მოუარე, ვაკეზე სიარულით არ დაგისუსტდეს. რა იყო, შე კაი კაცო, არც წასვლას გაძალებს ვინმე, არც დარჩენას.

— შენ მაღანა ბევრს ნუ ლაპარაკობ. ხალხი იქაურ ამბავს მეკითხება და მეც სიმართლეს ვეუბნები, მერე რომ არ შემომაგინოს, მომატყუესო. არც მე გექაჩავებით, დარჩით-მეთქი. თუ არც თქვენი თავი გეცოდებათ და არც ოჯახი, მიბრძანდით, ბატონო, მე კი ხელი დამიბანია. მირჩევნია ამ ტყეებში მარტო დარჩენილი მგლებმა შემჭამონ უცებ, ვიდრე იქ თანდათანობით ციებ-ცხელებამ სანთელივით დამადნოს და მომინელოს.

— სოფელს რომ თავისი სასაფლაო და ნაკურთხი მიწა არ ექნება, შეიძლება კაცი გაჩერდეს?

— ა, ნახა ამანაც მიზეზი აქედან აყრის!

— რატომაც არა. სიკვდილი წუთისოფლის გერი კი არაა. გარდაცვლილ ადამიანსაც უნდა პატივისცემა.

— შენ თუ სასაფლაო მიწას ეძებდი, ასე გეთქვა თავიდან. ისე, კაცმა რომ თქვას, იქ სასაფლაოს კი გეიჩენთ მალე. უბედურზე უბედური ადგილებია. ისეთი ველური ტყე, გაუვალი ძეძვები და ბარდებია, ასიოდე საჟენი რომ გაიარო, შარვალ-ხალათის ნაფლეთებიღა შეგრჩება. გვიმრაც ისე იწონებს თავს, ცხენიანი კაცი ჩაიმალება შიგ. სადაც გვიმრა არაა, რაღაც ურჯული ბალახი იზრდება, მშიერი ჯორიც არ შეჭამს. თუ სათიბი არ გვექნა, ჩვენი ხარები ქაფმორეული ზღვის ყურებით ხომ ვერ გაძლებიან! არა, ძმაო, მე იქ წამსვლელი არა ვარ, თოფითაც რომ დამადგნენ თავზე!

— ის ეკლნარი და შამბნარი გადაიწვება, ავი ბალახი ამოიფესვება და ბოლოს ისეთი მიწა შეგვრჩება ხელში, როგორც ყველი და კარაქი. ზღვრად მოსკდება იმ ზღვის პირზე მოსავალი, აგერ ნახავ თუ არა.

— ჩვენ უვენახოდ ვერ გავძლებთ. ვაზს მთის სუნი უნდა სცემდეს, თუ გინდა კარგი ღვინო დაგალევინოს. იქ მთა თუ არის სადმე ახლოს?

— რაო? სადმე მთა თუა ახლოსო? კავკასიონის ქვეყანაში მთას რა გამოლევს. იქვე არც მთაა შორს და არც ზღვა. როგორც იტყვიან ხოლმე, სოფლის შუაგულში რომ დადგე, ერთი ხელით თოვლიან მთას მისწვდები, მეორეთი — ზღვას.

— სანადირო ადგილები თუ არის? — დაინტერესდა მოკურდღლავე, ტანმორჩილი საბა გოგობერიშვილი.

— თავზე საყრელად.

— სათევზაო?

— კიდევ მეტი. დაიჭირე რამდენიც გინდა ზღვაში კეფალი და თეთრწყალაში კალმახი. მე შენ გეტყვი, არ გვიყვარს. აქ რომ ტარანას ვნატრობთ, იქ ყოველნაირი თევზი ბჟირივით გვექნება.

ასე ბევრი აქეს და ბევრი აძაგეს ზღვისპირეთი. ბოლოს წამსვლელთა სასწორმა გადასძლია და ვიდრე მთელი ოჯახი აიყრებოდა, ახალი მიწის მოსავლელად და შესამზადებლად, ტყეში ჩადგმულ სახლებამდე ტყის გასაკაფავად და გზის გასაყვანად, საბოსტნეების დასაბარავად და ყანების დასათესად, ადრეულ გაზაფ-

ხულზე რაჭიდან ზღვისპირეთისაკენ გასწია ასამდე ჯანლონით სავსე კაცმა, ოჯახებში მხოლოდ ქალები და პატარა ბავშვები დატოვეს.

— ამ ბალს ხედავ, წვერში ტელევიზორის ანტენა რომ წამომიჭიმეს შვილიშვილებმა, იმ გაზაფხულზე დავრგე. აი, ის ბიაც მაშინდელია. მერე რა, რომ ჩქოლაა, გახმა, გადატყდა და ფესვმა ახალი ამოიყარა. ორივეს ნერგი რაჭიდან ჩამოვიტანე. — მეუბნება დავით გოგობერიშვილის მამა გიორგი, პირხმელი, გრძელულვაშა, მუდამ ძველი კავალერისტივით შემართული ოთხმოცდასამი წლის ბერიკაცი. — სხვებმაც ჩამოიტანეს, ზოგმა ქლიავი, ზოგმა ხეჭეჭური, ზოგმა მსხალი და ვაშლი. ეჰე, რაც ჩვენ ამ ხეხილის ნერგების ჩამოტანაზე გავწვალდით! რიონის სადგურზე ვილაცეები დაგვხვდნენ და მატარებელში არ გვიშვებდნენ. სად მიდიხართო? ვუთხარით, სადაც მოვდიოდით. ეგ რა მიგაქვთო? ბრმები ხომ არა ხართ, ვერა ხედავთ, რომ ნერგებია-მეთქი? აქვე დაყარეთ ყველა და დაწვით, მაგ ლიოფა ნერგებს ხეხილის რამე ავადმყოფობა არ გადაჰყვეს რაჭიდანო. სიდინჯე იმდენი უნდა, რაჭველებს რომ გვაქვს, მარა, ამან კი უცებ გაგვაბრაზა. ავყვირდი მე და ამყვნენ სხვებიც: რაჭაში ჭირიანი არაფერი არ არის, ჩვენ იქ ჭირის ჩასატანად კი არა, დაჭაობებულ-დასნეულებული მიწის გასაჯანმრთელებლად, მოსარჩენად და გასალამაზებლად მივდივართ, თავის მტრები კი არა ვართ, იქ ხომ ჩვენც უნდა ვიცხოვროთო. ა, პა, პა, პა! ვინ გიგდო ყური. გადაგვაყრევინეს. მერე მივეპარეთ, წავჭერ-წამოვჭერით, ზოგმა ხურჯინში დამალა, ზოგმა ტომარაში, ქვე ჩამოვიტანეთ აქ და, გაგიხარიათ, კარგად იხარა. შავი ბალია, გემრიელი, ხელს თაფლივით ეწებება. ახლა ის კაცი რომ მაჩვენა, ამ ხეხილის წამოღებას რომ გვიშლიდა, ეს ბალი რომ დამწიფდება, შევსვამ ზედ დილით და სალამომდე არ ჩამოვუშვებ. სალამოზე კი კალათას მივაწვდი, ავავსებინებ და გავუშვებ შინ. ხომ იქნება ახი! სხვათაშორის, ნერგებს რაჭული მიწაც ჩამოჰყვა, თუმცა, მიწა უნერგებოდაც წამოვიღეთ მერე და ახალ ეზოებში მივმოვაბნიეთ. ზოგს მერე სამოსახლოს შეცვლა რომ უნდოდა, იმას სწუხდა: აქ ძველი სამოსახლოს მიწა მაქვს მოყრილი და როგორ შევეშვიოო. ხეხილის ნერგებს აქაც კი ვიშოვნიდით უწვალებლად და უდავიდარაბოდ, მარა, იქიდან წამოღებული ნერგი მარტო ნერგი არ იყო ჩვენთვის. ამ ბალს და ბიას რომ ვუყურებ ხოლმე, ის მიწა-წყალი მაგონდება, საიდანაც წამოვილე და ერთობ მსიამოვნებს. იმ მიწა-წყალზე გაჭირვებაც ბევრი მინახავს და სიხარულიც, მარა ახლა მისი მოგონება მხოლოდ ბედნიერებას მანიჭებს. ასე მგონია, რაც კი სიკეთე ჰქონდა იმ ჩვენს ჯავისას, ამ ნერგებთან ერთად წამომაყოლა-მეთქი. ბალს მთლად ჯავისური გემო რომ არ ექნება, ამას არ უნდა ფიცი-მტკიცი, ოღონდ, ყვავილი კი ამ ნერგის დედისებურად ეშლება და ისე ლამაზად შემომანათებს ხოლმე, ყურებად ღირს. გარდა ამისა, შვილიშვილებმა ხომ იციან, საიდანაა ჩამოტანილი, ვინა ვართ ჩვენ და საიდან მოვდივართ? ესაა მთავარი. აი მე სიზმრებს მხოლოდ იქაურს ვხედავ, ჯავისურს, აქაური კი სულ არ მესიზმრება. სამაგიეროდ, აქ დაბადებულ ჩემს შვილიშვილებს ჯავისური სიზმარი არასოდეს დაესიზმრებათ. ალბათ ეს არის, ადგილის დედას რომ ეძახიან. იქაური მიწაც იმიტომ შევურიეთ ჩვენი ახალი ეზოების მიწას, ჩვენი ადგილის დედის სული რომ არ დაგვკარგოთ. კი, ბატონო, მიწას აბარია ადგილის დედის სული, ესაა ჩვენი ყოვლადწმინდა, ჩვენი წინაპრების სული და ჩვენი სულიც. მე რომ მკითხონ, კაცის სული სულაც არ მიდის ცაში, იგი ადამიანს მიწაში მიჰყვება, იქ იწმინდება, სპეტაკდება, როგორც ჩვილის სული, და მერე ხელახლა ამოჰყვება ხოლმე ხეს, ბალახს... აყვავებული ხე ნამდვილად ჰგავს მიწაში გასპეტაკებულ და მაღლა, მზის საყურებლად ამოსულ სულს. ასე მგონია, გაზაფხულის ყველა ყვავილში ადამიანის ლამაზი სული ფეთქავს. არა, თუ?

მოდი და ნუ დაეთანხმები. ეს ხომ ქართველი გლეხის მარადიული ღვრიტაა. ასე უყვარს ქართველ კაცს მშობლიური მიწა და მისი სილამაზე. ასე ხედავს იგი ადამიანის უკვდავებასაც.

ვიდრე ოჯახის უფროსები ახალ კარმიდამოებს დასტრიალებდნენ თავს, რაჭაში უკვე ემზადებოდნენ წასავლელად. რაკი ღორების წაყვანა ძნელი იყო, ზოგმა გაყიდა, ზოგმაც დაკლა და დაშაშხა. მაისში ოჯახის უფროსები შინ დაბრუნდნენ. პირუტყვი, კერძოც და კოლმეურნეობისაც, ფეხით გაუყენეს ოთხასკილომეტრიან გზას. ქათმები გალიებში ჩასვეს, მარნის მოწყობილობა და საოჯახო ავეჯი: ბარი, თოხი, წალდი, წერაქვი, ნაჯახი, ქვაბი, თუნგი, სამფეხი, ნიჩაბი, ჯამ-ჭურჭელი, და ვინ მოთვლის, რამდენი წვრილმანი იყრის თავს ამ დროს, საწნახლებსა და ჩაჭრილებში ჩაალაგეს. სარჩო-საბადებელი, ლორი და შაშხი ყუთებში ჩააწყვეს, ლეიბ-საბნები საგანგებოდ შეკერილ ტომრებში ჩატენეს და მაისის ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ურმებით და მარხილებით ჩაზიდეს სამანქანო გზამდე, ლუხუნის წითელ ხიდთან.

ჯავისაში სულ ორმოცდათოთხმეტი კომლი ცხოვრობდა. იმ დღეს მხოლოდ ოთხი ოჯახი დარჩა.

ლუხუნის ხიდთან ყველა წამსვლელ ოჯახს

თითო მანქანა ელოდა. სავსე საწნახლის მანქანის ძარაზე ციმციმ ატანა არც ისე ადვილი გახლდათ. იყო ერთი გაძახილ-გამოძახილი და ჰაპან-წყვეტა, მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. თორმეტი წლის დავითი ხან ვის აშველებდა ხელს, ხან ვის, სასიამოვნო დაღლას გრძნობდა. ყველას ერთნაირად დაუფლებოდა მამაპაპეულ კერასთან განშორების სევდა და ახლის მოლოდინის სიხარული.

— ეს რაა, კაცო, ქვევრებიც მოგაქვს? — ჰკითხა საბამ გიორგის. — ამას ჰქვია, ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ბერავდნენო. იხარებს ვითომ ვაზი იმ ზღვისპირზე?

— მისი ნებაა, არ იხაროს? უვაზოდ ჩვენებური კაცის ცხოვრება სად გაგონილა? ქართველი კაცი სადაც სახლის საძირკველს გასკვნის, თუ მის ახლო-მახლო ვაზის გახარება რამენაირად შეიძლება, უეჭველად დააფუძნებს. ვაზი ჩვენი ცხოვრების მეორე საძირკველია, უვენახოდ ვერ გავძლებთ. მიწა და მზე რომ არის იმ ზღვის პირზე, ჩემი თვალით ვნახე, ჰოდა, ვაზის გახარებას მეტი რა უნდა? შე კაი კაცო, ჯავისის ფხეკებში ქვაზე გავახარეთ ვაზი და იმ რბილ მიწაში ველარ გავადგმევინებთ ფესვს? იქ ჩვენს მეზობლად სოფელი ბომბორაა. წინა წლებში საცდელი ნაკვეთი მოუწყვიათ და ვენახს უხარებია. ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრება.

— მერედა, ვაზი თუ იხარებს, მაშინ ველარ იშოვი ქვევრს?

— მე ჩემეულ ქვევრში მინდა ღვინის ჩასხმა. ვიცი ამის ხასიათი.

გიორგის გარდა ქვევრები სხვებსაც მიჰქონდათ.

არც ეს იყო უბრალო ქვევრები. ისინი სავსე იყო იმედით, რომ ახალ მიწაზე ვაზს უეჭველად გაახარებდნენ.

ჯავისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვალიკო გოგობერიშვილმა მანქანის ძარაზე ყველაზე ფრთხილად აკვანი აიტანა. შიგ იწვა არტახებით გაკოჭილი ერთი თვის შოთა.

— აი, ეს არის ის პატარა შოთა, — მაცნობს დავითი ახალსოფლის კოლმეურნეობის აღმრიცხველ-მოლარეს. — ვიდრე მაგის აკვანი მანქანაზე არ აიტანეს, ტიროდა, მერე უცებ დაწყნარდა და ყველას ღიმილით დაუწყო ყურება.

ვალიკო გოგობერიშვილის კოლმეურნეობა უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ყოფილ თავმჯდომარეს მისი დროშა მაინც მოჰქონდა. ზედ ეწერა: „სწორი გზა“.

— ა, როგორც იქნა გაგვიმართლა ჩვენმა დროშამ, ამიერიდან სულ სწორი გზით ვივლით, აბა, ჯავისაში სწორი გზა ვის გაუგიათ, — ხუმრობდა თვითონ ვალიკო.

ეს დროშა პირველ მანქანაზე დაამაგრეს და... აყრილი სოფელი ორმოცდაათი მანქანით ქუთაისისაკენ დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი იგონებს:

— ერთი სული მქონდა, მატარებელში როდის ჩავჯდებოდი და ზღვას დავინახავდი. ყველა ბიჭს ასევე აინტერესებდა. დავინახეთ ზღვა და უმალვე გაგვიშინაურდა. იქნებ იმიტომაც, რომ ბავშვურ ოცნებაში იგი უფრო სხვანაირად გვეხატებოდა და ჩვენი თვალით დანახულს უცებ ჩამოშორდა ზღაპრული იერი.

მატარებელმა კელასურში ჩაგვიყვანა. მაშინ რკინიგზა აქ წყდებოდა. მალე ისევ მანქანებში გადავბარგდით. ჯავისელებთან ერთად აქ რაჭის სხვა სოფლებიდანაც ჩამოვიდა ხალხი: წესელები, სხვაველები, შქმერელები, ონელები, ურავლები, ლიხეთლები...

მივაგრიალეთ მანქანები ადგილზე და... ზოგს გული შემოეყარა: აქ სად გადმოგვყარესო. მაშინვე დააპირა უკან გაბრუნება. განსაკუთრებით შქმერელები განაწყენდნენ.

— გულო, ეს რომ კარგი ადგილი ყოფილიყო, აქამდე უპატრონოდ ვინ დატოვებდა? აქ დასახლებას შენ მოასწრებდი აქაურებს? რატომ ისინი არ ჩამოვიდნენ მთიდან? თურმე ტყუილად კი არა სწყევლიდნენ ახლო-მახლო სოფლელები ერთმანეთს: შენ გაიარე თეთრწყალასთან და შავწყალასთანო. ყველასაგან დაწუნებული მიწა-წყალი შემოგვტყუეს. ამის გამოვარგისება არ იქნება. ციების მეტს ვერაფერს გამოვრჩებით. წავიდეთ, უკან გავბრუნდეთ, სანამ გვიან არ არის.

შქმერელებს სხვებიც აჰყვნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, ეს მიწა-წყალი თუ ოდესმე რამეს მისცემდა ადამიანს.

ირგვლივ იყო გვიმრა, ძეძვი და აშმორებულ-დაჭაობებული ტყე. ტყეში ჩადგმული იყო წითელი აგურით ნაშენები სამ-სამოთახიანი სტანდარტული ოდა-სახლები. ხალხის ჩამოსვლამდე მხოლოდ ჰაერი ცხოვრობდა იმ ოდებში. მერცხალი ხომ ისეთ ადგილზე ერიდება დაბუდებას, სადაც ადამიანის ხმა არ ისმის და ახალ აივნებზე ჯერ მერცხლებსაც არ ჰქონდათ ბუდეები გაკეთებული, თუმცა ზღვისპირეთში უკვე თბილი გაზაფხული იდგა.

რამდენიმე უკმაყოფილო ადამიანის ჭუჭყუნს უმრავლესობამ ყური არ ათხოვა, დატრიალდნენ დიდები და პატარები, ოდის კედლებზე ცარცით მიწერილი სანომრო ციფრები წაშალეს, მის მაგივრად თავთავიანთი სახელი წააწერეს, მანქანები გადმოტვირთეს, ბარგი-ბარხანა შინ შეზიდეს, სახელდახელო სუფრა გაშალეს და რაჭიდან ჩამოტანილი ღვინით დალოცეს ახალი საძირკველი.

მეორე დილით ეზოში იყივლა მამალმა, ბუხრიდან აისვეტა კვამლი და სოფელმა საქმიანი ცხოვრება დაიწყო.

მაშინ აქ ისეთი უდაბური, შაშვიპურათი და-

ეკალათი გაბარდული ტყე იყო, ერთხელ ბიჭები სარის მოსაჭრელად შევედით და გზაკვალი დაგვებნა. ეკლებით ფეხებდაკაწრულები კარგა ხანს ვეძებდით ბილიკს. ბოლოს მოვიფიქრეთ, მაღალ ხეზე ავედით, რომ ზღვა დაგვენახა. გეზი რიყისკენ დავიჭირეთ და იქ გასულებმა ძლივს მოვიმხრეთ სოფლის გზა. „ზღვის კომპასს" რომ არ ეშველა, ალბათ ტყეში მოგვიწევდა ღამის ვათევა, მაშინ კი ტყე ერთობ ნაძრახი იყო. ღამღამობით მგლების ქმუილი და ტურების კივილი გვესმოდა. ვისაც ღამით გარეთ დარჩებოდა პირუტყვი, მგლებისაგან დაგლეჯილს თუღა იპოვიდა.

ისიც კი, თავიდანვე გულს რომ არ იტეხდა, ადვილად როდი შეეგუა ახალ საცხოვრისს.

ჩვენებურ კაცს უღვინოდ რა გააძლებინებს და ჯანსაც რა შეანახვინებს. ეს წვეულებაო, ეს ოჩხარიო, ეს ძეობაო. ვაზი კი ჯერ არ გვქონდა. ხალხი მეზობელ სოფლებში გადიოდა და ერთ ლიტრ „ადესაში" ოთხ კილო სიმინდს აძლევდა არ დაგავიწყდეს, მაშინ არც სიმინდი იყო იაფი. უფროსები თუ უღვინოდ ვერ სძლებდნენ, ბავშვებს ხილი გვენატრებოდა, ახლო-მახლო კი ხილი არსად ჰაჭანებდა. ერთადერთი ხეხილიანი კაცი ჩვენი სოფლის შორიახლოს აფხაზი კიტა ტარნავა იყო. ბაღში ყველაფერი ჰქონდა: ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ჟანჟური, ბჟოლა. ღმერთმა სიკეთე და გახარება ნურასდროს მოაკლოს მის ოჯახს, ეს კეთილი კაცი ჩვენ გვახარებდა! მისი ბაღის კარი დღე და ღამე ღია იყო ყველასათვის. კიტას მაშინდელი რუხი ბჟოლის გემო ახლაც მახსოვს, ადესის ყურძენსაც ხშირად გვთავაზობდა. მაგრამ ერთი ბაღი მთელ სოფელს რას გასწვდებოდა და ბიჭები მეზობელ სოფლებშიც გადვინადირებდით ხოლმე. არ მახსოვს, აფხაზის ოჯახში ჩვენთვის ხილის მოკრეფა დაეშალოთ. ჩვენს დამეგობრებას და კეთილმეზობლობას ამანაც ძალიან შეუწყო ხელი.

მართალია, ამ ხილს ჯავისური ხილის გემო აკლდა, მაგრამ სურვილს კი ჩინებულად გვიკლავდა. საერთოდ, ერთნაირი ყველგან რა ყოფილა.

ჯავისაში ადრე ზამთრდებოდა და ზოგჯერ იმხელას მოთოვდა, საბა მონადირე კურდღელს ხელით იჭერდა ხოლმე. ახალსოფელში თოვლი მიწაზე სამიოდე საათსაც ვერ იკიდებდა ფეხს და გაზაფხულიც ადრე დგებოდა. ჯავისაში მზე მთებიდან ამოდიოდა და მთებში ჩადიოდა, აქ სხვა გზა ჰქონდა მზესაც, მთვარესაც და კაცსაც. ზღვაში ჩასული მზე და ზღვიდან ამოსული მთვარე თითქოს ჯავისურ მზეს და მთვარეს აღარც ჰგავდნენ. აქ ციცინათელებიც კი სხვანაირები დაფრინავდნენ — უფრო მსხვილები და თვალბრდღიალები. სხვანაირი ნაბიჯი გაუხდა აქ მოსიარულე ჯავისელ კაცს, ურემიც სხვანაირი დასჭირდა და ბევრი სხვა რამეც. არა მარტო აქ მოხარშული ქათამი და აქ გამომცხვარი მჭადი, ცოცხალი [illegible]ლიც კი თითქოს სხვა გემოსი და ფერისა იყო აქ. ჰოდა, ყველა უცებ როდი შეეგუა ამ ათას სიახლეს, ყველამ მაშინვე როდი ისწავლა ღომის მოხარშვა და საწებლად აჯიკას გამოყენება. ჰაერმაც ბევრი დახამა. ზოგი მაგარი ვაჟკაციც კი აბაბანა ციებ-ცხელებამ. ადამიანზე მეტად კი ახალ მიწა-წყალთან შეგუება ჩვენებურ პირუტყვს გაუჭირდა. მთაში გაზრდილ ხარებს და ძროხებს ციებამ დარია ხელი და გააჩანაგა. მაგრამ ყოველივე ამან სოფელს ხვალინდელი დღის იმედი როდი დააკარგვინა. ჩვენ მიწასთან საომრად ვართ გაჩენილებიო, ამბობდნენ ქედმოუხრელი გლეხები.

ყანები ჯაგნარით იყო დალაშქრული. განსაკუთრებით ბზის ტყე გვტანჯავდა და გვაწამებდა. ბზის ფესვები ბარსა და თოხს იცურებდა. მჭედლებმა ტიფო ბიბილაშვილმა და სანდრო გოგრიჭიანმა საგანგებოდ დაიწყეს ბარწერაქვების, თოხწერაქვებისა და ცხვირნისკარტა წალდების გამოჭედვა. მერე ტიფო და სანდრო ჯარში წაიყვანეს, მაგრამ მათი გამოჭედილი იარაღი დიდხანს შემორჩა სოფელს. ბზის და ჯაგნარის ფესვებით დაქსელილ და შეკრულ მიწასთან საომრად. ამაზე უკეთეს იარაღს მაშინ აქაური ხალხი ვერც ინატრებდა.

გლეხმა თუ მიწის ჭირ-ვარამი არ იცის, ვერ გრძნობს, რა აწუხებს და რაახარებს, ვერ არჩევს, რა მალამო მოარჩენს მის სატკივარს, ის გლეხი მუშაკაცად და გლეხად არც ვარგა. მაგრამ ახალ მიწას თავისებური გაცნობა უნდა, ორიოდე წელიწადს თუ ალალი ოფლი არ აპკურე ზედ, თავის ტანჯვა-სიხარულს არც გაგიზიარებს.

კიდევ ერთი ჭირვეული ხასიათი აქვს მიწას: თუ გულით არ შეიყვარე, თავი რომ დააკლა ზედ, შენთვის არაფერს გამოიმეტებს.

ამბობენ: რაჭველი კაცი ამერიკაშიც კი რაჭველია, არც შრომა-გარჯას უღალატებს, არც თავის სინდის-პატიოსნებასო. რაჭველ გლეხს მიწა თუ აქვს, დღე და ღამე რომ იმუშაოს, არ მოსწყინდებაო. ჯავისაში მცირე მიწიანობა აწუხებდათ, აქ კი მიწის სიღარიბეს არავინ უჩიოდა. ჰოდა, გაიხარეს, მაგრამ რა გაიხარეს! გოჯა-გოჯა, მტკაველ-მტკაველ, ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებდნენ ყამირ მიწას, აცლიდნენ გვიმრას და ძეძვს, ღორღსა და ჩირგვებს. სულშეხუთულმა მიწამ შვებით ამოისუნთქა. თითქოს გაეღიმა კიდეც, ამ ღიმილმა კი სილამაზე და ეშხი მოუმატა. ყველაფერმა იგრძნო ადამიანის ხელი. ახალი სიცოცხლის დამამკვიდრებელმა ყიჟინამ აახმაურა მიდამო და... სახლების აივნებზე გაჩნდა მერცხლის ბუდეები. უჭირდა კერაგამოცვლილ გლეხს, მაგრამ რაკი მიწა ჰქონდა, მაინც ტკბილად ღიღინებდა.

რაჭველ კაცს ოდითგანვე მიწის სიმცირე-სილარიბე რომ დაებედა, ალბათ ამიტომ გაუჩნდა მიწის ასე უზომო სიყვარული. მისთვის არც ოფლი ენანებოდა, არც ჯან-ღონე.

ხალხი თავდავიწყებით რომ ებრძოდა მიწას, ერთ დღეს კარიდან კარზე უცნაურმა ჩურჩულმა ჩამოიარა: პელაგია მოკვდა, გლახუა ჩიხრაძის ცოლიო.

ადამიანის სიკვდილი ვის არ სწყინს, მაგრამ ეს სიკვდილი სხვანაირი იყო რაღაცით. სიკვდილის პირველმა შავმა ანგელოზმა ჩამოიარა კერაგამოცვლილთა ახალ სოფელში და თავი შეახსენა ხალხს: სადაც არ უნდა წახვიდეთ, მეც ფეხდაფეხ მოგყვებითო. ამ ანგელოზის ფრთების შრიალი უცებ მთელ სოფელს მოედო. ხალხმა თითქოს ახლა შეამჩნია მხოლოდ, რომ სიკვდილის ანგელოზს ორი ფრთა ჰქონია: ერთი ფრთა ამუნჯებს გაოგნებულ ჭირისუფალს, მეორე — აბლავლებს და აკივლებს. აქ ახლა ზოგი შეძრწუნებული ქვასავით დადუმდა, ზოგმაც მოთქმა-ტირილით ზეცა შესძრა. მაგრამ ამ ანგელოზის ფრთების შრიალს უცნაურ შიშსა და შეძრწუნებასთან ერთად ახალი საზრუნავიც ახლდა: ახალსოფელს პირველი საფლავი უნდა გაეჭრა.

აქამდე ყოველდღე შეუბრალებლად ჭრიდნენ, ფატრავდნენ და ბრდღვნიდნენ მიწას, მაგრამ მიწას ეს არ სტკიოდა, ახლა კი იმავე მიწაზე პირველი საფლავი გაჭრეს და უცებ იგრძნო მიწამ ტკივილი, პირველი ტკივილი.

მალე მეორე ტკივილიც იგრძნო: სოლომონ კივილაძე გარდაიცვალა.

მერე საბა გოგობერიშვილს დედა მოუკვდა, მატრონია, და...

სოფელს სასაფლაო გაუჩნდა.

არ გასულა დიდი ხანი და ახლა უკვე კარდაკარ სასიხარულო ამბავმა ჩამოიარა თეთრი ანგელოზივით. ჩამოიარა და ელვასავით გაანათა დაღრუბლული სოფელი: რუბენ გოგობერიშვილს გოგო შეეძინაო.

გაიღიმა მგლოვიარე შარაგზამ.

პირველ ახალსოფლელს ელვარი დაარქვეს.

მალე არქიფო გოგსაძის ოჯახში ვაჟი გაჩნდა — ავთანდილი.

მერე აკვნების შეტანა იმ ოჯახებშიც დასჭირდათ, საიდანაც კუბოები გაიტანეს.

სოფელი წუთისოფლის უღელში გაება და ის-ის იყო ახალმოსახლეებს ჩვეულებრივი, ჭირლხინიანი ცხოვრება უნდა დაეწყოთ, მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი — დაიწყო სამამულო ომი, ჩამოდგა მრისხანე ჟამი.

გულთმისნებივით ეს რომ გვცოდნოდა, მალე თავს ომი დაგვატყდებოდა, აქ გადმოსახლებას ველარ გავბედავდით და... წავაგებდით. ომის დროს მწირმიწიან ჯავისაში რომ ვყოფილიყავით, განა ნაკლებად გაგვიჭირდებოდა? მრისხანე ჟამის ვაიუშველებელს იქ უფრო გავუძლებდით? ომისდროინდელ დიდ უბედურებას და ჭირვარამს იქ უფრო იოლად მოვერეოდით? არა მგონია.

ომი რომ დაიწყო, ჩვენი სოფელი უფრო ერთსულოვანი და მტკიცე გახდა. მანამდე ზვინდრიპშის და ლიხნის სასოფლო საბჭოებზე ვიყავით მიწერილნი, იმ შემოდგომაზე კი გამოვეყავით და ახალსოფლად მოვინათლეთ. ვინაიდან ომის დროს სახელმწიფოს ჩვენი მომარაგება პურით აღარ შეეძლო, ტყეები გავტეხეთ, პური დავთესეთ და რაჭული კალოებიც გავმართეთ. მთიდან ჩამოსული აფხაზები გაკვირვებულნი გვიყურებდნენ, კევრებით ძნას რომ ვლეწავდით. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, სხვანაირად თავს ნამდვილად ვერ გავიტანდით. ერთი წლის სოფელი, ჯერ წელში გაუმართავი, ოთხწლიანი მძიმე ომის სიდუხჭირეს ვერ გაუმკლავდებოდა.

იცოცხლე, აქ ეკალა მაშინ თავზე საყრელად გვქონდა, მაგრამ მუდამ ეკალა და ისიც შეუკაზმავი, პურმიუტანებლად მტერმა ჭამოს!

აი, შეხედეთ შინმოუსვლელთა კედელ-ობელისკს.

ლევან გოცირიძის სამი ვაჟი მოინელა ომმა: დავითი, პარმენი და როსტომი. კიდევ კარგი, მეოთხე ძმა მაინც დაბრუნდა შინ, მარუხის ბრძოლების მონაწილე ვახტანგი, თორემ სულ გაუბედურდებოდა და გაცივდებოდა ოჯახის კერა. მელიტონ გოგობერიშვილსაც სამი ვაჟი დაეკარგა: ბაგრატი, ვანო და გიგილა. ბევრი ხალხი წაგვართვა ომმა, ბევრი, სულ რჩეული, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცები.

ორმოცდაორში ახალსოფლელებს ისევე კარგად გვესმოდა სროლის ხმა, როგორც ჯავისისა და საფიჩხიის შუა გაძახილ-გამოძახილი. ერთხელ ბომბორა დაბომბეს კიდეც. აქაურობა სავსე იყო ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცებით. დაკელანობდნენ დაჭრილები და სოფელში ლაზარეთის სუნი ტრიალებდა. წამოჩიტული ბიჭები კოშკურებზე ვყარაულობდით. ერთხელ ბიჭვინთაშიც წაგვიყვანეს სანგრების სათხრელად. სანგრები სერიბაბასთანაც გავჭერით.

ერთ ღამეს ჩვენი სოფლის მიწა-წყალზე გერმანელებმა დივერსანტებიც კი ჩამოსხეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. დივერსანტებთან შეტაკებისას ორი ჯარისკაცი დაიღუპა და სამხედრო პატივით დავკრძალეთ.

ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული მამაჩემი, მაგრამ მაინც გაიწვიეს ჯარში: პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი ხარ, ქვეყნიერება გაქვს მოვლილი, გერმანულიც კარგად იცი და გამოგვადგებიო.

ჩემი უფროსი ძმები — ბიკენტი და ომერიც მალე გავიდნენ ცეცხლის ხაზზე. ოჯახი დედაჩემის ამარა დარჩა. მე და ჩემი უმცროსი ძმა,

ვაჟა, დედასაც ვეხმარებოდით და კოლმეურნეობასაც. პირველად რომ გუთანი გავიტანე მინდორში, წამდაუწუმ მიბრუნდებოდა, მაგრამ მაინც არ მოვეშვი და კარგა ბლომადაც დავხანი. ომმა ბავშვები მალე დაგვავაჟკაცა. მამაჩემი და ჩემი უფროსი ძმები ომში იყვნენ, მე კი მიწას ვეომებოდი. სოფელი ქალების, მოხუცების და ბავშვების ამარა იყო დარჩენილი და, აბა რა მექნა? ნახევარზე მეტ ხალხს პელეგრა და მალარია შეეყარა, ქინაქინის აბების ყლაპვამ დააყვითლა ადამიანები. ყველას შიოდა, ყველას უჭირდა. ვისაც ომისდროინდელი პურის გემო ახსოვს, როგორ არ დალოცავს ახლა მშვიდობიან, დოვლათით სავსე დღეებს. ახალმოსახლეს ყოველთვის უფრო უჭირს, ჩვენ კი ზედ ომის უბედურებაც დაგვემატა. მაგრამ ის გაჭირვება ჩვენი სოფლისათვის ისეთი ცეცხლი იყო, რკინას რომ აწრთობს და აფოლადებს. იმ გაჭირვებამ რაღაცნაირად უფრო გაგვამაგრა, უკეთ გვასწავლა ცხოვრების ფასი, პატიოსანი შრომისა და პატიოსანი ლუკმის ფასიც.

გაჭირვება არც ომისშემდგომ პირველ წლებში დაგვკლებია, მაგრამ არ დავძაბუნებულვართ, გავუძელით, მერე ორმოცდაექვსი წლის მოუსავლიანობასაც ვაჯობეთ და ციებ-ცხელებაც აბეზარი სტუმარივით მოვიშორეთ. აი, მაშინ კი ამოისუნთქა ხალხმა: როგორც იქნა, გავშველდით.

გამარჯვების სალუტმა ცა და მიწა რომ გაანათა, უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო დავითი — ათას ჭირვარამ გადანახადი ჭაბუკი. ორმოცდაშვიდში წარჩინებით დაამთავრა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. ტიმირიაზევის აკადემიაში შეგიძლია უგამოცდოდ ჩაირიცხოო, უთხრეს, მაგრამ ჯერ კიდევ წელში გაუმართავი ოჯახი ვერ მიატოვა და თავის სოფელშივე აგროტექნიკად დაიწყო მუშაობა, მერე ჯარი მოიარა და აგერ უკვე ცხრამეტი წელიწადია, თავისი სოფლის კოლმეურნეობის ბედ-იღბალი აბარია.

დავითის შემდგომი ცხოვრების მოკლე ანკეტა ასეთია:

ათი წლის წინათ დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობა-მებაღეობის ფაკულტეტი. შვიდი წელია, მკერდს გმირის ვარსკვლავი უმშვენებს, ოთხჯერ აირჩიეს აფხაზეთის ა ს ს რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული აქვს აფხაზეთის დამსახურებული აგრონომის წოდება.

აი, კოლმეურნეობის ანკეტაც:

ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა 1954 წლიდან, როცა მას სათავეში დავითი ჩაუდგა, მუდამ არის სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენის მონაწილე და მრავალჯერ აქვს მიღებული ყველა ხნის უმაღლესი დიპლომი. ერთხელ მსუბუქი ავტომანქანა აჩუქეს, მეორედ — სატვირთო.

ამ ათიოდე წელიწადში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ექვსჯერ გაიზარდა. შარშან კი მილიონ ორასი ათას მანეთს გადააჭარბა.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში კოლმეურნეობამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და პროფკავშირის რესპუბლიკური ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო სიგელი.

ყველა ანკეტა მშრალია. კოლმეურნეობის თავმჯდომარის საქმიანობა ყველაზე უკეთ იმ მიწა-წყალზე ჩანს, რომელსაც იგი პატრონობს. ამ მიწა-წყლის ავ-კარგი ყველაზე მკაფიოდ და დამაჯერებლად გვისურათებს თავმჯდომარის პორტრეტს.

შეიძლება სამი ინსტიტუტი დაამთავრო, მერე დისერტაციაც ბრწყინვალედ დაიცვა, წაიკითხო ათასი წიგნი მიწის გონივრულად გამოყენებაზე, მაგრამ თუ მიწის იდუმალების მიგნება-ამოხსნის ინტუიცია არა გაქვს მომადლებული, უშუალოდ შეხებისას ისიც შეიძლება ვერც მიწას გაუგო რამე და ვერც მიწაზე მომუშავე ადამიანებს, წესიერად ვერც მიწას მოუარო, ვერც ამ მიწის ხალხს უთავკაცო. აქ ბევრი რამ ისეთი იჩენს თავს, როცა წიგნი ვერაფერს გიშველის, მიწის სიბრძნე თვითონ მიწაზევე უნდა ამოიკითხო, მისი სატკივარიცა და სიხარულიც ერთნაირად გაიგო. ეს ბუნების ჯილდოა, უტყუარი ნიჭია, რომელიც თან დაჰყვება შემოქმედ ადამიანს, როგორც მეექვსე გრძნობა, და თუ ეს ნიჭი თავის ჭეშმარიტ სარბიელს იპოვის საქვეყნო სიკეთედ იქცევა.

დავითმა აკვნიდან რომ ფეხი გადმოდგა, იმ დღიდან მიწას ეხება უშუალოდ. მიწის მადლით იზრდება, ხვნითაც ბევრი უხნავს და ბარვითაც ბევრი უბარავს, უთოხნია და უთიბავს, ვაზიც გაუსხლავს და ხეხილიც, ბევრჯერ მოშივნია და მოსწყურებია, სხვაც ბევრი უნახავს მშიერ-მწყურვალი და თხილის ერთი გული ცხრად ვაუყვია, ზაფხულის ცხელ თუ შემოდგომის ცივ მიწაზე ფეხშიშველასაც ბევრჯერ უვლია. მწყემსობისას თავიდან ფეხებამდე წვიმით გალუმპულა და ცხოვრების ორომტრიალი, მისი გონიერება და უგუნურება, მისი ავი თუ კარგი, სიბრძნე მიწასთან უშუალო დამოკიდებულებით შეუგრძვნია და შეუთვისებია, მიწისშვილობა, გლეხკაცის მიწიერი გუმანი სულსა და სისხლ-ხორცში აქვს გამჯდარი. სწორედ ეს ალღო შველის მიწის ჭირ-ვა-

რამის იდუმალება დროულად ამოიცნოს და დაეხმაროს გაჭირვების დროს.

ახალსოფლის ბაღები და ვენახები, ბოსტნები და სანერგეები რომ ვნახე, ეს აზრი იმ მიწა-წყალმა მიკარნახა, თორემ თავის უნარზე დავითს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მიწისშვილობა და შემოქმედი ადამიანის ალღო ისე ბუნებრივი, ისე უბრალო და ძალდაუტანებელია მისთვის, როგორც სუნთქვა. სიტყვიერად იქნებ ვერც აგიხსნათ, ეს სიკეთე საიდან მოსდევს, როგორ მიაღწია მას, და თუ დაჟინებით მოსთხოვთ განმარტებას, ეს უკვე მკრეხელობა იქნება, იქნებ შეურაცხყოფაც ბუნებრივი ნიჭისა. ამას ისევე უნდა მიუხვდე, როგორც თვითონ ესმის მიწის ყველა გულისთქმა, გრძნობს მიწის სიბრძნეს, ავ-კარგს და... მიწის სამერმისო ფიქრიც კი მეტყველი და საცნაურია მისთვის.

მიწას იმდენი საიდუმლო დაებედა, ალბათ ქვეყნიერების დასასრულამდე არ დაელევა. თუ მიწას ბავშვობიდანვე არ ებრძოდი და ახლაც დღე და ღამ არ ებრძვი, იდუმალებათა მთების ერთ ნამცეცსაც არ გაგიმჟღავნებს, ზღვა იდუმალების ერთ წვეთსაც არ გამოიმეტებს შენთვის.

მიწის ზოგ საიდუმლოს ვაზი ამხელს, ზოგს ხეხილი, ზოგს ყვავილი თუ სარეველა ბალახი და ათასი სხვა რამ. ყველაფერი მისი საიდუმლოებაა, რაც მიწით იკვებება, რაც მიწიდან ამოდის.

ხომ ბევრი იდუმალება აქვს კოსმიურ სამყაროს, მიწას უფრო ბევრი აქვს. იქნებ ოდესმე კოსმოსის ყველა იდუმალება საცნაურჰყონ მეცნიერებმა, მიწის ყველა საიდუმლოს ამოხსნა კი გაუჭირდება ადამიანს. ეს საიდუმლოებაა მიზეზი ადამიანის და მიწის მარადიული ჭიდილისა. ყოველ გაზაფხულზე დედამიწა ახალ-ახალი საიდუმლოებებით ევლინება ადამიანს. ამოხსნი თუნდაც მეასედს, გაიმარჯვებ მიწასთან ბრძოლაში, ვერ ამოხსნი ცოტას მაინც, დამარცხდები. ერთმანეთის მეზობლადაც კი სხვადასხვა ბუნება-ხასიათისაა მიწა, თანაც ყოველწლიურად ამა თუ იმ უბნის მიწის ფიქრი და ზრახვა სხვადასხვანაირად არის წასაკითხი. მართალია, ეს ზოგჯერ ცაზედაც არის დამოკიდებული, მზეს როგორი თვალით დაახედებს, როდის მოიყვანს წვიმას, გაზაფხული ლაიგვიანებს თუ, პირიქით, ნაადრევად მოაჭენებს მწვანე ბალახით და ათასფერი ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ რაშს და გაათბობს მიწა-წყალს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, მიწის ხასიათი და ბუნება-განწყობილება შეიცნო დროულად. ამას კი თავისი პირობა სჭირდება. მიწა არც თავის ბუნება-ხასიათს გაგიმჟღავნებს დროზე და არც სხვა რაიმე საიდუმლოს, თუ მეგობრულად არ ებრძვი, თუ ამ ბრძოლაში არ გენდობა, როგორც გულითად, კეთილ მოყვარეს, თუ სულითა და გულით ბოლომდე არ იწამა შენი ჭიდილის უანგარობა, შენი ფიქრის უმზაკველობა, მოთმინება და სიწმინდე, თუ შენმა ხელმართულმა ვაჟკაცურმა ბრძოლამ უხეშობაზე მეტად სიფაქიზე და ალერსი არ აგრძნობინა.

მიწასთან ბრძოლა სიცოცხლისათვის ბრძოლაა და ვისაც უნდა ამ ბრძოლამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, დედაშვილურ-მამაშვილური სიყვარული უნდა დაუდოს საფუძვლად, ზოგჯერ მკაცრი, ზოგჯერ ლმობიერი, რომ არც ერთს გაუფუჭდეს ბუნება-ხასიათი, არც — მეორეს.

ასე უყვარს მიწა დავით გოგობერიშვილს და მიწაც ასევე სცემს პატივს.

მაღლმდიდარია დღეს ახალსოფლის მიწა, ყველაზე მეტად კი ვაზის სიკეთით არის მდიდარი.

თითქოს გუშინ იყო, აქ ახლადკერაგაჩენილ კაცს მეზობელი სოფლებიდან რომ მოჰქონდა ღვინო. ეს ამბავი მალე შეტრიალდა. კარგა ხანია ყველა ახლო თუ შორეულ სოფელს აქედან მიაქვს ღვინო — თეთრი, შავი და წითელი, ცოლიკაური, ჩხავერი თუ კაჭიჭი... მე შენ გეტყვი და, ცოტა მოსდით. თუნდაც შარშანდელი ძნელი წელიწადი ვახსენოთ, როცა ვენახებს ყველგან უჭირდა. ახალსოფლის კოლმეურნეობამ ორი ათას ექვსასი ტონა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს, გეგმაზე ცხრაასი ტონით მეტი.

არც თუ ისე გრძელი, მაგრამ ძნელი გზა გამოიარა ამ სიკეთემ.

დავითი იგონებს:

— ჯერ ჩვენ-ჩვენი ეზოყურეც არ გვქონდა გაკაფულ-გაწმენდილი, დიდმა და პატარამ ნაჯახები და წალდები რომ გავლესეთ და ჯარად შევესიეთ ტყესა და ჯაგნარს. კაცები ხეებს ჭრიდნენ და მორავდნენ, ქალებსა და ბავშვებს ნაკაფი შორს გაჰქონდათ. ჯაგნარს ფესვებიანად ვთხრიდით. მაშინ საამისოდ მანქანები წამლადაც არსად იყო. ჩვენი ხელების იმედად ვიყავით მხოლოდ. ჯერ საყანე მიწები წავართვით ტყეს, მერე სავენახეც. მამები შვილებს არ ესიყვარულებოდნენ ისე, როგორც ვაზის პირველ ნერგებს. ამ ნერგების გახარება-არგახარებაზე იყო დამოკიდებული, აქაური მიწა სავენახედ გამოდგებოდა თუ არა.

გადაბრუნებულ მიწაში ფესვმოკიდებულმა ვაზის სუსტმა, ციდამტკაველა ნერგმა ფოთლის ყურები დაცქვიტა, ორიოდე წელიწადში კი თითო მტევნებიც გამოაჩინა. პირველი მტევნები დედმამიან ბიჭებს მოგვაწყვეტინეს: ვაზი ობლად არ დარჩებაო.

ომის დროს თითქმის ყველა ჯანიანმა მამა-

კაცმა ფარაჯა ჩაიცვა. ჩვენი, ჯერ ძვალგაუმაგრებელი, სუსტი და შიშველი ხელებით მაინც გამოვგლიჯეთ ტყეს და ჯაგნარს რამდენიმე ჰექტარი სავენახე მიწა. ომგადახდილი ვაჟკაცები უკვე ახალსოფლური ღვინით სვამდნენ გამარჯვების სადღეგრძელოს და ბრძოლის ველზე დაცემულთა შესანდობარს.

ქართველი კაცი მთვარეზეც რომ გადაასახლო, მგონი, იმ უსიცოცხლო პლანეტაზეც გაახარებს ვაზს. ადამიანის გაჩენაც კი ვაზს დაუკავშირა ქართველმა ადამიანმა. ხომ გახსოვს?

როგორ არ მახსოვს: ღმერთმა გააჩინა მიწა, მიწაზე — ვენახი. გავიდა ვენახში და რას ხედავს: ტირიან ვაზები, ცერის სიმსხო ცრემლები სცვივათ.

— რა გატირებთო?

— უპატრონოდ ვართო.

— აბა, მე ვინ ვარო?! — გული მოუვიდა ღმერთს.

— შენ ცაში ხარ, ჩვენ მიწაზე გვინდა პატრონიო.

ღმერთმა ვაზის ცრემლებს პეშვი შეუშვირა, დაასხა თიხას, მოზილა მიწა, გამოძერწა კაცი და ჩაბერა სული.

— აჰა, ამიერიდან ეს იყოს თქვენი პატრონიო.

ვაზმა თავის თავსაც გაუჩინა მომვლელი და ქვეყნიერებასაც.

ვაშლის ბაღსა და ვენახს შუა მივაბიჯებთ მე და დავითი. დავითს გული არ უთმენს, ვაზს ხელი არ შეავლოს ხოლმე.

— ორჯერ არის ვაშლის ბაღი ლამაზი და სურნელოვანი, როცა ჰყვავის და როცა მოსაკრეფია. მოსაკრეფი, უბესავსე ვენახის სილამაზე ხომ მზეთუნახავ პატარძალსაც შეშურდება ხოლმე. ვაზის ყვავილობა თითქოს არაა ლამაზი თვალსახილველად, მაგრამ მე ძალიან მიყვარს, სართვლოდ გამზადებულ ვენახზე მეტად მიყვარს და მელამაზება. საოცრად სურნელოვანია, გაბრუებს და გათბობს, როგორც ახლადმოხდილი ქვევრის ღვინო. განსაკუთრებით მზის ჩასვლისას არის ტკბილად თავბრუდამხვევი. გეგონება, მთელი დღე მზის სურნელს აგროვებდა, მერე ფესვებით მიწიდან ამოწოვილი სიტკბო გაურია შიგ და ახლა მზის და მიწის ყველა სიკეთეს ერთად აფრქვევსო. ვაზის ყვავილობისას ვენახში სიარული არ შეიძლება, თორემ დღე და ღამე აქ ვივლიდი.

ახლა კოლმეურნეობის ვენახები ორასოცდათორმეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. რასაკვირველია, ეს ფართობი თანდათან კიდევ გაიზრდება, მაგრამ ამჟამად უკვე ვენახის გაფართოების პრობლემა არა დგას ჩვენს წინაშე, სხვა, უფრო საჭირბოროტო საზრუნავი გვაფიქრებს. კარგა ხანია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში თავი იჩინა ერთმა არცთუ სახარბიელო ტენდენციამ: აქაოდა, საჰექტარო მოსავლის გეგმები გადაჭარბებით შევასრულოთო, უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშები გაამრავლეს და თითქმის გადაშენების გზაზე დააყენეს შედარებით ნაკლებმოსავლიანი, მაგრამ ხარისხით აღმატებული ძველი ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშები. ქვეყანამ იცის, რომ ჰექტარზე ცოლიკაური საშუალოდ ოცი ტონა იკრიფება, ჩხავერი კი მხოლოდ მისი ნახევარი — ათი ტონა. ჰოდა, რა თქმა უნდა, გეგმას ცოლიკაურით უკეთ შეასრულებ... ზოგი რაიონის ვენახები რქაწითელმა დაიპყრო, ზოგი ძელშავმა, ზოგიც ცოლიკაურმა და თანდათან განდევნა და იშვიათობად აქცია ჩინებული ჩხავერი, ძველთაგან ქებული ოჯალეში, ფრიად სასიამოვნო კაჭიჭი, ალადასტური, კრახუნა, შავკაპისტონი, ტკბილსურნელოვანი ხვანჭკარის დედავაზი და მრავალი მისი მსგავსი.

მე უხვმოსავლიანი ვაზის გამრავლების წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ მარტოოდენ ამას თუ გამოვეკიდეთ და ძველი ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშები დავკარგეთ, შთამომავლობა არ გვაპატიებს. არა მარტო საჰექტარო მოსავლის ზრდასა და ყურძნის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაზე, ჩვენი ღვინოების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზეც უნდა ვიზრუნოთ, ამჟამად იქნებ უფრო მეტადაც, ვინაიდან ჩვენი ცხოვრების კულტურული დონის ყოველმხრივი ზრდა გვიკარნახებს ამას. არ სჯობია, კაცმა უკეთესი ღვინო დალიოს და ცოტა, ვიდრე, ასე ვთქვათ, დაბალი ხარისხის ღვინით გაიჭყიპოს?

— სავსებით მართალია, — ჩავურთე სიტყვა, — მე რომ მკითხონ, კარგი ღვინო ზედმეტი სმით არც უნდა გააფუჭო და ამით შეურაცხყოფა არ მიაყენო იმ ღვინოსაც და შენს თავსაც. რამდენიმე წლის წინათ მეგობრები შევიკრიბეთ. სუფრაზე ნამდვილი ხვანჭკარა გაჩნდა, სქელი და სურნელოვანი, დაულევლადაც სასიამოვნო ბურუსში რომ გხვევდა. თითო ბოთლი არ გვქონდა დალეული, წამოდგა ერთი და თქვა: ასეთი ღვინო ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრია, საოცრად მესიამოვნა, ამიტომ დღეს მეტს აღარც დავლევ, მეშინია, სიმთვრალე არ მომეკიდოს და ამ ღვინის ანდამატი არ დამიკარგოსო. მისი სიტყვა მთელმა სუფრამ აიტაცა და გაიზიარა. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უფრო ფაქიზი და ესთეტიური გახდა, ღვინის სმის დროს კი ვცოდავთ ხოლმე. მართლაც რა ფასი აქვს ისეთ ქეიფს, როცა ჩვენი უკეთილშობილესი ქართული ღვინის გემოს ველარ იგებს კაცი და იმდენს სვამს, ვიდრე მისი მადლი საწამლავად არ ექცევა. ბოდიში, სიტყვას გადავუხვიე.

დავითმა განაგრძო:

— თბილისში მსოფლიო მევენახეები და მეღვინეები რომ შეიკრიბნენ, იმ თავყრილობას მეც ვესწრებოდი. გამოდიოდნენ უცხოეთის და მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები,

ლაპარაკობდნენ თავიანთ ახალ მიღწევებზე, თითქოს გვახარბებენო, ჩამოთვლიდნენ ხოლმე, ვაზის ასეთი და ისეთი ახალი ჯიშები გამოვიყვანეთო. ილაპარაკეს ქართველმა მეცნიერებმაც, მაგრამ ძალიან უღიმღამოდ, პროფესორ დიმიტრი ტაბიძის გარდა საყურადღებო სიტყვა ვერავინ თქვა. დასამალი რა არის, ეს არავის არ გვსიამოვნებდა, თავს დაჩაგრულად ვგრძნობდით. ჩემს ახლოს ნიკო კეცხოველი იჯდა და ყველაზე მეტად ღელავდა. უსმინა ერთ დღეს, ორ დღეს და წინანდებურად რომ გაგრძელდა ყველაფერი, ი, თქვე ლაყე მევენახეებოო, ჩაილაპარაკა გულმოსულად, ითხოვა სიტყვა და შედგა ტრიბუნაზე. დაიწყო და რა დაიწყო! სულ მტვერი ადინა, ვინც თავის გაყვანილ ვაზის ახალ ჯიშებს გვაჭარბებდა. სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ მისი დედააზრი ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება: თქვენ ახალი ჯიშები იმიტომ გამოგყავთ, რომ ცოტა გაქვთო, საქართველოში კი ხუთასზე მეტი ვაზის ჯიშია, ყოველნაირი ფერის, ხარისხის, გემოსი, ყოველგვარ მიწასთან და ჰაერთან შესაგუებელი, ამიტომ ახალი ჯიშების გამოყვანა არც გვჭირდება, ჩვენი მიზანია, მოვუაროთ, რაც გვაქვს, არ დავკარგოთ არცერთი ძველი ჯიშიო. ახლადგამოყვანილი ჯიშის სიავკარგის გაგებას დიდი დრო უნდა, ჩვენი ჯიშები კი საუკუნეების მიერ არის გამოცდილ-შემოწმებული, ზოგი მთაზე უკეთ ხარობს, ზოგიც ბარად, ზოგს მეტი სითბო უნდა, ზოგს ნაკლები, ერთი ხრიოკს ეგუება, მეორე წყალს ეხარბება, ზოგს არც შეწამლვა უნდა, არც დიდი მოვლა, ზოგსაც ყოველდღე სჭირდება ხელის შევლებაო. ამიტომ მათი მოვლისა და გამოყენებისთვის ვზრუნავთ, ამ ჯიშებიდან ვარჩევთ საუკეთესოს, რომელ მიწას და ჰაერს რა ჯიში მოუხდება, სად რომელი უკეთესად ივარგებს და უფრო მადლიან ნაყოფს მოგვცემს, ჩვენი ჯიშთა სელექცია ამაზეა დაფუძნებულიო.

სიმპოზიუმის დანარჩენი დღეები ამ სიტყვის გარშემო ტრიალებდა. მხოლოდ ქართული ვაზის ამ დიდ სიმდიდრესა და სიკეთეზე ლაპარაკობდა ყველა. ქართველმა მევენახეებმა შვებით ამოვისუნთქეთ და თავი ამაყად ავსწიეთ.

ჩვენს კოლმეურნეობას კარგა ხანია ვაზის კოლექციისათვის ცალკე ფართობი აქვს. იქ ორასათი ჯიშის ვაზი გვქონდა ადრე. ეს კოლექცია დაბერდა და თუმცა არავის დაუვალებია, ჩვენი ინიციატივით ვაახლებთ ყველა ძველ ჯიშს და ვუმატებთ ახალს, ასე რომ, ამ კოლექციას უფრო გავაუმჯობესებთ, გავამდიდრებთ და ფართობსაც ორ ჰექტარამდე გავზრდით ამავე შემოდგომაზე. ამ კოლექციას მეთვალყურეობს ჩვენი სოფლელი, თბილისის მევენახეობა-მებაღეობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი ვაჟა გოცირიძე. ჩვენი კოლექცია ბევრ მევენახე სპეციალისტს დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში და აქაურ მიწაზე ახალ ჯიშთა გამოცდის საშუალებასაც მოგვცემს. ჩვენს ვენახებში ცოლიკაური სჭარბობს, მაგრამ თანდათან ვამრავლებთ მეორე ჯიშებსაც. გვინდა ოჯალეში ხუთ ჰექტარზე გავაშენოთ. კაჭიჭი ათ ჰექტრამდე გავზარდოთ, ჩხავერი უკვე გვაქვს ოცდათხუთმეტ ჰექტარზე და კიდევ მივუმატოთ.

საუკეთესო ჯიშების უგულვებელყოფას ადრე ისიც უწყობდა ხელს, რომ ცოლიკაურისა და ჩხავერის ყურძნის ღირებულება ჩაბარებისას მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა, ერთი 41 კაპიკი ღირდა კილო, მეორე — 61. ახლა უკვე ჩხავერი მანეთი და ათი კაპიკი ღირს, ცოლიკაურზე ორჯერ მეტი. ასე რომ, თუ ჩხავერი ნაკლებ მოსავალს იძლევა, სამაგიეროდ მისი ღირებულება გაიზარდა და მომყვანი მატერიალურად უკვე აღარ ზარალობს. ასევე გაიზარდა ოჯალეშის ფასიც.

ეს უკვე იმის საწინდარია, რომ ქართულ სუფრაზე თანდათან გამრავლდება საუკეთესო ღვინო.

ახალსოფელი ზღვასთან ვენახებით იწყება და მთის ფერხთით ვენახებით მთავრდება. ამ ადგილს ბერმუხის სერებს ეძახიან. ათიოდე წლის წინათ აქ მხოლოდ შვიდი ჰექტარი ვენახი იყო, ახლა ვაჟა ჩალაძის და შაქრო გობეჯიშვილის ბრიგადები 75 ჰექტარ ვენახს უვლიან. შვიდი ჰექტარი მარტო ჩხავერია.

ჩვენ ახლა სწორედ ჩხავერის ჯანიან ვაზებს მივყვებით.

— ჩხავერი ძველი კოლხური ჯიშია, გურიაში ძალიან იწონებდა თავს, მაგრამ, ნუ გვიწყენენ გურულები და, აქ უკეთ იხარა. ბოლო დროს ბევრგან ერიდებოდნენ ამ ვაზის დარგვას, აითვალწუნეს: მოვლას ბევრს გვთხოვს, ყურძენს კი ცოტას გვაძლევსო. ჩვენ ჩხავერს არ მოვერიდეთ და ახლა არც ვნანობთ. რასაც საქართველო ჩხავერს ამზადებს, სანახევროდ ჩვენ ვამარაგებთ.

დავითი ერთ ჩვეულებრივ ვაზს მიადგა და ძირზე ამონაყარები შეაცალა:

— კახეთში ვაზს მტევანი მეტი აქვს, ვიდრე ფოთოლი. იქ სიმშრალეა. ჩვენთან პირიქითაა, ვაზს ფოთოლი მეტი გამოაქვს, ვიდრე მტევანი, ამონაყარი ყვიორიც მეტი აქვს და ხშირად უნდა ხელის შევლება. — მერე ჩუმად თვლა დაიწყო. — კარგია. ორმოცდაორი მტევანი გამოუბამს. ეს დაახლოებით ხუთი კილო ყურძენია. ჰექტარზე ორი ათას ხუთასი ვაზია. ესე იგი, თორმეტ ტონაზე მეტ ჩხავერს მივიღებთ ჰექტარზე. წელს ცოლიკაურსაც უკეთ ასხია.

ხუთწლიანი გეგმით გუდაუთის რაიონმა 22 614 ტონა ყურძენი უნდა ჩააბაროს მარანს..

ამ გეგმის შესრულება ძირითადად ახალსოფლის ვენახებზეა დამოკიდებული. ახალსოფლელებს კი სჯერათ, ამ გეგმას რაიონს ნაღდად შეუსრულებენ ოთხ წელში. ამის გარანტიას საუკეთესოდ მოვლილი ვაზი იძლევა.

— იმედია, ჩვენი ვენახი თავს არასდროს შეირცხვენს, ახალსოფლური ვაზი ლაჩრულად არასოდეს იტირებს, მისი ცრემლები მუდამ იქნება სასიხარულო ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც. აი, შეხედეთ, თითქოს კუზიანია ვაზი, მუხლმოხრილი და ქედმოდრეკილი, მაგრამ ჩვენი სოფელი კი მისმა ბარაქიანმა [illegible]ეთემ გაასწორა წელში, მისმა დიდმა მადლმა გაალამაზა. ბევრი მოვლა უნდა ვაზს, მაგრამ ბოლოს კაცის გახარებას [illegible] როცა დოვლათით აივსებს უბეს. რაც უფრო უკეთ არის ვენახი მოვლილი, რაც უფრო ხშირად და დროულად არის შეწამლულ-შეფრქვეული, ყურძენი ლპობას გვიან იწყებს, აღარ ფუჭდება, შემოდგომის მზეზე უფრო დიდხანს ვაჩერებთ, ბევრ შაქარს აგროვებს და, მოგეხსენებათ, ფულს არა მარტო ყურძნის წონაზე, უფრო მეტად შაქრიანობაზე გვაძლევენ.

ზედ გზის პირას, პატარა ბორცვზე თავმომწონედ აყელყელავებულა ყვავილოვანი ბალახი.

— ეს რაა, ეაკა, აქ საიდან გაჩნდა? — მიუბრუნდა თავმჯდომარე ბრიგადირს.

ყველგან სუფთაა ვენახი და ვენახის პირებიც. ეს ბალახი აქ მართლაც უფრო თვალშისაცემად აყვავებულა.

— აქ სასუქი გვეყარა და... უცებ იფეთქა ამ ოხერმა ბალახმა. სასუქი სარეველას ნაკლებად კი არ უხდება.

ეს თურმე ამბროზიას ნაირსახეობაა. ამბროზია უბედურის ერთი სარეველაა, ზღვისპირეთის ვენახთა პირველი მტერი. თუ ოდნავ მიუშვი, უცებ გადაივლის მთასა და ბარს, დაახრჩობს ვენახსაც და ყანასაც.

— ხვალვე მოსპე და მოაბალასინე ეს ბალახი, არ იმრავლოს და არ გადაედოს ვენახს, თორემ... რა იცი რას იზამს!

როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

ამ მიდამოში ერთადერთი ბერმუხა დგას. ერთადერთი მოწმე იმისა, რომ აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დიდი ტყე იყო. ბერმუხა ახლა ომგადახდილი სარდალივით გაჰყურებს ვაზთა თვალუწვდენელ ლაშქარს. გორაკებს იქით თეთრფაფახიანი მთები ელვარებენ. იქ ერთი კლდე სოლრად ჰგავს ზღაპრულ ციხე-კოშკს. იქნებ ამის ილუზიას შუქ-ჩრდილთა თამაშიც ქმნის. ბერმუხა იმ ციხე-კოშკსაც გაჰყურებს და ეგების მისი მარადისობაც კი შურს. მარტოდმთენილი ეს ბერმუხა ხომ ამ ბოლო დროს წინანდებურად ვეღარ შრიალებს, მოუახლოვდა აღსასრულის ჟამი, გახმობას აპირებს. მაგრამ იქვე, ოციოდე ნაბიჯზე ახალი მუხა ამოსულა, ალბათ ბერმუხის შვილიშვილი.

ამ ახლად შეღერებულ მუხას ახალსოფლელები უეჭველად გაზრდიან, თუნდაც ამ ვალმოხდილ ბერმუხის და აჭაური დიდი ტყის სამახსოვროდ. ერთი საჩრდილობელი ხე ხომ უნდათ! და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქაურობას ხომ ბერმუხის სერები ჰქვია? ეს სახელი რატომ უნდა დაკარგოლდეს! ასე რომ, ეს ბერმუხა ახლა აქ წინაპართა ხსოვნასავითაც დგას. აქ რომ ეს ბერმუხა არ იდგეს, იქნებ მთელი ეს შემოგარენი ასე ლამაზი არც მოგეჩვენებოდა. გორაკებზე შეფენილ ვენახებს ძალიან შვენის ეს ბერმუხა.

მავთულზე გაკრულ ვაზთა მწკრივებს შუა დაგუგუნებს კულტივატორმიბმული სავენახე ტრაქტორი.

— აი, ეს არის ბიჭიკო გოგრიჭიანი, ერთ-ერთი მოწინავე მექანიზატორი. ამაზე უკეთ ფერდობ ვენახებში ვერავინ მუშაობს, ამიტომ სხვაგან არ ვუშვებ. ეს სავენახე ტრაქტორები ძალიან გვშველის, ამ ტრაქტორებით ეხნავთ, კულტივაციას ვატარებთ, ვფარცხავთ, შხამიანს ვასხურებთ, გოგირდს ვაფრქვევთ. ეს რომ არ გვეხმარებოდეს, რა კაცის ზურგი გაუძლებს სასხურებელ აპარატს ამ თვალუწვდენელ ვენახებში. ჩვენს ვაზს შვიდჯერ წამლობა უნდა, ოთხჯერ გოგირდის შეფრქვევა. როცა კოლოიდური გოგირდის შხამის ვასხურებთ, შედარებით გვიიოლდება ეს ამბავი. კოლოიდურ გოგირდს შაბიამნის წამალში ვურევთ და ცალკე გოგირდის შეფრქვევა აღარ გვჭირდება. ორ საქმეს ერთად ვაკეთებთ: ვაზის მავნებლებსაც ვებრძვით და ავადმყოფობასაც. ეს ჰრაქიო, ეს ნაცარი, ხან რა ჩნდება და ხან რა.

ბიჭიკომ ტრაქტორი ფერდობზე ამოაგუგუნა და გზასთან შეაჩერა. კულტივატორის ხუთი სახნის-თათი, მიწით გაფერდ-გაპრიალებული, ჩამავალი მზის შუქს ირეკლავდა.

— ბიჭიკო, შენც ხომ ესწრებოდი გამგეობის სხდომას, ჩვენმა აგრონომმა რომ თქვა, წელს კულტივაციას და ფარცხვას ერთად მოვახერხებთ, ერთ საქმედ ვაქცევთო?

— ვცადე, მაგრამ...

— აღმართში ორივეს ვერ მოერია?

— ამ ტრაქტორს ორმოცდაათი ცხენის ძალა აქვს, როგორმე მოერეოდა, მაგრამ... ჯერჯერობით კულტივატორს ფარცხი კარგად არ მოერგო და ვერ მოემარჯვა. შემეშინდა, ვაზები არ დააზიანოს-მეთქი. ახალი საქმეა, დაკვირვება უნდა, სარგებელს ზარალმა რომ არ აჯობოს. იქნებ ფარცხი ცოტა დავაპატარავოთ. ჰოდა, მერე ალბათ უკეთ მოერგება. ხვალ თუ

არა ზეგ ჩვენი აგრონომის ნოვატორულ აზრს არ გავაცუდებთ, უეჭველად მოვუბამთ ორივეს. ერთდროულად ბელტებსაც დავფშვნით, გადავფარცხავთ კიდეც და ბალახსაც ავჩეჩავთ. — თქვა დაბეჯითებით ბიჭიკომ.

კარგია, როცა ადამიანებს ერთმანეთისა სჯერათ: იქ დაუძლეველი არაფერია.

თითქმის ყოველი მხრიდან ისმოდა ტრაქტორების გუგუნი. სხვადასხვა ადგილას მუშაობდნენ აფხაზი პავლე ხუტბა და ქართველი ვახტანგ მაისაშვილი, მაგრამ მათი ტრაქტორების გუგუნი მიწის ერთ ხმატკბილ საგალობლად ისმოდა.

— ჯერხნობით ხარებიც გვჭირდება, [illegible]ნებიც და ჯორებიც, მაგრამ არც ტექნიკით ვართ ღარიბი. ოცდაორი სხვადასხვა ტრაქტორი და რვა სატვირთო მანქანა გვყავს. ადრე ემტეესში არ იყო ამდენი. მომავალში მეტი გვეყოლება. ჩვენი ყველა ვენახი ისეა დარგული, მთლიან მექანიზაციას ითვალისწინებს. სხვა გზა არცა გვაქვს. თანდათან გადადის ძველებური გლეხი, თოხ-წერაქვითაც რომ კარგად მუშაობდა. ასე ვთქვათ, კარგა ხანია პენსიაზე გადავიყვანეთ ის დრო-ჟამი, კაცი მარტოოდენ შიშველი ხელებით, თოხით და ბარ-ნიჩაბით რომ ებრძოდა მიწას. შეიცვალა კოლმეურნეობის ეგრეთ წოდებული განათლების დონეც. ათი მარტო უმაღლეს დამთავრებული გვყავს: მთავარი აგრონომი მებაღე-მევენახე რაჟდენ ლობჯანიძე, ვეტექიმი მიხეილ მანდარია, ეკონომისტი ზონგურ გოგობერიშვილი, მექანიკოსი ვაჟა ბოხაშვილი, სანერგის გამგე ილო პეტრიაშვილი, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე მომუშავე აგრონომები იური ქავთარია და ზაზა პაპასკირი. აგრონომი ომარ ბედენაშვილი მევენახეობა-მებაღეობის საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, მევენახე უჩა გოგსაძე პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს, მალე ალბათ ჩვენი საკუთარი მფრინავიც გვეყოლება. ვენახებს ციდან ვუექიმებთ. მე ვნახე თვითმფრინავით მორწყულ-ნაწამლები ვენახები და ძალიანაც მომეწონა, ეფექტიანია. ჩვენ მუშახელი არ გვაკლია, მაგრამ ამის ნახევარი ხალხიც რომ გვყავდეს, იმ ხალხით შეიძლება ამდენივე საქმე გავაკეთოთ, თუ მეტ ინიციატივას და გულმოდგინებას გამოვიჩენთ. თუ უფრო გონივრად მოვაწყობთ შრომის ორგანიზაციას. პერსპექტიულად კი ამის შესაძლებლობა ნამდვილად გვაქვს. ეს ჩვენს უნარზეა დამოკიდებული. გლეხი მიწის მონა იყო, კოლმეურნე მიწის მეფეა, მისი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი. იგი თვითონ არის თავისი თავის მბრძანებელი, როცა მიწას ეჭიდება. სხვაგან არ ვიცი და, ჩვენთან ამჟამად ნამდვილად ასეა.

— კი, მაგრამ, ყველაფერს ხომ მექანიზაცია არ უხერხდება. ამდენ ვაზს რა ხელი სხლავს? არც სამი ათასი ტონა ყურძნის მოკრეფა უნდა იყოს ადვილი.

— ზამთარში ვსხლავთ, როცა სხვა საქმეები არ გვაწუხებს, დრო კი ჩვენ გვემორჩილება. ნეტავი მაშინაც დაგანახვა აქაურობა. ყველგან წალმის კოცონებია გაჩაღებული, მისი ნაცარი კი ვენახს უბრუნდება სასუქად. არც რთველზე გვჭირდება ვინმეს დახმარება, არც სტუდენტებისა, არც მუშა-მოსამსახურეებისა. ჩვენი სოფლის ხალხი გვყოფნის. მარანმა თუ არ დაგვაბრკოლა, ჩვენდათავად ყურძნის კრეფა არ გვიჭიანურდება. ხელში გვაქვს მანქანები და... ყველაფერი კონვეირული წესით მიდის. რთველი ორად გვაქვს გაყოფილი: ცოლიკაურს ოქტომბერში ვკრეფთ, ჩხავერს — ნოემბერში. მეურნეობას მკაცრი ანგარიში უყვარს. ჩვენ ზუსტად გვაქვს გაანგარიშებული მუშახელიც და ისიც, რომელ მიწას როდის სცალია ჩვენთვის. ყველა ჩვენი ბრიგადა კომპლექსურია, რათა მუშახელი წლის ყოველ დროს მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და ბრიგადის ყველა სამუშაომ ურთიერთ მონაცვლეობით ერთმანეთი შეავსოს. როცა ბაღსა და ბოსტანს უნდა შველა, ვენახი წყნარადაა, როცა ვენახი ეძახის მუშაკაცს, ბაღჩა-ბოსტანია მხართეძოზე წამოწოლილი და ნებივრობს, ან — ერთის მუშახელი მეორეს სჭირდება. მიწა ჩვენ გვემსახურება და მიწას ჩვენ ვემსახურებით, ერთმანეთი რომ არ მოვაცდინოთ ტყუილ-უბრალოდ. ათას შვიდასი ჰექტარი მიწა გვაბარია, ხუმრობა ხომ არაა. აქ რამდენი ბორცვი თუ გორაკია, იმდენნაირი ბუნება — ხასიათის მიწაა და ყველას სხვადასხვანაირი მოვლა უნდა. თუ აქ ზუსტად არ მიაგენი და სწორად არ განსაზღვრე, რომელი მიწის ნაკვეთი რისთვის უფრო გამოგადგება, სად რა მოვცეემს უკეთეს ნაყოფს, ისე მუშაობას კარგად ვერააწყობ. ერთგან ბოსტანი უკეთ ხარობს, მეორეგან ბაღი, მესამეგან ჩაი, მეოთხეგან ვენახი. აი, ერთგან გვქონდა ოთხი ჰექტარი თითქოსდა მთლიანად უვარგისი, გამოუყენებელი მიწა, დავრგეთ იქ კაკლები და იმ მიწას უკვე უვარგისი აღარ ჰქვია. წინათ მიწისთვის ებრძოდა კაცი კაცს, დღეს მიწა გასაყოფი აღარა გვაქვს, ახლა ვიბრძვით, რაც შეიძლება სარგებლიანად. რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა, ჩავაყენოთ იგი ადამიანის ადამიანური ბედნიერების სამსახურში. თუ მჭედელს დალაქობა დააწყებინე და დალაქს მჭედლობა, არცერთი არ ივარგებს, თვითონაც გაწამდება და სხვასაც გააწამებს. ჩვენთვის მთავარია თავიდანვე ავუღოთ ამას ალღო, კარგად ავწონ-დავწონოთ და თუ შეცდომა მოგვივა, უკან დროულად დავიხიოთ. აი, ბერმუხის სერებზე ადრე ხან რა დარგეს, ხან რა, ვერ გაიხარა. რომ ვთქვი: ვაზი დავრგოთმეთქი, ბევრი არ დამეთანხმა, ასე შორსაც ნუ წავალთ, აქ ვაზი არ იხეირებსო. მაგრამ... ყვე-

ლაზე კარგად აქ იხარა და ყურძენიც უფრო ტკბილი მოისხა. ჩვენ რომ დროულად უკან არ დაგვეხია, ეს საუკეთესო ვენახები დღეს არ გვექნებოდა.

გავყურებ ვენახებს. სიმეჩხრეზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. ყველაზე გასახარელი კი ის არის, რომ ახალსოფელში საკოლმეურნეო მიწა და კოლმეურნის კარმიდამო, კოლმეურნეობის თუ კერძო ვენახი ერთნაირი სიყვარულით არის მოვლილი. აქაური კაცი თვალნათლივ ხედავს, რომ საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებსა და მინდვრებში შრომა მატერიალურად არანაკლებ უნაზღაურდება, ვიდრე თავისი საკარმიდამოს მოვლის დროს, ჰოდა, ორივე მიწას ერთნაირი გულმოდგინებით და პატიოსნებით დასტრიალებს თავს. ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ აქ კერძო მეურნეობის ხვედრი მცირეა და თანდათან უფრო მცირდება კოლექტიური მეურნეობის გაზრდის ხარჯზე.

ჩემს სიცოცხლეში ვაზის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასე კარგად მოვლილი საკოლმეურნეო ვენახი — არსად. როგორც იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. ერთ წელიწადს თურმე ჩუმად კახეთიდანაც კი ჩამოვიდნენ ახალსოფლის ვენახების სანახავად და გულახდილად აღიარეს სტუმრებმა: ტყუილად არ უქიათ, მართლაც ჩინებული მოვლილიაო.

აქ ხშირად დადიან ახლობელი და შორეული სტუმრებიც, რომ თვალნათლივ ნახონ ჩვენი, საბჭოთა ადამიანების შრომა და ყოფაცხოვრება.

1962 წლის შემოდგომაზე ახალსოფლის ვენახებს თბილისიდან ეწვივნენ მევენახეობისა და მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის მონაწილენი. საზღვარგარეთელ სტუმრებს გაუკვირდათ, როცა გაიგეს, აქაურ ვენახში ჰექტარზე საშუალოდ 165 ცენტნერ ყურძენს კრეფენო, ეგონათ, ალბათ სამაგიეროდ უხარისხო და მდარეაო, მაგრამ მერე, ყურძნის და ღვინის ხარისხიც რომ გასინჯეს, სულ განცვიფრდნენ. ჩილის წარმომადგენელმა პროფესორმა ქუბლან დოუზეტმა აღფრთოვანება ვერ დამალა: თქვენს ქვეყანაში მევენახეობა ძალიან განვითარებულია, „დიდებული ღვინო გაქვთ. ამჟამად თქვენს ღვინოებს შეუძლიათ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებს გაუწიონ მეტოქეობაო“.

ახალსოფელი ავარაკებს სუფრის ყურძნით ამარაგებს. ამისათვის ნერგები ბულგარეთიდან ჩამოიტანეს და სპეციალური ვენახი გააშენეს. ბულგარეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის განყოფილების გამგე დიმიტრი ლილოვი ფრიად გაახარა იმ ამბავმა, რომ ბულგარული ვაზი ასე კარგად შეუგუეს აქაურ მიწას და საუცხოო მოსავალსაც იძლევა.

მაგრამ აქ მარტო ვაზს როდი უვლიან კარგად. ოცდარვა ჰექტარზე გაშენებულია ხეხილის ბაღი. სულო და გულო, რა გინდა, ყველაფერი აქვთ: საგვიანო თუ საადრეო ვაშლი, მსხალი, ატამი ლეღვი, ხურმა... რომ სანატორიუმებს ხილი არ მოაკლდეს. ასევე, სანატორიუმების სიახლოვეს შეუწყო ხელი, რომ კოლმეურნეობას ამჟამად ოცდაორი ჰექტარი ბაღჩა-ბოსტანი აქვს. ახალსოფლელები უხვად აწვდიან დამსვენებელთა სუფრას მწვანილს, კიტრს, პამიდორს, ხახვს, სტაფილოს, ჭარხალს, ბადრიჯანს, კომბოსტოს, საზამთროს, ნესვს და კარტოფილს. 160 ოჯახი ფუტკარიც ჰყავთ და როცა კარგი ღალიანობაა, ათასხუთას კილოგრამამდე თაფლს ყიდიან.

ახალსოფლის ვენახები ასე ლამაზად რომ გამოიყურება, პატარძალივით მორთულ-მოკაზმული, ამას ბევრი რამ უწყობს ხელს. მთავარი მაინც ის არის, რომ ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყველა ცდილობს, სხვაზე უკეთესად ჰქონდეს მოვლილი ვენახი და ყურძენიც უკეთესი ჩააბაროს სახელმწიფოს. აქ არ სჭირდებათ მიწის ინდივიდუალური გაპიროვნება, შრომობენ ბრიგადულ-რგოლური პრინციპით, აღრიცხვა და მოსავლის განაწილებაც ბრიგადულ პრინციპზეა დაფუძნებული — რომელსაც მეტი ჭირნახული მოჰყავს, ის იღებს მეტს. შრომის ფასი იმით იზომება, ვინ უფრო მუყაითობს, ვინ უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენს, ვისი შრომაც მეტ დოვლათს იძლევა ერთი კაცდღის ფასი თავისი პრემიალური დანამატით ბრიგადების მიხედვით სხვადასხვაა, იგი შვიდი მანეთიდან თორმეტ მანეთამდე იცვლება. რთველის დროს ორი სასწორი უდგათ ვენახებში და აღრიცხავენ, რომელი ბრიგადა რამდენს კრეფს. ვინც მეტ ყურძენს აბარებს სახელმწიფოს, იმას თავის ოჯახში მეტი ფული შეაქვს. ასეთი შეჯიბრება ამდიდრებს სახელმწიფოსაც და მშრომელი კაცის ოჯახსაც.

ახალსოფელში ხშირად იგონებენ ერთ ძველ ამბავს. რაჭაში პირველად კოლექტივი რომ ჩამოყალიბდა, ყველა სიხარულით გარბოდა სამუშაოდ, ერთი კაცის გარდა, რომელსაც მეტსახელად ოლონგრიალას ეძახდნენ. ოლონგრიალა ფიქრობდა: რატომ მოვიკლა ჯაფით თავი, ვინც იმუშავებს და არ იმუშავებს, ჭირნახულს ბოლოს მაინც ყველას თანაბრად გაგვინაწილებენო. მხოლოდ ერთ დღეს გავიდა სამუშაოდ: აქაოდა, არ თქვან, კოლექტივის წევრი არ არის, თითი არ გაუნძრევიაო. დადგა შემოდგომა. ხედავს, ხალხი ტომრებით მიდის. საით გაგიწევიაო, ჰკითხა ერთს. არტელში კარტოფილს არიგებენო. შენ რამდენი ტომარა მიგაქვსო? ოთხიო. თვითონ ოლონგრიალამ ხუთი ტომარა გადაიკიდა მხარეზე, მე მეტი შვილები მყავს სარჩენიო, და არტელის ბეღლისკენ გასწია. იმ წელს მთაში კარტოფილს ნანატრი ამინდი დაუდგა, ზოგი ისე მსხვილი გაიზარდა, ერთ კილოგრამს იწონიდა. ხედავს ოლონგრიალა: ხალხი დიდრონ-დიდრონი კარტოფილებით ივსებს ტომრებს და ურმით მიაქვთ. თავის რიგს

2. მნათობი“, № 9.

12.437
ქ. მარქსის ს. ხ.

არც დაელოდა, სხვებს გადაუსწრო და ფართოდ თავგაშლილი ტომარა კარტოფილის დამრიგებელ მოანგარიშეს მიუშვირა: ჩამიყარეო.

— ბატონო ოლონგრიალა, ხომ ხედავ, წელს კოლექტივის კარტოფილმა რაფრად იჯიშა, კილოზე ნაკლები არცერთი არ არის და რა ვქნა ახლა მე, შუაზე გაჭრილი კარტოფილი როგორ შემოგკადრო, არა და... ბოლოშს ვიხდი, ნახევარ კილოზე მეტი არ გერგება.

გაშრა ოლონგრიალა, ტომარა ხელში შეაცივდა.

— ეჰ, რაც იქნება იქნება, გაუჭრელად მოგართმევ. ერთ დღეს გაისადაც ხომ იმუშავებ, ნახევარი კარტოფილიც ავანსად წაიღე. — მოანგარიშემ განგებ აარჩია ერთი მსხვილი კარტოფილი და უმადურად ჩაუგდო ტომარაში ოლონგრიალას! — წადი ახლა, რას მომთხავებიხარ!

— სხვებს ოთხ-ოთხ ტომარას ატან სავსეს და მე ერთი ობოლი კარტოფილი? ეს რა თავის მასხარად აგდებაა? მე სხვაზე მეტი შვილები მყავს. — იყვირა ოლონგრიალამ.

— სხვაზე მეტი შვილები რომ გყავს, სხვაზე მეტიც უნდა იმუშაო. — მოუჭრა სიტყვა მოანგარიშემ.

გაწბილებულმა ოლონგრიალამ შინ ხუთი ცარიელი ტომარა და ერთი კარტოფილი მიიტანა. მერე, იცოცხლეთ, იკადრა მუშაობა და შვილებიც ისეთი ყოჩაღები გამოუვიდნენ, იმ კარტოფილის ამბავზე უკვე თვითონ დასცინოდნენ მამას.

იმ ოლონგრიალას ამბის არ იყოს, ახალსოფლელები ყველას დასცინიან, ვინც მუშაობას თავს არიდებს, მერე კი სხვაზე მეტ ჭირნახულს მოითხოვს.

აქ კარგად იციან, რომ მარჩენალ მიწას ისევე უნდა პატივისცემა, როგორც ოჯახის მარჩენალ კაცს. პატივს სცემენ მიწასაც და უშუალოდ მიწაზე მომუშავე ადამიანებსაც, ვინც ოფლს ღვრის მიწაზე. კოლმეურნეობაში კარგა ხანია დამკვიდრდა ტენდენცია, შემცირდეს მეთვალყურე და ადმინისტრაციული მუშაკი. იქნებ ამიტომაც, აქ ფიზიკურად და გონებრივად მომუშავე ადამიანები ერთმანეთს არაფერს აყვედრიან. ის, ვინც უშუალოდ ებრძვის მიწას ან სხვა ფიზიკური საქმით არის დატვირთული, ვერ შესჩივლებს ადმინისტრაციულ მოსამსახურე პერსონალს: მე წელებზე ფეხს ვიდგამ, მუშაობით ქანცი მძვრება, შენ კი მხოლოდ საანგარიშოს აჩხაკუნებ, მხოლოდ ფიქრობ, მხოლოდ მითითებებს იძლევი, მხოლოდ ჭკუას გვასწავლი, რჩევა-დარიგებებს არიგებ და მატერიალურად ჩემზე მეტს იღებო. მიწაზე უშუალოდ მომუშავე ადამიანი თავს დაჩაგრულად ოდნავადაც არა გრძნობს, ზოგჯერ პირიქით, მის შრომა-გარჯას უფრო აფასებენ.

კოლმეურნე გურგენ რეხვიაშვილის შარშანდელი კაცდღე ათ მანეთზე მეტად დაფასდა, როცა ბრიგადირ ვაჟა ჩალაძის კაცდღეს მხოლოდ რვა მანეთი მოუწია. მწყემსმა-მწველავმა ჯერიგოლ გოგრიჭიანმა კოლმეურნეობიდან ოთხი ათასორასი მანეთი მიიღო, ფერმის გამგემ გაიოზ კივილაძემ კი — მხოლოდ ორი ათას ოთხასი. მწყემსს კაცდღეზე ცამეტი მანეთი მიუთვალეს, ფერმის გამგეს კი—ცხრა მანეთიც ვერა. ბევრ ტრაქტორისტს უფრო ხვავიანი წელიწადი აქვს, ვიდრე ბრიგადირს, კოლმეურნეობის ეკონომისტს, ბუღალტერს და თავმჯდომარესაც კი. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლმეურნეს თავის კარმიდამოში სამუშაოდაც ადმინისტრაციულ მუშაკზე მეტი დრო რჩება. ამიტომაც ახალსოფლის მიწას არავინ გაურბის და სადმე დახლში დგომას არ ამჯობინებს, იოლ და სარფიან საქმეს არ ეძებს. როცა ფიზიკურად მომუშავე ადამიანი აშკარად ხედავს, ჩემს ბრიგადირსა თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ვცხოვრობო, რატომ მიატოვებს დალოცვილ მიწას!

სამწუხაროდ, მე ბევრ სოფელს ვიცნობ, სადაც ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. რაც უფრო ცოტა ხალხი რჩება კოლმეურნეობაში, მით უფრო გარბიან, რადგან მთელი სოფლის მიწის ტვირთი უფრო ცოტა ხალხს აწვება მხრებზე და თანდათან მძიმდება. ამ შემთხვევაში თავს მხოლოდ გაქცევით შველიან.

ახალსოფელში დიდი მიწა აქვთ მოსავლელი, მაგრამ აქ ხალხიც ბევრია, ადამიანები ამ მიწის დიდ ტვირთს თანაბრად ინაწილებენ და შრომა აღარ ემძიმებათ, ხოლო როცა სამუშაო არა გჯაბნის, ჯაფა ტყვიასავით მძიმედ არ გაწვება მხრებზე და მიწაზე არ გიპირებს ლავაშივით დაბრტყელებას, ეს უკვე სახალისოა. მით უმეტეს, როცა უამრავი შენსავით მშრომელი ადამიანი მხარს გიმაგრებს. შენთან ერთად თავდადებით დასტრიალებს მიწას და შემდეგ ამ შრომის კარგ შედეგს თანაბრად იმკით.

დავითი იგონებს:

— პატარაობისას, ჯავისაში რომ ვცხოვრობდით, დედაჩემი უთენია მიდიოდა სამუშაოდ და ღამით ბრუნდებოდა. ბავშვებს მძინარეებს გვტოვებდა და დაძინებულები ვხვდებოდით. გვენატრებოდა მშობლის ალერსი. ვიკვირს, იმდენ ჯაფას როგორ იტანდნენ. მერე ომის დროს გვქონდა დიდი ჭაპანწყვეტა. ახლა ახალსოფლელ კოლმეურნეს საშური, გადაუდებელი საქმე თუ არ აწუხებს, მოსამსახურესავით ხუთ საათზე შინისკენ მიეშურება. მაგრამ თუ საქმემ მოსთხოვა, იქნებ ორი დღე და ღამე თვალმოუხუჭავადაც გაისარჯოს.

ვაკვირდები ახალსოფლელთა შრომას. მე მგონია, მათი წარმატების ერთერთი საფუძველი შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდე-

ბულებაა. აქ ყველაფერს მათი შემოქმედების ნიშანი აზის. ეს უბრალო შრომით არ არის შექმნილი. აქ ყველა შემოქმედ ადამიანად გრძნობს თავს. ეს ლამაზი და მდიდარი სოფელი არის ამ შემოქმედთა ჭეშმარიტი ნაწარმოები.

მოგეხსენებათ, შემოქმედ ადამიანს ადვილად არაფერი ეძლევა. მისი საუკეთესო ნაწარმოებები დიდი ტანჯვით და წამებით, დიდი ენერგიის დახარჯვით არის შექმნილი. მაგრამ შემოქმედი ადამიანი ბედნიერია სწორედ ამ დიდი ტანჯვით, იმ ტანჯვით, დიდი, დამქანცველი შრომა რომ ანიჭებს, როცა ხალხის და დრო-ჟამის სამახსოვრო ნაწარმოებს ქმნის.

ახალსოფლელები ამ მიწაზე კი არ სეირნობენ. ზოგჯერ ამ მიწაში ამოითხვრებიან კიდეც, რალაც შეაწუხებთ, რალაც დატანჯავთ, მაგრამ ამის გამო თავს დაჩაგრულად არ გრძნობენ, იციან, რომ დიდ საქმეს აკეთებენ, შემოქმედს უტოლდებიან და ამ ბედნიერების შეგრძნება აქარწყლებს ყველაფერს. თუ მიწამ დაღლასთან ერთად ბედნიერებაც არ მოგანიჭა, ამ დაღლილობას დიდხანს ვერ გაუძლებ. მიწას სწორედ ასეთი ადამიანები უყვარს: ერთდროულად მტანჯველ დაღლილობას და იმ ტანჯვის გამაქარწყლებელ ბედნიერებას რომ მიანიჭებს, ასეთი ადამიანები: თავს რომ არ ამადლიან, ებრძვიან, მაგრამ ზედ ლანძღვა-გინებით არ აფურთხებენ, ებრძვიან სიყვარულით, ვაჟკაცურად, პატიოსნად.

ახალხოფლის მიწას და აქაურ ადამიანებს ერთმანეთი უყვართ.

ვინ იცის, რამდენი კოლმეურნეობაა, ბერიკაცების მხრებზელა რომ დგას. ეს იმის ნიშანია, რომ იქ საქმეს კარგად ვერ წასძლოლიან.

დავინტერესდი ახალსოფლის კოლმეურნეთა ასაკით. განსაკუთრებით სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ეს მიწა ახალგაზრდებს მოხუცებზე ნაკლებად არ უყვართ. ჭარმაგ ხალხს გვერდს უმშვენებენ ჭაბუკები და ქალიშვილები. კოლმეურნეთა უმრავლესობა 25 — 40 წლისაა. სოფლის ხვალინდელი ბედი საიმედო ხელებს აბარია.

ჯავისიდან და წესიდან ჩამოსული ხალხი ერთად იყრის ხოლმე თავს. ამ საკრებულოს წინანდებურად სანახშოს ეძახიან. აქ ხშირად ნახავთ 93 წლის კოლია კივილაძეს, ოთხმოც წელიწადს რომ მიუკაკუნეს ან უკვე გადასცილდნენ კიდეც: ტასო და ამბაკო გოცირიძეებს, ანეტა და ვანო მაისაშვილებს, ცუცა, გიორგი, ვალიკო, სანდრო, შალიკო, ვანო და ანეტა გოგობერიშვილებს.

— აი, რა შესძლებია ადამიანს! — ჩაილაპარაკებენ ხოლმე ისინი, — ამ ბაღდავან ადგილას თუ ოდესმე გვიმრით, ეკალ-ბარდით და შამბნარით გაბურდული ტყე იყო, ვინ იფიქრებს ახლა? ჩვენს შვილიშვილებს უკვე აღარ გაუჭირდებათ. თუ დაგვიმადლიან, კარგია, თუ არა და, ღმერთმა ხელი მოუმართოთ! ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი საქმე, მოვიხადეთ ჩვენი ვალი, პირშერცხვენილები არავის წინაშე არა ვართ.

ახალსოფლის ზღურბლთან, შავი ზღვის პირას, ლამაზი ტყეა, სერიბაბას ეძახიან. მუხა, წიფელი, კედარი, პალმა, მუშმალა ანუ სამოთხის ვაშლი, ევკალიპტი და კიპარისი ერთმანეთს ეჯიბრებიან შრიალში და ხავერდოვან მოლს აბიბინებენ. ქვეყანა რომ სიცხით იწვოდეს, აქ მაინც ზღვაური ქრის, გრილი და საამო. ხშირად შუადღისას დასასვენებლად და სასადილოდ ამ ტყეში ჩაშლიდიან ოფლით შუბლდაცვარული კოლმეურნენი.

ზღვას ჯერ სიპი ქვები გამოურიყავს, მერე ხვინჭკაც მოუყოლებია. ტალღა ნაპირზე ჯიქურ გადმოდის, თავისებურ კვალს ტოვებს, სადაც ქვიშაა და უკანვე გარბის. მეორე ტალღა პირველის ნაკვალევს შლის, მეორისას — მესამე. ზღვა კი ნებივრად სუნთქავს, ალბათ, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ტალღების ქიშპობას.

სერიბაბადან მოშორებით, რიყეზე დგას შორეული მხრიდან დასასვენებლად ჩამოსული კაცი, საბანაო ტრუსისამარა დარჩენილი ზღვაში თავგასართობად ანკესებს ისვრის და თან სამხრეთის მზეზე შავდება.

ცა და ზღვა სრულებით არ არის ერთფერი. ზღვა. რაც უფრო შორდება კაცის თვალს, მუქმწვანედ იერფერდება, ცა კი თეთრი მტრედის ფერს იღებს. ცის დასალიერში ღრუბლებს გახუნებული ვარდისფერი დაჰკრავს. რასაკვირველია, ყოველთვის ასეთი არც ცა არის, არც ზღვა, ორივეს ამინდი ჰკარნახობს ფერს. მე რომ სერიბაბა ვინახულე, ასეთი ჩანდა ცაც და ზღვაც.

ზღვისა და ცის ზღრუბლზე მოჩანდა გემი. იგი თითქოს ერთ ადგილზე იყო მიჯაჭვული და რაკი საქმე არა ჰქონდა რა, ბერიკაცივით ჩიბუხს აბოლებდა.

შრიალებდა სერიბაბას ტყე. მდელოზე ისხდნენ ნასადილევი კოლმეურნენი, შემოგარენს გასცქეროდნენ და ახალსოფლის დაფუძნების მძიმე დღეებს იგონებდნენ.

— გახსოვს, კაცო, რა დღეში ვიყავით. ჰა!

— რა დამავიწყებს.

მართლაც, რა დაავიწყებს აქაურ ხალხს თავის გუშინდელ დღეს. კაცმა რომ დაივიწყოს, მიწა მაინც შეახსენებს. ორმოციოდე წლის წინათ აშმორებულ-დაჭაობებული, ყველასგან ათვალწუნებულ-მიტოვებული ეს მიწა ყოველგვარი გაჭირვების წინაშე შეუპოვარმა ხალხმა ბაღ-ვენახებად აქცია.

და მე მესმის, რას ამბობს ახლა ის ხალხი:

— ეს მიწა-წყალი უკვე ჩვენი ოფლითაა გაჟღენთილი. აქაურ ჰაერს მარტო ზღვაური კი

არ აძლევს მარილის გემოს, ჩვენი, გლეხკაცური ოფლიც. ჩვენ, ასე ვთქვათ, ველური მიწის მომთვინიერებლები ვართ და ახლა ეს მიწა ისე გვემორჩილება, როგორც ჩვენ გვინდა. მიწა, ადამიანი და ბედნიერება განუყრელნი არიან. ჩვენ აქ ბედნიერება არ გვიპოვნია თავიდანვე. ტანჯვა-წვალებით და თავდაუზოგავი გარჯით შევქმენით და დავამკვიდრეთ. ახლა უკვე ამ მიწაზე შრომა ძნელი აღარ არის. ნაკლები ჯაფა მეტ მადლს იძლევა, ასე რომ, ამ მიწამ თვითონ გვიპოვა ჩვენ, გვიპოვა, როგორც ბედნიერება, ამ მიწისთვის ბედნიერების და სილამაზის მომტანი ადამიანები.

აქ მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ დავუმატო: ეს ჭეშმარიტად შემოქმედი ხალხის ნათქვამი სიტყვაა. ადამიანი ალამაზებს მიწას. აქ ყველაფერი ადამიანის ადამიანური ბედნიერებისათვის კეთდებოდა და სწორედ ამან გაალამაზა უკაცრიელი მიწა.

ამ სოფელში დღეს სამასამდე კოლმეურნე ვეტერანია. არ მინდა მათ ტრადიციულად მოხუცები და დედაბრები ვუწოდო. ისინი ხომ მებრძოლები იყვნენ, სიკვდილის კი არა, სიცოცხლის მთესავი მებრძოლები. ჰოდა, მიწასთან ბრძოლის ვეტერანებად მონათვლა უფრო უპრიანია მათთვის.

ჩვიდმეტიოდე წლის წინათ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ხალხმა საყვედური გამოთქვა: მოსამსახურეს თუ მუშაობის სტაჟის და ხელფასის მიხედვით პენსიას უნიშნავენ, მოხუცმა კოლმეურნემ რაღა დააშავა, განა ისიც საქვეყნო საქმეს არ ემსახურებოდაო? კოლმეურნეს ვითომ რატომ არ უნდა დაენიშნოს პენსია და შეღავათებიც რატომ არ უნდა მიეცესო? ახლა ისინი კმაყოფილნი არიან: ღვაწლი და ამაგი დაგვიფასდაო. მათაც უნიშნავენ პენსიას, შეღავათებსაც აძლევენ. ქვეყნის მარჩენალმა ხალხმა დაინახა, რომ მისი თავდადება სხვათა საქმიანობაზე ნაკლებ საპატივცემლო არაფრით არ არის. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა სოფლელ ადამიანს მიწისადმი სიყვარული.

კოლმეურნეს პენსიას უნიშნავენ გამომუშავების მიხედვით, ვინც ადრე იყოჩაღა, ბოლოს ის დარჩა მოგებული — მეტი პენსია ერგო. ეს ამბავი ახალგაზრდებსაც კეთილად აქეზებს: მიწისკაცობა სხვა რამეს გერჩიოთ, რაც უფრო კარგად იმუშავებთ აქ, სიბერის ჟამს ამაგი მით უფრო დაგიფასდებათო.

კოლმეურნისათვის პენსიის მიღება უსაქმოდ დარჩენას და სიბერის ჟამს განცხრომას როდი ნიშნავს. გოგია გოგსაძე, ვარდენ გოგობერიშვილი, სოკრატ გოგრიჭიანი, ანეტა ციხისელი, თე[?]ა გოგობერიშვილი და ბევრი სხვა პენსიონერი გულხელდაკრეფილი როდი ზის და მარტოოდენ პენსიას როდი შეჰყურებს, კვლავ აქტიურად შრომობს არა მარტო თავის კარმიდამოში, საკოლმეურნეო მიწაზეც. აბა, დაუგდეთ ყური, რას ამბობენ ისინი:

— წინათ სოფლელებს პენსიას რომ არ გვაძლევდნენ, დიახაც გვწყინდა. ვითომ რატომო? რაკი ჩვენ მიწას ვუვლიდით და სხვები ქალაქში მსახურობდნენ? ქვეყნის მარჩენლები რომ გქვია, ამიტომ ხომ არ ვიყავით სხვაზე ნაკლები? ახლა ჩვენ რომ გვკითხონ, ქალაქელი პენსიონერები არიან საცოდავები და დაჩაგრულები თავისებურად. ჩვენ პენსიას რომ დაგვინიშნავენ, თუმცა აღარავინ გვაძალებს მუშაობას, მაინც ძველებურად ვსაქმიანობთ. ქალაქელს რომ პენსიაზე უშვებენ, თითქოს ეუბნებიან: წადი ახლა შინ და იყავი შენთვისო იმანაც რა ქნას. რაკი სამსახური აღარა აქვს, მიდის პენსიონერების საკრებულო ბაღში და სულ თავის სიბერეზე რომ არ იფიქროს, აღარ იცის, როგორ გაერთოს და დრო როგორ მოკლას. არის იმ ბაღში ნარდის გაუთავებელი ჩხაკა-ჩხუკი, დომინოს ტკაცა-ტკუცი, ქარვის კრიალოსნის მარცვლა და იმაზე მასლაათი. დღეს ვინ ველარ მოვიდა აქ და ხვალ ვინ ველარ მოვაო. ჩვენ სიკვდილს არ ველოდებით და დროს უქმად არ ვკლავთ, ამიტომ უფრო დიდხანს ვცოცხლობთ და უფრო სასარგებლოდაც ყველასათვის. ნეტავი შეიძლებოდეს, ქალაქელი რომ პენსიაზე გავა, სოფელში ჩამოვიდეს, სოფლელ პენსიონერს ამოუდგეს მხარში და მასთან ერთად იმუშაოს და იფუსფუსოს, იმუშაოს რამდენიც მოეხასიათება, რომ ჯანღონე სულ არ მოუდუნდეს და სიცოცხლე ნაადრევად არ მოუსწრაფდეს. ჩვენ არ ვიცით, ეს როგორ მოხერხდება, მაგრამ თუ ასე გარიგდება ამბავი, ქვეყნისათვისაც კარგი იქნება და თვითონ იმ პენსიონერებისთვისაც. აგერ, ჩვენი თედორე მელაშვილი კოლექტივში სამუშაოდ ველარ გადის, მაგრამ თავის კარმიდამოში ხომ ისევ ტრიალებს და თავის თავს ხომ თვითონ ირჩენს, სამადლო ლუკმას ხომ არ ჭამს, ვილაცას ხომ არ აწევს კისერზე სარჩენად, ეს ცოტაა? სამოცდაათი მანეთი აქვს პენსია, მაგრამ ამ პენსიას ოჯახს ახმარს. ყველა პენსიონერმა რომ ასე მოახერხოს ცხოვრება, ცოტა შეღავათი იქნება ქვეყნისათვის? აქ მარტო საპენსიო თანხაზე კი არაა საქმე, ცოდვაა ადამიანი, ვისთვისაც პენსია მხოლოდ ლუკმის საყიდელ ფულად იქცევა, ვისაც პენსია ცხოვრების ორომტრიალისგან გამოთიშავს. კი უნდა ამ ამბავს უფრო ღრმად დაკვირვება...

სერიბაბას უბანში, სადაც დიდი ზვრები და ბაღებია, აღმართულია ბარელიეფიანი ობელისკი: „1892 წ — 1962. ალექსანდრე სამსონის ძე იობიძე. აფხაზეთში მევენახეობის განვითარებისათვის დაუღალავი მებრძოლი“.

ეს ობელისკი კოლმეურნეობამ აუგო თავის აგრონომს. ამაგი არ დაუკარგა, დაუფასა ღვაწლი და კაცური კაცობა.

— სოლცარი კაცი იყო, მოუსვენარი. — ამბობს დავითი. — ვენახის ტრფიალი ალექსანდრესავით ვერავინ დაიქადნოს. ამ უშვილო კაცს ვაზი უყვარდა შვილივით. ხშირად ეკამათებოდა რაიკომის მდივნებს, სხვებსაც. მეც მეკამათებოდა ხოლმე, მაგრამ არა რაიმე კარიერისტული მიზნით ან თავის სახელის გამოჩენისათვის: თავმჯდომარეობა მინდა ან სხვა, უფრო დიდი თანამდებობაო, თავის პრინციპებს იცავდა: სავენახე მიწას სხვა რამისათვის ნუ აცდენთო. უნდოდა, მთელი ქვეყნიერება ვენახად ექცია. მგონი, სიზმარშიც კი მხოლოდ აყვავებულ ვაზებსა ხედავდა. ამ თავისი პრინციპისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. ბევრჯერ გვაჯობა, ძალიან ბევრჯერ, შეუძლებელი გაგვაკეთებინა. მისი გამარჯვებები კი საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩა, ახალსოფლის მიწაწყალს დარჩა, აფხაზეთს დარჩა. ალექსანდრეს რომ არ ეყოჩაღნა, ახლა ჩხავერი და კაჭიჭი არ გვექნებოდა, იქნებ ზოგიერთი სხვა ვაზიც. თუ მოვიცალე, მინდა ამ თავდადებულ ადამიანზე პატარა წიგნი დავწერო.

— ძალიან კარგს იზამ, საშვილიშვილო საქმეს გააკეთებ. — კვერი დავუკარი მე. — ეს ობელისკი დიახაც კარგია, ამას რომ კოლმეურნე დაინახავს, უეჭველად გაიფიქრებს: ჩვენში მიწაზე მომუშავე ადამიანის ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება იციანო და შეუძლებელია, უფრო გულმოდგინედ არ გაისარჯოს. მაგრამ ეს ობელისკი შორს ვერ გასწვდება. დაე, სხვებმაც გაიგონ ამ ადამიანის ამბავი, გაიგონ, რომ არავის არსად არ ეკარგება ამაგი, სადაც არ უნდა აკეთებდეს იგი კეთილ, საქვეყნო საქმეს, მიყრუებულ ადგილას თუ დედაქალაქში.

კარგა ხანს შევყურებდი ბაღ-ვენახების ჭიშკართან მდგარ ალექსანდრე იობიძის ობელისკს და ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში:

აი, ზღვაზე მიმოდიან ტალღები და ტალღებს კვალი არა რჩებათ ზღვაზე, არც ზღვის ნაპირზე. მიწაზე მიმოდიან ადამიანები და... ადამიანებს კვალი რჩებათ მიწაზე. კეთილი კვალი.

ვინც ახალსოფელში პირველად გაჩეხა ტყე, პირველად დაარტყა ბარი და გადააბრუნა სავენახე მიწა, დღეს ცოტალა უყურებს მზეს, უმრავლესობა უკვე ვალმოხდილი წევს სოფლის სასაფლაოზე. მაგრამ მათ თან არაფერი წაუღიათ, ყველაფერი ჩვენ დაგვიტოვეს: თავის დარგული ვაზები და ხეხილი, თავის გაკეთებული სახლები და გზები, ათასი სხვა რამ. ისინი ნამდვილად არიან ღირსნი, ხშირ-ხშირად მოვიგონოთ. დიდი ქელეხების გადახდით კი არა, მათი ამაგის დაფასებით. გვახსოვდეს ყველა, ვინც ჩვენ ამ კარგ დღეებამდე მოგვიყვანა. ისინი მხოლოდ კეთილ მოგონებას გვთხოვენ ახლა, სხვას არაფერს და ამას მაინც ნუ დავამადლით. ეს კი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ექნებათ გზის მ[illegible]ნად.

ბაღ-ვენახებში მომუშავე ადამიანები შორიდან არ ჩანან. მით უმეტეს, არ ჩანს მათი დაკუნთული მკლავები და დაკოჟრილი ხელები, არც — გუნებ-განწყობილება. მე კი ეს უფრო მაინტერესებს, მიხარია, როცა მშრომელ კაცს ახლოს ვხედავ, ვგრძნობ, როგორ გადაეცემა მათი ხელების სითბო მიწას და მერე ეს სითბო მიწიდან კვლავ ხელებს როგორ უბრუნდება. ამას ჰქვია მიწის და კაცის ურთიერთალერსი, ნდობა და სიყვარული.

მე რომ მკითხონ, ისე არაფერი არ ღლის ადამიანს, როგორც ტყუილად ყოფნა. ნამდვილი მუშაკაცი მაშინ უკეთ ისვენებს, როცა ხალისიანად მუშაობს. ადამიანს მიწაზე მუშაობა გაზაფხულივით ჯან-ღონეს უახლებს და სიცოცხლეს უმატებს. ეს არის სიცოცხლის ყველაზე კეთილი და მძლავრი ელექსირი.

აქ შრომას სიხარული მოსდევს, ამიტომ არ არის მძიმე. კოლმეურნე ყველაფერში შემოქმედ ადამიანს ჰგავს, თუ დასჭირდა, დღე და ღამეს გაასწორებს და საქმეს თავს არ დაანებებს, შუა გზაზე არ მიატოვებს.

დიახაც კარგია, როცა გლეხი ლამაზად გელაპარაკება, ბარაქიანი სიტყვა რომ მოსდგამს. მაგრამ ამაზე ასჯერ კარგია, როცა ლამაზი, მუყაითი მუშაობა და ბარაქიანი ჭირნახულის მოყვანა იცის. ამ დროს იმასაც კი ვერ ჩაუთვლი ნაკლად, რომ თავის საქმიანობაზე ორიოდე სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხოს, ტრიბუნაზე ასვლა ხომ გაუჭირდეს და გაუჭირდეს.

— რა ვქნათ, თუ ქვედელი მიხა მაისურაძის გაწყობილი ცელივით არ გვიჭრის სიტყვა. ტრიბუნა რა ჩვენი საქმეა. აგერ, ამ სოფელს და ბაღ-ვენახებს რომ უყურებთ, ეგ არის ჩვენი ტრიბუნა, ჩვენს გულითად სათქმელს ყველაზე ჭეშმარიტად ეს მიწა-წყალი გიამბობთ. ყველაზე ლამაზი და ბარაქიანი ლაპარაკი ჩვენ ამ ტრიბუნიდან გვემარჯვება. ვისაც გაგება უნდა, გაიგებს.

ვარდენ გოგობერიშვილს ასე დაწყობილად არ უთქვამს ეს, მაგრამ მივხვდი, რომ სწორედ ამის თქმა სურდა ამ სიტყვაძვირ მუყაით ადამიანს, სამოცი წლის კოლმეურნეს. შარშან 223 კაცდღე რომ გამოიმუშავა. თუ ცოქვეში გასვლა შეიძლებოდა, ერთი დღეც რომ არ გაუცდენია, სულ ვენახს, ბაღს და ბაღჩა-ბოსტანს რომ დასტრიალებდა თავზე.

ასე ფიქრობენ სხვებიც: სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალგზის მონაწილე ნინა ბიბილაშვილი, მოწინავე მევენახეები ბაბილინა

ჩალაძე და კოწია გოგშელიძე, ჩაის კრეფის ოსტატი თინა მარდალეიშვილი, მეყაითი მებოსტნე ანა გელენიძე, მესიმინდე გრიგოლ თოლორდავა, ტრაქტორისტები ვახტანგ მაისაშვილი და პაჭი ხუტობა, მწყემსი ვრიგოლ გოგრიჭიანი, მერვე ბრიგადის თავკაცი ვალერიან დოლბაძე...

ასე ფიქრობს ყველა გამრჯე ახალსოფლელი, ვისი თავდადებული შრომითაც არის მოპოვებული კოლმეურნეობის ყველა გამარჯვება. ერთი ვაზის მესაიდუმლეა, მეორე ხეხილის, მესამე ბაღჩა-ბოსტნის, მეოთხე კიდევ სხვა რამის და ასე საქვეყნოდ ცნაურდება ამ მიწა-წყლის ამოცნობილი მრავალი საიდუმლო.

წინათ ადამიანები ლოცვით აბარებდნენ ანგარიშს უხილავ განგებას. ახლა საკუთარ სინდისს აბარებენ ყოველდღიურ ანგარიშს, რათა ქვეყნიერების წინაშე პირნათლად წარდგნენ.

ვინც მისთვის მინდობილ საქმეს ერთგულად აკეთებს, ის მთელი ქვეყნის საქმეს აკეთებს. მისი შრომა ხომ განუყოფელია ქვეყნის საქმიანობისაგან. ახალსოფლელი რომ დროულად მიაწვდის კარგ ხილს, ყურძენს და ბოსტნეულს ზღვისპირეთში ჩამოსულ ურალელ თუ ბალტიისპირელ დამსვენებელს, იგი უკეთ აღიდგენს ჯან-ღონეს, შრომის დაზგასთან დაბრუნებული უკეთ იმუშავებს და მისი სიკეთე ახალსოფლელსაც მოსწვდება. ეს ჩვენს დროში უტყუარი ჭეშმარიტებაა, ჩვენი დიადი მიზნის განსახორციელებლად უპირველესი მეგზური და ხელისშემწყობი. ადამიანები უხილავად უწვდიან ერთმანეთს დახმარების ხელს.

აგერ უკვე ოცდარვა წელიწადია კომპლექსურ ბრიგადას თავკაცობს ლენინის ორდენოსანი ქორა მელაშვილი. მისი ბრიგადა მუდამ მოწინავეა. ბრიგადას 55 ჰექტარი მიწა აბარია, უვლის ვაშლისა და ატმის ბაღებს, ბოსტანს და სახნავ-სათეს მინდორს, მთავარი მისი საზრუნავი კი ვენახია, 32 ჰექტარზე გაშენებული სხვადასხვა ჯიშის ვაზი — ცოლიკაური, ჩხავერი, ოჯალეში, კაჭიჭი.

შარშან ამ ბრიგადამ ჰექტარზე 175 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა და სახელმწიფოს 470 ტონა ჩააბარა. მინდოდა ციფრებს მოვრიდებოდი, მშრალია-მეთქი, მაგრამ, რა ვქნათ, თუ ჩვენს დროში ზოგჯერ ციფრები უფრო დამაჯერებლად მეტყველებენ კაცის საქმიანობაზე, ვიდრე მისი მუშაობის მხატვრული აღწერა, ისევე როგორც ზოგჯერ დოკუმენტური პროზა სჯობნის მხატვრულად შელამაზებულ, მწერლის მიერ გამოგონილ მოთხრობასა თუ რომანს.

მეორე კომპლექსურ ბრიგადას 1947 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ზურაბ ტაბუცაძე. ზურაბმა ვაზის უამრავი საიდუმლო იცის, მხოლოდ მიწის კაცის გუმანისთვის მისახვედრი საიდუმლო. ამიტომ მის ბრიგადაში გამოცდილების გასაზიარებლად ხშირად მოდიან სტუმრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალსოფელს ბევრი სახელოვანი ადამიანი ჰყავს.

ფეხით მივყვებით სოფლის მოასფალტებულ ფართო გზას. აქეთ-იქით ლამაზჭიშკრებიანი, კოხტაეზოებიანი სახლები ჩამწკრივებულა. უმრავლესობა ორსართულიანია.

— აღრინდელი სტანდარტული სახლებიდან ნახევარიც აღარ დაგვრჩა, — მეუბნება დავითი, — ომი რომ არა, ალბათ, ის სახლი არც არავის ექნებოდა. ომში დაღუპულთა ცოლშვილს კარგა ხანს გაუჭირდა წელის გამართვა, ახლა ისინიც მომაგრდნენ და მალე, იმედია, ძველ ოდას სამუზეუმოდღა შემოვინახავთ. მოუსვენარია ადამიანი. კაცს საქმეს რა გამოულევს. თითქოს ყველაფერი გვაქვს და მაინც კიდევ რამდენი რამ არის გასაკეთებელი: წყალსადენი დაგვიძველდა და ახალს ვაგებთ. გადიდდა სოფელი და როცა კარგი კინოსურათი ან წარმოდგენაა, ჩვენი კულტურის სახლი ხალხს ველარ იტევს. ექვსას ადგილიანი უნდა ავაშენოთ. კულტურის სახლთან კი შინმოუსვლელთა ბაღი გვინდა, ისეთი, ზემო მაჩხაანში რომ აქვთ. ჩვენს სოფლებში რაც კარგი კეთდება, ერთმანეთისაგან დიახაც რომ უნდა გადავიღოთ. ბავშვები სკოლაში ორ ცვლად დადიან, უეჭველად გვჭირდება ახალი დიდი სკოლა. პერსპექტიული. ყველა უბანში გზა მოხრეშილია, მაგრამ მოხრეშილს მოასფალტებული სჯობია.

წინ მხნე ბერიკაცი შემოგვხვდა, ძველებური „ცარსკები“ ეცვა.

— საით გაგიწევია, სანდრო? — ჰკითხა დავითმა.

— სამჭედლოში შევივლი. რა იცი, იქნებ რამეზე დახმარება დასჭირდეთ.

ბერიკაცი გაგვშორდა

— სანდრო გოგრიჭიანია, ძველი მჭედელი, ტიფო ბიბილაშვილთან ერთად ბარწერაქვებს და წალდებს რომ გვიჭედავდა ომამდე. პენსიაზე გავიდა. შინ მაინც ვერ ჩერდება, ისევ სამჭედლოსკენ გარბის ხოლმე.

აქვე ამ „ცარსკებიანი“ კაცის სხვა ამბავიც გავიგე.

თურმე თხუთმეტიოდე წლის წინათ დურგალი ევგენი მაისურაძე და მჭედელი სანდრო გოგრიჭიანი კვირაღამით ავარიაში მოჰყვნენ. დატრიალდნენ დავითი, სანდროს ბრიგადირი ქორა მელაშვილი, შოფრები მიხა ტაბუცაძე და გოგლი გოგობერიშვილი, ორი შომაკვდავი კაცი უმალვე გუდაუთაში გააქანეს. სანდროს ოთხგან ჰქონდა ძვალი გატეხილი. იგი ომის ინვალიდი იყო და ავარიის დროს ფეხი ზედ

ნატყვიართან გადასტეხოდა. ევგენი ცოცხალ-მკვდარივით ესვენა. აღარავის ეგონა, თუ რომელიმე გადარჩებოდა. მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს. სიკვდილს გულხელდაკრეფილნი როდი დაელოდნენ. მოგეხსენებათ, კვირა დამით ექიმების ადგილზე დაჭერა ერთობ ჭირს. რის ვაივაგლახით მოძებნეს და მოაგროვეს ქირურგები. არცერთი ახალსოფლელი არ მოშორებია საოპერაციო მაგიდას, რაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ ექიმებს და... გაუმართლდათ. ორივე კაცი გადაარჩინეს.

— ა, ახლა „ცარსკებსაც" იცვამს ეს ჩვენი სანდრო და ქორწილში ისე ცეკვავს ხოლმე, დაგეშილი შევარდენი გეგონება. სამჭედლოსაც ვერ ეშვება. ჩვენი სოფელი ასეთი მაგარი ხალხით არის ძლიერი, ამიტომ მეც არ მიჭირს მუშაობა.

წისქვილთან გავიარეთ, წყლის წისქვილთან. საამო ხმა აქვს ამ დალოცვილს. იქნებ ასე იმიტომაც გვეჩვენება. რომ ჩვენი ბავშვობის ბევრ ამბავს გვაგონებს!

ახალსოფელში ელექტროწისქვილიც ბრუნავს, მაგრამ ვერც წყლის წისქვილს ელევიან, აქ დაფქვული სიმინდი უფრო გემრიელიაო.

სოფელს ომის დროს და შემდეგაც ელექტროშუქი არ ჰქონდა. რაიონში პირველი ელექტროსადგური აქ ააგეს — „თეთრწყალჰესი". ეს იყო 1948 წელს. ახლა იგი აღარ სჭირდებათ. მაგრამ არხი წინანდებურად შემორჩათ და ზედ წისქვილი გამართეს. როგორც იტყვიან. წყალს უბრალოდ არ ღვრიან, თანაც ელექტროენერგიას ზოგავენ, ყველაფერში იჩენენ კეთილგონივრულ მომჭირნეობას.

— მე მგონია, ამ სოფელსა და კოლმეურნეობაზე კი ღირს პატარა წიგნის დაწერა. — გავუმჟღავნე დავითს ჩემი აზრი.

— ამას წინათ კი გამოქვეყნდა „კომუნისტში" მეცნიერთა მიმართვა, დავწეროთ ფაბრიკა-ქარხნების და კოლმეურნეობების ისტორიაო. დიახაც კარგი იქნება.

ამ დროს გზაზე ზლაზვნით და ღრუჩუნით მომავალი ღორები გამოჩნდნენ. თითქოს განგებო, ფეხებში აგვებლანდნენ.

— სი! — შეუტია დავითმა. — ამ ღორების გადამკიდე სოფლის გზას მუდამ აკლია სისუფთავე. ღორების ფერმა საკმაო მანძილზე გავაშორე სოფელს. ახლა რაღაცნაირად უნდა მოვახერხოთ. რომ გლეხსაც არ დასჭირდეს ღორის შინ გაჩერება. ან შორს გაიყვანოს, ან... რა ვიცი. ასე კი ნამდვილად აღარ გვარგია. თანამედროვე სოფელს ეს აღარ შვენის, ერთობ აბინძურებენ გზას.

— წინათ ასეთ რამეზე, აბა, ვინ იფიქრებდა, — გავეპასუხე მე. — ორღობეს ფიქრიც ორღობული ჰქონდა. კარგია, როცა სოფელი ღონიერია და ფართო გზა შვენის. აქ ფიქრიც ფართოვდება. ახლა სოფლის ესთეტიკურ მხარეზეც ვფიქრობთ და ბევრ სხვა სიკეთეზეც. მომავალზე ფიქრიც უფრო გვიადვილდება. ადამიანს აღარ სჭირდება არც თავის მოტყუება, არც სხვისი. ახლა, მე მგონია, თავმჯდომარესაც კი მეტი დრო აქვს, სოფელზე იზრუნოს.

— ჰო, როცა სოფელი იმარჯვებს, კი, — სიტყვა ჩამომართვა დავითმა, — ისე რა მოგახსენო...

— ვერ გავიგე?!

— აი, ჩვენ ბევრი მოწინავე ადამიანი გვყავს' სოფლის ყველა გამარჯვებაში მათი წვლილი ურევია. როცა კოლმეურნეობა მოწინავეა, გამარჯვების გვირგვინს ინაწილებს ყველა, მაგრამ თუ კოლმეურნეობა ვერ იმარჯვებს, ჩამორჩენილებს მისჩანჩალებს კუდში და მარცხდება, ამ დამარცხებას თავის თავზე არავინ დაიბრალებს, დანაშაულის ტვირთი ედება მხოლოდ ერთ კაცს — თავმჯდომარეს, მხოლოდ თავმჯდომარეს მიიჩნევენ მარცხის მიზეზად. არა, მე საყვედურს არავის ვეუბნები: ეს უსამართლოა-მეთქი. პირიქით, ამ ამბავში ჭეშმარიტების დიდი მარცვალი დევს. თუ კოლმეურნეობა იმარჯვებს. იმარჯვებს ხალხი, იმარჯვებს დიდი კოლექტივი, ხოლო თუ მარცხდება, ამაში უკვე ძირითადი დანაშაული ნამდვილად ერთ კაცს მიუძღვის, თავმჯდომარის ბრალია. ესე იგი, იმ თავმჯდომარეს არ გააჩნია ხალხის დარაზმვის უნარი და ამ თანამდებობაზე მისი ყოფნა თავისთავად დანაშაულია. ამიტომ ჩემს თავს ვაქეზებ ხოლმე: დავით, სხვა გზა არა გაქვს, უეჭველად უნდა გაიმარჯვოს შენმა კოლმეურნეობამ, თორემ ფეხი თუ მოუცურდა და დამარცხდა, ეს მხოლოდ შენ დაგბრალდება-მეთქი. ასე მესმის მე პერსონალური პასუხისმგებლობა.

ახლა ასეა. თუ მდიდარია სოფელი. იგი ქვეყანასაც მეტად არგია და თავის თავსაც.

ახალსოფელში საქმის ჩარხი ისე ტრიალებს, ხელმრუდი კაცი ეჩოს ვერ გალესავს და თავისკენ იმას ვერ მიითლის, რაც არ ეკუთვნის. აქ ხალხი მხოლოდ პატიოსანი ოფლით და მუყაითი შრომით ცხოვრობს. სადაც პატიოსანი შრომა ფასდება, იქ ქურდობა-მამაძაღლობისთვის ადამიანს არც სცალია.;

მოგეხსენებათ, კაცის სულის შესაცნობად გარეგნული იერი არ კმარა. ასევეა სოფელიც.

განგებ ამოვირჩიე ჩვეულებრივი კოლმეურნის ოჯახი. მიხა ტაბუცაძის ჭიშკარი შევაღე და მისი კარმიდამო დავათვალიერე.

ის-ის იყო ჯარიდან უნდა დაბრუნებულიყო მიხა, ომი რომ დაიწყო. მალე დაიჭრა და ლაზარეთიდან შინ გამოსწერეს. ჭრილობა კარგად არც ჰქონდა მოშუშებული, თავის ხელობას — შოფრობას რომ დაუბრუნდა. მას შემდეგ მანქანის საჭე ხელიდან არ გაუშვია. 1958 წელს

სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენაში მონაწილეობისას კოლმეურნეობას სატვირთო ავტომანქანა რომ აჩუქეს, ის მანქანა უყოყმანოდ მიხას ჩააბარეს — მოწინავე შოფერს. მერედა, რა კარგად ამუშავა მთელი თორმეტი წლიწადი! მიხა სოფელში უყვართ არა მარტო იმიტომ, მარჯვე და დაუზარელი შოფერიაო, იგი გულითადი ადამიანიცაა, ყველას ქომაგი და ჭირ-ვარამის გამგები, ჩუმი, სიტყვაძვირი, ალალი და მუდამ გულღია. უყვარს თავისი სოფელი, თავისი საქმე და არც ოჯახს აკლებს მზრუნველობას, ახლა უკვე ბაბუაკაცი. ახალსოფლის სიკეთეში მიხას დათესილი მადლიც ბლომად ურევია.

როცა ძმები — მიხა და ზურაბი დაოჯახდნენ, 1948 წელს ძმები ძმურად გაიყვნენ და სიმტკბილობით სავსე ორი ძმური კერა შექმნეს. მიხამ საერთო სამოსახლო უმცროს ძმას დაუტოვა, თვითონ კი ახალზე გადავიდა. გადავიდა, მაგრამ... სამოსახლო ადგილს კბილის გასინჯად დაჰკრა ბარი და:

— ჩხინკ!

ორიოდე ნაბიჯი გადადგა და კიდევ დაჰკრა

— ჩხაანკ!

გულმოსულმა დაჰკრა მესამედაც. მხოლოდ ბარმა გაიწკრიალა და მიწამ ნაპერწკლები ამოყარა.

დაჰკრა მეოთხედ. კვლავ ნაპერწკლები შემოაყარა უჯიათმა მიწამ.

დაჰკრა მეხუთედ, მეათედ, მეოცედ, ბარი სანახევროდაც არსად ჩავიდა მიწაში. სამოსახლოს მთლიანად ქვის კბილი აღმოაჩნდა, ნარიყალი ქვის კბილი.

— აი, ბედი თუ გინდა- აქ სად მოვსულვარ, უმიწო სამოსახლოზე! ჯავისიდან ქვა-ღორღს გამოვექეცით და აქ უარესი არ დამხვდა!

თუ უმიწობით გაწამებული რაჭველი კაცი მუჭა-მუჭა აგროვებდა მიწას, გუდით ეზიდებოდა, კლდეზე აყრიდა და საყანე-სავენახეს იჩენდა, მიხამ ტექნიკა მოიშველია, ნარიყალზე ორასოცდაათი მანქანა მიწა დააყარა და არნადე-ნიჩბით გაშალა. შრომის სიყვარულმა გაულამაზა იქაურობა და ახლა თავისი კეთილსინდისიერი გარჯის წყალობით ბედნიერად ცხოვრობს ახალ სამოსახლოზე.

ორსართულიანი, ჩუქურთმებით დამშვენებული, ჭერმაღალი სახლი უდგას, ლამაზ აივნებიანი. ცალკე მოუწყვია მარანი, საკუჭნაო, სამზარეულო და აბაზანის ოთახი. ნალიაში ახლაც უყრია სიმინდი, ჯერ გაუცეხველი ტარო. დიასახლისი გაზქურასთან ტრიალებს. სახლის სახურავზე ტელევიზორის ანტენა აღმართულა. შინ ტელეფონი უდგას (ახალსოფელში ახლა ორმოცდაათ ოჯახსა აქვს ტელეფონი, მალე კი ასზე მეტს ექნება). ხეხილიან ეზოს და ბაღჩა-ბოსტანს კარის ვენახი ესაზღვრება. რაჭული ჩვეულებისამებრ ვენახში მიხას ატმებიც დაურგავს.

ჯავისაში, სადაც მიხა ჭაბუკობისას ცხოვრობდა, ნამყენი ვაზი კარგად დამწიფებას ვერ ასწრებდა ხოლმე, ამიტომ საადრეო „ფრანგულას" ვენახები ჰქონდათ. ადრინდელი სიყვარულით მიხას ეზოში ჯავისური „ფრანგულა" ვაზიც დაურგავს და ფართო კიბის მოაჯირზე ტალავრად გაუშვია: აქ უკეთაც იხარა და ყურძენიც უფრო ტკბილი მოისხაო.

კაცი ბავშვობისდროინდელ პირველ სიყვარულს ადვილად ვერ ელევა. რაც მაშინ შეუყვარდა, უნდა სიკვდილამდე უყვარდეს. ვერც „ფრანგულას" დაივიწყება შესძლო მიხამ, ვერც რაჭული ღორის. აი, ღორის შესაბოლავად თავისებური საკვამურ-სახრჩოლებელიც მოუწყვია.

— ისეთი ღორი აქ არ გამოდის, რაჭაში რომ ვიცოდით, — ამბობს მიხა, მაგრამ მაინც გემრიელია. ზოგი აქაურ აჯიკასაც წააშველებს ხოლმე და... ვიკლავთ ძველ სურვილს. ახალსოფლურ ღორს მთლად რაჭულის გემო რომ არა აქვს, ეს მარტო შებოლვის და აქაური ჰაერის ბრალიც არაა. რაჭაში ღორი მხოლოდ წაბლს, რკოს და ბალახს შეექცეოდა, დაკვლის წინ თუ შევაჭმევდით საღორებო სიმინდს, აქ კი განებივრებული გვყავს. ჰოდა, განებივრება ბევრ რამეს აკლებს გემოს, მე ასე მგონია. დიახ, ავად თუ კარგად, რაჭული ღორიც შევინახეთ და ჯავისური „ფრანგულაც", აი, ბჟოლისა კი რა მოგახსენოთ. ჯავისაში სადილის შემდეგ ბჟოლით მოვითავებდით ხოლმე ხელს. ჩვენი ქათმები და კვატებიც ბჟოლით ქეიფობდნენ ხშირად. დალარაჯებულნი იყვნენ, როდის ჩამოცვივდებაო და ერთმანეთს სტაცებდნენ ნისკარტებიდან. ახალსოფლური ბჟოლა კი ერთობ სწყენს ქათმებს, ზოგჯერ ხოცავს კიდეც. ამიტომ ეზოში ბჟოლის დარგვას ვერიდებით.

სხვა ხილი კი არაფერი აკლია მიხას ეზოს: ვაშლი, მსხალი, ხურმა, მანდარინი... შავბალას მეორე სართულის ფანჯრებთან გაუშლია ტოტები, ლამის შინ შევიდეს და კაცს მწიფე კუნწულები ხელში ცოცხლად ჩაულაგოს.

მიხას ხეხილის ჩეროში ორი ძირი სკაც უდგას.

მოკლედ: რაც გლეხს თავისთვის სჭირდება, თითქმის არაფერი აკლია.

— ჩვენში ახლა მიხასავით ბევრი ცხოვრობს. სახლიც კარგი უდგას, ეზო-მიდამოც თვალგასახარად გამოიყურება, სუფრაც გულუხვი აქვს. — ამბობს დავითი. — რასაც ადამიანი პატიოსანი შრომით მოიპოვებს, ღმერთმა კეთილად მოახმაროს! ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ კოლმეურნემ კარ-მიდამო აქციოს ოჯახის გამდიდრების წყაროდ, სასპეკულაციოდ, მაგრამ არც ის ვარგა, არაფერი ჰქონდეს კარმიდამო-

ში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ბაღჩა-ბოსტნეულის, ხილის და თუნდაც ღვინის საყიდლად წამდაუწუმ ბაზარში ირბინოს. ეს უხერხულიც იქნება და სამარცხვინოც. ჯერ ერთი, თავის საქმიანობას მოსცდება და მეორეც, გაბაზრდება. თვითონაც დაიწყებს ბაზარში რამე-რუმეს გატანას. გაბაზრებული კოლმეურნე კი ჩარჩ-ვაჭარზე უარესია. ჩვენ არა გვყავს ასეთი ხალხი, მაგრამ ის კი მინახავს, გლეხს ნაადრევად მოყვანილი შვიდიოდე კიტრი ბაზარში რომ გაუტანია და მამასისხლად დაუფასებია, სიძვირის გამო არავის უყიდია, იმ გლეხს კი მაზანდის შესანარჩუნებლად ფასი არ დაუკლია, შვიდიოდე კიტრის გაყიდვის მოლოდინში დახლთან დაუღამებია და შინ საქმეს მოსცდენია. იმ გლეხმა კიტრები კიდეც რომ გაყიდოს ბოლოს, მონაგები ფული მის გაცდენას მაინც ვერ აანაზღაურებს, ესაა სავალალო. ძალიან ცუდია, როცა გლეხი ვაჭრუკანად იქცევა. ჩვენთან თუ გაბედა ვინმემ ასე მოქცევა — საკარმიდამო დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა და ბაზარში დაიწყო ცუნცული — უეჭველად ჩამოვაჭრით საკარმიდამო მიწას. ჩვენს დროში სიღარიბე უკვე სირცხვილია, თუ ზარმაცი და უქნარა არა ხარ, შეუძლებელია გაგიჭირდეს, შეუძლებელია ღარიბი იყო. მიწის ყიდვა არ გჭირდება და არაფერი. მაგრამ სიღარიბეზე მეტად სასირცხვილოდ უნდა გავხადოთ, როცა ადამიანი უპატიოსნო გზით მდიდრდება. ისიც უპატიოსნობაა, სახელმწიფოს მიერ უფასოდ მოცემულ მიწაზე მოყვანილ კიტრსა თუ მწვანილს მამასისხლად რომ ყიდიან.

— რასაკვირველია, — დაეთანხმე დავითს, — ჯერ კიდევ სულხან-საბამ თქვა: არქონება არ ვარგა და ავადქონება კი უარესიაო. ზნეობის ბრძენმა მოძღვარმა ისიც დაუმატა: ბევრის ნდომა კაცს წაახდენსო. ზოგმა მრუდე გზით იშოვა რა ცოტა ფული, ის ფული მეტი ფულის საშოვნელად დაატრიალა და ყელამდე აივსო ნამამაძაღლევი ქონებით. სამწუხაროდ, წინა ათ წელიწადში მომხვეჭელთა თავისებური კასტაც კი გაჩნდა, რომელიც ცდილობდა ცხოვრების პრაქტიკაში „შენცა ჭამე, მეც მაჭამეს“ ფილოსოფია დაემკვიდრებინა.

ახალსოფლელები მარტოოდენ თავის სოფლის სიკარგეზე როდი ზრუნავდნენ. ქვეყნის ჭირ-ვარამი მათი სატკივარიცაა და ქვეყნის ბედ-იღბალი მათი საფიქრალიც, რაც არ უნდა მოხდეს ქვეყნიერების ზურგზე, ავიც და კარგიც, ყველაფერი სოფელს გაღახდებაო, ნათქვამია.

ზღვისპირეთში კარგა ხანია გადაიყივლა აპრილმა. ახლა გაზაფხულის მიწურული ყივის. ეს მიწის და მიწაზე აყვავებული ბაღ-ვენახების, ბაღჩა-ბოსტნების, სათიბების და ყანების ყივილია: ვინც ახლა უკეთ მოუვლის, შემოდგომაზე ასმაგად გავახარებო. სოფლელ კაცს, მიწის კაცს ეს ყივილი ყველაზე მკაფიოდ ესმის. სწორედ ეს ყივილი აღვიძებს გამრჯე ადამიანს და არა მამლის ყივილი, მიწას დროული ზრუნვა რომ არ მოაკლდეს, მიწის ხალხი თვითონ აღვიძებს მამალსაც და მზესაც.

მიწისა და მზის სისხლხორცეულ შვილს, — სიცოცხლეს, ზამთარში ფერმოკლებულს და ძალამოკლებულს, გაზაფხულმა ზღაპრის გმირივით უცებ მოუმატა ჯანღონე, მოუმატა ფერები და ძალუმი სუნთქვა დააწყებინა.

გაზაფხული უკვდავი სიცოცხლის მარადიული განახლების ჟამია და თავისი ზუნება-ხასიათისთვის არც წელს უღალატნია, მაგრამ აწინდელი გაზაფხული, რაღაცით თითქოს უფრო სხვანაირი იყო ახალსოფლის მიწაზე. ძნელად მოვიდა, მაგრამ ამ სიძნელის დაძლევასაც თავისი ეშხი და მადლი ახლდა. ჭირგადახდილი ლხინი უფრო გემრიელიაო, ამბობს ხალხი.

ახალსოფლელებმა, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა ,ეს წელიწადი მეტი აქტივობით დაიწყეს. ამას ფრიად შეუწყო ხელი იმ ღონისძიებებმა, რაც ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ხელი შეუწყო მშრომელი ადამიანის მეტმა დაფასებამ, პატიოსანი შრომის განდიდებამ, იმის სწორმა შეგნებამ, რომ ეს მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელია და ამ წლის გამარჯვებით დაგვირგვინება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი ცხოვრების უფრო ნათელ და ფართო გზაზე გასაყვანად.

ახლა დილიდან საღამომდე ყვავილებს დაბზუის ფუტკარი. ფუტკრის ასე გულმოდგინედ მუშაობა მზიანი დღეების საწინდარია. ეს ყველა გლეხმა ხუთი თითივით იცის და ფუტკრის ზუზუნი Uიკეთის გალობად ესმის. ამჟამად ვენახს განსაკუთრებით სჭირდება მზე და კარგი ამინდი. — ყვავილობისას წვიმა და ცუდი ტაროსი არ უნდა დაესწროს.

ლაღად სუნთქავს ზღვისპირეთი, ლაღად სუნთქავს ახალსოფლის მიწა.

ზღვა უფრო ხშირად წყნარია. თითქოს სძინავს და ცისფერ სიზმარს ხედავსო, ოდნავ ირწევა. პირისახეზეც ისეთი ღიმილი დასთამაშებს, ეტყობა, კეთილ სიზმარსა ხედავს.

აქ ლამაზი დილა იცის, ხოლო საღამო კიდევ უფრო ლამაზია. ზღვაში ფეხჩადგმული მზე ნელანელა იძირება. ჩამავალი მზის სხივები ზღვაზე მოლურჯო ცეცხლისფერ გრძელ ბილიკად წვება, გეგონებათ, მზეს მიწასთან განშორება ეძნელება და სხივების ხელს ნაპირზე ჩასაჭიდებლად იშვერსო.

ლამაზია გაზაფხულიც და ზაფხულიც ახალსოფელში, შემოდგომა კი სილამაზის გვირგვინია. რთველზე გვეწვიეთო, დამპატიჟეს.

შეუძლებელია, ამ სოფელში სტუმრობა კაცს ოდესმე დაეზაროს, ამ შრომისმოყვარე ხალხის ნახვა და გულმართალი საუბარი არ მოენატროს.

მიხარია, რომ ზღვისპირეთში არის სოფელი, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინათ გაჩნდა და ახალსოფლად მონათლეს. მიხარია, რომ წინათ უსარგებლო, ყველასაგან მიტოვებული მიწა დღეს ასე გულუხვი და ბარაქიანია. მდიდარია იგი ბევრი სიკეთით, ყველაზე მდიდარი კი არის გამრჯე, მუყაითი და პატიოსანი ადამიანებით.

ოცდაათიოდე წლის წინათ ეს სოფელი არცერთ რუკაზე არ იყო, არც რაიმე სხვა საბუთში მოიხსენიებოდა. ამ სოფელზე ვერ იტყვი, გარდაიქმნაო. იგი ჩვენი თაობის თვალწინ დაიბადა, გაიზარდა, დავაჟკაცდა და კავკასიონის ქედს გადმოლმა ერთ-ერთი მოწინავე, ღონიერი და სახელოვანი სოფელი გახდა.

ამ სოფლის მადლი ჩვენი დიადი სამშობლოს ხვავსა და ბარაქაში კეთილად ურევია.

ღმერთმა ქნას, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ასეთი სოფელი ბევრი იყოს!

წინ მიდის ახალსოფელი და ამ წინსვლის მამოძრავებელია თვითონ ხალხი, რომელსაც აგერ უკვე თითქმის ოცი წელიწადია ხელმძღვანელობს დაუღალავი თავმჯდომარე, უნარიანი ადამიანი, გონიერი ორგანიზატორი დავით გოგობერიშვილი. ყველაზე დიდ წარმატებას ამ სოფელმა სწორედ მისი თავკაცობის წლებში მიაღწია

დავითის მკერდზე ბრწყინავს ვარსკვლავი. ეს მიწაზე ანთებული ვარსკვლავია და ანათებს მიწას, აჩენს მის სიკეთეს. ამ ვარსკვლავს მიწის სიხარულისა და ტკივილის გაგება გულთმისანივით შეუძლია, მისი მოვლა-პატრონობა და ადამიანის სასიკეთოდ გამოყენება შეუძლია, შეუძლია ვაზის გასხვლა, თიბვა და საერთოდ ყველაფერი, რაც მიწის კაცმა უნდა იცოდეს.

ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავს დავითს მკერდზე და ამ ვარსკვლავის შუქში შეკრებილია მთელი სოფლის თავდადებული შრომის სიხარული. ეს განა მარტო დავითისა, მთელი სოფლის, მისი გამრჯე ადამიანების, გამარჯვებაცაა.

ეს ვარსკვლავი მხოლოდ ერთი ადამიანის პირისახეს როდი ანათებს, შუქს ჰფენს მთელ სოფელს, მთელი სოფლის მიწა-წყალს და ხალხს.

ეს ვარსკვლავი მთელი სოფლის ჯილდოც არის და მომავალი წარმატებების არა მარტო საწინდარი, — ვალდებულებაც. გმირი თავმჯდომარის ოქროს ვარსკვლავი მთელ სოფელს უნათებს დიადი მომავლისაკენ, უკეთეს მერმისისაკენ მიმავალ გზას.

ამიტომ უყვარს ხალხს ეს ვარსკვლავი.

*გივი გოგიჩაიშვილი*

# ს ა მ ა ი ა

## რომანი

### 1

ახლად გამომცხვარი ჟურნალისტები აუდიტორიაში შეკრებილიყვნენ. ეს-ეს არის სამუშაოზე განაწილეს, თბილისში მხოლოდ ორად-ორი დარჩა: ერთი გოგონა და ერთი ვაჟი. გოგონა პირველი კურსიდანვე აქვეყნებდა საინტერესო ნარკვევებს და ახლა თბილისის ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციამ მოითხოვა იგი სამუშაოდ. ვაჟს კი, ასე ამბობდნენ ბოროტი ენები, ისეთი დამხმარე ჰყავს, ტყუილია, ამას აქედან ვერავინ დასძრავსო.

ჟურნალისტების ფაკულტეტი ნელ-ნელა დაიცხრილა, შეცოტავდა და ბოლოს თითქმის განახევრდა. ზოგს აქ სწავლა გაუძნელდა და სხვა, მონათესავე, ფაკულტეტზე გადავიდა. ზოგი იძულებული გახდა რაიონში საცხოვრებლად გადაბარგებულ დედ-მამას წაჰყოლოდა. ზოგმა რატომღაც სულ მიატოვა უნივერსიტეტი, ზოგი კი ათას ჯანდაბასა და ოხრობას გადაჰყვა. კაცმა რომ თქვას, ამ ფაკულტეტზე სწავლა არც ისე იოლია, კარგადაც უნდა ისწავლო და კალამიც უნდა გიჭრიდეს. ნანახი ცოცხლად უნდა გადაიტანო ქაღალდზე. საგანს კიდევ ჰა და ჰა, როგორც იქნება, მოერევი, მაგრამ სიტყვა თუ არ მოგდევს? მაშინ? თუ ბუნებით მომადლებული ნიჭი გაკლია? თანაც ისე უნდა წერო, შენი ნაწერი სხვის ნაწერს არა ჰგავდეს.

მერხებზე მსხდარი ეს ახლად გამოჩეკილი ჟურნალისტები დეკანს ელოდნენ. მზით გაჩახჩახებული დიდი აუდიტორია ტრადიციით ჟურნალისტების საკუთრება იყო. კედლებზე ჭავჭავაძის, ნიკოლაძის, ჩერნიშევსკისა და ჟორესის სურათები ეკიდა. სტუდენტები ისე შეეჩვივნენ ამ სურათებს, ისინი ისეთივე ახლობლები არიან, როგორიც ახლობელია მათი დეკანი — კონსტანტინე ნაცვლიშვილი. სწორედ ამ აუდიტორიაში ისმენდნენ ბატონი კონსტანტინეს ლექციებს, აქა ჰქონდათ ხოლმე პრაქტიკული მეცადინეობა, ამ კედლებში იმართებოდა ცხარე კამათი ამა თუ იმ წიგნისა თუ წერილის ირგვლივ. აქ არჩევდნენ ერთიმეორის ნაწერს, დასტამბულსა თუ დაუსტამბავს. კონსტანტინეს წაქეზებით გათამამებული სტუდენტები აქ კათედრაზე ადიოდნენ, როგორც დისერტაციის დაცვის დროს და აქ ისმენდნენ მისგან ქებას, როცა საქებრად ჰქონდათ საქმე. სტუდენტები კი ერთმანეთს არ უსვენებდნენ, ეძებდნენ შეცდომებს, უკირკიტებდნენ.

— თუ ჭეშმარიტებას ეძებ, ხარს ორივე რქაში უნდა ჩასჭიდო ხელი!

ასე უყვარდა თქმა ბატონ კონსტანტინეს.

ნოდარი უკანა მერხზე მარტო იჯდა. გუშინდელ დღესავით ახსოვს მისაღები გამოცდები და აგერ, ხუთი წელი როგორ გაეპარა. ისიც კი კარგად ახსოვს მისაღებ გამოცდებზე რაც დაწერა. თავისუფალი თემა აირჩია: „თქვენი საყვარელი გმირი". ნოდარს ბევრი არ უფიქრია, მისი საყვარელი გმირი ცოტნე დადიანი იყო: ვაჟკაცი, მამულისათვის თავდადებული, მეგობრების ჭირ-ვარამის მოზიარე. რომლის გმირობამ მტერიც კი მოხიბლა.

ზეპირში წაიფორხილა. ჯერ ლექსი დაავიწყდა. სკოლაში ეს ლექსი ისწავლეს. მაგრამ იმ პოეტისა სხვა ლექსები იცოდა და ამან იხსნა. მერე დანიელ ჭონქაძის დაბადების თარიღი ვერ მოიგონა. ახლა კი აუხირდა გამომცდელი, ეს როგორ არ იციო. ნოდარმა „სურამის ციხე" კარგად გაურჩია. წერით სამუშაოში კარგი ნიშანი ჰქონდა და ამან უშველა. ერთი ნიშანი რომ დაჰკლებოდა, მორჩა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვეღარ მოხვდებოდა.

ახლა ნოდარს გულისჯიბეში საგზური უდევს, სადაც წერია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნოდარ ივანეს ძე ბერიძე იგზავნება ახალდაბის რაიონულ გაზეთში სამუშაოდ. ახალდაბა დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა. ნოდარი ახალდაბაში არ ყოფილა. მხოლოდ ის იცის, ახალდაბა რკინიგზიდან დაშორებულია და თბილისიდან ერთხელ, დილით ახალდაბისაკენ ავტობუსი გადის. ეს არის და ეს.

ვაშა, ნოდარი ჟურნალისტია! რაიონულ გაზეთში მიდის სამუშაოდ. ვინ იცის რა ელის? როგორ დახვდებიან, როგორ მიიღებენ უცნობ რაიონში? რა ექნება ხელფასი, ეყოფა ეს ხელფასი? ბინას მისცემენ თუ უნდა იქირაოს?

— ნეტავი თბილისში დაგტოვებდნენ. — უთხრა ამ დილით დედამ,— რაიონში თუ გაგგზავნეს, რა გეშველება, როგორ უნდა ირჩინო თავი, საჭმელს ვინ გაგიკეთებს, ვინ გაგირეცხავს, ვინ დაგიუთოებს?..

აუდიტორიაში სიჩუმეა. ჩვეულებისამებრ არა წრიალებს მუდამ მოუსვენარი თეიმურაზ ლომიძე. ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ლექციები, ახლა ისიც თავის ფიქრებშია ჩაძირული. მაინც რა ბიჭია, მერხზე ჯდომა უჭირს, ხან აქ გადაჯდება, ხან იქ. სანამ ლექციები დამთავრდებოდა, ათ მერხს მაინც იცვლიდა. არც მეზობლებს ასვენებდა, ხან უჩქმეტდა, ხან ჩურჩულით რაღაცას უამბობდა. ამხანაგების კარიკატურებს ხატავდა და მათვე ურიგებდა. ლექცია ისე არ დამთავრდებოდა, თეიმურაზს ლექტორისაგან შენიშვნა არ მიეღო. ახლა რაღას იზამს, სამსახურში ერთ ადგილას ჯდომა რომ მოუხდება?.. იქაც ხომ არ იხტუნებს მერხიდან მერხზე?

შოთა არახამია რაღაცას ჩაჰკირკიტებდა, თითქოს წერს, ან კითხულობს, მათი გოლიათი, მოჭიდავე შოთა. ჭიდაობაში თანრიგიც კი ჰქონდა, კურსზე ყველაზე მაღალი და მხრებგანიერი იყო, მაგრამ თან ყველაზე უწყინარი და თვინიერი. ერთხელ არ დაილაპარაკებდა ხმამაღლა, არასოდეს არაფერი არა სწყინდა, სულ იღიმებოდა და თამბაქოს ბოლისაგან ჩაყვითლებულ კბილებს აჩენდა. მართალია, თავად ხუმრობა არ ეხერხებოდა, მაგრამ სხვისი ხუმრობის გამეორება უყვარდა და ისეთი გულიანი ხარხარი იცოდა, რომ შენც ძალაუნებურად აგიყოლიებდა. თავში რომ ჩაერტყათ, ხმას არ ამოიღებდა. მწვრთნელი ამისათვის უჯავრდებოდა ხოლმე:

— ე, ბიჭო, გაბრაზდი, გაბრაზდი და ისე იჭიდავე!

— თუ არ მებრაზება, როგორ გავბრაზდე! — გულუბრყვილოდ მიუგებდა და გულიანად იღიმებოდა.

მისი გაბრაზება და წონასწორობიდან გამოყვანა იოლი როდი იყო, ამიტომ წუხდა მწვრთნელი:

— მსოფლიო მოჭიდავეც დადგებოდა და ოლიმპიური თამაშის ჩემპიონობასაც მოიპოვებდა, ცოტათი გაბრაზება რომ იცოდეს!..

შოთა, ალბათ, სპორტის საკითხებში დახელოვნდება, თუმცა ამჟამად ისიც რაიონში იყო განაწილებული.

ზურაბ კიკაბიძე არხეინად იჯდა. ეს ერთადერთია, ვინც თბილისში დატოვეს. პირველი კურსიდანვე სულ ხუთებზე სწავლობდა, ამბობდნენ აქაც დამხმარე შეელოდაო. მხოლოდ კონსტანტინე ნაცვლიშვილს ვერაფერი მოუხერხა, მის საგანში ოთხიანი ენატრებოდა. ამაყი და ქედმაღალი იყო, ამიტომ კურსზე გულითადი მეგობარი არ ჰყავდა. საკუთარი ავტომანქანა ჰქონდა და ამის გამო გოგოები ბუზებივით ეხვეოდნენ. ავტომანქანით თავისი კურსელი ვაჟები ვერ მოისყიდა, მსახურებად ვერ გაიხადა. სხვაგვარი მეგობრობა კი არ შეეძლო, აუცილებლად მბრძანებელი უნდა ყოფილიყო, ყველგან პირველობა სურდა. პირველობის ყიდვა არ შეიძლება, იგი უნდა დაემსახურებინა და დამსახურება კი ვერ შეძლო.

გელა კუკულავა ნოდარის მარცხნივ იჯდა. გურიის მაღალმთიან სოფლიდან იყო ეს აწოწილი ვაჟი. პირველ კურსზე თხუთმეტი წლის ბიჭსა ჰგავდა. უნივერსიტეტში ყოფნისას აიყარა ტანი, აქ დავაჟკაცდა. ენამოსწრებული და ხუმარა იყო, ერთგული და მოსიყვარულე. ვისაც მიენდობოდა, მიენდობოდა, მეგობრისათვის უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა, მაგრამ ფიცხი იყო და უცბად იცოდა აპილპილება. სიხარულიც და გაჯავრებაც სახეზე ეტყობოდა. ახლა კი სახე უცინოდა, ხუმრობა საქმეა, ზემოაკეთელი კოლმეურნის მელიტონ კუკულავას ბიჭი რაიონული გაზეთის თანამშრომელი იქნება. შემდეგ, თუ ბედმა გაუღიმა, ვინ იცის, ეგებ, რაიონული გაზეთის რედაქტორადაც გადაიყვანონ. რედაქტორობას პარტიის რაიკომის ბიუროს წევრობა მოჰყვება, ბიუროს წევრობას ავტორიტეტი და სახელი...

ლევან მინდელი ახლაც რაღაცას წერდა. იგი ყველაფერს იწერდა: ლექციებს, საუბრებს, ნანახსა თუ გაგონილს, ყურმოკრულ ამბავსაც კი. ბლოკნოტი მუდამ თანა ჰქონდა. ერთი ბლოკნოტი ერთ თვეს არ ჰყოფნიდა. ჩანაწერებითავსებული დანომრილი ბლოკნოტები წესიერად ელაგა და თუ რამე დასჭირდებოდა, ხელად იპოვიდა, ზეპირად იცოდა, რომელ გვერდზე რა ეწერა.

— სულ უნდა წერო, — დასცინოდნენ ამხანაგები.

— თქვენ რა იცით, ჩემი ნაწერი სად და როგორ გამომადგება.

სტენოგრაფისტივით ჩქარი წერა იცოდა. მთელი კურსი მისი კონსპექტებით სარგებლობდა. ჩუმ-ჩუმად მოთხრობებსაც წერდა, მაგრამ მათი გამომზეურება ჯერ ვერ გაებედნა. მხოლოდ ნოდარმა იცოდა, მხოლოდ ნოდარს გაანდო ეს საიდუმლო.

— მაგათი დროც მოვა. — დაჯერებით ეტყოდა ხოლმე ნოდარს, — მთავარია წერა არ მომწყინდეს...

ნოდარს არ მოსწონდა ლევანის მოთხრობები, საოცრად გრძელი და მოსაწყენი მოთხრობები იყო, თითქოს აწყვეტილ ცხენზე იჯდა ავტორი და წერის ქინს ვერ იოკებდა.

ლევანიც კმაყოფილი დარჩა განაწილებით. ახლო რაიონში მოხვდა. ამ რაიონის ქალაქში ლიტერატურული წრე იყო ჩამოყალიბებული და ეს წრე ალმანახსაც უშვებდა. ეგებ იმ ალმანახში მაინც დაბეჭდონ რამე? შემდეგ?.. შემდეგ ოცნებით წარმოიდგენდა, აი მოიწონეს მწერლებმა მისი მოთხრობები, გამოუძახეს მწერალთა კავშირში, მოთხრობების წიგნს ცემენ... ოცნება აქ წყდებოდა და იწყებოდა ზღაპარი...

სათვალიანი შალვა სერედა ქაღალდიდან რაღაც ფიგურებს ჰრიდა. ქარ-

თული შესანიშნავად იცოდა. აი, ვის ჰქონდა ჟურნალისტური ყნოსვისა და ძიების უნარი. რას არ მიაგნებდა, რას არ გამოქექავდა, მაგრამ რად გინდა, წერა არ ემარჯვებოდა. წერის ნიჭიც რომ ჰქონოდა, იმისგან უცბად გამოცხვებოდა ჟურნალისტი. ახლად გამოცემული ლექსიკონები აჭრელებული ჰქონდა შენიშვნებით. გაზეთში თუ წიგნში უბრალო კორექტურული შეცდომაც არ გამოეპარებოდა, აფიშებსა თუ ფირნიშში შეცდომებს ეძებდა. საამხანაგოდ კარგი იყო, თუ მეგობარს დასჭირდებოდა, თავს ანაცვალებდა.

პაატა და ელიკო ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. სკოლის მერხიდან უყვარდათ ერთმანეთი. ერთად შემოვიდნენ უნივერსიტეტში, ერთ ფაკულტეტზე. აგერ, ამ სამი თვის წინათ დაქორწინდნენ და ერთმანეთთან საჩურჩულო კი მაინც არ გამოელიათ...

ლია მელაძე!...

ნოდარს მოაგონდა ლიასთან პირველი შეხვედრა. მისაღები გამოცდების პირველ დღესვე შეამჩნია ეს მაღალმკერდიანი, ვაჟურად მოკლედ თმაშეკრეჭილი ქალიშვილი. წერით გამოცდაზეც ერთ მერხზე მოხვდნენ. ქალიშვილმა გაუღიმა, თუმცა ღიმილშიც ემჩნეოდა თუ როგორ ღელავდა. თემები რომ დაარიგეს, ნოდარს წასჩურჩულა:

— რასა წერ?

ნოდარმა ჩურჩულითვე მიუგო:

— თავისუფალ თემას.

— მეც თავისუფალ თემას დავწერ, — არ დაფიქრებულა, ისე თქვა ქალიშვილმა.

ეს იყო და ეს. წერაში ისე გაერთვნენ, ერთმანეთი აღარ მოჰგონებიათ.

სხვა გამოცდების დროსაც შეხვდა ამ ქალიშვილს. მას ისე ეცვა, მაღალ მკერდსა და მოხდენილი ტანის ნაკვთებს ისე აჩენდა, ვაჟები ჭკუას კარგავდნენ, თუმცა საგამოცდო ციებცხელების დროს ვიღას ჰქონდა ამის თავი.

ახლად ჩარიცხული პირველი კურსის სტუდენტები, ცხრილის მიხედვით, მერვე აუდიტორიაში უნდა შეკრებილიყვნენ. ნოდარი ადრე მივიდა უნივერსიტეტში და შემოსასვლელთან მდგომ კარისკაცს ამაყად გაუწოდა სტუდენტის ახალთახალი ბილეთი როგორც იქნა, მერვე აუდიტორიაც მონახა. აუდიტორიაში მხოლოდ ის მაღალმკერდიანი ქალიშვილი იჯდა, ვისთანაც ერთად ერთ მერხზე თავისუფალ თემას წერდა. ნოდარი რომ დაინახა, ძველი მეგობარივით გაუღიმა. ღიმილიც მომხიბლავი ჰქონდა, გულში რომ ჩაგწვდება, გათბობს და გახალისებს.

აუდიტორია უცბად გაივსო პირველკურსელებით. პირველ ლექციაზედაც ერთად ისხდნენ.

ლია კურსზე თავიდანვე მოეწონა ყველას.უკვესაკმაო ხანი იყო, ჟურნალ-გაზეთებში ნარკვევებს ბეჭდავდა და პროფესორი კონსტანტინე ნაცვლიშვილი ამ ნარკვევებს ზოგჯერ აქებდა კიდეც.

ყველაფერი მოსწონდა ნოდარს ლიასი: ღიმილი, ლაპარაკი, სიარული, გარეგნობა მხოლოდ ვერ იქნა და ვერ შეეჩვია იმას, რომ ლია თამბაქოს ეწეოდა. ერთხელ ამის შესახებ უთხრა კიდეც, მაგრამ ლიამ ისე შეუბღვირა, ვითომ „რა შენი საქმეაო“, რომ ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

ლიას დედის მეტი არავინა ჰყავდა, მამა არც ახსოვდა. ლიას დედას მოკრძალებული ვაჟი მოეწონა, მუდამ სიყვარულით ხვდებოდა მას, ლიას სხვა ამხანაგებისაგან არჩევდა.

ნოდარი და ლია ერთად დადიოდნენ, ერთად მეცადინეობდნენ, მეგობრობდნენ. არც ლია იყო გულგრილი ნოდარის მიმართ, მაგრამ მასთან ურთიერთობაში რაღაც მანძილს მაინც იცავდა. ლია ნოდარზე ერთი წლით იყო უფროსი და ნოდარს, თითქოს მასზე დიდად უმცროსი ყოფილიყო,

ისე ექცეოდა. ეგებ საბაბიც ჰქონდა: ლიამ ნოდარზე მეტი იცოდა, ბევრად ნაკითხი იყო.

ლია მელაძე!..

ჯერ დაცინვით შესცქეროდნენ თანაკურსელები ამ გატაცებას, მაგრამ როცა დაუახლოვდნენ და ძმასავით შეიყვარეს, ურჩიეს ლიასათვის თავი დაენებებინა. ისიც კი უთხრეს, ლია სხვებთან ტრფობასა და ალერსს როდი გაურბისო, თუმცა უნივერსიტეტში ვერც ერთი ვაჟი ამას ვერ დაიტრაბახებდა. თან ორაზროვნად თვალს ჩაუკრავდნენ ხოლმე, თუ მხოლოდ სასიამოვნოდ გინდა, ილაღე და იხეირეო.

ნოდარი ლიაზე ჭორაობას ვერ იტანდა. მეგობრებს გააგებინა, თქვენი ერთი სიტყვაც არა მჯერაო.

და აი, ერთხელ, მაშინ ისინი მესამე კურსზე იყვნენ, ლია და ნოდარი კინოში წავიდნენ. ის იყო თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, ლიას შუახნის, წარმოსადეგი მამაკაცი მიესალმა და ვიღაც ქალთან ერთად მათ გვერდით დაჯდა. ლია ისე გაფითრდა, კინოეკრანისათვის გაკრული მიტკლის ფერი დაედო. შემდეგ უცებ წამოდგა და ნოდარს ჩურჩულით უთხრა:

— ნოდარ, ცუდათა ვარ, წავიდეთ.

ისინი უხმოდ გამოვიდნენ კინოთეატრიდან და უხმოდ დაადგნენ ფილაქანს. ლიას ჩვეულებისამებრ ხელმკლავი არ გაუკეთებია. მიდიოდნენ და სდუმდნენ. ასე იარეს დიდხანს. არც ნოდარს ამოუღია ხმა, რაღაც საზარელი ამბის მოლოდინს დაემუნჯებინა.

ასევე უხმოდ მივიდნენ ლიას ბინაში. დედა შინ არ დახვდათ. ლიას საგარეო კაბაც არ გაუხდია, ისე დაეშვა სავარძელში და სახე ხელებში ჩარგო. ნოდარი სკამზე დაჯდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, რითი დაეწყო. გულს ეჭვი უღრღნიდა: ვინ იყო ის კაცი? რა ჰქონდა საერთო ლიასთან?.. რატომ გახდა ცუდად ლია? რატომ გაფითრდა და რად წამოვიდა?.. რატომ?.. რატომ.. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა, წამოდგა და ლიას ფრთხილად ხელი მოჰკიდა.

— ლია!

ლიამ თავი ასწია და ნოდარს პირდაპირ შეხედა. ცოტათი დამშვიდებულიყო, მაგრამ აღელვება სულ ვერ დაეცხრო.

— რა გინდა? — ჩურჩულით მიუგო.

— ლია, რა მოგივიდა? — ძლივს ამოღერღა ნოდარმა.

უცბად გაახსენდა ნოდარს, ერთხელ ლიას ალბომში ლიასა და იმ მამაკაცის სურათი ნახა. ერთად იდგნენ გაცინებულები. სურათი სოხუმში იყო გადაღებული. მაშინ რომ ჰკითხა, ვინ არისო, ლიამ არაფერი უპასუხა, საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა. ნოდარს მეხსიერებაში ის სურათი ჩარჩა, რადგან ლია ასე მხოლოდ მაშინ იღიმებოდა, როცა ბედნიერი და კმაყოფილი იყო. ის სურათი თანდათან დაავიწყდა, მაგრამ ახლა იმ მამაკაცის ნახვამ და ლიას საქციელმა ისევ მოაგონა ის სურათი. ნოდარი მაგიდასთან მივიდა. ალბომი გადაშალა და დიდხანს ეძებდა. ლია გამომცდელი თვალით შესცქეროდა ნოდარის ყოველ მოძრაობას. ნოდარმა, როგორც იქნა, მონახა სურათი და ლიას გაუწოდა.

— იცანი? — შეცვლილი ხმით შეეკითხა ლია.

— ვინ არის ეს კაცი? — ნოდარი ცდილობდა აღელვება არ შეტყობოდა, მაგრამ აკანკალებულმა ხმამ გასცა.

— თუ გესმის, რას მეკითხები? — გამომწვევად მიუგო ლიამ.

— მაშ, მართალი ყოფილა, რასაც ამბობენ?

უცბად მიხვდა ნოდარი, ეს სიტყვები ლახვარივით ეცა ლიას, იგრძნო, ამ სიტყვებმა ყველაფერი გააფუჭა. ეს არ უნდა ეთქვა, ეს არ უნდა წამოსცდენოდა, მაგრამ გულს როგორ მო-

რეოდა და წამოსროლილი სიტყვები უკან როგორ წაეღო.

— რა თქვი? — გაალმასებული წამოხტა ლია.

ნოდარი დუმდა.

— რა თქვი, გაიმეორე! — მთელი ტანით აკანკალდა ლია.

არც ახლა გაუცია ნოდარს ხმა. ის სიტყვა რომ არ ეთქვას, ის რომ არ წამოსცდენოდა. ლია, ალბათ, თავად უამბობდა ყველაფერს, თუკი ის ამბავი უკვე წარსულს ეკუთვნოდა. უამბობდა გულწრფელად, როგორც იცოდა ხოლმე. აქამდე, თითქოს, არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისათვის დაფარული. ახლა კი ლია ისეთ მდგომარეობაშია...

— მე რაღას მეკითხები, მიდი და შენს მეგობრებსა ჰკითხე, ისინი გეტყვიან ჩემს ამბავს. თუმცა რაღა უნდა გითხრან, ყველაფერი უკვე გცოდნია და ეს არის.

— ლია, არ გინდა...—მუდარით უთხრა ნოდარმა.

— მარტო დამტოვე! — მტკიცედ უთხრა ლიამ.

მეორე დღეს ლექციებზე ლია ნოდარის გვერდით არ დაჯდა, მერხი გამოიცვალა. მისალმებაზეც ცივად დაუქნია თავი.

მერე შერიგდნენ კიდეც, მაგრამ ის აღარ იყო, მათ შორის ხიდი ჩატყდა. ნოდარი ცდილობდა ძველებურად ყოფილიყვნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს და ბოლოს ან წინათ რა ერქვა მათ დამოკიდებულებას?.. ლექციებზე ერთად ისხდნენ, ერთად მეცადინეობდნენ, ერთად დადიოდნენ. ლია ნოდარს ხელმკლავს თუ გაუკეთებდა, სავსე მკერდით ვაჟის მკლავს ჩაეკვროდა ხოლმე. ან შეხვედრისას, რამე მიზეზითა თუ უმიზეზოდ გადაჰკოცნიდა. ზოგჯერ ლია თავად იწვევდა გულწრფელობისაკენ, უამბობდა დაუფარავად, თუ ვინ შეხვდა, როგორ აუხსნა სიყვარული, რა უთხრა... ერთად იცინოდნენ ლიას მიჯნურებზე. ლიას ნოდარისაგან ქათინაურების მოსმენაც უყვარდა, ეს იყო და ეს. მაგრამ ეს ზღვარი ნოდარს არ გადაულახავს. ნოდარი ვერაფერს უბედავდა და არც ლია აძლევდა რამე საბაბს. ლიაც ეჭვიანი გახდა, ნოდარიც. ერთმანეთს ვერ უგებდნენ. ვერ იქნა და ვერ აღდგა ერთხელ ჩატეხილი ხიდი.

ლია, ლია!..

## 2

ნოდარს ფიქრი დეკანის შემოსვლამ შეაწყვეტინა.

პროფესორი კონსტანტინე ნაცვლიშვილი სამოც წელს მიღწეული კაცი იყო, მაღალ-მაღალი, მკვრივად ჩასხმული, სპორტული აღნაგობისა. წლებთან შედარებით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ფრენბურთელთა გუნდის უცვლელი მეთაური იყო. განსაკუთრებით ბურთის ჩამოწოდება ეხერხებოდა. ბატონ კონსტანტინეს თავი მოჰქონდა ძველი ჟურნალისტობით . მოღვაწეობა რაიონული გაზეთის კორესპონდენტად დაიწყო, შემდეგ გაზეთის რედაქტორად დანიშნეს. ერთხელ, თურმე, პარტიის რაიკომის აპარატში უპირებდნენ გადაყვანას, მაგრამ თავი მოიკლა და არა ჰქნა. გაზეთი მისი სული და გული იყო, სიცოცხლის მთავარი მიზანი. თუკი დარწმუნდებოდა, სიმართლე ჩემს მხარეზეაო, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხევდა, საქმეს ბოლომდე ჩაჰყვებოდა. გამოსამზეურებელს — გამოამზეურებდა, საქებარს — აქებდა, სალანძღავს — ლანძღავდა; კარგს თავისას მიუზღავდა, ცუდს თავისას.

ასე, თხუთმეტი წლის წინათ მეცნიერების გზას დაადგა. თუ სხვები ათეულ წლებს ანდომებდნენ სამეცნიერო კიბის ასვლას, კონსტანტინე ნაცვლიშვილმა შვიდიოდე წელში აირბინა იგი. ჯერ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, შემდეგ სადოქტოროც და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანობას მაინც არ დაანება თავი. უნივერსი-

ტეტში ბევრი სამუშაო ჰქონდა, მაგრამ გაზეთი საოცრად უყვარდა. გაზეთში თუ წერილს დაბეჭდავდა, ბავშვივით უხაროდა. ჟურნალში წერილის გამოქვეყნება ხომ მისი დღესასწაული იყო. იმ ჟურნალის ოცამდე ნომერს იყიდდა და სტუდენტებს ჩამოურიგებდა, რომ შემდეგ პრაქტიკუმზე ამ წერილის ირგვლივ ეკამათათ.

უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის კურსს კითხულობდა. თუ ვინმეს მონდომებას შეამჩნევდა, თან გადაჰყვებოდა. ცუღლუტი და ზარმაცი ჭირივით ეჯავრებოდა და მათთან მუშაობას გულს ვერ უდებდა. კარგი სტუდენტისგან მეც ბევრსა ვსწავლობო.

კონსტანტინე ნაცვლიშვილი დინჯი და აუჩქარებელი კაცი იყო. წონასწორობიდან იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ თუ გაჯავრდებოდა, მორჩა, ვეღარაფერი დაამშვიდებდა. გაჯავრების დროსაც გულს ამოაყოლებდა, სიყვარულიც გულით იცოდა.

აუდიტორიაში შემოსული კონსტანტინე თვითეულს თავისებურად გაეხუმრა, იცინა და აცინა. შემდეგ კათედრისაკენ კი არ წასულა, ბოლო მერხს მიაშურა.

— აბა, შემომისხედით, ჩემო მერცხლებო.

ახალგაზრდები მისკენ ჟრიამულით გაეშურნენ. ზოგი, გვერდით მოთავსდა, ზოგი პირდაპირ კათედრისაკენ ზურგშექცევით. ერთმანეთს ადგილებს ეცილებოდნენ, ყველას უნდოდა პროფესორთან ახლოს ყოფილიყო.

კონსტანტინეს გაეცინა:

— ყველას ვეყოფი, ახლოსაც და შორეულსაც.

ბოლოს, როგორც იქნა, დალაგდნენ და გაჩუმდნენ.

კონსტანტინემ გვერდით მჯდარ ლიას თავზე ხელი ალერსით გადაუსვა, უცბად ხელები გაასავსავა და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— მავიწყდება, რომ დღეიდან ჩემი მერცხლები ჩემი სტუდენტები აღარ არიან.

აქა-იქ ჩაიცინეს.

მუდამ წრიალა და მოუსვენარი თეიმურაზი წამოხტა, ლიასთან მიიჭრა, და პათოსით წარმოთქვა:

— ჩვენი კურსის დედოფალი ყველაზე ადრე მომწიფდა გასაფრენად.

ლიას სახეზე ალმური მოედო, მხრები აიჩეჩა, ერთხანს გადაწყვიტა მწარედ ეპასუხა, მაგრამ პროფესორისა მოერიდა.

— ყველაფერს კი ნუ ამასხარავებ!—დატუქსა კონსტანტინემ თეიმურაზი, — შენ თავსაც პატივი ეცი და სხვასაც!

— განა ასე არ არის, პატივცემულო, — არ შეეპუა პროფესორს თეიმურაზი, — ლიამ ჩვენზე ადრე დაიწყო პრესაში ბეჭდვა, ჩვენზე სახელგანთქმულია, ჩვენზე ნიჭიერია და...

— ნუ გამიჭირე საქმე, — სიტყვა შეაწყვეტინა ლიამ, — აქაო და ამდენს მალაპარაკებენო, ლაქლაქს საზღვარი არ უნდა დაუდო!..

— ჩვენ ბოდიში, — მოლბა თეიმურაზი, — მე სამძლვარს როდი გადავსულვარ.

— ახლა ძველი ქართულით დამიწყე ლაპარაკი!

— გეყოფათ! — ბოლო მოუღო მათ კამათს კონსტანტინემ, — პატარები ხომ არა ხართ, რაც გუშინ გეპატიებოდათ, დღეს აღარ გეპატიებათ.

— გუშინ, ბატონო პროფესორო, რა გვეპატიებოდა? — ფრთხილად შეაპარა კითხვა თეიმურაზმა.

— ესლა მაკლია, მორალზე ლექცია ვიკითხოთ, — თითი დაუქნია პროფესორმა თეიმურაზს, — მაინც გეტყვით. იცით, რა არ გეპატიებათ... აი, შენ ყვავის ბუდესავით რომ გაგიშლია ეგ თმა, გულისპირი გაგიღელია და ბანჯგვლიანი მკერდი გიჩანს... მოსაწონია?

— ჩემსას რომ ყველაფერს ხედავთ, რატომ გოგოებს არაფერსეუბნებით, ასეთი მოკლე კაბები რომ აცვიათ?

ლიამ თავისდაუნებურად მუხლზე

დაიხედა, მოკლე კაბა ეცვა და შიშველ მუხლებს ძლივს უფარავდა.

— რაო, რაო, — ახლა ელიკომ შეუტია თეიმურაზს, — ხომ არ მიბრძანებ, ბებიაშენივით კოჭებამდე კაბა ჩავიცვა.

— მე რა მენაღვლება, — მიუგო თეიმურაზმა, — შენმა ქმარმა იკითხოს...

— ეჰეი, — გააჩუმა ახალგაზრდები პროფესორმა, — ასეთ კამათს დილამდე ვერ მოვრჩებით. მე პირადად სხვა შეხედულებისა ვარ მოკლე კაბებზე, მოდა კი სულ სხვა აზრისაა. ვინც იქნება ჩვენში მართალი, მომავალი გადაწყვეტს, როდესაც ახალი მოდა დღევანდელს შეცვლის.

— ვაი თუ, ახალმა მოდამ გოგოებს კაბები სულ გახადოს! — არა ცხრებოდა თეიმურაზი.

პროფესორმა არაფერი უპასუხა. ერთხანს ჩაფიქრდა, შეთხელებული თმა თითზე დაიხვია. ასე იცოდა, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანის თქმას დააპირებდა. შემდეგ თავი ასწია, ირგვლივ მსხდომ ახალგაზრდებს თვალი გადაავლო და დაიწყო:

— ჩემო მერცხლებო, აი, თქვენც დაგაფრინეთ ბუდიდან. ხუთი წელია ამ დღისათვის გამზადებდით, მე მგონი, არც თუ ცუდად. და ეს დღეც დადგა... ვერ დაგიმალავთ, გული მწყდება, შეგეჩვიეთ, შემეჩვიეთ, გამიჭირდება უთქვენოდ. ალბათ, თქვენც გაგიჭირდებათ ერთხანს...

კვლავ ჩაფიქრდა. აუდიტორიაში სიჩუმემ დაისადგურა. თვალანთებული შესცქეროდნენ თავიანთ პროფესორს ახალგაზრდები და სულგანაბული უსმენდნენ.

— ჟურნალისტობა, — განაგრძო პროფესორმა, — თუ რამდენად ძნელი პროფესიაა, ამის ჩაგონებას ხუთი წელი მოვანდომე. ახლა თვითეული თქვენთაგანი მზადაა დიდ ცხოვრებაში გავიდეს, და ჩემი მერცხლები რომ საქმეს თავს გაართმევენ, ამაში ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება.

— არც ჩვენ გვეპარება! — სიცილით დაუდასტურა თეიმურაზმა.

— მაგრამ თქვენი პროფესიის კაცი, — ყურადღება არ მიუქცევია თეიმურაზის სიტყვებისათვის კონსტანტინეს, — საპასუხისმგებლო და ძნელ გზას უნდა დაადგეს და ამ გზას ის გაივლის სასახელოდ, ვინც პატიოსანია, ცხოვრებაში რანაირი გამოცდაც არ უნდა შეგხვდეთ, პატიოსნება ბოლომდე უნდა შეინარჩუნოთ. რა ვუყოთ, ზოგი უფრო იოლად მიაღწევს თავის მიზანს, ზოგს გაუჭირდება, ეს ნიჭის საქმეა. მაგრამ პატიოსნებაც ქუჩაში როდი გდია...

უცბად ღია ფანჯრიდან ბეღურა შემოფრინდა. აუდიტორიაში იტრიალა, მერე ფანჯარას ეცა, მაგრამ გზა ვერ გაიკვლია და მინას მიეხალა.

თეიმურაზი მიეპარა ბეღურას, ქუდი აისროლა, ჩიტი შიგ მოამწყვდია, ხელი ქუდქვეშ შეაპარა და დაიჭირა. შეშინებული ბეღურა ფართხალებდა, თავს აქეთ-იქით აქანავებდა, გაფრენას ლამობდა.

— გაუშვი ცოდვაა! — დაიბუზღუნა შოთა არახამიამ.

თეიმურაზმა ბეღურა თავზე გადაისვა.

— ჩვენი ჭირი წაუღია! — დაიძახა და ჩიტი ღია ფანჯრიდან ისროლა.

შეშინებული ბეღურა ჯერ ქვასავით დაეშვა, შემდეგ ჰაერში აიჭრა, ლაღად გაინავარდა და გაუჩინარდა.

— ესეც ბედნიერებისგანაა, — გაეღიმა კონსტანტინეს.

— ბედნიერებისგანაა, ბედნიერებისგანაა, — აჟრიამულდნენ ახალგაზრდები.

— აი, ასე უნდა გაინავარდოთ, — თქვა პროფესორმა, — როგორც იმ ჩიტმა გაინავარდა ჰაერში და ისეთივე სუფთა გული უნდა გქონდეთ. როგორც იმ ჩიტსა აქვს. ჯერ ადამიანი უნდა გიყვარდეთ და, თუ ცუდს შეამჩნევთ, უნდა ეცადოთ მოაშოროთ ეს ცუდი. თქვენ შეგიძლიათ ადამიანი იმ ჩიტსავით ჰაერშიააფრინოთ, მაგრამ

ასევე შეგიძლიათ მიწაზე დაანარცხოთ, ისე, რომ ველარასოდეს ვერ წამოდგეს. ღმერთს თქვენთვის ხელში კალამი მოუცია და გაუფრთხილდით ამ კალმის სიწმინდეს. აბა, თქვენ იცით...

პროფესორი ადგა, ახალგაზრდებიც წამოიშალნენ.

ნოდარს უნდოდა პროფესორისათვის რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა. ეთქვა, თუ როგორ უყვარს იგი, როგორ პატივსა სცემს, როგორი მადლიერია მისი, მაგრამ ვერ მოახერხა. ჩვეულებრივი სიტყვები ახლა არ გამოდგებოდა, ვერ გამოხატავდა გულის ნადებს. ეგებ, თავად გულწრფელი ყოფილიყო, მაგრამ სხვებს ამ გულწრფელობაში ვერ დააჯერებდა.

— ჰო, მართლა, — შეაჩერა ახალგაზრდები პროფესორმა, — თუ რომელიმე თქვენთაგანი განაწილებით კმაყოფილი არ არის, ახლავე მითხარით გულახდილად. ეგებ კომისიაზე ვერ გაბედეთ, მითხარით, და, სანამ გვიან არ არის, ვეცდები შეძლებისდაგვარად, დავაკმაყოფილოთ თქვენი სურვილი.

— არა უშავს რა, პატივცემულო პროფესორო, — ყველას დაასწრო თეიმურაზმა, — ლონდონში საკდესის კორესპონდენტად არავინ გაგვაგზავნის და ისე რა უჭირს... პირადად მე კმაყოფილი ვარ, არაფერი შეთქმის.

— არც სხვებსა გაქვთ რამე სათქმელი? — დანარჩენებს შეეკითხა კონსტანტინე.

— საპროტესტო არაფერი გვაქვს...

— თანახმა ვართ... — გაისმა შეძახილები.

— შენ, ლია, რად გაჩუმებულხარ? — ახლა ლიას მიმართა კონსტანტინემ, — ხმას რად არ იღებ?

— მაგას რა ეთქმის, — ლიას მაგივრად მიუგო თეიმურაზმა, — თბილისში დატოვეს და სხვა რა უნდა.

— ხომ არა გშურს? — გადახედა ლიამ გამომწვევად, — შემიძლია ადგილი გაგიცვალო. შენ აქ დარჩი, მე შენს მაგივრად რაიონში წავალ.

— დაანებე თავი. მაგას იქ მაინც არავინ მიიღებს, ლიას კი იქ დიდი ხანია შინაურად სთვლიან, — ჩაერთო მათ კამათში ელიკო.

— თეიმურაზ, — მკაცრად გადახედა თეიმურაზს პროფესორმა, — ხუთი წელი მერხზე ერთად ჯდომა არ განთავისუფლებს ჯენტლმენობისაგან. ლია ქალია და ქალს სათანადო პატივისცემით უნდა მოეპყრა.

— ჩვენ ვხუმრობთ, ბატონო პროფესორო.

— მაგას რა სჯობია, — უცბად გაეღიმა კონსტანტინეს, — განაწილებისას ვეცადეთ თითოეული თქვენგანის სურვილი და ჩვენი საქმის საჭიროება გაგვეთვალისწინებინა. თუ ეს შევძელით, კეთილი საქმე გაგვიკეთებია.

— ამიიინ! — ჩაიღიღინა ვიღაცამ.

— რაც შეეხება ლონდონში საკდესის კორესპონდენტობას, — მიუბრუნდა კონსტანტინე თეიმურაზს, — ესეც მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. უცხო ქვეყნები თუ ასე გიტაცებთ, გაისარჯეთ, თავი გამოიჩინეთ. უცხოეთში მყოფი კორესპონდენტებიც თქვენნაირი ხალხია, ზოგიერთი მათგანი ჩემი ნასტუდენტარიცაა.

— სწორედ შენ გელოდება ლონდონის კორესპონდენტობა, — გადაჰკრა გელამ თეიმურაზს, — თავიც რომ მოიკლა, იქაც ზურაბ კიკაბიძე მოხვდება.

— რა უპირატესობით? — აპილპილდა თეიმურაზი.

— პროტექციის უპირატესობით,— წამოიძახა გელამ.

— შენ იცი... — აჭარხალდა ზურაბი, მაგრამ სხვა ველარაფერი თქვა. ყველამ იცოდა, და მათ შორის პროფესორმაც, რომ ზურაბ კიკაბიძე დიდი პროტექციის წყალობით დარჩა თბილისში. ბევრი იბრძოლა კონსტანტინე ნაცვლიშვილმა განმანაწილებელ კომისიაზე, მაგრამ ველარაფერს გახდა. პროტექცია იმდენად ძლიერი იყო,

რომ კომისიის სხვა წევრები წინ ვერ აღუდგნენ.

— არა, — სერიოზულად თქვა პროფესორმა და ახალგაზრდებს გადახედა, — ამ შემთხვევაში თავს ვერ ვიმართლებ. რაც მოხდა, მოხდა.

— მეც მაგას ვლაპარაკობ, პატივცემულო პროფესორო, — მიუგო გელამ, — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ზურაბისთანა ხალხს ჩვენთან შედარებით მუდამ მისცემენ უპირატესობას.

*კონსტანტინემ ხელები გაასავსავა:*

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! მაგრამ, მოდით, ვნებათა ღელვას ნულარ ავყვებით. ზურაბიც უცხო არ არის, ესეც ჩვენი მეგობარია, ჩვენთან ერთად იყო ხუთი წელი. მოდით, ახლა ზურაბსაც გამარჯვება ვუსურვოთ. იმედი მაქვს კომისიის დიდ ნდობას გაამართლებს.

— ბავშვებო, — წამოიძახა ლიამ და რატომღაც ნოდარს შეხედა, — მოდით, ერთი კარგი ტრადიცია დავაწესოთ. წელიწადში ერთხელ შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს.

პროფესორმა მადლიერი თვალით გადახედა ლიას, რადგან ზურაბ კიკაბიძეზე საუბარი კარგს არაფერს უქადდა არც განმანაწილებელ კომისიას და არც მას, როგორც ამ კომისიის წევრს. ხომ არ ეტყოდა ახალგაზრდებს, მე წინააღმდეგი ვიყავი ზურაბის თბილისში განაწილებისა და კომისიამ მაინც თავისი გაიტანაო. არაკოლეგიალობა იქნებოდა ამის თქმა.

— არ არის ცუდი აზრი! — კვერი დაუკრა კონსტანტინემ.

— ეს შენ მოიფიქრე, ლია?

— ეს შენი აზრია?

— ვინ შთაგაგონა ეს აზრი? — აჟრიამულდნენ ახალგაზრდები.

— გეყოფათ, „მაიმუნობაო", უნდოდა ეთქვა ლიას, მაგრამ პროფესორისა მოერიდა, — გეყოფათ, თუ წინადადება მოგწონთ, დღეც ავირჩიოთ.

— თხუთმეტი სექტემბერი! — წამოიძახა თეიმურაზმა.

— რადა თხუთმეტი? — შეეკითხა გელა.

— მაშ რამდენი?

— ჩვიდმეტი.

— რადა ჩვიდმეტი?

— მაშ რამდენი?

— ჰაუ, — შეიცხადა ლიამ, — ყველაფრის გამასხარავება განა შეიძლება!

— იყოს თხუთმეტი! — სერიოზულად *თქვა ნოდარმა.*

— მაგრამ ჩვენს შეხვედრებზე, — ჩაერია პროფესორი, — ასეთი წესი შემოვიღოთ. მთელი წლის განმავლობაში დაბეჭდილი თქვენი წერილები აკინძეთ და თან ჩამოიტანეთ. ერთად გავეცნოთ ერთმანეთის ნამოღვაწარს. არც მე დაგზარდებით. შეხვედრებს მხოლოდ ღრეობის მიზეზად ნუ გავხდით.

— კარგი აზრია! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

— უნდა სახალხოდ ვაღიარო, — წამოიწყო თეიმურაზმა, — რომ ლია ჭკვიანი გოგოა. რას არ მოიფიქრებს ხოლმე.

— ახლა ასეთი შეხვედრები ხშირია, — თქვა ლიამ, — ყური არ ათხოვა თეიმურაზის ქებას, რომელსაც ისეთივე გულგრილობით შეხვდა, როგორც სხვა მოკამათეებს, — პატივცემულმა პროფესორმა სწორად ბრძანა, შეხვედრებს მხოლოდ ღრეობად ნუ გადავაქცევთ. ასე თუ მოხდა, სულაც არ გვინდა... ამას წინათ ერთ შეხვედრას დავესწარი. სასწავლებლის დამთავრების ოცდახუთი წლის თავზე შეიკრიბნენ. მანამდე, ალბათ, თვითეულს თავისი გზა ჰქონდა, თავისი ცხოვრება, თავისი ფიქრები და მიზნები... სტუდენტობისდროინდელი მოგონებები ნახევარ საათში ამოწურეს, შემდეგ სალაპარაკო აღარაფერი დარჩათ. ერთხანს, თავაზიანობის გამო, ცოტა კიდევ რაღაც თქვეს. მორჩა და გათავდა. შემდეგ უხერხულო-

ბა რომ დაემალათ, ღვინოს მიეძალნენ. მამაკაცების საქმე გაიჩარხა, მაგრამ ქალები შემეცოდა. იმ შეხვედრაზე ნარკვევი უნდა დამეწერა, ამიტომ დავრჩი ბოლომდე. მძიმე გულით წამოვედი იქიდან, ნარკვევი კი ვერ დავწერე, ვერც ფელეტონი დავწერე, მათ ხომ კეთილი მიზანი ჰქონდათ. როგორ გამეწირა...

ერთხანს კიდევ იმსჯელეს, როგორი იქნებოდა მათი მომავალი შეხვედრები. ბოლოს ახალგაზრდები პროფესორს დაემშვიდობნენ. პროფესორი ყველას გადაეხვია, გოგონებიც გადაკოცნა, წინანდებურად არ უხუმრია, რადგან დამშვიდობების წუთი სერიოზული და ამაღელვებელი იყო.

— ნოდარ ბერიძე, შენ დაიცადე. — უთხრა კონსტანტინემ ნოდარს, — შენთან საქმე მაქვს.

ნოდარმა ზურგს უკან დაქიხებული მზერა, იგრძნო, მობრუნდა და ლიას თვალებს წააწყდა. ლიამ უცბად ზურგი უქცია და გავიდა. ნოდარს სურდა გაჰყოლოდა, მაგრამ პროფესორისა მოერიდა.

პროფესორმა ყველას გზა დაულოცა, დაპირდა, ხვალ საღამოს თქვენს გამოსამშვიდობებელ ვახშამზე უეჭველად მოვალო.

3

აუდიტორიაში პროფესორი და ნოდარი დარჩნენ.

— როგორ გიწერია საგზურში, — შეეკითხა პროფესორი, — ახალდაბაში როდის უნდა გამოცხადდე?

ნოდარმა საგზური ამოიღო. კარგად ახსოვდა, მაგრამ მაინც შეამოწმა.

— გამოცხადების ვადად პირველი სექტემბერი მიწერია, ბატონო პროფესორო.

— პირველი სექტემბერი, — გაიმეორა კონსტანტინემ, — წუხელ ახალდაბის რაიონული გაზეთის რედაქტორმა შინ დამირეკა, რედაქციაში ჟურნალისტები არ მყოფნიაო.

— განა ჩვენში ჟურნალისტების ასეთი ნაკლებობაა?

— აბა, შენ როგორ გგონია. ჟურნალისტები ქუჩაში როდი ყრიან. ჩვენ ისეთი პროფესია გვაქვს, ცოტა ხნით შენს საქმეს თუ ჩამოშორდი, როგორც სპორტსმენები იტყვიან. მერე გაგიჭირდება ფორმა აღიდგინო. ჟურნალისტი ყოველდღიურად უნდა მოქმედებდეს, წერდეს, ილვწოდეს დაიბრძოდეს. ახალდაბაში გაზეთი დახურეს. იყო ასეთი დრო, რაიონებს ამსხვილებდნენ. გაზეთის თანამშრომლები რაიონში სხვადასხვა თანამდებობებზე მოაწყეს. შემდეგ, როდესაც გაზეთი ხელახლა აღადგინეს, ბევრმა, თურმე, თანამდებობა აღარ დათმო. თანაც გაზეთს ახალი ძალები სჭირდება.

ნოდარი გულისყურით უსმენდა.

— რედაქტორმა დაჟინებით მთხოვა, — განაგრძო პროფესორმა, — ჩემთან განაწილებული, რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნეო.

— ეს როგორ გავიგო, ბატონო პროფესორო?

— სამ დღეში თუ გზას გაუდგები, ამას არაფერი აჯობებს.

ნოდარი ჩაფიქრდა.

ბოლოს და ბოლოს სამ დღეშიც მოასწრებს გამგზავრებას. ისეთი რა მომზადება სჭირდება. მთელი მისი ტანსაცმელი ერთ ჩემოდანში ჩაეტევა, ქვეშაგებსაც იმ ტანსაცმელს ზედ დაადებს და ერთად შეკრავს. ესაა და ეს მთელი მისი ავლადიდება. ერთი ახალი კოსტუმი აქვს, იმას გზაში ჩაიცვამს.

ზაფხულის სტიპენდია ნოდარმა მთლიანად აიღო, გადასასვლელი ხარჯის ფულიც. დედასთან გაუჭირდება დაშორება, ამდენი ხნით ოჯახი ჯერ არ დაუტოვებია. თუმცა თავისი წასვლით ოჯახს ერთგვარ შვებას მისცემს, თავის კუთხეს გაათავისუფლებს, რის შემდეგ დედა, ძმა, რძალი და ძმისწუ-

ლები ვიწრო ბინაში უფრო ხალვათად მოეწყობიან. მის საწოლზე პატარა თემური გძინავს, ბებიის გვერდით იქნება. ნოდარის საწოლი წინა ოთახის ერთ კუთხეშია მიჭუჭყული. გვერდით დედა წევს.

ორი პატარა ოთახი აქვთ ბერიძეებს. მეორე ოთახში უფროსი ძმა არჩილი ცხოვრობს ცოლ-შვილით. ოთხი წელია დაქორწინდა და უკვე ორი ბუთხუზა ბიჭუნა ჰყავს: თემური და გენო.

არჩილი ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში ზეინკლად მუშაობს, მამის კვალს გაჰყვა. ადრე დაობლდნენ ძმები და მთელი ოჯახი უფროსი ძმის სუსტ მხრებს დააწვა. მაშინ არჩილი ჩვიდმეტი წლისა იყო. საშუალო დაამთავრა თუ არა, ქარხანაში წავიდა სამუშაოდ. ოჯახმა გადასწყვიტა, ნოდარისათვის უმაღლესი განათლება მიეცა. არჩილი ნოდარზე თორმეტი წლით იყო უფროსი. ნოდარი უნივერსიტეტში მოეწყო, არჩილმა ცოლი შეირთო...

ძალიან კარგი, სამ დღეში გაემგზავრება, პროფესორის წინადადებას სიამოვნებით შეასრულებს.

— ჰა, რას იტყვი, სამ დღეში შეძლებ გამგზავრებას? — გამოაფხიზლა ნოდარი პროფესორის შეკითხვამ.

— დიახ, შევძლებ, — უყოყმანოდ მიუგო ნოდარმა.

— ჰოდა, ამას რა სჯობია! — ხელები მოიფშვნიტა კონსტანტინემ, — შესანიშნავია, ასეც ვიცოდი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. პროფესორი არ აპირებდა წამოდგომას, ამიტომ არც ნოდარი დაძრულა ადგილიდან.

— მე ჩემი ჟურნალისტობის პირველი ნაბიჯები, — თითქოს თავის თავს ეუბნებაო, ჩუმი ხმით დაიწყო კონსტანტინემ, — ახალდაბის რაიონში დავიწყე. ჯერ რაიონული გაზეთის ლიტმუშაკი ვიყავი, შემდეგ განყოფილების გამგედ დამაწინაურეს. ბოლოს რედაქტორად დამნიშნეს.

წარსულის მოგონებამ გაიტაცა პროფესორი, თვალები აუცრემლდა.

— არასოდეს არ დამავიწყდება ჩემი რედაქტორობით გამოსული გაზეთის პირველი ნომერი, რომელსაც მე ვაწერდი ხელს. შინ საგანგებოდ მაქვს შენახული და ვუფრთხილდები, როგორც ჩემს პირმშოსა და საამაყო შვილს. ახლაც რომ გადავშლი გაყვითლებულ ფურცლებს და თვალს გადავავლებ, სიხარული მიპყრობს ხოლმე. ქაღალდი გაიცრიცა, ასოები გაფერმკრთალდა, მაგრამ მასში ახალგაზრდული გული სცემს და ეს მახარებს...

ცოტა ხნით დუმდა და შემდეგ განაგრძო:

— გაზეთის ახლანდელი რედაქტორი კარპეზ თავაძე ჩემი თანატოლია, ჩემი რედაქტორობის დროს განყოფილების გამგედ მუშაობდა რედაქციაში. შემდეგ ჩვენი გზები ერთმანეთს დაშორდნენ. მე ომში წავედი, საფრონტო გაზეთში განმაწესეს. კარპეზი ავადმყოფობის გამო შინ დარჩა. ჩემს შემდეგ რედაქტორობა მას დაეკისრა. წარმოიდგინე, ომის მძიმე წლები იყო, მაგრამ გაზეთის გამოსვლა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. ომი რომ დამთავრდა, კარპეზს აღარ შევეცილე, სხვა რაიონში წავედი გაზეთის რედაქტორად. მერე მეცნიერულ გზას დავადექი და ჩემი მეცნიერული მოღვაწეობის სარბიელი ჩემი პროფესია გახდა. კარპეზი კი იქ დარჩა. იმ ხნის შემდეგ ახალდაბის გაზეთს რედაქტორობს. ამჟამად ხომ ერთგვარად უზრუნველყოფილი ვარ, თანაც ჩემს სათაყვანო საქმეს ვემსახურები, პროფესორობა, რაც არ უნდა იყოს, სახუმარო საქმე როდია, მაგრამ, თუ დამიჯერებ, გაზეთში მუშაობის რომანტიკა უფრო მიტაცებს. მერედა რა ცხოვრება გვქონდა!.. ნახევრად მშივრები და ცუდად ჩაცმულნი დავიარებოდით, მაგრამ მართალი საქმისათვის შრომა და ბრძოლა გულს გვიმხნევებდა, გვაამაყებდა და ყველაფერს გვავიწ-

ყებდა, გაჭირვებას, შიმშილს, სიტიტვლეს...

არც ახლა ამოუღია ხმა ნოდარს. თვალებგაფართოებული შესცქეროდა თავის პროფესორს.

კვლავ პროფესორი ალაპარაკდა:

— მერედა რა დრო იყო, ირგვლივ სასტიკი და დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა, კუთხეში მიმალულ მტერს ჩახმახი ჰქონდა შემართული. ახლად დაარსებულ, ჯერ კიდევ წელგაუმართავ კომუნებსა და არტელებს ებრძოდა, სისხლითა და ოფლით მოპოვებულ ჭირნახულს ცეცხლის ალში ხვევდა. ბრძოლა იყო სასტიკი, დაუნდობელი, უკომპრომისო. ჩვენ მტრის წინაალმდეგ კალამს ვხმარობდით. კალმით ნასროლი მომაკვდინებელი და გულის გამგმირავია. ჩვენც ვცდილობდით ზუსტად დაგვემიზნებინა და მიზანში გვესროლა მათთვის, ვინც ხელს გვიშლიდა, ხელს უშლიდა ახალს, სასიცოცხლოს, ნორჩს, პერსპექტულსა და მომავლის მქონეს. საპასუხოდ, იარაღით გვესხმოდნენ თავს. ერთი თანამშრომელი მოგვიკლეს კიდეც. ისეთი ბიჭი იყო, ყველას გვჯობდა, მისგან კარგი ჟურნალისტი დადგებოდა. ცოტ-ცოტაობით მოთხრობებსაც წერდა, საინტერესო მოთხრობებს... ხომ არ მოგაწყინე? — უცბად შეეკითხა პროფესორი.

— რას ბრძანებთ, პირიქით...

— მაშინ ხალხის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მთლიანად ჩვენკენ არ იყო გადმოსული. ახალი ყოველთვის ძნელად იკვლევს გზას. ჩვენს მტრებს ჯერ კიდევ უჯერებდნენ. ამ ბრძოლაში კარგად ვერ მოვზომავდით ხოლმე და მეტისმეტი მოგვდიოდა, მაგრამ ყველაფერს მომავლის რწმენის იმედი ამართლებდა. ამ რწმენამ გადაგვატანინა ხელმოკლეობა, სიღატაკე. ეს რწმენა გვატარებდა მთებსა და ღრანტეებში, მიუვალ ბილიკებსა და ტალახიან ორღობეებში, ქარსა და ავდარში, თოვლსა და სეტყვაში. ვეძებდით, ვპოულობდით. კბილის გასაკრავიც ბევრი იყო და საქებიც... კარპეზი ბოლომდე შერჩა თავის საქმეს. ამ რამდენიმე წლის წინათ რაიონები გაამსხვილეს, ახალდაბის რაიონი არ გააუქმეს, მაგრამ რაიონული გაზეთი დახურეს. კარპეზი არსად წასულა, თუმცა უამრავი მოწვევა მიიღო მეზობელ რაიონებიდან. ცხოვრობდა ფეხმოუცვლელად ახალდაბაში და ცენტრალური გაზეთებისათვის პატარ-პატარა კორესპონდენციებს გზავნიდა. გაზეთი აღადგინეს და არ გამკვირვებია, რომ კარპეზი ისევ რედაქტორად დანიშნეს. ამ სამიოდე თვის წინათ მომწერა, გაზეთში ვაკანტური ადგილი მაქვს და შენი სტუდენტებიდან ერთ-ერთი გამომიგზავნეო. მეც ბევრი არ მიფიქრია, შენ აგირჩიე და რაკი დღეს არც შენ წახვედი ახალდაბაში გამგზავრების წინააღმდეგი, გამეხარდა. აბა, შენ იცი, როგორ მასახელებ...

ნოდარი დაიბნა. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როგორ გადაეხადა მადლობა ასეთი ნდობისათვის. თითქოს ნოდარის ფიქრებს მიუხვდაო, პროფესორმა უთხრა:

— ერთად-ერთი რამ, რასაც შენგან მოველი, თავდადებული შრომაა. ვინძლო არ შემარცხვინო.

— ვეცდები... ძალიან ვეცდები...— როგორც იქნა ამოღერღა ნოდარმა. ძლივს მოახერხა ამის თქმა.

— თუ გაგიჭირდეს, მომწერე, ნუ მომერიდები. თბილისში რომ ჩამოხვალ, მინახულე. ჩემი სახლის კარი შენთვის მუდამ ღია იქნება. თუ შინ ვერ გაბედავ მოსვლას, აქ მნახე. იცოდე, მე ყველაფერი დამაინტერესებს შენი. რაც არ უნდა იყოს, ჩემი რაიონია, კარპეზი ჩემი მეგობარია და მინდა მასთან არც მე შევირცხვინო თავი და არც შენ შერცხვე... არ ვიცი, კარპეზი თავდაპირველად რას შემოგთავაზებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია შენი საქმე თავდადებულად აკეთო და არ იზარმაცო. ხელს არ გადაჰყვე. რაიონში ბევრი რამ არის წა-

საცდუნებელი, მით უფრო გაზეთის მუშაკისათვის.

პროფესორი წამოდგა, ნოდარიც წამოდგა.

— მგონი მეტისმეტი მომივიდა, თავი მოგაბეზრე ჩემი დარიგებებით, — მოიბოდიშა პროფესორმა, — სხვას აღარაფერს გეტყვი. კარგად იყავი და დიდ გზაზე მუდამ გამარჯვებულს გევლოს.

კონსტანტინემ ნოდარს ხელი მაგრად ჩამოართვა, შემდეგ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ნოდარს გაუწოდა.

— ეს ბარათი რედაქტორს გადაეცი, შიგ ცოტა რამ შენზეც წერია. აბა, შენ იცი...

4

უნივერსიტეტის ეზოში ნოდარმა ლიას მოჰკრა თვალი. ვიღაცას ელოდა. თავზე რომ დაადგა, ლია შეცბუნდა, მაგრამ ჩქარა მოვიდა გონს და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ნოდარის ნახვა ძალზე გაუკვირდა.

— აქამდე სად იყავი? — შეეკითხა გულგრილად.

— ლია, შენ ვიღაცას უცდი? — შეკითხვითვე მიუგო ნოდარმა.

—მე ვუცდი! — გაიოცა ლიამ, — არავისაც არ ვუცდი.

— მაშ, აქ რადა დგახარ?

— რაო, აკრძალული ხომ არა მაქვს აქ დგომა!

— წავიდეთ, — უბრალოდ უთხრა ნოდარმა.

ლიამ ერთხანს იყოყმანა, მაჯის საათს დახედა, თუმცა უნივერსიტეტის შესასვლელთან უზარმაზარი საათი ეკიდა და დროის გაგება მაჯის საათზე დაუხედავადაც შეიძლებოდა. შემდეგ ნოდარს მიუბრუნდა.

— მართლაც წასვლის დროა.

— მაშ რაღას ვდგავართ.

— განა ჩვენ ერთი გზა გვაქვს?

— საითაც შენ წახვალ, მეც იქით წამოგყვები, — მიუგო ნოდარმა.

— მე შინ მივდივარ, — ცივად უთხრა ლიამ, — თუ მეტი საქმე არა გაქვს, მე რა მენაღვლება, შენც [illegible] წამოდი.

პროსპექტი გადასჭრეს. თუმცა ლია უნივერსიტეტიდან შორს ცხოვრობდა, მთაწმინდის კალთაზე. წინათ გზას ფეხით მიჰყვებოდნენ ხოლმე. ახლაც ლია გაჩერებისაკენ არ წასულა, ფეხით დაადგა გზას. ნოდარი გვერდით გაჰყვა. მხოლოდ ეს იყო, ლიას ძველებურად ვაჟისათვის ხელმკლავი არ გაუყრია.

ერთხანს დუმილით მიდიოდნენ, ბოლოს დუმილი ლიამ დაარღვია:

— იმდენხანს პროფესორთან რას აკეთებდი?

„რა თქმა უნდა მელოდებოდა“, გაუელვა ნოდარს და გულში სიამოვნო სითბო ჩაუდგა. მაინც გასცა თავისი თავი ლიამ.

— ხომ იცი, ახალდაბაში გამგზავნეს, — მიუგო ნოდარმა, — ახალდაბა კი მისი·რაიონი ყოფილა. მითხრა სამ დღეში უნდა წახვიდეო.

— ასე ჩქარა! — შეკრთა ლია, მაგრამ თავის შეკავება შეძლო და კვლავ გულგრილად განაგრძო, — მერე შენ რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა, — სინანულით თქვა ნოდარმა, — თბილისში რა დამრჩენია. პირობა მივეცი, წავალ-მეთქი. მელოდებიან.

— სწორად მოქცეულხარ, — რატომღაც გაუჯავრდა ლია და მკვახედ მიუგო, — მით უფრო, თუკი თბილისში აღარაფერი დაგრჩენია.

ნოდარმა ცერად გადახედა ლიას.

— ლია, ასე რად მიჯავრდები?

— აი, კიდევ ახალი ამბავი! — რატომღაც ხმას აუწია ლიამ, — მე გიჯავრდები! რას არ მოიგონებ... მე ხომ არ მითქვამს, შენ არა თქვი, აქ არაფერი დამრჩენიაო.

— კარგად იცი, რატომ ვთქვი.

— ახლა მკითხავადაც მაქციე, — არ ცხრებოდა ლია, — ამირან გულში მღეროდა...

ნოდარმა პეტრიაშვილის ქუჩაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხვია, ლიაც უყოყმანოდ გაჰყვა უკან. ასე იცოდნენ წინათ. მართალია, გზას იგრძელებდნენ, მაგრამ მყუდრო ქუჩებით მიდიოდნენ. როგორც ჩანდა, ახლა ლიასაც უნდოდა გზა გაეგრძელებინა.

— სამ დღეში წავალ, — დაიწყო ნოდარმა, — ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს.

— რაო, გადასაკარგავში ხომ არ მიდიხარ, — ჩაიცინა ლიამ, — აგერ არ იქნები, საქართველოში!

— დამაცადე, ლია, — მუდარით უთხრა ნოდარმა, — სიტყვას ბანზე რად მიგდებ?

— გისმენ, მთელი გულისყური შენკენ მაქვს მოპყრობილი, — ისევ დაცინვის კილოთი ეუბნებოდა ლია.

— ნუ, ლია, არ გინდა, გულს რად მიკლავ...

— მე შენ გულთან რა მესაქმება!

— ასე რამ შეგცვალა ლია, რა მოხდა ჩვენს შორის?.. — ისეთი სევდიანი ხმით შეეკითხა ნოდარი, რომ ლია გაინაბა.

— რა მოხდა? — კითხვა გაუმეორა ნოდარმა.

ლიამ ჩურჩულით მიუგო:

— განა წინათ რა იყო, რომ რამე მომხდარიყო...

— არ ვიცი, ლია, წინათ რა იყო და არც ის ვიცი, ახლა რა მოხდა, რა კატამ გაირბინა ჩვენს შორის...

— ნეტავი ეს კატა არ გეთქვა...

— ეჰ, ლია, ლია...

ლია შეჩერდა, ნოდარს პირდაპირ შეხედა.

— გულმავიწყი ყოფილხარ... — უთხრა დაფიქრებულმა.

— მე არაფერი დამვიწყებია, ლია, ერთად ყოფნის არც ერთი დღე...

— მაშინ მე რად მეკითხები, ეს კითხვა შენს თავს დაუსვი.

— განა არ დავუსვი, ათასჯერ დავუსვი, მაგრამ პასუხი ვერ გავეცი.

ლიამ ნაბიჯი ააჩქარა.

— მე როგორღა გავცე?

ნოდარი ლიას წამოეწია და ფეხი აუწყო.

— ლია, — დაიწყო ნოდარმა, მაგრამ, ეტყობოდა, სიტყვის გაგრძელება უძნელდებოდა, — ლია, ვინ იყო ის კაცი?

ლიამ თავი ასწია და ამაყად გადახედა ნოდარს, თუმცა სახეზეც ეტყობოდა, რომ შეკითხვამ სული აუფორიაქა. ბოლოს თავს დაძლია და კვლავ დაცინვით მიუგო:

— შენმა მეგობრებმა ხომ გითხრეს ყველაფერი, მე რაღა უნდა გითხრა...

— ჰაუ, — შეიცხადა ნოდარმა,—ის სიტყვები რამ გაგახსენა.

— მეც ყველაფერი მახსოვს, ნოდარ, ერთი დღეც არ დამვიწყებია.

— არ მეტყვი?

— და მერე, განა მე რამეთი ვალდებული ვარ შენს წინაშე პასუხი ვაგო!

— ნუთუ... — სიტყვა არ დაამთავრა ნოდარმა. ლია მიუხვდა სათქმელს.

— შენ ღირსი ხარ, ნოდარ, რომ მე შენთან გულწრფელი ვიყო, ჩემზე უკეთესი ქალის ღირსიც ხარ.

— ასე რატომ მეუბნები?

— მაგრამ, — ყური არ ათხოვა ნოდარის სიტყვებს ლიამ, — სულ არაფერი გაგეგება ქალისა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ხარ, ახალგაზრდა...

— მაშინ შენ განმანათლე.

ლიამ თავი ჩაღუნა და ცრემლნარევი ხმით ჩაილაპარაკა:

— შეურაცხყოფას რად მაყენებ, ნოდარ, შენგან, ყოველ შემთხვევაში, არ დამიმსახურებია...

ნოდარი დაიბნა, არა, სულ არ უნდოდა ასე ეთქვა, მაინც როგორ უსწრებს ეს ენა. მაშინაც, ახლაც...

— მაპატიე, ლია...

ერთხანს უხმოდ მიჰყვებოდნენ გზას. შემდეგ ლიამ ჩუმი ხმით დაიწყო:

— ძალიან დამაკლდები, ნოდარ, ცხოვრებამ ადრე მაჩვენა თავისი სუსხი. მაგრამ შენთან რომ ვარ, ყველაფერი მავიწყდება. შენ ისეთი სპეტაკი ხარ, უცოდველი... დედაჩემს ტყუილად კი

არ უყვარხარ. მე ყველაფრის თქმა არ შემიძლია, ალბათ, ვერც ვერასოდეს გეტყვი. გარეგნობით, თითქოს, დალხინებული ქალიშვილი ვარ, ამ გულში კი არავის ჩაუხედია. ეგებ, ჩემი გარეგნობის ბრალიც იყოს. ჩემი ტოლები კლასობანას რომ თამაშობდნენ, მე მაშინ უკვე ჩამოყალიბებული ქალი ვიყავი, ჩემი ტანისა მრცხვენოდა... მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ იყო. ნეტავი, თავიდანვე შენ შემხვედროდი... მეც ბედნიერი ვიქნებოდი და, ალბათ, შენც... ამიტომ გეპყრობოდი, როგორც პატარას. შენთან ზოგჯერ მეც პატარა ვხდებოდი, ისევ კლასობანას თამაში მინდოდა, მაგრამ, როგორც ბავშვობაში, ადრე მომწიფებულ გოგონას ხარბი თვალებით შემომცქეროდნენ და მაფრთხობდნენ... სულ პატარა ვიყავი, სულ პატარა, როდესაც ერთმა თავისი ხარბი თვალები დამალა და... მერე შენ შემხვდი ცხოვრებაში, მე კი... რამდენი ვებრძოლე ჩემს თავს, ახლაც ვებრძვი. მეშინოდა ვერ გამიგებდი, ვერც გამიგე. განა არ ვიცი, შენი მეგობრები ჩემზე რას არ გეუბნებოდნენ, მე კი თავის გასამართლებლად რა უნდა მეთქვა... ოჰ, რა რთულია ცხოვრება, ნოდარ. შენს გვერდით ჩემი თავი ისევ ისეთი მეგონა, როგორიც ვიყავი, მაგრამ ვერ ვპოულობდი იმას, რასაც ვეძებდი. შეიძლება არც მოგეთხოვებოდა ჩემი მოძღვარი ყოფილიყავი. აი, ხომ ხედავ, მთელი ხუთი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ გული გადამეშალა.

ლია დადუმდა. დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გასულიყვნენ. ნოდარიც დუმდა. კვლავ ლია ალაპარაკდა:

— შენ გგონია, იოლი იყო ჩემთვის შენთან დაშორება! მაგრამ იმ დღის შემდეგ არ შემეძლო სხვაგვარად მოვქცეულიყავი. მხოლოდ დღეს მივხვდი, თუ როგორ გამიჭირდება უშენოდ ყოფნა. მე არც შენდობას გთხოვ, და არც პატიებას, რადგან საპატიებელი არაფერი მაქვს.

— ლია, ლია!... — იმდენი სითბო და სიყვარული ჩააქსოვა ამ სიტყვებში ნოდარმა, რომ ლიას თვალზე ცრემლი აუციმციმდა.

— მე თავს ვებრძვი, ნოდარ. მჯერა რომ გამარჯვებული გამოვალ ამ ჭიდილიდან. უნდა გამოვიდე, სხვა გზა არ არის.

— დამიხმარე, განა ორივე უფრო იოლად არ გავუმკლავდებით!

— არა, ნოდარ, შენ რაში უნდა დამეხმარო... ამ ჭიდილს მარტო უნდა გავუძლო და გჯეროდეს, თუ გავიმარჯვე, ისეთივე წმინდა ვიქნები, როგორც მაშინ, როდესაც კლასობანას თამაში მინდოდა. სხვას ველარაფერს გეტყვი, ნურც მომთხოვ ამაზე მეტს.

— ასეთი გულით როგორ წავიდე ახალდაბაში.

— წადი, ნოდარ, წადი, შენს გზას ეწიე. წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი. რათ გინდა, ეს გზა ეჭვებითა და ტკივილებით დაიწყო, მეკი ამჟამად ტკივილის მეტს ვერაფერს მოგიტან, ამის ღირსი კი არა ხარ, ცხოვრებაში ჩემზე უკეთესს შეხვდები, რომელიც სიხარულსა და ბედნიერებას მოგიტანს, ბედნიერებას. აი, ნახავ...

— მაგრამ, — ნოდარს ხმა ჩაუწყდა, — თუ ოდესმე ჩემი თავი დაგჭირდება, იცოდე, რომ ჩემი სახით ერთგული მეგობარი გეყოლება, რომელიც ყველაფერს გაგიგებს და გაპატიებს...

ლია შეკრთა და მიხვდა, ნოდარმა ახლაც ის არ უთხრა, რაც უნდა ეთქვა.

— აი, ხომ ხედავ, ნოდარ, ჩვენ სულ ვერ ვუგებთ ერთმანეთს. მე საპატიებელი არაფერი მჭირს. მე მინდა ისეთი შემიყვარონ, როგორიცა ვარ, მთელი გულით, გულწრფელად..

— გეფიცები, გულწრფელად გეუბნები.

— ახლა მე მარტო წავალ. სამი დღის მერე შენ ახალდაბას ესტუმრები. ჩვენ ბევრი დრო გვაქვს საფიქრებლად, ძალიან ბევრი დრო. ვნახოთ, როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება. პირობას გაძლევ, თუ დამჭირდები, მოგნახავ,

უსათუოდ მოგნახავ. სიბრალული არც სხვისგან მინდა და არც შენგან...

ლია ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ნოდარი ერთხანს ლიას შესცქეროდა, შემდეგ მობრუნდა და დაფიქრებული დაეშვა თავდაღმართზე.

## 5

დილით დედამ ძლივს გააღვიძა ნოდარი.

— ადე, შვილო, ადე, გამოფხიზლდი, ავტობუსზე დაგიგვიანდება.

ნოდარმა თავი ასწია. წუხანდელ ნაქეიფარს ისე ჰქონდა დამძიმებული თავი, თითქოს შიგ ქვა უდევსო. როგორც იქნა, საწოლზე წამოჯდა, მაგრამ თავმა ისევ დასძლია და კვლავ გაგორდა.

— მოგიკვდეს დედაშენი, — წუწუნებდა დედა, — ასე უბედურად როგორ დათვერი, შვილო!..

აუდგომლობა არ იქნებოდა, ნოდარმა კედლის საათს დახედა, შვიდი სრულდებოდა. ავტობუსი კი რვაზე გადიოდა.

ნოდარს პირი უხურდა, წყურვილისაგან ხახა გამომშრალი ჰქონდა. ტანი ძლივს აითრია.

— რაღა ამ წასვლისას დათვერი, — სწუხდა დედა, — რა იქნებოდა თავი შეგეკავებინა. არ დამღუპო, რაიონში არ გამილოთდე, ბიჭო!

ნოდარი ეზოში გავიდა, წყლის ონკანი გახსნა, ცივ წყალს თავი მიუშვირა, წელამდე დაიბანა, შემდეგ წყალს დაეწაფა და დიდხანს სვა ცივი წყალი. გამოფხიზლდა, თუმცა თავი მაინც დამძიმებული ჰქონდა. სახე შეიმშრალა. ცოტათი წაივარჯიშა, როგორც ჩვეულებად ჰქონდა.

დედას ღამე კოსტუმი დაეუთოებინა. სკამის ზურგს ნეილონის ახალი თეთრი პერანგი ეკიდა, გუშინ ეყიდა დედას.

დედა მაგიდის გაშლას შეუდგა. მაგიდიდან მაჯის საათი, მოოქროვილი „ვიმპელი“ აიღო და ნოდარს გაუწოდა.

— საიდან? — გაიკვირვა ნოდარმა.

— არჩილმა გისახსოვრათ, — მიუგო დედამ.

ნოდარმა სქელი თმა დაივარცხნა, პერანგი ჩაიცვა. საათი ერთხანს ხელში ატრიალა. დღემდე საათი არა ჰქონია.

— დედი, — შეყოყმანდა ნოდარი და დედას გადახედა, — არჩილს სად ჰქონდა ამის ფული!..

— გაჩუმდი! — დატუქსა დედამ, — უფროსმა ძმამ გაჩუქა. დიდი ხანია შენთვის გადანახული ჰქონდა. ეგ არაფერი, შენ ოღონდ სმას არ შეეჩვიო და...

— რა მოხდა, დედი, — ტკბილად მიუგო ნოდარმა, — ხომ იცი, გამოსაშვები ვახშამი გვქონდა, ცოტათი დავლიეთ...

— ცოტათიო, — კვლავ აწუწუნდა დედა, — ისეთი მთვრალი მოხვედი...

თუმცა ნოდარი ფეხაკრეფით დადიოდა, არჩილმა მეორე ოთახში მაინც გაიღვიძა.

— ნოდარს არ აგვიანდება? — გამოხურულ ოთახიდან გამოსძახა არჩილმა.

— უკვე ადგა, ენაცვალოს დედა, — შეეპასუხა დედა. — ნამთვრალებს გაუჭირდა წამოდგომა. ვასაუზმებ და გზასაც გაუდგება.

გუშინწინ, ლიასაგან რომ დაბრუნდა, ნოდარმა შინ განაცხადა, ახალდაბაში გამამწესეს და ზეგ უნდა გავემგზავროო.

დედამ შეიცხადა: ასე ჩქარა რა ცეცხლი უკიდიათ, ვერ მოვასწრებ შენს გამოწყობას და მომზადებას, ათასი რამ გაქვს შესაძენი, გასარეცხი და დასაკერებელიო. მაგრამ არჩილმა დინჯად თქვა:

— რა უჭირს, წავიდეს, მიიხედ-მოიხედოს. რა ისეთი ბარგი ექნება მოსამზადებელი. ორი დღე წინ გვიდევს, ყველაფერს მოვასწრებთ. გადასაკარგავში კი არ მიდის, ახალდაბა, მადლობა ღმერთს, საქართველოშია.

— მაინც ასეთი სასწრაფო რა იყო, — თავისებურად აწუწუნდა დედა, — უჩ-

ვენოდ როგორ იცხოვრებს. რას შეჭამს, ვინ მოუვლის და დაურეცხავს. რა იქნებოდა, შეხვეწნოდა, თბილისში დაეტოვებინათ. ეთქვა, მარტოხელა დედა მყავსო...

— ეხ, დედა, დედა, —თავი გააქნია არჩილმა, — როდემდეს უნდა იყოს შენი კალთის ქვეშ. ვერ ხედავ, სწავლა დაამთავრა და თავის გზას უნდა ეწიოს...

მეორე ოთახიდან არჩილი გამოვიდა.

— მზადა ხარ? — შეეკითხა ნოდარს.

— არჩილ, — საათი დაანახვა ნოდარმა, — რა საჭირო იყო...

არჩილმა ალმაცერად გადახედა ძმას.

— რაო, არ მოგწონს?

— არ მომწონს კი არა და...

— მაშინ მაჯაზე გაიკეთე, ბედნიერად გეტარებინოს!

— გქონდა ამის შესაძლებლობა...

— ეგ შენი საქმე არ არის, — შეუტია ნოდარს, — ჭკუით იყავი, თორემ, სინდისს ვფიცავ, ერთი მაგრად მიგბერტყავ და ისე გაგიშვებ შენს ახალდაბაში...

— მიმბერტყავ კიდეც? — გაეცინა ნოდარს.

— იმას კი არ მოვერიდები, რომ დიდი კაცი გახდი, გაზეთის მუშაკი.

— გაიკეთე, შვილო, გაიკეთე, — ურჩია დედამ, — უფროს ძმას ნუ ეურჩები, — თან თავისებურად მაინც დააყოლა, — შენ ოღონდ არ გამილოთდებოდე... რა უბედურად მთვრალი მოხვედი წუხელ...

— გეყოფა, დედა, — შეაჩერა არჩილმა, — რას ნიშნავს, რომ მართლაც ლოთი შვილები არა გყავს, თორემ ერთმა დალევამ ასე როგორ შეგაწუხა.

— რას ამბობ, — შეუტია დედამ, — პირჯვარი გადაიწერე. ღმერთს ნუ სცოდავ!

— დედა, — შეეკითხა არჩილი დედას, — ბარგი მზადა აქვს?

— ეგერ კუთხეში ალაგია. წუხელ გავუმზადე.

— ამდენი საქმე გაგიკეთებია, როდისღა გეძინა.

— მედიკო შემომეშველა, თორემ მარტო მე ვერ ავუვიდოდი.

არჩილმა ბარგი ასწია, ერთი ჩემოდანი იყო, მეორე შეკრული ლოგინი.

— მძიმე არ ყოფილა.

— არაა მძიმე, მაგრამ ნამთვრალევი როგორ წაიღებს!!

— ეხ, დედა, დედა, — გაიღიმა არჩილმა, — ისე წაიღებს, მზე მაღლა იქნება. ავტოსადგურამდე მე გავაცილებ.

— მეც წამოვალ, აქ რა გამაჩერებს.

— არა, შენ შინ დარჩი, დაისვენე, ორი ვაჟკაცი ორ შეკვრას ვერ მოვერევით?!

დედამ საუზმე გამოაწყო. ძმები მაგიდას მიუსხდნენ. არჩილმა არაყი გამოიტანა.

— ეგ არაყი რაღაა! — შეიცხადა დედამ.

— ნაქეიფარს მადას გაუხსნის.

ნოდარმა წვეთიც ვერ დალია, წყალს მიეძალა. არჩილს გაეცინა.

— ხომ ხედავ, დედა, შენი უმცროსი ბიჭი არ გალოთებულა.

— ღმერთმა ჰქნას!..

საუზმეს რომ მორჩნენ, ნოდარი არჩილს შეეკითხა:

— მედიკო ამდგარია? ბავშვებთან მინდა შევიდე.

— მედი, ადექი? — გასძახა არჩილმა.

— ჰო, — მოესმათ პასუხი.

ნოდარი ცოლ-ქმრის ოთახში შევიდა. პატარებს ჯერ კიდევ ეძინათ. მედიკო ისის იყო წამომდგარიყო და თმას ივარცხნიდა.

თემური პატარა საწოლში იწვა, გენო დედის გვერდით. თოთო ბავშვების ტანის საოცრად საამო სუნი ეცა ნოდარს. დილ-დილობით უყვარდა ნოდარს აქ შემოსვლა, მაგრამ ერიდებოდა. ბავშვების გარდა ცოლ-ქმარიც იწვა და უხერხული იყო თავზე დადგომოდა. შემდეგ, ფანჯრებს რომ გაალებდნენ და ჰაერს გაანიავებდნენ, ბავშვების ტანის

ის დამათრობელი სუნი იფანტებოდა, ქრებოდა...

ნოდარმა ბავშვები ფრთხილად გადაკოცნა. ოთახიდან გასვლისას მედიკო წამოეწია, შეაჩერა, კეთილი გზა უსურვა, გადაკოცნა და ჯიბეში რაღაც ჩაუდო.

— ეს ჩემგან გქონდეს.

ნოდარი რძლის ასეთმა თბილმა გამომშვიდობებამ დააბნია. საერთოდ, მედიკო გულჩათხრობილი ქალი იყო. მართალია, ავ სიტყვას არ ეტყოდა, მაგრამ იშვიათად იცინოდა და კეთილ გულსაც იშვიათად უჩვენებდა ვისმეს. არავინ იცოდა, რა ახარებდა, რა აწუხებდა. იყო თავისთვის, სამსახურშიც დადიოდა, შვილებსაც უვლიდა, მუდამ სუფთად დაუდიოდნენ. დღე და ღამ მოუცლელი იყო. ნოდარის არც შემოსვლას ამჩნევდა და არც წასვლას. მთელი დღე ისე გავიდოდა, ორ სიტყვას თუ ამოღერღავდა. ბავშვები დედის წინაშე სულ ცერებზე იდგნენ და თვალებში შესციცინებდნენ, აბა, რითი ვასიამოვნოთო.

ახლა კი მედიკო ნოდარს ისე თბილად მოეპყრო, სულ არ მოელოდა მისგან. ჯიბეში რაღაც ჩაუდო. ნოდარმა ხელით მოსინჯა, ფული იყო. რაღაც თბილი, ტკბილი გრძნობა დაეუფლა ნოდარს, გული აუჩუყა. გადაწყვიტა, ფული დაებრუნებინა, მადლობა უთხრა და ის-ის იყო ჯიბიდან ფულის ამოღება დააპირა, მაგრამ რძალმა ისეთი თვალებით შეხედა, ისე დაუბრიალა ისედაც ფართო თვალები, მიხვდა, რომ ფულს არ დაიბრუნებდა და ამით რძალს მხოლოდ შეურაცხყოფას მიაყენებდა.

დედამ ნოდარს ფული პიჯაკის ჯიბეში ჩაუკერა.

— ვიცი, პიჯაკს არ ჩაიცვამ, — გააფრთხილა დედამ, — ცხელა, მაგრამ გვერდიდან მაინც ნუ მოიშორებ. ავტობუსში რომ ჩაჯდები, ხელზე გადაიკიდე. რა ვიცი, შვილო, გზაზე ათასი ქურდბაცაცა დაეხეტება, ფრთხილად იყავი...

— კარგი რა, დედი, — ჩაიბურტყუნა ნოდარმა, — პატარა ხომ არა ვარ...

— პატარა ხომ არა ვარო, — გამოაჯავრა დედამ, — აბა რა ხარ? თუმცა, წუხანდელი ლოთობის შემდეგ...

არჩილი აროხროხდა.

— ბიჭმა ერთხელ დალია და არ შეიკლა საცოდავი!

— ამ ერთით იწყება ყველა უბედურება.

— ჰე, ჰე, ჰე, — ჩაიცინა არჩილმა.

— შენზე რად არ ვამბობ, — შეუტია დედამ, — შენ დიდი ხარ, რა ხანია გზა გაიკვლიე. ეს კი ბუდიდან ამოფრენას აპირებს, ფრთები ჯერ კიდევ არ გამაგრებია, ენაცვალოს დედა!..

— აბა, აბა, — გაუჯავრდა არჩილი დედას, — ეგეთები არ იყოს, გზას ადგია, ცრემლით ნუ აცილებ.

— რას ჩააცივდით დედას, — გულისწყრომით მიმართა მედიკომ ქმარს, — თუმცა რა გასაკვირია, კაცები ხომ უგულოები ხართ.

არჩილმა ალმაცერად გადახედა ცოლს.

— ჰო, კარგი, კარგი, გეყოფათ, — დაფაცურდა დედა და თვალზე მომდგარი ცრემლები შეიმშრალა, — რა იქნება მეც რომ გავაცილო?

— აბა, რა საჭიროა, — უთხრა არჩილმა, — აქ გამოემშვიდობე.

— დარჩი, დედა, — ურჩია მედიკომაც, — წუხელ მთელი ღამე არ გეძინა.

— დარჩი! — უთხრა ნოდარმა.

— დარჩი, დედა, — განაგრძო მედიკომ, — სანამ ბავშვები გაიღვიძებდნენ. მოასწრებ თვალის მოტყუებას.

— ეჰ, რა მომასვენებს, — თქვა დედამ, — ჩემი ბიჭი მიდის და...

— აბა, ნოდარ, — მიმართა არჩილმა, — წავიდეთ! — და თავად ჩემოდანსა და ფუთას წაავლო ხელი. ნოდარმა პიჯაკი ხელზე გადაიკიდა.

— ასეც ვიცოდი, — შეაჩერა ნოდარი დედამ, — პიჯაკი ახლად გაუთოებულია, ახალდაბამდე მაინც ჩაიტანე წესიერად. კი არ უნდა დაჭმუჭნო, უნდა გაუფრთხილდე. აი, ასე უნდა დაკეცო და დაი-

ჭირო, — ასწავლა, პიჯაკი წესიერად დაკეცა და შვილს ხელზე გადაუდო.

— შენ თუ გგონია ავტობუსამდე ასე დაიჭერს... — დაცინვით თქვა არჩილმა.

— უნდა დაიჭიროს.

მედიკო ჩუმად შესცქეროდა ნოდარის გამგზავრებით გამოწვეულ ფაცაფუცს. ნოდარი ერთხელ კიდევ გადაეხვია დედასა და რძალს.

— ბავშვები დამიკოცნე, — უთხრა რძალს, — სურათებს რომ გადაუღებ, გამომიგზავნე.

— წერილები ხშირ-ხშირად მოიწერე! — დაადევნა დედამ.

ნოდარი და არჩილი ბარგით ხელში რომ დაინახეს, მეზობლები გამოეფინენ, ნოდარს გამოემშვიდობნენ.

— კეთილი მგზავრობა, ნოდარ!

— აბა, შენ იცი, ნოდარ!

— გვასახელე, ნოდარ!

— ნახვამდის, ნოდარ!

ნოდარს ეხვეოდნენ, ამხნევებდნენ, მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ. დედა შეწუხდა, ამ გამომშვიდობებისას ნოდარს პიჯაკი არ დაჭმუჭნოდა.

არჩილი ძმას ავტობუსის სადგურამდე გაჰყვა, ავტობუსში ჩასვა. ნოდარს ადგილი ფანჯრის გვერდით ჰქონდა. ბარგი შოფერმა საბარგულში მოათავსა.

ავტობუსი პატარა იყო, ძველი, დანჯღრეული. მართალია, ტყავის საჯდომი გაცრეცილიყო, მაგრამ რბილი ჰქონდა.

ფანჯარასთან პატარა კაკვი იყო, ნოდარმა პიჯაკი ზედ ჩამოჰკიდა და ძმას გადახედა, ხომ არ დავჭმუჭნეო. არჩილს გაეცინა. შემდეგ ნოდარი ავტობუსიდან ჩამოვიდა და არჩილის გვერდით დადგა.

— არჩილ, სამსახურში ხომ არ გაგვიანდება?

არჩილმა საათს დახედა:

— არა, ჯერ კიდევ დრო მაქვს. მოიწერე ხოლმე.

— მოვიწერები.

— ხშირ-ხშირად მოგვაწვდინე ბარათები, ყველაფერი მოგვწერე, როგორ მოეწყობი. თუ გაგიჭირდეს, ნუ მოგერიდება.

ნოდარმა თავი დაუქნია.

— ჭკუით იყავი! — დაარიგა უფროსმა ძმამ.

— მაინც?..

— რაიონია, ღვინოს ნუ გადაჰყვები.

— შენც დედასავით დამიწყე!

— ქალებსაც ერიდე.

ნოდარს გაეცინა.

— ვეცდები! — მიუგო ღიმილით.

— წავედიიით! — წაუმღერა შოფერმა და ავტობუსში თავი შერგო. — აბა, ბილეთები მაჩვენეთ.

— ნახვამდის! — გამოემშვიდობა ნოდარი არჩილს და გადაეხვია.

არჩილმა ძმა გულში ჩაიკრა, გადაკოცნა. დამშვიდობებისას მაინც დააყოლა:

— ჭკუით იყავი!

ნოდარმა გულიანად გადაიხარხარა.

— ვიქნები, ვიქნები!

— კარგი ჯიბგირი ხარ, — თავში ჩაჰკრა არჩილმა.

— შენი მეხუთე ადგილია, არა ყმაწვილო? — დაუძახა ნოდარს შოფერმა, როდესაც სხვა მგზავრების ბილეთების შემოწმებას მორჩა.

— დიახ, მეხუთეა, — მიუგო ნოდარმა.

— შენი ადგილი დაიკავე, წავედიიით! — კვლავ წაუმღერა შოფერმა და მოტორი ჩართო.

— აბა, შენ იცი! — ხმამაღლა დაუძახა არჩილმა. ჩანდა ღელავდა, სახე წამოწითლებოდა.

სანამ ავტობუსი არ დაიძრა, არჩილმა ფეხიც არ მოიცვალა, თუმცა ნოდარი ხელს უქნევდა, რაღას დგახარო.

ავტობუსი, როგორც იქნა, თუხთუხითა და ღრჭიალით მოწყდა ადგილს.

ავტომანქანა თბილისს რომ გასცილდა, ნოდარს ძილი მოერია. ჯერ წუხანდელი ნაქეიფარი იყო (როგორ შეაწუხა დედა, ნუთუ ასე უზომოდ მთვრალი მოვიდა!), მერე ამ დილითაც ადრე წამოდგა, ამიტომ ძილი არ ეყო...

„ეს-ესაა ბუდიდან გადმოფრინდა, — ძილ-ღვიძილში მყოფს ჩაესმა დედის სიტყვები, — ფრთები ჯერ არ გამაგრებია, ენაცვალოს დედა!“..

დედა არჩილმა შეცვალა:

„კარგი ჯიბგირი ხარ...“

ახლა მათ საუბარში მედიკოც ჩაერია:

„რას ჩააცივდით დედას. თუმცა რა გასაკვირია, კაცები ხომ უგულოები ხართ!..“

შემდეგ მეზობლები დატრიალდნენ მის თვალწინ.

„კეთილი მგზავრობა, ნოდარ!..“

„გვასახელე, ნოდარ!..“

ბოლოს ყველაფერი ძილმა შთანთქა...

6

ნოდარს გამოეღვიძა. უცბად გონს ვერ მოეგო. ავტობუსი ჯაყჯაყით მიჰყვებოდა შარაგზას. სახეზე ოფლი დასხმოდა. შეიმშრალა. კაკვზე ჩამოკიდებულ პიჯაკს ესროლა მზერა. ძილის დროს თავით მისწოლოდა და ცოტათი დაეჭმუჭნა.

როგორც ჩანდა საკმაოდ ეძინა, რადგან თავი უკვე დამძიმებული აღარ ჰქონდა. ტანშიც სასიამოვნო სიმსუბუქესა, გრძნობდა, კარგი ძილისა და დასვენების შემდეგ რომ იცის ხოლმე.

— შავშვეთი, — წაიკითხა ნოდარმა გზაზე სოფლის სახელწოდება. იქვე მეორე ბოძზე ეწერა: „გორამდე 12 კილომეტრია“.

ავტობუსი ნელა მიზოზინებდა. ოდნავ აღმართშიც უჭირდა ასვლა. მგზავრები ბევრნი როდი იყვნენ. შოფერი ავტობუსს გზადაგზა აჩერებდა. ერთი რომ ვინმეს ხელი აეწია, მაშინვე ამუხრუჭებდა. თუ მგზავრი სადმე ახლოს მიდიოდა, ილანძღებოდა, განა ღირდა ამისათვის ავტობუსის გაჩერება, თუნდაც კარის გაღებაო. ხურდა ფულს კი აძლევდნენ მგზავრები, მაგრამ, ალბათ, კარგა ფული შეუგროვდა.

გორში რომ მივიდნენ, ნოდარის გვერდით ადგილი განთავისუფლდა და ეს ადგილი ახალმა მგზავრმა, წითელლოყა ქალიშვილმა დაიკავა. სამუხლო ტანის მწყერივით გოგო იყო, ასე ცხრამეტი წლის. თვალები უციმციმებდა.

— სამი ადგილია ახალდაბისაკენ, სამი ადგილია ახალდაბისაკენ! — გაიძახოდა შოფერი და სამიდან ერთი მსურველიც რომ არ გამოჩნდა, თავისებურად წაუმღერა, — მივდივააართ!..

ნოდარმა ცერად გადახედა მის გვერდით მჯდომ ქალიშვილს. სამგზავრო ფაცა-ფუცში ლოყები კიდევ უფრო ალანძოდა. შემდეგ თანდათან დამშვიდდა. ბევრი ბარგი არ ჰქონდა, მოსასხამი და პატარა ჩემოდანი. დაჯდომისას მოკლე კაბა აეწია და შიშველი მუხლები გამოუჩნდა, თეთრი, მკვრივი მუხლები. ქალიშვილმა იგრძნო ნოდარის მზერა, მოსასხამით მუხლები დაიფარა და ვაჟს ფარულად გადახედა. ერთ წუთს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალიშვილმა უცბად აარიდა მზერა და ფანჯრისაკენ გაიხედა.

— თუ გნებავთ ჩემს ადგილზე დაბრძანდით, — შესთავაზა ნოდარმა.

— გმადლობთ, ნუ შეწუხდებით! — მიუგო ქალიშვილმა ისე, რომ ნოდარისათვის არც კი შეუხედავს.

ერთხანს სდუმდნენ. ავტობუსის მოტორის თუხთუხი და მგზავრების ერთფეროვანი საუბარი ერთმანეთში გადახლართულიყო.

ავტობუსი აღმართს დაადგა. ძლივს მიბობღავდა, იფხრიწებოდა, ქშინავდა და კვნესოდა.

ქალიშვილმა მოსასხამის ჯიბიდან პატარა წიგნი ამოიღო. ერთხანს წიგნი იკითხა. როგორც ჩანდა, წიგნმა ვერ გაიტაცა, დახურა და მუხლებზე დაიდო.

გაუჭირდა ავტობუსს აღმართის დაძლევა. გამწარებულმა უფრო უმატა თუხთუხსა და ქშინვას.

— ეჰეჰეიიი!.. — გაჰკიოდა შოფერი, თითქოს ავტობუსს ამხნევებსო. ნელა, მაგრამ მაინც მილასლასებდა აღმართში მანქანა.

გორის თავს რომ მოექცნენ, დაბლა

მტკვარი აელვარდა, მზის სხივებში მოლაპლაპე მდინარე მიიკლაკნებოდა. მტკვრის მეორე მხარეს სახალხო მატარებელი გასრიალდა, უზარმაზარ გველივით მიათრევდა ტანს. ოქროსფრად მოლივლივე პურის ყანები, შორს ჰორიზონტზე აღმართული მთები, ცის დასალიერს რომ აყუდებულიყვნენ, ქართლის გაშლილი ველი ბუნების ერთ მთლიან, ულამაზეს სურათსა ჰქმნიდა.

—რა ლამაზია! — წამოსცდა ქალიშვილს აღტაცებისაგან.

— მართლაც შესანიშნავია! — დაუდასტურა ნოდარმა და მაშინვე შეეკითხა, — საით მიბრძანდებით?

— სამტრედიაში, — უხალისოდ მიუგო ქალიშვილმა. ჩანდა პასუხის გაცემა დიდად არ ეხალისებოდა, მაგრამ უცნობი ვაჟის შეკითხვაში არაფერი იყო შეურაცხმყოფელი, ამიტომ განაგრძო, — სამტრედიიდან ჩემს სოფლამდე ორმოცი კილომეტრი იქნება.

— მე კიდევ ახალდაბის რაიონში ვარ განაწილებული და აი, პირველად მივდივარ. თქვენი სოფელი ახალდაბის რაიონს ხომ არ ეკუთვნის?

— არა, მაგრამ ჩვენგან ჩვენს რაიონულ ცენტრზე ახლოს ახალდაბაა.

— საინტერესოა, — მიუგო ნოდარმა და თავად გაეღიმა. აბა, რა იყო ნათქვამში საინტერესო!

ქალიშვილმა არაფერი შეიმჩნია.

— რა დაამთავრეთ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

— ოჰო! — რაღაც სხვაგვარი მნიშვნელობით აღმოხდა ქალიშვილს, ამ შეძახილში ერთსა და იმავე დროს აღტაცებაც გამოსჭვიოდა და ოდნავი შურიც. ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — რედაქციაში ხართ სამუშაოდ განაწილებული?

— დიახ, რაიონული გაზეთის რედაქციაში.

ქალიშვილს გაეცინა.

— მეც გეკითხებით, რა... რაიონში იმ ერთი გაზეთის მეტი ჟურნალისტისათვის სხვა რა სამუშაო უნდა იყოს! აბა, კედლის გაზეთში ხომ არ წახვიდოდით სამუშაოდ?

— ალბათ საინტერესოა თქვენი სამუშაო? — კვლავ შეეკითხა ქალიშვილი.

— არ ვიცი, — გულწრფელად მიუგო ნოდარმა, — მე აქამდე მხოლოდ ვსწავლობდი ჟურნალისტობას.

ქალიშვილმა მალულად გადახედა ნოდარს. მათი თვალები ისევ ერთმანეთს შეხვდნენ. თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ფართო, უძირო, საოცრად მოუსვენარი. შემდეგ ქალიშვილმა თვალები ძირს დახარა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მეც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მინდოდა შესვლა, მაგრამ მშობლების ამბავი ხომ იცით: ნაცნობები არ გვყავსო, ისე ვინ მიგიღებსო, ტყუილაუბრალოდ წელს გააცდენო... აქ, გორში, პედინსტიტუტში ვიღაც გამონახეს...

— ყვავის ჩხიკვის მამიდა, — ჩაურთო ნოდარმა.

— სწორედ, სწორედ, ყვავის ჩხიკვის მამიდა, — განაგრძო ქალიშვილმა, — მაგრამ მე ვერც ყვავმა მიშველა და ვერც მამიდამ.

— ჩაიჭერით? — თანაგრძნობით შეეკითხა ნოდარი.

— არა, ჩაჭრით არ ჩავჭრილვარ, ქულები არა მეყო... ფიზიკა და ქიმია არასოდეს არ მისწავლია ხუთებზე. არ მიყვარდა ეს საგნები. ყვავის ჩხიკვის მამიდა კი ბიოლოგიურზე აღმოჩნდა... აი, მშობლიურ ლიტერატურაში კი ხუთიანი მივიღე.

— რა უჭირს, — ანუგეშა ნოდარმა. — გამოცდილება ხომ მიიღეთ, ერთი წელი არაფერია...

— არც მე ვდარდობ, — დაეთანხმა ქალიშვილი, — ბიოლოგიურზე სწავლას ერთი წლის გაცდენა მირჩევნია.

— რასაკვირველია, თუკი ჟურნალისტობა ასე გიტაცებთ.

— ოცნებად მაქვს გადაქცეული... რომ შემეკითხოთ, რატომაო, გამიჭირდება პასუხის გაცემა. გაისად კარგად

მოვემზადები და ჟურნალისტიკაზე ჩავაბარებ. იქამდე კოლმეურნეობაში წავიმუშავებ, დედ-მამას წავეხმარები.

—წარმატებას გისურვებთ!

ქალიშვილმა ცერად შეხედა ვაჟს და უფრო გაუთამამდა:

— ძნელია ჟურნალისტიკაზე მისაღები გამოცდების ჩაბარება?

— როგორ გითხრათ, მთავარია წერა გეხერხებოდეთ. სხვა მხრივ ისევეა, როგორც ფილოლოგიურზე.

— საგამოცდოდ ლიტერატურაში რას წერენ, თავისუფალ თემებს ხომ არა?

— თავისუფალსაც წერენ, წინასწარ შემუშავებულ თემებსაც.

— თუ გახსოვთ თქვენ რა დასწერეთ? — დაინტერესდა ქალიშვილი.

— როგორ არ მახსოვს. თავისუფალი თემა ავირჩიე, „თქვენი საყვარელი გმირი", ცოტნე დადიანზე დავწერე.

— უჰ, ალბათ სწავლაც რა სახალისოა!

— არის სახალისო საგნები, არის მოსაწყენიც, როგორც ყველგან.

— წერასაც გასწავლიან?

— აბა, როგორ. მესამე კურსიდან პრაქტიკა იწყება, რომელიმე გაზეთის ან ჟურნალის რედაქციას მიგამაგრებენ. რედაქცია დავალებებს მოგცემს. საწარმოდან, ან დაწესებულებიდან რეპორტაჟი უნდა მოიტანო. თუ მოეწონათ, დაბეჭდავენ კიდეც. ჰონორარსაც გამოსწერენ.

— თქვენ დაგიბეჭდავთ წერილები ცენტრალურ პრესაში?

— დამიბეჭდავს.

— რა გვარი ხართ?

— ნოდარ ბერიძე.

— ნოდარ ბერიძე? — გაიმეორა ქალიშვილმა.

ნოდარი თავიდანვე ვერ მიხვდა, თუ ქალიშვილი რად დააინტერესა მისმა გვარმა. რომ მიხვდა, დაიმორცხვა.

— ჩემი სახელი და გვარი რა სახსენებელია. ორიოდე უმნიშვნელო წერილი თუ დამიბეჭდავს.

— ნამდვილად საამაყოა შენი გვარი გაზეთში რომ გამოჩნდება.

— ალბათ... — დაეთანხმა ნოდარი.

— ეჰ, ჩემიანებს რა ვუთხრა, — წამოცდა საყვედური ქალიშვილს, — არ დამიჯერეს, უნაცნობოდ უმაღლესში ვინ მიგიღებსო. ნეტავი მათთვის ყური არ მეგდო და თბილისში წამოვსულიყავი.

— ნამდვილად უნდა გაგებედათ!

— სათქმელად იოლია, — თანდათან გაუთამამდა ქალიშვილი, — გოგო რომ არ ვყოფილიყავი, კიდევ ჰო, გავბედავდი.

— იქაც გამონახავდით ყვავი ჩხიკვის მამიდას.

— ალბათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ არ დამჭირდებოდა.

— ასე რომ თბილისში არ ყოფილხართ?

— მაინც მოვახერხე და გორელ ყვავის ჩხიკვის მამიდისაგან ფარულად თბილისი მოვინახულე. გორში გამოცდები რომ დავამთავრე, იმის მეორე დღეს, ადრე დილით მატარებელში ჩავჯექი და მთელი დღე თბილისში ვიხეტიალე. საღამო ხანს უკან გამოვბრუნდი.

— მოგეწონათ თბილისი?

— თქვენ თბილისელი ხართ? — შეკითხვითვე მიუგო ქალიშვილმა.

— ჰო, თბილისელი ვარ.

— ძალიან, ძალიან მომეწონა თბილისი, — განაგრძო ქალიშვილმა, — დიდი ქალაქი მაინც სხვაა. არც დავბნეულვარ. თუმცა გზაზე ერთი ჩვენი სოფლელი ბიჭი შემხვდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი. ზაფხულს მშენებლობაზე დაეტოვებინათ.

— შეგხვდათ თუ?..

ქალიშვილმა ალმაცერად გადახედა, წარბები აშვილდა.

— თქვენთან დასაფიცი რა მაქვს. მოულოდნელად შემომხვდა. ბევრი მატარა, ძველი თბილისიც მაჩვენა, ახა-

ლიც. მთაწმინდაზეც ვიყავით. საღამოხანზე მატარებლამდე მიმაცილა.

— გორში თქვენებს რა უთხარით?

— რა უნდა მეთქვა. ვუთხარი, ინსტიტუტში დავალამე-მეთქი. დამიჯერეს.

— მოატყუეთ?

— მე ხომ ცუდი არაფერი ჩამიდენია. რომ მეთხოვა, მარტოს არ გამიშვებდნენ, მათთან ერთად კი წასვლა არ მინდოდა. ყვავის ჩხიკვის მამიდა მთელი დღე მაღაზიებში საყიდლებზე ივლიდა, მე რაღას ვნახავდი. სიამოვნების მაგივრად დამტანჯავდა.

— მაღაზიებში ხომ მაინც შეიჭვრიტეთ?

— არც უამისობა იყო, მაგრამ სახარბიელო ბევრი ვერაფერი ვნახე.

— ესეც შეამჩნიეთ? რა ყოჩაღი ყოფილხართ...

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა.

ავტობუსი ქართლის დაბლობში რახრახით მიჰქროდა. სწორი გზა იყო და სვლა არ უჭირდა. შოფერს, როგორც ჩანდა, ავტობუსის წამდაუწუმ გაჩერება მობეზრდა, თანაც გორში ახალი მგზავრები საკმაოდ მოაგროვა, ამიტომ უჩერებლივ მიაჭენებდა მოასფალტებულ გზაზე თავის დანჯღრეულ მანქანას. ავტობუსმა თავი ლაღად იგრძნო, ქშინვას უკლო, ბორბლებშიც თითქოს ქარი ჩაუდგა. უკანიდან მომავალი ყველა მანქანა ასწრებდა. ამოდენა გზაზე მხოლოდ ერთი, ლაფეტმობმული, აგურით პირამდე დატვირთული საბარგო მანქანა დაჯაბნა. სანამ გაასწრებდა, შოფერმა საყვირით იქაურობა აიკლო.

ნოდარმა ქალიშვილს გადახედა. ქალიშვილს ჩასძინებოდა. მოსასხამი ჩამოცოცებოდა. ნოდარმა ფრთხილად ასწია მოსასხამი და ქალიშვილს მუხლებზე გადააფარა. ქალიშვილი შეიშმუშნა, მაგრამ არ გაღვიძებია. საოცარია, ასე უცბად როგორ ჩაეძინა. ახლახან არ ლაპარაკობდნენ?

ნოდარმა ავტობუსის სარკმელში გაიხედა. გზის პირად, ერთმანეთზე მიყოლებით ბაღები იყო გადაჭიმული, ვაშლის ნაყოფით დახუნძლული. საცაა ვაშლი შემოვიდოდა.

შარაგზაზე დიდი მოძრაობა იყო. ან საიდან მოდიოდნენ, ან საით მიდიოდნენ ამდენი მანქანები! ნოდარმა ერთხანს კიდევ უცქირა ქართლის ველებს, შემდეგ კვლავ ქალიშვილს გადახედა. ქალიშვილს ღრმა ძილით ეძინა, მშვიდად სუნთქავდა.

ავტობუსში სხვებსაც ეძინათ, მხოლოდ აქა-იქ საუბრობდნენ. ნოდარმა ძალაუნებურად მათ საუბარს ყური დაუგდო.

მათ უკან, როგორც ჩანდა, ცოლ-ქმარი ისხდნენ.

— შენი ბრალია, — ეუბნებოდა ქალი კაცს, — იასონისათვის არ უნდა დაგეჯერებინა. გაგონილა, მაგან ვისმეზე თავი შეიწუხოს.

— აბა, რა ვიცი, ქალო, — ბუტბუტებდა ბოხი ხმა, — კაცია, ქუდი ხურავს. ვენდე. აღარ ყოფილა ამ ქვეყნად სამველი და ესაა!

— არ იცოდი თუ!..

ბოლო სავარძელში მსხდომი ორი მამაკაცი ღვინის სმის თაობაზე დავობდნენ:

— კაცო, თამადამ რომ ყანწი გადმოგილოცა, რად აიცდინე?

— როდის ავიცდინე! ბოლომდე რიარიით არ დავლიე. ჩემი შენ გითხარიო, ისე მოგდის.

— გადამრევს ეს კაცი... ვინ იჯდა სუფრაზე გამთენიამდე?

— ჯდომას რა ჭკუა აქვს. რომ დავსხედით, ყველა ჰიქას არა სცლიდი და რაღა გამთენიას გამოიდებდი თავს?...

მესამეგან ღედაბერი წუწუნებდა:

— დარეჯან, უთხარი შენს ქმარს, ჭკუით მოიქცეს, ასე არვარგა, ნენა.

— განა მიჯერის...

— უნდა დაგიჯეროს, ნენა, ასე როგორ შეიძლება, ქვეყანას სამასხაროდ ჰყავს...

ნოდარმა გამოიძინა, მაგრამ ისევ მოერია რული. მგზავრების საუბარი ერთმანეთში აირია. ველარ გაიგო, ვინ ვის

ედავებოდა, ვინ ვის ეტრაბახებოდა. ბოხი ხმა, ნენაო, გაიძახოდა, ხოლო დედაბერი თავს იწონებდა: ბოლო ყანწი მხოლოდ მე გამოვცალეო...

7

ნოდარი ძლიერმა შერყევამ გამოაღვიძა. ახლა უცბად მოეგო გონს. ქალიშვილისაკენ გაიხედა. ქალიშვილსაც გამოღვიძებოდა, ძველი მეგობარივით გაუღიმა.

— სადა ვართ? — იკითხა ქალიშვილმა.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ნოდარმა.

— ჩუმათელეთში, სურამს გავცილდით — მიუგო მათ უკან მჯდომმა სქელულვაშა მამაკაცმა. ახალი მგზავრი იყო.

— კარგად გამოიძინეთ, — გაუღიმა ქალიშვილმა.

— თქვენ რომ ჩაგეძინათ, მეც ძილს მივეცი თავი, — თითქოს ბოდიშობსო, ისე უპასუხა ნოდარმა.

— გამოდის, რომ ჩემი ხათრით დაგიძინიათ, — გაეცინა ქალიშვილს.

— ყოველ შემთხვევაში, მოსაუბრე რომ ძილმა გამომაცალა ხელიდან, მეც მის ნებას დავყევი და...

— ამდენს რაღას ვუცდით, აღარ მივდივართ! — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა სქელულვაშა ახალმა მგზავრმა და შოფერს გასძახა, — ჰეი, მძღოლო, არ დაგაღდგება საშველი!

ავტობუსის შოფერი ტომრიან გლეხებს ევაჭრებოდა და სქელულვაშას ძახილისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ექვსი ტომარა ექვსი კაცის ადგილს იკავებს, — უმტკიცებდა შოფერი გლეხებს, — სამიც თქვენა ხართ, სამი და ექვსი ცხრაა, ცხრა კაცის ბილეთის ფული მომეცით და მოვრჩეთ.

— ძვირია!

—ცეცხლის ფასია!

— თითო ტომარა თითო კაცად გაგონილა! — ბუზღუნებდნენ გლეხები.

— მაშინ მოიკიდეთ ზურგზე ეგ თქვენი ტომრები და აუყევით ამ აღმართს.

— ეგ რომ შეგვეძლოს...

— მაშ, რას იძლევით? — ცოტათი მოლბა შოფერი.

— სამი ჩვენა ვართ და ერთ კაცად ტომრები მიგვითვალე.

— თავი ხომ არ გტკივათ! — ხელი აიქნია შოფერმა.

— ნეტა შენ რა ძალა გადგია, — უმტკიცებდნენ გლეხები, — ჩავყრით ტომრებს, მანქანა წაათრევს, შენ საჭელა ატრიალე...

— ერთი ამათ დამიხედეთ! — იყვირა შოფერმა, — მერე ბენზინი, საბურავები, ამორტიზაცია?.. — შემდეგ ხმას დაუწია, ჩანდა არ უნდოდა გლეხების ასე იოლად ხელიდან გაშვება, — ჰა, სამი თქვენ და ტომრებსაც ხუთ კაცად ჩაგითვლით, ეგეც თქვენი ხათრით, მშრომელი ხალხი ხართ.

კიდევ დიდხანს იყაყანეს, ივაჭრეს. ბოლოს, როგორც იქნა, ფასზე მორიგდნენ. გლეხებმა ტომრები ავტობუსის საჯდომების ქვეშ შესდეს, თავად კი ბოლო სავარძელზე ჩამომწკრივდნენ.

— აბა, წავედიიით! — წაუმღერა შოფერმა და მოტორი ჩართო.

მოტორი ერთხანს გაჭირვეულდა, შემდეგ ათუხთუხდა, აღმართს კვნესით, ბუხბუხითა და ღრჭიალით აჰყვა. გზა გველივით მიიკლაკნებოდა. უჭირდა ავტობუსს აღმართის დაძლევა, ძლივს მიფოფხავდა, ქაქანსაც უმატა. უფსკრული ხან მარჯვნივ დაალებდა ხახას, ხან მარცხნივ. ავტობუსიც ხან მარჯვნივ გადაქანდებოდა, ხან მარცხნივ.

დიდი წვალებითა და ჯახირით ავტობუსმა, როგორც იქნა მოილია აღმართი და თავქვე დაეშვა.

— გამარჯობა, იმერეთო! — ხმამაღლა დაიძახა სქელულვაშამ, — წინათ აქ რომ ფეხს შედგამდი, კენჭი უნდა გადაგეყლაპა.

— ეს წინათ იყო, ბიძა, — შეეპასუხა შუახნის კაცი, — ახლა თვითმფრინავით უფრო ჩქარა მოივლი ნახევარ მსოფლიო

ის, ვიდრე ამ ჯაბახანით ახალდაბაში ჩახვალ.

— ყოფილხართ ამ გზაზე? — შეეკითხა ქალიშვილა ნოდარს.

— ფეხითაც მომივლია აქაურობა,— მიუგო ნოდარმა, — სტუდენტობის დროს.

— ექსკურსიით?

— არა, პრაქტიკაზე ვიყავით. უცნაური კაცია ჩვენი პროფესორი. დავალება მოგვცა ასეთი, ტყის შესახებ რამე დაწერეთო. შეგვაჯიბრა კიდეც ერთმანეთს.

— თქვენ რა დაწერეთ?

— სწორედ ასეთი დრო იყო. ამ ტყეში ორი ხე ვნახე, რომლებიც ერთმანეთს ტყუპებივით შეზრდოდნენ, ტოტებიც ერთმანეთში გადაეხლართათ. საოცარი იყო, არაფერი ამის მსგავსი არასოდეს არ მენახა.

— რა დაწერე? — თავისთავად „შენობით“ მიმართვაზე გადავიდა ქალიშვილი.

— კარგად აღარ მახსოვს. ხეების სიყვარულზე დავწერე, მათ ერთგულებაზე, იმაზე, თუ როგორ იტანენ ერთად გასაჭირსა და სიხარულს, თუ როგორ უყოფენ სიყვარულსა და საკვებს, თუ როგორ იზრდებიან ერთად და, ალბათ, ერთად დაეცემიან ბედთან ჭიდილში.

— საინტერესოა, — ჩურჩულით თქვა ქალიშვილმა.

ავტობუსმა სვლას მოუჩქარა, ყოველ შესახვევთან საყვირით აყრუებდა იქაურობას. ერთგან ძველ „ზაპოროჟეცსაც“ გაუსწრო, რამაც მგზავრებს შორის აღტაცების საერთო ყიჟინა გამოიწვია.

— მივქრივაართ!.. — ჩაიმღერა კმაყოფილებით შოფერმა და სვლას უმატა.

— შენ ახლა მეტისმეტს ნუ მოინდომებ, — გასძახა შოფერს სქელულვაშამ, ცხვრის ამბავი არ დაგემართოს, მგელს რომ შეეჯიბრა.

— მერე, რა მოუვიდა იმ ცხვარს? — შეეკითხა შოფერი.

— რა და მგელმა შეჭამაა! — შოფერივით წაუმღერა სქელულვაშამ.

ნოდარი და ქალიშვილი ერთხანს უხმოდ ისხდნენ. შემდეგ სიჩუმე ნოდარმა დაარღვია:

— ამდენი ხანია ერთად ვმგზავრობთ და ჯერ ერთმანეთი არ გაგვიცნია. ჩემი სახელი იცი, ახლა შენიც მითხარი.

— აბა, თუ გამოიცნობ? — ეშმაკურად თვალი მოჭუტა ქალიშვილმა.

— მე რა ვიცი, ქალის ყველა სახელს რა ჩამოთვლის.

— გეზარება?

— არა, მეძნელება

— მაინც ჩამოთვალე.

— ვიწყებ. თამარი.

— არა.

— ქეთევანი,

— არა.

— ლეილა,

— არა.

— მედეა, ნათელა, ელენე.

— არა, არა, არა.

— ჩვენებური სახელი კი გქვია?

— ჰო, ყველაზე პატარა სახელი.

ლიაო, ენაზე მოადგა ნოდარს, მაგრამ არა თქვა.

— მე და პაწაწინა ყვავილს ერთნაირი სახელი გვქვია, — უთხრა ქალიშვილმა.

— აქამდე გეთქვა.

— გამოიცანი?

— აი ია, ია აი...

— ძლივს არ მიხვდი.

— ვიშ რა კარგია,
რა ლამაზია
პატარა ია...

— ეს ლექსი მეც ვიცი.

— ლამაზი სახელი დაურქმევიათ შენთვის.

— მართლა მოგწონს?

— მე ჩემი თანამგზავრისა ყველაფერი მომწონს.

იამ წარბები გაბრაზებით აშვილდა, ხმა არ გაუცია.

— მე სიმართლეს ვამბობ, — დაუმატა ნოდარმა:

არც ახლა გასცა ხმა იამ. ნოდარი უფრო გაუთამამდა, ეგონა, იმიტომ გამიყუჩდა, სიმორცხვემ დასძლიაო.

ბიბლიოთეკა

— თუ გინდა დავიფიცებ.

აქ კი იამ ვერ მოითმინა:

— ნუ მაიძულებ სხვაგან გადავჯდე. ხომ ხედავ ადგილები თავისუფალია.

— განა რომ გითხარი მომწონხარო, არ ცხრებოდა ნოდარი, — ამით შეურაცხყოფას გაყენებ?

— აბა რა, — აიყალყა ია, — რა უფლებით მელაპარაკები, ასე, ისეთი რა საბაბი მოგეცი, რომ ამას მკადრებ...

— მომიხმინე, — სხაპასხუპით მიმართა ნოდარმა, მიხვდა, რომ ია გადაჯდომას აპირებდა, — მე ისეთი რა გკადრე, რაც ვაჟს ლამაზი ქალიშვილისათვის არ ეთქვას.

— პირველ გაცნობისთანავე?

— გეფიცები, დამიჯერე, სულ არ მინდოდა შენი წყენინება, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, რომ დანახვისთანავე...

იამ სიტყვა შეაწყვეტინა:

— დღეს რომ საერთოდ არ წამოვსულიყავი, ან სხვა ავტობუსზე დავმჯდარიყავი, ან შენს გვერდით არ მოვმხვდარიყავი, მაშინ?

— მაშინ ჩემს საოქმელს სხვა გეტყოდა.

— ჩემზე ასე ცუდად რად ფიქრობ?

— გაუწყრა ია, — ვინ გგონივარ!.. და საერთოდ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

ია სხვაგან არ გადამჯდარა, სამაგიეროდ დამუნჯდა.

— არ უნდა გამიბრაზდე... — როგორც იქნა ხმა ამოიღო ნოდარმა.

იამ პასუხი არ გასცა, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. ჩანდა, კითხვა დიდად არ ეხალისებოდა. წიგნი თუ იყო უინტერესო, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს წიგნმა გამიტაცაო.

ავტობუსი შეუჩერებლად მიჰქროდა დაკლაკნილ გზაზე და ყოველ მოსახვევში გაჰყვიროდა. როგორც იქნა, გავიდა სწორ შარაზე და იმერეთის დაბლობებს გაჰყვა ჯაყჯაყითა და ხვნეშით.

ნოდარს თავად უკვირდა ასეთი გაბედულება. ნუთუ ლიას სიტყვებმა გახადა ასეთი, დამშვიდობებისას რომ უთხრა: „ცხოვრებაში ჩემზე უკეთესს შეხვდები, რომელიც სიხარულსა და ბედნიერებას მოგიტანსო"... ლიაზე გაბრაზებული აქ ხომ არ ეძებს თავის ბედნიერებას. თანაც იას სიმკაცრემ გაახარა. იგი იმდენად კარგი ჩანდა, ასე იოლად რომ აჰყოლოდა, ეგებ, იოლი გამარჯვება ერთ წუთს გახარებოდა, მაგრამ მაშინ ია ფასს დაჰკარგავდა. ლია... ია... ამიტომ აღარ ცდილა თავი მოეზეზრებინა, სიჩუმე და მოცდა ირჩია.

იამ ერთხანს კიდევ იკითხა წიგნი, მაგრამ დიდხანს გული ვერ დაუდო, დახურა, თანაც ზესტაფონში შევიდნენ.

— მაპატიე, ია, — მაინც დაარღვია დუმილი ნოდარმა, — ახალგაზრდა ჟურნალისტი ნოდარ ბერიძე შენდობასითხოვს.

იამ ცერად გახედა ნოდარს, ხომ არ დამცინისო, მაგრამ ვაჟის თვალებში მონანიების სიგულწრფელე იგრძნო, ამიტომ აღარ გაკერპებულა და მშვიდად მიუგო:

— ნამდვილად არ მიყვარს ასეთი რამ.

— მივხვდი, მივხვდი.

— უცნობისათვის ასე არ უნდა მოგემართა.

— ზესტაფონიიი! — ჩაიძღერა შოფერმა და ავტოსადგურთან მანქანა დაამუხრუჭა, — აბა, ვინც ჩამოსასვლელია, დროზე ჩამოდით, წინ კიდევ დიდი გზა გვიდევს.

ორი მგზავრი ჩამოვიდა. სამაგიეროდ ექვსი ამოვიდა. შოფერს თვალები აუციმციმდა და ახალ მგზავრებს მიუბრუნდა:

— ჩქარა მოეწყვეთ!

— სული ამოგვათქმევინე, შე კაცო! — უთხრა შოფერს ჩაბალახიანმა მგზავრმა, რომელმაც მძიმე ხურჯინი ავტობუსში ძლივს ამოათრია.

— ჩქარა, ჩქარა, — სულსწრაფობდა შოფერი და ყველანი რომ ჩალაგდნენ, თავისებურად წაუმღერა, — აბა, წავედიიიი!..

ზესტაფონს რომ გასცილდნენ, ნოდარმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო-

— არ მეგონა ჩემს ხუმრობას სხვაგვარად თუ მიიღებდი.

— მაშ, როგორ... — სერიოზულად მიუგო იამ, — უცნობს გზაზე გულწრფელად გესაუბრე, განსაკუთრებით შენმა ჟურნალისტობამ დამაინტერესა. ბავშვობიდან მიტაცებს ეს პროფესია, შენ კი...

— ჰო, კარგი! — დაუყვავა ნოდარმა.

— მაგისთანა გოგოებიც ბევრია ამ ქვეყნად, მარტო ქალაქში როდია, სოფლადაც ბლომადაა. გაუთამამებიხარ ქალაქელ ქალიშვილებს...

კვლავ ლია წარმოუდგა თვალწინ ნოდარს, გაუთამამებივარ კი არა და...

— ვაჟების ამბავი მაინც არ ვიცოდე, — განაგრძო იამ.

— განა ასეთი გამოცდილი ხარ? — ფრთხილად შეაპარა ნოდარმა, გულში კი გაივლო: „რაღა სულ გამოცდილი ქალიშვილები მხვდება“...

— კიდევ! — წარბები შეიკრა იამ.

— ჰო, გავჩუმდები, პირში წყალს დავიგუბებ, განა შეიძლება ყველაფერზე ასე გაბრაზება! ვხედავ, ვხედავ, რომ სერიოზული ქალიშვილი ხარ.

— მაშინ ასეთი ლაპარაკი რად დამიწყე?

— რა ვიცი... — შეყოყმანდა ნოდარი.

— ანკესი ისროლე, ეგებ ღლავი მოჰყვესო, არა?

— არა, — სერიოზულად მიუგო ნოდარმა, — მე ღლავებს არ ვეძებ.

— რატომ არ უნდა ეძიო, სადაც წაასწრებ, ხელი ჩაავლე, არ არიან დასანდობნი. ყველა უბედურების მიზეზი ქალია.

— ასეთი რამ სად ამოიკითხე?

იას გაეცინა. გაეცინა ნოდარსაც.

— ზავი!

— ზავი იყოს! — დაეთანხმა ია.

— მტკიცე ზავი.

— აგაშენოს ღმერთმა! ასე არ სჯობია, თორემ ვიფიქრე, ამას ვის გადავეყარე-მეთქი.

ნელი ხმით საუბრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გაცნობილები იყვნენ, სასაუბრო მაინც არ ელეოდათ. საუბარში დრო ისე გაეპარათ, შეუმჩნევლად ქუთაისის გარეუბანში აღმოჩნდნენ.

— სავარდო და სამაისო ქუთაისიიი! — წაიმღერა შოფერმა, — გაჩერება ოცი წუთი!

მგზავრები ავტობუსიდან ჩამოვიდნენ, გაიარ-გამოიარეს, მუხლი გაშალეს. ნოდარმა შეფარვით შეხედა იას. ფეხზე მდგარ ქალიშვილს სხეულის ჩამოქნილი ნაკვთები უფრო გამოკვეთით მოუჩანდა. ბევრი იყო იაში მიწიური, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე; ეს მისი აწითლებული ლოყები, მაღალი მკერდი, თუ მოუსვენარი თვალები, რომელიც შეზავებული იყო ქალურ კდემამოსილებასთან და სინაზესთან. ნოდარს გულში ჩაეცინა, ბედად თუ ერგო მაღალმკერდიანი ქალიშვილები!..

ქუთაისში ცხელოდა, ამიტომ ნაყინით პირი გაიგრილეს და ავტობუსს მიაშურეს. მალე შოფერიც გამოჩნდა ლუკმალუკმის ღეჭვით. თავისი მრევლი შეკრებილი დახვდა, ამიტომ ოცი წუთის გასვლას არ დაელოდა, ადრე დაძრა ავტობუსი.

ნოდარი და ია ახლა უფრო გაუშინაურდნენ ერთმანეთს. ამ მთისა თქვეს, იმ ბარისა. წაკითხული წიგნები გაიხსენეს, საინტერესო კინოსურათები მოიგონეს.

— სამტრედიააა! — სხვაგვარი ხმით ჩაიმღერა შოფერმა.

რა სწრაფად გაუვლიათ გზა, არც კი შეუმჩნევიათ.

— აი, სადაცაა დაგტოვებ, — უთხრა იამ.

— ხომ მომცემ უფლებას მოგინახულო? — შეეკითხა ნოდარი.

— რა საჭიროა!

„მართლაც რა საჭიროა“, — გაიფიქრა ნოდარმა, მაგრამ სხვა რამ უთხრა:

— ახლა ამაზე გამიჯავრდი, რა გოგო ხარ!

— ჩვეულებრივი.

— რომელია შენი სოფელი? — მაინც არ მოეშვა ნოდარი, რადგან დაიწყო, თავი ვერ შეიკავა.

— კორდმაღალი ჰქვია, ახალდაბის რაიონს ესაზღვრება.

— კორდმაღალი, — გაიმეორა ნოდარმა, — ლამაზი სახელი რქმევია.

— დაიმახსოვრებ თუ უბის წიგნაკში ჩაიწერ?

— კორდმაღალს რა დამავიწყებს. წერილს მოგწერ.

— ახლა წერილი...

— უფ, გადამრევს ეს გოგო.

— თბილისელმა გოგოებმა ვერ გადაგრიეს და სოფლელი გოგო გინდა გამაბრიყვო?

„გადამრიეს, ია, გადამრიეს“ — გულში მიუგო ნოდარმა.

— შენი მისამართი როგორ დავწერო.

— ქალაქი ხომ არ გგონია, წერილს რომ მიგზავნიან, უბრალოდ მწერენ: ია ჩხიკვაძეს საკუთარ ხელშიო.

— ია ჩხიკვაძე კორდმაღალში სხვა არ არის?

— არ არის. ფრთხილად იყავი, თბილისელ გოგოებში არ შეგეშალო და სხვისთვის გასაგზავნი წერილი მე არ გამომიგზავნო.

— ასეთი კარგი ია სხვაში როგორ შემეშლება.

„მაინც რა მომდის, — გაუბრაზდა თავის თავს ნოდარი, — ნეტავი როდის გავხდი ასეთი!“

— კიდევ დაიწყე! — თითქოს გაუბრაზდა ია, მაგრამ, ჩანდა, ეს სიბრაზე უფრო მოჩვენებითი იყო და წელანდელ სიმკაცრეს სრულიად არ ჰგავდა.

— შენს წერილს არავინ გახსნის? — შეეკითხა ნოდარი.

— ფოსტაში მეგობარი მყავს, ის მინახავს.

— მაშ წერილები ხშირად მოგდის?

— გამოყრუებული ხომ არ გგონივარ.

— ნეტავი ვინა გწერს ამდენ წერილს?

— ნუ გაიჭირე საქმე, რა იცი რამდენ წერილს ვღებულობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩიტმა მითხრა.

— თბილისელ ჩიტს აქაურობისა არაფერი ეცოდინება, ჩვენებური კი ჩემია და არ გამცემს.

ავტობუსი ავტოსადგურთან შეჩერდა.

— გაჩერება ათი წუთიიი! — წაიმღერა შოფერმა

ნოდარმა ია გააცილა. ჩემოდანი წაუღო. ერთხანს ასე იდგნენ.

— წავედი, ავტობუსმა არ გაგასწროს, — უთხრა იამ.

— უჩემოდ სად წავა.

— ხომ იცი შოფრების ამბავი.

— განა ათი წუთი გავიდა?

— არა, მაგრამ... სადაცაა ჩვენი ავტობუსიც გამოჩნდება. აი, იქ დგება, — ანიშნა იამ.

— ბევრი ხალხი არა ჩანს.

— ნაცნობებს მოვკარი თვალი. უხერხულია ასე რომ ვდგავართ. ნახვამდის, ნოდარ! — თბილად დაემშვიდობა ია.

— ნახვამდის, ია!

— მივდივაააროთ! — დაიძახა ნოდარის ავტობუსის შოფერმა და ნოდარს ხელი დაუქნია, — მოდიხარ თუ რჩები?

— მოვდივარ, — მიუგო ნოდარმა.

— წადი, ნოდარ, — ტკბილი ხმით უთხრა იამ.

— ჩაჯდომას გიშველი.

— რა საჭიროა, იჩქარე, ხომ ხედავ შენი შოფერი ხელს გიქნევს.

— კარგად იყავი ია, მოგინახულებ.

ია თავის ავტობუსში ჩაჯდა, ნოდარი თავის ავტობუსში ავიდა.

— შენს ლოდინში ჩემი მგზავრები დაწყდნენ, — საყვედური შეაგება შოფერმა, — რა იყო მაინც, რომ იმ გოგოს ვეღარაფრით მოშორდი?

— არა უჭირს რა, ბიძია, — ყველას მაგივრად უთხრა სქელულვაშამ, — მთლად ასე კი არაა საქმე, ჩვენც ვყოფილვართ ახალგაზრდები!

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა ნოდარმა.

— შენი რაა ის ქალიშვილი? — შეეკითხა ყაბალახიანი მამაკაცი.

— არაფერი, ბატონო,— თავაზიანად მიუგო ნოდარმა.

— არაფერია, შემდეგ რომ ყველაფრად იქცევა ხოლმე, — ჩაიქირქილა სქელულვაშამ.

მგზავრები ახარხარდნენ.

— წავედიიით! — წაიმღერა შოფერმა და ავტობუსი ადგილიდან დაძრა, — უკანასკნელი გადასარბენიც და...

8

ავტობუსი მოედნის კუთხეში გაჩერდა.

— მივედიიით! — მხიარულად წაიმღერა შოფერმა და მგზავრებს ამაყად გადახედა, — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თქვენგან მადლობა მერგება.

— რაში გერგება, — შეეპასუხა სქელულვაშა, — იმაში ხომ არა, რომ შენი ჯაბახანა გავაპატიოსნეთ?

— სახუმარო საქმეა, ამოდენა გზაზე მშვიდობიანად რომ გატარეთ.

მგზავრები გასასვლელს ეცნენ.

— რაღას ჩქარობთ, — გაეცინა შოფერს, — ამის იქით აღარსად მივდივართ.

შოფერმა საბარგული გახსნა და თბილისიდან წამოსულ მგზავრებს ბარგი გადმოულაგა: ნოდარმა ბარგი გამოართვა და შოფერს მიმართა:

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, სასტუმრო სად არის?

— ამის ზრდილობამ მომკლა! მხარზე ხელი დაჰკრა შოფერმა ნოდარს და მოედნის ბოლოში მდგარი აგურის ძველი ორსართულიანი შენობა დაანახა, — აი, სასტუმრო ეგ არის.

ნოდარი სასტუმროსკენ გაემართა. ლოგინისა და ჩემოდნის თრევა ისე არ გაუჭირდა, როგორც ბადურასი, სადაც დედამ ამ დილით საგზალი ჩაუდო. ხან ერთ მხარეს გადავარდებოდა, ხან მეორე მხარეს, წესიერად ხელზე ვერ მოირგო.

შუა გზაზე ბარგი დაუმძიმდა, მაგრამ ერთხელაც არ შეუსვენია. მტკიცედ გადაწყვიტა, სასტუმრომდე დაუსვენებლად მიეტანა და ახლა რაც არ უნდა დაუჯდეს, გადაწყვეტილება უნდა შეასრულოს.

ოფლმა დაასხა. აბა, რა აუცილებელი იყო ბარგი შეუსვენებლად წაეღო, მაგრამ რომ თქვა, მოკვდება და მაინც გააკეთებს.

როგორც იქნა ბარგი სასტუმრომდე მიათრია, შესასვლელთან დასდო, შვებით ამოისუნთქა, წელში გაიმართა, ცხვირსახოცით სახეზე წურწურით ჩამომდინარე ოფლი შეიმშრალა და ერთხელ კიდევ გადახედა შემოგარენს.

როგორც ჩანდა, ახალდაბის ყველა ცენტრალური დაწესებულება ამ მოედანზე იყო თავშეყრილი. ის დიდი, თაღებიანი შენობა ან კულტურის სახლი ან კინოთეატრი. ეგერ. ახალი სამსართულიანი შენობა უეჭველად რაიკომი და რაიაღმასკომი იქნება. ახალდაბა დაბლობზე იყო გაშლილი, შორს გორაკები და გურიის მთები მოჩანდა.

ნოდარი სასტუმროში შევიდა.

ეგებ, ოდესღაც, სასტუმროს შესასვლელი და მისაღები წესიერად გამოიყურებოდა, ახლა კი საცოდავი შესახედი იყო. კედელზე ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების ასლი მიეხატათ. ასლების შემსრულებელი ადგილობრივი, გამოუცდელი მხატვარი თუ იყო. რაღაც, საოცრად არაბუნებრივად იდგნენ ვეფხისტყაოსნის გმირები: ტარიელის ტაიჭი უფრო ვირსა ჰგავდა, ხოლო წყლის პირად მჯდარ ტარიელს სახე ისე დაღმანჭოდა, ვერ გაიგებდით, ტიროდა თუ იცინოდა. მხოლოდ თვალთავან ღვარად გამომდინარე არაბუნებრივი ცრემლი თუ უმტკიცებდა მნახველს, რომ ტარიელი ნამდვილად „ჯდა მტირალი წყლისა პირსა". სურათებს დრო-ჟამისა და ნესტის კვალი ემჩნეოდა, გამოხუნებულიყვნენ, გაცრეცილიყვნენ ბათქაშიც ალაგ-ალაგ ჩამოცვენილიყო. თინათინს წელი მოწყვეტილი ჰქონდა. ნესტან-დარეჯანი ცალთვალა და ცალხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა გამოიყურებოდა. ლომი და ვეფხვი კატის კნუტებს ჩამოგავდნენ და ძნელად გაარჩევდით, თუ რომელი იყო მათ შორის ნადირთა მეფე და რომელი ნადირთა შორის ულამაზესი, უვერაგესი და უმშვენიერესი...

იმ ჯიხურს იქით, რომლის თავზე „ადმინისტრატორი“ ეწერა, არავინ იყო. კიბესთან შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი ტრიალებდა, სველი ტილოთი ცემენტის კიბეს წმენდდა.

ნოდარი შავებში ჩაცმულ ქალს მიუახლოვდა და მოკრძალებით მიმართა:

— ბოდიში, ქალბატონო, თქვენს სასტუმროში დაბინავება მინდა.

ქალმა ხმა არ გასცა, მისთვის არც შეუხედავს.

— ადგილები ხომ გაქვთ? — ხმა აუმაღლა ნოდარმა.

— რა გაყვირებს, — რატომღაც გაბრაზებით მიუგო ქალმა, — ყრუ კი არა ვარ. ადმინისტრატორს მიაკითხე.

— თავის ჯიხურში არა ზის. ხომ ვერ მეტყვით სად იქნება?

— მე რა ვიცი. საქმე არაფერი აქვს და დაყიალობს აქეთ-იქით. ჩვენში შარშანდელი დაძმარებული ღვინო ჯერ კიდევ არ გამოლეულა.

— ეგებ თქვენ მიშველოთ.

— ვერა, ვერ გიშველი. ადმინისტრატორის გარეშე ვერ ჩაგასახლებ.

— აბა, რა ვქნა... —შეწუხდა ნოდარი.

— მე რა გიყო, — ცოტათი მოლბა ქალი, — სადალაქოში შეიხედე, ეგებ იქაა. დალაქებთან უყვარს შაშის თამაში. შენი ბედი იქნება იქ თუ დაგხვდა.

— სადალაქო სად არის?

— იქით, — მიუგო ქალმა და სადალაქო აჩვენა.

სადალაქო სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს იყო. ნოდარმა რომ სადალაქოს კარი შეაღო, ორმა უსაქმურმა დალაქმა მუშტრის თვალით ახედეს მას, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ თმა და წვერულვაში რიგზე ჰქონდა, ახლად მოსულისადმი ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგეს. მესამე დალაქი ვიღაცას შაშს ეთამაშებოდა.

სადალაქო სარკესავით კრიალებდა, ჩანდა რემონტი ახლახან გაეკეთებინათ, მაგრამ კედელზე ჩამოკიდებული დიდი სარკეები კი ჭუჭყიანი და ვალაქული იყო. თვითეულ დალაქს სარკის გვერდით სურათების მთელი გროვა დაემაგრებინა. სურათების მიხედვით შეიძლებოდა გარკვევა, ინტერესთა თუ რომელ სამყაროს ეკუთვნოდა ესა თუ ის დალაქი.

კართან ახლოს მოწყობილ დალაქის სარკე პოლიტიკური მოღვაწეთა სურათებით მოერთო. ვის არ ნახავდით აქ: სტალინს, რუზველტს, ჩერჩილს, ეიზენჰაუერს, კენედის, ნერუს...

მეორეს ჯიშიანი ცხენები გამოეფინა. სარკიდან ჭკვიანი ცხენების საოცრად მეტყველი თვალები იმზირებოდნენ. ერთ ფოტოზე დოღი იყო გადაღებული: ფაფარაშლილი რაშები მიჰქროდნენ.

მესამე დალაქი ახალგაზრდა იყო. სისხლი უდუღდა და სარკე ლამაზი ქალების სურათებით მოერთო. გამომწვევად იღიმებოდნენ: სოფი ლორენი, ვივიენ ლი, ელიზაბეტ ტეილორი. იაფფასიან უცხო ჟურნალებიდანაც ამოეჭრა ტიტველი ქალების ფერადი სურათები.

— სასტუმროს ადმინისტრატორს დავეძებ, — მიმართა სადალაქოში მყოფთ ნოდარმა.

— მე ვარ სასტუმროს ადმინისტრატორი, — თავი არც კი აუწევია, ისე მიუგო შაშის ერთ-ერთმა მოთამაშემ, — რა გინდა?

— სასტუმროს ადმინისტრატორს მარილის სასყიდლად არ მიაკითხავენ, — იოხუნჯა ერთმა დალაქმა, ოხუნჯობა თავად მოეწონა და გულიანად გადაიხარხარა.

— ჩემბერლენო, — შეუტია სასტუმროს ადმინისტრატორმა ოხუნჯს, როგორც ჩანდა იმ დალაქს ამ ზედმეტი სახელით იცნობდნენ, რადგან არ იუკადრისა, არც გაბრაზდა, — სხვის საქმეში ნუ იცი ხოლმე ცხვირის ჩაყოფა, —

შემდეგ ნოდარს მიუბრუნდა, — ნომერი გინდა?

— დიახ, ეს ესაა ჩამოვედი.

— ჩემი სახელით დაროსთან მიდი, — განაგრძო სასტუმროს ადმინისტრატორმა, უცბად დაფაზე რაღაც შენიშნა და აზარტულად იყვირა, — ფუკა!

— რის ფუკა, რა ფუკა, — შეეკამათა მოწინააღმდეგე, — რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ შაშში ფუკა არ არსებობს. არ შემიმჩნევია, თუ მოსაკლავია ქვა, უნდა მოვკლა.

— როგორ თუ არ არსებობს, — არ ცხრებოდა ადმინისტრატორი.

— არ არსებობს, უნდა მოვკლა.

— კიდევ რა გინდა! მოვკლა!.. მოგართვით, რადგან არ მოჰკალი, ფუკაა და მორჩა. მთელ ჩემს კომბინაციას ამ ფუკაზე ვაგებდი.

— რომელი საუკუნის წესებით თამაშობ? — დაცინვით უთხრა მოწინააღმდეგემ.

—მაგის წესი ისაა, რაც მისთვის უფრო მოსახერხებელია, — ჩაერია მათ საუბარში დალაქი, რომელსაც ჩემბერლენს ეძახდნენ.

— ჩემბერლენო, შენ შენს ტყავში ჩაეტიე! — შეუბღვირა ადმინისტრატორმა ,— თორემ ჩემბერლენს რაც დააკლდა, იმას მე შეგისრულებ.

— კაცო, — ჩაერია მათ კამათში ახალგაზრდა დალაქი, — ჩემბერლენსა და ფუკაზე შემდეგ იკამათეთ, ახლა ეს ყმაწვილი გაისტუმრე.

— ხომ ვუთხარი, ჩემი სახელით დაროსთან მიდი-მეთქი, — თქვა სასტუმროს ადმინისტრატორმა, — ჰოდა, ადგეს და მივიდეს.

— დარო სასტუმროს დამლაგებელია, აი, შავები რომ აცვია, — აუხსნა ახალგაზრდა დალაქმა.

— მიდი დაროსთან, — განაგრძო ადმინისტრატორმა, ორივე ხელი შაშის დაფას გადააფარა და ნოდარს ახედა,— მიდი და... რამდენი ხართ?

— მე მარტოკა ვარ.

— ჰოდა, აგაშენოს ღმერთმა. ჩემი სახელით უთხარი, მეთხუთმეტე ნომერი გაგიღოს. მაგრამ იცოდე, ცრუქადაც ძვირია.

ბიბლიოთეკა

— არა უჭირს რა.

— შედი, დაისვენე, მერე გავსწორდებით. წასვლისას გასაღები არ გაგყვეს, დაროს დაუტოვე, — შემდეგ ხელები დაფას მოაშორა და ნოდარს შეეკითხა, — შაშს თუ თამაშობ?

— ვთამაშობ, — მიუგო ნოდარმა.

— შაშში ფუკა თუ არის?

— ასეთი რამ შაშის წესებში არ არის. ქვა თუ მოსაკლავია, იგი აუცილებლად უნდა მოჰკლა.

— ხომ ვთქვი მე!.. ხომ ვთქვი მე!.. — აყიჟინდა შაშის მოთამაშე დალაქი.

— ამის ნათქვამი კანონია თუ? — ჩაიბურტყუნა ადმინისტრატორმა, — გამომიჩნდა წესების ახალი დამდგენი!— კვლავ ნოდარს მიუბრუნდა, — საერთოდ შაში თუ როდესმე გითამაშია?

— მითამაშია?

— დალაქებთან?

— დალაქებთანაც, ამხანაგებთანაც.

— მერე შენი ამხანაგები ფუკას არ იღებდნენ?

— არა! საერთოდ ასეთი სიტყვა შაშში არ არსებობს.

— რით ვერ გაიგე, ადამიანო, რომ ფუკა არ არის, ამაზეა ჩვენს შორის მუდამ კამათი და ჭიჭყინი, — ჩაერია მათ დავაში „ჩემბერლენი".

— ჯანდაბას თქვენი თავი, არ არის და ნუ არის! — როგორც იქნა მოტყდა სასტუმროს ადმინისტრატორი და ორიოდე სვლის შემდეგ ნოდარს მიუბრუნდა, — დაროს უთხარი, მეთხუთმეტე კი არა, მეცამეტე ნომერი გაგიღოს

— ხედავ, ყმაწვილო, — გაეცინა „ჩემბერლენს", — ცუდი ნომერი მოგცა. რა გრჯიდა, გეთქვა, ფუკა არისო.

— შენც ადექი და დაროს მეთხუთმეტე გააღებინე, — ურჩია ნოდარს ახალგაზრდა დალაქმა, — ადმინისტრატორმა ასე მითხრა-თქო.

— მეთხუთმეტე ნომერი მეცამეტეზე ძვირია, — თქვა ადმინისტრატორმა, —

მე მაგის ჯიბეს ვუფრთხილდები. პატიოსანი ბიჭი ჩანს, ფული ცოტა ექნება. კვლავ შაშს ჩაუფიქრდა და მოწინააღმდეგეს ნიშნის მოგებით უთხრა,— ესეც ასე, უფუკოდაც კარგად გიგებ!

— შენ ამ ახალგაზრდას ნუ ატყუებ,— შეეკამათა ახალგაზრდა დალაქი, — მეცამეტე უვარგისი ნომერია, მეთხუთმეტეს კი ყველაფერი შიგა აქვს. ჩვენს „ჩემბერლენს“ მუცელი რომ ასტკივა, იქ გარბის.

— ოჰოჰო, — აცქმუტდა ადმინისტრატორი, — ესეც მეორე ქვა მოგიკალი. რაღას მეთამაშები. ორი ზედმეტი ქვა და თანაც ბათმანი ჭკუა ხომ მეყოფა მოსაგებად? აბა, ყმაწვილო, — მიმართა ნოდარს, — ხომ ვიგებ?

ნოდარმა დაფას დახედა.

— რასაკვირველია, მოგებულია.

დალაქი, რომელიც ადმინისტრატორს შაშს ეთამაშებოდა, გაბრაზებული წამოხტა და ხელები გაასავსავა:

— ორი ერთად თუ მეთამაშეთ...

— მიზეზს ნუ ეძებ, შენი საქმე გათავებულია, — ტაში დაჰკრა ადმინისტრატორმა, — სანაძლეო ხომ მოვიგე. კეთილი ინებე და შეასრულე. აბა, ჩქარა ამოიწიწკნე ულვაშის ღერი!

— ულვაში კი არა და...

— ხომ იცი, ასეთი ხუმრობა არ მიყვარს. პირობა, პირობაა! მე რომ წავაგებ, ხომ ვასრულებ სანაძლეოს.

ღიღხანს იჭიჭყინა წაგებულმა დალაქმა, . ათასი რამ მოიმიზეზა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. მისმა კოლეგებმაც შეარცხვინეს. იძულებული გახდა სარკესთან მისულიყო და საერთო ხარხარში ამოეწიწკნა ულვაშის ღერი, რომელიც სასტუმროს ადმინისტრატორმა სპაგანგებოდ ქაღალდში შეახვია და ჯიბეში შეინახა.

— ამ ყმაწვილს რაღას ეუბნები? — გაახსენა „ჩემბერლენმა“ და ნოდარისკენ მიუთითა.

— დაიცა, დაიცა... — წაიბუტბუტა ადმინისტრატორმა, შემდეგ რაღაც მოიფიქრა, სახე გაებადრა და ნოდარს მიმართა. — მოდი, შაში მეთამაშე, თუ მომიგებ, მეთხუთმეტე ნომერს მოგცემ.

— მე... — დაიბნა ნოდარი.

— ეთამაშე, ეთამაშე! — გაამხნევეს ნოდარი დალაქებმა, — ხომ არსად გეჩქარება?

— როგორ გითხრათ... — შეყოყმანდა ნოდარი.

— დაჯექი და მეთამაშე, — უთხრა სასტუმროს ადმინისტრატორმა და შაშის ქვები დაფაზე დაალაგა.

— თუ წააგებ, მაშინ მეცამეტეში შეხვალ.

— ყაიმით რომ დამთავრდეს? — თქვა წაგებულმა დალაქმა.

— ყაბულსა ვარ, მაშინაც მეთხუთმეტეს მივცემ.

სხვა რა გზა იყო, ნოდარი მაგიდას მიუჯდა. ჯერ მსუბუქად დაიწყო თამაში, შემდეგ გაიტაცა. ნოდარი შაშს ცუდად როდი თამაშობდა. პირველ სვლებიდანვე მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე სუსტი ჰყავდა. თავმოყვარეობა არ შეულახა, იოლად მოსაგები პარტია განგებ გაართულა, სასტუმროს ადმინისტრატორი თანდათან შეიტყუა ხაფანგში, მაგრამ ისე, რომ მოწინააღმდეგეს ჩვენებოდა ვიგებო.

დალაქები მაგიდას შემოერტყნენ და გულისყურით თვალს ადევნებდნენ შეჯიბრებას. ადმინისტრატორი სიხარულისაგან ხელებს იფშვნეტდა, სადაცაა გამარჯვებას ვიზეიმებო, რადგან ის-ის იყო ქვა მოიგო, მაგრამ როდესაც ეგონა მოწინააღმდეგე ფარ-ხმალს დაყრისო, ნოდარმა ისეთი მახე დაუგო, კომბინაციებისა და შეწირვების ქარიშხალი რომ ჩადგა, სასტუმროს ადმინისტრატორს პარტია წაგებული აღმოაჩნდა.

— ყოჩაღ!

— მოგებაც ამას ჰქვია!

— რა ცეცხლი დაატრიალა! — აყვირდნენ ერთხმად დალაქები.

— ერთიც, — შესთავაზა ნოდარს ადმინისტრატორმა, — მეთხუთმეტე ნომერი შენია, ეს ხელი ისე მეთამაშე.

ნოდარს აგვიანდებოდა. სადაცაა სა-

მუშაო დღე დამთავრდებოდა, რედაქციაში უნდა გამოცხადებულიყო. ამიტომ მეორე პარტიას სერიოზულად ჩაუჯდა და მოხდენილი კომბინაციით ცამეტიოდე სვლაში ადმინისტრატორს შაშის ხუთი ქვა მოუკლა ერთბაშად.

დალაქებმა ტაში შემოჰკრეს:

— ეს რა ვნახეთ!

— ეს რა ჰქნა!

— ეს ვინ ყოფილა, — კვერი დაუკრა დალაქებს სასტუმროს ადმინისტრატორმაც, — კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია!

— ახლა ამას ნომერი სულ უფასო დაც უნდა მისცე, — უთხრა ადმინისტრატორს ახალგაზრდა დალაქმა, — ღირსია!

— უფასოდ რომ მივცე, ბაბუაჩემის დუქანი კი არ არის, — შეუბღვირა ადმინისტრატორმა, — ის არ მეყოფა, ზოგჯერ სტუმარი რომ ჩამოუვათ ხაზეინებს, სასტუმროში ფულს არ ახდევინებენ...

— შენ მაგას თავი ანებე და ჩვენთან ითამაშე, — ურჩია „ჩემბერლენმა" სასტუმროს ადმინისტრატორს, — მაგას შენ რას მოუგებ.

— მიდი დაროსთან, — უთხრა ნოდარს ადმინისტრატორმა, — უთხარი შალვამ შემოგითვალა მეთხუთმეტე ნომერი მიეციო. პასპორტიც დაროს დაუტოვე.

ნოდარი სადალაქოდან გამოვიდა და სასტუმროში შევიდა.

დაროს კიბის წმენდა მოეთავებინა და ჩვრით კედელზე მიდგმულ დიდ სარკეს მტვერს აცლიდა.

— ქალბატონო დარო, — მიმართა ქალს ნოდარმა, — შალვამ შემოგითვალათ მეთხუთმეტე ნომერი მიეციო.

— სადალაქოში აგდია?

— დიახ იქ არის.

დარო ადმინისტრატორის ჯიხურში შევიდა, უჯრიდან გასაღები ამოიღო, ნოდარს მეორე სართულზე აუძღვა და განაპირა ოთახი გაუღო.

— ესეც მეთხუთმეტე ნომერი.

ნოდარმა ბარგი იქვე დასდო, ჯიბიდან პასპორტი ამოიღო და დაროს გაუწოდა:

— ინებეთ.

— მე რად მინდა, — იუარა დარომ, — შენი პასპორტი არაფერში მჭირდება.

— ადმინისტრატორმა ასე მითხრა.

— მეტი საქმე არა მაქვს, თუ უნდოდა, თვითონ დაეტოვებინა, — წაიბურტყუნა დარომ, რატომღაც გაბრაზებით კარი მიიჯახუნა და ნოდარი მარტო დასტოვა.

ნოდარმა სასტუმროს ნომერი შეათვალიერა, ბარგი დივანზე დასდო, აბაზანაში შევიდა და ხელ-პირი დაიბანა. შემდეგ პერანგი გამოიცვალა, თეთრი ჩაიცვა, ნომერი ჩაჰკეტა და ჩქარი ნაბიჯებით კიბეზე დაეშვა. გასაღები იქვე მოფუსფუსე დაროს გაუწოდა. დარომ ხელი ჩაიქნია:

— იქ დადე, ადმინისტრატორის ფანჯარასთან, რომ მოვა ნახავს და უჯრაში ჩადებს.

ნოდარმა გასაღები სარკმელთან დასდო და კვლავ დაროს მიმართა:

— ხომ ვერ მეტყვით, რაიონული გაზეთის რედაქცია სად იმყოფება?

დარო გასწორდა, სახეზე ცნობისმოყვარეობის იერი გადაეკრა. თუ აქამდე რატომღაც უკმეხად ელაპარაკებოდა, ახლა თავაზიანად მიუგო:

— კარგად არ ვიცი, მგონი რაიკომის შენობაში უნდა იყოს.

— რაიკომი სადღა არის?

— ზღაპარივით გამოგვივიდა, — ჩაიცინა დარომ. საოცარი იყო, ღიმილმა სულ გამოცვალა ქალი. ნოდარს გარეთ გამოჰყვა და მოედნის ბოლოში სამსართულიანი შენობა დაანახვა:

— აი, რაიკომი იქაა.

რაიკომი სხვა შენობებიდან გამოირჩეოდა, ჩანდა ახლად აგებული იყო.

9

დარო არ შემცდარიყო. რაიონული გაზეთის „სიმართლის ხმის" რედაქცია პარტიის რაიკომის შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. ნოდარმა

რედაქციის იოლად მიაგნო და იმ კართან შედგა, სადაც ეწერა: „რედაქტორი კ. ს. თავაძე“, კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. სამიოდე ოთახს იქით, დერეფნის ბოლოს მანქანები მონოტონურად რახრახებდნენ, ეტყობოდა, იქ სტამბა იყო.

ნოდარმა კარზე მიაკაკუნა. იქიდან არავინ გამოპასუხებია. ახლა უფრო მძლავრად დააკაკუნა.

— რომელი ხარ მანდ, შემოდი! — გაისმა ოთახიდან.

ნოდარი კარს მიაწვა, ვერ გამოაღო ერთხანს უჯაჯგურა. „შიგნიდან თუა ჩაკეტილიო“, — გაიფიქრა. ამ დროს კარის სახელურს შიგნიდან ვიღაც ჩაებღაუჭა, ძალათი გამოაღო და კართან აცუზული ნოდარი ოთახში შეიპატიჟა.

— ეს ოხერი, რა ძნელად იღება! — ჩაიბურტყუნა კარის გამღებმა მაღალმა და მხარბეჭიანმა ვაჟმა.

— კარის საქმე ვერ მოგვიგვარებია და სახელმწიფო საქმეებს კი ვეპოტინებით! — გაჯავრებით წამოიძახა მაგიდასთან მჯდომმა ხანშიშესულმა კაცმა, ახალშემოსულს მზერა ესროლა, ანიშნა დაჯექიო და შეწყვეტილი ჩხუბი განაგრძო:

— ამ საქმეს, გიგა, სხვაგვარი სუნი ასდის. მიფრთხილდი! ერთხელ ხომ გახსოვს...

ხანშიშესული გიგას უყვიროდა, უჯავრდებოდა. ნოდარმა ვერ გაიგო თუ რაზე დავობდნენ, ამიტომ მათი კამათისათვის ყური არ მიუგდია, ოთახში მყოფნი შეათვალიერა.

მაგიდას მისი პროფესორის, ბატონ კონსტანტინეს ხნის კაცი უჯდა. თმა სულ გათეთრებოდა. თუმცა ცხელოდა, მაინც კოსტუმი ეცვა და თეთრ ნეილონის პერანგზე ჰალსტუხი ეკეთა. როდესაც ცხარობდა, სახის მარცხენა მხარე ნერვიულად უკანკალებდა, როდესაც დამშვიდდებოდა, სახეც უწყნარდებოდა.

მეორე მელოტი იყო, შუა ხნის თუ იქნებოდა. კედელთან მდგარ სავარძელში იჯდა. ხალვათად, უბრალოდ ეცვა.

გიგა ოცდაათ წელს მიღწეული იქნებოდა. გოლიათური აღნაგობის ვაჟს სახე ალეწოდა, რედაქტორს რაღაცას უმტკიცებდა, ედავებოდა, მაგრამ, ჩანდა, თავის სიმართლეში ვერ არწმუნებდა.

რედაქტორი ზოგჯერ სავარძელში მჯდომ მელოტს მიმართავდა, მაგრამ ის დავაში არ ერეოდა. ან არას ეტყოდა, ან ჰოს. იჯდა და კამათს ყურს გულგრილად უგდებდა. მალულად ნოდარს ათვალიერებდა. ერთხელ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მელოტმა გაუღიმა.

— სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე! — ყვიროდა რედაქტორი, უცნობსაც არ ერიდებოდა, — რატომ არის, რომ სადაც წახვალ, ფეხდაფეხ ათასი წერილი და საჩივარი მოგდევს.

— ათასი კი არა და...

— კარგი ახლა, სიტყვებში ნუ მიჭერ. ათასი ისე ვთქვი... ერთიც არ კმარა? ხომ მოგდევს?

— შენც ადექი და გიგა მოწინავე მუშაკებზე ნარკვევების დასაწერად გაგზავნე, — ურჩია მელოტმა, — მაშინ მადლობის წერილებით აგავსებენ.

—გამომიჩნდა ახლა აქ ჭკუის მასწავლებელი! — იფეთქა რედაქტორმა, — მოვრჩეთ! — დაასკვნა და მოულოდნელად ნოდარს მიუბრუნდა, — შენ, ყმაწვილო, ჩვენი რედაქციის ახალი თანამშრომელი არა ხარ?

ნოდარი გაოცებისაგან დაიბნა, წამოხტა და ძლივს წაილუღლუღა:

— დიახ, მაგრამ საიდან მიცნობთ?

— რაიონში კაცი არ არის, არ ვიცნობდე. უცხო ყმაწვილი რომ გნახე, გუმანით მივხვდი, შენ იქნებოდი. ამ დილით დავურეკე კოტეს, შენს პროფესორსა და ჩემს ძველ მეგობარს. მითხრა, შენთან სამუშაოდ ჩემი საუკეთესო სტუდენტი გამოვგზავნე და სადაცაა ჩამოვაო.

რედაქტორმა ორ სიტყვას გაუსვა ხა-

ზი: პროფესორთან ძველ მეგობრობას და ნოდარის საუკეთესო სტუდენტობას.

— ჰო, რა საქმეებს ვატრიალებდით მე და შენი პროფესორი, — სავარძელზე გაწვა რედაქტორი, სახე დაუმშვიდდა, დაეწმინდა, — რა დრო იყო! შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა, იგი სამეცნიერო გზას დაადგა, მე გაზეთს ვერ შევეელიე. გავიცნოთ ერთმანეთი, მე კარპეზი მქვია და გვარად თავაძე ვარ.

— დიახ, ვიცი, — ამოღერღა ნოდარმა.

— კოტე გეტყოდა, — ესიამოვნა კარპეზს, — ო, რა დიდებული ჟურნალისტია შენი პროფესორი, რა მახვილი თვალი აქვს. წლების განმავლობაში ჩვენს გაზეთს რედაქტორობდა. მეც ვცდილობ, მისი გზით ვიარო, ეს კი არ ვიცი, გამომდის თუ არა.

— თქვენ და არ გამოგდით! — წაულაქუცა გიგამ გულის მოსაგებად. კარპეზს გიგას სიტყვებისათვის ყური არ უგდია.

— რა გაზეთი ჰქონდა კოტეს, — განაგრძო კარპეზმა, — ცუდსა და უვარგისს ძირფესვიანად თხრიდა. ბოლომდე პრინციპული იყო. კაცს უბრალოდ არ გასწირავდა, მაგრამ გასაწირს არ ინდობდა.

— თქვენც ასეთი არ ბრძანდებით?! — კვლავ ჩაურთო გიგამ.

— ეს გიგა თავს მომაკვლევინებს, — იფეთქა კარპეზმა, — თავი გინდა რომ მომიქონო, არა? მაგრამ არაფერი გამოგივა. ხომ გითხარი, ამ შემთხვევას გაპატიებ, მომავლის ავანსს კი ვერ მოგცემ.

— ავანსად ჰონორარი მომეცით და თქვენგან მეტი არა მინდა რა, — სხარტად მიუგო გიგამ. ყველას გაეცინა.

— ჰო, რა ხარ! — თითი დაუქნია გიგას კარპეზმა, შემდეგ ნოდარს მიუბრუნდა, — შენი საგზური მომეცი.

ნოდარმა საგზური და პროფესორის ბარათი გაუწოდა.

— ნოდარ ივანეს ძე ბერიძე, — ხმამაღლა წაიკითხა კარპეზმა და ოთახში მყოფთ მიუბრუნდა, — გაიცანით ჩვენი ახალი თანამშრომელია. წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და ჩვენთან გამოგზავნეს.

ბიბლიოთეკა

პირველად მელოტმა გაუწოდა ხელი.

— ეს ბიქტორ დიდიძეა, — გააცნო რედაქტორმა მელოტი ნოდარს, — ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი. უპატიოსნესი და უზადო ადამიანია.

— რა საჭიროა, კარპეზ! — გააწყვეტინა ბიქტორმა.

— რატომ არ არის საჭირო. ხომ უნდა იცოდეს ახალმოსულმა, თუ ვის გვერდით მოუწევს ცხოვრება და საქმიანობა. ეს კი, — გიგაზე ანიშნა, — გიგა ლეშკაშელია. ჩვენს რაიონში რა ქარმა გადმოისროლა, არ ვიცი, ჩვენი გაზეთის ლიტმუშაკია. წინ ვერც წაიწევს, რადგან გაზეთი იმდენად არ უყვარს, რამდენადაც თავის თავი უყვარს გაზეთში. დღეს ავტოინსპექციაში რომ დანიშნო ინსპექტორად, ცეკვა-ცეკვით წავა. ხვალ უნივერმაღის დირექტორად რომ გაუშვა, ფრთებგამოსხმული გაფრინდება. აი, ასეთი კაცია და მიუხედავად ამისა, გაზეთისათვის საჭირო ყმაწვილია. ყნოსვა აქვს საოცარი, და ისეთ საარაკო ამბავს მიაგნებს ხოლმე, რომელთა გამოსაქექად სხვებმა ათასი ოფლი უნდა იდინონ. ამიტომ ვიტან. მართალია, ხშირად ვეჩხუბები, მაგრამ ავი სიდედრივით მაინც ვერ ვიშორებ.

გიგამ ნოდარს გაუღიმა, თვალი ჩაუკრა, ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი ნახაო. შემდეგ კარპეზს მიუბრუნდა:

— კარპეზ სამსონიჩ, ახალ თანამშრომელთან ასე რომ მამკობთ, რა წარმოდგენა ექნება ჩემზე.

— აბა, რა გინდა, — იფეთქა კარპეზმა და მარცხენა ლოყა აუკანკალდა, — კარგიც ხომ ვთქვი შენზე, უფრო მეტი ავანსად ჩამოგირიგე, თორემ, მე რომ მკითხონ, რედაქციაში ერთ დღესაც არ გაგაჩერებდი.

— მერე, — გაეცინა გიგას, — თქვენს ხელთ არა ვარ. რედაქციის ლიტმუშაკის თანამდებობა ნომენკლატურული არ გა-

ხლავთ, ადექით და გამათავისუფლეთ.

— არა, ბიძი, — თითი დაუქნია კარპეზმა, — ჯერ მჭირდები, საქმესაც სჭირდები. ისე კი ამ პატიოსან ხალხში მითქვამს, თუ არ გამოსწორდები, მოვა დრო და კი არ გაგათავისუფლებ. მოგხსნი!

— ჰაუ, — თავში ხელი იტკიცა გიგამ, — არ ვიცოდი თუ ჩემი ბედის ვარსკვლავში ასე ეწერა!

კარპეზმა ყურადღება არ მიაქცია გიგას შეძახილს და ნოდარს მიუბრუნდა:

— კოტემ ძალზე მიქო შენი თავი. აბა, შენ იცი, შენი პროფესორი არ შეარცხვინო. აქ ვინმე ნათესავი ხომ არა გყავს?

— არა, პირველად ვარ. — კრძალვით მიუგო ნოდარმა.

— სად გაჩერდი?

— სასტუმროში.

— რაო, — შეიცხადა კარპეზმა, — შენ თუ სასტუმროში იცხოვრე, კარგი დახლი დაგიდგება. მე აქ რაიკომს რაიაღმასკომის... 

— რაო, — შეიცხადა კარპეზმა, — შენ თუ სასტუმროში იცხოვრე, კარგი დახლი დაგიდგება. მე აქ რაიკომს რაივაჭრობის ახლად აშენებულ სახლში რედაქციისათვის ერთოთახიანი ბინა გამოვაყოფინე. დიდი ხანი არ არის, რაც იმ სახლში ხალხი ჩაასახლეს. ჩვენი ბინა ცარიელია, შენთვის მქონდა შემონახული. აი, ეს დევი წაგიყვანს, — კარპეზმა გიგასკენ მიუთითა — გიპატრონებს, ჩაგასახლებს.

— პერპეტუმმ მობილე! — სიხარულით წამოიძახა გიგამ, — მზადა ვარ ვემსახურო.

— ხვალიდან საქმეს შეუდგები, — კვლავ მიმართა კარპეზმა ნოდარს, — განყოფილებას ჩაგაბარებ. ხელფასს არა უშავს რა, ცოტათი ჰონორარსაც წაუმატებ. თუმცა ჩვენს გაზეთში ჰონორარი მცირეა. მაგრამ რას იზამ ცოლშვილიანი ხარ?

— არა, — მიუგო ნოდარმა.

— მარტოხელა კაცი ხელფასსაც იმყოფინებს.

— რაივაჭრობას ძალიან კი წაართვი ის ბინა. — უთხრა კარპეზს ბიქტორმა

— ვალერიან გოგუაძე ყველაფერს თანახმა იყო, ოღონდ მის თანამშრომლებში ჩვენი გაზეთის მუშაკი არ ეკარეულიყო. იცი, რა ბრძოლა [illegible], არაფრით არ უნდოდა მოცემა, ჩემებს არ ყოფნითო. ათასი მიზეზი მოიგონა, მაგრამ მეც მაგრად დავუხვდი. რაიკომის მდივანმაც მხარი დამიჭირა და ვალერიანს ყველაფერს გახდა.

— ვერ გავიგე, რა კაცია, — თქვა სერიოზულად ბიქტორმა, — ზოგჯერ ასე მგონია, წმინდა წყლის არ უნდა იყოს, ზოგჯერ აზრი მეცვლება, საქმის მცოდნედა და ენერგიულ კაცად მიმაჩნია.

— ვალერიან გოგუაძე სხვა კაცია,— ჩაერთო საუბარში გიგა, — იცის ცხოვრების გემო...

— მეორე სახლს წლის ბოლოს ამთავრებენ, — განაგრძო კარპეზმა, — იქაც წავართმევ ოროთახიან ბინას, მურმანსა და მარიკას ჩავუსახლებ. რაც ის ბიჭი გაუჩნდათ, ერთოთახიან ბინაში ვეღარ ეტევიან.

— მადლი იქნება, — მოუწონა ბიქტორმა.

კარპეზმა ნოდარს შეხედა და უთხრა:

— ხვალ დილით ათ საათზე მოდი. ბიქტორთან მიდი, დავალებას მოგცემს. გაუგებარი თუ რამე იქნება, აგიხსნის, ჩვენს საქმიანობაში გაგარკვევს. მთავარია წერა გეხერხებოდეს და თვალი გიჭრიდეს. ბიქტორი დაუზარელი კაცია, გამოცდილი და მცოდნე.

— რაც შემიძლია... — ჩაურთო ბიქტორმა.

ახლა კარპეზმა გიგას მიმართა:

— წაიყვანე ეს ყმაწვილი და უპატრონე.

— სიამოვნებით, — წამოიძახა გიგამ. — ჩხუბსა და აყალმაყალს არა სჯობია საქმე გავაკეთოთ.

— მერე რად მაჩხუბებ, — შეუტია კარპეზმა, — წესიერად მოიქეცი და არც საყვედურს მიიღებ.

— მაგრამ...

— ახლა თავიდან დაიწყეთ, — დააშოშმინა ისინი ბიქტორმა, საათს დახე-

და, — ექვსი სრულდება, ვაითუ ალმასკომში არავინ დაგხვდეთ. თუ ამ ყმაწვილს გიგა მიუჩინე, ბარემ წაიყვანოს და მოაწყოს.

— რა მოწყობა მინდა... — შეყოყმანდა ნოდარი.

— როგორ თუ არ გინდა, — ახლა ნოდარს გაუბრაზდა კარპეზი, — ჩვენთან პირველად ხარ, არც გზა იცი და არც კვალი. ხომ არ გგონია, შენი ბინის გასაღებს ალმასკომში უსიტყვოდ მოგართმევენ. ასეთ საქმეებში გიგა ყოჩაღია.

— კარპეზ სამსონიჩ, ძლივს არ გაიმეტეთ ჩემთვის ორი ლერი თბილი სიტყვა, — შეაპარა გიგამ.

— რაც გასამეტებელია არაფერს დაგაკლებ. აბა, გაუძეხი.

— წავიდეთ, — გიგამ ნოდარს მხარზე ხელი დაჰკრა და კარისკენ გასწია.

— გიგა, — შეაჩერა კარპეზმა, — ალმასკომის მდივანთან ჩემი სახელით მიდი. ხომ იცი რა ჭიჭყინაა.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ, — მიუგო გიგამ, — თქვენი სახელით ვიმოქმედებ.

— ამ შემთხვევაში თანახმა ვარ, იმოქმედე ისე, როგორც სჯობია, სრულ თავისუფლებას გაძლევ, მხოლოდ ამ შემთხვევაში.

— მესმის, — მკვირცხლად უპასუხა გიგამ.

— ნახვამდის! — წაილუღლუღა ნოდარმა.

— ხვალამდე, — დაემშვიდობა კარპეზი, — აბა, თქვენ იცით.

ბიქტორმა ნოდარს ღიმილით თავი დაუქნია.

— გიგა, — კართან შეაჩერა კარპეზმა, — თუ რამე გაუგებრობა მოხდეს, დამირეკე. ერთი საათი კიდევ აქ ვიქნები.

10

— ჯერ ოთახის გასაღები ჩავიგდოთ ხელში, — უთხრა გიგამ ნოდარს რედაქციიდან გამოსვლისას, — ალმასკომიც ამავე შენობაშია, მეორე სართულზე.

შენობა დაცარიელებული იყო. აქა-იქ თუ გაივლიდნენ სამსახურის შემორჩენილნი. ბედად ალმასკომის მდივანი თავის ადგილას დახვდათ. მდივანი ხმელხმელი, ულვაშაპრეხილი, ჩია ტანის კაცი იყო. თვალებს, რატომღაც წამდაუწუმ ახამხამებდა, თითქოს თვალში რაღაც ჩაუვარდაო.

— ბატონ ერეკლეს ვახლავარ! — მიესალმა გიგა ალმასკომის მდივანს.

მდივანმა ცალი წარბი ასწია და თვალების ხამხამს უმატა. გიგას ხმა არ გასცა. რაღაცას წერდა, წერა არ შეუწყვეტია, არც თავი აუწევია.

— ბატონო ერეკლე, ჩვენი გაზეთის მთელი რედაქცია მოგესალმებათ და გთხოვთ ცოტაოდენი ყურადღება მოგვაპყროთ.

— რა გინდა? — ცალყბად ესროლა ალმასკომის მდივანმა და წერას მაინც არ მოეშვა.

— ეს ყმაწვილი, ჩემს გვერდით რომ დგას, ნოდარ ბერიძეა, ჩვენი გაზეთის განყოფილების ახალი გამგე. თბილისიდან გამოაგზავნეს, ისეთი ჟურნალისტი და ბასრი კალმის პატრონია, არავის ვურჩევდი, მის კალამზე წამოგებულიყო. ჰოდა, რაივაჭრობის სახლში ერთოთახიანი ბინა რომ გამოგვიყავით, რედაქციამ ამ ყმაწვილს მისცა. რედაქცია გთხოვთ და პირადად მისი რედაქტორი, ღრმად პატივცემული კარპეზ თავაძე, გამოგვიწეროთ ორდერი და ბინის გასაღებიც არ დაგავიწყდეთ.

— საბუთი? — მიახალა ალმასკომის მდივანმა გიგას.

— საბუთი?... — ერთხანს დაიბნა გიგა, — რა საბუთი? — უცბად გონს მოეგო, — საბუთი მე ვარ, არ მერწმუნები თუ?

— აქ ალისტრახოს დუქანი კი არ არის, ყველა გამვლელს ვენდო! — ღვარძლიანად მიუგო მდივანმა. როგორც ჩანდა, თავისი ნათქვამი მოეწონა, გიგას ახედა და წვრილი, გამყინავი ხმით ახითხითდა.

— მაინც რა საბუთი გინდა?

— თქვენი რედაქციის შუამდგომლობა, რომ აღმასკომის მიერ რედაქციისათვის გამოყოფილ ბინის ფონდში ამ ყმაწვილს ასახლებთ.

— საბუთად მე ვარ გამოგზავნილი.

— ალისტრახოს დუქანზე კიდევ გავიმეოროთ, — ჩაიქირქილა აღმასკომის მდივანმა.

— ბატონო ერეკლე, — არ აცალა სიცილი გიგამ, — ორდერს გამოსწერ თუ თავმჯდომარესთან შევიდე?

— სადაც გინდა, იქ წადი! — სახე წამოუჭარხლდა მდივანს.

— აბა, რა ვქნა? — დაუყვავა გიგამ.

— მე რა ვიცი, — მიახალა მდივანმა, — ესეც მე ვიდარდო!..

— მერე, მოგეხსენება, მე ვიღაც გამვლელი არა ვარ.

— საბუთი მინდა.

— ნუთუ საქმე ერთ ფარატინა ქაღალდზეა დამოკიდებული, — ჯერ კიდევ მშვიდად აძლევდა პასუხს გიგა.

— ის ფარატინა ქაღალდი, — განაგრძო აღმასკომის მდივანმა, — საბუთია, რომლის ძალითაც ახალი საბუთი გაიცემა. რედაქციის მუშაკი ხარ და უნდა იცოდე, რომ ის ფარატინა ქაღალდი საქმეებში იკერება და რჩება ერთად-ერთ გასამართლებელ საბუთად.

— ახლა ნუ გვაწვალებ და იმ ქაღალდს ეს ყმაწვილი ხვალ მოგიტანს.

— ჰოდა, ორდერსა და გასაღებსაც ხვალ მიიღებს, — მაინც არ მოტყდა აღმასკომის მდივანი.

— ბატონო ერეკლე, რა საჭიროა საქმის ასე გამწვავება, — სცადა გიგამ საქმის მშვიდად მოგვარება, — გამქცევნი კი არა ვართ.

— არც ჩვენ ვართ გამქცევნი. ხვალაც ამ თვისაა.

— ბატონო ერეკლე...

— მე მგონი უნდა იცოდე, რომ მე ერეკლეს კი არა, ირაკლის მეძახიან.

— განა ეს ერთი და იგივე არ არის?

— ალბათ არ არის... და ეს შენც კარგად იცი.

ნოდარს უნდოდა ეთქვა გიგასათვის თავი დავანებოთო, მაგრამ ამ დროს გიგა ტელეფონს ეცა ისე, რომ აღმასკომის მდივნისაგან ნებართვაც არ მიუღია. ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— კარპეზ სამსონიჩ, — ჩასძახა გიგამ ყურმილში, — ჰო, გიგა ლეშკაშელი ვარ, აგერ ვარ აღმასკომის მდივნის ბატონ ერეკლეს კაბინეტში. ბატონი ერეკლე არც ბინის ორდერს წერს და არც ბინის გასაღებს გვაძლევს. რატომ?.. ასე ამბობს, რედაქციიდან ოფიციალური მიმართვა მინდაო. დიახ... ასე თქვა, სიტყვიერად არც შენ გენდობი და არც შენს რედაქტორსაო... როგორ მოვიქცე?... — ერთხანს უსმინა, შემდეგ აღმასკომის მდივანს მიუბრუნდა, ყურმილი მიაწოდა და უთხრა, — ტელეფონის ხაზზე ჩვენი გაზეთის რედაქტორი პატივცემული კარპეზ თავაძეა და სურს თქვენთან ისაუბროს.

აღმასკომის მდივანმა ყურმილი უხალისოდ ჩამოართვა.

— ჰალო, — წვრილი ხმით ჩასძახა, — დიახ, მე ვარ... —ყური მიუგდო, პასუხის გაცემაც სცადა, მაგრამ, როგორც ჩანდა, კარპეზი ლაპარაკს არ აცლიდა. აღმასკომის მდივანი თანდათან წამოწითლდა, აცქმუტდა, თვალების ხამხამს უმატა.

გიგამ ნოდარს თვალი ჩაუკრა და წასჩურჩულა:

— ჩვენი მოხუცი მაგრად აუთოებს!.

აღმასკომის მდივანმა შეკამათება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს როგორც ჩანდა, კარპეზმა ისეთი რამ უთხრა, რომ მდივანი სკამიდან წამოხტა და ამოიკნავლა:

— გასაგებია! — და ყურმილი ცივად დასდო. ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ *საათს დახედა და გიგას გაბრაზებით* მიუბრუნდა:

— ასეთი პროვოკაციისათვის პასუხს გაგებინებ!

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

— მერე, სამუშაო დღე რა ხანია დამ-

თავრდა. ვთქვათ არ დაგხვედროდი, მაშინ რაღას იზამდი?

— მოგნახავდი, — მშვიდად მიუგო გიგამ, — ჩვენი ქალაქი დიდი როდია, რედაქტორისაგან სპეციალური დავალება მქონდა, ქვა უნდა გამეხეთქა და მომენახე. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს ჩვენი ახალი თანამშრომელი უეჭველად უნდა შემესახლებინა ახალ ბინაში.

ალმასკომის მდივანმა ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო, ყველაზე დიდი შეარჩია, კუთხეში მდგარი ცეცხლგამძლე ყუთი გახსნა, ერთხანს რაღაც ეძება, შემდეგ რგოლგაყრილი ორი პატარა გასაღები მაგიდაზე ისროლა და ოთახში მყოფთ ცალყბად უთხრა:

— რაივაჭრობის ახალი სახლი, ნინოშვილის ქუჩა ოცდახუთი ა, მეორე სადარბაზო, მეხუთე სართული, ოცდამეთერთმეტე ბინა.

— ორდერი? — შეეკითხა გიგა.

— ახლა ორდერი მომთხოვე! — აწივლდა ალმასკომის მდივანი, — მომიტანეთ რედაქციის მომართვას და ორდერსაც გამოგიწერთ.

— პერპეტუუმ მობილე! — წამოიძახა გიგამ და გასაღებები აიღო, — ასე გექნა თავის დროზე, ბატონო ერეკლე, ჩვენც მშვიდად ვიქნებოდით და თქვენც უსიამოვნებას გადარჩებოდით.

— იცი რას გეტყვი... — დაიწყო თვალების ხამხამით ალმასკომის მდივანმა, მაგრამ გიგამ სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— კარგად ბრძანდებოდე, ბატონო ერეკლე! ხვალ ეს ყმაწვილი რედაქციის მომართვას მოგართმევს და, იმედია, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ბინის ორდერსაც გამოუწერ. ნახვამდის! გიგა ერთხელ კიდევ დაემშვიდობა ალმასკომის მდივანს, ნოდარი წინ გაიძღოლა და ორივენი ოთახიდან გავიდნენ.

გარეთ რომ გამოვიდნენ, გიგა ახარხარდა და ნოდარს უთხრა:

— იცი რამ გადარია ის საწყალი, ერეკლე რომ დავუძახე, იმან. ხომ ხედავ, რა ჩია კაცია. მშობლებს ირაკლი დაურქმევიათ, ბავშვობაში გასამასხარავებლად ერეკლეს ეძახდნენ და შკუიდან შლიდნენ, აგიჟებდნენ. ახლაც გიჟდება, ერეკლეო რომ მიმართო. სულელია ამოდენა ხნის კაცი, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, ირაკლის დაუძახებენ თუ ერეკლეს!

— თუ წყინს, თქვენც ირაკლი გეთქვათ. — ფრთხილად შეაპარა ნოდარმა.

— მიყვარს მაგისთანა ხალხის წვალება, — კვლავ ახარხარდა გიგა, — ირაკლი, ერეკლე!..

ერთხანს ჩუმად დაადგნენ გზას. დუმილი გიგამ დაარღვია:

— ჩვენი მოხუცი ფრთხილი კაცია, მაგრამ ზოგჯერ იცის კაჟივით დახვედრა. რაიკომის ბიუროს წევრია, აბა, რა გგონია. ამიტომ ააჭარხალა ჩვენი საცოდავი ერეკლე, ანუ ირაკლი, ჯანდაბას მაგის თავი!

— ახლა საით? — შეეკითხა ნოდარი.

— სასტუმროსკენ გავწიოთ, შენი ბარგი ავიღოთ და ახალ ბინაში ჩავსახლდეთ. ბარგი ბევრი გაქვს?

— ჩემოდანი, ქვეშაგები.

— კარგი გიქნია, რომ ქვეშაგებიც წამოგიღია.

სასტუმროში ადმინისტრატორი არც ახლა იჯდა თავის ჯიხურში, არც დარო დაფუსფუსებდა სადმე. გიგამ ადმინისტრატორის ჯიხურის სარკმელზე დააბრახუნა. მეორე სართულიდან დარომ გაბრაზებით ჩამოსძახა:

— რა ამბავია?

— აბა, ლამაზო, ერთ წუთს მოგვხედე, — ასძახა გიგამ.

მაღლიდან დაროს ბურტყუნი გაისმა, მაგრამ გიგა რომ დაინახა, კიბე სულმოუთქმელად ჩამოირბინა.

— ადმინისტრატორი სად არის? — შეეკითხა გიგა.

— ადმინისტრატორი... — დაიბნა დარო, — დიახ... აქვეა... ახლავე დავუძახებ.

— სვამს თუ დალაქებთან შაშს თამაშობს?

— როგორ გეკადრებათ... ახლავე დავუძახებ, ამ წუთას აქ იქნება, ერთი წუთით წვერის მოსაპარსავად გადავიდა... ახლავე...

დარო სასტუმროდან გავარდა, ქუჩა გადასჭრა და სადალაქოში შევარდა.

— უყურე ერთი მაგას, — მუქარით თქვა გიგამ, — საქმე არაფერი აქვს და დალაქებთან დღე და ღამე შაშს თამაშობს, თუ არა და სვამს. მე მაგას ვუჩვენებ!

ჩქარა სასტუმროს ადმინისტრატორიც გამოჩნდა, ძუნძულით მათკენ გამოემართა, უკან დარო მოჰყვებოდა.

— გამარჯობა, გიგა, — ქოშინით მიესალმა ადმინისტრატორი გიგას, — რა ცეცხლი გიკიდია, წვერის მოპარსვა რომ არ მაცალე... — შემდეგ ნოდარს შეხედა, იცნო და გაწითლდა.

— რაო, წვერს იპარსავდი, იმდენი შენ რა გითხრა, — ნიშნის მოგებით თქვა გიგამ.

— ყველაფერს გეფიცები, — იხტიბარი მაინც არ გაიტეხა სასტუმროს ადმინისტრატორმა, — ის-ის იყო, საპარსავად ვჯდებოდი, რომ დარო მოვარდა, სასწრაფოდ გეძახიანო. ისეთი მოუცლელი ვარ, ხეირიანად წვერის გაპარსვასაც ვერ ვახერხებ.

— ხა, ხა, ხა, — აროხროხდა გიგა,— საქმიან კაცს დამიხედეთ!

ვერც ნოდარმა შეიკავა ღიმილი, მაგრამ მუდარით აღსავსე ადმინისტრატორის თვალებს რომ წააწყდა, არ გამცეო, შეებრალა და ღიმილი შეიკავა.

— ეს ყმაწვილი, — დაიწყო გიგამ, — ახლახან დაობინავე არა?

— დიახ, საუკეთესო ნომერი მივეცი, მეთხუთმეტე.

— ეს ჩვენი გაზეთის განყოფილების ახალი გამგეა, ისეთი მახვილი კალამი აქვს, უფრთხილდი, არ წამოგაგოს, თორემ შემდეგ ველარაფერი გიშველის.

— ნომერი კარგი მივეცი და... — ჩაიდუდუნა ადმინისტრატორმა.

— ეს-ესაა ახალი ბინის გასაღები მიიღო. რედაქციამ ბინა დაახვედრა. აბა, სწრაფად, ბარგი ჩამოუტანე.

— მე თვითონ, — გაიწია ნოდარი.

გიგამ ნოდარი შეაჩერა.

— მეტი რა საქმე აქვს, დალაქებთან შაშის თამაშის შემდეგ არ აწყენს მუხლის გაშლა.

— როგორი ხარ, გიგა, — თავი მოიისაწყლა ადმინისტრატორმა, — მე და შაში!.. სადალაქოში ახალი გაზეთების წასაკითხავად შევედი.

— ჰო, ჰო, ჰო, — დაცინვით მიმართა გიგამ, — გამოჩნდა აგიტატორი, პოლიტინფორმაციას ხომ არ უტარებდი იმ ჯიბის მპარსავებს! — უცბად ადმინისტრატორის მიერ ადრე ნათქვამი სიტყვები მოაგონდა, — დაიცა, დაიცა, წეღან არა თქვი, წვერის გასაპარსავად შევედიო... პატიოსნებაც დაიფიცე.

— ჰო, არა, დიახ... — დაიბნა სასტუმროს ადმინისტრატორი, რასაკვირველია... — შემდეგ გონს მოეგო, — ჰო, ჯერ გაზეთები წავიკითხე და ჩემმა რიგმა რომ მოაწია, წვერის გასაპარსავად დავჯექი. ამ დროს დარომ დამიძახა და...

— ეს მაინც მითხარი, რომელი გაზეთი წაიკითხე?

— რასაკვირველია, ჩვენი რაიონული გაზეთი „სიმართლის ხმა".

— როგორ ტყუის, როგორ ტყუის ეს ცრუპენტელა! — იყვირა გიგამ, —დღეს ჩვენი გაზეთი არ გამოდის.

— გუშინდელი არ მქონდა წაკითხული და ის გადავიკითხე, — არ დაიბნა ადმინისტრატორი.

— ყველაზე მეტად რა წერილი მოგეწონა გუშინდელ ნომერში? — არ მოეშვა გიგა.

— რასაკვირველია გიგა ლეშკაშელისა! — მკვირცხლად მიუგო სასტუმროს ადმინისტრატორმა.

— ო, რა ჯიბიდან გავარდნილი ხარ! — გაეცინა გიგას, — მოვეშვათ, ისა სჯობია ჩვენი განყოფილების გამგის ბარგი აქ ჩამოზიდო.

— ახლავე, გიგა, ახლავე, — დაფა-

ცურდა ადმინისტრატორი, — დარო, გამომყევი.

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარი გიგამ შეაჩერა, იგი მაინც გაჰყვა ადმინისტრატორსა და დაროს. ძალაუნებურად გიგაც მათ აედევნა.

— მოდი, მეც ვნახავ, თუ როგორია თქვენი ყველაზე საუკეთესო ნომერი.

ნომერში რომ შევიდნენ, გიგამ მუშტრის თვალით გადახედა ოთახს. ყველაფერი ხელით მოსინჯა. მაგიდა დანჯღრეული იყო, კარის სახელური მხოლოდ ერთ ლურსმანზე ეკიდა. გიგამ მაგრად მოსწია და მოაძრო. ჭერი სახურავიდან გამონაჟონ წყალს ჩამოექცია. მიუხედავად ამისა, ნომერი კარგად იყო დასუფთავებული, ზეწარი და ბალიშის პირი თეთრად ქათქათებდა.

— ესაა თქვენი საუკეთესო ნომერი? —თქვა გიგამ, — წარმომიდგენია სხვები რა დღეში იქნება!

— მართალს ბრძანებ, — დაუდასტურა სასტუმროს ადმინისტრატორმა,— სარემონტოა, თორემ ისე რა უჭირს.

— სარემონტო შენი თავია, — დაუტატანა გიგამ, — ეს სახელური რომ კარზე მიამაგრო, ამასაც რემონტი სჭირდება?

— რაც მართალია, მართალია, — კვერი დაუკრა ადმინისტრატორმა და დაროს მიმართა. — დარო, რამდენჯერ უნდა გითხრა, ზეინკალი მოიყვანე მეთქი, მაგრამ მე ერთს ვამბობ და შენ სხვას აკეთებ.

— ზეინკალი მოიყვანეო, პირველად მესმის, — არ დაუთმო დარომ.

— ზეინკალზე თქვენ თვითონ მორიგდით, — დააჩქარა გიგამ, — ჩვენ გაგვისტუმრე, ამდენი დრო კი არა გვაქვს.

ბარგი ქვემოთ ჩაიტანეს. სასტუმროდან რომ გამოდიოდნენ, ადმინისტრატორმა გიგა შეაჩერა.

— პატივცემული გიგა, ფული!

ნოდარმა ხელი ჯიბისაკენ წაიღო.

— რა ფული? — ყალყზე შედგა გიგა.

ბიბლიოთეკა

— ჩვენთან ასეთი წესია, ნომერში ათი წუთიც რომ დარჩე, დღე და ღამისა უნდა გადაიხადო.

— ოცდაოთხი საათისა?

— დიახ.

— ნომერში რომ არ უცხოვრია, ქვეშაგებიც ხელუხლებელია.

— ასეთი წესია და...

— ეს წესი ბაბუაშენს უთხარი, — დაცინვით მიუგო გიგამ, — ჩვენ მოგვეშვი, თორემ შაში და კარის მომძვრალი სახელური კმარა, რომ ხვალ გაზეთში გამოგჭიმო, — თან ხელი კისერზე მოისვა, რითაც გააგებინა, თუ არ ჩამოგვეხსნები, თავს წაგაცლიო.

— როგორი ხარ, გიგა, — ნაძალადევად გაიღიმა ადმინისტრატორმა, — ხუმრობასაც ვერ ხვდები.

— ეგ საკენკი სხვას დაუყარე, — არ აჰყვა ადმინისტრატორს გიგა, — ეცადე, შაში ნაკლებ ითამაშო და სასტუმროს მოვლა-პატრონობაზე იზრუნო!

— მე ჩემი უფროსი მყავს, — თავი იმართლა ადმინისტრატორმა, — მისი განკარგულების გარეშე რა უნდა გავაკეთო.

— ისიც კარგი ჩიტია! — თქვა გიგამ და ნოდარს მიუბრუნდა, — მართლაც საჭიროა ამ სასტუმროს მივხედოთ, თორემ სულ მიუშვეს საქმე. კარგი ცხელ-ცხელი ფელეტონი გამოაცოცხლებთ. დირექტორი, ღმერთმა უწყის, სად დაეხეტება, ადმინისტრატორი მთელი დღე შაშს გადაჰყვა.

— ხა, ხა, ხა, — კვლავ ნაძალადევად გაიცინა ადმინისტრატორმა.

გარეთ გამოვიდნენ. გიგამ პირველივე ავტომანქანა გააჩერა. სასტუმროს ადმინისტრატორმა საბარგულში ბარგი ჩააწყო.

— კაკო, — უთხრა გიგამ შოფერს,— მილიციასთან რომ რაივაჭრობის ახალი სახლია, იქ მიგვიყვანე.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

# მ ი თ ი

სიბნელე შეტორტმანდა, ნისლი გაიცრიცა, განთიადის მდუმარება ჯაჭვების ჟღარუნმა დაარღვია. ნარცისის სიკვდილის შემდეგ ეტყობა ექოც ამ მხარეში გადმოსახლდა, რადგან მის სმენამდე არა მარტო ჯაჭვების ჟღარუნი აღწევდა, არამედ მცირედი ჩქამის გამოძახილიც. ღამენათევმა ტიტანმა თავი ასწია, კედელს მიეყრდნო და თვალი მიმავალი ღამის გამჭვირვალე ჩრდილს გააყოლა. მან არ იცოდა, რა იყო სიკვდილი, მომაკვდინებელი სენი მის სხეულში ფეხს ვერ იკიდებდა, მაგრამ ყოველდღიური ტანჯვა უკურნებელ სენზე უარესი აღმოჩნდა და ამიტომ ღამღამობით უფრო უჭირდა დროსთან ჭიდილი, ვიდრე დღისით, ყველაფერს ერჩია ძილი, ხანგრძლივი, ტკივილის გამაყუჩებელი ძილი. თვალდახუჭული კუნთებს მოადუნებდა, თავს დაჭიმულ ჯაჭვს მიაყრდნობდა და ჩასთვლემდა, მაგრამ ზევსის შიშით ჰიპნოსი ახლოს არ ეკარებოდა. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თვალი არ მოუხუჭავს, რამდენჯერ დაეჭვებულა საკუთარ არსებობაში, რამდენჯერ გახახუნებია კლდის უსწორმასწორო ზედაპირს, მხოლოდ იმისათვის, რომ გასქელებულ, გაუხეშებულ კანს მგრძნობელობა არ დაეკარგა. მისი არსებობა მისივე სულის ზედაპირზე არეკლილიყო, რადგან სხვა ელვარებას, სხვა საზომს არ სცნობდა, არ ენდობოდა. აქ მან უამრავი სისხლი დაღვარა. ისე ეწამა, როგორც არავინ წამებულა და ახლა კარგად იცოდა, რა იყო ამქვეყნად მყარი და რა მერყევი. მაჯებზე შემოჭერილ სალტეებს ჟანგი არასოდეს მოეკიდებოდა, არც ჯაჭვი იცვლიდა ფერს. ტირანმა იცოდა, ვისთვის დაევალებინა მისი მიჯაჭვა, ვინ იყო ამქვეყნად უბადლო მჭედელი და ოსტატი. განთიადისას ყველაზე მეტად მაჯების ტკივილი აწუხებდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხელის მტევნები დააწყდებოდა, გადმოიქცეოდა და პირქვე დაეკიდებოდა. ამ დროს ისიც კი ავიწყდებოდა, რომ მკერდში ბოძალი ჰქონდა გაყრილი. პირველად საშინელი ტკივილი იგრძნო, სისხლი ჭრილობიდანაც მოედინებოდა და პირიდანაც, მაგრამ დროთა განმავლობაში ტკივილი დაყრუვდა, ჭრილობამ პირი შეიკრა და რკინის ბოძალი მისი სხეულის განუყრელ ნაწილად იქცა.

ღამისა და ნისლის ნაფლეთები ერთმანეთში აირია, განაცრისფერდა, ხეობებისაკენ დაიძრა. ზევსს ეგონა უდაბნოში გადმოისროლა, სადაც ქარისა, მტვრისა და ყინვის მეტი არაფერი მოი-

ძევებოდა, მაგრამ კოლხეთში მზე ალერსიანი აღმოჩნდა, ყინვა ლმობიერი, ხოლო ბუნება უფრო წყალუხვი და კალთაუხვი, ვიდრე ატიკაში და თესალიაში. მისი ხვედრი კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, ადამიანებს რომ იმედი არ გაემართლებინათ, ამაოებას რომ არ დაპირისპირებოდნენ. მეტისმეტად შორს ყურება ყოველთვის უჭირდა, ზოგჯერ მომავალს ეჭვის თვალით, უნდობლადაც კი უყურებდა, მაგრამ გაღვიძებულმა გონებამ შეუძლებელი შესძლო, ყველა წინააღმდეგობას სძლია და ახლა შორიდან მოიმედე ადამიანების შრომის, ბრძოლისა და ლხინის ხმა ესმოდა. წარღვნა კარგად ახსოვდა, მაშინ ჯერ კიდევ თავისუფალი იყო — ზევსმა პირადად მას ვერაფერი გაუბედა და ადამიანებზე იყარა ჯავრი, მაგრამ როცა ხალხთა დიდი გადასახლება დაიწყო, იგი უკვე ამ პიტალო კლდეზე იყო მიჯაჭვული და ამიტომ არ იცოდა, საიდან მოვიდნენ ამ მხარეში კოლხები და იბერები.

ტიტანმა მუხლები მოხარა, ხელები მოადუნა და მთელი ტანით მკერდში გაყრილ ბოძალს დაეკიდა. იმ ადგილას, სადაც წახნაგოვანი რკინა სხეულში შევიდა, ხორცმა ნაწიბურები გაიკეთა. ზემოდან მოლურჯო ფერის გარსი გადაიკრა. დიდხანს ასე ვერ გაძლებდა. ჭრილობა გაეხსნებოდა, სისხლით გაიწებებოდა, მაგრამ ხელის მონაცვლებლად სხვა საშუალება არ ჰქონდა და რადგან ვერავინ შეეშველებოდა, საკუთარი ჭირ-ვარამისათვის თვითონვე უნდა მოევლო როგორმე.

მზე ჯერ არ ჩანდა, ცა მხოლოდ ფერს იცვლიდა, იწმინდებოდა. გუშინ ზევსი ცუდ გუნებაზე იყო. რაც კი ქვეყნად ღრუბელი მოიპოვებოდა, ყველა აქ მორეკა და ცეცხლი შეუნთო. გავარვარებულ ელვათა კაშკაში ბნელს აპობდა, ქუხილი მთელ კავკასიონს აყრუებდა. ყოველი ცოცხალი არსება ბუნაგში ან ხვრელში იყო შემძვრალი, მხოლოდ მას არ გააჩნდა თავშესაფარი, გადაჩეხილ ჯიხვივით ეკიდა კლდეზე. კლდიდან ჩამონადენი წყალი თავსა და მხრებზე სცემდა, უფსკრულში ჩათრევას უპირებდა, მაგრამ მას არც უფსკრულში ამოხდებოდა სული. როგორც არ უნდა დალეწილიყო, მცირე ხნის შემდეგ ფეხზე წამოდგებოდა, უფსკრულიდან ამობობღდებოდა, აიამდე ჩავიდოდა და ადამიანებს გამოელაპარაკებოდა. ადამიანებისათვის დიდი ხანია არ მოუკრავს თვალი. მათი ხმა კლდეზე მიჯაჭვის დღიდან არ სმენია, მაგრამ კლდეს ვერც წყალი შლიდა და ვერც ქარი ფიტავდა.

საიდანღაც ჯიხვის ბღავილი მოისმა. ტიტანმა ხელის კუნთები დაძაბა, ტერფები კლდეს მიაბჯინა და ჩვეულებრივი მდგომარეობა მიიღო. მკერდის არეში ტკივილსა და სიცარიელეს გრძნობდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო უმძიმდებოდა სხეული, ბოლო დროს კი ხორცმა ტყვიის წონა შეიძინა. უეცრად შხარა ჩირაღდანივით აკიაფდა. გვირგვინით შემკული მწვერვალები მზის ოქროსფერ სხივებში ცურავდნენ და მის ფართოდ გახელილ თვალებში ირეკლებოდნენ, მის მარტოობას იზიარებდნენ. არწივის მოფრენამდე ახლა არაფერი უჭირდა. შეეძლო საკუთარ თავსა და წარსულს დაბრუნებოდა, დრო და სივრცე უკუეგდო.

როცა აქეთ მოჰყავდათ, დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის დასასრულამდე ატარებდნენ და სწორედ იმ კლდეზე მიაჯაჭვავდნენ, რომლის იქით სიბნელისა და სიცარიელის მეტი არაფერია, მაგრამ კავკასიონიდან ოლიმპო არც ისე შორს აღმოჩნდა, როგორც ეს ღმერთებს ეგონათ. საკმარისი იყო, კაცს გადაეცურა ევქსინის პონტო, გაევლო ჰელესპონტი, პროპონტიდა, ეგეოსის ზღვა და პირდაპირ პენევსის ხეობას მიადგებოდა. ხოლო იმ გზით, რომლითაც აქ მოიყვანეს, ამდენი ცურვაც არ დასჭირდებოდა. ზევსმა იცოდა, რასაც აკეთებდა, იგი მარტო კლდეზე კი არ მიაჯაჭვა, არამედ გზებიც წაართვა, მის მიერ გაკვალული გზები და როცა კაცობრიო-

ბის პირველად გადადგმულ ნაბიჯებს იგონებდა, შენების ზედაპირზე უამრავი მივიწყებული სახეები და შელახული სურათების ფრაგმენტები ირეოდა, რომელთაც თითქოს ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მან სხვებზე უკეთ იცოდა, რა ნიშნებით ხასიათდებოდა ჯაჭვი და ხლართი.

ცეცხლის მოტაცების შემდეგ ბევრი დრო გავიდა, იმდენად ბევრი, რომ დასჯას აღარ ელოდა, მაგრამ როცა სამართალი ტირანის ხელშია და ისიც ხელისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილი ტირანის ხელში, არავინ არაფრისაგან არაა დაზღვეული. ძალა და ძლიერება თითქმის ერთდროულად მოადგნენ კარს. მანამდე ისინი არსად ენახა. ანდა როგორ ნახავდა — მათ არც ხორცი გააჩნდათ და არც სული, მხოლოდ ხმა ჰქონდათ მრისხანე და შეუპოვარი. პირადად მისთვის ბევრი არაფერი უთქვამთ, ზევსის ნება გამოუცხადეს და განაჩენი წაუკითხეს, მაგრამ ჰეფესტოს ისე უყვიროდნენ, როგორც ყურმოჭრილ მონას. მხარზე უროგადებული მჭედელი თავჩაქინდრული იდგა მათ უკან, ტუჩებს იკვნეტდა და მონაზე უფრო ბეჩავი ჩანდა. განაჩენის თანახმად მას კლდეზე უნდა მიეჯაჭვა მეგობარი და არა მარტო მეგობარი, არამედ ერთადერთი უკვდავი, რომელიც ადამიანებს გამოესარჩლა, მათ გამო დაისაჯა. ძალა და ძლიერება ბრმანი და ყრუნი იყვნენ, მათთან დავას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ დიდი შორსმჭვრეტელობით არც ჰეფესტო გამოირჩეოდა, განაჩენში ზუსტად იყო მითითებული სად, როგორ და ვის უნდა მიეჯაჭვა იგი კლდეზე. გამჭრიახი გონების პატრონი იმწამსვე მიხვდებოდა, რომ ბედისწერა აქ არაფერ შუაშია. ზევსმა ყველაფერი წინასწარ ივარაუდა და იმ ვარაუდში მთელი თავისი ვერაგობა ჩააქსოვა. როცა კლდეზე მიჯაჭვას უსჯიდა, კარგად იცოდა, რომ ამას ჰეფესტოს მეტი ვერავინ შესძლებდა. ვერაგობის მიზეზიც სწორედ აქ იყო საძიებელი. ჰეფესტოს იგი დაბადების დღიდანვე ა მაცერად უყურებდა. არ მოსწონდა მისი გულჩათხრობილობა, განზე დგომა, ვერ გაეგო, რატომ ერჩია მძიმე უროს ქნევა მის დიდებულ დარბაზში ნექტარის სმას. კოჭლი შვილისადმი უნდობლობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუძლიერდა, როცა მან დედას სამაგიერო გადაუხადა. დიონისეს რომ ჰეფესტო არ დაეთრო და ოლიმპოზე არ აეყვანა, ჰერა, ალბათ, ახლაც სავარძელზე იქნებოდა მიბმული. ამგვარი რამ მამისთვისაც შეეძლო გაეკეთებინა. ამიტომაც არ ეკარებოდა მის ნაკეთობას მანამდე, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ საკისრებსა და ზამბარებს შორის საფრთხე არ იმალებოდა. მაგრამ ძილი და მოსვენება მხოლოდ მას შემდეგ დაკარგა, როცა გაიგო, რომ მისი შვილი ცეცხლის მომტაცებელს დაუმეგობრდა. ასეთი მეგობრობა ტახტსა და წესწყობილებას კარგს არაფერს უქადდა. ძალის არ ეშინოდა, ძალას ძალას დაუპირისპირებდა და დაამარცხებდა, მაგრამ სხვის ფარულ ზრახვებთან, სხვის ჭკუასთან ჭიდილი უჭირდა, არ იცოდა, საიდან მოევლო საფრთხისათვის. სად დახვედროდა, ამიტომ ასეთებს ან ამწყვდევდა, ანდა იმქვეყნად ისტუმრებდა. იყო კიდევ ერთი ნაცადი ხერხი, ურჩთა შორის შუღლის ჩამოგდება. სწორედ ეს ჰქონდა მიზნად, როცა განაწყენებულ შვილს მეგობრის კლდეზე მიჯაჭვა უბრძანა. ზევსს ალღო არ აკლდა, ტახტისათვის ბრძოლამ ფრთხილი და ეჭვიანი გახადა, მაგრამ ერთი რამ მაინც არ ესმოდა — პატიება იმაზე კი არაა დამოკიდებული, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, არამედ იმაზე, ვინ რას როგორ უყურებს.

ჰეფესტოს იგი მამამისზე უკეთ იცნობდა. ფიზიკური ნაკლის გამო ახალშობილი ბავშვი ჯერ ოლიმპოდან გადმოაგდეს, შემდეგ კი აითვალისწუნეს და მოურიდებლად დასცინოდნენ. როგორც კი დარბაზში ფეხს შესდგამდა, ჰერმესი სატირივით დაიმანჭებოდა, აპოლონი დებს გადახედავდა, ზევსი

წარბებს შეარხევდა და იწყებოდა გაუთავებელი ხითხითი. ერთობოდნენ, ერთმანეთს მხარს უბამდნენ უსაქმური დიდებულები და მის ღონიერ, დაკოჟრილ ხელებს თვალს არიდებდნენ. დროდადრო ღიმილი მის ბაგეებსაც მანჭავდა, მაგრამ მასხრობაში არეული ნაღველი კიდევ უფრო მწარდებოდა, მარტოობის გრძნობა ღამის ნაფლეთივით ღედღდებოდა. სიცილ-კისკისი და მუხლებზე ხელის ცემა განსაკუთრებით მაშინ აყრუებდა დარბაზს, როცა სიმთვრალეს ამჩნევდნენ. თუმცა ბოლო დროს ფხიზელი არც ასულა ოლიმპოზე. დიონისემ ისე შეაჩვია ღვინის სმას, რომ ნექტარს პირს აღარ აკარებდა. ღვინო ტკივილს უყუჩებდა, სითამამეს მატებდა, შეზარხოშებულს სამჭედლოში გული აღარ უდგებოდა, ტყისაკენ გარბოდა, ნიმფებს ეძებდა. მხოლოდ ეს იყო, რომ მის სუსტ ფეხებს კიდევ უფრო უჭირდათ გოლიათური მხარბეჭისა და დიდი თავის ტარება. როცა იდგა, თითქმის ყველა ღმერთზე დაბალი ჩანდა, მაგრამ დამჯდარი ყველას ჩრდილავდა. აპოლონი და ჰერმესი მის გვერდით უმწიფარ ყმაწვილებს ჰგავდნენ. ჰერა მზაკვრული ღიმილით უყურებდა, აფროდიტე თვალს არ აშორებდა მის მხარბეჭს. მოგვიანებით რომელიმე ქალღმერთი რაიმეს მოიმიზეზებდა, განზე გაიხმობდა და მანამდე ეკეკლუცებოდა, სანამ ძვირფას სამკაულს არ დასტყუებდა. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა — სიტყვაც, ნივთიც, სხეულიც, მაგრამ მამისეულ სახლში მაინც სწყინდებოდა, მარტოობის გრძნობა აქ უფრო აწვალებდა, ვიდრე ულრან ტყეში. თვით ჰეფესტო ამას საკუთარი უხიაგობით, უხასიათობით ხსნიდა, მაგრამ სანამ თვითონ არ დარწმუნდებოდა, რომ მისი მასხარად ამგდებნი მასთან შედარებით მაქციერები არიან და მეტი არაფერი, არც ღვინის სმას მიატოვებდა და არც ზევსის ყოვლისშემძლეობაში შეეპარებოდა ეჭვი. მის მახვილ გონებას მისივე ცალმხრივობა ზღუდავდა. ამიტომაც არ ესმოდა. რას ჰქვია ამბოხება, უზენაესის ბრძანების უგულებელყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივ მოვლენებს შორის ყველაზე მეტად მზის ამოსვლა და ჩასვლა მოსწონდა. არაფერი არართობდა ისე, როგორც გაუზავებელ ფერთა თამაში, დაჭიმულ სხივთა ზეციური ჟღერა. ამ დროს მთელ სამყაროს ისაკუთრებდა, ჭრილობებს იშუშებდა, მაგრამ ერთი რამ მაინც აწუხებდა. არ იცოდა ამდენი ტანჯვისა და მარტოობის შემდეგ კიდევ თუ ივარგებდა ცხოვრებისათვის, ამაოების გრძნობას თუ მოერეოდა. ღმერთების დარდი არ ჰქონდა, მათთან ვერც ადრე პოულობდა საერთო ენას, მაგრამ ადამიანები დღის სინათლეზე მან გამოიყვანა და როგორ ეთქვა გალახული მეძავისათვის ან გალოთებული მაწანწალისათვის, რომ მათთვის აღარ სცალია, მისი სული სამყაროსეულმა სევდამ შეიპყრო.

პირველად უჭირდა მწვერვალების ერთმანეთისაგან გამორჩევა, განსაკუთრებით ერთად თავმოყრილი, შეჯგუფებული მწვერვალებისა, მაგრამ შემდეგ თითოეული მათგანის მოხაზულობა ზუსტად შეისწავლა, ყოველი კონტური გამოაცალკევა და ახლა მათი მეშვეობით ისევე ადვილად საზღვრავდა დროსა და სივრცეს, როგორც ციური სხეულების დახმარებით. მას შემდეგ ერთფეროვნება სადღაც გაქრა, ყოველმა დახრილობამ, სიბრტყემ, სიმრუდემ უჩვეულო ფორმა შეიძინა და მასაც ასწავლა ხილული სამყაროს შემადგენელ ნაწილებად დაშლა, მცირე ნიშნებით დიდი მოვლენების ახსნა. არაჩვეულებრივად სუფთა, დილის ნიავივით გამჭვირვალე ჰაერი სადღაც აქ იბადებოდა და კლდისა და მტკნარი წყლის სურნელებით გაჟღენთილი მთელ ქვეყანას ეფინებოდა.

ზევსი ერთხანს ღმობიერად ექცეოდა, ჯერ კიდევ ახსოვდა მის მიერ გაწეული სამსახური, მაგრამ როგორც კი მიხვდა, რომ მისი მრჩეველი მასზე უფრო ჭკვიანია, როცა იგრძნო, რომ მისი დაუდეგარი, თავისუფლებისმოყვარე

სული სხვებსაც გარყვნიდა, დარბაზში აღარ უშვებდა, დარაჯებსა და კარისმცველებს სიკვდილით ემუქრებოდა. უყურადღებოდ ზევსს არაფერი რჩებოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც არ იცოდა, რომ მის მიერ ათვალწუნებულ ტიტანს სვეტებიან დარბაზში დროსტარებას ქირონის გამოქვაბულში ღამისთევა, ან კითერონის მთებში ხეტიალი ერჩია. დედამიწაზე უკეთ გრძნობდა თავს, საინტერესოსაც მეტს პოულობდა. მხოლოდ ერთი რამ უკლავდა გულს. ბუნება ყვაოდა, ათასფრად იღებებოდა, ცხოველები ლაღად დანავარდობდნენ, მრავლდებოდნენ, ადამიანები კი — გეას ეს მკვიდრი და ნაბოლარა შვილები. ჩამომხმარ აჩრდილებივით დაბორიალობდნენ, პირზე მომდგარ დუჟს გაძვალტყავებული ხელით იწმენდნენ და ღამეს ნესტიან გამოქვაბულში ათევდნენ. მათთან გამოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, რადგან არც სიტყვის მნიშვნელობა იცოდნენ და არც ამქვეყნის გაეგებოდათ რამე. ცხოვრობდნენ ჯოგად, უმოქმედოდ, უმომავლოდ. თუ რამეს იშოვიდნენ, უაზროდ ჭამდნენ. დამუწუკებულებსა და დაგლახაკებულებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა საუნჯეს ატარებდნენ თან, რა საოცრებას მალავდა მათი თავის ქალა. ერთხელ საცალფეხო ბილიკს აჰყვა, ბარდებს გვერდი აუარა და გამოქვაბულში შევიდა სანამ რამეს დაინახავდა, ნესტისა და სიდამპლის სუნი იგრძნო. მახლობლად რაღაც ყარდა, ჰაერს ტყვიასავით ამძიმებდა. კედელივით აღმართული სიბნელიდან ცოცხალ არსებათა ფაჩუნი და ყრუ ზმუილი ისმოდა. უსწორმასწორო იატაკზე დაყრილი ადამიანები მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა თვალი სიბნელეს შეეჩვია. უფრო საბრალო, მხდალი და გაუბედურებული სულდგმულები არასოდეს ენახა. გაბუძგნულნი, დამშეულნი სველ ქვებს ეკვროდნენ, საწყალობლად ზმუოდნენ და შიშისაგან ისე თრთოდნენ, როგორც ხაფანგში გამომწყვდეული ვირთხები. ერთმა როგორღაც გაბედა, თავი წამოსწია და ქვემოდან ამოხედა. მზერაგამახვილებულმა იმწამსვე იცნო ადამიანის მოძრავი, შუბლებში ღრმად ჩამჯდარი, გამოკვეთილი თვალები, მაგრამ სიბეცისა და უაზრობის მეტი მათში ვერაფერი ამოიკითხა. მიუხედავად ამისა, თვალი მაინც ვერ გაუსწორა, შემობრუნდა, გასასვლელისაკენ გაემართა. იმ დღიდან მოსვენებას ვეღარ პოულობდა, საკუთარ თავს გაურბოდა. ღმერთებმა დაუფიქრებლად წაართვეს ადამიანებს ის ერთადერთი იარაღი, რომელიც საარსებოდ სჭირდებოდათ, წაართვეს გონება, აზროვნების უნარი და მთელ დედამიწაზე ყველაზე უბადრუკ არსებად აქციეს. ნუთუ იმის გამო, რომ ზევსს გონიერი არსებობის ეშინოდა, კაცობრიობა უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა? თუმცა ნდობით არც კრონოსი ექცეოდა ადამიანებს, მასაც ეშინოდა გონებისა, მაგრამ მის დასაჩლუნგებლად სულ სხვა საშუალებებს იყენებდა. ცდილობდა, ადამიანები მატერიალურად უზრუნველეყო და ამ გზით ჩაეხშო კაცის გულში ხალისი, ცოდნის წყურვილი, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ისე შეენიღბა სინამდვილე, რომ არავინ არაფერში დაეჭვებულიყო. ბოლოს მიაღწია კიდეც თავისას. ადამიანები მოადუნა, დააჩლუნგა, მაძღარ, ნაპატიებ ცხოველებად აქცია და ახლა მემატიანენი იმ დროს ოქროს ხანას უწოდებენ. ნუთუ კრონოსი ადამიანების დაჩლუნგებასა და დაბეჩავებას მხოლოდ იმიტომ ცდილობდა, რომ ამქვეყნად კარგზე მეტი ცუდია?

ტიტანმა ხელები ცოტა უფრო ფართოდ გაშალა, კედელს მოსცილდა და წინ გადმოიხარა. დუმილით გამსჭვალული მწვერვალები მარადიულ სიზმრებს გაურბოდნენ, თავიანთ ნამდვილ სიდიადეს იძენდნენ. კრონოსის დროს ადამიანებს თუ სული არა, სახე მაინც ჰქონდათ თავისი, მაგრამ ზევსმა არც სახე შეარჩინა. წაართვა ყველაფერი, რაც მათ უზრუნველი ცხოვრების საშუალებას აძლევდა და გონებადაჩლუნ-

გებულნი უპატრონოდ დატოვა. ბედ-მიანდო ისინი, ვისაც არც შრომა შეეძლო, არც ბრძოლა და არც პურის მოყვანა. ჩაქრა ნათელი, დაიხშო გონება კაცისა, მთელ სამყაროში არავინ აღმოჩნდა მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ქომაგი. დრო იყო, ვიღაცას ხელი გამოეღო, კაცთა მოდგმის ცოდვები ეტვირთა, როგორმე გაეღვიძებინა მბჟუტავი ნაპერწკალი, თორემ ადამიანის სახსენებელიც კი აღარ დარჩებოდა ქვეყანაზე. ერთხანს გარე-გარე დადიოდა, ხან წინ იყურებოდა, ხან უკან, მაგრამ ყოყმანი დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე უძილო ღამის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა წინ აღსდგომოდა სამყაროს მბრძანებელს, თუ ვერავის მიიმხრობდა, მარტო შებრძოლებოდა მტარვალს და ჩამოეტანა ცეცხლი დედამიწაზე, დაებრუნებინა ადამიანებისათვის სიხალისე, რწმენა, აზროვნების უნარი.

მზე მწვერვალებს თავზე წამოადგა. ქვისა და წყლის სამფლობელო გაფართოვდა, ზღვარს გასცდა. ჯერ აქ ყველაფერი ხელუხლებელი, წაუბილწავი იყო. მხოლოდ ვიწრო ბილიკი მოჩანდა ბორცვიან პლატოზე, რომელიც უფსკრულის პირას იწყებოდა და მის ფეხებამდე აღწევდა. ეს ბილიკი ოკიანიდებმა გაკვალეს. შეღამებისას დები უფსკრულში ეშვებოდნენ, ცივ წყალში იძირებოდნენ, ტენით ივსებოდნენ, დილით კი ისევ ზევით ამოდიოდნენ და მუხლმოყრილნი დაღამებამდე მოთქვამდნენ. მათი თალხი ტანსაცმელი, გაშლილი თმა და მწარე მოთქმა უმწეობის გრძნობას ამძაფრებდა, ისედაც დაბორკილს კიდევ უფრო ბორკავდა. რამდენჯერ უთხოვია მათთვის მიეტოვებინათ ეს უკაცრიელი მიდამო, დაბრუნებოდნენ მშობლიურ სტიქიას, ეცეკვათ, ემღერათ, დროზე ეგემათ თავიანთი წილი ბედნიერება, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ცრემლისაგან ლოყადამწვარნი ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან. სტიქსი ჰესიონეზე უფრო თეთრი და მაღალი იყო, თმა ოქროსფერი ჰქონდა, თეძოები სავსე და განიერი. მისი მკვეთრი, დაბალი ხმა გულის სიღრმიდან მოდიოდა, თანდათან მდიდრდებოდა და სევდიან ჟღერადობას იძენდა. ზოგჯერ დამწუხრებულ სახეზე ნათელი გადაურბენდა, სავსე ტუჩებს ღიმილი მოსწყდებოდა და ამ დროს იგი გულუბრყვილო, მეოცნებე, ბედის მომლოდინე ქალიშვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მგლოვიარე დედაკაცს. ჰესიონე მასთან შედარებით ტანმორჩილი და შავგვრემანი იყო, მაგრამ ისეთი მოქნილი, კოხტა ტანი ჰქონდა, ისე მსუბუქად დადიოდა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო. მის შავ, უძირო თვალებში მწვერვალები ეტეოდა, მოთქვამდა ხმადაბლა, გაბმული, გაბზარული ხმით. გარეგნულად სტიქსზე ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ცხოვრების ავსა და კარგში უკეთ ერკვეოდა.

ოკიანიდები სახიფათოდ გადმოწოლილ კლდის ჩრდილს გამოსცდნენ და გაორდნენ. წყლის წვეთები ალმასებივით ბრწყინავდა მათ თმაზე, წარბებზე, წამწამებზე. უფსკრულიდან ამოტანილი, გაძარცული ზმანებები ჰაერში იბნეოდა და ჩრდილებს ეტოლებოდა. დები ლოდზე ჩამოსხდნენ, ხელები თავზე შემოიწყვეს და მზერა მისკენ აღმართეს. დაჭიმული ქსოვილის ქვეშ ნათლად გამოიკვეთა მრგვალი მუხლები და ჩამოსხმული ბარძაყები. ჰესიონე ოდესღაც მისი ცოლი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს არ გაჰკარებიან, იმდენი დრო გავიდა, რომ პირველი დღის შთაბეჭდილებების გარდა მეხსიერებას თითქმის აღარაფერი შემორჩა.

მზით შემთბარმა წინასწარ იცოდა, რა სიტყვებით დაიტირებდნენ მის უბედურებას, რას შეუთვლიდნენ ზევსს, რას შესჩივლებდნენ მშობლიურ სტიქიას, მაგრამ იცოდა ისიც, რომ ამ ქვეყნის მათ ბევრი არაფერი გაეგებოდათ. თუმცა საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ბედისწერა დროის ნაჩქარევი სარმაა და მეტი არაფერი, რომ წამების გარდა ამ-

ქვეყნად წარმავლობაც არსებობს, წარმავლობა ანუ მოირა, ვისიც ყველას ეშინოდა, თვით ზევსსაც კი. ბოლოს და ბოლოს, რომ უმაგრესი ხეც წაიქცევა, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა, მაგრამ მის მეტს არავის შეპარვია ეჭვი მოირების არსებობაში და, ალბათ, ამიტომ დაუყარეს ხმა, მათი ლაპარაკი ესმისო. რა ფასი ექნებოდა მის ჭკუას, მტრების სიბრმავე რომ არ გამოეყენებინა. რამდენჯერმე მხოლოდ ისეთი რამ იწინასწარმეტყველა, რაც ძნელი მისახვედრი არ იყო, სხვა ყველაფერი კი იმათ მოიგონეს, ვისაც ზევსი ობობასავით აჯდა თავზე.

სტიქსსა და ჰესიონეს ზევსისა და ბედის გმობა მოეთავებინათ და ახლა უშუალოდ მას მიმართავდნენ. ემუდარებოდნენ მოერიდა საკუთარ თავს, დაეთრგუნა სიამაყე, საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ეღიარებინა დანაშაული, ეთხოვა პატიება უზენაესისათვის. მათ უკვე ხმაზე ეტყობოდათ, რომ დაიღალნენ, გრძნობებისაგან დაიცალნენ. მუხლები გაუხევდათ. უეცრად მომეტებული სინათლისაგან ქვეყანა ნაწილაკებად დაიშალა, ერთმანეთში აირია და შეფერილობის მიხედვით დალაგდა. ნაცრისფერი ნაცრისფერმა დაისაკუთრა, რუხი რუხმა, შავი შავმა. მხოლოდ ლოდზე ჩამომსხდარი ქალების დასაკუთრება არ ისურვა არავინ, მომლოდინენი ლოდინის ამარა დატოვა. ერთადერთი, რითაც მათი გონზე მოყვანა, განმდგარ ქვეყანასთან დაკავშირება შეიძლებოდა, არაფრის მთქმელი, ზერელე საუბარი იყო.

— ცოტა შეისვენეთ, მე არსად გავრბივარ, ჯერჯერობით, მგონი, არც ზევსი აპირებს გადადგომას — მიმართა მან ქალებს და წვივების ტკივილი რომ დაეყუჩებინა, ფეხები რამდენჯერმე მოხარა და გაშალა.

სტიქსმა და ჰესიონემ მოთქმა შეწყვიტეს. თმა უკან გადაიყარეს და ისე მიაჩერდნენ ჯაჭვით დაბმულს, თითქოს მისი ხმა პირველად ესმოდათ.

— ჩვენ მართლა ვიწვით შენი ცოდვით, პრომეთე!

იგი რომ სადმე ბნელ გამოქვაბულში გდებულიყო, ამდენ აურზაურს არ ატეხდნენ, აქამდე ყველას დავიწყებული ეყოლებოდა, მაგრამ ტანჯვის გამომზეურება მოსვენებას არ აძლევს იმათ, ვისაც აყურებინებენ.

— პირველად რომელ თქვენგანს მოუვიდა აზრად აქ დასახლება?

— შენ რომ კენესიყრა არ გამოგეგონებინა, ჩვენ, ალბათ, ყველა აქ ვიქნებოდით — უპასუხა ჰესიონემ.

ერთი რამ მაინც გამომიგონებია ჩემდა სასიკეთოდ, სამი ათასი დის მოთქმას წამებულის ყურები კი არა, სალი კლდეებიც ვერ გაუძლებდნენ, — გაიფიქრა მან და ქალებს ლმობიერად გაუღიმა.

— არ გენატრებათ სახლი, დები, მოკირწყლული ხეივნები?

— ჩვენ აქ იმდენი ხანი ვართ, რომ ახლა მხოლოდ შენით ვარსებობთ.

— ჩემს ტკივილს უკვე შეეჩვიეთ, ამიერიდან იმაზე უარესი არაფერი იქნება, რაც იყო. ხომ ხედავთ, როგორ ფარავს საუკუნოვან მწუხარებას კლდიდან გადმოკიდებული ჩრდილი.

— მწუხარების საზომი ჩვენა ვართ და არა ჩრდილი.

ნებაყოფლობითი მორჩილება თოკივით იგრიხებოდა და სადღაც მის ზურგს უკან ინასკვებოდა.

— მე მგონი, ჩემი სახის გამომეტყველება სრულიად არ იძლევა იმის იმედს, რომ ლოდინს მალე მოეღება ბოლო.

— ჩვენთვის დრო ისევე აღარ არსებობს როგორც შენთვის, პრომეთე!

მისი უკუღმართი ბედი ყოველდღიურად რაღაც ახალს იძენდა, სხვადასხვაფრად იმოსებოდა და ისე ეხლართებოდა სინამდვილეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მასაც კი უჭირდა მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება.

— იცით, რას ჰქვია მითი?

— არა.

— მე მგონი, ადამიანები თქვენზე ჭკვიანები არიან.

სტიქსმა ადგილი მოინაცვლა და ლოდის კიდეზე ჩამოჯდა.

— როგორ შეიძლება მოკვდავი უკვდავზე ჭკვიანი ყოს?

— ჭკვიანი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც რაღაცას ეძებს, იცის რას ჰქვია მითი, ტკივილი, წარმავლობა, პირგამეხებული ებრძვის მარადისობას.

სტიქსს თვალები აენთო და ერთი წუთით გადაავიწყდა კიდეც, სად იყო და ვის ელაპარაკებოდა.

როგორ უნდა ვებრძოლოთ იმას, რაც ჩვენი საკუთრებაა?

ტიტანმა გამშრალი ტუჩები გაილოკა, თავი უკან გადააგდო და მწვერვალებს მიაჩერდა.

— გესმით ყინულზე არეკლილი სხივთა ჟღერა?

— არა.

— გარდასულ დღეთა ჩურჩული?

— ბუნდოვნად.

— სმენა დაგჩლუნგებიათ.

— ჩვენ იმდენად მახვილი სმენა გვაქვს, რომ შენი დასაბმელი ჯაჭვის ჟღარუნი წყლის ქვეშაც კი გავიგონეთ.

მათ მხოლოდ ჟღარუნი გაიგონეს, მას კი იმ დღის მოგონება ტანში ზარავდა. გავარვარებული მზე უძრავად ეკიდა ცაზე. თრაკიის ველებიდან დაძრულ ნიავს სიმხურვალესთან ერთად დამჭკნარი, მომადუნებელი სევდაც მოჰქონდა თან. ზღვა უზომოდ გამძღარ მედუზასავით ეგდო ორმოში. დაუპატიჟებელი სტუმრები ისე ამოუდგნენ გვერდით, რომ ტანზე ჩაცმაც კი არ აცალეს. ძალამ მარჯვნიდან გაუყარა უხილავი მკლავი მკლავში, ძლიერებამ მარცხნიდან, შემდეგ მიწას მოწყვიტეს, სამი ზღვა გადმოატარეს და სანამ ამ კლდეს მოაგნებდნენ, მთელი კავკასიონი შემოატარეს. ჰეფესტო ერთგულ ძაღლივით მოსდევდა უკან. მყინვარეზი პირველად მან შენიშნა, დაკვირვებით შეათვალიერა, მაგრამ როცა მათ სიახლოვეს ამოჩნდა, მიხვდა, რომ ამ ბუმბერაზთა სიდიადე განუზომელია და ცოტათი შეკრთა. როგორ უნდა გატოლებოდა ცადაწვდილ მწვერვალებს, როგორ უნდა გაეძლო ყოველივე იმისათვის, რასაც ისინი უძლებდნენ. უდაბნო აქ თითქოს არსად ჩანდა, მაგრამ როცა მაღლა ასწიეს და ზურგით კლდეს მიაკრეს, საშინელი მარტოობა იგრძნო, ჩრდილები ერთმანეთს ამუქებდნენ, ცა თეთრი ღრუბლებით იფარებოდა. ჰეფესტო დასჯილ ბავშვივით იდგა კლდის ძირას და ფეხს არ იცვლიდა. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ განაჩენს შეცვლიდნენ, უკვდავს ასე უღთვოდ არ გასწირავდნენ, იდგა და იცდიდა, მაგრამ შიკრიკი არსად ჩანდა. ძალა და ძლიერება კი იღრინებოდნენ, გესლს ანთხევდნენ, ხმამაღლა უყვიროდნენ, მალე მოეთავებინა საქმე. იმ დღეს ცადაწვდილმა მწვერვალებმა პირველად იხილეს როგორ აბამენ კლდეზე ცოცხალ არსებას, როგორ ემორჩილება ძალას ძალა. მათ საუფლოში გაჩნდა რაღაც ისეთი, რასაც ვერ გაიგებ, ვერ შეეჩვევი. საღამომდე უგრძნობლად ეკიდა კლდეზე, არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი, მაგრამ როცა გონს მოვიდა, მკერდის არეში ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ მისმა გმინვამ მთები შეძრა. სისხლი ტანზე შემოხმობოდა, ფრჩხილები გაშავებოდა, დაკბენილი ტუჩები უხურდა. ერთი პეშვი წყლისათვის უკვდავებას დათმობდა, მაგრამ უკვდავება აქ არავის სჭირდებოდა. საბედნიეროდ იმ ღამეს გაწვიმდა, იწვიმა გათენებამდე და როცა ინათა, წყურვილმოკლული და განბანილი იყო.

ორფევსის მთის შემოგარენს ისე კარგად იცნობდა, რომ გზის ძებნა არ დაუწყია. ფერდობს ბოლომდე ჩაჰყვა, ღელეს გადაახტა და მდინარისაკენ გასწია. ბალახი მუხლებამდე სწვდებოდა. ჩიტები მწიფე მაყვალს კენკავდნენ. თვალი ერთდროულად იმდენ რამეს აღიქვამდა, რომ მეხსიერებაში თითქმის არაფერი რჩებოდა. დანამდვილებით ვერც კი იტყოდა, რა ფერისაა ტიტა, ან შროშანი. რა არ იზრდებოდა, რა

არ ყვაოდა ირგვლივ — მუხა, კოპიტი, აკაცია, ზეთისხილი, დაფნა, ასკილი და ვაზი, რა სახის მწერები არ ეტანებოდნენ მათ სურნელებას. ურანი და გეა არ ახსოვდა, მაგრამ კრონოსსა და რეას კარგად იცნობდა და ამიტომ არ სჯეროდა, რომ მათ შექმნეს ყოველივე ის, რის აღქმასა და დამახსოვრებას იგი ვერც კი ახერხებდა. ამასვე ჩურჩულებდა მდინარისაკენ დაძრული ნიავიც. მონაკვეთებად დაყოფილი დრო, სწორედ ის დრო, რომლის გარეშე ღმერთებსაც კი არ შეეძლოთ არსებობა, კიდევ უფრო ნაწევრდებოდა, თვალის დახამხამებას უტოლდებოდა და ბოლოს სრულიად ქრებოდა, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ იმ დღეს მიხვდა პირველად, რომ გაღვიძებულ ცხოვრებას უამრავი დაბრკოლება გადაეღობებოდა წინ და ბრძოლისა და გარჯის გარეშე ვერ იარსებებდა. ამის ნიშნებს უკვე ხედავდა. ღმერთთა ერთი თაობის ცხოვრება მის თვალწინ მიმდინარეობდა. კრონოსს არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც მომავლის. ყველაფერი, რაც დროს მოჰქონდა, მის კეთილდღეობას, მის ყოფიერებას ემუქრებოდა. ამიტომაც არ ინდობდა შვილებს, ბნელ ჯურღმულში ამწყვდევდა, დაბადების დღეს აწყევლინებდა. რეასათვის კი ცხოვრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ ნაყოფი შედეგს გამოიღებდა, შვილი მამას დაჩაგრავდა, საწადელს ეწეოდა. ამიტომაც სძულდა ქმარი. რომ შეძლებოდა საკუთარი ხელით მოუღებდა ბოლოს.

უეცრად მზის ქვეშ გართხმული დედამიწის მდუმარება ცხენის ფლოქვების თქარათქურმა დაარღვია. კენტავრებმა მუხებს ჩაუქროლეს და ველზე გაიჭრნენ, წვერმოშვებულებს თავი ისე ამაყად ეჭირათ, თითქოს მათზე უკეთესი არავინ გაჩენილიყო ამქვეყნად. ფხიზლები არავის არაფერს უშავებდნენ, მაგრამ როგორც კი დათვრებოდნენ, ისეთ ჩხუბსა და აყალმაყალს სტეხდნენ, რომ მათი ტორების ცემა და ღრიალი ორფევსის მთამდეც კი აღწევდა, შეიძლება კენტავრების ავზნიანობისა და ავხორცობის მიზეზი გაორებული ბუნება იყო, შეიძლება ერთ არსებაში გაერთიანებულ კაცსა და ცხენს უჭირდა ინსტინქტების დაოკება, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება. თუმცა თავის შეკავებას ერთბუნებოვანი და ერთსახოვანი ღმერთებიც ვერ ახერხებდნენ. მათ აღვირახსნილობას იმდენჯერ შესწრებია, რომ აღარაფერი უკვირდა.

კენტავრებმა ველი გადასჭრეს, მთას შემოუარეს და თვალს მიეფარნენ. ათას აზრსა და შთაბეჭდილებას შორის სწორედ ის გრძნობა იკაფავდა გზას, რომელმაც მთიდან ჩამოიყვანა და ახლა მდინარისაკენ მიუძღოდა. ქვიშიან ნაპირზე, სადაც ჩამოჯდომა უყვარდა, ორი ხანდაზმული ტირიფი იდგა. ტირიფები წყალს პირდაპირ მდინარიდან სვამდნენ და რასაც ირგვლივ ხედავდნენ, საიდუმლოდ ინახავდნენ.

მსხვილტანიანმა, ასწლოვანმა მუხებმა დედამიწა ცას მოსწყვიტეს, დაჩრდილეს, დაარბილეს. ყოველ ხის ძირში მყუდროება მოკალათებულიყო, ირგვლივ მდებარე სივრცე დაესაკუთრებინა და ნიმფების სარეცელივით მოერთო. უზარმაზარი ფუღუროებიდან ველური თაფლი იღვრებოდა, მიწაზე იღვენთებოდა. უბერებელ ხეთა შორის მიმავალს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალღონე მის სხეულში გარედან იჭრებოდა და ყოველ კუნთს, ყოველ უჯრედს ავსებდა. სინამდვილეში კი ეს მისი შინაგანი მოთხოვნილება, მისი სულის ენერგია იყო, რასაც ზოგჯერ უგუნებობამდე მიჰყავდა, რადგან არ იცოდა სად წაეღო, როგორ დაეხარჯა. უეცრად, სანდლის ღვედი გაეხსნა და სანამ ცალ მუხლზე დაჩოქილი ღვედს შეიკრავდა, წელამდე გაშიშვლებულ კრონოსს მოჰკრა თვალი. ურანისა და გეას პირმშო უზარმაზარ მუხას მისდგომოდა, ფუღუროდან თაფლი ამოჰქონდა და ისე სანსლავდა, თითქოს ხვალ აქ აღარ დახვდებოდა. კრონოსს

რომ კარგი მადა ჰქონდა, ეს ყოველმა ორფევსელმა იცოდა. მაგრამ თაფლს იგი დასათრობად უფრო ეტანებოდა, ვიდრე გასაძღომად. ბოლო დროს როგორღაც დაჩლუნგდა, განკერძოვდა, ისე გაღორმუცელდა, რომ არც კი იცოდა, რას ჭამდა, რას სვამდა, ვის რისთვის ეფერებოდა და რისთვის უწყრებოდა. სიფხიზლეს სიმთვრალე ერჩია, სიმთვრალეს ძილი. დიდი კანონმდებელი და ცხოვრების მომწესრიგებელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბოლო დროს ოჯახზეც აიღო ხელი და ისე დახეტიალობდა ორფევსის მთის მიდამოებში, თითქოს ამქვეყნის აღარაფერი ეკითხებოდა.

მდუმარება ტყის ქათმის კრიახმა დაარღვია. ჭიანჭველები მტრის ბუნაგის ასაღებად დაირაზმნენ. კრონოსმა ერთი ფუღურო ამოასუფთავა, თითები გაილოკა და მეორისაკენ გადაინაცვლა. ახლა უკეთ ხედავდა მამალმერთის სახეს, მისი უზარმაზარი სხეულის შიშველ ნაკვთებს. შუბლზე დაყრილი, გაჭაღარავებული თმა ოფლით დანამოდა, ხშირი, დაკულულებული წვერი თაფლით დასვროდა, დიდი მუცელი აუხეშებდა, ამდაბიურებდა. ხელს ნიჩაბივით ხმარობდა და ერთ ამოღებაზე მთელი კათხა თაფლი ამოჰქონდა. ჰაერში იფანტებოდა რაღაც ისეთი, რაც სახადივით უჩინარი იყო და მომავალში ბევრ უსიამოვნებას მოუტანდა, როგორც ღმერთებს, ასევე ადამიანებს. შორს აღარ იყო ის დრო, როცა უდარდელობა დანაშაულს გაუტოლდებოდა, ღვინო და თაფლი ადუღდებოდა, დამყაყებული ცხოვრება აშმორდებოდა და საერთო არავის არავისთან აღარაფერი ექნებოდა. ღამე ავ თვალებს გამოიბამდა, ცოცვას დაიწყებდა, უბეს შხამით, დანით და ოქროთი დაიგრძელებდა, დღე კი მანამდე არ გადაბრუნდებოდა გვერდზე, სანამ უგუნურობას სისხლიან კოშმარებად არ გარდაქმნიდა.

უეცრად, კრონოსმა თავი მოაბრუნა და იქაურობა დაკვირვებით შეათვალიერა. თვალებზე გადაკრული ბინდი სამყაროს არტახებით კრავდა, აბუნდოვანებდა. დავაჟკაცების შემდეგ კრონოსისათვის ამქვეყნად არაფერი შეცვლილა და ახლა ისე განიცდიდა ყოველგვარ ცვლილებას, თითქოს უფსკრული თითო თითო მტკაველით ფართოვდებოდა.

კრონოსმა ირგვლივ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა, ადგილი მოინაცვლა და გრძელი ხელი ფუღუროში ჩაჰყო. სანამ შეზარხოშებული მამალმერთი ფუღუროდან თაფლს ეზიდებოდა, მან ტანმსხვილ მუხებს გვერდი აუარა და გზა განაგრძო. არ უხდოდა, პირისპირ შეჩეხებოდა წელამდე გაშიშვლებულ ბიძას, მისი ლოთობის მოწმე გამხდარიყო. ის, რასაც კრონოსი თავდავიწყებით ეტანებოდა, ზოგჯერ მასაც აკლდა და სანამ არ მოიპოვებდა, ვერ მოისვენებდა, ვერ განდევნიდა შეგნებიდან მწვავე, მტკივნეულ მოგონებებს.

მუხნარი გამეჩხერდა. დამფრთხალი მწერების წვრილი, სხვადასხვა სიგრძისა და სიმძაფრის ხმა მაღლა იწევდა, გუნდასავით იკვრებოდა, ზურგს უკან ეშვებოდა. იმ დღეს არც მწერი მოუკლავს და არც ყვავილი გაუთელია, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შემთხვევით გაჩნდა ამქვეყნად და უაზროდ ხარჯავდა ნიჭსა და ძალღონეს. მის ნათესავებს იმის უნარიც კი არ შესწევდათ, რომ ჭკუა და ეშმაკობა ერთმანეთისაგან განესხვავებინათ. ნაცნობის მეშვეობით უცნობი ამოეხსნათ. შეექმნათ რაღაც ისეთი, რაც ბუნებას არ შეუქმნია. ყოველ მის სიტყვას მონუსხულივით უგდებდნენ ყურს, უბრალო ლოგიკური დასკვნა წინასწარმეტყველებად მიაჩნდათ. ხეირიანად ისიც კი არ იცოდნენ, რას ჰქვია შრომა, ყოფა, თავისუფლება. რისთვისაა საჭირო ერთმანეთის დაზოგვა, ცეცხლის შენახვა, ქვაზე სიმბოლური ნიშნების ამოკვეთა. წარსული ჯერ კიდევ ასულდგმულებდა აწმყოს, ჯერ მხოლოდ მესამე თაობა იკვებებოდა შემწვარით და მოხარშულით, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი ისე მოდუნდა, გამოიფიტა და დამყაყდა, რომ შმორის სუნი ასდიოდა. მიწისა და ცის ნაშიერ-

ნი მიწასაც მოსწყდნენ და ცასაც, მიენდვნენ რაღაც ისეთს, რაც საოცრად მერყევი და ცვალებადი იყო.

ბუჩქებით დაფარულ ბორცვს ირგვლივ შემოუარა, ხეობას გახედა და ფერდობზე დაეშვა. ჭალაში გვიმრა და ანწლი მომრავლებულიყო. ახალაყვავებული ჰინჭარი შიშველ წვივებს უსუსხავდა. ტირიფები იზრდებოდნენ, ლერწებისა და ფერმკრთალი ფოთლებისაგან რაღაც ისეთს წნავდნენ, რასაც მათ გარდა ვერავინ გაიგებდა. უნდოდა ხმამაღლა მისალმებოდა ამ მარადიულ სევდით შეპყრობილ ხეებს, გაეხალისებინა, გაემხნევებინა, მაგრამ ტირიფებს არ უყვარდათ, როცა მათ ჰმუნვარებას ვინმე ეხებოდა.

სანამ ქვიშიან ნაპირზე გავიდოდა, მიწიდან ჩუხჩუხით ამომავალი წყალი მოსვა. ამ ადგილას მდინარე მკვეთრად უხვევდა, ფერს იცვლიდა და ერთხანს მდორედ მიედინებოდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ღრმად იძირებოდა მოგონებათა ბურუსში, მით უფრო მაამებლად ჟღერდა ნაცნობი ხმა, რომელიც მის მეხსიერებაში კი არ ისხამდა ხორცს, არამედ მდინარის, ბალახის, ნიავის მოძრაობას სწყდებოდა, მათ მიერ შემონახულ ბგერებს იმეორებდა. მოყვითალო ქვიშა თითქმის ხელუხლებლად ინახავდა ნატიფი, მკერდგამოკვეთილი, მსუბუქად მოძრავი სხეულის ანაბეჭდს. ჰესიონეს აქ უფრო მოწიწებით ელოდნენ, ვიდრე მზის ამოსვლას.

ერთ ადგილას ნაპირი მოშვავებულიყო და ის ადგილი ნაიარევს ჰგავდა. ლოდინად ქცეულმა კარგად იცოდა რაც სჭიროდა, ვისა და რას ელოდა, მაგრამ ეროსი აქ არაფერ შუაში იყო. არავითარი უფლება არ ჰქონდა ეთქვა, პრომეთეს გული ისრით განვგმირეო, როგორც ამას შემდეგ აპოლონზე ამბობდა. თუმცა ეროსს არც აპოლონი გაუხდია დაუოკებელ ვნებათა მონად.. უბრალოდ, ქალებს არ მოსწონდათ ეს ოქროსკულულებიანი, დელოსელი უფლისწული, რომელიც ისე ზომიერად იყო შემკული ყოველმხრივ, რომ საკუთარ სრულყოფილებაში ითქვიფებოდა. ღმერთქალებმა ახლოს არ გაიკარეს, აფროდიტემ მასთან დაახლოებას დაფეხვილ ჰეფესტოსთან წოლა არჩია. ბოლოს ნიმფებს დაუწყო დევნა, დაფნა ამოიჩემა, მაგრამ პენევსის მშვენიერმა ასულმა მის სიყვარულს სიკვდილი ამჯობინა. ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ ეროსი ურცხვად ტრაბახობდა, დაფნა და აპოლონი მე დავაშორეო ერთმანეთს, მაგრამ მას საკუთარი თავის დარდი უფრო ჰქონდა, ვიდრე შეყვარებულების ბედი აწუხებდა. ხომ ვერ იტყოდა ჩემი ისრები მიზანს ვერ აღწევენო. მისი მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო, როგორც ბევრს ეგონა.

დამგლოვიარებული, დაფნის გვირგვინით შემკული აპოლონი ერთხანს დელფოს მიდამოებში დახეტიალობდა, კითარას აკვნესებდა, ახლოს არავის იკარებდა, შემდეგ ჰელიკონის ტყეს მიაშურა, მუზები იხმო და ყოველ დღე მანამდე ავარჯიშებდა ცხრავეს, სანამ დაღლილობისაგან სახე არ მოექცეოდათ. სიყვარულში ხელმოცარულმა ქალებს ზურგი აქცია და თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხელოვნება აირჩია. მაგრამ მისი ხელოვნებაც ისეთივე ბრჭყვიალა იყო, როგორც მამამისის დარბაზი. როცა კითარას უკრავდა, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული და მის სახეზე შთაგონება ისახებოდა. უკრავდა ტკბილად, სანდომიანად, მაგრამ მას არაერთხელ შეუნიშნავს ოქროსკულულებიანი მეკითარის მკაცრი ტუჩების მოხაზულობაში სისასტიკე და თავაშვებულობა. შეიძლება აპოლონმა საკუთარი ხელითაც კი გააძრო ტყავი ხეზე ჩამოკიდებულ მარსიას. სისასტიკე მას და მის ტყუპის ცალს დედის მუცლიდან გამოჰყვათ, რადგან შიშით ჩაისახნენ და შიშით იშვნენ.

მდინარის მოელვარე ზედაპირი ისე უეცრად გაიპო, რომ ფეხზე წამოდგომაც კი ვერ მოასწრო. ჰესიონე ნაპირთან მიცურდა, თვალებზე ჩამოფარებუ-

ლი თმა უკან გადაიყარა და წყლიდან ამოვიდა. თეთრი, მოკლე, ცალ მხარეს ჩამოშვებული ტუნიკა ტანზე შემოსალტოდა, თვალები უბრწყინავდა, შიშველი მხარი ხალისიან ღიმილს ირეკლავდა. მისი ახალგაზრდა, მკვრივი, მოქნილი სხეული ისე სავსე იყო სიცოცხლით, რომ სადღაც შიგნით მღვრიე დინება უკუიქცა, დაიწმინდა. ჰესიონეს არც ღონე აკლდა და არც ადვილად იღლებოდა, მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის წინ მეტისმეტად სუსტი არსება იდგა, რომელიც შეხებისთანავე დაიმსხვრეოდა. ილუზია კიდევ უფრო შორს გაიტაცებდა. ჰესიონე რომ კისერზე არ ჩამოკიდებოდა და არ ეკოცნა.

იგი ერთდროულად აღიქვამდა თმის, კანის, ნაირფრად შეზავებული ცხოველმყოფელობის სურნელებას. მის მკერდს ნაყოფიერების ახალაყვავებული კოკრები ეხებოდა და ისე შანთავდა, რომ გული საგულეში აღარ ეტეოდა. მას შემდეგ, რაც მოქნილ წელს ხელი მოხვია, საკუთარი თავი დაკარგა, შეფერადებული ქვეყნის მოტკბო ბურუსში ჩაიძირა. უეცრად ბუჩქებიდან თეთრი თხა გამოხტა, ხავსმოკიდებულ ლოდზე შედგა და ისე გაკვირვებით დაიწყო ცქერა, თითქოს წარმოუდგენელ საოცრებას ხედავდა. თხის გადმოკარკლულმა თვალებმა უხილავი ბორკილები დალეწა, გონს მოსულს ხმამაღლა გაეცინა.

— რა მოხდა, რა გაცინებს? — ჰკითხა ჰესიონემ.

ხეირიანად თვითონაც არ იცოდა რა აცინებდა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა საკუთარი უსაქციელობის გასამართლებლად.

— მე მგონი, მალე კიდევ ერთი არსება გაჩნდება ქვეყანაზე, რომელსაც სახე ადამიანის ექნება, რქები და ჩლიქები კი თხის.

— ჩვენს მამაკაცებს ისე ეშინიათ ცოლების, რომ წინასწარ არავინ იცის, ვინ როდის რად გადაიქცევა.

— ჭკუის სასწავლებლად ერთი შემთხვევაც კმარა.

— რა ჩვენი ბრალია, ქალებად რომ გავჩნდით. ჩემს დებს სხვა არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ შენ, მგონი მართალს ამბობ, საიდანღაც თხის სუნი მოდის.

— აგერ დგას და მოგზავნილივით გვიყურებს.

— თუ გიყვარვარ მომაშორე აქაურობას, უცხო თვალზე უფრო უტიფარი არაფერია ამქვეყნად.

ამ პატარა ქალის ტარება ძნელი არ იყო. სიძნელეს სხვა რამ წარმოადგენდა. არ გახელებულიყო, არ გაცხოველებულიყო ისე, როგორც ეს მის წინაპრებს მოსდიოდათ. მათი აღვირახსნილობის მოწმე აქ თითქმის ყოველი ტყე, ხევი და გამოქვაბული იყო. სადღაც, ალბათ, აქ ჩაისახნენ ტანატი, ნემესიდა, ერიდუ, აქ აღივსენ ბოღმით, შურისძიებითა და სისასტიკით. შეიძლება, ეს ტოტებგაშლილი კოპიტი ოდესღაც უმანკო ქალიშვილი იყო. რომელსაც კრონოსი ან რომელიმე მისი ძმა დაედევნა, ქორივით დააცხრა, გააუპატიურა, გათელა და ისე მიატოვა, რომ უკან არც კი მოუხედავს. სამყაროს რომ კედლები ჰქონოდა მთელ ამქვეყნიურ ავხორცობასა და უგუნურობას ისევე აირეკლავდა, როგორც ცა ირეკლებოდა ატატებული ქალწულის მუქ თვალებში.

ჰესიონემ ცალი ხელი კისერზე მოხვია, თავი მხარზე დაადო და ისე მოიკალათა მის მკლავებში, თითქოს უფრო საიმედო ნავსაყუდელი არსად ეგულებოდა. შემშრალ თმას ნიავი უფრიალებდა, სახეზე ხეთა ჩრდილები ეფინებოდა, სიტყვები ისე წყდებოდა მის ბაგეებს, როგორც მწიფე ალუბლები.

— მამა ველარ აუდის ყველას მოვლა-პატრონობას. ჩვენს შორის უნიჭო, მახინჯი და ჭირვეული გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ლამაზი და გონიერი. ჭორებს, ჯიბრსა და ქიშპობას ბოლო არ უჩანს. გაანჩხლებული ტირილი სახლის ხან ერთ კუთხეში ისმის, ხან მეო-

რეში. არავის არაფრის გაკეთება, არაფრის სწავლა არ უნდა. თავს იმით ინუგეშებენ, უკვდავნი ვართ და არსებობის მეტი არაფერი მოგვეკითხებაო. იგონებენ ახალ-ახალ ცეკვებს, იკერავენ გამჭვირვალე ტუნიკებს, ღეჭავენ მოყვითალო ზღვის ბალახს, რომელიც ზოგიერთს ისე აკარგვინებს გონებას, რომ ტანზე იხდის და სამარცხვინო წარმოდგენებს მართავს. რაც უფრო მეტად იქლიშნება ჰაერი საფენების სუნით, მით უფრო შმაგდება მამა. დები და ძმები ლიფსიტებივით გვემატებიან. წმინდა წყალი მამა არასოდეს ყოფილა, მაგრამ როცა რომელიმე დას მუცელი დაეტყობა, დიდ დარბაზში შემოვარდება და ჩვენ რომ არ დაგვერიოს, უშვერი სიტყვებით ლანძღავს კრონოსს, — პირუტყვს, რეგვენსა და უტვინოს ეძახის. მთელი ამ აურზაურისა და სიგიჟისაგან ისე ვარ გალახული, თითქოს კლდიდან დავგორებულიყავი.

მათ მრავალრიცხოვან ნათესავებს შორის მხოლოდ რამდენიმე კაცი იმსახურებდა პატივისცემას და ერთერთი მათგანი ოკეანე იყო. მაღალი, ძვალმსხვილი დინჯად დადიოდა, შეჭაღარავებულ წვერს შვილივით უვლიდა და ორფევსის მთაზე ასვლას შინ ჯდომა ერჩია. შინაურებში უკეთ გრძნობდა თავს, მეტს ლაპარაკობდა, მეტს ოხუნჯობდა, როცა რამეს ყვებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა მომავალი თაობა, რომ არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრებას. მისი შეგონებები ბევრს არ ესმოდა, კიდევ უფრო ბევრს დაძინებამდე ავიწყდებოდა, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა, ნიჭიერს უნიჭოზე მაღლა არ აყენებდა. მისთვის ყველა შვილი შვილი იყო და იმათი ბედი უფრო აწუხებდა, ვისაც არსებობის მეტი არაფერი შეეძლო.

— ასე აფეთქებული, ასე მოხატული გაზაფხული ჯერ არ მინახავს, — განაგრძობდა ჰესიონე, — ბგერები სხივებად იბნევა, გარს მერტყმის და ცისკენ მიტაცებს. არ ვიცი, რით უფრო ვარ სავსე — შენით, თუ სიცოცხლის უჩვეულო მოძალებით. ნიავი ყვავილების სურნელებას ჩემს თმაში აქსოვს, ჩემი თმის სურნელებას კი სხვებს უზიარებს. რად მინდა უკვდავება, თუ ყოველივე ამას მოვაკლდები, ვერ ვიგრძნობ შენს მკლავებს, ვერ გაგიზიარებ იმას, რაც სიხარულით მავსებს. შეიძლება ახლა გაზაფხული და სიყვარული მალაპარაკებს, მაგრამ მაინც თანახმა ვარ დამთავრდეს სიცოცხლე იმ დღეს, როცა ყველაფერი ეს დამთავრდება.

მზის სხივები ტვირთივით აწვებოდა მხრებზე. მარჯვენა ხელს ქვემოთ ლამაზი, ერთმანეთზე მიჯრილი მუხლები მოსჩანდა. ველზე გაჭრილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მარცვლებად იშლებოდა და ამ ველის, ამ მიწის, ამ ქალის ნოყიერ ნიადაგზე იბნეოდა, ღრმად იძირებოდა თბილ, სურნელოვან მასაში, სადაც ყველაფერი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა — არ გამქრალიყო სიცოცხლე, არ დაშრეტილიყო წყარო ნაყოფიერებისა. ხევს იქეთ ტოტებგაშლილი, ჩამუქებული ცაცხვები მოჩანდა. მათ ქვეშ გამოუვლეველი ჩრდილი და მყუდროება სუფევდა. იდუმალება ჯერჯერობით უკან იხევდა, ცხოველმყოფელი ფერებით იმოსებოდა, მაგრამ მასაც იდუმალება ეპყრა ხელთ და მათი დამთხვევა ისეთ ფერისცვალებას გამოიწვევდა, რომლის მსგავსი ჯერ არ ენახა.

— მამა დიდ პატივს გცემს, ჩემი დები შენს სახელს ფიცულობენ, მაგრამ ჩვენს ოჯახში სიარული მაინც არ გიყვარს. ლოდინმა დამღალა, ზღვარსგადამცდარმა ოცნებამ ისე შემაჩვია შენს გვერდით ყოფნას, რომ სადაც არ უნდა იყო და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდე, მაინც ჩემი ხარ. შეგიძლია გაიქცე, ცხრა მთას იქით გადაიკარგო, სხვებიც აცდუნო და თვითონაც შესცდე. მაგრამ ამით არაფერი არ შეიცვლება. ბოლოს მაინც მე დამიბრუნდები, ჩემს მკერდზე მოისვენებ. ნუთუ იმდენად გონჯი ვარ, რომ ჩემი ცოლად შერთვა არ შეიძლება?

— მე ყოველთვის ამის მოსურნე ვი-

ყავი და საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი მქონია.

ჰესიონემ თავი უკან გადააგდო, სახეში შეაჩერდა და ისე გამოეყო ყველას და ყველაფერს, თითქოს ქვეყანას მხოლოდ მისი ღიმილი, სინაზე და სიხარული ეყოფოდა.

— დიდხანს მატარებ ასე?

ტალღა ტალღას მოსდევდა, თავზე უვლიდა, ქალის სურნელებით გაჟღენთილ მორევში ითრევდა.

— ახლა შენი ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

— იცი, ეს ცხოვრება ზოგჯერ ისე მიიზლაზნება, რომ გინდა მიეხმარო, ხელი ჰკრა,ააჩქარო, მაგრამ მისი ძალა ჩვენ, უკვდავთა შთამომავლობასაც კი არ შეგვწევს. ახლა კი ისე იჩქარის, ისე ბობოქრობს, რომ სუნთქვა მეკვრის, თავბრუ მეხვევა და აღარაფრის აღარ მეშინია — არც წაქცევის, არც შეცდომის და არც მამის რისხვის.

ხევი მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ფერდობი ისე აირბინა, რომ სუნთქვა არ აჩქარებია. ცაცხვები თავაზიანად შეეგებნენ. მწვანე ხალიჩა წყლის ზედაპირივით კრიალა იყო. მზიანი ველის შემდეგ ცაცხვების ჩრდილი ისე ესიამოვნა, როგორც ცივი წყლის გადავლება. ჰესიონე ილიმებოდა, ცასაც ისაკუთრებდა და მიწასაც. უეცრად მისმა მსუბუქმა სხეულმა დედამიწის წონა შეიძინა და ხელიდან რომ არ გავარდნოდა, ცაცხვის ძირში დააწვინა. ჰესიონე დამშვიდდა, ცისკენ პირშექცეულს სიამოვნებისაგან კვნესაც კი აღმოხდა.

— მე დღესვე მინდა ვიყო შენი ცოლი.

ჩურჩულით წარმოთქმულმა სიტყვებმა მთელი სამყარო შეაქანა, აამღვრია, ქაოსად აქცია. თავის თავს აღარაფერი აღარ ეკუთვნოდა — არც ფერი, არც ბგერა, არც სივრცე. ყველაფერს მისი მკლავები იტევდა, მისი სისხლი ითრევდა. ღელავდა მიწა, ცა, პირველი დღე და პირველი ღამე. ბალახის სუნს მარაოსავით გაშლილი თმის სურნელება ცვლიდა. ბორცვიან მინდორს ყვავილებით გადათეთრებული ველი — მის სხეულში იმდენი სიტკბოება ილვრებოდა, რომ აღარ იცოდა, სად წაეღო, როგორ მორეოდა. კიდევ ცოტა და ან მთლიანად გაითქვიფებოდა მღვრიე ნისლში, ანდა ნეტარება ტანჯვაში გადაიზრდებოდა, მაგრამ ამ დროს სამყარო მძლავრად შეტოკდა, დედამიწა დამშვიდდა და მისი სხეული სიტკბოებისაგან დაიცალა.

ცაცხვები ისე მშვიდად შრიალებდნენ, თითქოს არც არაფერი დაუნახავთ და არც არაფერი გაუგონიათ. ტანდალარულნი ერთმანეთს მხარს უმშვენებდნენ, მზის სხივებს დედამიწაზე არ უშვებდნენ. მათთვის სულ ერთი იყო, ვინ ნებივრობდა ჩრდილში—თხები, ღორები თუ ღმერთები. ჰესიონე ზურგზე იწვა, ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას უსმენდა და რასაც კი შეხედავდა, ყველაფერს შუქს ჰფენდა. მისი მზერა არა მარტო გარემოს უცვლიდა ფეხს, არამედ წარსულსაც. ზოგი რამ, რაც ადრე გაუგებარი იყო, ცხადად იკვეთებოდა. ზოგი კი პირიქით, ბუნდოვანებით იმოსებოდა. სინამდვილე სადღაც იქვე ტრიალებდა, ყოველი აზრის გაელვებას ეხმიანებოდა, მაგრამ ხეირიანად ვერც იგი ასხვავებდა ერთმანეთისაგან ნამდვილსა და არანამდვილს. თუმცა ჰესიონესათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ცხოვრება იყო და არა ის, რასაც თავი და ბოლო არ უჩანდა.

— ისე დუმხარ, თითქოს დაგაბეს და თავი ველარ აგიშვია, — მოესმა ამ დროს შეცვლილი ხმით წარმოთქმული სიტყვები და მათი ყრუ გამოძახილი კიდევ ერთხელ გაიგონა. ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ არ ეგონა ჰესიონე თუ ასეთ რამეს ეტყოდა და ისიც ბედს შეგუებული ქალის ღიმილით.

— შენი ეჭვი ნაადრევია, ჰესიონე, არც ისე გულარძნილი ვარ, რომ სიყვარული და სიძულვილი ვერ ვიტვირთო.

— შენ ყველაფერს როგორღაც სხვა-

გვარად უყურებ, დუმილი ყოველთვის შენი მოკავშირეა, მე კი ხვალინდელი დღის იმედი არა მაქვს.

— რატომ?

— არც ზღვის ქაფისაგან ვშობილვარ და არც ოქროს ძაფი ურევია ჩემს თმაში.

— მე რომ ოქროს ასე ვაფასებდე, სხვაგვარად ვიცხოვრებდი.

ჰესიონემ ცაცხვებსა და ცას გაუღიმა, მისკენ შემობრუნდა და ჯერ თმები დააყარა მკერდზე, შემდეგ კი თავი დაადო. ცალი მხარი ისევ გაშიშვლებული ჰქონდა. თბილი, ბუსუსებით დაფარული კანი პურის ყანასავით ელვარე და მოქნილი იყო. ირგვლივ ისეთი სიმშვიდე სუფევდა, თითქოს ამ მივარდნილი კუთხის მყუდროებას ვერაფერი დაარღვევდა. უეცრად ჩამობნელდა. ცაცხვებს ზემოდან ღრუბელმა გადაუარა. დედამიწა კონტრასტებით ივსებოდა. სამყაროს ღრმა უფსკრულებში უამრავი წინააღმდეგობა ინასკვებოდა, მაგრამ ამჯერად არც ამაწრიალებელი სიმძაფრე ახლდა და არც წვრილმანებს აზვიადებდა.

ჰესიონე ისე ჩუმად იწვა, თითქოს შეეზარდა ყოველივე იმას, რაც თავისად მიიჩნია, რაც დაისაკუთრა. ჩრდილთა მონაცვლეობაში მისი სხეული უფრო გრძელი და ხორცსავსე ჩანდა.

— როდის გადმოვსახლდე შენთან?

— თუ გინდა აქედანვე წამოდი.

— არა, ჯერ შინ მივირბენ, ჩვენებს ხომ უნდა ვუთხრა რაღაც, ღამეს კი უშენოდ ვერსად გავათევ. აქედან ჩემი ფეხით ვივლი, მაგრამ ხელს მაინც ნუ გამიშვებ.

ჰესიონეს სიარული უხდებოდა, ისე კოხტად მიაბიჯებდა, თითქოს მოძრაობის ყველა საიდუმლოს ფლობდა. მზით დამთვრალი ველი ბარბაცებდა, ქვეყანა ისე იყო სავსე მრავალფეროვნებით, რომ საკუთარ ტყავში ველარ ეტეოდა. უზარმაზარი, უჩვეულოდ შეფერილი ლაქები ერთმანეთს ერწყმოდნენ და შეფერილობას ყოველწამიერად იცვლიდნენ. ამ ცვალებად, მაცდუნებელ წუთისოფელში არაფრის შეჩერება, არაფრის დასაკუთრება არ ხერხდებოდა. მიუხედავად ამისა, თვალს მაინც შორს იმზირებოდა, ეტანებოდა რაღაც ისეთს, რასაც ვერ ამოწურავ, რაც ყოველი ფერისცვალების შემდეგ ხელახლა მოსაპოვებელია.

— ეს აბიბინებული ველი ფეხქვეშ გვეგება, მაგრამ კვალს მაინც არ იმჩნევს, — თქვა ჰესიონემ და ნათქვამისათვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა, უკან მიიხედა.

— კვალს დედამიწაზე მხოლოდ ის დატოვებს, ვინც მას სიცოცხლეს შეალევს.

— ამბობენ, კრონოსი იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია მთა ბარად აქციოს და ბარი ზღვადაო. ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, როგორ ამოტივტივდა ზღვის ზედაპირზე კუნძული.

— მიწის პირის ცვლა არაფერს არ ცვლის, ქვეყანას პატრონი სჭირდება, ჩვენ კი ამისათვის არ ვვარგივართ.

— კი მაგრამ, ამქვეყნად ხომ ყველაფერს ღმერთები განაგებენ?

— ზოგიერთი მათგანი საკუთარ თავზე ზრუნვას ვერ აუდის.

— ახლა მესმის რატომ ამბობს მამა შენზე, რომ დასჭირდეს, მამაღმერთსაც არ შეეპუებაო.

— საღამომდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, ჰესიონე.

— როგორ მიმეტებ, აკი გითხარი, იქ, სადაც შენ არ იქნები, ღამეს ვერ გავათევ მეთქი.

ხევი უკან მოიტოვეს, ბუჩქნარს გასცდნენ და ტირიფებისაკენ გასწიეს. ბორცვები თანაბრად მაღლდებოდნენ, საფეხურებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ჰესიონე მზად იყო დასაბამს შენაცვლებოდა, ფეხი დაემძიმებინა, მომავლის იმედით უიმედობა დაეთრგუნა, მაგრამ უფერული ხაზების განლაგება ცხადყოფდა, რომ მყარი საფუძველი ცის კიდურსაც კი არ გააჩნდა, უსაზღვროება მის იქეთაც იმდენი იყო, რამდენიც მის აქეთ.

— რომ შემეძლოს ამ ნაპირს შინ წა-

ვილებდი და კედელზე ჩამოვკიდებდი— სთქვა ჰესიონემ, როცა ტირიფებამდე მიაღწიეს.

— აქ ყველაფერი ისეა შეკრული, რომ ვერაფერს დასტყუებ.

— არაფრის დატყუებას არ ვაპირებ, მე მხოლოდ იმის წაღება მინდა, რაც ჩემია და მე უნდა მეკუთვნოდეს.

— ამ მიწის, ამ ცის, ამ წყლის?

— უჩემოდ რა აზრი ექნებოდა მათ არსებობას?

— სამყაროს ჩვენი დაფასება არ სჭირდება.

— თუ არ სჭირდება, რისთვისღა გაგვაჩინა?

— ამაზე, ალბათ, თვითონაც ვერ გაგცემს პასუხს.

— ვერ გამცემს და ნუ გამცემს, მე ისედაც კარგად ვგრძნობ თავს.

ჰესიონემ თმა ტირიფის ლერწით შეიკრა, მისკენ შემობრუნდა და კისერზე ჩამოეკიდა. ბავშვური უშუალობით გამსჭვალული ღიმილი სიხარულის მეტს არაფერს გამოხატავდა, მაგრამ ეშმაკური მზერა უცნობი შეთქმულების მესაიდუმლეს ხდიდა.

— აქვე უნდა დამელოდო, სახლიდან გამოგდებულივით ხომ არ მოგადგები კარზე.

მზის სხივები მთელ თავიანთ ოქროს ჰესიონეს აყრიდნენ და უცხო თვალისაგან რომ დაეფარათ, კანს ზემოდან ცოტათი აფერადებდნენ. ზღაპარი იცვითებოდა, პირშექცეულ სიბრტყეთა ზღვაზე ილეოდა. უეცრად ქალი მაგრად მიიკრა მკერდზე და გადასწყვიტა აქედანვე წაეყვანა სახლში, მაგრამ ჰესიონე სწრაფად დაუძვრა ხელიდან. მდინარეში შესცურა და თევზივით გაუჩინარდა. ტირიფების ფოთლებში დაბუდებული მდუმარება ნაღვლიანად აშრიალდა. მოპირდაპირე ნაპირზე ალმართულ ბორცვთა ჩრდილები ისე ირწეოდნენ წყლის ზედაპირზე, როგორც დაბმული ნავები.

უკან გამობრუნებულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დღე გაიბზარა. შუაზე გადატყდა. გავარვარებული მზე ქორივით დასტრიალებდა თავზე. აზრი რაღაც გამოუცნობელს ებღაუჭებოდა. ფერისცვალება აწი თუ წაართმევდა რამეს, თორემ შეძენით ვერაფერს შესძენდა. თვალით აღქმული არც სარწმუნო იყო და არც საიმედო. ყველაფერს თავის მანკი გააჩნდა. ამიტომაც არ სჯეროდა იმათი უკვდავება, ვინც ბნელ გამოქვაბულებში იშვა და მიწაზე ფეხით დადიოდა, ვინც თავის თავის შეცნობაც კი ვერ მოახერხა. მარადიული შეიძლება ყოფილიყო მოძრაობა და არა მოძრავი სხეული, სიცოცხლე და არა ცოცხალი არსება. მის ნათესავებს შორის ყველაზე ადრე ეს კრონოსმა იგრძნო და მოსვენება დაჰკარგა. იმ დღიდან ვეღარაფერს უდებდა გულს, ვერავისთან პოულობდა საერთო ენას. ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ოდესმე აღარ იქნებოდა.

ძალლივით ადევნებული ნიავი ისე ჩამოშორდა, თითქოს მუხნარში ფეხის შედგმა აკრძალული ჰქონოდა. ჩრდილები სინათლეს ძარცვავდნენ. ფერთა წონასწორობას არღვევდნენ. ლოდინი ხეებს ეფარებოდა, ვიღაცას უსაფრდებოდა. შინ დაბრუნება არ უნდოდა, რა უნდა ეკეთებინა ფიქრით გამჭვარტლულ კედლებს შორის. მუხლებს სასიამოვნო სუნი და ვაჟკაცური იერი ჰქონდათ. უეცრად ტყეში გამაყრუებელი ხვრინვა გაისმა. ის, ვინც ასე ხვრინავდა, გოლიათი უნდა ყოფილიყო. მოსარიდებელი არავისთან არაფერი ჰქონდა, მაგრამ რაიმე უსიამოვნებას რომ არ გადაჰყროდა, ერთმანეთთან შეზრდილ მუხებს ამოეფარა და მწვანე მინდორს გახედა. მთვრალი კრონოსი იმავე ხის ქვეშ გაშხლართულიყო, რომლის თაფლმაც მუხლები მოჰკვეთა. ღიად დარჩენილი პირი ბნელ ორმოს მიუგავდა, ღრმა ნაოჭებს ჟანგი მოჰკიდებოდა, ქვედა ტუჩი დამბლადაცემულივით მოღრეცოდა. ამქვეყნის მას უკვე აღარაფერი სწამდა და შვებას თავდავიწყებაში ეძებდა. რაც უფრო ღრმად იძირებოდა სიამოვნებათა მღვრიე მორევში, მით უფრო უგუნური და სასტიკი ხდე-

ზოდა, უფრო თავდავიწყებით ებღაუჭებოდა მიტაცებულ ტახტს. დაღლილსა და ეჭვებისაგან გულგამოხრულს ყველგან საფრთხე ელანდებოდა, მაგრამ იმას, ვინც წინასწარ გრძნობს რაღაცას, ამ ტყეში ფეხი არ უნდა შემოედგა, ტყე ავისმომასწავებლად დუმდა.

კრონოსის ხვრინვა და სახიფათო დუმილი სივრცეს კუმშავდა, არემარეს ამუქებდა. მუხნარი ისე ეყოფოდა გარემოს, თითქოს ბოროტმოქმედების ჩასადენად ემზადებაო. ჰაერი შესქელდა, რაღაცნაირი წებოა გახდა. სანამ იდუმალება გარს შემოერტყმებოდა და მუხნართან ერთად მასაც მოსწყვეტდა გარე სამყაროს, გადასწყვიტა კუმშვად სივრცეს გასცლოდა, მაგრამ ამ დროს ტყიდან უცნობი მამაკაცი გამოვიდა და მძინარე კრონოსისაკენ დაიძრა. უფრო მოხდენილი, ძლიერი და თამამი ვაჟკაცი არსად ენახა. მოდიოდა ისე, თითქოს ამქვეყნად ტოლი არ ეგულებოდა. დახუთული მიწა ირყეოდა, უზარმაზარი მუხები თრთოდნენ. მის ღვთაებრივ წარმოშობაზე არა მარტო აღნაგობა და შეუპოვრობა მეტყველებდა, არამედ თვალებში ჩამდგარი ცეცხლიც. ერთხანს ვერ მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო, შორიდან მოსული კრონოსს ასე თამამად ვერ მიუახლოვდებოდა და უეცრად გაახსენდა სადღაც ყურმოკრული ამბავი — კრონოსის უმცროსი ვაჟი რომელიღაც კუნძულზე გადამალესო, მაგრამ არ ეგონა მას შემდეგ თუ ამდენი დრო გავიდა.

უცნობი ვაჟკაცი ერთხანს ზიზღით დაჰყურებდა მიწაზე გაგორებულ კრონოსს, შემდეგ მხარზე გადაკიდებული ჯაჭვი გაშალა და ისე სწრაფად შეჰკრა მამალმერთი, რომ გალეშილმა თვალის გახელაც კი ვერ მოასწრო დედამიწა ზვერდზე გადაქანდა, დაძაბული დუმილი ასაფეთქებლად მოემზადა. შეკრულშებოჭილი კრონოსი ერთხანს მძიმედ ხვნეშოდა, შემდეგ რაღაც წაილუღლუღა და თვალები გაახილა. მისმა ღრიალმა ცა შესძრა, ქვეყანა გააყრუა. ღამე რომ ყოფილიყო, ვარსკვლავები ალბათ, დედამიწაზე ჩამოცვივდებოდნენ. მსხვილი ჯაჭვით შეკრული მამალმერთი უზარმაზარ მორევით ვარდებოდა, ხეებს ლეწდა, ბორცვებს აწორებდა. დიდ თავს ისე უხათქუნებდა მიწას, რომ ერთ ადგილას წყალმაც კი ამოფეთქა. მზე მიიბნელა, მთა და ბარი აირია და სანამ ყველაფერი გასწორდებოდა, უცნობმა ვაჟკაცმა კრონოსს პირში რაღაც ჩასჩარა, ზურგზე მოიგდო და ოლიმპის მთისაკენ წაიღო. შორიდან ქუხილი მოისმა. სამყაროს ახალი მბრძანებელი მოევლინა.

სანამ ტკივილი ცოტათი მოეშვებოდა, თვალდახუჭული ეკიდა კლდეზე და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ღრმა ორმოში იძირებოდა, სადაც სიცხე და სიცივე ფენებად იყო დალაგებული. კუნთებგახევებულს ხან ცივი ოფლი ასხამდა, ხანაც საკუთარ ოხშივარში იხარშებოდა. მკერდში გაყრილი ბოძალი ცოცხალი, ანთებიანი ძარღვივით ფეთქავდა. ერთდროულ ტკივილს, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო, უდრტვინველად აიტანდა, მაგრამ ხანგრძლივი ტკივილი საშინლად ღლიდა, ისე აუძლურებდა, რომ მისი კვნესა ღამესაც კი აკრთობდა, მდუმარე, კუპრში ამოვლებულ ღამეს, რომელიც მისთვის არაფერს იმეტებდა. ზოგჯერ არწივი გზაში რაიმეს მონადირებდა და იმ დღეს უხალისოდ კორტნიდა ღვიძლს, მაგრამ როცა მშიერი იყო, გლეჯდა, ფლეთდა, ტვინს ისე ექაჩებოდა ცალ მხარეს, თითქოს ქვეყნის წაქცევა სურდა. მუცელგამოღადრული კლდეს თავს ურახუნებდა, ტუჩებს იკვნეტდა, იქაურობას გმინვით აყრუებდა. ბოლოს სისხლით გამძღარი მტარვალი ნისკარტს მკერდზე შეაწმენდდა, ფრთებს გაშლიდა და მწვერვალს გადაევლებოდა. ამ დროს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადასახლდა, თავისუფლება მოიპოვა. ქვეყანა სასხლისფერ საბურველს იხსნიდა, სუფთა ჰაერი ცის შუქით იმსჭვალებოდა, ტკივილისაგან დაწეწილი ძარღვები ფეთ-

ქვას იწყებდნენ. დაღამებამდე ჭრიალობა პირს იკრავდა, გონება ძალას იკრებდა და იგი უკვე მზად იყო ვარსკვლავებს შეგებებოდა.

მას შემდეგ, რაც აქ დააბეს, მანძილი თვალსა და ცას შორის შემცირდა. ღრუბლიან ამინდში ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გალიაში იყო გამომწყვდეული, მაგრამ როცა ცა კიდით კიდემდე მოიწმინდებოდა, ყველა ზღვარი იშლებოდა და მზერა სამყაროს უძირო უფსკრულებს ეტანებოდა. ჯერ არც ერთი ვარსკვლავის მოწყვეტა, არც ერთი ცდომილის დაჩრდილვა არ გამოპარვია მხედველობიდან. თვალი ხან დიდ რვალს აკვირდებოდა, ხან მწევრებს, ხანაც ირმის ნახტომს. ანდრომედას თანავარსკვლავედი ყოველთვის ბუნდოვან დისკოს ჰგავდა, მაგრამ ამას წინათ მის ზედაპირზე მუქი წრეები აღმოაჩინა, ხოლო მის ირგვლივ ორი ნათელი სხეული, რომელთაგან ერთი უსწორმასწორო, დაფლეთილ კიდეს ეკვროდა, მეორე კი შორიდან უვლიდა გარს. იმ ღამეს კლდეზე მიბმული ქალის ცხარე ცრემლები ბუჩუსში გახვეულ მარგალიტებივით ბრწყინავდნენ, ხოლო გაშლილი თმის ჩრდილი თანავარსკვლავედის ცალ კუთხეს ალაქიანებდა. სამაგიეროდ, მარმარილოს ზედაპირზე უწესრიგოდ მიმობნეულ ოქროს ზოდებივით ბრწყინავდნენ კასიოპიას თანავარსკვლავედის მირიადი მნათობები. კასიოპია და წესრიგი ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ ცის ამ ნაწილში ისეთი ქაოსი სუფევდა, რომ არსაიდან შემოევლებოდა. მასთან შედარებით მწევრების სპირალურად დახვეული თანავარსკვლავედი მჭიდროდ შეკრულ ნიჟარას ჰგავდა. მარტორქა კუდს იგრძელებდა, ბუნდოვან ფარდას ეფარებოდა, მაგრამ ამ უსასრულობაში მის ყურადღებას მაინც ორიონის თანავარსკვლავედი იქცევდა. ამაყად შემართული ცხენის თავი ისე ცხადად ისახებოდა გაშუქებული ნისლის ფონზე, როგორც ფუნჯით დახატული.

დღისით იშვიათად ტოვებდნენ მარტო, მაგრამ როგორც კი დაღამდებოდა, ყველა დასაძინებლად მიდიოდა და იგი საკუთარი თავის ამარა რჩებოდა. მხარა შუბლს იკრავდა, ნისლით იბურებოდა. შორიდან ფაზისის ბორგვა და ღრიალი ისმოდა. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა მზე მშვილდოსანს, მით უფრო ციოდა ღამით. ნიავს ზამთრის სუნი და სუსხი მოჰქონდა. ყოველ მხრივ შეკრულ ბნელს მხოლოდ ელვა თუ დასტყუებდა რამეს. თუმცა მეხმტყორცნელი აღარ ჰგავდა იმ თამამ, ენერგიულ ვაჟკაცს, რომელმაც ოლიმპოს მთა დაიპყრო და ტიტანებს ომი გამოუცხადა. მაშინ ზევსისათვის გადაულახავი დაბრკოლება, მიუღწეველი მიზანი არ არსებობდა. თავდაჯერებულს სიტყვაც უჭრიდა და ჭკუაც. ამიტომაც არ ცნობდა არ მცნობელს. ყველა უფროსი თუ უმცროსი ღმერთი ან მტერი უნდა ყოფილიყო მისი, ან მოკეთე, რადგან გამარჯვება და დამარცხება რაიმეს შეძენას ან დაკარგვას კი არ ნიშნავდა, არამედ ყოფნას ან არყოფნას.

ტიტანმა თავი ჯაჭვს მიაყრდნო და გაწყვეტილ აზრს დაედევნა. შურდული და მშვილდ-ისარი მაშინ ახალი გამოგონილი იყო, სიახლედ ითვლებოდა აკროპოლის გამაგრებაც და ამიტომ ომმა სასტიკი, დაუნდობელი ხასიათი მიიღო. კრონიდები და ტიტანები შხამს ანთხევდნენ, ერთმანეთის სისხლს სვამდნენ, მან კი არ იცოდა, ვის მიმხრობოდა — ამაყ, თითქოსდა კეთილშობილ, მაგრამ დაჩლუნგებულ ძმებსა და ბიძებს, თუ ახალ თაობას, რომელსაც ცოტათი მაინც უნდა გარდაექმნა, გადაესხვაფერებინა ცხოვრება. ასე გაორებული მას შემდეგ არ ყოფილა. ერთ მხარეს იდგნენ სისხლით ნათესავები, თანაშეზრდილი ძმები და ბიძაშვილები, მეორე მხარეს კი მეამბოხენი, ხელისუფლებას მოწყურებული, თავდაჯერებული ბედის მაძიებლები. პირადად მისთვის ამ ბრძოლას საფეხურებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვებულნი ვერც ცდუნებას დააღწევდნენ თავს და ვერც ახალ იდეებს მოუტანდნენ მომავალ თაობას, მა-

გრამ ტიტანებს ხელისუფლების შენარჩუნების თავი არ ჰქონდათ, კრონიდებს კი ტახტი და არსებობა ტოლფასოვან ღირებულებად მიაჩნდათ.

ათი წლის მანძილზე არც ერთ და არც მეორე მხარეს ახალი არაფერი გამოუგონებია, არაფერი გაუუმჯობესებია, არსად უძებნია დამატებითი სახსრები და ძალა. ამასობაში მის მერყეობასაც მოეღო ბოლო. ზევსის ტახტზე ასვლა სასურველი ამბავი არ იყო, მაგრამ ტიტანების გამარჯვება უკან დახევას ნიშნავდა და ამიტომ გადასწყვიტა ნათესაური გრძნობისათვის ანგარიში არ გაეწია, ამბოხებულებს მიმხრობოდა და ზევსისათვის რაღაც ისეთი ერჩია, რაც გამარჯვების ტოლფასოვანი იქნებოდა. ზევსი ერთხანს უნდობლად, ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ შემდეგ ყურად იღო მისი რჩევა და იმ დღესვე გაათავისუფლა ყველა, ვინც კრონოსს ბნელ ჯურღმულებში ჰყავდა დამწყვდეული. ორმოცდაათთავა და ასხელა კოტოსი, ბრიარესი, და გიესი უზარმაზარ, ტოტებგაშლილ, ფეხებზე შემდგარ ხეებივით ამობობღდნენ დედამიწაზე და ზევსს გვერდით ამოუდგნენ, ცალთვალა კიკლოპებმა კი ახალი სახის იარაღი, ელვათა მთელი კონა მოართვეს და მათი ტყორცნა ასწავლეს. მას შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. ზევსის უპირატესობა აშკარა იყო. ორფეოსის მთას იმდენი მეხი დაატყდა თავს, რომ ქვაც კი ადუღდა. ჯურღმულებიდან ამობობღებულმა ურჩხულებმა ტიტანები შეიპყრეს, ჯაჭვით შეჰკრეს და გამარჯვებულს მოჰგვარეს. ზევსი იმ დღიდანვე გაამაყდა, გამედიდურდა. ოლიმპოს მთა აიწოწა, გაიფუყა, საკუთარ ჩრდილს გადაეფარა. შერისხულებსა და უბრალო მოკვდავთ მხოლოდ შორიდან შეეძლოთ მისი დანახვა. თოვლით დაფარული მწვერვალი ჯერ კიდევ ირეკლავდა მთვარის სხივებს, მაგრამ მალე მის ფერდობებს ოქროსა და მარმარილოს ბრწყინვალება გამოფიტავდა, ცაში გამოკიდებულ ნიღაბს რამდენიმე მკაცრი ნაოჭი შეემატებოდა და რაც დროს გადარჩებოდა, ბურუსისა და ქაოსის ზედაპირზე აირეკლებოდა.

მთვარის ამოსვლა ისე ზუსტად ჰქონდა ნავარაუდევი, რომ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ერთხელაც არ შემცდარა, მაგრამ ამჯერად მოულოდნელად წამოადგა თავზე. ყინვით დაფარული, ცად აწვდილი მწვერვალები გაბრწყინებულ გემებივით გამოცურდნენ სიბნელიდან, ერთ ხაზზე განლაგდნენ და შუქურებით მოფენილი უსასრულობისაკენ დაიძრნენ. მთელი კავკასიონი შეტოკდა, აზვირთდა, ამოძრავდა. ერთხანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დედამიწის ღრმა ნაოჭებში დაიკარგა, გაუჩინარდა, მაგრამ მალე საკუთარი ხვედრის სიმძიმე, სხეულში გამოკვეთილი სიცოცხლის ფეთქვა იგრძნო და რამდენიმე წამში ისე გაიზარდა, რომ მწვერვალებს გაუტოლდა.

ზევსს იმედი ჰქონდა, რომ ამოუწურავს ამოწურავდა, დასაბამსა და დასასრულს გასწვდებოდა, მაგრამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ საკუთარი ჩრდილისათვის გაესწრო, ყველა კბილი შეენარჩუნებინა. გამარჯვების შემდეგ საშიში მეტოქეები გზიდან ჩამოიშორა — პოსეიდონი ზღვის ფსკერზე დაასახლა, ადესი ქვესკნელში ჩაგზავნა, ასხელა ურჩხულები და კიკლოპები კი იმავე ჯურღმულში გამოამწყვდია, საიდანაც ამოიყვანა. იყო კიდევ ერთი მშვენიერი არსება, რომელსაც არ ენდობოდა, მაგრამ იგი ცოლად შეირთო და ამით სამუდამოდ დაიზღვია თავი მისგან. თუმცა ამ მშვენიერმა, ქერათმიანმა ქალმა ერთი შეთქმულების მოწყობა მაინც მოახერხა. ფეტიდას რომ ქვესკნელიდან ბრიარესი არ ამოეყვანა და შეთქმულება არ გაეცა, მამალმერთს დღის სინათლე სანატრელი ექნებოდა. ზევსმა ათენასა და პოსეიდონს ღალატი აპატია, მაგრამ ცოლი მკაცრად დასაჯა. ჯერ როზგებით აუჭრელა ზურგი, შემდეგ კი ცაში გამოკიდა და მისი მშვენიერი ფეხები ქვეყანას დაანახა. იმ დღიდან ჰერა ყველას ეჭვის თვალით უყურებდა,

ქმარს თვალთმაქცურად ემორჩილებოდა და მის ჯავრს სხვებზე იყრიდა.

ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ ის კი არ ეგონა, რომ საბრალო იო აქ ამოირბენდა. დაკბენილი, ფეხდამძიმებული ცხარე ცრემლით ტიროდა, საკუთარ სისუსტეს სწყევლიდა და დახმარებას სთხოვდა. რა უნდა ერჩია, რა უნდა ეთქვა დევნილი, გაწამებული ქალისათვის ისეთი, რომ ჰერას სასტიკი შურისძიებისაგან ეხსნა, ოლიმპიელების დანაშაული გამოესყიდა.

— ო, რამდენი ვირბინე, რამდენი სისხლი დავღვარე, სანამ აქამდე მოვაღწევდი, ნუთუ ველარ მცნობ, არ გაგონდება ბედდამწვარი იო? — წამოიძახა გარდასახულმა ისე, თითქოს უკანასკნელი იმედი ეცლებოდა ხელიდან.

— თვალები არ შეგცვლია, მათ ფსკერზე ჯერ კიდევ ირეკლება ცის სილურჯე და კლდეთა მუქი სილუეტები.

— მიშველე, პრომეთე, მიხსენი ამ სისხლით გაუმაძღარი მხეცისაგან. ხომ ხედავ, როგორ გამაწამა, გამათახსირა. ამდენ ტანჯვას დიდხანს ველარ გავუძლებ, მირჩიე რამე, მითხარი, რა ვქნა?

იოს თეთრი ბეწვი აქა-იქ ჭრილობიდან გადმონადენ სისხლს დაესვარა, აეჭრელებინა.

— მე ჩვილ ბავშვზე უფრო უმწეო ვარ, იო.

— ო, არა, არა, შენი მამალმერთსაც კი ეშინია. მხოლოდ შენ გესმის მოირების ენა. მითხარი, რას მიპირებენ. რა ბედი მელის?

— შენც გჯერა ამ ზღაპრების?

— მე მხოლოდ შენი მჯერა, პრომეთე.

ყვითელი ბუსუსებით დაფარული, ვირთხისოდენა კრაზანა იოს თეძოს დააცხრა და იმ ადგილიდან, სადაც ნესტარი ჩაასო, სისხლმა იფეთქა. ქალის საშინელი კივილი კლდეს შეასკდა, ათას ნაწილად დაიშალა. იმ წუთს რას არ გაიღებდა თავისუფლებისათვის, მაგრამ მისი არავის არაფერი უნდოდა.

— ო, ღმერთო, მომკალი ბარემ, მომიღე ბოლო, — აღმოხდა შხამისაგან ცეცხლმოკიდებულს და მუხლებზე დაეცა.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

# ევგენი ონეგინი

თავი მერვე

Fare thee well, and if for ever
Still for ever, fare thee well.

Byron*

. . . . . . . . .
. . . . . . . . .
. . . . . . . . .
. . . . . . . . .
. . . . . . . . .

I

როს უზრუნველად, ლაღად ვყვაოდი
შეზრდილი ბაღებს ლიცეუმისას,
როს აპულეის კითხვით ვხარობდი
და წიგნს არ ვშლიდი ციცერონისას,
მაშინ, იდუმალ ველთა წიაღში,
გაზაფხულისას, გედთა ზრინვაში,
წყნარ მდინარესთან—ცა რომ ვერცხლავდა,
მუზა პირველად გამომეცხადა.
და ჩემს სტუდენტურ სენაკ-ბუდესაც
შუქით უეცრად მან გაუნათა,
ყრმობის ღრეობა მან გაუმართა,
უმღერა ბალღურ მხიარულებას,
დიდებას ჩვენი მძლე წარსულისას
და ათრთოლებულ სიზმრებს გულისას.

II

მას გაუღიმებს წრე ღირსეული,
ფრთები შეგვესხმის წარმატებისგან,
გვცნობს დერჟავინი მოხუცებული,
გვაკურთხებს შავეთს წაბრძანებისას.
. . . . . . . . .
. . . . . . . . .

III

და მეც კანონად ვრაცხდი ვნებათა
ერთიან ნდომებს თუ თავნებობებს,
ბრბოსთან ზიარი გრძნობა მებადა;
ვასტუმრე ცეტი მუზა ღრეობებს,
მშფოთვარ კამათებს, შიშს რომ არისხავს
მზვერავ-გუშაგებს შუაღამისას.
და იმ უგუნურ დროსტარებაში
ფეშქაშებს იგი ძღვნიდა ხელგაშლით,
ვაკხელი ქალის მსგავსად ანცობდა
სტუმრებისათვის სმისას მღერალი
და მას დასდევდა გზნებამღელვარი
გარდასულ დღეთა ყმაწვილკაცობა,
და ვამაყობდი ძმებში დამთვრალი
თავქარიანი ჩემი დაქალით.

IV

მაგრამ გავწყვიტე მათთან კავშირი,
შორს გავიქეცი და პირმზიანი
მუზაც წამომყვა, იგი რა ხშირად

---

* მშვიდობით, და თუ სამარადისოდ, მაშ სამარადისოდ მშვიდობით.

ბაირონი.

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 7.

მალხენდა მდუმარ გზაზე სიამით,
იდუმალ ამბის თხრობით გრძნეულად!
და კავკასიის მთებში ლენორად,
რა ხშირად, ნათელ ღამის მშვენებად
ცხენს ჩემთან ერთად დააჭენებდა!
რა ხშირად ნაპირთ ბნელ თავრიდისას
ღამით მაცნობდა, მასეირნებდა,
ზღვის ძალუმ დგაფუნს მასმენინებდა,
განუწყვეტ ჩურჩულს ნერეიდისას,
ღრმას, მარადიულ გუნდს ტალღებისას
ჰიმნს ქვეყნისშემქმნელ უკვდავებისას.

V

გადაივიწყებს იგი შორეულ
დედაქალაქის პეწს და ღრეობებს,
ყრუ მოლდაველთის სევდამორეულ,
მდუმარ კარვებში, როგორც მეგობრებს
მოხეტიალე ტომებს ეწვევა,
გაველურებას მათგან ეჩვევა,
ღმერთების ენას გასცვლის ენამზე
ღატაკ და ობროდ მეტყველებაზე,
თან ველთა ჰანგით მოელხინება...
უცბად იცვლება ყოვლის ცვლილებით
და ჰა, ჩემს ბაღში პროვინციელი
ქალიშვილივით მომევლინება
სევდიან ფიქრით თვალდაზაფრული,
ხელთ ეკავება წიგნი ფრანგული.

VI

და ახლა ჩემი მუზა პირველად
კეთილშობილთა რაუტს ვაწვევ,
ტრამალთ მშვენების გამოვლინებას
იჭვნეულ შიშით თვალს ვერ ვაცილებ.
ვიწრო რიგებში არისტოკრატთა,
სამხედრო ფრანტთა და დიპლომატთა,
ზვიად ბანოვანთ შორის სრიალებს,
ჰა, ჩუმად დაჯდა და ჰკვრის სიამეს
მას სიმჭიდროვე დიდძალ ხალხისა,
კრთომა კამათთა და საუბართა,
ნელინელ ხლება ახალ სტუმართა
მათ ახალგაზრდა დიასახლისთან
და კაცთა შავი ჩარჩო ტურფათა
წრის გარეშემო, როგორც სურათთან.

VII

იწონებს იგი სწორად წარმართულს
ოლიგარქიულ ბაას-მსჯელობას,
მათს გულგრილობას მშვიდს,
ამპარტავნულს,
მათს ხარისხთა და ასაკთჭრელობას,
მაგრამ რჩეულთა ბრბოში ვინ არის,
უჩუმრად რომ დგას გაუღიმარი?
ეუცხოება იგი სუყველას,
თვალწინ სახეთა რიგი უელავს,
ვით მოსაწყენი მოლანდებები.
რაა, სპლინით თუ ტანჯვით მოცულა
მისი პირსახე? აქ რად მოსულა?
ვინაა იგი? ნუთუ ევგენი?
ნუთუ ის არის? ჰო, უეჭველად!
დიდიხანია რაც ჩვენ გვეჩვენა?

VIII

ისევ ისეა ის, თუ დაყუდნდა?
თუ კვლავ კოხტაობს მკვახე მსჯელობით?
მარქვით, რა ყადრით, რარიგ დაბრუნდა?
როგორ გაგვაცნობს თავს ჯერჯერობით?
მოგვევლინება მელმოთად,
კოსმოპოლიტად, თუ პატრიოტად,
ჰაროლდად, გაქნილ-ქლესად, კვაკერად,
თუ შეიშნოებს ნიღაბს სხვაფერად;
ეგებ კეთილად იქცეს დასასრულს,
როგორც თქვენ, მე და მთელი მოლეთი?
ეგებ მისმინოს რჩევა მცირედი,
მოუშვას იგი მოდას ყავლგასულს.
კმარა, ქვეყანა რაც შეაწუხა...
— იცნობთ? ჰოც და არც მესმის პასუხად.

IX

რად ვამბობ ასე, რაა მიზეზი
უთანაგრძნობოდ მისი ხსენების?
იქნება მიტომ, რომ ყველაფერზე
ვდავობთ, ვცოდვილობთ შეუსვენებლივ,
რომ ფიცხ კაცთაგან ჩვენ სულსწრაფობაც
გვაცინებს, ანდა შეურაცხყოფად
რაცხს თავმომწონე არარაობა,
რომ გვავიწროებს აზრთა ხარბობა,
რომ ძლიერ ხშირად საქმედ ვირწმუნეთ
მხოლოდ ლაქლაქი ფუჭად გაბმული,
რომ სიბრიყვეა ფშუტე, ავგული,
რომ დიდკაცთ მოსდგამთ დიდი სიცრუეც,
რომ საშუალო სვე და ცხოვრება
შეგვშვენის და არ გვეუცხოება?

X

ნეტარ არს, ვინც ყრმა იყო ყრმობისას,
ნეტარ არს, დროზე ვინც მოწიფულა,
ვინც სუსხს უძლებდა წუთისოფლისას

თმენით, თანდათან, ყოველწლიურად,
ვინც არ სცნო სიზმართ უცნაურობა,
მაღალ წრის ბრბოსთან უკაცურობა,
ვინც ოცი წლისა ფრანტად დამშვენდა,
ოცდაათისა ცოლით აშენდა,
ვინც ორმოცდაათ წელს მიღწეულმა
პირადი და სხვა ვალი დაფარა,
ვინც მშვიდად ჩინის რიგში ჩამდგარა,
ფულიან, ცნობილ კაცად ქცეულა,
ვინც საუკუნის ქებით აღივსო:
N. N. ბრწყინვალე კაცი არისო.

XI

მაგრამ გვლევს ფიქრი, ოდეს კვალწაშლილ
წყალობად ჩავთვლით ახალგაზრდობას,
რომ ვღალატობდით ყოველ საათში,
რომ მიგვატოვა მან დასაზრობად,
რომ უწმინდესი ჩვენი ნდომანი,
ყმაწვილურ ნატერით ჩვენი ლტოლვანი
დალპნენ უეცარ სენის მოდებით,
ვით შემოდგომის ნესტით ფოთლები.
ვერგასაძლები არის მხოლოდენ
სადილის უგრძეს წყებათ ყურება,
ცხოვრების ჩათვლა წესწასახურებად
და მწყობრად მდინარ ტალღის ბოლომდე
დევნა უხუმრად, ხმაგაუცემლად,
მასთან განცდათა, აზრთ გაუცვლელად.

XII

საგნად განსჯის და აურზაურის
ყოფნა (მერწმუნეთ) არ ღირებულა;
ჭკუადამჯდარი ხალხი ხმაურით
მოგნათლავს თვალთმაქცახირებულად.
ან დარდმორეულ შექანებულად
ან სახეშეშლილ ეშმაკეულად,
ან ჩემს დემონად წარმოუდგები.
ევგენი (ისევ მას ვუბრუნდები)
მოკლა რა მომმე ორთაბრძოლაში,
გარჯას უმიზნო ვერ შეეთვისა,
ისე შესრულდა ოცდაექვსისა,
ჩამოითანგა უქრაობაში,
არც სანსახურში გასვლით, არც ცოლით
და არც რაიმე საქმის გაძღოლით.

XIII

სულის წრიალი მასაც დასჩემდა
და ერთ ადგილზე ვერ მოისვენა.
(თავისი ნებით დიდ სატანჯველად
ჯვრის ტვირთებაა ცოტას თვისება);
აღარ გაჩერდა იმ ყრუ სოფელში,
ტყეთა და ველთა სიმყუდროვეში,
სად გასისხლული ლანდი პოეტის
ევლინებოდა თვალწინ ყოველთვის.
მან ხეტიალი იწყო უმიზნოდ,
დაახლოვება მხოლოდ გრძნობებთან.
მოგზაურობაც ბოლოს მობეზრდა,
ვით ყველაფერი ქვეყნად უმიზდო;
დაბრუნდა იგი და გზით ხანგრძლივით
მოხვდა გემიდან ბალზე ჩაცკივით.

XIV

შეტორტმანდება ტალღა ბატონთა,
დარბაზს ჩურჩული სწრაფად მოივლის...
დიასახლისთან მისულ ბანოვანს
თან გენერალი ახლდა ცნობილი.
ჩქარი არ იყო ის ქალბატონი,
არც ღრჯუ, არც გრძელი ენის პატრონი,
არც ურცხვი ცქერით განირჩეოდა,
არც წარმატების წადილს ჩემობდა;
ყოველგვარ წვრილმან მანჭვას გაცლილი.
არ კეკლუცობდა სხვათა წაბაძვით,
წყნარი, ყოველმხრივ სადა, წარმტაცი
მოჩანდა იგი ზუსტი ასლივით
Du comme il faut[1] (შიშკოვ, შემინდე:
თარგმნა არ ძალმიძს და მოვერიდე).

XV

ბანოვანები გარს ეხვეოდნენ,
ღიმილს იფენდა მხცოვან ქალების,
კაცები მდაბალ სალმით ხვდებოდნენ,
ცქერა სწყუროდათ მისი თვალების;
რიდით ვიდოდნენ მის წინ ქალწულნი;
არ ხრიდა სხვებზე მაღლა აწეულ
მხრებს გენერალი ცხვირაწეული,
იმ ქალთან ერთად სტუმრად წვეული.
ბანოვანს ვერვინ მშვენიერებად
ვერ სცნობდით, მაგრამ თავით ფეხამდე
ვერ უპოვნიდით მას, რაც ეხლანდელ
თვითმპყრობელ მოდას შეეფერება,
ლონდონის მაღალ წრეში რაც ჰქვია
სახელად Vulgar[2] ვერ მითარგმნია..

XVI

ეს უცხო სიტყვა მიყვარს ძალიან,
გადმოსაღებად არც თუ მარტივი.

1 კეთილშობილება (ფრანგ.)
2 ვულგარული (ინგლ.)

ჯერ იგი ჩვენში სულ ცინცხალია
და, ვგონებ, არც კი დასდონ პატივი;
ეგებ ივარგოს ეპიგრამაში...)
მაგრამ ბანოვანს შევხვდეთ დარბაზში,
ვინც ენთო ეშხის უზრუნველობად,
ვინც მაგიდასთან ეჯდა მეზობლად
ბრწყინვალე ნინა ვორონსკაიას,
ამ კლეოპატრას ნევის ნაპირთა.
და დასტურს დამცემთ თქვენც ჭეშმარიტად,
რომ თვალისმომჭრელ და ბროლბაკმიანს
ნინას ის ქალი თავის მეზობლად
ვერ დაეჩრდილა, თუმცა მზეობდა.

## XVII

„ნუთუ ისაა, — ფიქრობს ევგენი, —
ნუთუ ნამდვილად? ჰო, უცილობლად...
როგორ! სოფლიდან ტრიალ ველების...“
და იგი ლორნეტმოუცილებლად,
მალიმალ უმზერს, ვისმა სახემაც
ახლა ბუნდოვნად, ძლივს გაახსენა
ნაკვთები ხსოვნის მიღმა მჩინარი.
„თავადო, ეგებ მითხრა, ვინ არის
ესპანელ ელჩს რომ ესაუბრება,
ქალი ჟოლოსფერ ბერეტიანი?“
თავადი უმზერს. „შენ ხეტიალის
შემდეგ არც ეს წრე გეცნაურება.
წარგადგენ, შენთვის ჯერ უცნობია“. —
„მაინც ვინ არის?“ — „ჩემი ცოლია“.

## XVIII

„ქმრად იქეც? არა გამიგიარა!
როდის?“ — მეორე წელიწადია“.
„ვინ გყავს?“ — „ლარინა“ — „აჰ,
ტატიანა!“
„იცნობ?“ — „მეზობელს ვიცნობ,
ცხადია“ —.
„მაშ, წამომყევი“. მიდის თავადი
თან მეუღლესთან მიყავს თავაზით
მას ნათესავი და ახლობელი.
თავადის ქალი უმზერს ონეგინს...
და სული უცებ რარიგ ძლიერი
განცვიფრებით და მღელვარ განცდებით
შესცბუნებია ელდანაცემი,
არც კი შესცვლია სახის იერი,
არ შერხევია არც ხმა, არც ტონი;
გულმშვიდად შეხვდა მას ქალბატონი.

## XIX

ვფიცავ! არა თუ მის წინ შეკრთება
ან მკრთალ ან მღვრიე სახეს აგებებს...
ბანოვანს წარბიც არ შეეხრება,
არც კი მომუწავს წამით ბაგეებს.
თუმცა ძალუმად დააცქერდება,
მაგრამ კვალიც კი არ ახსენდება
მას ადრინდელი ტატიანასი;
ონეგინს სურდა გაბმა ბაასის
და არ ძალუძდა. მას ტატიანამ
ჰკითხა: „დიდხანს ხართ აქ ან საიდან
გვეპატუმრეთ, ეგებ ჩვენი მხარიდან?“
მერე მან ქმრისკენ გადაიტანა
დაღლილი მზერა და სწრაფლ გაქანდა...
ევგენი სახტად დარჩა. გაქვავდა.

## XX

ნუთუ, ისაა, ნუთუ იგივე
ტატიანაა, რომლის წინაშე,
ჩვენი რომანის დასაწყისშივე,
შორ და მივარდნილ პროვინციაში
კეთილი რჩევაც და შეგონებაც
მას წარმოუთქვამს გზნებით ოდესღაც,
შემოუნახავს მისი ბარათი —
ენაადგმული გულის ღაღადი,
რაღაც აშკარად ცხადად მჟღავნდება
ის ქალიშვილი... თუ სიზმარია?
ის ქალიშვილი, ვისაც ადრიან
მიეზღო მისგან არად ჩაგდება,
და ნუთუ ახლა მასთან ის არის
ასე გულგრილი და უშიშარი.

## XXI

ხალხით გაჭედილ რაუტს დასტოვებს,
ევგენი მიდის შინ ფიქრიანი;
ოცნება ალხენს და ხან აღონებს,
შფოთდება მისი ძილი გვიანი.
გაეღვიძება; მოაქვთ ბარათი:
უმორჩილესად სთხოვს N თავადი
სტუმრად ეწვიოს მათ საღამოზე.
„ვნახავ, მას ვნახავ!... ღმერთო, დამლოცე!..
ო. მივალ, მივალ!“.. და ის იმ წამში
წერს თავაზიან პასუხს გაკრულად.
რა სიზმარშია, რა შეფათურდა
ცივ და მოთენთილ სულის წიაღში?
მოუსვენრობა? თუ სინანული?
თუ კვლავ ყრმაკაცთა წვა-სიყვარული?

### XXII

ისევ საათებს ითვლის ევგენი,
ისევ მალე სურს დღის დაღამება!
ათმა დარეკა. ეტლის გელვებით
გავარდა იგი. წინკარს აჰყვება;
თავადის ცოლთან ანათრთოლები
შედის და ჯდება განმარტოებით
რამდენიმე წუთს ტატიანასთან,
მაგრამ საუბარს საით წარმართავს,
ვეღარ ახერხებს ხმის ამოღებას.
კუშტად ზის იგი, რაღაც აწუხებს
და ძლივსძლივობით აწვდის პასუხებს,
ჯიუტი ფიქრი უვსებს გონებას.
ქალი ზის მშვიდად და თავისუფლად,
თვალს არ აცილებს მას გამიზნულად.

### XXIII

ქმარი შემოდის, უხერხულობას
წყვეტს უსიამო tête-á tête-სას
წარსულ ოინებს და ძველ ხუმრობებს
იხსენებს იგი ერთმანეთისას.
სიცილში მოვლენ მათთან სტუმრებიც,
მაღალ წრის მლაშე ნართაულებით
შეემატება ბაასს ხალისი
ბრწყინავს წინაშე დიასახლისის
როშვა მსუბუქად, გაუპრანჭავად,
რასაც შიგდაშიგ ენაცვლებოდა
გაუცვეთელი, სწორი მსჯელობა
პედანტურ თქმათა დაუხარჯავად,
და ყურს არავის არ უფეთებდა,
თამამ და ცოცხალ აზრთა კვეთება.

### XXIV

მათთან ნახავდით მხოლოდ რჩეულებს,
სატახტოს პეწს და მოდის ნიმუშებს,
პირებს — ყოველთვის ყველგან წვეულებს,
აუცილებელ შტერ-ბაიყუშებს,
როკაპ დედაბრებს ვარჯმიბნეულებს —
თავსაბურიან გვარდიდებულებს.
სახემოღუშულ შინაბერებსაც
ღიმილი რომ არ შეეფერებათ.
დესპანს ნახავდით მოლაპარაკეს
ქვეყნის ამბებზე შეუსვენებლად,
მოხუცს ჭაღარის ნელსურნელების,
რომ მიმოფენდა, ვით ძველ ქარაგმებს,
ხუმრობდა ბრძნულად, სხარტად, იოლად,
რაც ახლა ცოტა სასაცილოა.

### XXV

გულღრძო ბატონი ყველას მიაგებს
ღვარძლს და სიბრაზეს ეპიგრამებად;
არც კაცთა ტონი, არც ქალთ სიბლაგვე,
არც ჩაის სიტკბო ეპრიანება;
არც სჯა ბუნდოვან, მოდურ რომანზე;
წყრება ორი დის ვენზელ-ნობათზე,
ჟურნალთ სიცრუეს ლანძღავს ასევე,
ომსა და თავის ცოლსაც ახსენებს.

. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .
. . . . . . . .

### XXVI

იქ პროლასოვიც მოჩანს, სულმდაბალ
კაცად ცნობილი მთელ სატახტოში,
შენს ფანქრებს წვერი ვინც დაუბლაგვა
St. Priest ჯღაბნით ყველას ალბომში.
კართან დიქტატორს ნახავთ ბალისას —
ღაჟღაჟა სურათს ჰგავს ჟურნალისას,
ბზობის ქერუბიმს ბაძავს დიდგული,
უძრავი, უტყვი, ტანაზიდული.
ჩანს მოგზაურიც ჩამოფრენილი,
თავხედი გადაკრახმალებული,
სულ ტანზე ზრუნავს დახარბებული,
ხალხის ღიმილის გამომწვევი;
სტუმრები უხმოდ მზერას გასცვლიან
და მას სასჯელად ხვდება დაცინვა.

### XXVII

ჩემი ევგენი მთელი საღამო
არ აშორებდა თვალს ტატიანას,
არა იმ ასულს — ღარიბს, საბრალოს,
მის მოთაყვანეს და მფრთხალს კი არა,
თავადის გულცივ ცოლს — უკარებას,
დიდებულ, მეფურ ნევის ღვთაებას.
ო, ხალხნო! ჰგავხართ ვნებათღელვანით
ჩვენს დედამთავარ ევას ყველანი,
ის არ გიზიდავთ, რაც გაბადიათ,
გველი მოგიხმობთ და გამუდმებით,
თავისკენ გიწვევთ, მისით ბრუვდებით,

იდუმალ ხისკენ წასვლა გწადიათ;
თუ არ აკრძალულ ხილის გემება,
ედემიც კი არ გეედემებათ.

XXVIII

რა გამოცვლილი ჩანს ტატიანა!
რა როლი ჰპოვა მტკიცედ თავისი!
რა სწრაფლ მოირგო ლაზათიანმა
წესები მაღალ წრის საკადრისი.
ვინ შეიცნობდა ნაზ ქალიშვილად
ასეთ ნებიერ, ასეთ იშვიათ
ქალს კანონმდებელს დარბაზებისას?
მისგან კი გულის დაგვას ელირსა!..
მისთვის კუნაპეტ ღამეს ქალწული,
ვიდრე მორფინოს მოფრინდებოდა,
უცოდველ სევდას მორჩილდებოდა,
მთვარეს უმზერდა თვალმიქანცული;
გადაქცეოდა მასთან ოცნებად
ცხოვრების მშვიდი გზის წამოწყება.

XXIX

ყველა ასაკი ტრფობას მონდება,
მაგრამ ყმაწვილურ გულებს მიმნდობელს
კეთილჰყოფს მისი ჩამოქროლება,
ვით გაზაფხულის სუნთქვა მინდორ-ველს.
ისინი ვნებათ ქარწვიმებისგან
განახლდებიან და მწიფდებიან
და არის მძლავრი ძალა ყოფისა
მოსხმა ყვავილის და ნაყოფისა.
მაგრამ მოვუხვევთ უშვნი, გვიანნი,
ოდეს გაგვწევენ წლები პირიქით,
ვღონდებით მკვდარი ვნების ბილიკით.
ასე შემოდგეს თქეშნი, გრიგალნი
აჭაობებენ ველს უსაშველოდ
და აშიშვლებენ ტყეებს გარშემო.

XXX

უდავო არის: ეჰ, ტატიანა
ევგენის უყვარს, ეტრფის ბავშვივით,
დღეღამეს ფიქრში ლევს დარდიანად,
სასიყვარულო ვნებებაშლილი.
გონს ვეღარც მკაცრი მდურვა უშხამავს
და მისი სახლის წინკარს, შუშაბანდს
იგი ყოველდღე ეტლით ადგება,
ყველგან თან დასდევს, როგორც ლანდება,
ბედნიერია, თუ მოახურავს
მას ბეწვის ბოას მხრებზე, შემთხვევით.
ხელს თუ შეახებს მწველი შეხებით,
თუ გარეშემო ფარეშ-მსახურთა
ჭრელ პოლკს გაარღვევს სწრაფად მის
ახლოს,
თუ მიაწოდებს სხარტად ცხვირსახოცს.

XXXI

არა, არ ამჩნევს მას ტატიანა,
ჯვარს ეცვი თუნდაც, არ ჩანს ნუგეში;
შინ იღებს მშვიდად, თავაზიანად,
ორ თუ სამ სიტყვას უგდებს სტუმრებში,
ხან მხოლოდ თავის დაკვრით შეხვდება,
ხან არც შეიმჩნევს, არც კი შეხედავს,
მას არა სცხია მანჭვის ნასახიც,
რაც მაღალ წრეში არის საძრახი.
ხმება ევგენი ფერმილეული,
არ ეცოდება ქალს ან ვერ ამჩნევს,
სახეზე ლამის კანი შეაჭკნეს,
ლამის ეგონოთ ჭლექით სნეული,
წამლობას ურჩევს ყველა კეთილი,
წყლებზე გზავნიან ერთხმად ექიმნი.

XXXII

მაგრამ არ მიდის იგი; მზად გახლავთ,
მალე განახავთო, ამცნოს წინაპრებს;
და ქალიც (ქალურ წესის თანახმად)
არად ჩაგდებით სულს უწრიალებს.
ჯიუტს სიკერპე ჯერ არ ეცლება,
ჯერ იმედოვნებს, ჯერაც ეცდება...
ჯანმრთელზე ჯიქურ ბედავს სნეული,
რომ თავადის ცოლს ძალმილეული
ხელით მისწეროს გზნების უსტარი,
თუმცა წერილებს იგი საკმაოდ
მწყრალად უცქერდა არა ამაოდ,
მაგრამ, როგორც ჩანს, ვნებას გულმკვდარი
ვერ სძლევდა მძიმე განსაცდელიი...
და აი ზუსტად მისი წერილიც.

ონეგინის წერილი ტატიანას

წინასწარ ვიცი, ვით შეურაცხგყოფთ
ოდეს ხვაშიადს გიხსნით დარდიანს,
და ზიზღს, ჩემდამი რაც გაბადიათ,
რარიგ ზვიადი მზერით სურათყოფთ.
რა მომესურვა? ან რა მიზნებით,
რა საწადელით გიღებთ გულის კარს?
ვინ უწყის, ეგებ ვხდები მიზეზი
სხვისი ბოროტი სიხარულისა.

როცა შემთხვევით შეგხვდით ოდესღაც,
თქვენგან სინაზემ რომ გამოკვესა,
ვერ გავბედავდი ამის რწმუნებას,
საკუთარ რწმენას გზა შევუკარი,
ვერ მივუკეტე კარი უარით
ჩემს მობეზრებულ თავისუფლებას.
და კიდევ ერთმა რამ დაგვაცილა...
ლენსკი დაეცა ბედით ზვარაკად...
რაც რამ გამაჩნდა გულის ნაწილად,
მოვწყვიტე გული და იავარყავ.
ყველასთვის უცხო, ჯერ არ გარჯილი
ვფიქრობდი: შვება, ყოფნა უვალო,
ბედნიერებას ცვლის; ო, უფალო!
რარიგ მცდარი ვარ, რარიგ დასჯილი...

არა, ყოველწუთს თქვენი შეხედვით,
ყველგან თანხლებით დაიმედება,
ბაგეთ ღიმილის, თვალთ გაელვების
შეყვარებული თვალის დევნება,
თქვენი მოსმენა დიდხანს და რწმენით
თქვენი სრულყოფის ხატად ტარება,
თქვენს წინ განაბვა ტანჯვა-წამებით,
ფერლევა, ქრობა. ჰა ნეტარება!
ვერ მოკლებული ამას თქვენს გამო,
ყველგან ანდეზე დავეხეტები
და მეხარჯება დარდით, ამაოდ
უძვირფასესი ჩემი დღეები —
ხვედრით დათვლილი ყველა მათგანი,
ისედაც უკვე ძნელ ასატანი.
ვიცი; ჩემი დრო მოზომილია,
მაგრამ სიცოცხლეს მაშინ განვაგრძობ,
ოდეს ამყვება რწმენა დილიდან,
რომ დღისით გნახავთ და მითანაგრძნობთ.
ვშიშობ, უდრტვინველ ჩემს ღაღადისში
ვაი თუ მკაცრი თვალით შენიშნავთ
თამაშს საზარელ ცივ ანგარიშით —
და ვისმენ თქვენგან სასტიკ შერისხვას.
ტრფობის წყურვილი, რომ გამიგებდეთ,
რა საშინელი გახლავს წამება;
იწვოდეთ და აზრს უცბად იკრებდეთ
მღელვარე სისხლის დასაწყნარებლად.
მსურდეს დამხობა თქვენსავ მუხლებთან,
თქვენს ფერხთით დაღვრა ცხარე
ცრემლებად,
აღსარებებად, საყვედურებად,
ხვეწნად და რისი თქმაც შემძლება.
ამავ დროს უნდა ყალბი სიცივით
აღვჭურვო ჩემი მზერა, სიტყვები,
გემუსაიფოთ, თან დამშვიდებით
გიცქიროთ განგებ თვალთა ციმციმით...

დე, მოსახდენი მოხდეს: დაწყევლილ
თავს ვეღარ დავძლევ, ვერ ვეომები;
გადაწყდა ყველა გადასაწყვეტი:
თქვენს ნებას და ჩემს ხვედრს ვემონები.

XXXIII

პასუხი არ ჩანს. იგი ზედიზედ
მისწერს მეორედ და მესამედაც.
პასუხი არ ჩანს, მას ერთ ზეიმზე
წინ ეფეთება... არ ესალმება
ქალი, არ ამჩნევს... რა გამწყრალია!
ხმას არ სცემს, მისთვის არა სცალია.
ო, იგი როგორ რისხვას მოუცავს,
გარს ნათლიღების ყინვა მოუსხამს!
მოთოკვა რისხვის, ბრაზის მალულის
რარიგ სურს ქალის ჯიუტ ბაგეებს,
ევგენი მზერას ჯიქურ აგებებს:
სად არის ძრწოლა? ღვრა სიბრალულის?
არც წვეთი ცრემლის ნიშანწყალია!
მის პირზე მხოლოდ რისხვის კვალია...

XXXIV

ევებ აკრთობდა შიში მალული,
ქმარს არ გაეგო ან ვინიცობა
ხალხს — მისი ცოდვა ჟამმინავლული,
რაც ონეგინმა კარგად იცოდა...
გაქრა იმედი! გარბის ევგენი,
მწარედ დასწყევლა თავი რეგვენი!
მწარე ფიქრებში ღრმად ჩაძირულმა
კვლავ დასთმო ყველა თავგანწირულად.
მან კაბინეტის სიმყუდროვეში
დრო გაიხსენა, როცა ავბედად
უკან მრისხანე ხანდრა დასდევდა,
ბოლოს ყაყანა ქვეყნის მორევში
სწვდა საყელოში და აუხირდა,
აღარ გაუშვა ბნელი კუთხიდან.

XXXV

კითხვა დაიწყო მან განურჩევლად,
გადაიკითხა რუსო, გიბონი,
Madame de Staël — ი, არ გამორჩება
ჰერდერი, ბიში, ტისო, მანზონი;
გაეცნო შამფორს, სკეპცისს ბელისას,
შემოქმედებას ფონტენელისას,
ჩვენიც იხილა ზოგიერთები,

ყველა დაინდო ზომიერებით,
არ გამოსტოვა მან ჟურნალების,
ალმანახების დარიგებანი
სადაც მყავს ბევრი მაგინებარი
და ხან ასეთი მადრიგალებიც
უძღვნიათ, მინდა ზოგს გავაგონო
E sempre bene.[1] ჩემო ბატონო.

XXXVI

მერე რა? თვალებს წიგნს აკითხებდა,
მაგრამ შორს ქროდა იგი ფიქრებით.
ნაღველს სიღრმეში სული იხვევდა
სავსე ოცნებით, ნდობით, კირთებით.
ნაბეჭდ ბწკარებში მას შთაგონებით
კითხვა შეეძლო სხვა სტრიქონების
და სწორედ მათში იყო სავსებით
ჩაღრმავებული მთელი არსებით.
ხან იდუმალი გადმოცემანი
იპყრობდნენ წრფელი, ბნელი წარსულის,
თქმანი, სიზმარნი აზრდაქსაქსულნი,
ზავთნი, წინასწარ ამოცნობანი,
ხან ცრუ და ბრძენი ზღაპრის თილისმა
და ხან წერილი ქალიშვილისა.

XXXVII

დუნდება და ღრმა ძილში ეშვება
მისი აზრი და გრძნობა თანდათან,
ბანქოს ქაღალდად თვალწინ ეშლება
წყება ნაირფერ წარმოსახვათა:
ხან ელანდება თოვლი ფაფუკი
და ზედ უძრავად მწოლი ჭაბუკი,
როგორც მძინარე ღამის სათევში.
მოკვდაო, ესმის აღვსილს კაეშნით!
ხან ხედავს იგი მტრებს მივიწყებულს,
ცილისმწამებლებს, ბოროტ გულმხდალებს,
ხან გუნდად ყმაწვილ ქალებს მუხთალებს,
ხან ამხანაგთა წრეს მოძულებულს,
ხან სახლს სოფელში და ფანჯარასთან
მიმჯდარ ქალიშვილს... და მას მარადჟამს!...

XXXVIII

მათთან ჩაკარგვა როცა დასჩემდა,
ცოტაღა აკლდა გააბდალებას,
ლამის აქცია მგოსნად გამჩენმა;
ამით ის მართლაც დაგვავალებდა!
და მაგნეტიზმის ძალით მიზიდვას
რუსული ლექსის მექანიზმისას
ლამის შეიძლებს მარად მოცლილი
ჩემი შეგირდი აზრგამოცლილი.
რარიგ ბრწყინავდა იგი პოეტად,
როცა კუთხეში იჯდა მწუხარე,
როცა მცხუნვარე ალით ბუხარი
აკრუსუნებდა: Benedetta-ას
ან Idol mio-ს და უცაბედად
ცეცხლი ხან ჟურნალს, ხან ქოშს სტაცებდა.

XXXIX

დღენი მიჰქროდნენ, შემთბარ ჰაერში
ზამთარი უკვე არეს ტოვებდა;
მაგრამ მას დღეთა დენა არ შეშლის,
არც მოკლავს და არც აქცევს პოეტად.
კვლავ გაზაფხული გამოაცოცხლებს
ზაზუნასავით გამოაცოცებს
ნათელი ზეცა ზამთრის ბინიდან,
და მიატოვებს იგი დილიდან
სახლს გამოკეტილს, ორმაგ სარკმლიანს,
ღუღუნა ბუხარს; გასწევს მარხილით
მზე ლურჯ ყინულთა ბზარში ჩაღვრილი
ალღობს და ჟურავს ნევის ნაპირას
ქუჩებში დაყრილ თოვლს ტალახიანს.
სად მიაქროლებს ეს გზა ნაღვლიან

XL

ონეგინს ახლა? აი გამართლდა
თქვენგან ადრევე ჩაფიქრებული;
კვლავ გაჩნდა თავის ტატიანასთან
ჩუმი თავკერძა ახირებული.
შედის ის: ცხედარს უგავს იერი;
წინკარი ხვდება უკაცრიელი;
დარბაზს გაივლის, არ ჩანს არავინ;
კარებს შეაღებს, მაგრამ რა არის
ასე ძალიან რა განაცვიფრებს?
მის წინ ფერმკრთალი, როგორც ფურცელი,
ზის ქალბატონი ჯერ მოურთველი,
ვიღაცის ბარათს თვალს არ აცილებს
და ჩუმად, ცრემლის ღვარგადმოღვრილი
კითხულობს მკლავზე ლაწვდაყრდნობილი.

XLI

მის უტყვ წამებას ვინ არ იგრძნობდა
იმ სწრაფი წამის გადატანისას,
იმ ქალბატონში ვინ არ იცნობდა
იმ ძველ ტანიას, საწყალ ტანიას.
უგნურ სინანულს სიმწრით ეძლევა,

---
[1] ჰო, მშვენიერია

ევგენი ფერხთით მის წინ ეცემა,
არც გაოცებით, არც გაოგნებით
უმზერს შემკრთალი ქალი ონეგინს.
დაჩოქებულის მზერა მიმქრალი,
სახის ვედრება, უხმოდ ყვედრება
სათქმელს უთქმელად მიახვედრებდა...
ოცნებით, გულით ისევ ის ქალი.
უბრალო, როგორც მაშინ ენახა,
აღსდგა, გაცოცხლდა მასში ხელახლა.

XLII

დაჩოქილს ზეზე არააყენებს,
ქალი თვალებით მას აცივდება,
წყურვილმოუკვლელ და ხარბ ბაგეებს
უგრძნობი ხელი არა სცილდება...
ტყვედ რა ოცნებას ყავს ქალბატონი?
კარგახანს ჩუმად დგანან მარტონი.
და ბოლოს ქალმა წყნარად მიმართა:
„კმარა, ადექით, ვალად მემართა
თქვენთან საუბრის გაბმა გულწრფელად:
ონეგინ, ის დრო თუ გახსენდებათ
როცა შეგვყარა ბაღში სვე-ბედმა
და თქვენს გაკვეთილს ხმის დაუძვრელად
ჩუმად ვისმენდი, სიმწრის ამარა?
ახლა კი თქვენი რიგი დამდგარა!

XLIII

ონეგინ, მაშინ სულ ახალბედა
და უფრო კარგიც ვიყავ მგონია,
წრფელად მიყვარდი, მაგრამ რა მრევდა?
თქვენს გულში აბა რა მიპოვნია?
მხოლოდ სიმკაცრით თუ მპასუხობდით;
ხომ მართალია? თქვენთვის უცნობი
არ იყო ტრფობა მორჩილ გოგოსი,
და ახლა, ღმერთო! თქვენი გოროზი
მზერა რომ მახსოვს და ქადაგება,
საშინელ განცდით სისხლი მეყინვის,
მაგრამ არ გკადრებთ ხვედრდამეხილი
კეთილშობილურ ქცევის ძაგებას,
ჩემთან ხარ სწორი და დამნდობელი,
მეც მთელი გულით ვარ მადლობელი...

XLIV

მაშინ, შორ მხარეს — ხომ არ მეშლება?
ყრუ უდაბნოში ობლად გაჭრილი
მწუხობდით ქალწულს, დღეს არ მეშვებით,
კვალდაკვალ დამდევთ, როგორც აჩრდილი.
რად ამომიღეთ ახლა მიზანში?..

მისთვის, რომ მაღალ გვამთა წინაშე
ვცხადდები ახლა, როგორც სწორებთან,
რომ შევწვდი სახელს, მდიდრულ
ცხოვრებას,
რომ ქმარი ომის მყავს სახიჩარი,
მისთვის გვიფერებს კარი სამეფო
და მომეჭრება თავი საქვეყნოდ,
რომ ჩავიდინო რამ საზიზღარი.
და თქვენ კი, ალბათ,
ჩემი შეცდენა
სახარბიელო პატივს შეგძენდათ?

XLV

ვტირივარ... დღემდე თქვენი ტანია
თუ არ მიეცით გადავიწყებას,
მაშ გწამდეთ, რომ თქვენს ლანძღვას, ავ ენას,
გულცივ ლაპარაკს და მკაცრ სიტყვებსაც
მე მხოლოდ ჩემი ნებით კარნახით
ვირჩევდი, ვიდრე ვნებას საძრახისს,
ვიდრე ამ წერილთ და ღვარს ცრემლების.
მაშინ ბალღობის წრფელ ოცნებების
თქვენ სიბრალული მაინც გებადათ,
წლებს მაინც რაცხდით პატივსაცემად...
ახლა კი ჩემთა ფერხთით დაცემა
რამ გაიძულათ? რა დაგემართათ?
თქვენი გულით და თქვენი გონებით
პაწია გრძნობას რად ემონებით.

XLVII

რა ახლო იყო ბედნიერება
და რა შესაძლო... მაგრამ ანაზდად
გადაწყდა ჩემი ბედი. ეგება
ავჩქარდი მაშინ მთლად ახალგაზრდა.
ფიცის ცრემლებით მევედრებოდა
დედა და რა ხვედრს შეეყრებოდა —
ერთი ეგონა საწყალ ტანიას...
გავთხოვდი. ახლა თქვენი ვალია
დამთმოთ, გამშორდეთ, გთხოვთ,
ღვთისნიერო;
ვიცი, თქვენს გულში კვლავ სხივოსნდება
სიამაყე და პატიოსნება.
ისევ მიყვარხარ (რად ვიცბიერო?)
მაგრამ სხვისი ვარ აწ და მარადის
და ვუერთგულებ მას სამარემდის,

XLVIII

ქალი წავიდა. დგას ონეგინი
გამშრალი ელდით, მეხის დაცემით.

რა ქარიშხლოვან საგონებელით
ევსება გული და რა განცდებით!
და ჩემს გმირს, ასეთ მძიმე წუთებში,
მკითხველო, როგორ მივცე ნუგეში?
ვტოვებ დიდი ხნით... სამარადისოდ.
მის გზაზე ქვეყნად ბევრი ვეხეტეთ,
ახლა ნაპირთან ვდგებით, შეხედეთ!
დროა, ერთმანეთს „ვაშა“ ვალირსოთ,
„ვაშა“ მისვლისას რომ გვავალია!
უკვე დრო არის! (ხომ მართალია?)

XLIX

ჩემი ძმა ხარ თუ ჩემი მგმობარი,
მკითხველო ჩემო, ახლა გულმართლად
მინდა დაგშორდე, ვით მეგობარი,
მშვიდობით! რასაც ჩემს გაუმართავ
სტროფებში, აქვე, ამ ნაკვალევზე
გარდასულ დღეთა შფოთვას დაეძებ,
თუ შესვენებას გარჯით მოწეულს,
ცოცხალ ნახატს, თუ სიტყვას მოსწრებულს,
თუ გრამატიკულ ხინჯს სათაკილოს,
ღმერთი გწყალობდეთ, ასეთ პაწია
წიგნში, გულისთვის რაც ძვირფასია,
რაც გალხენთ, რაც სურს ჟურნალს
საკბილოდ,
რაიმე მარცვალს თუკი იპოვნით.
ამით ვშორდებით ერთურთს, მშვიდობით!

L

მშვიდობით, შენც გთმობ ობროდ
თანამგზავრს,
და შენც, უტყუარ ჩემსავ იდეალს, —
და შენც მუდმივს და ცოცხალო მარადჟამს,
თუმც მცირე შრომას. თქვენთან კიდევაც
ვცან მგოსანთ შურის გამაღვიძებლად
ქვეყნის მერეხში თავდავიწყება,
ტკბილი ბაასი სწორმეგობრების...
ბევრი დღე გაქრა, ოდეს ონეგინს
და მრწემ ტანიას მშფოთვარ სიზმარში
გამოცხადებულს შევხვდი პირველად
და ჯერ შორეულ დასალიერად
მაგიურ ძალის ჯადო კრისტალში
თავისუფალი ჩემი რომანის
სივრცე მოჩანდა ჯერ ბუნდოვანი.

LI

მაგრამ ვინც მაშინ ტოლ-მეგობრებში
მისმენდა პირველ სტროფებს, სადაა?
ზოგი — შავეთში, ზოგი — შორეთში,
როგორც ოდესღაც ბრძანა საადმა.
სრულჰქმნეს ვეგენი მათ დაუსწრებლად
და რომელ ქალის კვალზეც გულწრფელად
ჩვენს იდეალად ვცან ტატიანა...
ო, ბედმა ბევრი დასცა ტიალმა.
ნეტარ არს, ვისაც ბოლომდე, დიდხანს
საწუთროს ლხინში არ დაუცია,
თასი ძირამდე არ დაუცლია,
ვინც უცებ შესძლო ჯერ ჩაუკითხავ
რომანს გასცლოდა ამაოების,
როგორც ვშორდები მე ჩემს ონეგინს.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნასიმი**

# ყაზელები

ვარდიც კი, შენი შემყურე, შურმა და მტრობამ აღავსო,
ბადაგიც უცებ დაჩრდილა სიტკბოთი შენმა ბაგემა.

ე მაგ წამწამთა ჩრდილთა ქვეშ, ე მაგ მომშვილდულ წარბებთან,
ო, ერთხელ მაინც დამათრო, — შენი ამბორი მაგემა.

ჩემო ლამაზო, მაკმარე ცრემლი და ურვა ურიცხვი.
მაკმარე ფუჭად, უსაგნოდ უთვალავ მსხვერპლის გაღება.

რატომ მიცქერი ნიადაგ ასე მკაცრად და უნდოდა,
რად ჩამიქუფრე მაგ თვალთა მაცოცხლებელი ნათება.

მე შენს ფასს, მომკლან, ვერ ვიტყვი უძვირფასესი თვალი ხარ,
ისე ელვარებ, ბრჭყვიალებ, გზა გამიმრუდდა, ამებნა.

ცრემლის წილ სისხლი მომწვეთავს, თვალნი უწყალოდ დამემსო,
ვაი, რა დღეში ჩამაგდო, სატრფომ გულდაგულ ნაქებმა.

ნუ მოიბურვი ჩადრითა, ნასიმის გულს ნუ დასეტყვავ,
ისიც ეყოფა ამ ქვეყნის სიყრუემ რაც რამ აგემა,

• • •

განათებულა შენი სახე რაღაც ზღაპრულად,
და შენს დალალებს შერევია მზის დალალები.

მე შენს ბაგედგან შარბათს ვერ ვსვამ, მაინც მთვრალი ვარ,
მაინც ვბარბაცებ, არეული დამაქვს თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რა შევთხოვო ზენაარს და ის რას მიბოძებს,
რაც რამ თხოვნა მაქვს, შენთან მაქვს და შენ გეკრძალები.

ვინც კი ოდესმე შენს ფეხთ მტვერთა კოცნა ინება,
მას მოეხურა სასოების მძიმე კარები.

ბედის გახსნისთვის ტყუილია გარჯა, წვალება,
ალაჰმა უნდა გადმოგხედოს, მხსნელის თვალებით.

ზეცაში წყდება ჩვენი ბედი, ჩვენ კი გვგონია,
რამეს გავხდებით საგანგებო ცდით და წვალებით.

ჩემო ლამაზო, შენ ნასიმიმ გიხილა ერთხელ,
და სამუდამოდ აღიბეჭდე მგოსნის თვალებში.

• • •

სადა ხარ, სადა, სასურველო, დამწველო გულის,
შენ ჩემთა თვალთა სინათლე ხარ, სიკეთე სრული, სადა ხარ, სადა?

შენი ბაგენი შარბათზედაც ტკბილია მეტად,
ჩემთან იყავი, ნუ დამტოვებ ობლად და კენტად, სადა ხარ, სადა?

ჩემი ვარდი ხარ, და თვალებით მაგონებ ნარგიზს,
განშორებისას ეკალთაგან ცრემლები დამდის, სადა ხარ, სადა?

მე სიმშვიდე და მოთმინება დავკარგე როდის?
ამ სიყვარულმა შემაჩვია გულწამღებ ლოდინს, სადა ხარ, სადა?

შენი ფარი ვარ, არ მოვუშვებ სამიზნოდ ისრებს,
და ეს ფარობაც შენი ნდომის საწადელს მივსებს, სადა ხარ, სადა?

მე ფარვანა ვარ, მაგრამ შენგან ვიწვები განა?
ცეცხლი ხარ, მაგრამ მე გათოშილ ლოლუას ვგავარ, სადა ხარ, სადა?

სხვა არავინ მინდა, მე შენს გარდა არავინ მწადის,
ჩემი მგონიხარ და მიწვდება ხელები ცამდის, სადა ხარ, სადა?

სადა ხარ, სადა, მიწიერო-ციურო ჩემო,
შორსა ხარ ჩემგან, შენს სიტურფეს მაინც მე ვჩემობ, სადა ხარ, სადა?

მე სათათრეში მოგაგენი და შენი ტყვე ვარ,
მაგ დალალების სურნელებამ მთლად დამატყვევა, სადა ხარ, სადა?

გიცდი და გელი, მოთმინება მეყოფა სანამ,
ო, რა ძნელია მოლოდინი, შენც იცი განა? სადა ხარ, სადა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენთან ერთად ჯოჯოხეთსაც სამოთხედ ჩავთვლი,
შენ ნექტარი ხარ სამოთხისა, ძლივს გპოვე სანთლით, სადა ხარ სადა?

შენი გულისთვის შევებმები მტერს ნაირ ჯურის,
შენი გულისთვის თავს გავწირავ ღმერთი და რჯული... სადა ხარ, სადა?

დღეს ნასიმია მბრძანებელი თავისი გულის
შენ შეგიძლია მიანიჭო დიდება სრული, სადა ხარ, სადა?

აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ლეილა ერაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მურმან ლებანიძე*

# ლ ე ქ ს ე ბ ი

* *
*

მარეკები შლიდნენ ბანაკს,
ქარი ჩამი-ჩუმით ჰქროდა,
ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბად —
        ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ურო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა —
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს —
        ქალის სუნი ჰქონდა.

სუნი ჰქონდა არა დალის,
ლალის, — ცისფრის ანუ თეთრის, —
სუნი — საზოგადოდ ქალის,
სუნი —
        საზოგადოდ მდედრის...

ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს — შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეგ სურნელი,
სანამ
        ეგ სურნელი ვიგრძნო!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

ვაი ჩვენს მოსწრებას! თქმულიყო შენზე
შეიძლებოდა — რამდენი კარგი!
ვთქვათ, მაგალითებრ: „მიმინო ცერზე!“
ვთქვათ, მაგალითებრ: „ვეფხვივით შმაგი!“

ერთფეროვანი ცოდვების მწკრივით
და მანტიისთვის გალებულ ხარკით,
დამშრალა ლექსში ზეგარდმო სხივი,
დამცხრალა შენში პოეტის ჩანგი!

დავხურე წიგნი და ვდუმდი დიდხანს —
შენში პოეტის მკვლელი ვიგრძენი...
რა შეიძლება დღეს შენზე ითქვას?
საწუხ არს ესე: „გველივით ბრძენი!“

1972

* *
*

— ტყუილსა და მართალს შორის,
ანუ დღეს და ღამეს შუა,
მიპასუხე, მიპასუხე,
მიპასუხე — რამე თუა?!

— უსახური რამ სივრცეა —
არც ხმლის პირი და არც ყუა!
უფრო დიდი ტყუილია,
უფრო მწარედ, გველაძუად,
უფრო
ჩინებულად სტყუა...

„დაღამდება ტყეში ოდეს,
ქარი ფოთლებს აურევს.
იმ მდინარის გეშინოდეს,
რომელიც არ ხმაურობს“.

1973

## მ უ ხ ე ბ ი

ალპურ ზონაში,
სად ფოთოლიც არსად ჩანს ბუჩქის,
სად ფეხის მოდგმა
ხეს კი არა, ჭანგა ძეძვს უჭირს,
წვრილი საურმე
სად შქმერსზევით სათიბში უხვევს,
მაინც და მაინც,
სასწაულად, ემძლავრათ მუხებს
და მცირე კორდზე,
უდროობით შემკრთალს და წამხდარს,
წაჰფარებოდნენ
კვერცხისტოლა მტრედისფერ საყდარს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურგშექცეულს და
შეგინებულს — დაჰხმარებოდნენ,
სუსტს და უმწეოს,
შეშინებულს — აჰფარებოდნენ,
შემოსწყრომოდნენ
ბუმბერაზნი საბრალოს მცველად,
ერთურთისათვის
გადაეჭდოთ მკლავები გრძელად;
ფხიზლად ასცქეროდნენ
ვეშაპივით ჩამოვლილ ღრუბელს,
დინჯად არწევდნენ,
ულერებდნენ ვეება შუბებს...
დაბერდნენ, დაწყდნენ,
დაიხოცნენ იმ ალპურ კორდზე,
თუ ისევ დგანან
ის მუხები საყდრისთვის ფრონტზე?
ორმოცი წელი
იმ დღის შემდეგ გადამილახავს —
მტრობა, დაცემა
და გაცემა — რა არ მინახავს!
ოჰ, საქართველოვ!
მშურს და მწყურის მუხების ბედი,
იმ მუხებისგან
მისწავლია მე სხვაზე მეტი:
ფეხმოუცვლელად,
ზეზეულად ნელინელ კვდომა,
შენთვის, შენს გამო,
ულალატო კვლავ ფეხზე დგომა!

1973

## შურა ბანძელაძეს

(გალაკტიონის მონუმენტის პროექტის გამო)

იყო ტიციან და იყო გოგლა —
გვაქვს კარატები ამ საუკუნით,
მაგრამ სხვა იყო ტიტანის ოხვრა —
წელებგამოყრილ ლომის ბუხუნი.

იყო ის წვა და სისხლისგან დაცლა,
ბედნიერებას ჩანგში ჰპოვებდა.
თოთხმეტი ჰქონდა შიგ გულში დაშნა—
სისხლის გუბეებს გზაზე სტოვებდა.

აწ — სინანული არავითარი!
ცა — გულუბრყვილო და მოწმენდილი!
გმადლობ, თავს მადგას იგი ტიტანი,
შენი საჭრეთლით გამოკვეთილი!

წამოდი, სადმე მოვძებნოთ ბაღი,
ანუ თუ სადმე პროსპექტი არი,
დიდ პარაკლისზე შევყაროთ ხალხი,
და ცას შევუდგათ
ოცმეტრიანი!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

უღრან ტყეში ბუკი ყვირის, —
ჯერ შორსაა შუქი დილის, —
„ვერ იპოვნე?“ — „ვერა, ძმაო!“ —
ვიღაც ჭრაქით ხელში ტირის.

და მტირალიც კვნესის: „აქეთ!“
ტყეს მოამტვრევს შეშლილ სახით:
„ვერ იპოვნე?“ — „ვერა, ძმაო!“ —
მეც ვპასუხობ ხელში ჭრაქით.

მილიონი წელიწადი
ზვერავს აწმყოს, ნამყოს, მყობადს,
გარეუვლის მჭრელი წალდით
სული გამოცანა — „ცნობადს“...

და კვლავ ტყეში ბუკი ყვირის, —
კვლავ შორსაა შუქი დილის, —
„ვერ იპოვნე?!“ — „ვერც მე, ძმაო!“ —
ვიღაც ჭრაქით ხელში ტირის.

1972

* *
*

იცვლება კაცი! —
ის აღარ ხარ, ფარნავაზ, ჩემო! —
დღეს შეცვლილია
კაცი ზემო და კაცი ქვემო:
ზნით! ჩვეულებით!
მოთავისე ცხოვრების წესით!
წარმოიდგინე,
რომ ასაკით, აგრეთვე პეწით,
ის აღარა ხარ,
რაც იყავი ოცი წლის წინათ!
ბევრი ოცნება
მივიგდია საღათას ძილად!
ბევრი სანთელი
როსმე გენთო და ახლა ბჟუტავს,
უჟანგბადობა,
უტაძრობა იმ სანთლებს ხუთავს.
იცვლება კაცი!
ის ვეღარ ხარ, ფარნავაზ, ჩემო!
დღეს შეცვლილია
კაცი ქვემო და კაცი ზემო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განურჩევლობით!
            გულგრილობით, ღალრეჯილ პირით!
ღალატის სწავლით!
            უპირობით! ცხოვრების ნირით!
მაგრამ ვაითუ,
            როცა ცივად კიბეზე ვხვდებით,
როცა საერთო
            ჩვენს კიბეზე შეხვედრით ვკრთებით,
შენც, შენც ჩემსავით
            ქვეყნურ ბოლმას ღიმილით იქრობ
და შენც ამასვე,
            ჩემზე — ზუსტად ამასვე ფიქრობ?!
მაშინ საშველი
            არ ყოფილა — ან გავგსვან ძელზე,
ან თითო სიპი
        ერთურთს თვითონ შევაბათ ყელზე.
დავხუროთ წიგნი,
            ჩვენი წილი ჩავაქროთ კვარი...
მაშინ ახლოა
            საქართველოს მდინარე მტკვარი!

**1971**

## ჭეშმარიტება

ათასჯერ — მიგასაკლავებენ,
            ათასჯერ — სამართებლით დაგკლავენ,
საჯაროდ — მიგასაფლავებენ,
            საჩქაროდ — ფაციფუცით დაგფლავენ.
მწუხარედ გოროხებს დასწვდებიან,
            წესი არისო — მოგაყრიან,
ალაპშიც სუფრისთავს დასხდებიან,
            და ცრემლებს, ყალბ ცრემლებს მოგაღვრიან.
მაგრამ რის მკვდარი და რა ცხედარი, —
            სამარხი ყლორტებით გაგიჭრია, —
გაიხედავენ და, რას ხედავენ:
            ამაყად ფრთები გაგიშლია!
საკუთარ საფლავზე ამოსულხარ
            და, რაკი საფლავში წოლილხარ,
უკორძო, უხინჯო გამოსულხარ —
            კორდის ჭადარივით სწორი ხარ.
ზეცისკენ შუბივით წამახული —
            მწარე ხარ, მაგრამ მოწყალეც ხარ,
ათასჯერ ღალატით დამარხული
            ათასმეერთედ ცოცხალი ხარ...
შენი ნაფოტისგან გამოთლილი
            ეს ჩანგი ჯიუტად ენამწარობს...
მურმან ლებანიძე მოგიკვდეს!
            მურმან ლებანიძე გენაცვალოს!

**1972**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შუა ასფალტზე ზვინი მოდიოდა...

მცხეთაში, ასფალტზე, ზვინი მოდიოდა.
ფეხები მოდიოდა — შინ ზვინი მოჰქონდა.
ჭრელ-ჭრული მანქანები იმ ზვინს მოჰყიოდა,
ასობით მანქანა ჭყვიტინით მოჰქროდა.

მხრებიდან სახლისტოლა ზვინი გადმოიღო.
ყმაწვილმა ჩაუქროლა გოლიათს „კადილაკით“.
კედელს მიეყუდა — უკვე სხვა დრო იყო,
ოფლი მოიწმინდა — ჩვენი სანდრო იყო,
ოდესმე ცნობილი
სანდრო კანდელაკად.

1973

* *
*

დავყვებოდით
ბინდში „პრესნას“,
გვალხობდით და
გვადნობდით...
თქვენს სუნამოს
ერქვა „ვესნა“ —
ცხვირსახოცით
გვათრობდით...

1972

* *
*

ვიშვი, ვიყავ, ვიცხოვრე, იყვნენ, მახსოვს, წამები:
როგორც — თაფლის წვეთები, არა — როგორც შხამები.

მაგრამ იმ ტკბილ წამებთან ერთად იყვნენ ცუდებიც —
ბრაუნინგის ვაზნებად საშიშარი წუთები.

ცხელ ნატყვიარს ვიხვევდი, პერანგს სისხლით ვალბობდი,
მაგრამ ტკივილს ვითმენდი და ღიმილით ვამბობდი:

„დიდხანს,
დიდხანს ეწამე,
მურმან,
ჩემო ძამიე!
ეგ ტკბილი და
ეგ მწარე
იყოს
მრავალჟამიერ!“

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

იყო დრო თავმოყვარების,
იყო დრო კაცურ ღირსების,
დრო რისხვით ამქუხარების,
დრო ლორდების და პრინცების!
ცა ჭილყვავების ძახილით,
არყის ტყე მკაცრი ლანდებით:
თოვლში მიჰქროდა მარხილი
წარბშეკრულ სეკუნდანტებით.
არა მზაკვრობით მორიგით,
არა ხრიკით და ტყუილით —
რომ ყოფილიყო დრო იგი,
გავსწორდებოდით დუელით...
არავითარი — დათმობა!
არავითარი — ზავი!
არავითარი — დანდობა!
თოვლი: სისხლისგან შავი!
ჩემი ხელიდან მკვდარი ხარ,
ჩემგნით ცოცხალი არ ხარ...
ვაი რომ, ფეხზე მდგარი ხარ,
თან ორთავ ფეხზე დგახარ!

**1972**

## პოეტი

შენ ცასავით კრიალა ხარ,
მაგრამ მტრებთან მკაცრი ხარ,
მართლა ღმერთი კი არა ხარ —
მაინც, მაინც კაცი ხარ!

მტრები, მტრები მახვილს გცემენ,
მტრები გეპარებიან —
ყეფით, ყეფით გაფხიზლებენ,
ყეფით გეხმარებიან.

რა იციან „მეგობრებმა",
რა სამსახურს გიწევენ:
ანგელოსად წაძინებულს
აფთრად გაგაღვიძებენ.

ხოლო რისხვით გალომებას,
გააფთრების ტკივილით,
სდევს
ზეგადრმო წყალობები
და ჩანგების ყივილი.

მტერი კიდეც რომ არ გყავდეს,
უნდა რამე ილონო,
სად იშოვნი ერთად მაგდენს —
უნდა გამოიგონო.

მაგრამ — ვაშა! მახვილს გცემენ,
თვითონ გეპარებიან,
ყეფით, ყეფით გაფხიზლებენ,
მტრები გეხმარებიან!

შენ გახსნილი იარა ხარ,
შენ ხმლებს გაუკაწრიხარ,
მართლა ღმერთი კი არა ხარ,
მაინც, მაინც კაცი ხარ...

დაე, წყევლა ბაგეს მოსწყდეს,
გარს გეხვიოს ავდარი,
და ცხოვრობდეს ანგელოსთან
ერთად
შენში აფთარი!

**1972**

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

## (იუმორესკა)

გავხდი ორმოცდაათის. დავსხედით და იმ დღეს
საოცარი სიტყვები მეგობრებმა მითხრეს.

რომ ვუყვარდი, ვიცოდი, ჩემს მუხრანს და ანას,
მაგრამ არც სხვა ლესავდა ჩემს დასაკლავ დანას.

რომ არ ვძულდი, ვიცოდი, ჩემს ოთარს და შოთას,
მაგრამ ერთი-ორზე კი ვეჭვობდი ცოტას.

ნონეშვილმა — სალამი! ჩარკვიანმა — მაქო!
ერთხმად, ყველამ ერთხმად: კაი რთველი გაქო!

ცოტა უხერხულად თავი რომ არ ვიგრძნო,
რაც თქვეს, აქ ვერ დავწერ, მაპატიოთ ვინძლო.

ჩემმა ორმა ელგუჯამ... შუქი დამაშუქეს —
ვიჯიბავდი ოხრად ოქროს თამასუქებს.

ტარიელმა — ტკბილ-მწარე ჩვენმა ჭანტურიამ —
თაფლს შერბეთი უზავა, — ერთურთს გადურია.

ბესარიონ ჟღენტმა ამატირა ლამის —
სული კარგად მიხსენა — მამის.

მარტო ჭილაძეები იმ დღეს თვალში მაკლდნენ —
გაგრა, სილა, მზეები... ზღვაზე ერთურთს ახლდნენ.

რეკენ: ტელეეკრანი სხვა იყოო იმ დღეს.
საოცარი სიტყვები მეგობრებმა მითხრეს.

კი! პოეტის ჩვილია, ღმერთი—რჯული, მკერდი!
სულში რაღაც თბილია, ვსტყუი — თბილზე მეტი!

ძმებო! ვხედავ, დამთბარა პოეზიის ზღვაში —
მემატება პირუკუ დღეს გიშერი თმაში.

მოდით! რათა გოლფსტრიმი ცისფერ ზღვებში ჰქროდეს,
ყოველ შაბათ-კვირას იუბილე გვქონდეს!

დაფნა ძმურად გავიყოთ, სათითაოდ გთხოვდით,
თავი მორცხვად ჩავიღოთ, სავარძლებში ვცხონდეთ!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

ეს ქვეყანა
    მე ასეთიც მაწყობს,
მოწვდილს მისგან
    ვსვამ შარბათს და
        სამსალას.
მაგრამ ვუცქერ
    მის წარსულს და აწმყოს
მყობადისთვის
    როგორც საშენ მასალას.

ეს ქვეყანა
    მე ასეთიც მიყვარს,
მაგრამ ვუცქერ
    (შენც უცქერდე, მინდა!),
როგორც ღმერთი
    უცქეროდა თიხას,
ძე-ხორციელ
    შედევრს როცა ქმნიდა.

**1972**

## განწყობილება კარგი ლექსის წაკითხვის შემდეგ

(იუმორესკა)

ასე მგონია,
    დღემდე ექვს თვეს ვიყავი ცხენი —
ძვალი და ტყავი
    უპატრონოდ ღრანტეში მნახეს,
არ ჰქონდათ თივა,
    მეც მიზეზი არ მქონდა წყენის,
მთელი ზამთარი
    გულმოდგინედ მაჭმევდნენ ნახერხს...
და, უცბად, ვაშა!
    მოუხატავთ რესტორნის თაღი!
გრიალებს ჯაზი,
    მოაქვთ სუკი ნახერხის ნაცვლად,
წინ მიდგას კვარტით
    „ტიბაანი“, ანთია ჭაღი,
განვკაცდი ცხენი
    და მაგიდას ვუზივარ კაცად...
    . . . . . . . . . . . .
    . . . . . . . . . . . .
განწყობილება
    შენი ლექსის წაკითხვის შემდეგ
(მაინც, რამდენი
    შეუძლია ოცდაოთხ სტრიქონს!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წარმოიდგენ,
        ხომ კეთილი, არა-და, მენდე —
დააზლოებით,
        ზემოთ რომ გწერ, ესეთი იყო.
დაეკიდება
        ზოგჯერ ლექსი მოცისფრო ბალად,
ლექსები გვკლავენ
        და ლექსები გაგვასვენებენ...
მაგრამ მოვლიან
        ჟურნალები, ეს ვიცი კარგად,
და სიკვდილამდე
        ბარე ორჯერ გაგვაცხენებენ!

**1972**

* *
*

რატომ მიყვარხარ, თუ ვიცოდე —
                დამექცეს სახლი!
რატომ ვწერ შენზე, თუ ვიცოდე —
                გამიხმეს ხელი!
ორი სიპი ქვა მიჭირავს და
                საფეთქლეშს ვახლი,
შენ გახსენებ და... გამოჭრილი
                შენგნით მაქვს ყელი!

**1973**

* *
*

მიუწვდომლის მიწვდომას,
შეუწვდომლის შეწვდომას
რომ ლამობდი, — ჰგონებდნენ
გულუბრყვილო შეცდომას.

შენს ხვედრს ბევრი ინატრებს,
გრჩება ხატი ჯვარცმულის
და მყობადში ინათებს
სხივი ნამყო-წარსულის.

კუბოზე ჭრაქი ვინთია...
არა როგორც დამღრჩვალი —
საღრჩობელას ჰკიდია
ჩანგი
        როგორც ხანჯალი!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გობელენები

ომის შემდეგ თბილისის კედლებს მოფენილები —
ვის უყვარს და
ვინ იცის,
ჩემებრ, გობელენები!

მახსოვს: ქოხი ვიყიდე — რამე შესამკობელის
ფულიც მაქვს და
იქიდან
მახსოვს, ვეძებ გობელენს.

როგორც დაჭრილ დათვისგან (მონადირის მგმობელის!)
უფეხო
სალდათისგან
ვყიდულობდი გობელენს.

ზაზა რომ დაგვებადა, გობელენი გეკიდა,
გროში გვქონდა,
გვებადა —
გსურდა, ერთიც გეყიდა.

ჭერი — არცთუ მაღალი, ტახტთან — ბავარიული
გობელენი
ახალი,
სახლი — ავარიული...

მოგონების ქორებმა მოგონება მომბერეს:
აკავშირებს
გონება
წამში — ომს და გობელენს.

ჭყაპი. „შავი ბაზარი“. დეზერტირი წვერებით,
ავტომატით,
მაზარით,
დასტა გობელენებით.

შემდეგ — ახლის ოცნება, შუქი არა სავსებით —
ოდნავ გამოცოცხლება
ნეპთან
ერთგვარ მსგავსებით.

ჩვენ ბუდეებს ვიწყობდით თმობით დასათმობელის
და მოწყენით ვიტყოდით
პურს, ნავთს,
ახანთს, გობელენს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დრო ახლა შორს არი ჯგლეთით, სპეკულანტებით,
ჩვიდმეტ —
ორდენოსანი
ხეიბარი ლანდებით.

ევროპიდან თბილისის კედლებს მოფენილები —
ვის ახსოვს და
ვინ იცის,
ჩემებრ, გობელენები!

გობელენი — ჰერცოგით! გობელენი — ქურციკით!
გობელენი —
ძველ ქოხით,
ციხე-კოშკით ხნულს იქით!

გობელენი — ტირიფით, რა თქმა უნდა, მტირალით,
არა იერისპირებით,
თვითონ
ვისლა-მდინარით!

გობელენი—გოთური კოშკებით და ბაღებით,
ყეფით!
ირმის ქაჩაჩთან
ენაწითელ ძაღლებით!

ოჰ, ეს გობელენები! არის მწუხრში ცთუნება, —
ჩავლა
სვენებ-სვენებით,
სხვის ფანჯრებში ყურება!

გობელენი — შირმებად, გობელენი — საკიდად,
გობელენი —
ირმებით
და დაჭრილი ტახითაც!

აგერ — ჩვილით მადონა! აგერ — ღამის ლანდეთი!
ბეატრიჩე,
ბატონო,
აგერ — თავის დანტეთი!..

ოჰ, ეს გობელენები! (ცისფერ ძაფის მხლართველად!)
შორით მოფრენილები
ჩვენთა
ფიქრთ გასართველად!

აქით — ვარდი ტყიური, იქით — ტიტა ნერგული:
ცოტა —
პრიმიტიული,
ცოტა — ბამბანერკული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ეს მყუდრო სავანე — ცოლით, შვილით, ფლავებით,
საზრუნავით
მრავალით,
უცხო საწამლავებით!

მაგრამ მაინც მიყვარხარ, ოჯახის მყუდროებავ!
მოგვძახის უდროობა,
გაფრენის
უფროთოება!

დღეს ვინ წავა ჭრელ ქარში, სულში სიო ფათურობს —
ახლა
ყოველ ჩვენგანში
დაღლა, დაღლა სადგურობს.

მოცვეთილა ჭანგები, გულს სიმშვიდე სწყურია,
უკეთესი გაგებით
სულში
მეშჩანურია!

და ვიგონებ გობელენს ტახტთან, — მე რომ მიყვარდა...
მას,
რაც წლებმა მობელეს
და რაც წარსულს მიჰფარდა...

როგორც ავი დათვისგან (შავი ლულის მგმობელის!)
უფეხო
სალდათისგან
ვყიდულობდი გობელენს.

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ილია მელქაძე*

# ხალხთან კავშირი კომუნისტური პარტიის ძლიერების წყარო

1973 წლის 30 ივლისს შესრულდა 70 წელი პარტიის II ყრილობის გახსნიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში რსდმპ II ყრილობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ყრილობაზე ლენინის მიერ შემუშავებული იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე შეიქმნა ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკური პარტია.

პარტიის მეორე ყრილობამ მიიღო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობასა და სოციალიზმის დამყარებას.

რსდმპ მეორე ყრილობა შემობრუნების პუნქტი გახდა კაცობრიობის ისტორიაში. „ბოლშევიკური პარტიის შექმნით დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი. პროლეტარიატმა პირველად მიიღო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ახალ ისტორიულ პირობებში, მისი სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებით ხელმძღვანელობა“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, გვ. 11).

იმისათვის, რომ პარტიამ წარმატებით უხელმძღვანელოს ხალხის რევოლუციურ-გამთავისუფლებელ მოძრაობას, უნდა იყოს შეიარაღებული რევოლუციური იდეოლოგიით, მარქსისტულ-ლენინური თეორიით. თეორიები, იდეები უდიდეს მატერიალურ ძალად იქცევიან, მაორგანიზებელ, დამრაზმავ, მამოძრავებელ და გარდამქმნელ ძალად იქცევიან, როცა მასები დაეუფლებიან. ლენინი თავის ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც. რომ მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“.

ლენინის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან არა მარტო შექმნა პარტია, არამედ შეაიარაღა კიდეც რევოლუციური თეორიით და გამოაწრთო იგი „ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რევიზიონიზმთან, ტროცკიზმთან, „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან, სოციალ-შოვინიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან, მარქსიზმის რევოლუციური პრინციპების ყველა მოწინააღმდეგესთან შეურიგებელ ბრძოლაში“. ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით ცარიზმის სასტიკი დევნის პირობებში რევოლუციური იდეების მგზნებარე აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებში. ყოველი პარტია მასებზე გავლენისათვის იბრძოდა და თავისი იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ხალხმა ყოველგვარი აგიტაცია-პროპაგანდა მოისმინა, მაგრამ არჩევანი ბოლშევიკურ პარტიაზე მოახდინა, მიენდო მას და გაჰყვა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც უფრო გადიოდა დრო და მწვავდებოდა ბრძოლა პარტიათა შორის, მით უფრო იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მასებში. ხალხის ფარ-

ტო მასები სულ მეტი და მეტი რაოდენობით გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე და თავგანწირვით იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა შეუძლებელი იყო ისე, თუ მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა მხარს არ დაუჭერდა თავის ავანგარდს, პროლეტარიატს და მის ხელმძღვანელ პარტიას. ამიტომ მგზნებარე აგიტაცია — პროპაგანდას ეწეოდნენ მასებში როგორც ზეპირი სიტყვის, ისე პრესის საშუალებით. ბოლშევიკების მართალი, ცხოვრების ავ-კარგის ამსახველი სიტყვები ადვილად იკაფავდა გზას ხალხის გულისა და გონებისაკენ, იზიდავდა მასებს და აბამდა მჩაგვრელებთან ბრძოლაში.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბოლშევიკებმა ხალხის ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვეს არა ერთბაშად, არა კენჭისყრით, არამედ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში. ექსპლუატატორებთან ბრძოლებში რაც უფრო მეტ სიმტკიცესა და სიმამაცეს იჩენდნენ ბოლშევიკები, მით უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობდნენ და ალაფრთოვანებდნენ მშრომელ მასებს და მიჰყავდათ ისინი ახალი გამარჯვებისაკენ. ბოლშევიკური პარტია ლენინის მეთაურობით თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ცარიზმის საწინააღმდეგო რევოლუციურ მოძრაობას და ხალხის თავგანწირული ბრძოლა 1917 წლის თებერვალში დაგვირგვინდა მეფის თვითმპყრობელური მთავრობის დამხობით. ცარიზმის დამხობის შემდეგ ძალაუფლება დროებითი მთავრობისა, ესერებისა და მენშევიკების ხელში გადავიდა. მაგრამ ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილება და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა ფიქრადაც არ მოსვლიათ შემთანხმებლურ პარტიებს. ისინი ატყუებდნენ ხალხს ცრუ დაპირებებით. კოალიციური დროებითი მთავრობა, რომელშიც შედიოდნენ მენშევიკებისა და ესერების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც წერეთელი და სკობელევი, კერენსკი და ჩერნოვი, აშკარად დაადგა ხალხის საწინააღმდეგო მოქმედების გზას. ხალხის ინტერესების დაცვის ნაცვლად მან დაიწყო იმპერიალისტური ომის განგრძობის პოლიტიკის გატარება, მუშებთან და რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებთან იარაღით ანგარიშის გასწორების პოლიტიკის გატარება. ლენინი მკაცრად ამხელდა მენშევიკებისა და ესერების მოღალატურ პოლიტიკას და წერდა: „მაგრამ განა თქვენ, ბატონო ესერებო და მენშევიკებო, არ გქონდათ 8 თვე თქვენი ცდის მოსახდენად? განა 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე ხელისუფლების სათავეში თქვენ არ იდექით კერენსკისთან ერთად, როდესაც გეხმარებოდნენ ყველა კადეტი, მთელი ანტანტა, მსოფლიოს ყველა უმდიდრესი ქვეყანა? მაშინ თქვენი პროგრამა იყო სოციალური გარდაქმნა სამოქალაქო ომის გარეშე. განა მოიძებნებოდა ქვეყნად თუნდ ერთი სულელიც კი, რომელიც რევოლუციას მიმართავდა, თქვენ რომ ნამდვილად დაგეწყოთ სოციალური რეფორმა? რატომ არ გააკეთეთ ეს? იმიტომ, რომ თქვენი პროგრამა იყო ცარიელი პროგრამა, სულელური ოცნება. იმიტომ, რომ არ შეიძლება კაპიტალისტებთან შეთანხმება და მათი მშვიდობიანად დამორჩილება“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 472).

მენშევიკებმა და ესერებმა კერენსკისთან ერთად ქვეყანა გაუგონარ გაჩანაგებამდე მიიყვანეს და ხალხის ფართო მასები იძულებული გახადეს, რათა გადაედგათ ნაბიჯი წინ სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ხალხის წინაშე პრაქტიკულად დაისახა ბრძოლის ახალ ეტაპზე გადასვლის ამოცანა. ლენინმა შეაიარაღა პარტია სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის კონკრეტული გეგმით. თავის სტატიებსა და სიტყვებში ლენინმა პარტიას მისცა სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ გაეთავისუფლებინათ მასები ესერებისა და მენშევიკების გავლენისაგან. როგორ მიემხროთ უმრავლესობა საბჭოებში და როგორი გამალებით მომზადებულიყვნენ დროებით მთავრობასთან ულმობელი ბრძოლისათვის.

ახლა ჩვენს წინაშე უაღრესად სერიოზული, გადაუდებელი და ძირითადი ამოცანა დგას, — ამბობდა ლენინი. — ეს ამოცანა ის არის, რომ მთელი ჩვენი ფიქრები, მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი სააგიტაციო, საპროპაგანდო, ორგანიზაციული და უშუალო პრაქტიკული მუშაობა იქით მივმართოთ, რომ პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარისკაცები უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის. რევოლუციის გამარჯვება დამოკიდებულია პარტიისა და ხალხის ერთიანობაზე. ლენინის სახელმძღვანელო დებულებებსა და მითითებებს მაგრად ჩასჭიდეს ხელი ბოლშევიკებმა. მგზნებარე აგიტაციაპროპაგანდა გააჩაღეს საბჭოებში და შესძლეს საბჭოების უმრავლესობის მიმხრობა. 1917 წლის სექტემბრის დამლევს პეტროგრადშიაც და მოსკოვშიაც ბოლშევიკებს საბჭოების უმრავლესობა მიემხრო. რაკი საბჭოების უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა, ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება თავის ხელში — სთქვა ლენინმა.

ლენინმა შეიმუშავა შეიარაღებული აჯანყების გეგმა, რომელიც მოიწონა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მიეღოთ გადამჭრელი ზომები აჯანყების მოსაწყობად. მაგრამ პარ-

ტიის საიდუმლო გადაწყვეტილება ზინოვიევმა და კამენევმა გაუმჟღავნეს დროებით მთავრობას. დროებითმა მთავრობამ რაკი შეიტყო აჯანყების დრო, შეეცადა ჩაეხშო რევოლუცია, მაგრამ გრძნობდნენ რა ხალხის ფართო მასების მხარდაჭერას, ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით მიიღეს გადამჭრელი ზომები შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. 1917 წლის 24 ოქტომბერს ლენინი წერდა: „აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის. მთელი ძალღონით ვარწმუნებ ამხანაგებს, რომ ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, რომ დღის წესრიგში ისეთი საკითხები დგას, რომლებსაც თათბირები, ყრილობები (თუნდაც საბჭოების ყრილობები) კი არ წყვეტენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხალხები, მასა, შეიარაღებული მასების ბრძოლა. ლოდინი შეუძლებელია. საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, ამ საღამოსვე, ამ ღამითვე დავაპატიმროთ მთავრობა... ლოდინი შეუძლებელია! უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე.

ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაჰკარგონ, შეიძლება ყველაფერი დაკარგონ... უსაზღვრო დანაშაული ჩაიდენლნენ რევოლუციონერები, თუ ხელიდან გაუშვებდნენ მომენტს, როცა იციან, რომ მათზეა დამოკიდებული რევოლუციის ხსნა“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 269-270).

ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებების განსახორციელებლად პარტიამ დარაზმა მასები. 24 ოქტომბერს ღამით სმოლნში მივიდა ლენინი, რომელმაც უშუალოდ აიღო ხელში შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა დროებითი მთავრობის დასამხობად. 25 ოქტომბერს კრეისერმა „ავრორამ“ ზარბაზნების ქუხილით ქვეყანას აცნო, რომ გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ერა. კომუნისტური პარტია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მმართველი პარტია გახდა.

რევოლუცია რუსეთში ვერ გაიმარჯვებდა რუსეთის პროლეტარიატს რომ არ ჰქონოდა თანაგრძნობა და დახმარება ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხებისაგან, რომ ბოლშევიკურ პარტიას თავისი საბრძოლო დროშის ქვეშ არ დაერაზმა ყველა ერის მშრომელი მასები, რომ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულ მასებს ერთნაირი თავგანწირვით არ ეწარმოებინათ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისთანავე პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს უდიდესი სოციალური გარდაქმნები. გამოიცა დეკრეტები ბურჟუაზიულ-მემამულეური საკუთრების საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებად გადაქცევის, ეროვნული ჩაგვრის მოსპობისა და ერთა შორის თანასწორუფლებიანობის დამყარებისა და სხვათა შესახებ.

პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის ფართო მასებმა გააჩაღეს თავდადებული პრაქტიკული მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ლენინური გეგმა გამიზნული იყო ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სტატიაში „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებული სიცხადით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ჩვენ რუსეთი ხელიდან გამოვგლიჯეთ ექსპლოატატორებს მშრომელებისათვის, ჩვენ ექსპლოატატორები დავთრგუნეთ — ჩვენ უნდა ვისწავლოთ რუსეთის მართვა. „ჩვენ ყველი საშუალებით ვეცდებით უფრო მჭიდრო კავშირი გავაბათ პოლიტიკაში გამოუცდელ მშრომელ მასასთან. გულმოდგინედ ჩავაბამთ საბჭოთა მუშაობაში ჩავაბამთ უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მუშაობაში ასობით და ასობით უპარტიოებს, მასიდან, უბრალო მუშებიდან და გლეხებიდან გამოსულებს.. საჭიროა მუშათა და გლეხთა მასების მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 460-461).

კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა მშრომელი ხალხი. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა პარტიას ყოველთვის თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე პარტია ხალხის მთელ ძალებს წარმართავდა სოციალისტური მშენებლობის გზით. პარტიის ხელმძღვანელობით ხალხი დიდი მონდომებით იბრძოდა .ძველი ურთიერთობის ახალი ურთიერთობით შეცვლის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობის შემდეგ — წერდა ლენინი, — მხოლოდ პირველად იწმინდება ნიადაგი სოციალიზმის ნამდვილი მშენებლობისათვის, ახალი საზოგადოებრივი კავშირ-ურთიერთობის შემუშავებისათვის, საერთო შრომის ახალი დისციპლინისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის. მაგრამ ახალი ურთიერთობის განვითარების გზაზე დიდ დამაბრკოლებელ, ხელის შემშლელ მოვლენას წარმოადგენდა ომი. ომს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ეწეოდნენ გერმანელი იმპერიალისტები,

საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესები, ხალხის სასიცოცხლო ინტერესები დაჟინებით მოითხოვდნენ მშვიდობას. ხალხს უნდა მისცემოდა შესვენების შესაძლებლობა. ომი დიდ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ქვეყანას, საბჭოთა ხალხს. ლენინი მძიმე საფრთხიდან გამოსავალს ხედავდა მხოლოდ ზავში. ზავი მას მიაჩნდა შესვენების, ძალთა შემოკრებისა და ახალი ბრძოლის გაშლის საუკეთესო საშუალებად. მაგრამ პარტიაში აღმოჩნდნენ მისი მოწინააღმდეგენიც, რომლებიც აფერხებდნენ გერმანიასთან ზავის დადების საქმეს. რაც უფრო დაჟინებით მოითხოვდა ლენინი ზავის დადებას, მით უფრო ცილისმწამებლურ ხმებს ავრცელებდნენ პარტიისა და ხალხის მტრები ლენინის წინააღმდეგ. ომი ჭიანურდებოდა, ამით სარგებლობდნენ გერმანელები, ისინი წინ მოიწევდნენ და ზედიზედ იპყრობდნენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს. ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა ყოველთვის მომენტის სწორად შეფასებით ვლინდებოდა. მან სწორად შეაფასა მაშინდელი ვითარება და იკისრა პასუხისმგებლობა ხალხის ბედის გადაწყვეტაში. იგი ტელეფონით დაუკავშირდა მთავარსარდალს, გადასცა სახკომსაბჭოს დადგენილება ზავის შესახებ და უბრძანა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება და დაეწყო მოლაპარაკება ზავზე გერმანელებთან, მაგრამ მაშინდელმა მთავარსარდალმა კატეგორიული უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე. „უაღრესად მძიმე წუთი იყო — წერდა სტალინი. მავთულთან მცირე პაუზის შემდეგ ლენინს რაღაც არაჩვეულებრივი შუქით გაუბრწყინდა სახე... წავიდეთ რადიოსადგურზე, ის სასარგებლო სამსახურს გაგვიწევს — თქვა ლენინმა“. ლენინმა რადიოთი გადააყენა თანამდებობიდან მთავარსარდალი და მოწოდებით მიმართა ჯარისკაცებს შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, დაკავშირებოდნენ ავსტრიელ და გერმანელ ჯარისკაცებს და თავის საკუთარ ხელში აეღოთ ზავის საქმე. ლენინს ჰქონდა ხალხისადმი, მასებისადმი რწმენა. მან იცოდა, რომ ჯარისკაცებს ზავი სწყუროდათ და მოიპოვებდნენ ზავს. ზავის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა პარტიის VII ყრილობაზე 1918 წლის მარტში. ზავის დადებამ პარტიასა და ხალხს შესაძლებლობა მისცა მოეგო დრო საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და სოციალიზმის მშენებლობის გეგმის განსახორციელებლად. მაგრამ პარტიისა და ხალხის ენერგიული ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის განვითარებისათვის მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში ხორციელდებოდა. კაპიტალისტური გარემოცვა ცდილობდა ხელი შეეშალა საბჭოთა ხალხისათვის. იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობა და მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია საბჭოთა ხელისუფლების მტრები უცხოეთის ინტერვენტები და რუსეთის კონტრრევოლუციური ძალები გაერთიანდნენ და შეერთებული ძალებით დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი საქმიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა. შეწყდა მშვიდობა და დაიწყო ომი. უცხოეთის ინტერვენციამ და რუსეთის შინაურმა კონტრრევოლუციამ საბჭოთა ქვეყანას თავს მოახვიეს ორწლიანი სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომი, რუსეთის მუშებისა და გლეხების ომი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ უაღრესად მძიმე პირობებში წარმოებდა. ომის პერიოდში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 14 ქვეყანა იბრძოდა. საბჭოთა ხალხი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. გვაკლდა პური. შიმშილი სტანჯავდა ხალხს. მაგრამ ხალხი გულს არ იტეხდა, გულს არ იტეხდა პარტია. პარტიამ ფეხზე დააყენა ხალხის ფართო მასები მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა უმაგალითო სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინა მტრებთან ბრძოლაში. პირისპირ ბრძოლაში სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფოები საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში ზედიზედ მარცხდებოდნენ და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც. კაპიტალისტური სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩერჩილი ომში ინტერვენტების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ მისი ვარაუდი გააცამტვერა ცხოვრებამ. საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლების შედეგად მოპოვებული გამარჯვებისა და ინტერვენტთა დამარცხების მიზეზად ლენინს ჩვენი პოლიტიკის სისწორე მიაჩნდა: ლენინი წერდა: „ჩერჩილი იკვეხნიდა, რომ 14 სახელმწიფოს გამოვიყვან რუსეთის წინააღმდეგო — ეს იყო 1919 წელს — და რომ სექტემბერში აღებული იქნება პეტროგრადი, ხოლო დეკემბერში — მოსკოვიო. ცოტა არ იყოს, მეტისმეტი ტრაბახი გამოუვიდა... ის გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ჩერჩილის მიერ ჩვენ წინააღმდეგ მოწყობილ შემოტევაში, ცხადყოფს, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორია.“ (ვ. ი. ლენინი ტ.30, გვ. 466—470).

იმის გამო, რომ პარტია სწორად განსაზღვრავდა ხალხის ფართო მასების ყველაზე გადაუდებელ, ყველაზე საარსებო და ყველაზე საჭირბოროტო ამოცანებს, შესაძლებელი გახდა ხალხის გაერთიანება პარტიასთან. პარტიისა და ხალხის ერთიანობა აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც უზრუნველყო ომში საბჭოთა რუსეთის გამარჯვება. საბჭოთა ხალხი შეაერთა და უძლეველ ძალად აქცია პარტიის ბრძნულ-

მაპოლიტიკამ. ლენინი ბოლშევიკებს ყოველთვის მიუთითებდა, რომ მთავარი ყურადღება მიექციათ ხალხის ფართო მასების დარაზმვისა და შეკავშირების საქმისათვის. მასები უძლურნი არიან, თუ ისინი დაქსაქსული არიან, ისინი ძლიერნი არიან, თუ დარაზმული არიანო — წერდა ლენინი. პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ლენინს მიაჩნდა ხალხის დარაზმვა. ლენინი წერდა: „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“. (ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 398).

სამოქალაქო ომში გამარჯვება გაპირობებული იყო პარტიისა და ხალხის ერთიანობით. პარტიის IX ყრილობაზე ლენინი განსაკუთრებული სიცხადით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ პარტია ფხიზლად იდგა სადარაჯოზე, რომ იგი უაღრესად მკაცრად იყო დისციპლინირებული, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთიანებდა მასას, როგორც ერთი კაცი მიჰყვებოდნენ მას ასეულნი, ათასეულნი და საბოლოო ანგარიშით მილიონები და მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგონარი მსხვერპლი იქნა გაღებული, —მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, რომელიც მოხდა, „მხოლოდ ამიტომაა, რომ მიუხედავად ანტანტის იმპერიალისტებისა და მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების ორგზის, სამგზის და ოთხგზის გამოლაშქრებისა, შევძელით გაგვემარჯვა.“ (ვ. ი ლენინი ტ; 30; გვ; 539);

სამოქალაქო ომში გამარჯვებამ კაცობრიობას ნათლად დაანახვა საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. უჩვენა კაცობრიობას კომუნისტური პარტიის ძალა და ავტორიტეტი ხალხის ფართო მასებში. ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ შთაუნერგა რწმენა მშრომელ მასებს მთელ მსოფლიოში, რომ კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით ექსპლოატირებულ მასებს დარჩებათ გამარჯვება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში, რადგან მათ მხარეზეა ცხოვრება, მათ მხარეზეა რიცხვის ძალა, მათ მხარეზეა, სიმართლე. გამარჯვების მიუხედავად ომმა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაინგრა სახალხო მეურნეობა. შიმშილი მძვინვარებდა ქალაქად და სოფლად. იგი სტანჯავდა ხალხს, განსაკუთრებით მუშათა კლასს. ითვალისწინებდა რა კონკრეტულ ვითარებას, ლენინი პარტიისა და მთავრობის ყურადღებას ამახვილებდა შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და ამბობდა. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა გადავარჩინოთ მუშათა ფიზიკური არსებობა, უნდა მივცეთ მათ პური.

მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის მიზნით, სოციალიზმის გამარჯვების მიზნით ლენინმა შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც ცნობილია ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახელწოდებით. ამ პოლიტიკის მიხედვით პარტიისა და ხალხის წინაშე პირველ რიგში სამეურნეო მშენებლობის საკითხები იდგა. თუ ჩვენ თავს გავართმევთ სამეურნეო სიძნელეებს და ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით უსათუოდ გავიმარჯვებთო — წერდა ლენინი. ლენინი განუმარტავდა პარტიასა და ხალხს, რომ სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე გამარჯვება გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე სამხედრო ფრონტზე. „აქ რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა უფრო მეტი გამძლეობა, მეტი მოთმინება, მეტი დაჟინება, მეტი შეუპოვრობა, მეტი სისტემატურობა შრომაში, მეტი ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ოსტატობა დიდი მასშტაბით“ (ვ. ი. ლენინი ტ. 30, გვ. 489);

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, მუშათა და გლეხთა მასებმა შრომის ფრონტზე უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს და მოკლე ხნის განმავლობაში შეძლეს დანგრეული მეურნეობის აღდგენა და ომის წინადროინდელი დონისადმი გათანაბრება. მაგრამ ომის წინადროინდელი დონე ხომ ლატაკური დონე იყო. ხალხმა იმიტომ კი არ მოახდინა რევოლუცია რომ ლატაკურად ეცხოვრა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იმიტომ დაამსხვრია კაპიტალიზმის ბორკილები, რომ ხალხისათვის მიეცა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ შეექმნა ცხოვრების უკეთესი პირობები. ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა მთელი რიგი რევოლუციური გარდაქმნების გატარებას. პარტიამ დარაზმა ხალხი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური პოლიტიკის განსახორციელებლად. ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად შესაძლებელი გახდა სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, რაც კანონმდებლობით განამტკიცა საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობაზე მიღებულმა კონსტიტუციამ.

იმ დიდი რევოლუციური გარდაქმნების გამო, რაც საბჭოთა კავშირში განხორციელდა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასები, უმუშევრობა და სიღატაკე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა კლასის, გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრების პირობები, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ

სჩვევია ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი შეუდგა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანის განხორციელებას, მაგრამ იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებდა თავის დიად იდეალებს, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გეგმებს, საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმა მოახდინა ფაშისტურმა გერმანიამ. ომის გამო, რომელიც ჩვენს ხალხს თავს მოახვიეს გერმანელმა ოკუპანტებმა, შეწყდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომითი საქმიანობა და საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის წლებში იყო კომუნისტური პარტია. სამამულო ომის წლებში კომუნისტური პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

კომუნისტური პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი და წარმართა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. ომის განმავლობაში, როგორც სტალინი აღნიშნავდა, პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ფართო მასებს. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი მძლავრი და ავტორიტეტიანი პარტია, როგორიც არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარებით საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურღვევ ბანაკად. მაგრამ მოულოდნელი თავდასხმისა და ჭარბი ძალების მოძალების გამო წითელი არმია იძულებული გახდა უკან დაეხია და მტრის განკარგულებაში დაეტოვებინა მთელი რიგი ქალაქები და სოფლები. 1941 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყანა სასიკვდილო საფრთხეში იმყოფებოდა. მტერი დედაქალაქს მოადგა. ხმელეთიდან ალყა შემოარტყა ლენინგრადს. ომის დასაწყისში ჩვენ გვქონდა დიდად დაძაბული დღეები. უდიდეს საფრთხეზე ისიც მეტყველებდა, რომ მთავრობა კუიბიშევში გადავიდა. იმ მძიმე საბედისწერო მომენტში, როცა გერმანელი ფაშისტები დედაქალაქს მოადგნენ და მოსკოვს ბომბავდნენ, საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ. რას იზამს მოსკოვი? გაუძლებს, თუ დაეცემა? რას იზამს უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი? დატოვებს მოსკოვს, თუ დარჩება მოსკოვში. ეს საკითხი აინტერესებდა ყველას, დიდსა და პატარას. უსაზღვრო დანაშაულს ჩაიდენენ პარტიისა და ხალხის ბელადები, — ამბობდა ლენინი, — თუ ხელიდან გაუშვებდნენ მომენტს, როცა იციან, რომ მათზეა დამოკიდებული ხალხის ხსნა. სტალინმა კარგად იცოდა ეს. მან გამოიჩინა ნებისყოფის უმაგალითო სიმტკიცე, დარჩა მოსკოვში და სიტყვით გამოვიდა პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს. პარადზე გამოსვლა დიდი რისკის გაწევა იყო. მაგრამ სტალინს არ ეშინოდა რისკის, ვინაიდან მან იცოდა, რომ პარადის ჩატარება აუცილებელი იყო, რომ იგი უდიდეს გავლენას მოახდენდა არა მარტო წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის მორალურ განწყობილებაზე, არამედ ომის მთელ მსვლელობაზედაც. ასეც მოხდა. წითელი არმია აქტიური თავდაცვითი ბრძოლებიდან შეტევაზე გადავიდა. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი მტრებზე სრული გამარჯვებით დამთავრდა. სამამულო ომის ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ლენინის შეხედულების სისწორე იმის შესახებ, რომ „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“. (ვ. ი. ლენინი ტ. 29, გვ. 370).

საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ომში გამარჯვება განაპირობა პარტიისა და ხალხის მონოლითურმა ერთიანობამ, ხალხთა მეგობრობამ, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის საბჭოთა ადამიანების მასობრივმა გმირობამ ფრონტზე და ზურგში. მაგრამ სამამულო ომის მიზანი მარტო ის კი არ იყო, რომ დაეცვა ჩვენი ქვეყანა და ოქტომბრის მონაპოვარი, არამედ ისიც, რომ დახმარებოდა ევროპის ხალხებს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში. საბჭოთა ხალხი და წითელი არმია ერთგულნი დარჩნენ ინტერნაციონალური მოვალეობისა, ისინი დაეხმარნენ დამონებულ ხალხებს ფაფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში.

ომის წლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის შეუერთდა ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებისათვის. ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგად სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ევროპის, აზიისა, და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მშრომელმა მასებმა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში თავი გაითავისუფლეს იმპერიალისტთა ბატონობისაგან. სამუდამოდ დაიმსხვრა იმპერიალიზმის მიერ შექმნილი კოლონიური ჩაგვრის სისტემა. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნები, რომელთა შორის მთავარია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ეხლა, საბჭოთა კავშირი მიდის კომუნიზმის მშენებლობის გზით. პარტიისა და ხალხის უმაღლესი მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება. მხოლოდ კომუნიზმი ამკვიდრებს ამ ქვეყნად ყველა ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას. ამ ამოცანიდან გამოდიოდა სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა.

კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო სკკპ XXIV ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის მკაფიო პოლიტიკური ხაზი და დასახა კონკრეტული ამოცანები პარტიისა და ხალხის წინაშე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ენერგიული მუშაობა გააჩაღა პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. ახასიათებდა რა ყრილობის შემდეგ ორი წლის განმავლობაში კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ჩვენ, კომუნისტები, მოუსვენარი ხალხი ვართ. ჩვენ გვინდა რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი ბედნიერებისათვის — და გავაკეთოთ რაც შეიძლება მალე. როგორც ჩანს, ეს არის ჩვენი პარტიის ერთ-ერთი თავისებურება.

მისი მეორე თავისებურება ის არის, რომ პარტია არა მარტო თვითონ იბრძვის ხალხის ინტერესებისათვის, არამედ შეუძლია კიდეც ამ ბრძოლისათვის დარაზმოს, გაიყოლიოს მშრომელთა უაღრესად ფართო მასები და ხალხი პარტიას უპასუხებს მაღალი აქტივობით, მასობრივი შრომითი გმირობით“. (ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. გვ. 58).

კომუნიზმის მშენებლობაში პარტია გამოდის როგორც ხალხის ფართო მასების დამრაზმავი და წარმმართავი ძალა. იგი შთააგონებს თვითეულ მოქალაქეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მარქსისტულ-ლენინურ იდეას, შთააგონებს თვითეულ მუშაკს, რომ იყოს კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებელი, რომ ყოველი შრომისუნარიანი ადამიანი ცდილობდეს მისცეს ჩვენს საერთო საქმეს იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც საერთოდ შეუძლია მას თავისი პირადი თვისებების მიხედვით, რაც უფრო მაღალია ხალხის ფართო მასების პოლიტიკური მომზადების დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია მუშაობა ყველა დარგში.

ვ. ი. ლენინს ხალხის მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა მიაჩნდა სახელმწიფოს ძლიერების წყაროდ. აი რას წერდა ის ამის შესახებ: „ჩვენი წარმოდგენით სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან.“ (ვ. ი. ლენინი ტ. 26, გვ. 297).

კომუნიზმის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია. კომუნიზმის აშენებას დიდი დრო დასჭირდება. ერთი შეტევით ამ დიდი საკაცობრიო საქმის გაკეთება არ შეიძლება. კომუნიზმი უნდა აშენდეს საწარმოო ძალთა მძაფრი ზრდის ბაზაზე, ქვეყნის სრული ელექტროფიკაციის ბაზაზე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა, პროდუქტების სიუხვისა და ხალხის მაღალი შეგნების ბაზაზე. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს ავტომატიზებული ტექნიკის დანერგვასა და სრულქმნას. ავტომატიზაცია და მექანიზაცია ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და წარმოების მუშაკებს ათავისუფლებს მძიმე ფიზიკური შრომისაგან. იგი კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს აძლევს წარმოებისაგან თავისუფალი დროის დიდ რაოდენობას, რაც ხელს უწყობს ხალხის ფართო მასების შეგნებულობის ამაღლებას და ახალი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებას. მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებას. კომუნიზმის მშენებლობის პროცესში პარტიის ზემოქმედებით ადამიანები ეჩვევიან საზოგადოებრივ, მოვალეობათა შესრულებას, პირადი ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარებას. კომუნიზმის დროს ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის შრომა საყოველთაო მოვლენად იქცევა. საჭიროა ვიცოდეთ, რომ სანამ ყოველი მოქალაქე ამ სულისკვეთებით განიმსჭვალებოდეს, კიდევ დიდი მანძილია გასასვლელი, ვინაიდან ადამიანთა ფსიქოლოგიური გარდაქმნა გაცილებით ნელა ხდება, ვიდრე მათი ცხოვრების მატერიალური საფუძვლების გარდაქმნა. სამწუხაროდ საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ცალკეულ ადამიანთა შეგნება თავისი განვი-

თარებით ჩამორჩება მათს ეკონომიურ მდგომარეობას, ჯერ კიდევ ჩვენს სინამდვილეში არცთუ იშვიათად თავს იჩენენ წარსულის ისეთი გადმონაშთები ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, როგორიც არის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომისადმი; მოშვებულობა, უდისციპლინობა, მომხვეჭელობა, მექრთამეობა და სხვა. ამიტომ თანამედროვე პირობებსა და ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას. კომუნიზმის მშენებლობაში წარმატებებისათვის მთავარია ხალხის ფართო მასების პოლიტიკური აქტივობა, მაღალი შეგნებულობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვა. მთავარია იმის შეგნება, რომ ყველა ენერგიულად და პატიოსნად შრომობდეს საყოველთაო-სახალხო საქმის კეთებაზე. ლენინს მასების პოლიტიკური აქტივობა ჩვენი წინსვლისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნდა: „მასას უნდა ჰქონდეს თავისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელების არჩევის უფლება. მასას უნდა ჰქონდეს მათი შეცვლის უფლება. მასას უნდა ჰქონდეს უფლება იცოდეს და შეამოწმოს მათი მოღვაწეობის ყოველი, თვით უმცირესი ნაბიჯიც კი". (ვ. ი. ლენინი ტ. 27, გვ. 245).

ყველგან, სადაც კი პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელი მუშაკები შეასუსტებენ კავშირს ხალხთან, სადაც მოადუნებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს და ყურს არ უგდებენ მასების ხმას, გასაქანი ეძლევა უდისციპლინობას და წარსულის გადმონაშთების გამოვლინებას.

იმის გამო, რომ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა მოწყვეტილი იყო მასებისაგან, არ ესმოდა ხალხის მაჯისცემა, საქართველოში ფართო გასაქანი მიეცა მომხვეჭელობის, მექრთამეობისა და სხვა ამგვარ მოვლენებს. წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად პარტია და ხალხი ფეხზე დააყენა საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ. გაჯანსაღების პროცესი, რომელიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, დიდ სტიმულს აძლევს პატიოსან ადამიანებს თავიანთ შემოქმედებით შრომაში და კომუნიზმის მშენებლობის გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებაში.

იმისათვის, რომ ვაშენოთ და ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება, საჭიროა მშვიდობა. იმ უამრავ პრობლემათა შორის, რომლებიც თანამედროვე კაცობრიობის ყურადღების ცენტრში დგას, არის მშვიდობის პრობლემა, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა. დღეს ვერსად, ჩვენი პლანეტის ვერც ერთ კუთხეში ვერ ნახავთ საღად მოაზროვნე ადამიანს, ამ საკითხით რომ არ იყოს დაინტერესებული. მშრომელთა ფართო მასები ყოველთვის შენატროდნენ ისეთ დროს, როცა ძალმომრეობისა და შიშის გარეშე, უომრად, მშვიდობის პირობებში იცხოვრებდნენ. მაგრამ მათი სანუკვარი ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ არ არსებობდა ისეთი ორგანიზებული ძალა, რომელიც წინააღუდგებოდა დამპყრობლებს, ალაგმავდა მათ და საშუალებას მისცემდა ხალხებს ეცხოვრათ უშფოთველად, მშვიდობის ვითარებაში. განვლო დრომ და შეიცვალა მდგომარეობა. ახლა საბჭოთა კავშირი, მოძმე სოციალისტური ქვეყნები და მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები წარმოადგენენ ისეთ ძალას, რომელნიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო მდგომარეობაზე და უზრუნველყოფენ მშვიდობას და სოციალურ პროგრესს მთელ მსოფლიოში. მოვლენები ვითარდება და ძალთა თანაფარდობა იცვლება. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო იზრდება და ძლიერდება მშვიდობის მომხრეთა რიცხვი. ომის გამჩაღებელთა რიცხვი კი მცირდება და სუსტდება. ამის მკაფიო მაგალითია ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვება. პარიზში 1973 წლის 27 იანვარს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკისა და მისი მოკავშირე ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაყვანა მოწმობს მშვიდობისმოყვარე ძალების უძლეველობას. ეს დიდი, ისტორიული გამარჯვება განაპირობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის ვიეტნამელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მძლავრმა მორალურმა და მატერიალურმა მხარდაჭერამ და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების სოლიდარობამ — ვიეტნამელი ხალხისადმი.

იყო დრო, როდესაც ომის გამჩაღებლები ამარცხებდნენ სუსტებს და ხელს ითბობდნენ მათ ხარჯზე. მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაბარდა. მეოცე საუკუნის ისტორია მკაფიოდ მოწმობს იმ ჭეშმარიტებას, რომ ომისაგან უფრო დაზარალებულნი და დამარცხებულნი გამოდიან აგრესორები, ომის გამჩაღებელი ქვეყნები. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მთელი მსოფლიოს ერთა და ხალხთა შეგნებაში სულ უფრო ღრმად იჭრება თანასწორობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მარქსისტულ-ლენინური იდეები. ხალხის ფართო მასები სულ უფრო და უფრო იმსჭვალებიან იმპერიალისტებისადმი, აგრესორებისადმი სი-

ძულვილის სულისკვეთებით და იზრდება საბჭოთა კავშირის მომხრეთა რიცხვი, მცირდება და სუსტდება იმპერიალისტთა ბანაკი. ახასიათებდა რა საერთაშორისო მდგომარეობას, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წლის აპრილში წერდა: „ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მომხრეთა და მეგობართა რიცხვი ყოველ წელიწადს და ყოველ თვესაც კი თვითეული კაპიტალისტური ქვეყნის შიგნით იზრდება 10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ, და უნდა ითქვას, რომ მეგობრები და მოკავშირეები უფრო მეტი გვყავს, ვიდრე ეს ჩვენ ვიცით!“ (ვ. ი. ლენინი ტ. 30, გვ. 592).

ამას წერდა ლენინი მაშინ, როცა საბჭოთა ქვეყანა მარტოდ-მარტო იყო, რა უნდა ვთქვათ ახლა, როცა საბჭოთა კავშირთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები და მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები. ახლა პროგრესული ძალები უძლეველ ძალას წარმოადგენენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოხსნილია ომის საფრთხე. ომის საფრთხე არსებობს და იარსებებს სანამ არსებობს იმპერიალიზმი. საბჭოთა კავშირი და მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ითვალისწინებენ რა იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიულ მისწრაფებებს, აძლიერებენ ქვეყნის თავდაცვით უნარიანობას, რათა დროულად ალაგმონ იმპერიალისტები და არ მისცენ იმის საშუალება, რომ ომის უფსკრულში გადაჩეხონ მშვიდობისმოყვარე ხალხები. ჩვენ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ არიან ქვეყნად ავანტიურისტები, რომლებსაც შეუძლიათ გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი, ომის გაჩაღებას დიდი ჭკუა და სიბრძნე არ სჭირდება. დიდი სიბრძნე და ჭეშმარიტი გმირობა ის არის, რომ შესძლო მშვიდობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება და ხალხთა ურთიერთობისა და მშვიდობის მყარ ნიადაგზე დაყენება არის შედეგი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა ამ პოლიტიკის გამარჯვებას მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. მას სწამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა უზრუნველყოფს მშვიდობას. საბჭოთა ხალხს შეგნებული აქვს, რომ კომუნიზმის აშენების ამოცანის განხორციელება ნიშნავს ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში წარმატებით სძლევს განვითარების გზაზე არსებულ სიძნელეებს, სულ უფრო და უფრო აფართოებს და ამრავლებს კავშირს მსოფლიოს მშრომელებთან და აჩქარებს კომუნიზმის გამარჯვებას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას მთელ მსოფლიოში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია. პარტია და ხალხი მტკიცედ დგანან მშვიდობის საქმის სადარაჯოზე და მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობისა და კომუნიზმის მშენებლობის მაგალითს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იოსებ ლორთქიფანიძე*

# გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში

1900 წლის 23 აგვისტოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობას განცხადებით მიმართა გ. ტაბიძის მეურვემ მღვდელმა თ. ნამიჭეიშვილმა, რომელიც ითხოვდა მომავალი პოეტის სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიღებას.[1]

სასწავლებელში გულდასმით განუხილავთ ეს განცხადება, ზუსტად უანგარიშიათ გალაკტიონის წლოვანება, განცხადებაზე ფანქრით აღუნიშნავთ — «8 лет, 9 месяцев, 20 дней». და დაუდვიათ რეზოლუცია ჩარიცხვის თაობაზე.

1900 წლის სექტემბრიდან გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პირველი მოსამზადებელი კლასის მოსწავლეა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი სამი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასისაგან შედგებოდა. სასწავლებელი მოთავსებული იყო არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის პირდაპირ.[2] ამ სასწავლებელში უმთავრესად სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ, იყვნენ მცირე რაოდენობით სხვა წოდებათა ყმაწვილები, მოწაფეთა უმრავლესობას სოფლიდან ჩამოსულნი შეადგენდნენ, მათ შორის იყო გალაკტიონიც.

„ქუთაისში ჩამოსვლის პირველ წლებში გალაკტიონი დიდად არ გამოირჩეოდა თავისი ამხანაგებისაგან — წერს სასწავლებლის იმდროინდელი მოსწავლე, შემდეგ კი თანაკლასელი გენადი მიხელიძე, — გარდა იმისა, რომ მას უყვარდა განმარტოებით დგომა, დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს მეგობრები, ბევრი არ ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავისი გულისნადების გამოაშკარავება, დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდად აწუხებსო. წუხილი კი, მართლაც, აწუხებდა — თავისი ობლობა, რასაც ის, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც ამჟღავნებდა."[1]

ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის გარდა, 1894 წლიდან 1904 წლის მარტამდე, არსებობდა სასულიერო სემინარია. სემინარია დაკომპლექტებული იყო შესაფერისი პედაგოგებით. როგორც საქმის წარმოებიდან ჩანს, სემინარიასა და სასწავლებელს, რომლებიც ერთ შენობაში იყვნენ მოთავსებული, საერთო კანცელარია ჰქონდათ, მასწავლებელთა პირადი საქმეებიც ერთად ინახებოდა. ოცდათვრამეტ მასწავლებელს შორის ქართველები იყვნენ: არკადი ბაკურაძე, არჩილ გიორგაძე, მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე), რაჟდენ ტოგონიძე, მიხეილ ფხალაძე, მელიტონ ჩოგოვაძე და ცქიტიშვილი.[2] შემდეგ ხანებში სასწავლებელში მოვიდნენ: ტრიფონ ჯაჯანიძე, მიტროფანე ფხაკაძე, თომა ერაძე, რაფ. ჩიხლაძე, მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე, ვიქტორ შარაძე,[3] პედაგოგიური შემადგენლობის უმრავლესობა ღვთისმეტყველების კანდიდატი იყო. დამთავრებული ჰქონდათ კიევის, მოსკოვისა და

---

[1] ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1717, ფურც. 86.

[2] ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია ქ. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა. უმართებულოა ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის შესასვლელთან გაკრული მემორიალური დაფის ცნობა, რომ თითქოს გ. ტაბიძე ამ სასწავლებელში აღზრდილი იყოს.

---

[1] გ. მიხელიძე, ცოტა რამ გალაკტიონზე, ჟურნ. „მნათობი", 1962, № 11, გვ. 175.

[2] ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმეები 516-553.

[3] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 440, 2096, ფურც. 4.

ყაზანის სასულიერო აკადემიები, იყვნენ სემინარიის (თბილისის) კურსდამთავრებულნიც. ყველა მათგანი სამოქალაქო ჩინის მატარებელი იყო.

გალაკტიონის კლასში 57 მოსწავლე ირიცხებოდა, კლასის დამრიგებლად ივ. გიორგაძე ჰყავდათ.[1]

აკადემიური მოსწრების მხრივ გალაკტიონი საშუალო მოსწავლედ ითვლებოდა. 1900/1901 სასწავლო წელს გალაკტიონს საგნებში ასეთი შეფასებები აქვს მიღებული:

„ღვთისმეტყველება — 2, 3, 3, 3, 3.
ქართული ენა — 3, 4, 3, 4.
არითმეტიკა — 2, 3, 3, 3.
რუსული ენა — 2, 3, 3, 3.[2]

ქუთაისში გალაკტიონი კერძო ბინაზე ცხოვრობდა, არქიელის გორაზე, ანდრო წერეთლის სახლში. შვილებს (აბესალომსა და გალაკტიონს) სხვა ბავშვებთან ერთად (ალექსანდრე ტაბიძე, ტიციანის დეიდაშვილები — გრიგოლ და ეზიკია კოხრეიძეები, ბოლოს ცოტა ხნით იქვე ცხოვრობდა ტიციანი) უვლიდა დედა. დედის მზრუნველობის წყალობით ბავშვები დამაკმაყოფილებლად სწავლობდნენ, რასაც მოწმობს საშინაო დავთარი. ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ, ყოველ მიზეზ გარეშე, მოსწავლეებს ბინებზე აკითხავდა „ნადზირატელი“ — გაკვეთილებიდან განთავისუფლებული მასწავლებელი, რომელსაც მოჰქონდა საკლასო ჟურნალიდან ამოწერილი ნიშნები და გადაჰქონდა საშინაო დავთარში.

„ნადზირატელი“ სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა მოსწავლეებს, ამოწმებდა მოსწავლეთა ცხოვრების პირობებს. ასე რომ, მშობელს სკოლაში მიუსვლელად შეეძლო გაეგო თავისი შვილის ყოფაქცევის შემოწმება.[1]

„მინდა კარგი სწავლით ჩემი დაჩაგრული დედა გავახარო“, ამბობდა თურმე გალაკტიონი[2] და ბეჯითად მეცადინეობდა. ჩაწერილი იყო ბიბლიოთეკაში, გამოჰქონდა იქიდან წიგნები და ხარბად კითხულობდა. მისი სასწავლებლის ამხანაგი იგონებს: „... გალაკტიონი ბევრ გარეშე წიგნს კითხულობდა. მას ძირითადად სასწავლებლის ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა წიგნები... ერთ დღეს მე და გალაკტიონი ერთად შევედით ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკას განაგებდა რუსული ენის მასწავლებელი პავლოვი, რომელმაც გალაკტიონს შემოსვლისთანავე მიახალა, რომ ეჭვი ეპარება, რომ გალაკტიონი ყველა წაღებულ წიგნს კითხულობს.

— ტაბიძე, მეეჭვება, რომ ეს წიგნი წაიკითხე, — უთხრა პავლოვმა გალაკტიონს.

— პატივცემულო მასწავლებელო, როგორ გეკადრებათ ამის თქმა, აბა წიგნს რისთვის წავიღებ შინ თუ არ წავიკითხავ?! — ცოტა აღელვებით უპასუხა გალაკტიონმა.

— მაშ, აბა მოკლედ გადმომეცი ამ წიგნის შინაარსი? — კვლავ დასვა კითხვა პავლოვმა.

— დიახ, მოგიყვებით, იყო გალაკტიონის პასუხი და დაიწყო მან წაკითხული წიგნის შინაარსის მოყოლა. ეს წიგნი იყო ნ. გოგოლის „ტარას ბულბა“. გალაკტიონმა მისი შინაარსი მოკლედ და სხარტად უამბო მასწავლებელს.

პავლოვი კმაყოფილი დარჩა გალაკტიონის ნაამბობით და მას კვლავ გაატანა ახალი წიგნი.“[3]

1902 წელს გალაკტიონის აკადემიური მოსწრება ასე გამოიყურება: ღვთისმეტყველება 3 რუსული ენა 3, ქართული ენა 3, არითმეტიკა 3.[4]

სოფელში, არდადეგებზე მყოფი გალაკტიონი ყვავილით გახდა ავად. „მამამ (იუსტინე ტაბიძემ — ი. ლ.) გამგზავნა რომანოზ ბახტაძის მოსაყვანად, — იგონებს სიმონ ტაბიძე, — მოვიყვანე... რომანოზმა გასინჯა ავადმყოფი, დაიჩოქა საწოლთან და ხმამაღლა წარმოთქვა:

— დაილოცოს შენი გზა და სავალი, უთუოდ დიდი ბატონები ბრძანდებიანო.

მაკრინეს ყვავილი არ ჰქონდა მოხდილი...

---

1 ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1764. გ. ტაბიძის თანაკლასელები ყოფილან: ს. აბულაძე, ვ. არევაძე, ლ. არევაძე, ნ. ასათიანი, ლ. ბაქრაძე, გ. ბარათაშვილი, ი. ბახტაძე, თ. ბოჭორიშვილი, კ. ბურჯანაძე, ნ. ვარდოსანიძე, ნ. ვეფხვაძე, გ. გიორგაძე, კ. გიორგაძე, ? დოლონაძე, ნ. ზამბახიძე, ნ. იაკობაშვილი, მ. კამკამიძე, გ. კახაია, ვ. კვირიკაძე, კ. კერესელიძე, ა. ლოსაბერიძე, ი. მაისურაძე, ქ. მაჩიტაძე, ვ. მახათაძე, ს. მაჭარაშვილი, ა. მესხი, გ. ნაფეტვარიძე, კ. ქორქოლიანი, თ. რამიშვილი ვ. რამიშვილი, დ. რიქშაძე, ს. სირბილაძე კ. სომხაძე, ვ. ტოგონიძე, შ. ტყემალაძე. ვ. უკლება, გ. ფხაკაძე, გ. ქველაძე, მ. ყიფშიძე, ვ. ყუბანეიშვილი, გ. ჩაჩხიანი, შ. ჩიქვილაძე, კ. ჩიჩუა, ე. ცერცვაძე, ტ. ცხადაძე, კ. წირქვაძე, (იხ. საქმე 1724).

2 ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1758, ფ. 6, 11, 41, 68, 77, 84.

---

1 ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1724. ფ. 9.

2 „პიონერი“ 1963 წ., № 8, გვ. 19.

3 ა. გორგაძე, ჩემი მოგონებანი გალაკტიონზე, გაზეთი „ახალი კოლხიდა“, 1964 წ., № 105.

4 ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1764, ფურც. 3.

საჭირო შეიქმნა ისეთი პირის მონახვა, რომელსაც მოხდილი ჰქონდა ყვავილი და იკისრებდა ავადმყოფის მოვლას. მონახეს ერთი ქალი და თვით რომანოზიც დათანხმდა... ორმოცი დღის განმავლობაში მარტო იწვა ავადმყოფი, სახე ნაპრალებით ჰქონდა დაფარული და ცხვირის ცალ მხარესაც ღრმა ორმოსავით ჰქონდა (მამამ შვილები იანეთში გაგვხიზნა). სარკეს არ აძლევდნენ, რომ ჩაეხედა. ყვავილმოხდილი გალაკტიონი ქუთაისს გაემგზავრა. გალაკტიონს სასიამოვნო მოგონებად დარჩა რომანოზის ჩონგური და მისი სიმღერები.. რომანოზი დარწმუნებული იყო, რომ ბატონებს სიმღერით ასიამოვნებდა, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას გალაკტიონი განიცდიდა... მან შეიყვარა ჩონგურის დაკვრა და თვითონაც კარგად უკრავდა. მოზრდილი გალაკტიონი, სემინარიელი პროკლე დედას დააჯენდნენ, ხელში ჩონგურს მისცემდნენ. დედა უკრავდა და სამივენი მღეროდნენ. მათი საყვარელი სიმღერები იყო: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული", „სამი ქალი თიელ თიბდა", „სერზე მიდის სამი მგელი".[1]

რუსეთის პირველი რევოლუციის მძლავრმა ტალღამ ქუთაისიც აამოძრავა. ქართველი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ჩვენი საუკუნის დამდეგს მტკიცედ ირაზმებოდა რევოლუციური მარქსიზმის ძლევამოსილი დროშის გარშემო. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი დიდ კლასობრივ ბრძოლაში ებმებოდნენ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. მგზნებარე რევოლუციონერები რაზმავდნენ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველი დიდი მასობრივი გამოსვლები 1904 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში მოეწყო. რუსეთის იმპერატორის მანიფესტმა (იაპონიასთან ომის გამო) დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქუთაისი მღელვარების ტალღამ მოიცვა. ქუთაისის ქუჩების მყუდროება პირველად მოსწავლეთა დიდმა დემონსტრაციამ დაარღვია. გამოსვლებამდე ადრე ქუთაისში მოსწავლეთა წრეები სწრაფად იზრდებოდა, მალე მოსწავლეთა წრეების საქმეების მოსაგვარებლად საქალაქო კომიტეტიც შედგა.

მოსწავლეთა საქალაქო კომიტეტის მითითებით მოსწავლეთა წრეები თითქმის ერთი გეგმით ემზადებოდნენ. მეცადინეობა წარმოებდა კვირაში ორჯერ შემდეგ საგნებში: პოლიტეკონომია, დიამატი, რუსეთის რევოლუციური წარსული და სხვა.

მოსწავლე-ახალგაზრდობაზე ძლიერ დიდ ზემოქმედებას ახდენდა ქუთაისის თეატრის რევოლუციური პათოსით გაჟღენთილი წარმოდგმები. თეატრის გავლენა ახალგაზრდობის აღზრდის მავნე წყაროდ იყო მიჩნეული. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავის საგანგებო განკარგულებებით მოითხოვდა სათანადო ღონისძიებების გატარებას მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით.[1]

მოსწავლეთა მღელვარებას წინ ვერაფერი აღუდგა. დიდ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ გიმნაზიის, რეალური და სასულიერო სასწავლებლის, ქალთა გიმნაზიისა და ეპარქიალური სასწავლებლის მოსწავლეები, ქუჩები სავსე იყო ახალგაზრდობით. დემონსტრანტებმა ქალაქის ცენტრში მოიყარეს თავი და აქედან რევოლუციური სიმღერებით და ლოზუნგების ძახილით გაემართნენ ბულვარის გასწვრივ. ქალაქის მოსახლეობისათვის ეს ძანამდე უჩვეულო სანახაობა მომავალი დიდი რევოლუციური და სოციალური გარდაქმნების დასაწყისი იყო.

1904 წლის 2 თებერვალს პირველი სამი კლასიდან 54 მოსწავლე თვითნებურად წასულა სასულიერო სასწავლებლის შენობიდან. თორმეტმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო ქუჩურ დემონსტრაციებში სობორის მოედანზე. „ისინი სხვა მოსწავლეებსაც აქეზებდნენ შეეწყვიტათ მეცადინეობა და შეერთებოდნენ დემონსტრანტებს", აღნიშნულია ერთ-ერთ პატაკში. ზოგი მოსწავლე აყოლია მათ მოწოდებას, ზოგი თავის სახლებში წასულა. პატაკიდან ნათლად ირკვევა, რომ უმცროსი კლასის მოსწავლეები არ იღებდნენ მონაწილეობას არეულობაში, თუმცა მათ შორის ყოფილან თანამგრძნობნიც.[2]

1904 წლის 23 თებერვალს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი საიდუმლო განკარგულებაში (№799) აფრთხილებდა სასწავლებლის უფროსებს მოსწავლეთა მოსალოდნელი მღელვარების განმეორებაზე და მოითხოვდა მისთვის ეცნობებინათ ყოველგვარი შემჩნეული წვრილმანი.[3]

გენერალ-გუბერნატორის განკარგულების საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი საიდუმლო მიწერილობაში (№ 580) სთხოვს ქუთაისის ყველა სასწავლებლის ხელმძღვანელს ჟანდარმერიის სამმართველოში გადააგზავნონ სია იმ მოწაფეებისა, რომლებიც გარიცხულნი არიან

---

1 აკად. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (ქვევით შემოკლებით სლმ) ს. ტაბიძის „მოგონებანი".

1 ქუთაისის ცსა, ფ. 7, საქმე 1832, ფ. 149.

2 ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 360, ფურც. 11.

3 იქვე, ფურც. 4.

არეულობებში მონაწილეობის გამო.[1] სასულიერო სემინარიიდან და სასწავლებლიდან ჟანდარმერიის სამმართველოს მიუღია სია იმ მოსწავლეებისა, რომლებიც გარიცხულნი იყვნენ სასწავლებლებიდან მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის და რომლებიც «Несомненно заключают в себя несомнительные признаки государственного преступления (იქვე, ფურც. 8). სიაში მოხსენებულნი არიან: ვანო ინწკირველი, დიმიტრი ჩხეიძე, ალექსანდრე ტყემალაძე, მალაქია ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, აკაკი (კოტე) ცინცაძე, დომენტი თევდორაძე, ვარლამ ბაქრაძე, ალექსანდრე ლანდია, აკაკი ჭეიშვილი, შალვა მოსიძე, ზურაბ ტრაპაიძე მათ საპროტესტო მიტინგი გამართეს, მოითხოვეს სასწავლებლიდან მონარქისტი მასწავლებლების განდევნა და სასწავლო პროგრამების შეცვლა.[2]

რუსეთის იმპერატორის ბრძანების (1904 წ. 23 მარტი) საფუძველზე სინოდის დადგენილებაში აღნიშნული იყო: «В виду существующего среди воспитанников Кутаисской духовной семинарии зловредного направления, выразившегося в конце минувшего года в появлении печатных воззваний о борьбе с властью от имени «Кутаисской семинарской социал-демократической группы» в текущем году в участии 2-го февраля, многих семинарских воспитанников в уличной противопровительственной демонстрации и в сочувствии других этому преступному движению и принимая во внимание, что в стенах нашей семинарии имело место грубое кощунство (წაბილწვა, შებღალვა, უპატიო მოპყრობა — ი. ლ.) над священными предметами... быть может преступною рукою некоторых из семинарских воспитанников, Святейший Синод определяет: 1) Ныне же крекратить учебные занятия в Кутаисской духовной семинарии до конца учебного года; 2) **Постановление Кутаисского духовного училища об увольнении 13 воспитанников, принимавших участие в противоправительственных демонстрациях, утвердить...»**[1].

წმინდა სინოდი მოუწოდებდა სასწავლებლის ხელმძღვანელობას შთაეგონებინათ მოსწავლეთათვის ხელისუფლებისადმი ერთგულება და სიყვარული.

იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ სასწავლებლის მმართველობას ურჩია: «...Вовсе воспретить ученикам училища бывать на бульваре в какое бы ни было время, и тех из воспитанников, которые будут себе позволять после сего бывать на бульваре, после третьего предупреждения, немедленно удалить из училища»[2].

გალაკტიონის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში ზემო აღნიშნული მოვლენების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი 1905 წლის რევოლუცია იყო.

ცხრა იანვარს პეტერბურგში მომხდარ ამბებს საქართველო და, კერძოდ, ქუთაისი დიდად გამოეხმაურა.

დადგა დრო რევოლუციური გამბედაობის გამოჩენისა. ქუთაისი დიდი ბრძოლების მოლოდინში იყო. ქალაქში ბარიკადები აღიმართა... გენერალ ალიხანოვის პლასტუნები თავისუფლად დათარეშობდნენ, შეუბრალებლად ქლეტდნენ მრავალჯერ ნაწამებ საქართველოს მშრომელებს, სწვავდნენ მათ სახლებს და კარმიდამოს. დასავლეთ საქართველოში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. ექვსი საათის შემდეგ ვისაც ქუჩაში ნახავდნენ, იქვე განუკითხავად უსწორდებოდნენ. ასეთი უბედურების მსხვერპლნი გახდნენ იცკა რიჟინაშვილი, იასონ ჩაჩუა, ვლ. შველიძე.

რევოლუცია ჩახშობილ იქნა, რეაქცია გამძვინვარდა, მაგრამ ხალხის ნება და იმედი არ ჩამქრალა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთა დიდ უმრავლესობას მოუმზადებელი ყმაწვილები შეადგენდნენ, 1905 წლის ამბებს, როგორც ამას თვითმხილველი აღნიშნავს, სტიქიურად მიყვებოდნენ, როგორც იტყვიან „ფეხის ხმას“ იყვნენ აყოლილნი. მათ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბუნდოვნად იყო ასახული მიმდინარე მოვლენების ისტორიული აზრი და არსი“.[3]

სასულიერო სასწავლებლის ცხოვრებაში მძაფრი ქარტეხილიანი წლების ყველაზე რევოლუციური აქტი იყო ზედამხედველ გრე-

---

[1] იქვე, ფურც. 5.

[2] აღნიშნული გამოსვლების აქტიური მონაწილისა და მისი ერთ-ერთი მეთაურის, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერისა და პარტიული მოღვაწის აკაკი (კოტე) ცინცაძის (1888–1937) „ჩემ მოგონებაში“ („რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., № 2, გვ. 101-113) დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ გამოსვლების ისტორია.

ქუთაისის, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლებს ეხებიან თავიანთ მოგონებებში“ გალაქტიონ ვაშაძე, სერაპიონ ლომიძე, და ბარონ ბიბინეიშვილი. („რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., № 3, 1925 წ., № 1).

---

[1] ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 613, ფ. 13. (დაყოფა ჩემია — ი. ლ.).

[2] იქვე, ფონდი 7, საქმე 1801, ფ. 104.

[3] გ. მიხელიძე, ცოტა რამ გალაკტიონზე. „მნათობი“, 1962 წ., № 11.

კოვის მკვლელობა (1906). ამ აქტმა „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გალაკტიონი ამ შემთხვევას — იგონებს გენადი მიხელიძე, — მცირე ლექსით გამოეხმაურა.[1] ვარლამ მახარობლიძის „მოგონებაში“ ეს ფაქტი მეტად „რევოლუციური აქტის“ იერის მატარებელია. მისი მტკიცებით არსებულა „მოსწავლეთა რევოლუციონური კომიტეტი“, რომელშიც ათამდე მოსწავლე შედიოდა: გალაკტიონი, აკაკი მარგიანი, მე, პროკოფი ფანჩულიძე, ლომიძე, ჩიქვინიძე, სიმონ მესხი და სხვები. „მოსწავლეთა რევოლუციონურმა კომიტეტმა“ სასწავლებლის ზედამხედველის (გრეკოვის — ი. ლ.) მოკვლა დაადგინ... მოსწავლეები ორჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ორმაგმა კარმა იპატივა გრეკოვი... ბოლოს დავიქირავეთ ტერორისტი... „ჟელეზნი“... მან ესროლა გრეკოვს, მაგრამ არა ზუსტად... გრეკოვი წაბარბაცდა და ჩაიკეცა...“[2] გრეკოვი მესამე დღეს გარდაიცვლა. ვ. მახარობლიძის მონაყოლით — გალ. ტაბიძე რევოლვერითაც ყოფილა შეიარაღებული და ამხანაგებს ამხნევებდა, თუ გვესროლეს — ჩვენც ვესროლოთო.“[3] ძველი ჟურნალისტი ილია ბახტაძე (1881-1960), რომელიც გალ. ტაბიძეს მოსწავლეობის დროიდან იცნობდა, გვარწმუნებს, რომ გალაკტიონი „ახლო იყო დაკავშირებული... რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.[4] რევოლუციურ წრეებთან სიახლოვეზე ლაპარაკობს ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონი, იგი წერს: „... რევოლუციურ წრეებთან... მეც ახლო ვიდექი... ეს რევოლუციური წრე იკრიბებოდა საღამოობით ჩვენს გვერდით, ნაცვლიშვილების სახლში, მდინარე რიონის პირად, მაღლობზე, სახლი გადასცქეროდა მთელს ქუთაისს ჩაფლულს მწვანეში“...[5] (თუმცა მისი თანაკლასელი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩვენ დროს არავითარი რევოლუციური წრე არ არსებობდაო“.[6]

რსდმპ ქუთაისის კომიტეტის მითითებით უმცროსი კლასელები, მეოთხე-მეხუთე კლასების ჩათვლით, არც მთლად შეგნებულად ითვლებოდნენ და მათი მიზიდვა ნაკლებად ხდებოდა, მთელი იმედი უფროს კლასელებზე იყო დამყარებული“.[1]

გალაკტიონ ტაბიძე კი სწორედ უმცროს კლასელთა რიგებში იყო და ამდენად მისი აქტიური მონაწილეობა დიდ მოვლენებში გამორიცხული უნდა იყოს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისის ამ დიდმა მოვლენებმა და ფაქტებმა, რომლებმაც ასე გარკვევით გამოხატეს უდიდესი ისტორიული პერიპეტიები თოთხმეტი წლის გალაკტიონის თვალწინ ჩაიარეს და შეუძლებელია მათ მომავალ პოეტზე თავისი კვალი არ დაემჩნიათ. დედის ქუთაისში ყოფნამ, მისმა ყოველწუთიერმა ყურადღებამ, განსაკუთრებით იმ მღელვარე დღეებში, ფრთები შეუკვეცა პატარა გალაკტიონის თავისუფალ ნავარდს და არ მისცა შესაძლებლობა გამოემჟღავნებინა თავისი გრძნობები.

გალაკტიონი წიგნის კითხვამ გაიტაცა. „იგი ძალზე ცოტა დროს ანდომებდა სავალდებულო საგნების სწავლას, გარდა ქართული ენისა, რომლის მიმართ საკმაო მუყაითობას იჩენდა, მეტ წილად იგი გართული იყო საერთოდ მხატვრული ლიტერატურით და კერძოდ პოეზიით.[2] გარეშე ლიტერატურის კითხვით გატაცებას იმდენად სერიოზული ხასიათი მიუღია, რომ ოჯახში შეშფოთებულან, ვაითუ გალაკტიონმა ამის გამო სავალდებულო საგნების სწავლებას გული არ დაუდოსო. „თუ კარგად, ჭკუიანად გოუძღვები შენს თავს, — წერდა უკვე სოფელში მყოფი მაკრინე გალაკტიონს, — თვარა შენ თვითონ გეზარალება, შვილო. ამ წელიწადნახევარს არი შენი საქმე, ისახელე თავი, დედა! ბიძაშენმა ასე თქვა, გაანებოს იმან სხვა ქაღალდების კითხვას თავიო, გაათავოს ოთხი კლასი და მერეც მეესწრება სხვა ქაღალდების კითხვასო. გაიგონე, შვილო, ჩვენი დარიგება... ჭკუით, არაფერი მეიწიო“.[3] დედის თხოვნას გალაკტიონმა საქმით უპასუხა, გულმოდგინედ შეუდგა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლას. „გალაკტიონი ძალიან კარგად მეცადინეობდა, ბევრ გარეშე წიგნებს კითხულობდა. ის ჩაწერილი იყო ქალაქის ბიბლიოთეკაში, — იგონებს სიმონ ტაბიძე ზემოთ მითითებულ „მოგონებებში“, — იქიდან გამოჰქონდა წიგნები... გალაკტიონს მე ვნახულობდი ყოველთვის წიგნით ხელში... ან გაკვეთილს კითხულობდა ან სხვა რომელიმე წიგნს. გაკვეთილის სწავლა უყვარდა სიარულით“. პატარა გა-

1 „მნათობი“, 1962 წ. № 11, გვ. 176.

2 ე. ყორყოლიანი. რევოლუცია და მოსწავლეები, ალმანახი „რიონი“, 1968 წ. გვ. 208.

3 იქვე.

4 ი. ბახტაძე, გ. ტაბიძე ქუთაისში და მისი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო აღწერაში. გაზ. „სტალინელი“ (ქუთაისი) 1960 წ. № 21.

5 სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021171-39: აგრეთვე, „სოფლის ცხოვრება“, 1963 წ., № 73.

6 „მნათობი“, 1962 წ., №11. გვ. 175.

1 ფუცუ დვებუაძე-ფულარია, მოგონებანი, სოხუმი, 1959, გვ. 55.

2 „მნათობი“, 1962 წ., № 11, გვ. 175

3 სსლმ, გ. ტაბიძის არქივი. 021371-111-2.

ლაკტიონი აწარმოებდა წაკითხული წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებების აღნუსხვას. ერთ იმდროინდელ რვეულში გალაკტიონს ჩაუწერია: „რა მშვენიერია ლამბერტის წიგნის ამიერიდან მე ვიცი: 1. როგორი იყო იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის შეხვედრა. 2. ვიცი ჩოგნით ბურთაობის წესები. 3. მისიონერების ბინა სამეგრელოში. 4. მეგრელების ნადირობა. 5. როგორი ყოფილა მეგრელი ქალი. 6. „მეგრელი მაღალი წრის ქალი“. ეს ჩანაწერი არქანჯელო ლამბერტის ალბომს შეეხება, რომელშიაც მოთავსებული შესანიშნავი სურათები მე-17 საუკუნის სამეგრელოს ყოფას გამოხატავს.

გალაკტიონის თანატოლები: ლილი ჯაფარიძე, ქეთევან და შალვა ხუნდაძეები, მარიამ ოკუჯავა, იპოლიტე ბახტაძე, ფილიპე შავგულიძე, ავთანდილ ნემსაძე და სხვები. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გალაკტიონის შესახებ თითქმის ერთსა და იმავეს აღნიშნავდნენ: საოცრად მოუსვენარი, მთრთოლვარე და ყველას გამკილავი გალაკტიონი, როცა თავის ლექსებს გვიკითხავდა ზედმიწევნით დინჯი, გარეგნულად დამშვიდებული და ნაზი იყო. ქეთევან ხუნდაძის დახასიათებით „გალაკტიონი ბუნებით მოძრავი. მოუსვენარი და სიჭაბუკეში საგრძნობლად მშფოთვარე იყო. ხშირად მთელ ქუთაისს მოივლიდა ხოლმე ფეხით. ავიდოდა გელათში, ინახულებდა მოწამეთას. აირბენდა მწვანე ყვავილას ქუჩას მდინარე წყალწითელამდე და დაღლილ-დაქანცული შევიდოდა ოთახში. მერე მიუჯდებოდა მაგიდას, წერდა ან გვიან ღამემდე კითხულობდა.“[1]

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებიდან გალაკტიონის ყველაზე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია ქართული ენის მასწავლებელს **მელიტონ არსენის ძე ჩოგოვაძეს** (1867-1910), რომელმაც 1895 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა კიევის სასულიერო აკადემიის სრული კურსი. წმინდა სინოდის ობერპროკურორის 1896 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით იგი დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის, სემინარიის დახურვის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად.[2] მ. ჩოგოვაძე თავისი საგნის, მაშასადამე, თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი პატრიოტი იყო და მოსწავლეებსაც ამ სულისკვეთებას უნერგავდა. მელიტონ ჩოგოვაძე დაჯილდოებული იყო პედაგოგის საუკეთესო თვისებებით, იგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ არ გამოპარვოდა სიახლე მეცნიერების საფუძვლების სწავლების საქმეში. მ. ჩოგოვაძის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. დიდმა აკაკიმ მ. ჩოგოვაძის დაკრძალვაზე თქვა, რომ მ. ჩოგოვაძე „იყო ღირსეული ადამიანი, თავდადებული ქართველი, ერთგული თავის ასპარეზზე და ჩუმი მოღვაწე, ამისთანა მოღვაწენი ხშირი არ არის ჩვენში!... გალ. ტაბიძის არქივში დაცულია მისი მოსწავლეობისდროინდელი რვეული, რომელშიც თემებია დაწერილი. ყოველი თემის ქვეშ ლამაზად, წითელი მელნით მიწერილია: „5 „მ. ჩოგოვაძე“.[2] გალაკტიონის თანაკლასელი (მესამე კლასიდან) იგონებს: „გალაკტიონი განსაკუთრებით კარგად წერდა თხზულებებს ქართულ და რუსულ ლიტერატურაში. მის ნაწერებს მასწავლებლები თომა ფერაძე და მელიტონ ჩოგოვაძე სანიმუშოდ გვიკითხავდნენ ხოლმე კლასში“.[3] მ. ჩოგოვაძემ გალ. ტაბიძის ლიტერატურული გემოვნების დახვეწა-ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

---

[1] ჟურნ. „ცისკარი“, 1962 წ., № 4. გვ. 126.

[2] ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 552.

უფროსი ძმის (აბესალომის) თბილისის სემინარიაში ჩარიცხვის შემდეგ (1905/6 სამ. წელი), დედამ გალაკტიონი ქუთაისში დატოვა და სოფელში დაბრუნდა. დედის ფიქრი განუყრელად გალკტიონთან იყო: „ფიქრებიდან განუშორებელო, საყვარელო შვილო, ჩემო გატო! პირველად ვისურვებ შენთვის ყოველივე კეთილს, რომ შენი დედა არ დატანჯულიყოს.

გატო, შვილო, შენ ნამეტანი იყავი ჩემთან მოჩვეული და მე შენთან. ეხლა მოშორებული წყავხარ და თუ ივარგებ უჩემოდ არა მგონია. რა ვქნა, დედა, ამ წრეულ არაფერი მოხერხდება, აქაობის მიტოვება არ გვარგია.

აბა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერე კარგი სწავლა. კარგი თვარა, გაჭირვებული რა არის. როცა მაგ კლასში მიგაბარე ინსპექტორმა მითხრა, თუ კაი ყოფაქცევასა და კაი სწავლას გვიჩვენებს, ჩვენგან დიდი ხელის წყობა ექნებაო.

ნუ იქ, დედაშვილობას, შენ საზიანოს, — ცელქობას ან სიზარმაცეს. ეს წერილი მალმალე წაიკითხე დ შენი დედის დარიგება არ დაგავიწყდეს“...[4] მეორე წერილში მზრუნველი დედა გულისტკივილით წერდა: ... ძალიან გულს მაკლია, რომ შენ ხელისწყობაზე გლალატობ უქონლობით. მარა აწი მე ვიცი. გატო, დედა, ძროხამ კაი ხბო მოიგო და ახლა ჩვენმა ოჯახმა წამოიწია... ბიძაშენმა გიჩივლა ჩემთან, ბევრ ქაღალდებსა და წიგნებს კითხულობსო და ეგზამენებს ჩამორჩებაო. ვერ დავიჯერებ,

---

[1] ჟურნ. „განათლება“, 1910 წ. № 3, გვ. 148.

[2] სსლმ. გ. ტაბიძის არქივი, დოკუმენტების საქაღალდე.

[3] ალ. გორგაძე, ჩემი მოგონება გალაკტიონზე, „ახალი კოლხიდა“. 1964 წ. № 105.

[4] „ცისკარი“, 1962 წ., № 4, გვ. 123.

დედა, შენს საზიანოს რასმეს იზამ და დედა-შენს დატანჯავ... შენ მოლოდინში ვარ, რომ მოხვალ კარგი საშარვლით გაგახარებ“.[1]

შვილი უპასუხოდ არ ტოვებდა დედის წერილებს. ერთ-ერთ საპასუხო წერილში იგი წერდა: „საყვარელო დედა! აბესალომს წერილი გაუგზავნე. როგორც შენ დამიბარე, მე ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გადავედი, მაგრამ შვიდ მანეთ ნახევარზე ნაკლებ არ დამაყენა. ფულს წინდაწინვე თხოულობს, მე ჯერჯერობით ოთხი მანეთი მივეცი, შენგან გამოტანებულ სამ მანეთს პროკლეს მოცემული მანეთი მივუმატე, კალოშებს ვერ ვყიდულობ. ხაზეიკის ფული, სამმანეთნახევარი რაც შეიძლება მალე გამომიგზავნე. შენი გალაკტიონი“.[2]

1904-1905 წლების მღელვარე დღეები ოდნავ მიწყნარებული იყო, რომ მოსწავლეთა მღელვარებამ კვლავ შეიპყრო ქუთაისი, კერძოდ, სასულიერო სასწავლებელი და განსაკუთრებით ის კლასი, რომელშიც გალაკტიონი ირიცხებოდა. III და IV კლასის მოსწავლეებს გაფიცვა გამოუცხადებიათ. საქართველოს ეგზარქოსის არქიეპისკოპოს ნიკონის მიწერილობაში იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდისადმი (1907 წ. 12 ნოემბერი) აღნიშნულია «Выяснена Правлением (ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის — ი. ლ.) причина забастовки учеников III и IV классов, послужившая к увольнению учеников сих классов, указаны виновники и прекращения занятия и закрытия III и IV классов, а также меры, принятые к возобновлению занятий в этих классах и предотвращению забастовки в будущем»[3].
(დამნაშავენი ყოფილან მოსწავლეები: სირბილაძე, გოგოძე, და ჰეიშვილი, რომლებიც გაურიცხავთ სასწავლებლიდან).[4]

მოსწავლეთა მღელვარებამ შეაშფოთა საგუბერნიო ქალაქის მმართველობა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გენერალ-მაიორ სლავოჩკინის 1908 წლის 8 თებერვლის (№ 1203) მიწერილობაში სასწავლებლების უფროსების ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა არეულობასა და უწესრიგობაზე, მათ დაევალათ: «...Иметь тщательный надзор за поведением учеников не только в стенах учебных заведений, каковой к прискорбию отсутствует, но и вне оных и на квартирах. Для сего классные наставники и учителя должны возможно чаще обходить квартиры всех учеников вверенных им классов и таким образом наблюдать за жизнью и поведением учащихся вне школы...»[1].
ენერგიულმა ზომებმა შედეგი გამოიღო, მოწაფეთა მღელვარებამ იკლო და მინელდა. რა როლი ეკუთვნოდა გალკტიონს ამ მღელვარებაში დაუდგენელი რჩება.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის IV კლასი გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადებას შეუდგა.

1908 წლის 3 მაისს დაიწყო გამოცდები, რომელიც 31 მაისს დამთავრდა.[2]

31 მაისს კურსდამთავრებულებს გააცნეს თბილისის სასულიერო სემინარიის 1908 წლის 16 მაისის მომართვა სემინარიაში მიღების წესების შესახებ. მომართვის გაცნობას ხელმოწერით ადასტურებს 34 კურსდამთავრებული, მათ შორის პირველია — გალაკტიონ ტაბიძე.[3]

34 კურსდამთავრებულიდან თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობამ რეკომენდაცია მისცა 26 მოსწავლეს,[4] მათ შორის ხუთს პირველი ხარისხით, ოცდაერთს — მეორე ხარისხით. აი ამ სიის ფრაგმენტი:

---

[1] იქვე, გვ. 124.
[2] „ქუთაისი“, 1963 წ., № 180.
[3] ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1832. ფ. 66.
[4] ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის საქმეები, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საბუთს ვერ მივაკვლიეთ. წერილობით მივმართეთ სასულიერო სასწავლებლის იმ კლასის ყოფილ მოსწავლეს, რომლის ჯგუფშიც გაფიცვა მომხდარა. საპასუხო წერილში გენადი მიხელიძე გვწერდა: „წერილში დასახელებული მოწაფეების გვარებიდან ჩემთვის ნაცნობია მხოლოდ სირბილაძის გვარი, რომელიც ჩვენ კლასში სწავლობდა, მაგრამ ცნობა მისი დათხოვნის შესახებ ჩემს მეხსიერებას არაფერი შემოუნახავს, რომელ გაფიცვაზეა ლაპარაკი. ამ სასწავლებლის მეთვალყურის პატაკში, ჩემთვის უცნობია“.

---

[1] ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1832. ფ. 74.
[2] საქართველოს ცსა, ფონდი 440, საქმე 2098, ფ. 36.
[3] ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1826. ფ. 54.
[4] იქვე, ფ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**РАЗРЯДНЫЙ СПИСОК**

Окончивших курс учения в Кутаисском духовном училище в 1907/8 учебном году:

Пе первому разряду

(დასახელებულია 5 მოსწავლე — ი. ლ.)

По второму разряду

| № | Ф. И. О. | Чей сын | Когда родился | На чьих средствах | Куда отправляется |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | Табидзе Галактион | Умершего причетника | 5 ноября 1891 г. | На Родительских | В семинарию |

Оценки: Закон Божий — 4, Русский язык — 4, Грузинский язык — 5».

ეს კი უფლებას აძლევდა გალ. ტაბიძეს უგამოცდოდ შესულიყო სემინარიაში.[1]

1908 წლის 18 ივნისს გალ. ტაბიძემ მიიღო სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა.[2]

დიდი აკაკის სავარდო და სამაისო ქუთაისმა გალაკტიონს ტკბილი ძუძუ აწოვა, პოეზიის ცვარი აპკურა. პოეზიის დიდ გზაზე აქ გადადგა მან პირველი ნაბიჯი. მრავალი მწველი ღამე გაუთენებია მომავალ პოეტს სტრიქონთან ჭიდილში. თავისი პოეტური ბუნებით გალაკტიონი გამოირჩეოდა მოსწავლეთა შორის, იგი ხშირად უკითხავდა კლასის ამხანაგებს თავის ლექსებს: „რამდენიმე წლის განმავლობაში, სასწავლებლის დამთავრებამდე, — იგონებს გენადი მიხელიძე, — დაახლოებულ ამხანაგებს გალაკტიონი ხშირად გვიკითხავდა ლექსებს.[3] ზოგჯერ იგი მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატურულ დილებში, რომლებიც მელიტონ ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით ეწყობოდა.[4] ჩვენამდე მოაღწია სასულიერო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში სწავლისდროინდელმა ლექსებმა: „საღამო“ და... *** (ჩუ, ძახილია... მხიარულობენ). პირველი დაწერილია 1908 წლის 3 მაისს, მეორე — იმავე ხანებში, რამდენადაც ავტოგრაფის verso გვაუწყებს IV კლასელ ამხანაგების გვარებს. ახალგაზრდა პოეტს მხიარულება არ იტაცებს, ის სულ სხვაგვარად შესცქერის ყველაფერს. იგი თხოვნით მიმართავს მუზას:

და შენც, ოჰ მუზავ, გთხოვ გევედრები,
არ გადაზღუდო შენი უფლება.

პოეტი ცდილობს მუზა თავის სულიერ მდგომარეობას დაუქვემდებაროს; პოეტს რაღაც დიდი ტკივილი აწუხებს, მას აგონდება „წარსული დრო, დრო „ძლიერების“, როდესაც:

ტალღას ტალღაზედ შეარწევდა
ბობოქრობითა
და შესძახებდა გრძნობით იგი
„გამარჯვებითა“.

ცხადია, დიდი რევოლუციის მგზნებარე დღეების შთაბეჭდილების ასახვასთან გვაქვს საქმე, რომლის დამარცხებამ ლექსის ავტორში მკვეთრად განსხვავებული გრძნობა დაბადა:

ახლა უძლური, უსიცოცხლო
ზღვა არ ბობოქრობს,
ზღვა აღარ დრტვინავს უწინდებურად,
ის ფიქრობს... ფიქრობს...[1]

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდიდან ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას, მის მართებულ ინტერპრეტაციას პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გალ. ტაბიძის საყოველთაოდ ცნობილ ლექსს — „პირველი მაისი“, რომელიც პირველად 1933 წელს გამოქვეყნდა, 1937 წელს წაემძღვარა ავტორის შენიშვნა: „ლექსი წაკითხული არალეგალურ საღამოზე 1908 წელს“ წერილში „გალაკტიონის ცხოვრება და შემოქმედება“ პოეტი თავის თავზე წერს: „1905 წელს გალაკტიონი მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა არალეგალურ შეკრებებში, რომლებიც იმართებოდა ძველი ციხის ნანგრევებში. იქ კითხულობს ლექსს „პირველი მაისი“[2] (ავტორის შენიშვნაში წაკითხვის თარიღად 1908 წელია მითითებული). ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნებული გ. მიხელიძის მოგონებაში აღნიშნულია,

---

[1] ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1826, ფ. 52.

[2] იქვე, ფ. 62, ესაა მოწმობის დუბლიკატი.

[3] გ. მიხელიძე. ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე. „მნათობი“, 1962 წ., № 11. გვ. 175.

[4] ალ. გორგაძე, ჩემი მოგონება გალაკტიონზე. გაზ. „ახალი კოლხიდა“, 1964 წ., № 105.

[1] გ. ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად. ტ. 1. 1966 წ., გვ. 48, 49. ამ ლექსებით უნდა გახსნილიყო მისი თხზულებათა პირველი ტომი, მაგრამ სარედაქციო კოლეგიამ ეს რატომღაც მიზანშეუწონლად სცნო და პრიორიტეტი პირველ გამოქვეყნებულ ლექსებს მისცა.

[2] სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371-110.

„ბაგრატის ტაძრის გალავანშივე წაგვიკითხა მან (არ მახსოვს რომელი წლის ზაფხულზე) მისი ცნობილი ლექსი „პირველი მაისი"... ეს ლექსი, ჩემს გარდა, ოთხმა-ხუთმა მოსწავლემ მოისმინა და ძალიან მოგვეწონა. ჩვენს დროს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არავითარი არალეგალური რევოლუციური წრე არ არსებობდა... თუ იმჟამად სხვა რომელიმე რევოლუციონურ წრეში წაიკითხა გალაკტიონმა თავისი „პირველი მაისი", როგორც ამას ამტკიცებენ მისი მკვლევარები (ვინ? — ი. ლ.), ეს ჩემთვის უცნობია, მაგრამ ძალზე საეჭვოდ კი მიმაჩნია, რადგან გალაკტიონი საერთოდ ყოველგვარ წრეს გაურბოდა. ვერ ეგუებოდა ასეთებს".[1]

„პირველი მაისი", როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად გამოქვეყნდა, ყოველგვარი შენიშვნისა და თარიღის გარეშე, 1933 წელს ჟურნალ „მნათობში" (№ 5). ლექსის პირვანდელი ავტოგრაფი, რომელიც კარგად ასახავს პოეტის შემოქმედებითს პროცესს, დათარიღებულია 1933 წლის 26 აპრილით, ამასთანავე მასზე არის ასეთი მინაწერიც: „ექსპრომტი", ცხრაას რვა წლის ლექსებიდან; იბეჭდება ავტორის მიერ უმნიშვნელო ცვლილებებით".[2]

ფაქტის დასადასტურებლად ჩვენ შეკითხვით მივმართეთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზოგიერთ მოსწავლეს, რომლებიც გალაკტიონთან ერთად სწავლობდნენ (პროფ. ალ. გორგაძე, დ. შავგულიძე, გ. მიხელიძე და. სხვები). არც ერთმა ამხანაგმა აღნიშნული ფაქტის სასარგებლოდ, რომ გ. ტაბიძემ ლექსი 1908 წელს წაიკითხა, არაფერი თქვა. წერილობით ამ საკითხს კვლავ შეეხო გენადი მიხელიძე, რომელმაც ჩვენდამი მოწერილ წერილში დამატებით აღნიშნა: „გადაჭრით ვაცხადებ, რომ კარგად ვიცნობ გალაკტიონის ყრმობის პერიოდს.. მოწაფეობის პერიოდი (1899-1910) ჩვენ განვლეთ ერთად და, ვფიქრობ, რომ ამ პერიოდის მის ცხოვრებას ბევრზე უკეთ ვიცნობ... მეკითხებით — „შეგიძლიათ თუ არა დარწმუნებით თქვათ, რომ სწორედ ეს ლექსი წაიკითხა ავტორმა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, თუ ის სხვა რედაქციას წარმოადგენდა? გიპასუხებთ „მოგონებაში"... მე არ მითქვამს, რომ ბაგრატის ტაძრის გალავანში წაკითხული ლექსი „პირველი მაისი" ზუსტად (სიტყვა-სიტყვით) იგივე პირველი მაისი" იყო (იმავე რედაქციით), რომელიც პირველად დაიბეჭდა 1933 წელს, როგორც მახსოვს, ის „პირველი მაისი", რომელიც გალაკტიონმა წაიკითხა, ვგონებ, 1907 წლის მაისში. მე გადაჭრით არ ვადასტურებ 1907 წელს, რადგან არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ ეს წელი უნდა ყოფილიყო „პირველი მაისის" წაკითხვის წელი და არა 1908 წელი, ვინაიდან ამ უკანასკნელი წლის მაისში ჩვენ დავამთავრეთ სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და კარგად მახსოვს ის მაისი, მაგრამ არ მახსოვს, რომ „პირველი მაისი" იმ წელს წაკითხულიყოს (უფრო პრიმიტიული უნდა ყოფილიყო, როგორც შინაარსის მხრივ, ისე ფორმითაც), ვიდრე 1933 წელს დაბეჭდილი „პირველი მაისი".[1]

ჩვენი აზრით, „პირველი მაისი" იდეურ-კლასობრივი ჟღერადობა არ შეესაბამება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა პოლიტიკურ ფიზიონომიას. გალაკტიონისათვის რევოლუციის შინაარსი და აზრი გასაგები გახდა ცოტა უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 1912 წლიდან, როდესაც იგი დაუახლოვდა ოკუჯავების რევოლუციურ ოჯახს და ქუთაისში მოქმედ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

1908 წელს ჭაბუკი გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიის ხელნაწერ ჟურნალ „შუქში" ათავსებდა წერილებსა და ლექსებს, რომლებშიაც კარგად იგრძნობოდა გ. ტაბიძის რევოლუციური პათოსი, მაგრამ ის იდეურ კლასობრივი ჟღერადობა, რომელიც ასე ძლიერადაა გამოხატული ლექსში „პირველი მაისი", მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებსა და ლექსებს არ ახასიათებთ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია გალ. ტაბიძეს „პირველი მაისი" არ გამოექვეყნებინა 1933 წლამდე. ზოგიერთი კი ირწმუნება თითქოს „ლექსი „პირველი მაისი" დაიბეჭდა სტოლიპინის რეაქციის შავბნელ დროში"[2] (?!).

ამრიგად, ფაქტი, რომ პოეტს წაუკითხავს ლექსი „პირველი მაისი" არ იძლევა საფუძველს, რომ 1933 წელს შექმნილი რედაქცია მივიჩნიოთ 1908 წელს დაწერილ თუ წაკითხულ რედაქციად.[3]

---

[1] ჟურნ. „მნათობი", 1962 წ., № 11, გვ. 175.

[2] სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 5381.

---

[1] გ. მიხელიძის ეს წერილი ინახება ჩვენთან.

[2] ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრებიდან, 1964 წ., გვ. 25.

[3] დაწვრილებით იხ. იოსებ ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, „მეცნიერება", 1965 წ., გვ. 132-134; მისივე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968 წ., გვ. 22-25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დიმიტრი იოვაშვილი*

# არჩილ სულაკაურის პროზა

1958 წელს, როდესაც არჩილ სულაკაური უკვე ცნობილი იყო, როგორც ქართველ პოეტთა ახალგაზრდა თაობის მოწინავე წარმომადგენელი, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“. ქართველი ლიტერატურული საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურა ამ ნაწარმოებს და მაშინვე დაადასტურა მისი იდეურ-მხატვრული ღირსებები.

დასახელებულ თხზულებას ბევრი სიახლე აქვს. იგი ყურადღებას იმსახურებს იდეური ჩანაფიქრით, თემატური მასალის თავისებურებით, მხატვრული გაშუქების სიფაქიზითა და მიმზიდველობით. აქ მოცემულია სამამულო ომის მრისხანე დღეების, თუ შეიძლება ითქვას, თვალსაჩინო გახსენება.

მოთხრობა მკვეთრად მოხაზული წინაპლანით ხასიათდება და სიუჟეტი მთლიანად პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ კოლიზიებზეა აგებული. ამის შესაბამისად, საწყისი ელემენტი ამ სიუჟეტისა ხასიათებია და არა ამბები, რომლებიც აქ უფრო შორეული ფუნქციით გვესახებიან.

მთავარი, რაც ყურადღებას იმსახურებს საანალიზო ნაწარმოებში, არის სახეების ტიპიურობა: ამავე დროს, სიტყვათა მომჭირნეობის პრინციპის დაცვით მიღწეულია სინამდვილის განსახოვნების ისეთი ეფექტურობა, როდესაც ყოველ გრძნობად — კონკრეტულს აქვს ზოგადის მნიშვნელობა და, პირიქით.

კონკრეტულის განზოგადების, ჩვეულებრივ საგანთა და მოვლენათა სურათში იდეური აზრის შეტანის სამაგალითო ცდას ვხედავთ არა მარტო ცოცხალ ადამიანთა სახეების, არამედ გარემოს ნიშნების ემოციურ ჩვენებაში. მოვიგონოთ მოთხრობაში დახატული პეიზაჟი. აქ არ არის სხვადასხვა სიდიდის სხეულების უბრალო განლაგება ერთმანეთის გვერდით და ერთიმეორის მიყოლებით. აქ ყოველი ნიშანი არის ის, რადაც იგი ჩვეულებრივი ადამიანის თვალს წარმოუდგება, და ამის გარდა, არის სიმბოლო რაღაც უფრო მეტისა, რასაც მხოლოდდამხოლოდ გონების თვალით ვჭვრეტთ. სწორედ ასეთი განცდით აღიქვამს მკითხველი ბორცვზე მდგარი ჯარისკაცის თვალით დანახულ ტრამალებს, რომლებიც „სიკვდილის ყვავილებით — ხის ჯვრებით მოჩითულიყო“, „მძიმე, ნაცრისფერ ღრუბელქვეშ გაწოლილ მთებს, ომის ცეცხლში ჩაფერფლილ „დარბეულ, გაპარტახებულ საპორტო ქალაქს“; იმას, რომ „პორტში ჩაძირულ გემებს ზღვიდან ანძები ამოეყოთ დასახრჩობად განწირული კაცის ხელებივით“, „ზღვაზე მიმოფანტულ ნავებს“, ყუმბარებისაგან „ცეცხლწაკიდებულ კატერს“...

მოთხრობას, პირველიდან უკანასკნელ სტრიქონებამდე წითელი ხაზივით გასდევს დაპირისპირება სიყვარულით მიღწეულ სიკეთესა და მტრობით გამოწვეულ სიავეს შორის. ასეთ დაპირისპირებას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შევნიშნავთ ზღვასა და მიწას შორის. ჯარისკაცის თვალით ხილული ზღვა — იგივე უზარმაზარი სასაფლაოა, „სადაც არ იყო არც ხის ჯვრები, არც სამარის ქვები და არც ობელისკები“. ამაშია ზღვის სიავე: იგი თითქოს ადამიანებს იპარავს და თავის წიაღში მალავს, არავითარ ნიშანწყალს არ ტოვებს მათი ყოფილი არსებობის შესახებაც კი.

ჯარისკაცი, მოთხრობის მთავარი გმირი, ყოფნა-არყოფნის დიად ფიქრს გაუტაცია. ამ ნიადაგზე აღძრული ემოციების შესაბამისად, ახდენს იგი ზღვისა და მიწის თვისობრივი მხარეების შედარებას. „მიწა არ არის ზღვა, —

ფიქრობდა (ჯარისკაცი), მიწა ინახავს ადამიანთა ხსოვნას...“

ადამიანთა ხსოვნის შენახვა ცხოვრების, ყოფიერების მთავარი პრობლემა და შინაარსია. მოთხრობაში გამოხატული აზრით, ეს იგივე სიყვარულია, რომელიც განუწყვეტლივ აშენებს იმას, რაც მტრობას დაუნგრევია: უარყოფს ომებს, ქმნის ცივილიზაციას, ხელოვნებას, კულტურას — ადამიანის გონებისა და შრომის ამ დიდებულ მოსაგონარს. ადამიანი თვითონ არის შემოქმედი სიყვარულისა, რამაც მისი ხსოვნა უნდა უკვდავყოს და მიწა თითქოს ამ სიყვარულის ხის გასახარებელი ნიადაგია. „იგი ინახავს ადამიანის ხსოვნას“, მაშინ როცა ზღვა თითქოს ადამიანებს იპარავს, აქრობს, „თითქოს იყო და არა იყო რა...“.

სიყვარულთან დამოკიდებულების საფუძველზე ვითარდება ჯარისკაცისა და ზემდეგის დაპირისპირებაც. ცდის ობიექტის როლი ამ შემთხვევაში ქალიშვილს აქვს დაკისრებული. ჯარისკაცმა შეიყვარა ეს უკანასკნელი და სიკვდილამდე შეინახა მისი ხსოვნა. სიყვარულის აზრმა აავსო ჯარისკაცის სიცოცხლე, თითქოს ეს სიცოცხლე თვით იქცა სიყვარულის განსახიერებად, და მთელი თავისი არსებით იგი ამ სიყვარულს ემორჩილება.

ზემდეგი არ არის. ის, რაც ჯარისკაცია. მას არ შეუძლია სიყვარული. ის არ ფიქრობს ქალიშვილზე, არ დაგიდევს მის ხსოვნას. მან უხეშად მოიპარა ქალის ალერსი , და მოიპარა, თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ მაშინვე დაეკარგა იგი. თუ ჯარისკაცისათვის ქალიშვილი დაუვიწყარია, ზემდეგისათვის იგი თითქოს იყო რაღაც, მისთვის გაურკვეველი, და ალარაფერი აღარაა. ჯარისკაცი ისეთივეა, როგორიცაა მიწა, ზემდეგი კი ზღვასავით უმადურია. შეიძლება ასეთი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოთხრობის საკვანძო ნაწილში ჯარისკაცი ხმელეთიდან და ზემდეგი ზღვიდან მოსული ხვდებიან ერთიმეორეს.

ა. სულაკაურის მოთხრობის ძირითადი იდეური აზრის განვითარებაში გამოყენებულია ე. წ. მემკვიდრეობის ხერხი. ლიტერატურულ პრაქტიკაში ასეთი მხატვრული ხერხის მომარჯვების ორნაირი შემთხვევა შეინიშნება. ერთ შემთხვევაში გმირი იწყებს მოქმედებას, მაგრამ მაშინვე იღუპება, რის გამოც მისი საქმე გადადის სხვა მოქმედი პირის ხელში. ასე ხდება, მაგალითად, ილო მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში“, ბექან ალას პატრიოტულ ბრძოლას აგრძელებს შუქრი ჯაფაროღლუ, შემდეგ, მასთან ერთად, ჯემალ თურმან-ოღლუ და ამ უკანასკნელის უმცროსი ძმა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ძირითადი მოქმედების ან ნაწარმოების იდეური აზრის განვითარებაში მემკვიდრეობის მხატვრული ხერხის გამოყენების მეორე შემთხვევაც, — როცა მემკვიდრეობით გადაეცემა არა მოქმედება, ე. ი. მემკვიდრე გმირი წინამორბედი გმირის მიერ დაწყებული მოქმედების უშუალო განმგრძობი როდია, არამედ მისი მსოფლგაგების, ადამიანური თვისებების მიმღებია. ამ შემთხვევაში მემკვიდრე გმირს გადაეცემა წინამორბედი გმირის იდეური დატვირთვა, ნაწილობრივ ფსიქიკური ნიშნები და ინტელექტუალური შინაარსი. ასე ხდება ბ. პოლევოის მოთხრობაში „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. პოლკის კომისარი სემიონ ვორობიოვი თავისი საუბრით შთააგონებს, ახალი ძალით ალავსებს მფრინავ ალექსი მერესიევს, აძლიერებს მასში სიცოცხლის სიყვარულსა და წყურვილს: აქცევს მას თავის მსგავს ადამიანად. მერესიევის შემდგომი ცხოვრება — ეს იგივე ვორობიოვია. ანალოგიური ვითარება გვაქვს სულაკაურის მოთხრობაშიც. თავისი სიცოცხლის მაგალითით ჯარისკაცი გადასცემს ზემდეგს საკუთარ თვისებებს, ისევე, როგორც მერესიევს გადასცა საკუთარი თვისებები ვორობიოვმა. მაგრამ განსხვავება, მაინც არის: ბ. პოლევოისათვის ეს ე. წ. გადაცემა საწყისი მომენტია იმისათვის, რომ ავტორმა ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებას თავისებური მიმართულება მისცეს, მემკვიდრე გმირის — მერესიევის საოცარი ცხოვრება აჩვენოს. სულაკაურის ნაწარმოებში კი მთავარი იდეურ-მხატვრული მახვილი მხოლოდ და მხოლოდ გადაცემის ფსიქოლოგიურ მომენტზეა დამართული. ამ მომენტის მთავარი დეტალია ჯარისკაცის სიკვდილი, მაგრამ ეს როდია უბრალო სიკვდილი. თვით სიკვდილშიც კი ჯარისკაცი უაღრესად ძლიერია, ამჟღავნებს რა სიცოცხლისათვის ბრძოლის დაუოკებელ წყურვილს, მტრისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობას. და ეს ყველაფერი იმდენად მიმზიდველი ძალით იჩენს თავს მომაკვდავ ჯარისკაცში, რომ ზემდეგი მაშინვე განიმსჭვალება იმავე გრძნობებით. ჯარისკაცი მოკვდა, მაგრამ, ჩვენ გვგონია, ეს სიტყვა აქ არ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას. უფრო სწორი ხომ არ იქნება ვთქვათ, რომ ჯარისკაცი გადავიდა ზემდეგში, მან შეავსო ამ უკანასკნელში არსებული სიცარიელე და ზემდეგის სახით ამჯერად ნაწარმოებში სრულიად სხვა, ახალი გმირი გვყავს, ფიზიკურად უფრო ძლიერი, ვიდრე იყო ჯარისკაცი, სულიერად უფრო შინაარსიანი, ვიდრე იყო ზემდეგი.

ვერ ვიტყვით, რაოდენ შეცდომად ჩაეთვლება ავტორს, თუ გამართლდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ საანალიზო მოთხრობის პერსონაჟებს არ აქვთ ეროვნულობის ნიშანი. გვგონია, რომ საკითხის ამ მხარეს ა. სულა-

კაურმა არა უნებურად, არამედ სრულიად შეგნებულად აუარა გვერდი. არათუ ნიჭიერი, არამედ ჩვეულებრივი, საშუალო შესაძლებლობის მწერლისათვისაც კი ძნელი როდია დახატოს კაცი ქართველად, ან სხვა ეროვნების წარმომადგენლად. უბრალო საქმეა, საკმარისია, მაგალითად, ჯარისკაცს სიკვდილის დროს მოელანდოს მშობლიური საქართველოს მთები და მაშინვე მიხვდებით, რომ საქმე ქართველთანა გვაქვს. ეჭვიც არ შეიძლება დაგვებადოს, რომ ა. სულაკაურს ადვილად შეეძლო მიემართა ასეთი ხერხისათვის, მაგრამ მან ეს საჭიროდ არ მიიჩნია და, საგულვებელია, რომ ამ შემთხვევაში იგი უთუოდ გარკვეული ტაქტით ხელმძღვანელობდა. მართლაც, რა აუცილებელია გმირთა ეროვნული კუთვნილების ჩვენება მოთხრობაში — „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან?“ ეს ხომ უცნობი ჯარისკაცის ციკლის ნაწარმოებია. ეს არის მოთხრობა უცნობ საბჭოთა ჯარისკაცზე, რომელსაც ამაღლებს სიცოცხლისათვის მებრძოლი და სიკვდილის დამთრგუნველი განწყობილებები.[1]

პატრიოტული შემართებულობა, შეუპოვრობა და ადამიანური სულის სიძლიერე, როგორც საბრძოლო დროშა, იმის ხელიდან, ვინც დაეცა, ძირს დაუხრელად გადაეცა იმას, ვინც ცოცხალი დარჩა. ასეთია ა. სულაკაურის მოთხრობის დედააზრი, რითაც იგი ძალზე მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი ხალხის მიერ 1941-1945 წლებში გადატანილი ომის ტიპიურ ვითარებას.

აღნიშნულის მიხედვით, განსახილველ ნაწარმოებში მთავარია ის მომენტი, თუ როგორ დაეუფლა ზემდეგი ჯარისკაცის სამემკვიდრეოს და სწორედ ეს დეტალია მოკლებული საჭირო სიღრმეს, სულის მოძრაობის უფრო ინტენსიურ ჩვენებას.

ყოველი მწერლის შემოქმედებითი სტილის თავისებურება ვლინდება არა მარტო მის მიერ გამოყენებული სახვითი საშუალებების ხასიათში, არამედ მისი ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირებისათვის შერჩეული მასალის, ასახვის საგნის შინაარსშიც. ყველა ადამიანი, სინამდვილის ყველა მოვლენა მწერლისათვის ერთნაირად საინტერესო როდია. მხატვარი ზოგჯერ ამოიჩემებს ერთნაირ ადამიანებს, რომელთაც იგი სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა ნაწარმოების გმირებად წარმოგვისახავს. ასე ამოჩემებული ჰყავს, მაგალითად, პოლიკარპე კაკაბაძეს ზღაპრული ნაცარქექია, რომელსაც დრამატურგი ხან ყვარყვარე თუთაბერის, ხან კიდევ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ხარიტონის სახით წარმოგვიდგენს. ნაცარქექიათი პ. კაკაბაძე იმდენად ძლიერ იყო გატაცებული, რომ პიესაში „დავით მერვე“ მან ეს სახე ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მოქმედი პირით წარმოსახა. ერთ-ერთი ნიშანი, რაც ა. სულაკაურის მწერლურ თავისებურ ბუნებას გამოხატავს, არის ის, რომ მასაც ჰყავს ასეთი ამოჩემებული, „ერთგვარი“ სახეები. ამასთან, მწერლის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ წინათ უკვე გამოყენებული ხასიათი სულაკაურის ნაწარმოებებში ახლებურად შევსებული, უფრო განათებული, სრულყოფილი გვეძლევა. არჩილ სულაკაურის მოთხრობის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ უაღრესად ემოციური და ინტელექტუალური სახე, ეს არის ჯარისკაცი — სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანი, რომელიც მზად არის თვით საბედისწერო წუთებშიც კი სხვაზე იფიქროს, იფიქროს სიცოცხლეზე, ადამიანის ბედნიერებაზე. ის ყველაფერს გვთავაზობს, რაც გააჩნია — საკუთარ სიცოცხლეს, სისხლს, უკანასკნელ ნათელ აზრსა და ფიქრსაც და არაფერს არ ძოითხოვს სანაცვლოდ თავისთვის. მერე, განა ასეთივე არ არის ა. სულაკაურის მეორე მოთხრობის „წყალდიდობის“ მთავარი გმირი მეთევზე ლადო? ისიც უცნობი ჯარისკაცივით მშვიდი, სულძლიერი, კეთილი ვაჟკაცია, რომელიც სხვებს შველის და თვითონ არასოდეს არ ამბობს „მიშველეს“.[1]

ა. სულაკაურის ეს საყვარელი გმირები დაჯილდოებული არიან დიდსულოვნური დათმობის საოცარი უნარით. ისინი დამთმობი არიან იმდენად, რამდენადაც თვითვე ხედავენ თავიანთ უპირატესობას დაპირისპირებული ძალის მიმართ. ჯარისკაცმა დაუთმო ზემდეგს არა იმიტომ, რომ არ შეეძლო თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა კონფლიქტი, არა საკუთარი უღონობის გამო, არამედ ზემდეგის, ამ უმწეო და უსუსური ადამიანისადმი, სიბრალულის ზეგავლენით. მას სურვილი ებადება არ დაუშვას მეგობრობა ამ კაცთან, რომელმაც ქურდულად ისარგებლა ჯარისკაცის საყვარელი ქალის ალერსით, და ის არც დაუმეგობრდა ზემდეგს, მაგრამ მაინც დარჩა მასთან, გახდა მისი მოკავშირე უცხო სტიქიონთან ბრძოლაში და შემდეგ თავისი ზემოქმედებით დაიმორჩილა, დაიმსგავსა იგი.

სიბრალულის გამო დათმობის დიდსულოვნური გრძნობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს

---

[1] უცნობი ჯარისკაცის თემას ქართულ მწერლობაში პირველად სერგო კლდიაშვილი შეეხო; ამავე თემას აშუქებენ გ. აბაშიძე — პოემაში „ზარზმის ზმანება“, გ. რჩეულიშვილი — მოთხრობა-ნარკვევში „უსახელო უფლისციხელი“ და სხვ.

[1] მოიგონეთ ეპიზოდი, როცა ლადო წისქვილის ბორბალზე ჩამოკიდებული სასიკვდილო განსაცდელის წინაშეა. მეწისქვილე სტეფანე, ბოროტი და უზნეო ადამიანი, ამაოდ ელოდა მისგან ამ სიტყვის დაძახებას და ვერ კი ეღირსა.

ლადოს ხასიათის ამსახველ ეპიზოდებშიც („წყალდიდობა“). ლადო სტეფანეს უპირისპირდება თითქმის ისევე, როგორც ჯარისკაცი უპირისპირდება ზემდეგს.[1] ლადოს შეეძლო ადრევე გაეჯოხა სტეფანე, მაგრამ ეს მან არ გააკეთა, ვიდრე უკიდურესობამდე არ მივიდა. ლადო ძლიერი ადამიანია და ეს სიძლიერე გამოხატულია არა სუსტი ადამიანებისადმი მისი უპირატესობის ჩვენებით, არამედ უფრო თვითმომრეობის ფაქტით. ლადოს ფიზიკური და სულიერი ძალების სიჭარბე ყველაზე მეტად თავს იჩენს იმით, რომ იგი სძლევს და გასაქანს არ აძლევს მტრობის, შურისძიების, სიავის სტიქიას საკუთარ თავში. ამ თვისებით იმეორებს და აღრმავებს იგი ჯარისკაცს, მოთხრობის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ გმირს.[2] ამგვარად, ლადოს ენერგია მის ფიზიკურ შესაძლებლობათა დონეზეა. მოთხრობაში ასახულ მოვლენათა განვითარების შინაარსს შეადგენს დამკვიდრება ისეთი ცხოვრებისა, სადაც ლადოსთანა ადამიანები გერებივით როდი იცხოვრებენ, არამედ მთელი მდგომარეობის ბატონ-პატრონები იქნებიან. ალბათ, ამ აზრით არის, რომ თანამედროვე სინამდვილეში ლადო თვითონ მონაწილეობს იმ სახლის ნგრევაში, რომელმაც მას ძველ დროს ბევრი ტანჯვა და ცხოვრების სიმწარე არგუნა.

არჩილ სულაკაურის თხრობას ძალიან ხშირად საფუძვლად უდევს მხატვრული ასახვის ასოციაციური ხერხი. ბევრჯერ მის ნაწარმოებებში უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც, თუ შეიძლება პირობითად ითქვას, უშუალოდ არის მწერლის მხედველობის არეში, არამედ წარსულის ის ფერფლმიყრილი სურათი, რომელსაც ამჟამად ნანახის მიმსგავსებით აღვადგენთ მეხსიერებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ სინამდვილის ის სურათები, რომლებიც ასოციაციის პროცესში მონაწილეობენ, ორგანულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მომენტებად წარმოგვიდგებიან. გავიხსენოთ, მაგალითად, იგივე „წყალდიდობა“! მშენებლები გამოცხადდნენ იმისათვის, რომ დაანგრიონ ძველი სახლი. სახლის მეპატრონის მოხუცებულ ინჟინერს აგონდება იმათი ამბავი, ვინც აქ უცხოვრიათ. ამგვარად, რაც აგონდება, დასაწყისია მოთხრობის სიუჟეტში, ხოლო რითაც აგონდება — დასასრული. წარსულის სურათები ისახება აწმყო ვითარების ფონზე, რომელიც აღნიშნული სურათების დასასრული და დასკვნაც არის და მათი გახსენების, მეხსიერებაში აღდგენის საბაბიც.

რამდენადმე სხვანაირი სიტუაციების გადმოცემას ახორციელებს ა. სულაკაური ასოციაციური ხერხით მოთხრობაში — „დიდთოვლობისას“. თოვლცვენის სურათი აქ ორი ამბის საბაბი ხდება. ცოლს აგონდება პირველი შეხვედრა იმასთან, ვინც ახლა მისი ქმარია, და ხმამაღლა გატაცებით ლაპარაკობს ამის გარშემო. ამასობაში ქმარიც ეძლევა იდუმალ მოგონებას ბაკურიანში ერთ სტუდენტ მეთხილამურე ქალიშვილთან მგზავრობის შესახებ, ამასთან ცოლის წარმოდგენაში ქმარი თავაზიანი და ძლიერია, მაშინ, როცა ფეხმტკივანი მეთხილამურე ქალიშვილის მიმართ ამ უკანასკნელმა უყურადღებობითა და სისუსტით „გამოიჩინა“ თავი.

არჩილ სულაკაურის, როგორც ბელეტრისტის, ნაწარმოებებს საერთო ის აქვთ, რომ ყოველ მათგანში მოქმედების წამყვანი გმირები ახალგაზრდა ადამიანები არიან, ხოლო სიუჟეტის მთავარი მოტივი სიყვარულია. მთლიანად ასეთი შინაარსისაა ისეთი მოთხრობებისათვის შერჩეული მასალა, როგორიცაა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, „მტრედები“, „დიდთოვლობისას“ და სხვ.

ახალგაზრდული სიცოცხლის, სიხარულისა და სიყვარულის მოტივი უფრო ძალუმად არის გამოხატული ა. სულაკაურის მოთხრობაში — „ზევით და ქვევით“. ეს ნაწარმოები ყურადღებას იქცევს უმთავრესად იმით, რომ მხატვრული თხრობის ხასიათს, რიტმს ლირიკული გმირის განცდები განსაზღვრავს და განაპირობებს. „ზევით და ქვევით“ არის ამბავი ქალ-ვაჟის სიყვარულისა, რომელიც სასკოლო ასაკში გაურკვეველ, შეუცნობელ გრძნობად ისახება და თანდათან ძლიერდება. ამის შესაბამისად სახეების მოხაზვა, მოძრაობათა სიტყვიერი ჩვენება-თხრობა ისეთივეა, როგორც თვით მასალა — ახალგაზრდული, აღტკინებული, დაუდგრომელი. თხზულებაში გამოყენებულია საინტერესო ქვეტექსტის შემცველი დეტალები, მკითხველი ვერ ხედავს რა დაემართათ გოგისა და ლიას, რით დამთავრდა მათი სწრაფვა ერთმანეთისაკენ, ყველაფერი იწყება და რჩება ღიად, რათა ჩვენ თვითონ ჩვენებურად დავამთავროთ მწერლის მიერ დაწყებული ამბავი. მეორე მხრივ, ხშირად ვერ ერკვევით, სად ეხება მწერალი

---

[1] ზოგადი სიუჟეტური სიტუაციების მიხედვით „წყალდიდობა“ თითქმის იმეორებს მოთხრობას „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“. სტეფანემ ისარგებლა ლადოს უფლებით იულიასთან ისევე, როგორც ზემდეგმა ისარგებლა ჯარისკაცის უფლებით ქალიშვილთან. ძირითადად ამ ნიადაგზეა დაფუძნებული განხეთქილება, ერთი მხრივ, ჯარისკაცსა და ზემდეგს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ლადოსა და სტეფანეს შორის.

[2] ჯარისკაცის სახე-ხასიათის შინაარსობრივი მხარეების კიდევ ერთ განმეორებად, მის თავისებურ ვარიანტად მიგვაჩნია ლევანი, მოთხრობიდან „მტრედები“.

რეალურ ფაქტს და სად ცვლის მას რომანტიკულით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი ერთად სიზმარია, მღელვარე და ტკბილი სიზმარი, რომელიც თავისებურად ცხადდება, ნაწარმოების გმირებს და მკითხველსაც გოგისა და ლიას სიყვარულის ისტორია ისე გადაეცემა, როგორც სიზმარი, რომელიც მოულოდნელი გამოღვიძებით შეწყდა.

ოცნებაში რეალურის ასეთ სისტემატურ გადატანას ა. სულაკაური სხვა მოთხრობებშიც (მაგ., „დიდთოვლობისას“) იყენებს, რითაც ერთობ აძლიერებს ნაწარმოებისადმი ინტერესს.

არჩ. სულაკაურის „ოქროს თევზი“ (1965-1966) ისეთი ნაწარმოებების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელთაც „განვითარების“, „აღზრდის“, „ჩამოყალიბების“ რომანებს უწოდებენ. ლიტერატურისმცოდნეთა განსაზღვრით, ამგვარი თხზულებების წინა პლანზე წარმოჩენილია ინდივიდი, სუბიექტი, პიროვნება და სიუჟეტური მოქმედების განვითარების შინაარსს შეადგენს ამ პიროვნების აღზრდა, ჩამოყალიბება.

ახალბედა თბილისელი ინჟინრის დათო ნათიშვილის აღზრდა-განვითარება, მისი თვითგამორკვევა, ზნეობრივ-მოქალაქეობრივი მიდრეკილებების განსაზღვრა, პიროვნული სიმპათიებისა და ანტიპათიების გადაფასება და შეცვლა, უწინდელი რწმენის უარყოფა და ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება თითქმის ძირითადი და უმთავრესია „ოქროს თევზის“ სიუჟეტში.[1]

ვინ ხარ შენ, ახალგაზრდა თბილისელო ინჟინერო დათო ნათიშვილო? — ეს, ლირიკულ პლანში დასმული მთავარი საკითხია, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება და თავისებურად შეესატყვისება ა. სულაკაურის რომანის თითქმის ყოველი სიუჟეტური ხაზი, თითოეული დეტალი.

ვინ ხარ შენ, ახალგაზრდა თბილისელო ინჟინერო? — იმ დროს, როცა „ოქროს თევზში“ წარმოდგენილი თხრობა იწყება, თვითონ დათო ნათიშვილმა ცოტა რამ იცის ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვინაიდან, თავისი ყმაწვილკაცური გამოუცდელობის გამო, ის ჯერ კიდევ არასაკმარისად ერკვევა საკუთარ პერსონალურ შესაძლებლობებსა და იმ მოწოდებების არსში, რის კვალობაზეც მისი ენერგიის მოქმედება უნდა წარიმართოს. უფრო მიახლოებით რომ ვთქვათ, დათოს ცოდნა საკუთარი თავის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ზედმიწევნით ზუსტი, ზედმიწევნით სრული, ზედმიწევნით დახვეწილი. მართალი თუ გნებავთ, ეს ცოდნა ახლა ყალიბდება ახალგაზრდა გმირში იმიტომ, რომ თვითონ ის, ეს გმირი, ეს-ეს არის ყალიბდება, ეს-ეს არის ზუსტდება მისი წარმოდგენები და შეხედულებები იმ საზოგადოებრივ გარემოზე, რომელშიც იგი ტრიალებს, ირკვევა მისი დამოკიდებულება ადამიანებთან, რომელთაგანაც მან ერთნი მოყვრებად და მოკავშირეებად, მეორენი კი მოწინააღმდეგეებად უნდა მიიღოს.

დათო ნათიშვილის პერსონალური გარდაქმნის, გადახალისების პროცესის ჩვენება ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანია „ოქროს თევზში“. იმაზე, რადაც დათოს შეეძლო საკუთარი თავი წარმოედგინა, იგი თანდათანობით, ნებსით თუ უნებლიედ, უარს ამბობს. ახალგაზრდა ინჟინერი იძულებულია დატოვოს სამუშაო, რომელიც, როგორც გვიან შეიტყობს, მას ანგარებით გატაცებული ადამიანების „შემწეობით“ რგებია. ასევე იძულებულია დაივიწყებას მისცეს სიყვარული ქალიშვილისადმი, რომელმაც საქმროდ სხვა მამაკაცი ამჯობინა. გადაწყვეტს, მისი უფროსი ძმის მირიანის მაგალითისამებრ, გაშორდეს ოჯახს, სადაც აღიზარდა და სადაც ახლა ყველა გაუცხოვდა, ყველაფერი უინტერესო და მშობლიურ სითბოს მოკლებული გამხდარა.

დათო კარგავს ძველ ინტერესებს და იძენს ახალს, რომელიც გაცილებით მეტი და მრავალფეროვანიც კია, ვინემ ის, რაზეც ჩვენი გმირი უარს ამბობს. რა იგულისხმება ამ ახალში? — ეს არის, თუ გნებავთ, იდუმალი გატაცებები ხნიერი მეუღლისაგან ლტოლვილი ახალგაზრდა მუსიკის მასწავლებელი ქალის ბუბა ეშბას მიმართ; ასევე იდუმალი ვნებანი, რასაც დათო მეზობელი ქალიშვილის, მისივე ძმის, მირიანის მიერ საცოლედ არჩეული, მანანას მისამართით განიცდის; თავგადასავალი „ესტრადის მომღერალ“ ნორა ზანდუკელთან; მეგობრობა პატარა ზურიკოსთან; ერთობ პრაქტიკული ხასიათის თავგადასავალი, რაც შავი საქმეების მესვეურ შავ ნიკოსთან გაცნობის შედეგად ხდება... მაგრამ ყველაფერი ეს, რასთან დაკავშირებითაც დათოს ახალი ინტერესები უჩნდება, სრულებითაც სტაბილური არ არის ჩვენი გმირის ყოფაში. ბუბასთან დაახლოების ოცნება ფუჭი გამოდგა, მანანასაკენ გაწვდილ მის ხელსაც არ ელირსა სასურველი პასუხი, ხოლო ესტრადის მომღერალ ნორასთან დაახლოებას დათო თვისი გაურბის. ახალი ურთიერთობანი გმირისა ერთობ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა: იქ, საითაც მას ძლიერი მიზიდულობა აქვს, იგი, მისდა მოულოდნელად, უარყოფილი და უკუგდებული ხდება, ხოლო მათ, ვინც მისდამი მეტ ინტერესს

---

1 ერთი პიროვნების ბედი და სოციალური თუ სხვა ვითარების ბაზაზე მისი გარდაქმნის პროცესი წამყვანია არა მარტო „ოქროს თევზში“, არამედ არჩ. სულაკაურის მთელ რიგ მოთხრობებშიც, რომელთაც ზემოთ შევეხეთ (ზემდეგი — მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, ლადო „წყალდიდობაში“, აბელი — „აბელის დაბრუნებაში“ და ა. შ.).

იჩენენ, თვითონ ნათიშვილი ერიდება.

არჩილ სულაკაურის პროზა არ ხასიათდება თხრობის მონოტონური განვითარებით, რომლის დროს ძნელია გამოარჩიოთ უფრო მნიშვნელოვანი ნაკლებად საყურადღებოსაგან. მის მოთხრობებში, რომანში ხშირად შევნიშნავთ ე. წ. სიუჟეტური მახვილით გამოყოფილ სახეებს, ხმამაღალი წაკითხვისათვის განკუთვნილ სტრიქონებს, ვხვდებით პოეტური განმეორების ხერხით ხაზგასმულ ადგილებს.

პოეტური განმეორების ხერხით ხაზგასმა სიუჟეტის იმ ელემენტისა, რასაც მწერალი უპირატესად საინტერესო კომპონენტად მიიჩნევს, ე. ი. მხატვრის მიერ მიზანში ამოღებული ამა თუ იმ მოვლენის გაშუქება არა ერთი, არამედ რამდენიმე მხრიდან — ის ხერხია, რომლითაც არაჩვეულებრივად ფართოვდება მხატვრული ასახვის დიაპაზონი. მას სისტემატურად იყენებენ ლიტერატურული კულტურის გამოჩენილი ოსტატები. გავიხსენოთ ჰემინგუეის მოთხრობა „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება". აქ არის აფრიკის უზარმაზარი წითური ლომის მოსანადირებლად გალაშქრების ეპიზოდის რამდენიმე ვარიანტით გადმოცემა იმის მიხედვით, თუ როგორ განიცდიან ლომზე თავდასხმისათვის გამიზნულ მოძრაობას თვითონ მონადირეები — მისტერ მაკომბერი, მისი მეუღლე, თეთრკანიანი აფრიკელი უილსონი, ერთი მხრივ, და როგორ ისახება იგივე მოძრაობა თვით სასიკვდილოდ განწირული ლომის ცნობიერებაში, მეორე მხრივ. განმეორების ხერხის მომარჯვებით არის აგებული მთლიანად იაპონელი მწერლის აკუტაკავას „უსიერ ტყეში". ამ ერთობ მცირე მოცულობის ნაწარმოებში მოთხრობილია, თუ როგორ გაიტყუა დაბურულ ტყეში ერთმა ყაჩაღმა გლეხი, რომელსაც თან ახლდა ლამაზი ცოლი. ყაჩაღმა გლეხი შებოჭა, ხეს მიაბა და ამ უკანასკნელის თვალწინ დაიმორჩილა მისი ცოლი... ეს ისტორია მოთხრობაში, სულ ცოტა, ოთხი ვარიანტით არის გადმოცემული: კერძოდ, იგი მოთხრობილია ჯერ იმ მღვდლის პირით, რომელმაც ნახა, თუ როგორ აედევნა გზად მიმავალ გლეხს და მის მეუღლეს თავზეხელაღებული ყაჩაღი, შემდეგ ამავე საქმის გარშემო სასამართლოს გამომძიებელს უამბობენ: გაბახებული ქალის დედა, თვითონ ბოროტმოქმედი ყაჩაღი, როგორც ბრალდებული, სხვის მიერ მოკლული თუ თავის მკვლელი გლეხის სული... და მონათხრობის თითოეული ვარიანტი საინტერესოა არა მარტო ამბავში შეტანილი ახალი ნიუანსებით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომლის კვალობაზე თითოეული მთხრობელი თავისებურად წარმართავს ამბავს, იძლევა მოვლენათა თავისებურ ინტერპრეტაციას, ცხადყოფს. ფაქტებისადმი, მოქმედი ძალებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას.

ნაწარმოების სიუჟეტში ჩართული დეტალების განმეორებას რამდენიმე ვარიანტით გადმოცემას და ამის შესაბამისად პერსონაჟთა განწყობილებების დათვალიერებას „ოქროს თევზის" ავტორი არაიშვიათად მიმართავს. როგორ შეხვდება ინჟინერი ნათიშვილი საავადმყოფოში მყოფ ბუბა ეშბას? ამაზე ხშირად ფიქრობს დათო და მწერალიც ბარე სამჯერ მაინც გადმოგვცემს გმირის ნაფიქრს. ამასთან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნაფიქრის შინაარსს, გმირის ოცნებაში წარმოდგენილ შეხვედრის სცენას, დიალოგს, შეხვედრის მონაწილეთა მოძრაობის ამსახველ რემარკებს ნაწარმოებში თავისთავადი სიუჟეტური ფუნქცია არ აქვს, ვინაიდან დათოსა და ბუბას ურთიერთობა რომანში ფიქციურია. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ დათოს იდუმალი, მის მიერ გაუცნობიერებელ-გაურკვეველი გრძნობა აქვს თავისი დის მუსიკის მასწავლებლის მიმართ და საკმაოდ ბევრ დროს ხარჯავს მასზე ფიქრში. ერთსა და იმავეზე ფიქრის მრავალჯერადი გადმოცემით „ოქროს თევზში" გადაშლილია დათოს სულის არაჩვეულებრივი მოძრაობა, ასოციაციები, ბუბა ეშბას გახსენებას რომ მოსდევს.

პოეტური განმეორების ხერხის მომარჯვებით არის ფიქსირებული „ოქროს თევზში" დათოს მეგობრების — გელასა და კოტეს — ვიზიტი შავ ნიკოსთან. ახალგაზრდები დაუპატიჟებლად მიადგნენ ბნელი საქმეებით გართულ კაცს. უკანასკნელმა სტუმართმოყვარულად როდი მიიღო ისინი, ისე გამოისუმრა, რომ ეზოს კარს შიგნით არც კი გააჰედა. ეს მომენტი ორჯერ არის მოთხრობილი „ოქროს თევზში". ერთხელ ისე, როგორც შავ ნიკოსთან შეხვედრა ეჩვენა გელას. მას, როგორც პრესის წარმომადგენელს, განზრახული აქვს ჩვენი საზოგადოების სახელით თავს დაესხას ნიკო კორინთელს და სამზეოზე გამოიტანოს მისი დანაშაულებანი. გელას აინტერესებს ნიკოსთან დაპირისპირებაში ძლიერ პიროვნებად გამოჩნდეს. ამდენად ცდილობს ნიკო კორინთელი ცოტაოდნავ უფრო შემკრთალი დასახოს. ასეთი ტენდენციით წარმართავს კიდეც იგი დათოს საყურადღებოდ მოთხრობილ ისტორიას (გვ. 118-120), კოტე რამიშვილი, რომელიც, გელასთან ერთად, იყო ნიკო კორინთელის დაუპატიჟებელი სტუმარი, შედარებით ნეიტრალური პიროვნებაა გელასა და ნიკოს შორის. ამიტომ მისი პირით მოთხრობილი ამბავი, დიდი ალაყაფის გადებულ კარში ჩამდგარ მამა-შვილ კორინთელებთან შეხვედრა-შელაპარაკების შესახებ, საგრძნობლად თავისუფალია გელას სიტყვებისათვის ნიშანდობლივი ტენდენციურობისაგან (გვ. 120-121). ასეა ხაზგასმული ერთსა და იმავე გარემოებასთან ორი სხვადასხვანაირი დამოკიდე-

ბულება, ორი განსხვავებული თვალსაზრისი.

განმეორების ანალიტიკური ხერხის მომარჯვების თავისებურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს „ოქროს თევზის" სიუჟეტით ფიქსირებული შემდეგი გარემოება: ეზო-სახლკარში, სადაც ნათიშვილებს ბინა უდევთ და რომელიც წარმოჩენილია რომანში, ცხოვრობენ სხვადასხვა პროფესიისა და ხასიათის ადამიანები. ამ ადამიანებს პროზაიკოსი გვაცნობს ისე, როგორი თვალითაც მათ უყურებს დათო. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველასადმი კრიტიკულად არის განწყობილი. არ მოსწონს მას არც მამინაცვალი პლატონი, არც ნახევარდა თეონა, არც ბენო ჩიჩუა, არც მოლარე ლოლა... „ოქროს თევზში" ნაჩვენები სახლის ბინადრებისადმი ოპოზიციური ტენდენციები ახასიათებს მეეზოვე ვანოსაც. მიუხედავად ამისა, როგორც მწერალი გვაგრძნობინებს, ვანო და დათო ერთმანეთის მოკავშირე თანამოაზრეებად მაინც ვერ ჩაითვლებიან, ვინაიდან ვანო ბოროტი კაცის დამახასიათებელი ჟინით ვესლავს თავის მეზობლებს და ხარობს კიდეც, რომ მის ყბაში ჩავარდნილნი ეგზომ ნაკლოვანნი არიან. დათოს დამოკიდებულება მეზობლებისადმი, რომელთაც აუგად იხსენიებს, მხილებითია და არა შეურაცხმყოფელი, დათო ამხელს არა სიამოვნებით, არამედ გულისტკივილით, რაც მას დიამეტრალურად განასხვავებს ვანოსაგან.

სათაურიდანვე იგრძნობა, რომ ა. სულაკაურის რომანის მხატვრულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სიმბოლოს. აღნიშნული თვისებით „ოქროს თევზი" ღირსეულად ეხმაურება მწერლობის განვითარების თანამედროვე დონეს. ხომ უდავოა, რომ სიმბოლო თანამედროვე ლიტერატურის აუცილებელი კომპონენტია. XX საუკუნის მხატვრული პროზის ზოგი თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებაში სიმბოლო თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე ფენომენიც კია, რომელიც მხოლოდ იმისათვის გამოიყენება, რომ სიუჟეტში ჩართული სხვა მოვლენები გვანიშნოს, ე. ი. გარდა სხვა ელემენტების მინიშნებისა, ესა თუ ის სიმბოლო დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას მოკლებულია .ასეთი შემთხვევა ფრიად თავისებური და იშვიათია. უფრო ჩვეულებრივია, როცა სიმბოლოს მხატვრული ფუნქცია, სულ ცოტა, ორმხრივი მაინცაა, ე. ი. თავისთავადაც რაღაცას წარმოადგენს და ამავე დროს მისდამი რაიმე ნიშნით მიმსგავსებულ სხვა სახეებსა ან მოვლენებზე აქცენტირების საბაბიცაა. გავიხსენოთ სახე-სიმბოლოს მრავალმხრივად ამეტყველება ა. ჩეხოვის პიესაში „თოლია". ზღვის ტალღებთან ლაღად მოთამაშე თოლიას მეშვეობით მწერალი გვიხასიათებს ხელოვნებით გატაცებულ მშვენიერ რუს ქალიშვილს ნინა ზარეჩნაიას. თუმცა თოლია მარტო ნინა როდია! დეკადენტური მიდრეკილების მწერალი ტრეპლევიც თოლიაა, მაგრამ არა ისეთი, როგორც ნინა ზარეჩნაია... ტრეპლევი მის მიერ მოკლულ თოლიას ჰგავს (ერთხელ მან თავისდაუნებურად მოკლა მახლობელი ტბის ზედაპირზე მონავარდე თოლია, რის გამოც საკუთარ თავს არამზადა უწოდა). ტრეპლევის მიერ უმიზეზოდ და უმიზნოდ თოლიას მოკვლა და მისივე თვითმკვლელობა, რაც ნაწარმოების ფინალში მოიმოქმედა, ერთიმეორის ანალოგიური მოვლენებია ჩეხოვის პიესაში. პირველი ხელს უწყობს უკანასკნელის ახსნას და მართებულად გაგებას. რა არის ან ვინ არის მინიშნებული ოქროს თევზით არჩ. სულაკაურის რომანში? — ჯერ ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომ მირიანის მიერ შეძენილ და მისსავე მეურვეობაში მყოფ ოქროს თევზს რომანში ფრიად საგულისხმო თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. ეს არსება, აქ თავისებური ლირიკული ფენომენია. მწერალი ხშირად წარმართავს თხრობას, ზოგჯერ პერსონაჟის მონოლოგს თევზის მოძრაობის მიხედვით. აკვარიუმის გამჭვირვალე კედლებს შორის ოქროს თევზის მოძრაობა თითქოს თავისებური მუსიკალური აკომპანიმენტია, რომელიც განსაზღვრავს ნათიშვილების სახლის ბინადართა რეპლიკების რიტმს.

„— იყო დიდი მხატვარი... დიდი მხატვარი, რომელმაც ოთხი ოქროს თევზი დახატა... ოთხი ოქროს თევზი... მაგრამ ოთხი ოქროს თევზი არ არსებობს ქვეყნად. არსებობს ერთი... არსებობს ერთი, არსებობს ერთი... და ის ერთი ოქროს თევზი შენა ხარ... შენა ხარ!.." (გვ. 176) — მიმართავენ ოქროს თევზს. თავისთავად იგულისხმება, რომ წინარე სიტყვების მთქმელი თევზის ზიგზაგურ მოძრაობას ადევნებს თვალს.

თევზი არის რომანის სიუჟეტში პატარა ზურიკოს ეფექტური ჩართვის საბაბი...

მაგრამ ოქროს თევზი უფრო მნიშვნელოვანია, როგორც რომანის სხვა მხატვრული ელემენტების მისანიშნებელი და დამახასიათებელი სახე-სიმბოლო. ოქროს თევზთან გატოლებით არის ნაჩვენები ა. სულაკაურის ნაწარმოებში ინდიფერენტიზმის ტყვეობაში მოქცეული ადამიანები, პირველ რიგში, მირიან ნათიშვილი, დათოს უფროსი ძმა.

მირიანისა და ოქროს თევზის ტოლმნიშვნელოვანება არცთუ ორაზროვნად არის მინიშნებული არჩ. სულაკაურის რომანში. გავიხსენოთ სიტყვები, რომლებითაც ნათიშვილების უფროსი ვაჟი მიმართავს თევზს:

„— მხოლოდ მე მესმის შენი, მხოლოდ მე მესმის... ჩემს გარდა არავის ესმის, არავის ესმის, იმიტომ რომ მეც შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ..." (გვ. 175-176).

მაგრამ ინდიფერენტიზმი, რაც აკვარიუმში მომწყვდეული თევზის მეშვეობით გვენიშნება, მარტო მირიანს[1] არ ახასიათებს, ეს დათოს თვისებაცაა. ცხოვრება, რომელსაც დათო ნათიშვილი ეწევა და ასახულია ამ საინტერესო ნაწარმოებში, ისეთივე უდარდელია, როგორიც ჩვეულებრივად შეიძლება ჰქონდეს თევზს. ეს არის არსება საზრუნავის, მწუხარების გარეშე და ასეთი კი, კაცმა რომ თქვას, მირიანზე უფრო მეტად ა. სულაკაურის რომანში დათოა. მირიანი ოჯახში ცოტა რამით მაინც არის დასაქმებული (დილაადრიანად რძეზე დადის, შეშას ჰრის, წერს...), დათო ასეთი რამითაც არ წუხდება, საკუთარ თავზე ფიქრსაც კი ერიდება, ვინაიდან მასზე და მის მაგიერ ჯერ კიდევ სხვები ფიქრობენ, სხვები ზრუნავენ.

რომანის ფინალში დასურათებული შემთხვევით იგრძნობა, რომ დათოს ცხოვრების ისეთი პერიოდი, როდესაც მისი მდგომარეობა ოქროს თევზისას გვაგონებს, მთავრდება, ისევე, როგორც აღნიშნული პერიოდი, შედარებით ადრე, დამთავრდა მირიანის ცხოვრებაში (როდესაც ეს უკანასკნელი, მანანასთან დაოჯახებული, გაემგზავრა მოსკოვს ფრონტელ მეგობართან შესახვედრად). ისევე, როგორც მირიანი, დათოც ცდილობს გაერიდოს ოჯახს, სადაც პლატონის მეშვეობით შავი ნიკოს უფლებები და რიდი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. დათო ენგურჰესის სამუშაოებზე წასვლას გადაწყვეტს და ამით თითქოს ემშვიდობება თავის წარსულს (გვ. 215). სიმბოლური დამთხვევაა, რომ ოქროსთევზიანი აკვარიუმიც სწორედ იმ დრო ტოვებს ნათიშვილების ბინას, როცა დათო გამგზავრების თადარიგს ეძლევა, პატარა ზურიკოს ხელიდან გაუსხლტება, ქვაფენილზე ენარცხება და იმსხვრევა, ოქროს თევზი იღუპება... ეს ის წერტილია, რითაც რომანში დათო ნათიშვილის ცხოვრების ყმაწვილკაცური პერიოდი თავდება და რის შემდეგაც, ალბათ, ახალი უნდა დაიწყოს.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ა. სულაკაურის პროზას განსაკუთრებით ახასიათებს თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანების გამოხატვა. ამჯერად უნდა დავუმატოთ, რომ ახალგაზრდათა სახეები ა. სულაკაურის ბელეტრისტულ თხზულებებში წარმოდგენილი არიან არა ჩვეულებრივი ტონით, არამედ მათდამი სიმპათიის ხაზგასმით. ეს მწერლის ერთ-ერთი ტენდენციაა, რომელსაც იგი ფრიად მკაფიოდ მიგვანიშნებს. ახალგაზრდები — უცნობი ჯარისკაცი („ტალღები“...) თუ მეთევზე ლადო („წყალდიდობა“), ლევანი („მტრედები“) თუ ბიჭი („ბიჭი და ძაღლი“), არამარტო განსაკუთრებული ყურადღებით არიან აღჭურვილი, არამედ მხატვრის საგანგებო პატივისცემითაც სარგებლობენ.

მაგრამ, რაც მეტ სიმპათიას მიჰკერძავს მწერალი თავის თხზულებათა ახალგაზრდა გმირებს, იმდენად შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს იგი ადამიანთა შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლების მიმართ. ყველაზე აშკარად ეს საგრძნობია „ოქროს თევზში“. რამდენადაც უფრო აღემატებიან სხვა პერსონაჟები მთავარი გმირის, დათო ნათიშვილის ასაკს, იმდენად მოკლებული არიან სითბოსა და სიყვარულს მხატვრის მხრივ. არაერთი საჩოთირო უცნაურება მიეწერება, მაგალითად, თვითონ მირიანსაც კი, რომელიც დათოზე ბევრად უფროსი როდია[1]. პლატონს, დათოს მამობილს, ხომ მრავალი მანკიერება სჭირს! იგი ანგარებით გატაცებული მელაძუა კაცია, ყრუმუნჯობას იჩემებს, რათა სარფიანი ადგილი შეინარჩუნოს. დათოს დედა, თავისთავად სათნო ქალი, მზად არის თვალი დახუჭოს ქმრის დანაშაულებრივ საქციელზე, ოღონდ კი პლატონის მიერ ოჯახში შემოტანილი ფულების „სიკეთე“ არ მოაკლდეს. მეზობელი ქალიშვილის, მანანას მამა, ბენო ჩიჩუა რომანში ოთახის ღიაღებული კარიდან მოჩვენებული „თეთრი პერანგი და მისი ამხანაგია“ რომლის დანახვისთანავე დათო გულშემოყრილი იმალება. მეეზოვე ვანო? — ის არის, ვისაც ყველა, მის ირგვლივ მყოფი — ნაცნობი

---

[1] მინიშნებები, რომლებსაც „ოქროს თევზის“ სხვადასხვა კონტექსტებში ვხვდებით, საბაბს იძლევიან ვიფიქროთ, რომ მირიანი თავისებური თანამედროვე ჰამლეტია. ჰამლეტივით იტანჯება იგი სევდით, რასაც მასში სიობლის, უმამობის მტკივნეული შეგრძნება იწვევს, და შეურაცხყოფით, რაც დაკავშირებულია ნაწილობრივ დედის არასიმპათიურ კაცზე გათხოვებასთან და ნაწილობრივ უსამართლოდ გადატანილ ტანჯვასთან. ჰამლეტივით დაეჭვებული და გაბოროტებული უყურებს მირიანი თავის კეთილისმსურველებსაც კი, თითქოს ყველამ რაღაც დაუშვა, აწყენინა. საწყისი ანალოგიური განწყობილებისა დათოშიც საგრძნობია. მირიანივით ნატანჯი რომ იყოს, ისიც მოკლებული არ იქნებოდა ჰამლეტისათვის ნიშნეულ ტრაგიზმს, რაც ასე ახასიათებს მირიანს.

[1] მირიანი ვერ იტანს შეკითხვებს, გაურბის მის ყრმობისდროინდელ ნაცნობებთან ურთიერთობას, თავს არიდებს წარსულის გახსენებას.... ეს ყველაფერი გასაგებია, რამდენადაც გმირის მიერ დაუმსახურებლად გადატანილ ტრაგედიას მიგვანიშნებს. მაგრამ როგორღა აიხსნება, რომ მირიანი, რომელიც მწერლობას მისდევს და ოქროს თევზთან თამაშითაც ხშირად ერთობა, ვერ იტანს პატარა ზურიკოს უწყინარ ვიზიტს მის ოთახში, ვერ ეგუება თავის და-ძმას, შეუწყნარებლად ცივია დედის მიმართ?!

თუ უცნობი, ათვალწუნებული ჰყავს როგორც გოგოლის საბაკევიჩს.

უარყოფითი თვისებებით ხასიათდება მშენებლობის ტრესტის უფროსი, რომელმაც დათო ნათიშვილი სრულიად უმიზეზოდ მოაშორა სამუშაოს და მის მაგივრად მშენებლობაზე თავისი კაცი, არაფრის გამკეთებელი, ვიღაც გრძელკისერა პოლიკარპე დანიშნა...

აღნიშნულის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტენდენციები, რომლებიც ჩვენს მწერალს „ოქროს თევზში“ ახასიათებს, განისაზღვრება უბრალო ნიშნით — პერსონაჟის ასაკით — ახალგაზრდობით თუ ხანშიშესულობით. ასეთი თვალსაზრისის მცდარობა ყველაზე ნაკლებად გათვითცნობიერებულ მკითხველსაც კი შეუმჩნეველი არ დარჩება. ვის დავაჯერებთ, რომ ჩვენი საზოგადოების დადებით წევრებად მხოლოდ ახალგაზრდობა შეიძლება გვ გულვოთ, ხოლო ადამიანთა უფროსი თაობის წარმომადგენლები მარტოოდენ იმით გამოირჩევიან, რომ მომხვეჭელობას, თვალთმაქცობას, უზნეობას, კარჩაკეტილობას გაუტაცნიათ და საზოგადოებრივი იდეალები სრულებით დავიწყებიათ?!

როგორც ვხედავთ, აქ საქმე ეხება ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლის ურთიერთობას. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარი არ გვინდა დავუჭიროთ მოსაზრებას, რომლის თანახმად მხატვრული სიმართლე ისე უნდა ჰგავდეს მის პირველწყაროდ ნაგულისხმევ ცხოვრებისეულ სიმართლეს, როგორც ასლი დედანს. მაგრამ არც ის არის გამართლებული და სასურველი, როდესაც მწერლის მიერ დახატული სურათი არა მარტო არ ემთხვევა, არამედ ეწინააღმდეგება მისი შესაბამისი ცხოვრებისეული ვითარების თვით ლოგიკას. „ოქროს თევზში“ კი რამდენადმე მაინც ასეთი საშიშროების წინაშე ვდგებით.

ჩვენ საუბარი წამოვიწყეთ მწერლის მოქალაქეობრივ-ზნეობრივი ტენდენციების შესახებ. გავიხსენოთ, რომ ტენდენციურობა რეალისტური შემოქმედების აუცილებელი ნიშანია და იგი ოდითგანვე ახასიათებდა კულტურის განვითარებას. მაგრამ არც ის შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი მხატვრის ქმნილებაში ყოველთვის აშკარა როდია, თუ ვის მხარეზეა და ვის უარყოფს მწერალი. რეალისტური ხელოვნების ნაწარმოებში ადვილად დასანახი არ უნდა იყოს სიმპათიები, რომლებითაც ავტორი მის მიერ დახატულ გმირებს აჯილდოებს, ერთი მხრივ და უარყოფითი დამოკიდებულებანი, რასაც იგი თავისი ნაწარმოების პერსონაჟთა სხვა ჯგუფის მიმართ ავითარებს, მეორე მხრივ. ხელოვნების ქმნილება მაშინ არის უფრო ჭეშმარიტი, როცა მისი ავტორი ოსტატურად მალავს საკუთარ სიმპათიებს თუ ანტიპათიებს და თავისი მიუკერძოებლობის, მიუდგომლობის, ობიექტურობის შთაბეჭდილებას ქმნის. შეიძლება კი, რომ ამ თვალსაზრისით „ოქროს თევზის“ ავტორს ვერაფერი ვუსაყვედუროთ?

არჩილ სულაკაურის, როგორც პროზაიკოსის, შემოქმედებითი ინტერესების სფეროს წარმოადგენენ ბავშვებიც. იგი ერთობ გატაცებულია მოზარდთა სახეებითა და მოზარდთა ყოფის ასახვით, საერთოდ, სინამდვილის ისეთი მოვლენების ჩვენებით, რომლებიც ბავშვთა სამყაროს განეკუთვნებიან და ბავშვების ბუნებას ეხმაურებიან. იმაზე, თუ რაოდენ საგულისხმო ადგილია ეს არჩ. სულაკაურის შემოქმედებაში, აღარას ვიტყვით და პირდაპირ დავასახელებთ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების დასადასტურებლად ივარგებდა და რომელთაც სხვა თხზულებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი აღიარება და პოპულარობა მოუპოვეს ავტორს. საკითხი უმთავრესად ეხება ისეთ მოთხრობებს, როგორიცაა „მტრედები“, „ბიჭი და ძაღლი“. ბავშვები ამ მოთხრობათა ძირითადი ძალები არიან, როგორც იტყვიან, მთავარი გმირებია, და ნაწარმოებების შინაარსის მაორგანიზებელი მასალაც ბავშვურია ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით.

აღსანიშნავია, რომ „მტრედები“ და „ბიჭი და ძაღლი“ არ შეიძლება მოვაქციოთ იმ მოთხრობებს შორის, რომლებიც მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ იკითხონ. აქ ბავშვის ფსიქოლოგიის, ბუნების, ბავშვური ვნებების ფრიად გონივრული გაგება და გადმოცემაა მიღწეული და ამიტომ ისინი კანონიერ ინტერესს იმსახურებენ იმათი მხრითაც, ვინც ხნოვანებით საკმაოდ დაშორებიან ბავშვობას.

არჩილ სულაკაურის ზოგიერთ ნაწარმოებში ბავშვი, როგორც მხატვრული სახე, დამხმარეა. მაგრამ ეპიზოდურად გამოხატული ასეთი სახეებითაც მწერალს ერთობ საჭირო ემოციები შეაქვს ნაწარმოებში. დავუბრუნდეთ ისევ „ოქროს თევზს“! პატარა ზურიკო აქ თითქოს მნიშვნელოვანს არას წარმოადგენს, მაგრამ აბა სცადეთ და წარმოიდგინეთ დასახელებული რომანი ამ პატარა და კოლორიტული ფიგურის გარეშე? ვგონებ, რომ ეს საძნელო იქნება, ზურიკოც, ისევე, როგორც მირიანი და დათო, აქ თავისებური ოქროს თევზია. დათოს ოთახის ფანჯარასთან მდგომი ზურიკო აკვარეუმის კედლებს შორის მომწყვდეულ თევზს ჰგავს.[1] მირიანი და დათო თავიანთი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი ინდეფერენტიზმით გვაგონებენ ოქროს თევზს, ზურიკო კიდევ — თავისი ბავშვური ულონობისა და უმწიფარობის გამო.

ბავშვთა სამყაროსადმი ინტერესებმა, რაც არ-

---

1 აღნიშნული მომენტი მართებულად არის ხაზგასმული მხატვარ თ. სამსონაძის სურათში, რომელიც რომანის 1966 წლის გამოცემის შიგა ყდას ამშვენებს.

ჩილ სულაკაურის მოთხრობებშივე შეინიშნებოდა, განსაკუთრებული ძალით იჩინეს თავი მწერლის ზღაპრებში, რომლებიც ბოლო დროს მიიღო მკითხველმა, კერძოდ, შესანიშნავ „სალამურას თავგადასავალში", რითაც ავტორმა რუსთაველის სახელობის პრემია დაიმსახურა.

„სალამურას თავგადასავალი", როგორც ზღაპარი, ჩვენი ლიტერატურის სასურველი მოვლენაა იმის გამო, რომ იგი მდიდარია ფანტასტიკით, მომხიბვლელია მხატვრული სამკაულებით, გამსჭვალულია თანამედროვეობის სულით. რამდენადაც ვიცით, ამ ნაწარმოებს დიდძალი მკითხველი და პატივისმცემელი ჰყავს, როგორც ბავშვებს შორის, ისე მოზრდილ მკითხველ საზოგადოებრიობაშიც და ამით უეჭველად დასტურდება არჩილ სულაკაურის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის, მორიგი, კიდევ ერთი გამარჯვება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ბევრ თავის ნაწარმოებში არჩილ სულაკაური ხატავს ადამიანებს, რომლებიც მტკივნეულად განიცდიან თანამედროვე ხინამდვილის შეუწყნარებელ მანკიერებებს, მაგრამ როგორღაც არ ებრძვიან ამ უკანასკნელთ, უფრო საკუთარი ძალების ალაგმვას მიმართავენ. სულაკაურის მოთხრობათა გმირები რაღაცნაირი მომთმენი, დამთმობი ადამიანები არიან იმათ წინაშე, ვინც გაკიცხვას და გმობას იმსახურებენ. ეს გმირები, საზოგადოების უკეთესი, ზნეობრივად ამაღლებული ძალები, თავიანთ ხასიათებში თითქოს ვერ ეთვისებიან ძალადობას მაშინაც კი, როცა ეს ძალადობა სამართლიანია, მიმართულია თვითონ უსამართლო და უხეში ძალადობის აღსაკვეთად, სიავის დასათრგუნად. საკუთარ ძლიერებას, ზნეობრივ ღირსებებს ისინი, როგორც ამის წინაც მივუთითეთ, თავიანთი თავშეკავებით, მომთმენლობით ცხადყოფენ.

„ოქროს თევზში" შედარებით განსხვავებული სურათია. დადებითი გმირები აქ არც იმდენ თავშეკავებას და მომთმენლობას იჩენენ, როგორიც „ტალღებში" ან „წყალდიდობაში" შეინიშნება, და არც უარყოფითთან გადამწყვეტ შეჭიდებაზე მიდიან. იგივე მირიანი, დათო უკიდურესად გაღიზიანებული არიან შავი ნიკოს დანაშაულებრივ თვითნებობათა გამო. მიუხედავად ამისა, ვერ გადაუწყვეტიათ შეეჭიდონ მას, ვერ გადაუწყვეტიათ ჟურნალისტ გელას მაინც ამოუდგნენ მხარში, რათა ნიკო კორინთელზე საზოგადოებრივი აზრის თავდასხმა მომზადდეს. მკითხველს უძნელდება წინასწარ წარმოიდგინოს რას მოიმოქმედებენ ძმები ნათიშვილები მომავალში, როგორ ვიხილავთ მათ რომანის შემდეგ წიგნში, მაგრამ იმ ვითარების მიხედვით, რომელიც არჩ. სულაკაურმა უკვე დახატა, ისინი თითქოს რაღაცნაირ მოლოდინის მდგომარეობაში გვესახებიან, თითქოს ელიან, რათა სხვამ გააკეთოს მანკიერებისა და სიავის დათრგუნვის საქმე, რაც მათთვისაც საწადელია. მირიანს არ სურს შური იძიოს იმ ჭრილობისათვის, რომელიც ოდესღაც მისთვის საპატიმროში მიუყენებია შავ ნიკოს. ალბათ ფიქრობს, რომ მის მაგივრად ამას სხვები გააკეთებენ. დათოც ამავე დღეშია, ისიც თითქოს სხვის იმედად არის, ისიც ელის.

„ოქროს თევზთან" შედარებით „სალამურას თავგადასავალი" იმით გამოირჩევა, რომ მისი გმირები (სალამურა, სირბილა და სხვ.) არ არიან ასე სხვის იმედად მყოფნი. სხვის მიერ მოსაპოებელი გამარჯვების მოლოდინით თავშექცეულნი. იმ მოქმედების ხასიათს, რომელსაც დასახელებული ზღაპრის გმირები ეწევიან, ნაწარმოების ცალკეულ ნაწილთა დასათაურებითაც კი შევიცნობთ მაგალითად, „სალამურას თავგადასვლის" პირველ ნაწილს „განსაცდელი" ჰქვია და ამის შესაბამისად აქ მოთხრობილია გმირთა გასაჭირი, დევნა, რასაც ისინი ქონდარეთის სახელმწიფოს მესვეურთა მხრივ განიცდიან, ციცინათელების მწყემსი გოგონა ბაიას დატყვევება, თოკზე მოსიარულეთა ქალაქის მკვიდრი ბიჭის სირბილას ტანჯვა, ჭიამაიების მწყემსი სალამურას საზიანო ძალადობა..

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული, ბოლო მოეღო ქონდარეთის ავკაცთა ზეიმსაც. თუმცა ასეთი დასასრული, ქონდარეთის ვეზირთა დამარცხება, თავისით როდი მომხდარა. იგი სალამურამ, სირბილამ და მათთან ერთად მოქმედმა ხალხმა გამოიწვიეს ქონდარეთის ბოროტი მესვეურების წინაამდეგ თავიანთი გალაშქრებით. ამის შესაბამისად ზღაპრის ეს ნაწილი მწერალს შესაფერისადაც მოუნათლავს: „საქმენი საგმირონი" უწოდებია მისთვის. თვით მისი მტანჯველების: კოჭლი ჯამბაზის ალე ჰოპის და მოკრივე მიდი-მოადის მიერ გაწაფული სალამურა მარჯვედ უმკლავდება ქონდარეთის მეციხოვნეებს და გამარჯვებით აღაფრთოვანებს არა მარტო ტყვედპყრობილ მეგობრებს, არამედ მთელ ხალხს.. „ოქროს თევზის" გმირებთან შედარებით, ზღაპრული სალამურა მედგარი მებრძოლია, რომელსაც არ სურს მტრის ჯავრი შეირჩინოს.

ვინ იცის, ეგების მირიანისა და დათოს ხასიათთა განვითარებაც ანალოგიურად წარიმართოს!

დაველოდოთ „ოქროს თევზის" გაგრძელებას და ვნახოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა გოზალიშვილი

# იროდიონ ევდოშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში

ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა იროდიონ ევდოშვილმა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ყურადღება.

იროდიონის თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის სამი დღის შემდეგ, 1893 წლის 6 ივნისს „კვალში" (№ 23) პირველად დაიბეჭდა მისი ლექსი (და არა ლექსები). ეს იყო ლექსი „გუბე", რომელიც ი. ხ. — შვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა.

მეამბოხე დამწყებმა პოეტმა, ამ ლექსში მხატვრულ რეალურ ფერებში მკვეთრად და ალეგორიულად გამოხატა სწორედ სემინარიაში გაბატონებული რეაქციული სულშემხუთავი წესები. ახალგაზრდა პოეტმა, ჯერ ისევ მოწაფემ, სემინარია აშმორებულ გუბეს შეადარა. ლექსის — „გუბეს" „კვალში" პირველად გამოჩენის შემდეგ, იროდიონი ხანგრძლივად მიჩუმდა და 1895 წლის 7 მარტამდე მისი არაფერი დაბეჭდილა. ახალგაზრდა პოეტი ჯერ ისევ ძიების პროცესში იმყოფებოდა და ახალი ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობით საზოგადოების წინაშე ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა. 1895 წლის 7 მარტს გაზეთ „ივერიაში" მისი პირველი (რიგით მეორე ნაბეჭდი) ლექსი „გაზაფხული" დაიბეჭდა.

ამ ლექსით იროდიონი ევდოშვილის ფსევდონიმით გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე.

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" პირველად გამოჩენის შემდეგ ირ. ევდოშვილი რედაქციის მუდმივი თანამშრომელია. „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პოეტის მრავალი ლექსი: „ამონაკვნესი", „ქარიშხალი", „ჩემს ხანჯალს", „დედის მოთქმა", „მიბაძვა ნადსონისა", „ქრისტე აღსდგა", „ჩვენება", „შველის ნუკრი", „აგერა, მთვარემ ამოაშუქა", „ყორნის ბრალია", „მეგობრებს" და სხვა.

ირ. ევდოშვილის პირად საარქივო ფონდში არ არის შემონახული 1892-1896 წლებში დაწერილ თხზულებათა ავტოგრაფები. ყველაზე ადრეული ლექსებიდან, 1892 წელს დაწერილად ნაჩვენებია ერთად-ერთი ლექსი — „ვნახე ვარდი ჭინჭრებში ამოსული", რომელსაც ბოლოში დაწერის თარიღად 1892 წელი აქვს მიწერილი. ახალგაზრდა პოეტმა თავისი შემოქმედების დასაწყისი პერიოდის ამ ლექსს ეპიგრაფად წაუმძღვარა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის" გმირის იდეალი: **„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია"...** რაც ირ. ევდოშვილმა მომავალი ცხოვრების დევიზად გაიხადა. მან ამ ლექსში მოხერხებულად და მკაფიოდ გამოხატა მთელი თავისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზანი: ჩაგრული მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის თავდადებული ბრძოლა. ამ ლექსით პოეტმა თავისი სანუკვარი მიზანი შემდეგნაირად გვამცნო:

ვნახე ვარდი, ჭინჭრებში ამოსული,
იმათ შუა გაეხლართა ნორჩს ტოტი,
სურნელოვანს, გაფურჩქნილსა, პირბადრსა,
არ ვიცი, რად დაეტოვა წალკოტი.

გამიკვირდა, დავეკითხე მე ვარდსა:
„აქ რადა ხარ და არ ამშვენებ ბაღსა?“
მან მომიგო: „იქ ბევრია ჩემგვარი,
მე აქ მოველ, დავამშვენო ჭინჭარი!

ვარდის სახით პოეტმა დაგვიხატა ღრმა თანაგრძნობა და სიყვარული დაჩაგრულისადმი, ზოგად სახეებში მოგვცა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება პირადი მსხვერპლის გაღებით დაჩაგრულთა საერთო ბედის გაზიარება.

1895 წლის მანძილზე „ივერიაში“ პოეტმა ბევრი თხზულება გამოაქვეყნა. ლექსებს გარდა დაიბეჭდა მისი სამი პოემა: „სისხლი აილო“, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ და „ელენე“; მოთხრობა „მიხა დალაქი“. ამავე წელს „მოამბეში“ დაიბეჭდა მოთხრობა „ორი ობოლი“.

როგორც რედაქციის მუდმივი თანამშრომელი, ირ. ევდოშვილი მხატვრულ თხზულებათა გარდა, წერდა აგრეთვე ყოველდღიურ საგაზეთო წერილებსა და ფელეტონებს საჭირბოროტო საკითხებზე.

ირ. ევდოშვილის თანამშრომლობა „ივერიაში“ გაგრძელდა 1896 წლის 15 მარტამდე. ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა მოთხრობა „სასუნელი ენოქი“, პოემა — „ლეკი ისმაილ“, ლექსები: „როს დასავლეთით გადიხრება მზე“, „შრომა, ოფლის ღვრა“ და „მე დავიბადე ძველს წნულის ქოხში“.

საზოგადოებისათვის ამ დროიდან ირ. ევდოშვილი უკვე ცნობილი პოეტია და ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, შეუნელებელი ენერგიით მიიმართება წინ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სოციალურ უთანასწორობასთან გაჩაღებულ ბრძოლაში უკეთესი მერმისისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

1895—1896 წლების „ივერიაში“ ირ. ევდოშვილის გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქცია იძლევა გარკვეულ სურათს პოეტის მხატვრული გემოვნებისა და მამოძრავებელი მოტივების (იდეის) შესახებ.

„ივერიაში“ ირ. ევდოშვილის ლექსის — „გაზაფხულის“ პირველად გამოქვეყნებიდან ოთხი დღის შემდეგ დაიბეჭდა მისი მეორე ლექსი „ამონაკვნესი“. ამ ლექსში პოეტი ხატავს ბედისაგან დაჩაგრული ადამიანის განწყობილებას, რომელსაც ჭაბუკობიდანვე ცხოვრებაში წილად ცრემლი და მწუხარება ერგო. ჩაგვრისაგან გაწამებული და წელში მოღუნული ჭაბუკი ბედს ემუდარება, ერთხელ მაინც ტკბილად მამღერეო. ეს ლექსი საერთო ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის ბურუსში გახვეული ბედის მომდურავი, დაჩაგრული ადამიანის განწყობილების გამომხატველია.

ბედო ტიალავ, აბა რათ,
რათ შემომიჩნდი ჭირათა?
არ გამალაღე, არ იქნა,
ცრემლი მარგუნე წილადა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისადმი საერთო მორჩილების, გოდებისა და მოთქმის პასიურ გრძნობათა გამოვლინებას პოეტი იძლევა აგრეთვე ლექსში — „დედის მოთქმა“. ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი მიმართავს დედას და ემუდარება, რომ შავები ჩაიცვას და საერთო გლოვითა და მწუხარებით ცოცხლადვე გამოიტიროს იგი, რადგან, თუმცა ცოცხალი დაიარება, მაგრამ სიცოცხლე გამწარებული მკვდართან არის დასადარი.

ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში ჩაბმული პოეტი, თავის გარშემო ხედავს აგრეთვე ყალბ მეგობრებს, რომლებსაც, თითქოს ხალხისათვის გულშემატკივრობით, „წმინდა დევიზი და იდეალი“ თავიანთი ბრძოლის საგნად გაუხდიათ. ასეთი „მეგობრებისათვის“ საკმარისი იყო პირადი კეთილდღეობის მოპოვება, რომ მაშინვე მიეტოვებინათ „აღტყინებული აზრთა ტრფიალი“ და „მჭერმეტყველური სჯა და ბაასი“. პოეტი სასტიკად ამხელს შემთხვევით ხალხს მიტმასნილ ზოგიერთ მეგობრებს, ჰგმობს მათ ორჭოფობას და ღალატს ხალხის საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში.

პოეტს, რასაკვირველია, სამარცხვინოდ მიაჩნია იმ „მეგობრების“ მოქმედება, რომლებმაც პირადი კეთილდღეობის მოპოვების შემდეგ მიატოვეს ხალხის სამსახური იმ დროს, როდესაც მათ გარშემო კვნესა და მწუხარება ისმის. პოეტის შემოქმედებაში ამ ლექსის თემა ახალი იყო. ამით მან უაღრესი გულწრფელობით ამხილა გადაგვარების გზაზე შემდგარი „მეგობრები“, რომლებმაც, პირად განცხრომაში ჩაფლულებმა, ხალხის საერთო საქმეს უღალატეს და ზურგი შეაქციეს.

„ამონაკვნესის“ გამოქვეყნებიდან მესამე დღეს „ივერიაში“ გაიელვა ირ. ევდოშვილის მებრძოლი განწყობილების მაუწყებელმა ლექსმა „ქარიშხალი“.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული სოციალური უთანასწორობის შედეგად ამოვარდნილი ქარიშხალის მოახლოებამ შესძრა პოეტის მთელი არსება. მან უკვე შორეულად იგრძნო მისი გრიალი, რომელიც არემარეს ეხეთქებოდა, რისხვას უთვლიდა ძველ სამყაროს და ტალღებს სტყორცნიდა მის გასანადგურებლად.

ბრძოლის წყურვილით არის აღგზნებული პოეტი, რომელსაც სულ არ აშინებს ჭექა-ქუხილი, „არც მთისა რისხვა ბარზედა“. მან კარგად იცის, რომ ამოვარდნილი ქარიშხალი — ეს სიმბოლო დაჩაგრული მასების თავგანწირული ბრძოლისა, აუცილებლად წალეკავს უთანასწორობაზე დამყარებულ, ჩაგვრის სამეფოდ გადაქცეულ საზოგადოებრივ წყობი-

ლებას. მომავლის ღრმა რწმენით და იმედით აღსავსე პოეტი გვეუბნება:

„ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგა
მზე გამოკრთება ცაზედა
და თავის სხივსა, უმანკოს,
აათამაშებს ნამზედა.

მაშინ ბულბულიც ცრემლის წილ
დაუკრავს ლხენის ხმაზედა,
დაჰყეფს, დასძახებს, ჩამოჰკრავს
სხვაგვარ მომართულ ჩანგზედა!“

პოეტმა კარგად იცის, რომ მანამ ქვეყნად ჩაგვრაა გამეფებული, ხალხი შვებასა და თავისუფლებას ვერ იგრძნობს. ამის გამო თვით ბულბულსაც არ მართებს და არც ძალუძს, რომ აღარს უმღეროს „მზის შესადარი ქებანი“! მოახლოებული „ქარიშხლის“ მაუწყებელი პოეტი ჯერ კიდევ ჰუმანურობისა და საერთო, ზოგადი დემოკრატიის პრინციპებზე იმყოფება. მისთვის აშკარაა, რომ თუ „დრო ბრწყინვალე, დრო დიადი“ არ დადგება, შეუძლებელია მაშვრალი ერის თავისუფალი ცხოვრება.

პოეტი ხედავს, რომ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი — მშრომელი გლეხობაც მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობს. გლეხი დილიდან საღამომდე შრომობს, ოფლს იწურავს და იმედით შეჰყურებს საკუთარი მარჯვენით მონაგარ სარჩოს, მაგრამ ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალით, ეს მონაგარი მას ხელიდან ეცლება. გაჭირვებაში მყოფი გლეხი, მევახშე-ვაჭრის ვალში ჩავარდნილი, უმოწყალოდ იყვლიფება. მშრომელი გლეხის ამ უმწეო მდგომარეობას მხატვრულად, რეალისტურ ფერებში პოეტი კარგად გამოხატავს ლექსში — „ყორნის ბრალია“. გლეხმა დიდი ჯაფისა და შრომის შედეგად მოსავალი მოიყვანა, კალოზე დაახვავა და იმედით შეჰყურებდა ხვალინდელ დღეს. მაგრამ ეს იმედი მალე უცრუვდება, რადგან ცხოვრების სინამდვილე მას დიდხანს არ ახარებს. დღიური შრომის დაწყებისთანავე დილაადრიან თავს ყორანმა დასჩხავლა, რაც ცუდის მომასწავლებლად მიიჩნია. მართლაც, იგი ვერ ასცდა ჩარჩის ბრჭყალებს, რომელიც მოულოდნელად თავს დაესხა და სარჩო ხელიდან გამოაცალა.

ლექსში არის არა მარტო სინამდვილის პასიური ჭვრეტა, არამედ მასში მოჩანს აგრეთვე ავი ბედის წინ მოუდრეკლობა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხი ჩარჩის მსხვერპლად არის გამხდარი, მას მაინც იმედი აქვს, ერთხელაც იქნება ავის მომასწავებელ ყორანს მომავალში ბოლო მოეღება, მოისპობა და განადგურდება.

პოეტისათვის აშკარაა, რომ მის გარშემო ბოროტებაა გამეფებული, მტერი და ორგული ადამიანებით სავსეა ცხოვრება და საჭიროა მათ წინააღმდეგ მოქმედება. მიუხედავად ამისა, პოეტი ჯერ კიდევ ვერ მისულა კლასობრივი ბრძოლის იდეამდე. იგი პირდაპირ დანიშნულებისათვის ვერ იყენებს ცეცხლში ნაწრთობ ფოლადის ბასრ ხანჯალს (ლექსი „ჩემს ხანჯალს“). პოეტს ხანჯალი უყვარს და უნდა არა იმიტომ, რომ მით მტერი და ორგული ჩეხოს. იგი სისხლისღვრას ერიდება და ეს არც საჭიროდ მიაჩნია. ამჯერად იმით კმაყოფილდება, რომ ხანჯალი ბასრ ენას მოაგონებს, რომლითაც ამხელს გაორგულებულ და მტრად გადაქცეულ ადამიანებს. პოეტი ხანჯალს ცხოვრებაში გამეფებული უსამართლობის სამხილებელ მძაფრ იარაღად წარმოიდგენს, რომელმაც უნდა გაფანტოს და სააშკარაოზე გამოიტანოს ქვეყნად დამკვიდრებული ბოროტება.

ირ. ევდოშვილის ამ დროის შემოქმედებაში ძლიერ ნაკადად დაიწყო დენა ხალხის საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლის გამომხატველმა, ზოგად ადამიანურმა, მოქალაქეობრივი სიკეთითა და სიყვარულით გაჟღენთილმა მოტივებმა. პოეტს აწუხებს მოუწესრიგებელ საზოგადოებრივ საკითხებზე ფიქრი. ხშირად ჭმუნვარება იპყრობს და მის გულს სევდა ეუფლება. მის გარშემო არსებულ ცხოვრებას: წარსულს, აწმყოსა და მომავალს გამოურკვეველი ფიქრებით დასტრიალებს და ცდილობს, ყველაფერს ჩასწვდეს, შესაფერი ახსნა მისცეს, გამოეხმაუროს და თავისი მხატვრული სიტყვა თქვას. ახალგაზრდა პოეტის გულს აწუხებს სოციალური უსამართლობით დამარცხებულ ადამიანთა მწარე ხვედრი. მის ცნობიერებაში ღრმად იჭრებიან დუხჭირი ცხოვრებით განაწამები, დაღუპულ ადამიანთა სახეები. ამ ადამიანთა სახეები პოეტმა წარმოუდგინა ეგნატე ნინოშვილის მიერ მაშინდელი ცხოვრების სინამდვილიდან გამოძერწილი ლიტერატურული გმირების ჩვენებით. ამ განაწამებ ადამიანთა საფლავებს, პოეტის რწმენით ვარსკვლავები დანათიან. მის ყურადღებას იპყრობს ცაში გადმოკიდებული ერთი ვარსკვლავი, რომელიც სიბრალულით დასცქეროდა პალიასტომის ტბას, მის ბუჩქნარიან მიდამოს, „აგორაკებულს მიწას, მწვანით გადახავერდებულს ერთმანეთში გახლართულს ვარდის ტოტებით“. პოეტი მიგვითითებს ერთ განმარტოებულ ადგილზე და გვეუბნება: — „ეს „ქრისტინეს“ საფლავია, ოდესღაც „უმანკო ქრისტინესი“. უსამართლო სოფელმა გააბიწიერა იგი, მაგრამ, რამდენადაც ის შელახულია, იმდენად წმინდაა, იმდენად სპეტაკია. აგერ ბულბული შემოჯდა ვარდზედ და სევდიანის ხმით დაჰკვნესის წამებული „ქრისტინეს“ საფლავს. ვეღარ გაუძლო, ცრემლიანი თვალები მოარიდა და ახლა მის გვერდზედ მეორე საფლავს მიაჩერდა“.

პოეტის განმარტებით, მეორე საფლავი საძულველი ადამიანის, დავით დროიძის საფლავია, რომელსაც ასე აგვიწერს: — „ოხ, ღმერთო ჩემო, რა საზიზღარია ეს საფლავი! სულშემხუთველი, მძორის სუნი ამოდის იქიდან. მთლად გადათხრილია, გველის სოროებით დახვრეტილი, ბაყაყი მოსჯდომია თავით და საზარლად ვაჰყიყინებს. ეს „დროიძის“ საფლავია, სიცოცხლეშივე სულით გახრწნილი „დროიძისი“. მას დასცქერის ვარსკვლავი მრისხანედ, თითქოს ეუბნება: „გადავთხრი მაგ შენს საზიზღარ საფლავს და ქვეყანას დავანახვებ შენს სიმყრალესაო“.

პოეტი აღშფოთებულია სიკვდილის ულმობელობით და უსამართლობით. იგი მას ასე მიმართავს: „რა გინდა, რა, გულქვავ, ჯოჯოხეთის ნაშობო, გაავთრებულო სიკვდილო? თუ გგონია, ისე მძლავრია სისხლით ნაბანი შენი ცელი, რომ ერთიან მოჰსრავ ქვეყანას? არა! აგერ უყურე, მეორე მხრიდან როგორ ამოკვეთა ცა კიდევ ვარსკვლავმა! რა არის, მაგას მაინც დაეხსენ, არ გებრალება? მაგას სიცოცხლე უნდა, ჯერ პატარაა, ეხლახან მოვიდა ქვეყანაზედ. ნუ იქნები ეგრე გულქვაც. მე მაინც შემიბრალე, მე მიყვარს ეგ ვარსკვლავი. ეგ ჩემი მეგობარია! აბა, უყურე, როგორ ნელ-ნელა ჰმართავს ნორჩს ბრწყალებს, რა ლამაზ-რულად იყურება! ოხ, მოიცა, ნუ მომტაცებ სამუდამოდ საყვარელს მეგობარს, ნუ... მაგრამ განა შენ გესმის ხვეწნა-მუდარა? ოხ, რომ შემეძლოს ჩავიყარო გულში ჩემი ბრწყალები, რა სიამოვნებით დავფათრავდი ნაკუწ-ნაკუწ! დაწყევლილო. მაგას შევსტრფოდი ესოდენ ნაღვლიან შესმული და ეგეც შეგშურდა, ჯოჯოხეთო?! დამამცირებელო, დამამგლოვიარე!“

პოეტს იმავე ხანებში დაწერილი აქვს ლექსი — „ჩვენება“, რომელშიაც მან ნათლად წარმოგვიდგინა მომავალი ბრძოლის მიზანი. უკუღმართი ცხოვრებით გამოწვეულ ფიქრთა მღელვარებით დაღლილ-დაქანცულ პოეტს ერთხელ უიმედობის ცრემლთა დენაში ჩასძინებია. როგორც ჩანს, მას ძილშიაც არ ჰქონდა მოსვენება, იტანჯებოდა და „გულს კაეშანი არ ნელდებოდა“. ამ დროს პოეტს შავებით მოსილი „ქალწული ვინმე“ გამოეცხადება, რომელიც იდუმალი გრძნობით მისი გულის კარებად გამხდარა. პოეტი მის წინაშე მოწიწებით მუხლს იყრის და ოცნებით ეალერსება. ქალწული თავის მხრივ მუდამ თვალყურს ადევნებს პოეტის გულის კვნესას, მის ტანჯვასა და მწუხარებას. ხედავს რა იგი პოეტის ცრემლით ნაბან თვალებს, ეკითხება თუ რა აწუხებს მას და რა არის მისი ტანჯვისა და მწუხარების მიზეზი? — მოვლენილ ქალწულს პოეტი შესჩივის, რომ იგი ქვეყნად გამეფებულმა უსამართლობამ სათამაშო ბედისწერად გადააქცია და მსხვერპლად შეიწირა.

პოეტს არ ძალუძს, გულდამშვიდებით უყუროს ჩაგრულთა და მაშვრალთა ტანჯვით აღსავსე ცხოვრებას. ამის შედეგად იგი გულნაკლული და თვალცრემლიანი მწუხარებას მისცემია. უიმედობაში ჩავარდნილ ჭაბუკ პოეტს მოევლინა მშვენიერი ქალწული. იგი გამოსავალს აჩვენებს და ასწავლის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს უსამართლობითა და ჩაგვრით აღსავსე ცხოვრების მოსპობისათვის.

პოეტი გახარებულია ქალწულის დარიგებით და მოსწონს მისი მოწოდება. იგი მზადაა თავი შესწიროს ჩაგრული ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ თავის თავში ჯერ კიდევ არ არის ღრმად დარწმუნებული, არ არის გარკვეული, დაეჭვებულია თავის შესაძლებლობაში. პოეტი გვეუბნება: უღონო ვარ, ქმნილება სუსტი და ვით შევიძლებ მედგარ ბრძოლასაო.

პოეტის ასეთი გულწრფელად აღიარებული პასუხით კმაყოფილმა ქალწულმა დახმარება აღუთქვა. სამაგიეროდ მან პოეტს მტკიცე ფიცი მოსთხოვა, რომ იგი „წმინდა ზრახვათ“ არ უმტყუნებდა. „წმინდა იარაღს“ ბირქს არ წასცხებდა და ბრძოლის ველიდან უკან პირს არასოდეს არ იბრუნებდა. ამაზე პოეტმა უყოყმანოდ შეჰფიცა:

ვფიცავ მის სასტიკ მართლმსაჯულობას,
შემწიკვლულ დროშის გაბრწყინვებასა,
შეუპოვრობას, მედგარ ბრძოლასა,
უსამართლობის დამარცხებასა!..

ფიცის სიმტკიცეში დარწმუნებული ქალწული ჩააგონებს ჭაბუკ პოეტს, რომ მან გულს არასოდეს შიში და ძრწოლა არ დაიჩხიოს, ყველგან ჩანგი განუწყვეტლად თანა ჰქონდეს და მით გამოთქვას ყურით ნასმენი და თვალით ნახული, ქვეყნად გამეფებული უსამართლობა. ქალწული ასწავლის და იმავე დროს გადაჭრით მოითხოვს მისგან, რომ ცხოვრების ყოველგვარი სიავის მოსასპობად გაწეულ მედგარ ბრძოლაში პოეტს პასუხად უნდა ჰქონდეს: „უკუღმართს სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“.

ამ ჩაგონების შემდეგ აღფრთოვანებულ პოეტს სურდა თაყვანი ეცა მისთვის, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მშვენიერი ქალწულის აჩრდილი — ჩვენება თვალთაგან უცებ მიეფარა და გაჰქრა. პოეტმა ამის შემდეგ შვება იგრძნო, გული სიხარულის ცრემლით დაენამა და ახლა უფრო ნათელი გახდა მისთვის მომავლისათვის ბრძოლის მიზანი.

ირ. ევდოშვილმა ლექსში — „ჩვენება“ სურვილი გამოთქვა საბოლოო მიზნად დაესახა საზოგადოებრივ უკუღმართობასთან ბრძოლა. პოეტმა შემდეგ ეს ბრძოლა მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად გაიხადა.

„ჩვენებას“ შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და 21 მაისს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ირ. ევდოშვილის ლექსი „მეგობრებს“. ირ. ევდოშვილის მანამდე უკვე დამსახურებული პოპულარობა და სიყვარული ამ ლექსმა უფრო მეტად გააძლიერა და განამტკიცა.

ირ. ევდოშვილი ამ ლექსით საზოგადოების წინაშე აღიმართა, როგორც რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე პოეტი, პოეტი-ტრიბუნი მშრომელთა მასებისა, რომელიც ძლიერი ხმით საბრძოლველად მოუწოდებდა ხალხს ძველი დახავსებული საზოგადოებრივი წყობილების მოსასპობად.

ამ ლექსში პოეტი უკვე კლასობრივი შურისძიებით არის ანთებული და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ღრმად სწამს, რომ საჭიროა იარაღით ხელში შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლა. ორი თვის წინათ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ლექსში „ჩემს ხანჯალს“ პოეტი ერიდებოდა მტრის ჩეხვას, სისხლის ღვრას და კმაყოფილდებოდა მხოლოდ მხილების საშუალებით ორგული ადამიანებისა და მტრების ლხენის შოშლით. ეხლა იგი ამას უკვე აღარ სჯერდება და მებრძოლ ამხანაგთა რაზმს მოუხმობს, თუნდაც „მკერდს სისხლის ღარი აჩნდეს და შუბლს ოფლის ნაკადული“, ნუ შედრკებით მტრის წინააღმდეგ შეტევის ჟამსაო. ბრძოლის ჟინით ანთებული პოეტი მშრომელ ხალხს მოწოდებით მიმართავს:

წინ, წინ, მედგრათ შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

პოეტს კარგად ესმის, რომ რევოლუციური ბრძოლის ძნელად სავალ გზაზე ადგილი ექნება სულით დაცემულ, ზნეგატეხილ ადამიანების — „უგვანო შვილთა“ მოქმედებას საერთო საქმის საზიანოდ. ასეთი მერყევი და ორგული ადამიანები არსებული უკუღმართი წყობილების წინაშე მონურად ქედს მოიხრიან, პირადი ბედნიერებისათვის არ მოერიდებიან „ავარჯიშონ საქვემძრომოთ მკლავი, ენა, რომ ამით სხვა აკვნესონ და ამ კვნესით თვით იპოვონ შვება-ლხენა“. პოეტი ამ ჯურის ადამიანებს ზიზღით ჰგმობს. მას სწამს, რომ „მომავალი იმათ თვის ხვედრს წარმოუძღვნის — დასდებს მსჯავრსა და „შეაჩვენებს იმათ საფლავს, სამარცხვინოს, საზიზღარსა!“.

სამარცხვინოდ და საზიზღრად მიაჩნდა პოეტს არსებული საზოგადოებრივი წყობილების წინაშე მორჩილება და ქედის მოხრა. მისი ღრმა რწმენით, სოციალური უსამართლობის მოსპობა მხოლოდ ბრძოლით შეიძლება. მანამდის კი მისი ლხინი ბრძოლაა „სატრფიალო გულს იმედი“. პოეტი გადაჭრით მოითხოვს, რომ „ჩარხუკუღმართი“ ცხოვრების წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროა უშიშარი, შეუდრეკელი ბრძოლა, ბრძოლა, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს „სიმართლისა და ძმობის დროშა“.

ირ. ევდოშვილის „მეგობრებს“ იმ დროს ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირ რევოლუციური ბრძოლისაკენ მომწოდებელი ლექსი იყო. ამ ლექსით გულაღგზნებული მშრომელი მასა პირველი რევოლუციის პერიოდში მიდიოდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლექსის ძლიერი მომწოდებელი ხმა გაისმოდა მუშათა რევოლუციური გამოსვლების დროს, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე. მშრომელი ხალხი ამ ლექსს მღეროდა და მათს რიგებში უფრო მეტად ძლიერდებოდა საბრძოლო განწყობილება.

საბჭოთა ეპოქის დიდი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, 1905 წელს ქ. ქუთაისში მუშათა დემონსტრაციების მონაწილე მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით მღეროდა ლექსს— — „მეგობრებს“ და ხშირად მიტინგებზედაც წარმოსთქვამდა ხოლმე.

როგორც დავინახეთ, ირ. ევდოშვილმა პირველივე ლექსში ასახა სოციალური უსამართლობით გამოწვეული მშრომელი ხალხის უუფლებობა, ჩაგვრა და მძიმე ეკონომიური სიდუხჭირე. ზემოთ ნახსენებ ლექსებს გარდა. ასეთ ლექსთა რიგს, რომლებიც თანმიმდევრობით გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდებოდა, განეკუთვნება: „აი, კვლავ სევდა ეწვია გულსა“, „როს ტოლთა შორის“, „მუსიკას“, „სულ არ მივსტირი გაზაფხულს“, „იმ დროს, როდესაც ჩვენი მგოსანი“ (რაფ. ერისთავისადმი), „შრომა... ოფლის ღვრა“, „მე დავიბადე ძველს წნულის ქოხში“ (მუშა“) და სხვ.

ყველა ამ ლექსში პოეტი თავს დასტრიალებს საზოგადოებრივი და სოციალური უთანასწორობით ფეხქვეშ გათელილ მშრომელთა ბედილბალს, მათს მწარე ხვედრს. პოეტის გულს „აი კვლავ სევდა ეწვია“ და მწარე ნაღველი თვალთაგან ცრემლებს აღვრევინებს. ეს გამოწვეულია არა პირადი უბედობითა და მდგომარეობით, არამედ ირგვლივ გამეფებული მშრომელთა უნუგეშო ყოფით. მას არ ძალუძს დამშვიდებით უმზიროს ქვეყანას, რადგან „მის გარშემო დაბა-სოფელი კვნესით აღსავსე“, ცრემლით ირწყვება, ხოლო მათ კვნესასთან ერთად ისმის „მჩაგვრელთა სიმღერა, სიცილ-ხარხარი“, პოეტს შესაზარ ფერებში ეხატება „მაშვრალი ხალხის“ ცხოვრება და სწორედ ამის გამოა იგი აღშფოთებული, სევდიანი და მწარე ნაღველით შეპყრობილი.

დღემდე უცნობ ერთ თავის გამოუქვეყნებელ ლექსში „საღამო“, რომელიც იმავე დღეებშია დაწერილი, როცა ლექსი „აი, კვლავ სე-

ვდა ეწვია გულსა“, ირ. ევდოშვილი გამოხატავს იმავე საზოგადოებრივი ცხოვრების უკულმართობით გამოწვეულ მძაფრ ტკივილებს.

პოეტის თვალწინ რეალურ ფერებში გადაშლილი ცხოვრების მწარე სინამდვილეა, რომელიც თითქოს მაცდური ცბიერებით იწვევს ჭაბუკის გულს სიტკბოების დასაწაფებლად. თვით ვიგრძენ შენი უსამართლობის სისხლით შესვრილი ბასრი ბრჭყალებიო, — მიმართავს პოეტი მაშინდელ საზოგადოებას და ბრძოლას უცხადებს მას:

დეე, არ ვნახო აქ მოსვენება...
და ჭირის ოფლში ვცურავდეთ მარად,
ძმობა, ერთობა, თავისუფლება
წინ მიგვიძღვოდეს კვალად და კვალად!

ასე მძაფრად, ასე ძლიერად შემართებული პოეტი უპირისპირდება ძველ სამყაროს, რომელსაც ქარიშხლიანი აღშფოთების ძლიერი ნებისყოფით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უცხადებს ბრძოლას, პოეტს სურს საზოგადოებრივ უსამართლობასთან გამართულ ბრძოლას მსხვერპლად შეეწიროს. თვით მოძმეთ იგი შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებს და იმავე დროს ანდერძად უტოვებს მათ, რომ თუ იგი ბრძოლის ველზე დაეცემა, გადალახონ მისი გვამი და „იბრძოლონ, ვიდრე სიბნელე ლამეს ჰფარავს სამყაროს კიდით კიდესა და ვიდრე ლამე ადგილს დაუთმობს სინათლის მომფენ მზიანსა დღესა“. პოეტს მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნია შესაძლებლად, „განიბნეს სიბნელე ლამის, ალმოსავლეთით ჩნდეს განთიადი“ და „დიდის დიდებით ალსდგეს, ალიგზნას მზეი დიადი“. უდიდესი ალტაცებითა და რწმენით პოეტი გვაიმედებს:

მაშინ დამაშვრალთ... ს(ისხ)ლიან მკერდსა
დილის ნიავი მოედინება,
შესწყდება კვნესა და გამეფდება:
სიყვარული და თავისუფლება!.

ამ ლექსის აშკარა ცხოველმყოფელმა შინაარსმა, მისმა მკვეთრმა მისწრაფებამ დააფრთხო მეფის ცენზურა და მისი გამოქვეყნება საშიშად იქნა მიჩნეული.

დამაშვრალი ხალხის სიყვარული, კვნესაგოდებისა და ვაების მოსპობისათვის შეუპოვარი ბრძოლა, „სიმართლის დროშის“ ქვეშ მებრძოლთა მოწოდება, შურისძიება მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ძმობა, ერთობა, თავისუფლება. — აი მთავარი და ძირითადი მოტივები ირ. ევდოშვილის შემოქმედებისა, რომელიც აისახა „ივერიის“ ფურცლებზე. მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე.

ცხოვრებაში გამოსვლისთანავე ჭაბუკი პოეტი ღრმად ჩაუფიქრდა კაპიტალისტური განვითარების საფუძველზე არსებულ მოუწყობელ საზოგადოებრივ უთანასწორობას. იგი ნათლად ხედავს, რომ საზოგადოება გაყოფილია ორ მთავარ მოპირდაპირე ბანაკად: ერთ მხარეს არიან მდიდარი ბატონები, რომლებიც უკანონოდ მითვისებული სხვისი შრომით უზრუნველად ცხოვრობენ, ხოლო მეორე მხარეს არის ღარიბ-ღატაკი, ჩაგრული მშრომელი მასა, რომელიც თავის სიცოცხლეს განუწყვეტელ აუტანელ შრომაში ატარებს და მაინც მშიერტიტველი რჩება, რადგან მის შრომას სხვები ძალმომრეობით ითვისებენ.

პოეტის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას დაემთხვა „ჟამი შავბედიანი“.

მიუხედავად გარშემო არსებული უკულმართობისა, პოეტი უდიდესი რწმენით შეჰყურებს მომავალს. იგი სულ არ მისტირის გაზაფხულის გასვლას, დამჭკნარ ყვავილებს, ზამთრის სუსხისაგან გახუნებულ, დამზრალ არემარეს, რადგან მომავლის იმედი კიდევ უღვივის გულში:

როს ბულბულის წილ მეგობართ ხმა ესმის
მამულსა,
როს ხალხის გულში სიმართლის ხმა დღეს
იფურჩქნება,
ჰსუსხავს ზამთარი, მაგრამ იგი მაინც არ
ჰკნება!

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ უკანასკნელად გამოქვეყნდა ირ. ევდოშვილის ლექსი „მუშა“. მან ამ ლექსში უდიდესი თანაგრძნობით, პოეტური სითბოთი და სიყვარულით დაგვიხატა არა ტიპიური სახე მუშისა, არამედ საზოგადოდ მშრომელი დაჩაგრული ადამიანი, მისი მდგომარეობა და თავგადასავალი.

ამ პატარა ლირიკული ლექსის გმირი მუშა — მშრომელი დაიბადა ძველს წნულის ქოხში. მუშას ლერწამი ჰქონდა აკვნად, ზევიდან ჩვარი ძლივსღა ჰფარავდა და სიცივით უკრთოდა შიშველი ტანი. მას დაბადებიდანვე თან დაჰყვა დაუსრულებელი ტანჯვა და ვაება, სევდა და მწუხარება. იგი გაიზარდა უკიდურეს გაჭირვებაში, შემდეგ მისი საარსებო პირობები უფრო გაძნელდა, რადგან „რკინის უღელ ქვეშ“ მოახრევინა ცხოვრებამ ქედი და სიკვდილამდე დაუსრულებელ მძიმე შრომაში ვინმე ბატონსა „უპოხიერებს ოფლით მამულსა“.

საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უსამართლობასთან საბრძოლო რევოლუციური განწყობილების გაღრმავების მიზნით, ირ. ევდოშვილი იმავე დროს წერს ლექსებს ჩვენი სამშობლოს წარსულის გმირულ მაგალითებზე. ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსებითაც პოეტი ხალხში აღვივებს კეთილშობილურ პატრიოტულ თავგანწირულებას, გმირობას, სი-

მამაცეს და ამით ხელს უწყობს რევოლუციურ აღფრთოვანებას ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ შეუპოვარ ბრძოლაში.

1895 წლის სექტემბერში ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით იდღესასწაულა ისტორიული დღე — სამშობლოსათვის თავდადებულ კრწანისის გმირთა ხსოვნის ასი წლისთავი. ირ. ევდოშვილმა ამ გმირული ისტორიული თარიღის აღსანიშნავად დაწერა ლექსი — „ვუძღვნი კრწანისის გმირთ“.

გმირი მეფის — ერეკლე მეორის მაგალითზე პოეტმა დაწერა აგრეთვე პოემა „ლეკი ისმაილ“.

ირ. ევდოშვილის პირველი წლების შემოქმედებაში და შემდეგშიაც საერთოდ, სიყვარულის გრძნობის გამომხატველ. სატრფიალო ხასიათის ლექსებს ძალიან მცირე ადგილი უკავია. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი ხასიათისა. თვით პოეტის შემოქმედების ზოგად ბუნებიდან გამომდინარეობს ეს გარემოება, რადგანაც მისი პოეზია უაღრესად სოციალურია, საზოგადოა და, ცხადია, პირად ლირიკულ განცდებს, სატრფიალო გრძნობების გამოხატვას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. მისი ამ დროის პოეზიიდან გამოირჩევა მხოლოდ ერთად-ერთი ლექსი, რომელიც ტრფიალებას გამოხატავს. ეს ლექსი არის — „ლამაზმა ქალმა ღიმილით თვალს გამიყარა თვალია“. საკმარისი სიცხადით ამ ლექსიდანაც ჩანს, რომ პოეტი არც სატრფიალო გრძნობებისადმია გულგრილად განწყობილი და მასაც თავისი ხარკი მიუზღო.

ირ. ევდოშვილმა თავიდანვე ყურადღება მიაქცია კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პირობებში ლუმპენპროლეტარების ცხოვრებას. ეს თემა თვით მაშინდელი ცხოვრების სინამდვილემ წამოაყენა. პოეტმაც „ივერიაში“ თანამშრომლობის პერიოდში ამ თემას უძღვნა მხოლოდ ერთი ცნობილი ლექსი — „მატანტალა“. ამ ლექსში პოეტი გვიხატავს საზოგადოების კაპიტალისტური განვითარების შედეგად წარმოშობილ ქუჩის ხალხს, რომელიც ცხოვრების გერად არის მიჩნეული.

ცხოვრების გერი, „ქედწახრილი მუშა“, მანამ ჯანღონით სავსე იყო და შრომა შეეძლო, მაშინ ესაჭიროებოდა კაპიტალისტური ჩაგვრის სისტემაზე აგებულ საზოგადოებას — „უკუღმართს... გულქვას — და სიმართლის დამაგმობელსა“, მაგრამ გავიდა დრო და მძიმე შრომაში მოღლილი მუშა დაავადდა, ჯანმა უმტყუნა, მკლავი დაუსუსტდა და „გულქვა“ საზოგადოებამაც ზურგი შეაქცია, ქუჩაში გაისტუმრა. ეხლა იგი საზოგადოებას აღარ ესაჭიროება, რადგან შრომა აღარ შეეძლო და ზედმეტ ბარგად იქცა.

კაპიტალისტური სისტემის ულმობელობით დავრდომილი მუშა, მატანტალად ქცეული, ქუჩა-ქუჩა დაიარება, ტანს ჩვრები უფარავს, „ფეხებს წყლული და იარები“, მას ახლა, წყურვილ-შიმშილით ღონემიხდილს, სული სძვრება, როდესაც მისი შრომით საზოგადოების გაბატონებული ნაწილი უზრუნველად დროს ატარებს.

ირ. ევდოშვილმა, უკვე შემდეგ, „კვალში“ მოღვაწეობის დროს, ამ თემაზე შექმნა მთელი რიგი ლექსებისა: „განკიცხული“, „ქუჩაზე“, „მიდის, მიგოგავს შიშველ ფეხებით“ და სხვა.

ირ. ევდოშვილმა ამ ლექსებში უფრო მკვეთრად მრავალი მხატვრული სურათი დაგვიხატა ლუმპენპროლეტარების ცხოვრებიდან. ცხოვრების სინამდვილიდან ამოვარდნილი ქუჩის ეს ხალხი, რომელთაც კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დაუკარგა ადამიანური არსებობის საშუალება, ლუკმა-პურის ძიებაში შესაზარ. გულის ამრევ პირობებში ვარდება. აგერ პოეტის მიერ დახატული უბედური ადამიანის — განკიცხულის სახე.

ყველასაგან აბუჩად აგდებულს, განკიცხულს — ამ უბედურ ადამიანს, აღარაფერი დარჩენია, გარდა მეძაობისა. და ისიც ბაღებში დაიარება, იმავე დროს, „მეორე ბაღში ქურდბაცაცობს მისი პირმშო შვილი“ გაუბედურებულმა დედამ იგი, „უკანონოდ“ შობილი, ოდესღაც ქუჩაში მიაგდო და მის შემდეგ არც კი იცის, თუ მის პირმშოს რა დაემართა, „მისი ბედი არ ენაღვლება“. გავიდა დრო, უკანონოდ შობილი ქუჩაში აღიზარდა, ქუჩამ დაასვა მას თავისი დაღი. მისთვის არ არსებობს ლუკმის საშოვნელად სხვა გზა, გარდა ქურდბაცაცობისა და ისიც ამ გზას გაჰყვა.

უკანონობაზე აგებული კაპიტალისტური წყობილება აპარტახებს ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდნილი მშრომელი ხალხის ურიცხვ წარმომადგენლებს. ხელს უწყობს მეძაობას, გარყვნილებას, ამრავლებს მატანტალებს, ზრდის სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

ცხოვრებისაგან გარიყული ქუჩის ხალხის ბედში პოეტი წინასწარ ხედავს და გრძნობს საერთოდ მშრომელი ხალხის მომავალს, მუშათა კლასის ბედს. ამიტომ მას გულწრფელად აწუხებს მათი მდგომარეობა და უდიდესი თანაგრძნობით ხატავს მათი ცხოვრების ნათელ მაგალითებს. ამით პოეტი ბრალსდებს არსებულ საზოგადოებრივ წყობილებაში გამეფებულ სოციალურ უსამართლობას და მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

„ივერიაში“ თანამშრომლობის პერიოდის ირ. ევდოშვილის შემოქმედებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსები.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების პირველ

ნახევარში ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი თარიღი, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში.

1895 წლის 22 ოქტომბერს თბილისში მოეწყო რაფიელ ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელიც ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა. ქართულ თეატრში გამართულ იუბილეზე. მხცოვან მწერალს მიესალმნენ ქართველი პოეტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ფაქტი, რომ საზოგადოების წინაშე იუბილარის — რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსით გამოვიდა მაშინ სემინარიის მოსწავლე სოსო ჯუღაშვილი.

იუბილეზე ლექსებით გამოსული პოეტებიდან საზოგადოების დიდი აღტაცება და მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა პოეტმა ირ. ევდოშვილმა, რომელმაც რაფ. ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი უდიდესი მგზნებარებით წაიკითხა. შემდეგ „ივერიაში“ ეს ლექსი მთლიანად გამოქვეყნდა. ირ. ევდოშვილის შეფასებით, რაფ. ერისთავი მოგვევლინა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ მომღერლად, ისეთ მგოსნად, რომელმაც თავისი „ჩანგი აუღერა“ სულ „სხვა კილოზე“ და „სხვაგვარ გამსჭვალულ თვისი სიმღერა ზედ დაამღერა“.

ირ. ევდოშვილი სწორედ იმაში ხედავდა რაფ. ერისთავის პოეზიის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, რომ

უპირველესათ იმისი ქნარი,
დაჰფარფატებდა მაშვრალთ კერასა,
პირველათ იმან მიიპყრო თვალი
ოფლიან მუშის გულის ძგერასა.

ამ ლექსის მიხედვით, პოეტს პოეზიის დანიშნულებად მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლა, მისი ცხოვრების უკეთესად გარდაქმნა მიაჩნდა. ირ. ევდოშვილის აზრით, ამ საქმეში პირველი მებრძოლი საქართველოში იყო რაფ. ერისთავი, რომელმაც თავის პოეზიაში მოგვცა „დამაშვრალთ დარდი, ვარამი“, გვიჩვენა, თუ „რა დუხჭირია და უსამართლო ჩვენი ცხოვრება“ და ან ვის ოფლზე აშენებულა ამ ქვეყნის ძლიერთ სიამოვნება“.

პოეტმა კარგად დაინახა, რომ რაფ. ერისთავის „ჩანგთა ცემამ“ უნაყოფოდ არ ჩაიარა, რომ მან დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს, ახალ თაობას, რომელმაც იგრძნო „მაშვრალთა კვნესა, ვით საკუთარი რამე იარა“.

რაფ. ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსთა რიგს ეკუთვნის აგრეთვე უკვე მოგვიანებით, მგოსნის გარდაცვალებით გამოწვეული, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი უდიდესი პოეტური მწუხარებით, სითბოთი და სიყვარულით დაწერილი ლექსი — „რაფიელ ერისთავს“.

ირ. ევდოშვილმა იმავე ჟურნალში თანმიმდევრობით გამოაქვეყნა აგრეთვე მცირე მოცულობის პოემები: „სისხლი აიღო“, „ელენე“, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“, „ლეკი ისმაილ“.

პოემები „ელენე“ და „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ გაშლილია მაშინდელ საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური უთანასწორობის საფუძველზე, აქაც იგივე საზოგადოებრივი და სოციალური საკითხებია დასმული, რაც ზემოთგანხილულ თხზულებებში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მშრომელი გლეხის დუხჭირი ცხოვრებაა ასახული პოემაში „ელენე“. მძიმე და აუტანელი იყო მშრომელი გლეხობის ბედი. ცხოვრების უკუღმართობით გაქელილი, დავრდომილი გლეხის თავგადასავალს გვიხატავს პოეტი, კაცს, რომელსაც ერთ დროს ჰქონდა საკუთარი სახლკარი, ოჯახი, დიდი გაჭირვებით გამოჰყავდა ცოლშვილი. ცისმარე დღეს იგი ოფლსა ღვრიდა, თვალზე ძილიც არ ჰქონდა. ტანჯვასა და სიღარიბეში ილეოდა მისი დღენი. ერთ დღეს მას ცოლი ავად გაუხდა, წვრილი შვილები მშივრები, შიშველ-ტიტველი ჰყავდა და ტანჯვით გული ევსებოდა. ამას ზედ დაერთო სოფელში ჩამოყენებული ეგზეკუცია, რაც საერთო უბედურებად ატყდებოდა ყველას თავზე.

ირ. ევდოშვილი გრძნობდა არსებულ სოციალურ უკუღმართობასთან შეუპოვარი ბრძოლის აუცილებლობასა და საჭიროებას, ხოლო ამავე დროს კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის ეს გზა ნარ-ეკლით იყო მოფენილი. გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი სალი მისწრაფება და მოქმედება სასტიკად ისჯებოდა .ამას მოსდევდა დევნა და სატუსაღო, შემდეგ სიკვდილით დასჯა და განადგურება. ამ მდგომარეობამ პოეტის ყურადღება თავიდანვე მიიპყრო და მის შემოქმედებაში ძლიერი გამოხატულება ჰპოვა. აღნიშნულ თემაზეა დაწერილი პოემა. „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“, ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოები. პოემის თემა უაღრესად დრამატულია. რეალური ცხოვრების ფონზე ავტორმა მხატვრულად გადაგვიშალა სიკვდილმისჯილი სატუსაღოს ბნელ, ნესტიან, დარკინულ საკანში გამომწყვდეული მებრძოლი ჭაბუკის შინაგანი განცდები. საკანის ფანჯარასთან ჩამომჯდარი ჭაბუკი ტუსაღი გასცქერის ჩამავალ მზეს, რომლის სხივები უკანასკნელად ეალერსებიან მთის მწვერვალებს, ჭაბუკს თვალწინ წარმოუდგა მთელი ცხოვრება. მისი ღრმა ფიქრები თავს დასტრიალებს საზოგადოებრივ საკითხებს, იგი კარგად ხედავს, რომ ყველა არ არის კმაყოფილი ცხოვრებით: ზოგი ლაღობს და შეჰხარის დღის სიდიადეს, სტკბება სიცოცხლით, ზოგი ცრემლსა და ნაღ-

ველში, მძიმე შრომასა და ტანჯვაში უსიხარულოდ ატარებს სიცოცხლის დღეებს, ბევრსაც თავისუფალი ცხოვრების კარები დახშული აქვს და სატუსაღოს ბნელ საკანში ლევს გამწარებულ სიცოცხლეს, ყოველ წუთს სიკვდილით დასჯის მოლოდინში. ამ მღელვარე ფიქრებშია ჭაბუკი წასული, როცა საპატიმროს კარები გაიღო და მის წინ წარსდგა მოძღვარი. იგი ჭაბუკს აცნობებს, რომ ხვალ დილა-ადრიან „რა გადმოდგება მზეი ბრწყინვალე იმერის მთაზე და სხივნი მისი, გადმოშვებულნი, კისკასს შეჰქმნიან დილისა ნამზე, მაშინ ჯალათნი, გამზადებულნი“, მას აიყვანენ სახრჩობელაზე.

მოძღვარი მოუწოდებს ჭაბუკს, რომ მან მის წინაშე მუხლი მოიდრიკოს, აღსარება უთხრას და აღიაროს „ცოდვანი თვისნი“, სამაგიეროდ იმქვეყნიურ ნეტარებას ჰპირდება. სიკვდილმისჯილ ჭაბუკს მოძღვრის დაპირებისა არა სჯერა და პროტესტს აცხადებს მართლმსაჯულების წინაამდეგ. გულის სიღრმემდის ჩამწვდომია სასიკვდილოდ დასჯილის სულისკვეთება. იგი ცდილობს ბოლომდე შეინარჩუნოს სიმხნევე, გულს არ გაიტაროს შიში და ძრწოლა. სასიკვდილოდ განწირული ყმაწვილი, ჯოჯოხეთური წამებითა და ტანჯვით აღსავსე, ღრმა მღელვარებით ინარჩუნებს სიმტკიცეს. დიდად შთამბეჭდავია მისი პასუხი მოძღვრისადმი. იგი გადაჭრით ამბობს:

... რა მაქვს სათქმელი, საალსარებო,
უკვე სიკვდილი მე მომესაჯა,
მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს,
რომ სამართალმა სწორედ განსაჯა,
მართალი არის, მე ენა მქონდა
მწარე, სასტიკი, დაუნდობელი
და ფარისეველთ ამა ქვეყნისა
გულს უგმირავდა, ვითარცა გველი.
... მაგრამ ცის ნიჭი მომადლებული
ოქრო და ვერცხლზე არ იყიდება,
ის წმინდა არის, ვით ანგელოზი
და თვით ტალახშიც წმინდად დარჩება!

სიკვდილის წინაშე მდგარი ჭაბუკი ბოლომდე რწმენაშეურყეველი და ქედმოუხრელი რჩება. იგი ამაყად აცხადებს, რომ „ხალხთ ამა ქვეყნად კაცთ დასასჯელად ციხე და ხმალი მოუგონიათ და რომ სიმართლე მოსრან, შებოჭონ, ტყვილად ფიქრობენ, ტყვილად ჰგონიათ“. მისი ღრმა რწმენით, რა საშუალებასაც არ უნდა მიმართონ, სიმართლეს მაინც ვერ მოსპობენ ვერც ხმლით, ვერც ბორკილებით, ვერც ბასრი დანით ამოჰკვეთენ და მით უმეტეს, „ვერც შეიპყრობენ მას ციხეშია“. საბოლოოდ სიმართლე მაინც გაიმარჯვებს. — აკეთებს დასკვნას პოეტი. სიმართლისათვის კეთილშობილური ბრძოლის საჭიროების ეს იდეა პოემაში მკვეთრად არის ხაზგასმული.

მოძღვრის ნუგეშს თითქოს „იმ ქვეყანას არს ნეტარება“, სასიკვდილოდ განწირული ჭაბუკი აშკარად უგულებელყოფს და არ მალავს, რომ მას ჯერედ სრულიად ახალგაზრდას, ამქვეყნიური სიცოცხლე სწყურია და ენატრება. მოძღვარს იგი უპასუხებს:

„არა! არ მინდა ჯერ მე სიკვდილი,
მე მსურს ვიცოცხლო, ვუყურო მზესა...
შენ მე მითითებ სასუფევლისკენ
და აქ კი, ჭაბუკს მიბნელებ დღესა“.

სიკვდილის წინაშე ჭაბუკი ერთ წუთს თითქოს უკან იხევს, ენანება ახალგაზრდა სიცოცხლის დატოვება! იგი სიცოცხლეს შეტრფის, ძნელია უდროოდ მიატოვოს მოხუცი მამა, გულის ტოლი და ყველაფერი ეს, ამქვეყნიური სიხარულის მომნიჭებელი სიცოცხლე, „ხვალვე უნდა შთანთქას საფლავმა?!

„ოხ, რა ტკბილია ახლა სიცოცხლე! — ეუბნება იგი მოძღვარს, — მეც მსურს ვიცოცხლო, გესმის თუ არა?!“

ჭაბუკმა იგრძნო, რომ სიკვდილის წინაშე თითქოს შედრკა და უკან დაიხია. მაგრამ მალე თავს იმხნევებს და მოძღვარს გადაჭრით სთხოვს:

„წადი, მოხუცო, და ვინაც გკითხოს,
უთხარ, რომ თავი არ მოვიხარე,
მხოლოდ ერთ წუთით გრძნობამ დამჯაბნა
და უნებურად ცრემლი დავღვარე“.

სიკვდილმისჯილი ჭაბუკის სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება. მისი სულიერი მღელვარება უკანასკნელ წუთებში უაღრესად მძაფრდება. ავტორმა უმაღლეს საფეხურზე ასული, ადამიანის შინაგანი ტრაგედიის ნათელი, ხელშესახები სურათის დახატვა შესძლო. სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანის ამ მძიმე განცდების თვითმხილველ სულიერ მამასაც კი, რომელიც მას ამქვეყნიური ნეტარებით აიმედებს ძალა აღარ შესწევს, რომ უკანასკნელად ნუგეში სცეს და თვითონაც გულამომჯდარი დასტირის ჭაბუკის ხვედრს. სურათი ასე მთავრდება:

დილის დიდებით მზე ამოვიდა.
კისკასობს, ხარობს, ცეცხლებ ეგზნება
და მისნი სხივნი გვამს უსიცოცხლოს
სახრჩობელაზე ეთამაშება.

ძველი, წყეული წარსული ცხოვრების სინამდვილე აშკარა და ნათელია. იმ დროს, როდესაც „მზე ემზადება მიწას ახაროს“, „ფარისეველნი ამა ქვეყნისა“ სიცოცხლემონატრებულ ჭაბუკს სიკვდილისათვის ამზადებენ და სპობენ. ეს უაღრესად ადამიანური დრამა პოეტმა გულის სიღრმემდე ჩამწვდომ სურათად გადა-

შალა და ნათლად დაგვანახა სიმართლისათვის მებრძოლთა სახე. მათი განცდები, მთელი მათი სულიერი სამყარო, განვლილი ტანჯვა და წამება.

1896 წლის 15 მარტს გაზეთ „ივერიაში" იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებიდან უკანასკნელად დაიბეჭდა „მე დავიბადე ძველ წნულის ქოხში" („მუშა"). ამის შემდეგ მან მიატოვა „ივერიაში" თანამშრომლობა. როგორც ჩანს, ამის მიზეზი უნდა იყოს ის ერთგვარი უკმაყოფილება, რომელიც მას მოუხდა „ივერიის" რედაქციასთან, განსაკუთრებით რედაქციის ვიცე-რედაქტორთან.

იროდიონ ევდოშვილის ამ გაზეთში თანამშრომლობის შეწყვეტას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ ამის შემდეგ სულ მალე, კავკასიის მთავარმართებლის გადაწყვეტილებით, ოპოზიციური მიმართულების გამო, 1896 წლის 16 მაისიდან „ივერია" 8 თვით აიკრძალა.

იროდიონ ევდოშვილი, სანამ „მესამე დასში" შევიდოდა, გაზეთ „ივერიაში" თანამშრომლობდა, მანამდე კი იგი „კვალთან" უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და „ივერიის" ფურცლებიდან მას აკრიტიკებდა კიდეც. როდესაც „კვალში" „მესამე დასის" გავლენა გაიზარდა, ირ. ევდოშვილმა ამ ორგანოში დაიწყო თანამშრომლობა. აქედან იწყება „კვალის" რედაქციასთან პოეტის მჭიდრო კავშირი და მასში სისტემატური ლიტერატურული თანამშრომლობა.

ირ. ევდოშვილი მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტია. იგი ხალხში ტრიალებდა, აკვირდებოდა და სწავლობდა ხალხის ცხოვრებას, კარგად იცნობდა მათს საჭიროებას, დალხინებასა და წუხილს. სოფლად ხალხში ტრიალისა და მუშაობის დროს ეცნობოდა ხალხურ შემოქმედებას.

ირ. ევდოშვილი 90-900-იანი წლების ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. იმავე დროს, იგი სრულიად სამართლიანად, სოციალისტური რეალიზმის ღირსეული დამწყებია, რადგან მან თავის შემოქმედებაში არა მარტო კრიტიკულად ასახა არსებული სინამდვილე, არამედ კიდევაც გვიჩვენა მისი რევოლუციურად გარდაქმნისათვის ბრძოლის გზა. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეტის მოღვაწეობის პირველი პერიოდის შემოქმედებაზე. მას დიდი გავლენა ჰქონდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა დემოკრატიული მწერლებისა და რევოლუციონერ მუშა-მგოსანთა მომდევნო თაობაზე. ამის საუკეთესო მაგალითია განსაკუთრებით 900-იანი წლებიდან ქართული პროგრესული და კერძოდ არალეგალური და ლეგალური რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურა, რომელშიაც, საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე, გმირული, ვაჟკაცური შემართებით გაისმა ქართული ლიტერატურის რევოლუციური პოეზიისა და მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა და დამწყები მუშა-პოეტების მებრძოლი ხმა. მთელი ამ პერიოდის ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებითი აღმავლობის შუაგულში ირ. ევდოშვილი იდგა თავისი მგზნებარე შემართებით. მას გამოუჩნდა მიმდევართა მთელი პლეადა: ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, ნატალია აზიანი, ბეგლარ ახოსპირელი, იასამანი (მიხ. კინწურაშვილი), კაპიტონ გოგოლაძე, ია ეკალაძე (ცინცაძე), დ. თომაშვილი, სოლომონ გოშაძე. ნარკანი (ნიკ. კურდღელაშვილი), სოლომონ თავაძე (ობოლი მუშა), კიკნა ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი), ნოე ზომლეთელი (ქურიძე), ალ. აბაშელი, გ ქუჩიშვილი და სხვები.

ირ ევდოშვილმა, ქართულ სინამდვილეში რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერალთა ლიტერტურული სკოლა შექმნა და ამ მხრივ იგი ნოვატორად გვევლინება.

ირ. ევდოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი, როგორც რევოლუციური პოეზიის, ისევე პროზისა, შევიდა ქართული ლიტერატურის საგანძურში და საპატიო ადგილი დაიკავა.

საბჭოთა საქართველო ყოველთვის მადლიერების გრძნობითა და სიყვარულით მოიგონებს ხალხის სიკეთისა და თავისუფლების მგზნებარე მომღერალს ირ. ევდოშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჯინორია

# დღევანდელი ხელოვნებათმცოდნეობის ზოგიერთი მწვავე საკითხისათვის

(დაგვიანებული პასუხი გურამ ასათიანს)

გურამ ასათიანის ვრცელმა წერილმა „მოდელები და სინამდვილე“, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ 1970 წლის 25-ე და 26-ე ნომრებში გამოქვეყნდა და რომლის დაახლოებით მესამედი მე შემეხებოდა, ერთობ წინააღმდეგობრივი შთაბეჭდილება შემიქმნა.

უწინარეს ყოვლისა, მან ღრმა კმაყოფილების გრძნობა აღმიძრა, რამდენადაც ჩვენი როგორც საკუთრივ-ლიტერატურული, ისე საერთოდ — სულიერი ცხოვრების ისეთ არსებითსა და აქტუალურ პრობლემებს შეეხო, რომელთაც ვერცერთი ინტელიგენტი ქართველი ვერ აუვლის გვერდს. ესაა, ერთის მხრივ, ე. წ. „მოდერნიზმის“ ანუ თანამედროვე „დასავლური“ ხელოვნების კრიზისულ გამოვლენათა პოზიტიურად მოხსნის, შემოქმედებითად დაძლევის მძიმე პრობლემა, რომლის ჯეროვნად გადაწყვეტის გარეშე დღეს შეუძლებელი ჩანს კულტურის შეუფერხებელი, ნორმალური წინსვლა. ხოლო მეორეს მხრივ ეს გახლავთ ჩვენი საკუთარი კულტურული ისტორიის, დიახ, იმ სულიერ მონაპოვართა და ტრადიციათა ჯეროვნად, კერძოდ, ყოველგვარ ესთეტიკურ გადაჭარბებათა გარეშე გააზრება-შეფასების პრობლემა, რომელთაც მარტო ეროვნული სახის შენარჩუნება კი არ შეგვაძლებინეს, არამედ მსოფლიოს განათლებულ ხალხთა შორის საპატიო ადგილიც დაგვიმკვიდრეს. ხოლო თავად ამ პრობლემებზე მეტად ამ წერილში სათქმელის თავისუფლად და თამამად თქმის იმ პათოსმა მიმიზიდა, რომელიც სულ უფრო იქცევა ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი წლების მთავარ სულიერ მონაპოვრად, თუმცაღა, ამავე დროს, მით უფრო გვაკისრებს ზნეობრივსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასაც, რამეთუ თავისუფლებასა და სითამამეს მხოლოდ მაშინ ენიჭება კეთილისმყოფელი ძალა, როდესაც მათ კაცი გონიერულად ანუ სერიოზულად იყენებს.

მაგრამ გ. ასათიანის დასახელებულ წერილს, რომელსაც მე ამჟამად მხოლოდ „ჩემ“ საკითხთა ფარგლებში მინდა შევეხო კრიტიკულად, სამწუხაროდ, აქვს „მეორე მხარეც“, რაც დიდად აუფასურებს მის აღნიშნულ ღირსებებს. ამ მხარემ, შეიძლება ითქვას, იმ მოჭადრაკის მდგომარეობაში ჩამაყენა, რომელსაც კარგად აწყობილ-წარმართული პარტიისაგან მოსალოდნელი ესთეტიკური სიამოვნებისა და სპორტული კმაყოფილების გრძნობები მოწინააღმდეგის მიერ გადამწყვეტ მომენტში დაშვებულმა მოულოდნელმა შეცდომამ ჩაუშხამა. ასეთი შეცდომა კი აქ, — ვიმეორებ, რომ ამ წერილის მხოლოდ „ჩემეულ“ ნაწილს ვგულისხმობ, — ერთზე და ორზე მეტად ჩანს დაშვებული.

წერილის სათაური — „მოდელები და სინამდვილე“ — მე ისე გავიგე, რომ ის ესთეტიკურ-ლიტერატურულ-თეორიული „მოდელები“, რომელთა მიხედვითაც მე „მოდერნიზმსა“ და ამ უკანასკნელის დიდებულ მხატვრულ პროექციას, თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსს“ განვიხილავ, სინამდვილეს ნაკლებ შეეფერება ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მიერ არ ყოფილა ჯეროვნად, ე. ი. საანალიზოდ აღებული კონკრეტული მასალის ადექვატურად გამოყენებული.

უნდა გამოვტყდე, რომ თავისთავად, პრინციპულად არა თუ „მოდელების“, არამედ თავად „სქემების“ საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, როგორც ლიტერატურისმცოდნეს, რომელიც მეცნიერულ ნიადაგზე დგომას ლამობს. თუკი „მო-

დელი“ ან თუნდაც „სქემა“ კარგადაა აგებულ-გამოყენებული, იგი შემეცნებული მოვლენის ზოგად ბუნებას, არსებით კანონს სწორად გამოხატავს, ხოლო ამის გარეშე, ე. ი. სათანადო განზოგადებების, კერძოდ, ტიპოლოგიური სურათების მიუღებლად, ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს მეცნიერება, რომლის თეორიულად უსაზღვრო და განუზომელი შესაძლებლობები მხოლოდ ისტორიულადაა ფარგალდებული როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სამყაროში. ეს ჭეშმარიტება, ცხადია, სულ არ გამორიცხავს გ. ასათიანის დებულებას, რომ ისეთ დარგში, როგორიც ლიტერატურისა-და, უფრო ფართოდაც, ხელოვნებისმცოდნეობაა, რომლის საგანიც ესთეტიკურ-პოეტური ფენომენი გახლავთ, კაცი ფონს ვერ გავა მხოლოდ მშრალი განზოგადებებით ანუ „ცოცხალი ადამიანური განცდების მოუშველებლად“: მაგრამ ისიც უდაოა, რომ კიდევ უფრო სახიფათოა გრძნობებს ყოლა და მეცნიერული მოდელებისა და სქემების მხოლოდ იმ საფუძველზე „პრინციპული“ უარყოფა, რომ ისინი ჩვენ სუბიექტურ გუნებ-განწყობილებას, დიახ, ჩვენს ცრურწმენებს არ ეთანხმებიან ხოლმე. ეს მით უფრო ცხადია, რომ, როგორც ცნობილია, ცრურწმენებთან ბრძოლა, რომელთაც უპირატესად გრძნობებში უდგათ ფესვი, გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე შეცდომათა დაძლევა, რომლებიც ლოგიკის სფეროს განეკუთვნებიან ხოლმე.

სწორედ ყოველივე ამან მავარაუდებინა, რომ გ. ასათიანი, როგორც ლიტერატურის სალი მკვლევარი, უმალ ჩემი „მოდელებით“ უნდა იყოს უკმაყოფილო, ვიდრე საერთოდ მტრობდეს „მოდელებს“, რომელნიც, გარკვეული თვალსაზრისის თანახმად, იმიტომ არიან ხელოვნების სფეროში გამოუსადეგარნი და, სულაც, მავნენი, რომ სულიერ ფასეულობათა სამყარო გონების ძალისათვის შეუღწეველია და ამდენად „მოდელირებასაც“ არ ექვემდებარება. ხოლო ამ ვარაუდმა, ბუნებრივად, მის საკუთარ „მოდელებზე“ გამამახვილებინა ყურადღება, რამაც, თავის მხრივ, იმ საბოლოო დასკვნამდე მიმიყვანა, რომ აქ ერთ პარადოქსულ, მაგრამ ჩვენი დღევანდელი კრიტიკისათვის საკმაოდ ნიშანდობლივ სიტუაციასთან მაქვს საქმე. სახელდობრ, ეს სიტუაცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ კრიტიკოსთა შორის ამ ბოლო წლებში საგრძნობლად მომრავლდნენ ისეთი „ლიბერალები“, რომელნიც დღეს უკვე დრომოჭმულ, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილ დოგმატურ თუ სქემატურ „მოდელებთან“ თავიანთ სუბიექტურად კეთილშობილურ ბრძოლაში იმით სცოდავენ ხოლმე, რომ მათ ან ახალ დოგმებს უპირისპირებენ, ანდა, რაც კიდევ უფრო ცუდია, ნებით თუ უნებლიედ, იმავე დოგმებიდან გამომდინარეობენ, იმავე სქემატურ მოდელებს უხდიან ხარკს, რომელთა წინაღმდეგაც „ჯვაროსნულად“ გალაშქრება თავიანთ ისტორიულ „ზეამოცანად“ მიუჩნევიათ.

დიახ, გ. ასათიანი აშკარად, ასეთი „ლიბერალის“ პოზიციას იჭერს ჩემს მიმართ და გარკვეული წლების ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობისა თუ უფრო სწორად, ჩვენ ხელოვნებათმცოდნეთა გარკვეული ნაწილის თითქმის ყველა ცოდვას მაბრალებს: „მოდერნიზმის“ მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რაც იმაში გამოხატულა, რომ მე თუმცაღა სიტყვიერად ვცნობ, მაგრამ სინამდვილეში ერთთავად უარვყოფ ამ დეკადენტური ხელოვნების რაიმე პოზიტიურ შესაძლებლობებსა და მონაპოვრებს; „რეალიზმ-ანტირეალიზმის“ ვულგარული კონცეფციის მიმდევრობას, რასაც ის მოწმობს, რომ მე, თურმე, მხოლოდ „რეალისტურ“, თანაც პირველ რიგში „კლასიკურ-რეალისტურ“ ხელოვნებას ვცნობ ნამდვილ ხელოვნებად, ხოლო „ყველაფერს“, რაც „არაკლასიკურია, არარეალისტურია“, ვთქვათ, რომანტიკულ ხასიათს ატარებს, „ეშმაკეულის“ სფეროს ვაკუთვნებ; და კიდევ ზოგ სხვა „ცუდ“ რამესაც...

რასაკვირველია, ასეთი პოზიცია ერთგვარ წინასწარ უპირატესობას სძენს ჩემს კრიტიკოსს, მე კი, ასე ვთქვათ, იმ ბრალდებულის მდგომარეობაში მაგდებს, რომელსაც თავისი დანაშაულის აღიარებაღა მართებს.

მაგრამ, რაც არის, არის და შეძლებისამებრ ვეცდები ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას.

ჭეშმარიტად საოცარია! „მოდერნიზმის“ რაობა-ღირებულების შესახებ ჩემი ნარკვევის „ზეამოცანა“ იყო თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსზე“ დაყრდნობით სწორედ ყოველივე იმასთან შებრძოლება, რაც გ. ასათიანმა მე დამაბრალა. და ამ ამოცანის შესაბამისად ჩემი დღევანდელი პასუხის პათოსიც იმდენად თავის მართლება კი არ იქნება, რაც მაინცდამაინც, ალბათ, არავის დააინტერესებდა, რამდენადაც დაწყებული საქმის შემდგომ გაგრძელება, რასაც უთუოდ არაგებს ამ უცნაური გაუგებრობის **ობიექტურ მიზეზთა** დადგენა.

თუმცაღა ისიც კია, რომ გ. ასათიანის ყველა შენიშვნას, როგორც ჩანს, ამგვარი მიზეზი როდი მოეძებნება და, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუკი ჩემს სათქმელს სწორედ ისეთი — უფრო იოლი — ბრალდებებით დავიწყებ, რომლებიც, უბრალოდ, პოლემიკურ გადაჭარბებათა და ლაფსუსთა რიგს თუ განეკუთვნებიან.

ჩემი დებულების გამო, რომ **ალექსანდრე ბლოკი**, „თ. მანის არ იყოს, დეკადანსის თავისთავში დაძლევით გაიზარდა ნამდვილად დიდ ხელოვანად“, გ. ასათიანი განმარტავს, „ეს შეხედულება არ არის ორიგინალური, იგი რუსული ლიტერატურული კრიტიკის დიპლომატიური სვლის შედეგიაო“. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარი „დიპლომატიური სვლები“ მეც-

ნიერებაში მე არა მწამს, ხოლო აღნიშნული დებულება ვილაცის თვალში ბლოკის „რეაბილიტაციისათვის“ მოგონილი „ერთის შეხედვით თითქოს უვნებელი სიცრუე“ კი არ გახლავთ, არამედ — სრული ჭეშმარიტება. ოღონდ, ჩემი გაგებით, იგი სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მოწიფულ ბლოკს არაფერი დადებითი შერჩენოდეს სიმბოლიზმიდან, არამედ, პირიქით, იმას გულისხმობს, რომ ბლოკმა, დასძლია რა სიმბოლიზმი, როგორც გარკვეული ესთეტიკური მსოფლაღქმა, პირველ რიგში **მისივე** პოტენციურად დადებითი ელემენტები და ტენდენციები განავითარა პოზიტიურად, რომლებიც იბოჭებოდა და ყალბდებოდა ამ დეკადენტური მსოფლაღქმის ნაჭუჭში. სხვა საკითხია, რომ ამ ელემენტებსა და ტენდენციებს მე **რეალისტურს** ვუწოდებ; ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ მომიხდება შეჩერება, აქ კი მინდა ზოგი რამ მეც ვკითხო ჩემს ოპონენტს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, „ამავსო“ სხვადასხვა, იოლი თუ ძნელი, შეკითხვებით. ჯერ-ერთი: როგორ ფიქრობს იგი, ჩემს მიერ გამოთქმული (თუ გაზიარებული) შეხედულება, რომ დეკადანსიდან გამოსული ყოველი დიდი ხელოვანი მისი დაძლევის შედეგად ყალიბდება ასეთად, თ. მანის ან, ვთქვათ, ბ. ბრეჰტის მიმართაც რჩება იმავე „დიპლომატიური“ კრიტიკის მიერ შეთხზულ „თითქოს უვნებელ სიცრუედ“ თუ უკვე სინამდვილედ იქცევა ამჯერად? — და მეორეს მხრივ: რისი თქმა უნდა გ. ასათიანს, როდესაც თვითონაც „კინაღამ“ ჩემსავით აცხადებს, „ქართული მწერლობა კარგა ხანია განთავისუფლდაო დეკადენტური პოეტიკის ძველმანებისაგან, რომლებიც თვითონ ცხოვრებამ უარყო და უკუაგდო“? ნუთუ მართლა ფიქრობს იგი, რომ ჩვენი თანამედროვე მწერლობის ჩამოყალიბება-განვითარების რთული პროცესი ისე იოლად წარიმართა, რომ მან, ამ მწერლობამ, ერთხელ და სამუდამოდ და ისიც „რა ხანია“ „დავიწყების სანაგვე ყუთში“ გადაისროლა „დროის მიერ უიმედოდ გაცვეთილი ძონძები“ დეკადანტური პოეტიკისა (რაც, ასე მგონია, ჩვენს დღევანდელ დისკუსიასაც გახდიდა უსაგნოს)? ანდა იმას ხომ არ ნიშნავს ეს განცხადება, რომ აქ ჩემი კრიტიკოსი თვითონ აკეთებს მის მიერვე ავუგად ხსენებულ „დიპლომატიურ სვლას“?

ამაოდ და თანაც ცუდად ირჯება გ. ასათიანი, როდესაც მისაყვედურებს, რომ მე „შეუწყნარებლად“ მიმაჩნია ა. ბლოკის „პრომოდერნისტული“ თხოვნა: „ნუ ისმენთ ჩვენს სიცილს, ის ტკივილი შეისმინეთ, მის იქით რომ იმალება!“ ამ თხოვნას ო. ჯინორია იმიტომ უარყოფს, რომ „მისი სიტყვით, „ეშმაკეული“ სიცილის შეუსმენლობა მიჩქმალავდა „ოსმოსური“ (ანუ დეკადენტური) ხელოვნების ნეგატიურ ხასიათსო“, — განმარტავს გ. ასათიანი და ამაზე სვამს წერტილს, მაშინ როდესაც მე **იქვე** ისიც მიწერია, რომ **არც ამ სიცილის უკან დამალული ტკივილის „გაუგონრობა“**, შეიძლება [illegible]-გან ...ამას დეკადენტური პოეზიის [illegible]-რედ იმ „პოზიტიურ-ემოციური ელემენტის“ უგულებელყოფა მოყვებოდა შედეგად, რომლის დაუნახაობას ჩემი კრიტიკოსი მაბრალებს. იძულებული ვარ ჩემი ნარკვევის ეს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სრულად მოვიტანო: „ამ თხოვნაში დეკადენტის „ორი სულის“ კონსტატაციაა საცნაური, ხოლო თავად ეს თხოვნა ყოვლად შეუწყნარებელი ჩანს: „ეშმაკეული“ სიცილის „შეუსმენლობა“ **ისევე** მიჩქმალავს „ოსმოსური“ ხელოვნების ნეგატიურ ხასიათს **როგორც მის უკან საგრძნობი ტკივილის „გაუგონრობა“ უგულებელყოფს იმ პოზიტიურ-ემოციურ ელემენტს, რომელიც სასიცოცხლო ძარღვს, არსებობის შესაძლებლობას უნარჩუნებს ამ მკვდარ თუ, უფრო სწორად, მომაკვდავ ხელოვნებას** („მნათობი, 1969, №5, გვ. 150).

გ. ასათიანი ისე შეუპყრია საერთოდ „დეკადანსისა“ და კერძოდ ა. ბლოკის ჩემგან დაცვის პათოსს, რომ ერთგან შემდეგ „ხერხსაც“ კი მიმართავს. „დეკადანსიდან“ ჰუმანიზმ-რეალიზმისაკენ „მოქცეულ“ დიდ მხატვართა „შემოქმედებითი წინაისტორია“ ო. ჯინორიას აზრით „ანგარიშში ჩასაგდები არ არისო“, — აცხადებს იგი თავისი წერილის მე-5 სვეტში და იქვე, — უშუალოდ მომდევნო აბზაცის სახით, — „იმოწმებს“ ჩემს სიტყვებს: „ამის კარგ ილუსტრაციას ახალგაზრდა ბლოკი გვაძლევს...“ და ა. შ. — ბოლოში და რის „ილუსტრაციას“!? იმისას, რომ ხსენებულ დიდ მხატვართა ადრინდელი, დეკადენტური პერიოდები, რომელთაც გ. ასათიანმა რატომღაც მათი „შემოქმედებითი წინაისტორია“ უწოდა, არაა „ანგარიშში ჩასაგდები“?! როგორ გეკადრებათ! მე ხომ **სულ სხვა** რამ მიწერია „მნათობის“ იმავე 158-ე გვერდზე. სახელდობრ, აღვნიშნავ რა, რომ „არც-ერთი დეკადენტი არაა მხოლოდ იმპოტენტი მეფისტოფელი და ყოველი დეკადენტი შემოქმედი ფაუსტიც რჩება ხოლმე და იქვე კვდება სულიერად ანუ თავდება როგორც ხელოვანი, სადაც მასში ეშმაკი ფაუსტზე სრულ გამარჯვებას ზეიმობს,“ — მე განვაგრძობ: „**ამ გაორებულობის**. მისი „ორი სულის“ გაუთვალისწინებლად გამორიცხულია „ოსმოსური“ ხელოვნების ნამდვილი რაობა-ღირებულობის წვდომა და შეფასება. **ამის კარგ** ილუსტრაციას ახალგაზრდა ალექსანდრე ბლოკი გვაძლევს, რომელიც საბოლოოდ, თ. მანის არ იყოს, დეკადენტის თავის თავში დაძლევით გაიზარდა ნამდვილად დიდ მხატვრად“.

არც მე მინდა ჩემს მტკიცებებში ემოციები ჩავრთო, მაგრამ აქ იძულებული ვხდები მკაცრად ვკითხო ჩემს კოლეგას: ნუთუ ვერ გრძნობს იგი, სხვა დროს დარბაისელი მკვლევარი და კრიტიკოსი, რომ ამჯერად აკრძალულ ილეთს იყენებს?

აქვე, ჩემი კრიტიკოსის პოლემიკურ მანერასთან დაკავშირებული „ფაქტოლოგიური“ რეპლიკების რკალში, მინდა შევნიშნო, რომ გ. ასათიანი სათანადოდ კონკრეტულად ვერ აღიქვამს ზოგიერთ მოვლენას, რითაც აუცილებელი სიზუსტის ნაცვლად ზედმეტ ორაზროვნებას სძენს თავის შესაბამის მსჯელობებს.

ასე მაგალითად, გ. ასათიანი აცხადებს, რომ ზემოთ ნახსენები „დიპლომატიური“ სიცრუე „ორთოდოქსულად განწყობილ მსაჯულთა თვალში“ ა. ბლოკის „რეაბილიტაციისათვის“ გახდა საჭირო, რითაც საერთოდ **ორთოდოქსიას** აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, პრინციპულადართმევს მას მოვლენათა უტყუვრად, არადოგმატიკურად, მათი ცოცხალი სირთულესა და ცვალებადობაში აღქმის უნარს. სინამდვილეში კი **ორთოდოქსიაცაა** და **ორთოდოქსიაც**; „თავისთავად“, განყენებულად ეს უცხო სიტყვა გარკვეულ პრინციპთა ან ამა თუ იმ მოძღვრების შეუხრელ მიმდევრობას ნიშნავს, ე. ი. კვლავ არაფერს შეიცავს ცუდსა და საავუგოს, ისე რომ აქაც ყველაფერი თავად პრინციპითა თუ მოძღვრების კონკრეტული ხასიათისაგანაა დამოკიდებული; ვთქვათ, ყოველი **რელიგიური** ორთოდოქსია ორგანულად, თავისი შინაარსითაა დოგმატიკური, მაშინ როდესაც არსებობს ისეთი მოძღვრებებიც, რომელთა სწორედ ორთოდოქსია ანუ **მართლმორწმუნეობა** შეუწყნარებლად მტრობს ყოველგვარ დოგმატიზმს. ამ დაზუსტებას ჩვენი კამათისათვის, ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ანდა, კიდევ, ასეთი ნიმუში: იმოწმებს რა იმ ცნობილ ფაქტს, რომ თავიანთ „კულტურულ“ პოლიტიკაში ფაშისტები „უპირატესად სწორედ „ჯანმრთელ“ კლასიკურ მემკვიდრეობას იყენებდნენ“ და არა მოდერნისტულ-დეკადენტურ ხელოვნებას, გ. ასათიანი მოულოდნელად დასძენს: „კლასიციზმი“ საერთოდ დამახასიათებელია ყოველგვარი ტოტალური წყობილებისათვის და ფაშისტური მოძღვრებაც მასების მოსანუსხავად, როგორც წესი, სწორედ კლასიკური „სიმრთელისა“ და „სისადის“ იდეალებთან ახდენს დემაგოგიურ აპელაციას“. ჯერ-ერთი, „კლასიკურისა“ და „კლასიციზმის“ ცნებებს შორის უზარმაზარი სხვაობა გახლავთ, ისე რომ მათი ერთმანეთში „გადაყვანა“ ყოველთვის და მით უფრო ასე იოლად, როდი შეიძლება. და მეორეც, არამც და არამც არაა მართალი **საერთოდ** „კლასიციზმის“ **ყოველგვარ** „ტოტალურ“ რეჟიმთან ასე განუკითხავად დაკავშირება. აქაც მკაცრადაა დასაცავი ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპი, რამეთუ კლასიციზმიცაა და „კლასიციზმიც“, ისევე, როგორც ტოტალიტარიზმიცაა და „ტოტალიტარიზმიც“. კერძოდ, ისტორიული ფაქტია, რომ თავისი **კლასიკური** და არა **ეპიგონური** ფორმებით კლასიციზმი მუდამ პროგრესული სტილი ყოფილა და ოპოზიციაში უდგა ხოლმე რეაქციულ ტოტალიტარიზმს; სახელდობრ, არა მარტო ვოლტერ-დიდრო-ლესინგისეული განმანათლებლური და გოეთე-შილერის ე. წ. ვაიმარისეული კლასიციზმი, არამედ ამ სტილის ისეთი შეზღუდული სახეობაც, როგორიცაა XVII ს-ის ფრანგული კლასიციზმი, მასზე ოდითგან შექმნილი, მაგრამ ამჟამად ძლიერ შერყეული ლეგენდის საწინააღმდეგოდ, აშკარად ვერ ურიგდება ფეოდალურ აბსოლუტიზმს. გავიხსენოთ, რომ კარტეზიანელობას, რომელიც ფილოსოფიურ სარჩულად დაედო ამ კლასიციზმის თეორიასა და პრაქტიკას, იმთავითვე სდევნიდა საფრანგეთის „განათლებული“ მონარქია, რის გამოც დეკარტს, ამ მოძღვრების ავტორს, სამუდამოდ მოუხდა ჰოლანდიაში ემიგრანტად გადახვეწა; რომ კლასიცისტური ტრაგედიის პირველი შედევრი, კორნელის „სიდი“ კარდინალ რიშელიეს მითითებით არსებითად იმიტომ იქნა დაწუნებული, რომ აქ წარმოდგენილი უტეხი ნების ხასიათები აბსოლუტისტურ რეგლამენტაციას არ ექვემდებარებიან (რამაც როდრიგო და ქიმენი, ამ ხასიათთა მფლობელნი, საფრანგეთის რევოლუციისდროინდელი დემოსის უსაყვარლეს გმირებად აქცია); რომ რასინის უდიდესი ქმნილების — „ფედრას“ — პრემიერის ჩავდება, რაც ლუი XIV-ის „კარის ისტორიკოსს“ შემოქმედებით კატასტროფად გადაექცა, „მაღალი“ საზოგადოების საქმე იყო; — ყოველივე ეს, მოლიერზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იმას ცხადყოფს, რომ ე. წ. „ფრანგული კლასიციზმი“ იმდენად „აბსოლუტიზმის სტილი“ კი არაა, როგორც ჩვენ ამას 30-20 წლის წინათ დაბეჯითებით ვირწმუნებოდით, რამდენადაც ფრანგი **ხალხის** შემოქმედებითი გენიის იმდროისათვის უმაღლეს გამოხატულებად გვევლინება, რასაც ახლა სულ უფრო თამამად ვამბობთ და რაც თავისთავად უკვე დიდი ხნის შემჩნეულ-აღიარებული ჭეშმარიტება გახლავთ; აკი ჯერ კიდევ **ალექსანდრე პუშკინს** უთქვამს ასე დიდებულად:

«Что развивается в трагедии? Какова ее цель?. Человек и народ. Судьба человеческая. Вот почему Расин велик, несмотря на узкую форму своей трагедий»

დიახ, თუკი „კლასიციზმსაც“, როგორც ყოველ რთულ, წინააღმდეგობრივ მოვლენას, უფრო შინაარსის, ვიდრე ფორმის მიხედვით აღვიქვამთ, ადვილად დავინახავთ, რომ თავისი პოზიტიური და არა ნეგატიური სახით ეს სტილი, ყოველთვის როდი უდგება „ტოტალურ წყობილებებს“ და, სულაც, ერთიანად ეუცხოვება ფაშისტურს, რასაც ფაქტიურად გ. ასათიანიც სცნობს, როცა დასძენს, რომ კლასიკური „სიმრთელისა“ და „სისადის“ იდეალებთან ფაშისტების აპელაციას დემაგოგიური ხასიათი ჰქონდა. თუ რამდენად სცილდება აქ გ. ასათიანის „მოდელი“ სინამდვილეს, ამას საბოლოოდ ის ფაქტი ცხადჰყოფს, რომ „ტოტალურ წყობილებას“ არათუ ადრინ-

დელი კლასიციზმი, არამედ ე. წ. **ნეოკლასიციზმიც** კი არ ეგუება ერთთავად, რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის საერთო დეკადანსის დაღი აზის. მისი ის ნაკადი თუ ფრთა, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ამ სტილის თავდაპირველ ჰუმანისტურ ტრადიციასთან კავშირს და ისეთი ნიმუშებითაა წარმოდგენილი, როგორიცაა, ვთქვათ, **გერჰარტ ჰაუპტმანის** ტანტალიდებისადმი მიძღვნილი ტეტრალოგია („იფიგენია ავლიდში“, „აგამემნონის სიკვდილი“, „ელექტრა“ და „იფიგენია დელფოსში“) ანდა **ჟან ანუის** განთქმული „ანტიგონე“, უშუალოდ და პირდაპირ ფაშისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგაა მიმართული. ამ რეჟიმს მისი მხოლოდ ის ფრთა თუ ნაკადი ემსახურება, რომელსაც **ცრუკლასიკური** უნდა ეწოდოს, რამდენადაც, ადამიანის რადიკალური მანკიერების „მოდერნისტულ“ დოგმატს დამყარებული, იგი იმ პომპეზურ „მონუმენტურობასა“ და ხატოვან „უზადობას“ ეტანება, რომელნიც საკუთარი სიგლახის ქვეშეცნეული განცდით შებოჭილ ფილისტერზე ახდენენ დამზაფვრელ-შთამაგონებელ ზემოქმედებას.

და ბოლოს, აქვე უჩანს ადგილი შემდეგ განმარტებასაც. იმის მიზეზი, რომ მე „რომანტიკული“ შევაუღლე „დეკადენტურთან“ და ერთადერთ „პოზიტიურ კატეგორიად“ გამოვაცხადე რეალიზმი, გ. ასათიანის ვარაუდით ის უნდა იყოს, რომ მე „უპირატესად გერმანული ლიტერატურის ფაქტებს“ ვემყარები, სახელდობრ, „არა მხოლოდ თომას მანის შემოქმედებითი ევოლუცია, არამედ საერთოდ გერმანული ლიტერატურის სპეციფიკური გამოცდილება“ წარმომიდგენია „მთელი თანამედროვე მსოფლიო კულტურის“ „პარადიგმად“, თავისებურ სანიმუშო „მოდელად“. ამ უცნაური მოსაზრების გამო შემდეგი-ღა მეთქმის. ჯერ-ერთი, რეალიზმისა და რომანტიზმის რაობა-ღირებულების ის ყალბი „სქემა“, რომლის „შემუშავებასაც“ გ. ასათიანი მაწერს, ისევე არსებითად ეწინააღმდეგება „გერმანული ლიტერატურის სპეციფიკურ გამოცდილებასაც“, როგორც ყოველ სხვა და, კერძოდ, ქართულ „პარადიგმასა“ თუ „მოდელს“ რომანტიზმისა და რეალიზმისა. და მეორეც, „მოდერნიზმის“ რაობა-ღირებულების დასადგენად მე დავემყარე „დოქტორ ფაუსტუსის“ კონკრეტულ მასალას, რომლის გმირი, ფიქტიური გერმანელი კომპოზიტორი ადრიან ლევერკიუნი, თავად თომას მანის თქმით, წარმოგვიდგება ერთდაგვარ „იდეალურ სახედ“ ყველა თანამედროვე დეკადენტი ხელოვანისა. ხოლო თუკი ჩემს ზოგად-ესთეტიკურ მსჯელობებში ზოგიერთ სხვა ავტორიტეტთან ერთად ისეთ გერმანელთაც ვიმოწმებ, როგორნიც გოეთე და შილერი, კანტი და ჰეგელი ან ბრეჰტი არიან, ეს ჩემი პროფესიული მიკერძოებით კი არ მომდის, არამედ იმ უბრალო მიზეზით, — და ამ აღიარებას, ნურც მიამიტობად და ნურც ირონიად ჩამითვლის ვინმე, — რომ მათთან ბევრ გასაოცრად ღრმა და მახვილ დაკვირვებას ვპოულობ ხოლმე. აბა ჩავუკვირდეთ, მაგალითად, გოეთეს შემდეგ მსჯელობას ისეთ თითქოს და „აკადემიურ“ საკითხზე, თუ რა განსხვავებაა ძველ ტრაგედიასა და ახალ დრამას შორის:

„ძველი ტრაგედია გარდუვალ აუცილებლობას (Sollen-ს) ემყარება, რომელსაც მხოლოდ ამძაფრებს და აჩქარებს ნებელობის (Wollen-ის) წინააღმდეგობა. აქაა მისანთა ყველა საშინელების საუფლო, სფერო, სადაც ყველაფერზე ოიდიპოსი მბრძანებლობს. უფრო რბილად გვესახება აუცილებლობა, ვითარცა ვალდებულება, ანტიგონეში; და თანაც როგორ მრავალნაირად იცვლის ფერს! მაგრამ ყოველგვარი აუცილებლობა დესპოტურია (ist despotisch): გონებას განეკუთვნება, როგორც ზნეობრივი ან სახელმწიფოებრივი კანონი, თუ — ბუნებას, ქმნადობის, ზრდისა და ჰქნობის, სიცოცხლისა და სიკვდილის კანონთა სახით. ყოველივე ეს გვზარავს ჩვენ და იმას გვავიწყებინებს, რომ იგი მთელის სასიკეთოდაა გამიზნული. ნებელობა კი, პირიქით, თავისუფალი ჩანს და ცალკეულს უმართავს ხელს. ამიტომაც ნებელობა პირფერია და უმალვე უნდა დაეუფლებოდა ადამიანებს, როგორც კი გაეცნენ ისინი მას. იგი ახალი დროის ღვთაებაა. ნებელობას მინდობილნი, ჩვენ ვუფრთხით ყოველივეს, რაც მას ეწინააღმდეგება, და აქაა იმის მიზეზი, რომ ჩვენი ხელოვნება და აზრთა წყობა ანტიკურისაგან ნიადაგ მოწყვეტილი რჩება. აუცილებლობა სიდიდესა და სიძლიერეს სძენს ტრაგედიას, ნებელობა კი ასუსტებს და აწვრილმანებს. ამ უკანასკნელ გზაზე წარმოსდგა ეგრეთ წოდებული დრამა, რომელშიც დიადი აუცილებლობა ნებელობით იქნა გაზავებული; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ჩვენს სისუსტესა რგებს, ჩვენ გული გვიჩუყდება, როცა მტკივნეული მოლოდინის შემდგომ თუნდაც უბადრუკი ნუგეში გვერგება გასამრჯელოდ“.

ასე მგონია, რომ ამ ტიპიურ გოეთესეულ მსჯელობაში ძალზე ბევრია საიმისოდაც თქმული, რათა სწორად შევიმეცნოთ გონებისა და გრძნობის, „რეალიზმისა“ და „რომანტიზმის“ სულ უფრო და უფრო რთული ურთიერთმიმართება არა მარტო ხელოვნების ისტორიაში, არამედ ჩვენს დღევანდელ ცოცხალ ცხოვრებაშიაც.

ყველა ზემოთ აღნიშნული „უზუსტობა“, რასაკვირველია, არაფერს რგებს გ. ასათიანის კრიტიციზმს, საგრძნობლად ართმევს დამაჯერებლობას მის ლიბერალურ პათოსს.

მაგრამ მსგავსი, პირდაპირ რომ ვთქვათ, ს უ ს ტ ი ადგილები, საბედნიეროდ, თითქმის ამოიწურება ჩამოთვლილი შემთხვევებით და მათ გამო საკმაოდ უსიამოვნო ლაპარაკის მერე ხალისით გადავდივარ იმ საკითხთა განხილვაზე,

რომელთა გარეშე აზრი არ ექნებოდა ამ ჩემს პასუხს.

ოღონდ აქაც პატარა წინასწარი შენიშვნის გაკეთება მინდა. გ. ასათიანი იმ მხრივაც იყენებს თავს „პრივილეგირებულ“ მდგომარეობაში, რომ სადავო საკითხებზე თავისი პოზიტიური შეხედულების გაზიარების ნაცვლად მთელ რიგ „კრიტიკულ“ კითხვას მისვამს. პოლემიკის ასეთი ხერხიც ვერ ჩაითვლება მაინცდამაინც სასიამოვნოდ, რადგანაც, როგორც ცნობილია, კითხვის დასმა ბევრად უფრო ადვილი გახლავთ, ვიდრე მასზე პასუხის გაცემა, თანაც მეტადრე მაშინ, როდესაც საქმე სადაო ან სულაც ნაკლებად დამუშავებულ პრობლემებს ეხება. მაგრამ რას ვიზამ, ვეცდები ეს ტვირთიც შეძლებისდაგვარად ვზიდო, რასაც იმის იმედი თუ გამიადვილებს, რომ იმას, რაც შემცდება ან დამაკლდება, თავად შემკითხველი შემისწორებს და შემივსებს.

მთავარი, რასაც გ. ასათიანი მისაყვედურებს, ესაა: მე თურმე მხოლოდ სიტყვით ვემხრობი თ. მანის თვალსაზრისს, რომ „მოდერნიზმს“, მისი არსებითი მანკიერების მიუხედავად, მოეძევება გარკვეული პოზიტიური მონაპოვრები, ხოლო საქმით, მთელი ჩემი შემდგომი მსჯელობის ლოგიკით, აშკარად ვეწინააღმდეგები ამ კონცეფციას, ისე რომ თვითონ ვვარდები იმ ცალმხრივობაში, იმ ანტიმოდერნისტულ ნიჰილიზმში, რომელსაც ბრძოლას ვუცხადებ. კერძოდ, ეს ნიჰილიზმი თურზე იმაში გამოიხატება, რომ მე არა თუ ვერაფერს ვხედავ დადებითს **თავად „მოდერნიზმში“** ანუ მის **საკუთრივ-მოდერნისტულ** თავისებურებებში, არამედ მისი მანკიერების ანალიზშიც მხოლოდ **„გარკვეულ მომენტამდე“** ვრჩები მართალი, რის შემდეგაც შეუწყნარებლად ვამახინჯებ სინამდვილეს.

„ო. ჯინორია დიდი სიღრმითა და **დამაჯერებლობით** განიხილავს თანამედროვე დასავლური მოდერნიზმის უარყოფით ნიშანთვისებებს“, მაგრამ მხოლოდ „გარკვეულ მომენტამდე“ რჩება „თანმიმდევრული და ძირითადად სწორი“, რადგან მის „მტკიცებათა მთელ ლოგიკას ერთ მეტად ტენდენციურ დასკვნამდე მივყევართ, სახელდობრ იქამდე, რომ მოდერნული ესთეტიზმი იგივეა ხელოვნებაში, რაც ფაშიზმი იდეოლოგიაში“, — წერს გ. ასათიანი და, მოაქვს რა „სათანადო“ ციტატი, ცოტა არ იყოს რიტორიკულად კითხულობს: „...ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვცხებთ ჩირქს?“.

ჯერ-ერთი, აქ ელემენტარული შეუსაბამობაა: ან მე ვერ განმიხილავს „მოდერნიზმის“ უარყოფითი ნიშანთვისებები ჯეროვანი სიღრმითა და დამაჯერებლობით, რაკი ასეთ „ტენდენციურ“ დასკვნამდე მივსულვარ, ანდა, პირიქით, თუკი ღრმად და დამაჯერებლად განვიხილე, ამ ანალიზიდან ლოგიკურად გამომდინარე დასკვნაც არ უნდა იყოს „ტენდენციური“.

და მეორეც, აქაც აშკარა „გადაჭარბებასთან“ გვაქვს საქმე: მე არსად არ მეთქვამს, რომ „მოდერნისტული“ (და არა „მოდერნული“; ამ ორ ცნებას შორის ისეთივე არსებითი განსხვავებაა, როგორც „სიმბოლისტურსა“ და „სიმბოლურს“ შორის) ესთეტიზმი **იგივეა** ხელოვნებაში, რაც ფაშიზმი იდეოლოგიაში. მე, მართალია, **ვაახლოვებ** და **ვაკავშირებ**, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ **ვაიგივებ** ერთმანეთთან ამ ორ **სხვადასხვა** მოვლენას. თვით იმ ციტატშიც, რომელსაც ჩემი წერილის 157-158 გვერდებიდან იმოწმებს გ. ასათიანი, იმაზეა ლაპარაკი, რომ „მოდერნიზმში“ ესთეტიკურად გამოხატულმა სულიერმა პროსტრაციამ ბურჟუაზიული საზოგადოებისა თავისი **„ტოტალური“** ანუ **სრული** რეალიზაცია ჰპოვა ფაშისტურ ბარბაროსობაში, ე. ი. აქ აშკარა **დისტანციაა** დამყარებული მათ შორის, რაც ქვემოთ, 161-გვერდზე, ასეა დაკონკრეტებული: „მოდერნიზმი“ იმით **უახლოვდება** და **უკავშირდება** ფაშიზმს, დიახ, იმით ხდება მისი თანაზიარი, რომ თავისი მანკიერი ესთეტიზმით **„გზას უკაფავს“** იმ ბარბაროსობას, „რომლის **უკიდურეს** და **უსაშინლეს** სახეობად ფაშიზმი დაატყდა კაცობრიობას“.

მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ასეთი დაახლოვება-დაკავშირებაც პრინციპულად მცდარად და მიუღებლად მიაჩნია გ. ასათიანს, რის გამოც იგი კიდევაც მეკითხება ასე მწყრალად, — ვის სცხებო ჩირქს? — თუმცაღა უფრო კორექტულადაც შეეძლო ეკითხა, ვთქვათ ასე: „ვის სდებ ბრალს?“

მართალია, ეს კითხვაც ერთობ მოულოდნელი დარჩებოდა, რამდენადაც ჩემს წერილში ამ თემაზე საკმარისად კონკრეტულად ვლაპარაკობ; მაგრამ რაკი ამ „საჩოთირო“ საკითხს საგანგებო მნიშვნელობა აქვს, მზად ვარ დამატებითი ახსნა-განმარტება მივცე მკითხველს.

იქიდან დავიწყებ, რომ „მოდერნიზმის“ ფაშიზმთან კავშირის თეზისი ჩემი კუთვნილება კი არაა, არამედ **თომას მანის მხატვრული გამჭრიახობისა და მოქალაქეობრივი სიმამაცის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა გახლავთ.** და აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ არც ამ საკითხზე გ. ასათიანისა და ო. ჯინორიას შეკამათებაა ახალი ამბავი, რომ «Литературная газета» სხვა და სხვა დროს — 8. X. 66და 15. II 67-ის ნომრებში—ორჯერ შეეხო, ხოლო ჟურნალმა «Вопросы литературы» — 1970 წ. მე-6 ნომერში ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა მას).

ამ თეზისის ფილოსოფიური, უფრო სწორად, ფსიქოლოგიურ-ეთიკური ასპექტი ასეთი ჩანს: **წმინდა ესთეტიზმი**, ანუ მარტოოდენ „ნებელობაზე“ დამყარებული სუბიექტურ-ემოციური მსოფლგანწყობა, რომელიც ზოგად-ობიექტურის, „აუცილებლობის“ ხარჯზე აღაზევებს პირად-ინდივიდუალურს, ისევე უკაფავს გზას ბარბაროსობას, როგორც **წმინდა რაციონალიზმი**,

რომელსაც საბოლოოდ ნიჰილიზმის ჩიხში ამწყვდევს მისი უგრძნობლობა, ყოველივეს მომაკვდინებელი და გამაუფასურებელი სიცივე; მეფისტოფელურ-ეშმაკეული უნაყოფობა; ხოლო ამავე დროს, აუცილებელი ფაქტია ის გარემოება, რომ ამ ორივე მანკით, — ცხადია, თავის ცალკეულ გამოვლენებში მეტ-ნაკლებად, მაგრამ არსებითად ორგანულად, — სცოდავს მთელი „მოდერნიზმი", რამდენადაც მასში გრძნობასა და გონებას შორის უმწვავესი კონფლიქტი, მანამდე არყოფილი შუღლი, ულრმესი განხეთქილებაა საცნაური ანუ გრძნობა გასაოცრად უგუნურად, გონება კი საშინლად უგრძნობლად ვლინდება ხოლმე; და თავის მხრივ, ისიც ფაქტი გახლავთ, რომ ამ განხეთქილების შედეგად გაუფასურებულ-შეზიზღებული ადამიანი „მოდერნიზმის" საკუთრივ „გმირად" ქცეულა, ხოლო ვისაც კაცის ლორად ან მწერად წარმოდგენა ძალუძს, იმას ბოროტმოქმედებისაგანაც მოკლე მანძილი აშორებს, ამ „გაარაფრებული" არსების დაკვლისა თუ გაჭყლეტის ვნებაც იოლად იპყრობს.

წორედ ეს განხეთქილება და ეს უკანასკნელი ფაქტი გვევლინება თ. მანის „დოქტორ ფაუსტუსის" მთავარ თემად, რომლის გმირიც, „მოდერნისტი" კომპოზიტორი ადრიან ლევერკიუნი გარესამყაროსადმი სულ უფრო „ესთეტიკურ" მიმართებას ამყარებს, ხოლო თავის შინაგან, ხელოვნებითს საუფლოში სულ უფრო აბატონებს „ცივ გონებას", და რომელიც, ამის შესაბამისად, **დეკადენტი ხელოვანის მარტო შემოქმედებითი კრახის რომანი კი არ არის, არამედ მისი დანაშაულის რომანიც.**

დიახ, ლევერკიუნი დამნაშავედ გვევლინება არა მარტო როგორც **პიროვნება**, რომელმაც თავისი წრესგადასული ეგოცენტრიზმის კარნახით, მისადმი სიყვარულისაგან „განთავისუფლებისათვის" ყოვლად ვერაგულად ანუ ლაჩრულად მოჰკლა საკუთარი მეგობარი; და არა მარტო როგორც **მოქალაქე**, რამდენადაც თავისი მკვდარი, ცხოვრებას მოწყვეტილი ხელოვნების „კოშკში" ჩაკეტილი, გასაოცარ „სიბრმავეს", თითქმის სრულ გულგრილობას იჩენს თავის გარშემო „მიხაკისფერი ჰირის" მოძალება-დამკვიდრების მიმართ; არამედ ყველაზე მეტადაა იგი ბოროტმოქმედი როგორც **დეკადენტი ხელოვანი**, რომელიც საკუთარ „კომპლექსთა" დაძლევის უძლურებას მიჰყავს მთელ კაცობრიობაზე გაბოროტებამდე და მკრეხელურ გადაწყვეტილებამდე, შეშველების ნაცვლად წიხლი ჰკრას უფსკრულს მიმდგარ, უმძიმესი კრიზისით შეპირვებულ ადამიანს, მისი უდიდესი კუთვნილება „წაართვას", ადამიანობის ის ოდინდელი მოთხოვნილება და რწმენა ჩაუხშოს, რომელთა უკეთილშობილეს მუსიკალურ მანიფესტაციად გვევლინება ბეთჰოვენის IX სიმფონია და მწარე, მაგრამ უთუო სიმართლეა, რომ ამ ბარბაროსული გადაწყვეტილებით, რომელიც მან თავისი გენიალური ნიჭისა და ვირტუოზული ოსტატობის მთელი ძალით კიდევაც შეასრულა, შექმნა რა ატონალური მუსიკის [illegible] და უკანასკნელი შედევრი, „ფაუსტის გოდებად" წოდებული კანტატა, ლევერკიუნი დახაც „იდეალურ" მოდელად თუ პარადიგმად მოუდის, ვთქვათ, ექსპრესიონისტ **ჰანს იოსტს**, ჰიტლერელთა №1 პოეტს, რომელმაც მხოლოდ რასისტულ ხმაზე კი არ გადაამღერა რიგი ტრაფარეტულ-„მოდერნისტული" იდეა, — მარტო ის კი არ იქადაგა რომ „გერმანელების მსოფლიო „მისიაა" მითოსურ-მისტიკურ მსოფლაღქმაზე დაფუძნებული „სულიერების" (Innerlichkeit-ის) აღორძინებით „ტვინის მოძალებისაგან" მომდინარე „გამხრწნელი მატერიალიზმის" დათრგუნვა, — არამედ ამ ავადსახსენებელი ფრაზითაც გაითქვა სახელი: „სიტყვა „კულტურა" რომ მესმის, ჩახმახზე ვაყენებო ჩემს რევოლვერს".

„მოდერნიზმისა" და ფაშიზმის შინაგან ნათესაობაზე ლაპარაკობს თ. მანი თავის პუბლიცისტურ ესეებშიც, რომელთა შორის მეტადრე საგულისხმოა ჯერ კიდევ 1938 წლის ერთი შეხედვით სათაურებული წერილი. „**ძმა. ჰიტლერი**" (იხ. თ. მანის რჩეულ თხზულებათა Aufbau-Verlag-ისეული გამოცემის ტ. XII, გვ. 772-779).

აქაც მისთვის დამახასიათებელი სიღრმითაა დასმული საკითხი: ჰიტლერის მიმართ სიძულვილის გამოჩენა კი არ კმარა, არამედ ამ აფექტურ რეაქციაზე უფრო სასარგებლო იმის დინჯად გარჩევაა, თუ რამ ქნა შესაძლებელი ასეთი გარეწარის ქვეყნად მოსვლა და თარეში. მართლაც და, როგორ მოხდა, რომ არა მარტო გერმანიამ, მთელმა ცივილიზებულმა დასავლეთმა წამოატივტივა და თავზედაც დაისვა ეს „უხამსად ისტერიული" კომედიანტი, რომელსაც ყველა ადამიანური თვისება აქვს „წამხდარი" (verhunzt), რის გამოც, მხოლოდ „უკმარისობის გრძნობით" გახელებული პატივმოყვარეობა ამოძრავებს და არაფრის კეთება არ ძალუძს, „წმინდად ტექნიკურად და ფიზიკურადაც არაფერი შეუძლია, რაც მამაკაცს ძალუძს ხოლმე... თუნდაც ბავშვის გაკეთება". და ამ კითხვის პასუხიც ესაა: ამ სულიერ-ხორციელი კასტრატის, ამ დასრულებული **დეკადენტის** ფენომენს თანამედროვე დასავლეთისავე დეკადანსში უდევს ფესვი, სახელდობრ იმაში, რომ „სიწამხდრისა და დაცემულობის მოტივს" მეტისმეტად დიდი როლი მიენიჭა „თანამედროვე ევროპულ ცხოვრებაში". იმდენად დიდი, რომ „ჩვენმა დროებამ ბევრი რამ შერყვნა — ეროვნება, სოციალიზმი, მითოსი, ცხოვრების ფილოსოფია, ირაციონალური, რწმენა, ახალგაზრდობა, რევოლუცია და კიდევ რა არა," თვით ხელოვნების ჩათვლით, რომელიც „მართალია, მხოლოდ სინათლე და გონიერე-

ბა არ გახლავთ, მაგრამ არც მხოლოდ „ცხოვრების" ტერულურ (ქვენა) სფეროთა მღვრიე ნაზავია და ბრმა ნახელავი". და იქნებ ვინმემ ის ფაქტიც უარყოს, რომ სწორედ „მოდერნიზმი" გვევლინება ჩვენს დროში ასე შერყვნილ ხელოვნებად, რომელსაც თავის „ზეამოცანად" სწორედ „ტერულურის" ესთეტიზაცია დაუსახავს, რომლის პატარა თუ დიდმა მესვეურებმა დაძლევის საგნად კი არ მიიჩნიეს თავიანთი ცხოვრების ნიშანთვისებად ქცეული „სიწამხდრე და დაცემულობა", არამედ, პირიქით, მათ თვითნებურ აბსოლუტიზაციას მიჰყვეს ხელი, საერთოდ ადამიანთა მოდგმის ფატალურ „ხვედრად" თუ „წყევად" დაასურათხატეს ისინი და ამით დიახაც დიდად შეუწყვეს ხელი ნიჰილიზმისა და სულიერი პროსტრაციის იმ საერთო ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც ჰიტლერის მოვლენაც კი ლამის „ბუნებრივ" რამედ გამოჩნდა. ეს მძიმე ჭეშმარიტება, რომლის აღიარებას მამაცი მწერალი „მორალურ თვითგვემას" აღარებს, მის ამ წერილის „პარადოქსულ" სათაურსაც ჰფენს შუქს: მართლაც, ისინი ორთავენი — თ. მანიცა და ა. ჰიტლერიც — ერთი ისტორიული „სიტუაციის", ევროპული „დეკადანსის" შვილები არიან ანუ იმისდა მიუხედავად ერგებიან ერთმანეთს ძმებად, რომ პირველი თავისი დიდკაცური ინდივიდუალობით იმდენად მაღლდება თავის საზოგადოებაზე, რომ მომავლის შორეულ ნათელს უსწორებს თვალს, ხოლო მეორე ისე დაეშვა ამ საზოგადოების ფსკერზე, რომ წარსულის მთელი სიბნელე მოიღო თავის უბადრუკ პიროვნებაში. ამ ფორმულიდან კი თავის მხრივ გამომდინარე დასკვნა ასეთი იქნება, — თუკი, ცხადია, იმიტომ არ ავიღებთ ხელს ლოგიკაზე, რომ იგი გარკვეულ „ესთეტიკურ" მოდელებს არღვევს,—: რაც უფრო შორდება ესა თუ ის თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვანი მანისეულ ჰუმანისტურ რეალიზმს, მით უფრო უახლოვდება იგი ჰიტლერისეულ, დიაბოლურ რომანტიზმს და პირიქით, რამეთუ ეს ორი პოლუსი შეადგენს მისი ფაქტიური არსებობის დროითა და სივრცით განპირობებულ „მაგნეტურ არეს".

პრინციპულად ასე წყდება „მოდერნიზმის" ფაშიზმთან მიმართების მძიმე პრობლემა, რომელსაც გ. ასათიანი სასტიკად აუბრალოებს, როცა ირწმუნება, თითქოსდა „ესთეტიზმი, კერძოდ მოდერნისტული ესთეტიზმი, მიუხედავად მისი მთელი მსოფლმხედველობრივი მანკიერებისა, მაინც კულტურის, კაცობრიობის კულტურული განვითარების ფენომენია, ხოლო ფაშისტურ იდეოლოგიას ყველგან და ყოველთვის საფუძვლად ედო უკულტურობა, წვრილ-ბურჟუაზიული ბრბოს უმეცრება და ველური ინსტინქტები".

ყალბ თვალსაზრისს, რომ „მოდერნიზმს" არაფერი აკავშირებს ფაშიზმთან, ის ფაქტიც კი ვერ ამაგრებს, — პრომოდერნისტები კი მას მთავარ არგუმენტად იმოწმებენ ხოლმე,— რომ ფაშისტები ნაკლებად წყალობენ „მოდერნისტულ" ხელოვნებას როგორც „არაჯანსაღს", ხოლო „მოდერნისტთა" უმრავლესობა თავის მხრივ მკვეთრად ანტიფაშისტურად იყო განწყობილი. საქმე ისაა, — რაც იმავე თ. მანმა აღნიშნა, — რომ „მოდერნიზმის" შინაგანი უკმარობა მის პარადოქსულობაშიც გამოიხატება, და მის ერთ-ერთ უმთავრეს პარადოქსად სწორედ ის გარემოებაა ჩასათვლელი, რომ ეს თითქოსდა „ავანგარდისტული" მოვლენა, რომელიც ჩვეულებრივ იმპერიალიზმის საშინელებათა წინააღმდეგ მიმართული პროტესტის სახით იწყება, ამ პროტესტის მანკიერი ხასიათის „ძალით" თავისი ოდინდელი მტრისა და, კერძოდ, მისი უსაშინლესი პროდუქტის, ფაშიზმის წინაშე მეტ-ნაკლები, მაგრამ აუცილებელი შინაგანი კაპიტულაციით მთავრდება ხოლმე.

ამ პარადოქსის შესაძლოა ყველაზე მკვეთრ ნიმუშს გვაძლევს ამერიკული „მოდერნიზმის" მეტრი, — ეზრა პაუნდი, — რომლის ტრაგიკული ცხოვრებისეულ-შემოქმედებითი თავგადასავალი იმდენად ნიშანდობლივია, რომ აქ თუნდაც ორიოდე სიტყვით უნდა იქნას დამოწმებული. ამ სუბიექტურად უსათნოესმა კაცმა,რომელსაც ჰემინგუეიმ, მისმა ერთერთმა მოწაფემ , „წმინდანიც" კი უწოდა, იმით დაიწყო თავისი შემოქმედებითი გზა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეიძულა ცხოვრების „ამერიკული" წესი (რის გამოც 1908 წელს დასტოვა სამშობლო) და მარტო შუასაუკუნეთა პოეტები, ბერტრან დე-ბორნი, დანტე და ვიჲონი კი არ შეიყვარა, არამედ სტენდალიცა და ფლობერიც აღიარა, რომლის ესთეტიკა ჩასთვალა „ყველაზე ქმედით გამწმენდ ძალად, ყველაზე კეთილმოქმედ ძალად თანამედროვე ლიტერატურისა". და ამიტომაც მოხდა, რომ ევროპული „მოდერნიზმის" ისეთ მეტრთა მომავალი თანამესაგრე, როგორნიც ელიოტი და ჯოისი არიან, იგი ამავე დროს ჰემინგუეისა და ფროსტს, სენდბერგსა და ბევრ სხვა ამერიკელ რეალისტსაც ექცა შთამაგონებლად. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის მიწურულზე (1918 წ.) იგი აღიარებს, რომ „დაიღალა რეალისტური რომანის აგიტაციით" (რაც კარგად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეალისტობა რომანტიკოსობაზე უფრო ძნელი საქმეა) და აქტიურად ებმება პოეზიის „განახლების" იმ „რევოლუციურ" პროცესში, რომლისთვისაც უკვე მანამდე მწიფდებოდა თანდათან. ხოლო ამ „ახალ" გზაზე იგი მარტო ელიტარულ-ეზოტერიული პოეზიის დი-

დოსტატად კი არ ყალიბდება მალე, რომლის უკომენტარებოდ კითხვა სულ უფრო და უფრო ძნელდება, არამედ ასევე მალე (უკვე 1929 წელს) პარიზიდან იტალიის ქალაქ რაპალოში სახლდება, საიდანაც მუსოლინის ასხამს ხოტბას, როგორც ინგლისურ-ამერიკულ იმპერიალიზმთან ერთად საბჭოური კომუნიზმისაგან და აგრეთვე... ჰიტლერისაგან კაცობრიობის მხსნელს. და „დუჩესთან" მისი ასე „დამეგობრების" მთავარი მიზეზი იმდენად მისი იშვიათი პოლიტიკური მიამიტობა კი არ იყო, რამდენადაც გაცილებით უფრო არსებითი, ობიექტური ფაქტორი: ნიცშეს ულტრაინდივიდუალისტური ნიჰილიზმის ზეგავლენა, „ბრბოდ" შერაცხულ ადამიანთა და ხალხის ის „არისტოკრატიული" მაზიზღარობა, რომელიც მართალია სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც საერთო ფილოსოფიურ სარჩულად დაედო „მოდერნიზმსაც" და ფაშიზმსაც, რამდენადაც მისგან თანაბრად ლოგიკურად გამომდინარეობს როგორც ხელოვნების „მდაბიოთაგან" იზოლაციის „მოდერნისტული", ისე მათი „მტკიცედ" მართვის ფაშისტური დოგმატი. მაგრამ პაუნდის ილუზიათა კრახის დღესაც არ დაუყოვნებია: 1945-ს, ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკელებმა იგი პიზასთან მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვეს, სადაც ელექტრონის სკამზე სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო განაჩენის შესრულებამდე მავთულის გალიაში დაამწყვდიეს, რომელსაც შებინდებიდან გათენებამდე პროჟექტორებით ანათებდნენ. და სწორედ აქ, ამ ყოფაში ჩავარდნილმა, შეთხზა მან თავისი საუკეთესო პოეტური თხზულება: განვლილი გზის უსაზმნო სიმრუდის მტკივნეული შეგრძნებით შთაგონებული „პიზის სიმღერები", პოეტური აღსარება, რომელიც, ლევერკიუნის „ფაუსტის გოდების" არ იყოს, მისი უკანასკნელი ქმნილებაც აღმოჩნდა. მართალია, მას სიკვდილიც ასცდა და საბოლოოდ თავისუფლებაც დაუბრუნდა: ელექტრონის სკამზე დასმის ნაცვლად, იგი ჯერ საგიჟეთში ჩასვეს, ხოლო აქედან 1958 წელს გამოუშვეს (გამოჩენილ იტალიელ და ამერიკელ ანტიფაშისტ ხელოვანთა: ძავატინის, მორავიას, ქვაზიმოდოს, ჰემინგუეის, ფროსტისა და სხვების თხოვნით), რის შემდეგაც სიკვდილამდე რაპალოში ცხოვრობდა „მშვიდად". მაგრამ პიზაში განცდილი „კათარზისის" მერე მას, როგორც პოეტს, უკვე აღარაფერი უჩანს სათქმელი. 1963 წელს მან ასეთი ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ იტალიელ კორესპონდენტს:

„მე მთელი ჩემი ცხოვრება იმის რწმენით გავატარე, რომ რაღაც ვიცი. მერე კი უცნაური დღე დადგა და მივხვდი, რომ არაფერი, სრულიად არაფერი მცოდნია. და სიტყვებმაც დაჰკარგეს აზრი... ეს ტანჯვამ გამოგვბინა. დიახ, მხოლოდ ტანჯვის განცდამ. მე ძალზე გვიან შევიცანი სრული დაურწმუნებლობის მდგომარეობა, რომელშიც მხოლოდ ეჭვის ცოდნა დამრჩა. მეტს აღარაფერს ვწერ. არაფერს ვაკეთებ. ლეტარგიაში ვვარდები და ჰვრეტაში ვიძირები. ყველაფერს ვაფუჭებ, რასაც კი ვეხები. დღენიადაგ შეცდომას ვუშვებ[1]".

ამგვარად წყდება ეს რთული პრობლემა, რის შესაბამისადაც ასეთი გახლავთ ჩემი პასუხი გ. ასათიანის (ჩემს მიერთვე „ოდნავ" შესწორებულ) კითხვაზე, თუ „ვის ვდებ ბრალს? — ვისა და არა მარტო ბენსა და სელინს, პაუნდსა თუ ჰოსტს და კიდევ სხვა მათდაგვარ, მაგრამ ნაკლები მასშტაბის „მოდერნისტებს", რომელთაც, თ. მანის თქმისამებრ, საიმისო სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს „ეშმაკთან" წილნაყარებმა, რათა „ჯოჯოხეთურ სიშმაგეში" არ ჩავარდნილიყვნენ, არამედ მთელ „მოდერნიზმს", როგორც დეკადენტურ მოვლენას, და მეტადრე მის „კლასიკოსებს", — პრუსტი იქნება ეს თუ კაფკა, ჯოისი თუ მუზილი, — რომელთაც თავისდაუნებურად, მაგრამ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ადამიანთა ცხოვრებაში იმ ნიჰილისტურ იდეათა და განწყობილებათა, დიახ იმ მარცხმოსურნეობის დანერგვას, რომელთაც ობიექტურად გაუადვილეს ფაშიზმს მოსვლა და გაბატონება.

მაგრამ ვინც ასე მკაცრად სჯის „მოდერნიზმს", იმას, ცხადია, მართებს იყოს ბოლომდე ობიექტური და ისიც ახსოვდეს, რომ, მაგალითად, გერმანულ ექსპრესიონიზმს მარტო „მარჯვენა" ფრთა კი არ ჰქონია, საიდანაც პროფაშისტი ბენი და ფაშისტი ჰოსტი გამოვიდნენ, არამედ „მარცხენაც", რომლის „ნაბარტყენი" არიან ბრეჰტი და ბეჰერი. უფრო სწორად: იმდენად თავად ამ ფაქტის ხსოვნა კი არ მართებს, რომელიც არც ერთეულია და, ამდენად, არც შემთხვევითი, რამდენადაც მისი მიუკერძოვებელი, ე.ი. უკვე პოზიტიურ ასპექტში აღქმა, რასაც, რა დასაფიცია, ვერ ახერხებენ ხოლმე არადიალექტიკურად ანუ ცალმხრივად, მხოლოდ ან „ჰო"-ს ან „არა"-ს პლანში მოაზროვნე მტრები „მოდერნიზმისა".

მაგრამ აქ უკვე ახალ საკითხთა რკალში შევდივართ, სადაც საბოლოოდ ცხადდება გ. ასათიანის ჩემთან „უთანხმოების" მიზეზი და ხასიათი.

მაშასადამე, როგორც ითქვა, „მოდერნიზმის" ობიექტური შეფასებისათვის მის არსებით მანკიერებასთან ერთად ბრეჰტისა და

---

1. ყოველივე ამის შესახებ წერილად წერია «Вопросы литературы»-ს ზემოთ მითითებულ ნომერში გამოქვეყნებულ А. Зверев-ის ნარკვევში :«Эзра Паунд — литературная теория, поэзия, судьба».

ბეჰერის „კაზუსის“ ანუ იმ მრავლისმეტყველი ფაქტის **ჯეროვნად** გააზრებაცაა საჭირო, რომ თანამედროვე ხელოვნების ბევრი სხვა **რეალისტი** დიდოსტატიც ამათუ იმ „მოდერნისტული“ მიმდინარეობიდანაა გამოსული (კერძოდ, სიმბოლიზმიდან — ბლოკი, კუბიზმიდან — პიკასო, ფუტურიზმიდან — მაიაკოვსკი, სიურრეალიზმიდან — არაგონი, ელუარი და ლორკა, ჰერმეტიზმიდან — პ. ნერუდა; ანდა ჩვენთან: სიმბოლიზმიდან — გალაკტიონი, იმპრესიონიზმიდან — ნ. ლორთქიფანიძე, კუბიზმიდან — დ. კაკაბაძე, ექსპრესიონიზმიდან — კ. გამსახურდია). სახელდობრ, საქმე ისე მარტივად კი არაა წარმოსადგენი, — რასაც მ. ლიფშიცის ტიპის ანტიმოდერნისტები აკეთებენ და გ. ასათიანი მეც მაწერს, — თითქოს ამ დიდოსტატებმა ისე „დასძლიეს“ თავიანთი სიყმაწვილის „მოდერნისტული“ სენი, რომ რეალიზმის პოზიციებზე დამდგართ შესაბამისი „იზმიდან“ არაფერი შერჩენიათ, არამედ, პირიქით, იმ დიალექტიკური ფაქტის აღიარებას მოითხოვს, რომ ყოველი ამ ხელოვანთაგანი ისე იზრდება რეალისტად, რომ განსაზღვრულ ფარგლებში სწორედ ამ „იზმის“ გარკვეული **შენახულ-განვითარებული** ელემენტები სძენენ მის შემოქმედებას **სიახლეს**, დიახ **თანამედროვე სპეციფიკას**. ეს კი იმის „ცნობას“ ნიშნავს, რომ „მოდერნიზმს“ მისი მანკიერი არსის მსაზღვრელი ნეგატიური თვისებების გარდა რაღაც პოზიტიური ტენდენცია თუ ელემენტებიც მოეძევება, რომლებიც მას, ამ საერთოდ დეკადენტურ მოვლენას, მაინც ანიჭებენ შესაბამის თუნდაც შეზღუდულ, მაგრამ რეალურ **შემოქმედებით** პოტენციას და, მაშასადამე, ისტორიულ უფლებამოსილებასაც, რაიც პრინციპულად გამორიცხავს მისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

თ. მანის რომანზე დაყრდნობით სწორედ ამის ნათელყოფა შეადგენდა ჩემს ზეამოცანას და სწორედ ამის უგულებელ-და სულაც უარყოფა მისაყვედურა ჩემმა კრიტიკოსმა. მაგრამ რას ემყარება გ. ასათიანის ეს საყვედური?

ვაღიარებ, რომ მე **არასაკმარისად** თუ, უფრო სწორად, **არასრულად** მაქვს ნაჩვენები ლევერკიუნის შემოქმედების პოზიტიური მხარე, მის „სიახლეთა“ დადებითი თვისებები, რამდენადაც დავკმაყოფილდი იმ ფსიქოლოგიურ-მორალური წანამძღვრების აღნიშვნით, სახელდობრ, „ოსმოსური“ ესთეტის ჰერმეტიკულ სფეროდან ცოცხალ გრძნობათა სამყაროში იმ „გარღვევის“ (Durchbruch-ის) ხაზგასმით რომელმაც შეაძლებინა ლევერკიუნს, ეშმაკეული „რაციონალიზმით“ გათიშულ მხატვარს, ხელოვანი დარჩენილიყო, მარტო შემოქმედებითი უნარი კი არ შეენარჩუნებინა, გენიალობის ნიშნით აღბეჭდილი თხზულებებიც კი შეექმნა. მაგრამ გ. ასათიანს ამას კი არ მიწუნებს, კერძოდ, იმას, რომ მე არ მიცდია ლევერკიუნის „დოდეკაფონური“ მუსიკის, ე. ი. ფაქტიურად ა. შოენბერგის ე.წ. „თორმეტტონიანი“ მეთოდის კონკრეტულ იდეურ და მხატვრულ ღირსებათა დადგენა, არამედ იმას, თითქოს მე **პრინციპულად** გამოვრიცხავ „მოდერნიზმიდან“ ყოველივე პოზიტიურს, რამდენადაც ასეთად მასში მხოლოდ ის მიმაჩნია, რაც „რეალისტურია“.

და სწორედ აქაა ჩვენს შორის ჩაწოლილი გაუგებრობის თაური მიზეზი.

აქედან ჩანს, რომ გ. ასათიანს „მოდერნიზმი“ და „რეალიზმი“, ერთმანეთთან **სრულიად** შეუთავსებად მოვლენებად ესახება. მაშინ როდესაც ჩემი გაგებით **„მოდერნიზმი“ თუმცაღა არსებითად და საბოლოოდ „რომანტიზმად“ გვევლინება, მაინც შინაგანად შეიცავს რეალისტურ ტენდენციასა თუ ელემენტებს.** ანუ, ცოტათი უფრო თუ ჩავუკვირდებით საკითხს, ჩვენი „უთანხმოების“ ფესვი ის აღმოჩნდება, რომ სრულიად განსხვავებულად გვესმის ხელოვნებათმცოდნეობის ისეთი ელემენტარული, ე.ი. ძირითადი ცნებები, როგორიცაა **რეალიზმი** და **რომანტიზმი**.

ჯერ რეალიზმს მივხედოთ.

მე აღვნიშნავ, რომ „ოსმოსური“ ხელოვნების ისტორიულ ადგილსა და ბედს თ. მანი ადგენს „მეამიტურ“-რეალისტური და „სენტიმენტალურ“-რომანტიკული პოეზიის შილერისეული კონცეფციის ანალოგიურად, ე.ი. „ოსმოსურ“ ხელოვნებას არსებითად უპირისპირებს „კლასიკურ“-რეალისტურს **რომლის „ოქროს ხანებიც“ განეკუთვნება შორეულ პრე-ბურჟუაზიულ წარსულსა და პოსტ-ბურჟუაზიულ მომავალს“** (გვ. 156), ჩემი კრიტიკოსი კი ამ ადგილის ციტირების დროსაც „პატარა“ უზუსტობას უშვებს, სწორედ იქ წყვეტს ციტატს, სადაც ჩემს მიერ აქ ხაზგასმული სიტყვები იწყება, რომლებიც იმას ცხადყოფენ, რომ „კლასიკურ-რეალისტურის“ ცნება მე იმდენად ფართოდ მესმის, რომ არამც და არამც არ მეთქმის, საერთოდ ხელოვნების ეტალონად „პირველ რიგში კლასიკური რეალიზმი“ მიგაჩნიაო. ამ „კუპიურის“ საუკეთესო ახსნად ის მოსაზრება თუ ჩაითვლება, რომ გ. ასათიანს იმდენად კი არ სურს გამომიყვანოს „კლასიკური რეალიზმის“ ადეპტად, რამდენადაც თავად მიაჩნია საერთოდ „რეალისტური“ ხელოვნების ეტალონად **ეს რეალიზმი**, ე.ი. XIX საუკუნის ის ხელოვნება, რომელსაც სინამდვილის გარეგანი ფორმების „ადექვატური“ რეპროდუქცია ანუ მისი საკუთრივ „ცხოვრები-

სეული“ სახით გამოხატვა ახასიათებს. ყოველ შემთხვევაში „რეალიზმის“ ცნების მხოლოდ ასეთი ვიწრო გაგება, რაც სწორედ ჩვენ დოგმატიკოს-სქემატიკოსთა ერთ-ერთ მთავარ „მონაპოვრად“ უნდა ჩაითვალოს, მოითხოვს დასკვნას, რომ „მოდერნიზმი“ და „რეალიზმი“ ერთმანეთთან ისე შეუთავსებადია, რომ არაფერ საკუთრივ მოდერნისტულს არ შეიძლება ეწოდოს რეალისტური. დიახ, არსებითად ეს იგივე დასკვნა გახლავთ, რომლის თანახმადაც ჩვენი საუკუნის უდიდესი მხატვარი, **პაბლო პიკასო** თავის „გერნიკაშიც“ კი „მოდერნისტად“ გვევლინება და არა რეალისტად, რამდენადაც „პროგრესულ იდეას“ გამოხატავს აქ არა „ცოცხალი რეალისტური სახეებით“, არამედ... „სიმბოლოებით“, რომლებიც თურმე, „სრულფასოვან მხატვრულ სახეებად ვერ ჩაითვლებიან“ (ამ თვალსაზრისით მომხრეებს, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსდის, რომ მარტო პიკასოს გენიალური სურათი კი არ გამოჰყავთ **სუსტ ნახელავად**, რომელშიც იდეურ შინაარსს ადექვატური ფორმა აკლია, არამედ გოეთეს „ფაუსტსაც“, სვიფტის „გულივერსაც“, რაბლეს „გარგანტუასაც“ და დანტეს „კომედიასაც“ აკნინებენ, რამდენადაც **ხელოვნების** ამ შედევრებსაც ახასიათებს... „არარეალისტური სტილი“).

რეალიზმის ცნებას მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ასპექტი აქვს, რომელთა აღრევა ყოვლად დაუშვებელია. „რეალიზმი“ შეიძლება ნიშნავდეს როგორც გარკვეულ **მიმდინარეობას** ხელოვნებისა, ისე განსახიერების **მანერასაც, სტილსაც** და აგრეთვე **მეთოდსაც** ანუ ასახვის **სხვადასხვა** საშუალებათა გარკვეულ სისტემას, რომელსაც სინამდვილესთან მხატვრის მიმართების სათანადო ზოგად-ესთეტიკური პრინციპი უდევს სარჩულად. თავის ადგილზე და თავის ფარგლებში ყველა ეს ასპექტი სრულფასოვანია, რაც, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების **ფილოსოფიის** სფეროში ანუ მისი ბუნების, ესთეტიკური არსის დადგენისას ტერმინი „რეალიზმი“ უფართოესი მნიშვნელობით, ე.ი. მეთოდის აზრით უნდა იხმარებოდეს. სწორედ ასე ფართოდ გაგებულ რეალიზმს გულისხმობენ (არა მარტო გერმანული, არამედ) მსოფლიო ესთეტიკური აზრის კორიფეები: შილერი — **„მეამიტურ“** პოეზიაში საწინააღმდეგოდ „სენტიმენტალური“ პოეზიისა, გოეთე და ჰეგელი — **„კლასიკურ“** ხელოვნებაში განსხვავებით **„რომანტიკულისაგან“** და მარქს-ენგელსი — **„შექსპირიზაციის“** პრინციპში საპირისპიროდ **„შილერიზაციისა“**. ყველა ეს ტერმინი მათ ავტორთა თანახმად ნიშნავს არა რომელიმე მიმართულებას ან ამა თუ იმ მანერასა და სტილს, არამედ მხატვრული განსახიერების იმ გენერალურ პრინციპს, სახელდობრ სუბიექტურ-ესთეტიკურ სახეთა ობიექტურ-„ბუნებისეულ“ — (გინა — „ცხოვრებისეულ“) [illegible] **შესაბამისობას**, რომელიც ხელოვნების, როგორც ცნობიერების ანუ ასახვის სპეციფიკური ფორმის ატრიბუტად, ე.ი. არსებითად ორგანულ თვისებად გვევლინება და მისი მთელი **ისტორიის მანძილზე** მოქმედებს თავის პოლარულ ნეგატიურ **ნაირსახეობასთან**; დიახ, **რომანტიზმთან** განუწყვეტელ **ჭიდილში**.

და სწორედ ამ ფართო აზრითაა გაგებულ-გამოყენებული ტერმინი „რეალიზმი“ (ისევე, როგორც „რომანტიზმი“) ჩემს წერილში, რასაც თუმცაღა თავისთავად ცხადყოფს ჩემი მსჯელობის საერთო პლანიცა და ცალკეული მონაკვეთებიც, მაგრამ, შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, როგორც ჩანს, მაინც ესაჭიროებოდა დამატებითი განმარტება.

მარქსისტულ ესთეტიკაში რეალიზმის, როგორც მეთოდის, ზემოთწარმოდგენილი ზოგადი გაგება ყველაზე უკეთ **ბერტოლტ ბრეჰტმა** დააკონკრეტა. აქ საკმარისია დავიმოწმოთ მისი ეტიუდი **„რეალისტური მეთოდის სიფართოვე და მრავალფეროვნება“**, რომლის მთავარი დებულებები შემდეგია: „რეალიზმს ახასიათებს არა სივიწროვე არამედ პირიქით სიფართოვე შეხედულებათა“: მას „სინამდვილის მექანიკური რეპროდუქცია“ კი არ ევალება, არამედ „სიმართლის თქმა“, ხოლო „სიმართლის თქმის ისევე ბევრი საშუალება არსებობს, როგორც მისი დამალვის ხერხი“; ამიტომაც „რეალიზმის პრობლემა არაა ფორმის პრობლემა“ ანუ „გარეგანი, ფორმალური ელემენტები (რომელთა მეშვეობითაც „სიმართლე“ გამოიხატება—ო.ჯ.) სულაც არ გვევლინება რეალიზმის ნიშნებად“; გამოსახვის ფორმები ისევე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორც თავად სინამდვილეა, რამეთუ მათ „არჩევანს თავად სინამდვილე კარნახობს და არა ესთეტიკა“; ხოლო ამდენად „ფორმალურ კრიტერიუმთა წამოყენებისას მათი მეტისმეტად ძუნწად წამოყენებაა ყველაზე სახიფათო“, მათი „ორ-სამ სახელთან დაკავშირება, რაოდენ განთქმულიც არ უნდა იყოს ეს სახელები,“ „ორი-სამი ფორმალური ხერხის ერთადერთ უებრო მეთოდად გამოცხადება, რაოდენ სასარგებლოც არ იყოს ეს ხერხები“; სხვა სიტყვით, „არავითარი საგანგებო ფორმალური ნიშანი არ არსებობს, რომელიც აქ უპირატესობას იმსახურებს“; დიახ, თავის ადგილზე ყველა საჭიროა და დასაშვები, თუნდაც „ფანტასტიკური“ და „სულაც ყოვლად პირობითი ხერხები“. ერთადერთი პირობა, რომელიც ხელოვანს აქ ზღუდავს, ისაა, რომ „თავის შემოქმედებითი ფანტაზიის აღმაფრენისას მას ფეხქვეშ ნიადაგი არ უნდა გამოეცალოს“.

ძნელია რეალიზმის არადოგმატიკურ დოგმატთა უკეთ ჩამოყალიბება, რომელთაგან შემდეგი ინტეგრალური დასკვნა გამომდინარეობს: **რეალიზმი არამც და არამც არაა რაღაც „უნაპირო“** ფენომენი, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად იზღუდება იგი **რომელიღაც ფორმალური** ნიშნით, ისე რომ **სხვადასხვანაირად,** მაგრამ ერთთავად, **მეტ-ნაკლებად,** მაგრამ ორგანულად რეალისტური ქმნილებებია, ვთქვათ, ჰომეროსის პოემებიც და სოფოკლეს ტრაგედიებიც, როგორც არისტოფანეს, ისე მენანდრეს კომედიები, ჩვენი „ვეფხისტყაოსანიცა“ და იტალიელთა „ღვთაებრივი კომედიაც“, რაბლეს „გარეგანტუაცა“ და სერვანტესის „დონ კიხოტიც“, როგორც შექსპირის „ჰამლეტი“, ისე კორნელის „სიდი“, მოლიერის „მიზანტროპაც“ და რასინის „ფედრაც“, სვიფტის „გულივერიცა“ და გოეთეს „ფაუსტიც“ და... დასასრულ... პიკასოს „გერნიკაც“.

დიახ, რეალიზმის ასეთი, ვფიქრობ, ჭეშმარიტად მარქსისტული გაგების თანახმად არა მარტო პიკასო გვევლინება თუმცაღა ერთობ წინააღმდეგობრივ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დიდ **რეალისტად,** რომელიც მთელი თავისი არაჩვეულებრივად მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი ინდივიდუალობით არ ეტევა „მოდერნიზმის“ **ვიწრო** ჩარჩოებში, არამედ თავად „მოდერნიზმიც“ **ისე** შეიცავს გარკვეულ **რეალისტურ** ელემენტებს, რომ სწორედ **მათი** ძალით იძენს ეპოქის შესატყვის ნამდვილ სიახლესა და კიდევაც ინარჩუნებს თუმცაღა რელატიურ, მაგრამ რეალურ ისტორიულ ღირებულებას.

რასაკვირველია, ეს თეზისი შემდგომ თეორიულ დასაბუთებასა და პრაქტიკულ დადასტურებას საჭიროებს, რაც აქ ფიზიკურად გამორიცხული რჩება, მაგრამ ასე მგონია, აღნიშნულიც კმარა იმის საბუთად, რომ ამ თეზისის გამო მე არც ნიჰილისტ ანტიმოდერნისტად შერაცხვას ვიმსახურებ და არც ე.წ. „რეალიზმ-ანტირეალიზმის“ ყბადაღებული კონცეფციის ადეპტად ვივარგებ. და მხოლოდ იმიტომ, რომ გ. ასათიანი თავისი, ასე ვთქვათ, გადამწყვეტი კოზირის სახით მესვრის ამ უკანასკნელ ბრალდებას, — Что не от бога — от нечистого! — მცირედ განმარტებას ამ კონცეფციის გამოც მოვახსენებ მას.

ამ კონცეფციამ მართლაც დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობასა და კრიტიკას: სწორედ ის მოემსახურა თეორიულ წანამძღვრად და ფსიქოლოგიურ ბიძგად იმ „დიპლომატიურ სვლას“, რომლის ნამდვილი მომხრეები მარტო იმას კი არ ირწმუნებოდნენ (და ასე თუ ისე ჯერაც ირწმუნებიან), რომ ვთქვათ ბლოკმა ან გამსახურდიამ, ერთიანად და უნაშთოდ „დასძლიეს“ თავიანთი დეკადენტური „წარსული“, არამედ პუშკინის რომანტიზმზედაც „ხმადაბლა“ ლაპარაკს არჩევენ, აქაო და რომანტიზმიც „ანტირეალიზმაა“ და „მაშასადამე“ ლაქას დაამჩნევს [illegible] პოეზიის მზეს“...

ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ „რეალიზმ-ანტირეალიზმის“ კონცეფციის მიმდევრობა დღეს სამართლიანად ითვლება დოგმატიზმის უცუდეს ნიშნად. მაგრამ ამავე დროს მისმა აშკარა მანკიერებამ იმის ილუზიაც შექმნა, რომ ამ „კონცეფციის“ განუკითხავი „დაგმობა“ კმარა, რის შესაბამისადაც ბევრი ჩვენი „ანტიდოგმატიკოსი“ მას საოცრად „იოლად“ უსწორდება ხოლმე. სინამდვილეში კი ამ მართლაც მანკიერი კონცეფციის ქმედითი დაძლევა მარტო ანალიტიკურ კრიტიკას ძალუძს, რომელიც იმ ფაქტს გაითვალისწინებს, რომ დოგმატიზმის ეს „ეტალონი“ მთლად უსაფუძვლო გაძონაგონი როდი გახლავთ. საქმე ისაა, რომ ის, ვინც **ასახვის** თეორიის პოზიციაზე დგას ანუ ხელოვნებისაგან ობიექტური სინამდვილის შეძლებისამებრ ადექვატურ რეპროდუქციას, დიახ, „სიმართლის თქმას“ მოითხოვს, იმ დასკვნას ვერ ასცდება, რომ „რეალიზმი“ არა მარტო „რომანტიზმს“ სჯობს და აღემატება, არამედ სულაც ჭეშმარიტი და ნამდვილი ხელოვნების ატრიბუტად, არსებით და განუყოფელ ნიშანთვისებად გვევლინება. ოღონდ აქედან შემდგომი დასკვნების სწორად გამოტანაა საჭირო და მხოლოდ აქ სცოდავენ აღნიშნული ვულგარულ-სქემატური კონცეფციის მესვეურნი, სახელდობრ, ვერაფერს ხედავენ დადებითს ყოველგვარ „ანტირეალიზმში“, მეტადრე კი რომანტიზმში, რაკი ის სინამდვილისაგან „დაშორებისა“ თუ „მოწყვეტის“ ნაყოფად გვევლინება. ეს შეცდომა კი რეალიზმისა და რომანტიზმის როგორც „პოლარულ“ პრინციპთა იმ აბსტრაქტულ აღქმას, იმ მეტაფიზიკურ გათიშვა-დაპირისპირებას ემყარება, რომელსაც ხელოვნების სწორედ რეალისტური არსი ართმევს საფუძველს. ანუ სხვა სიტყვით, ამ კონცეფციის სიყალბეს მისივე ჭეშმარიტი წანამძღვარი ცხადყოფს...

ამ „პარადოქსის“ ნათელყოფა კი რომანტიზმის ბუნების რეალიზმთან შეპირისპირებით დადგენას მოითხოვს და მეც იმ უკანასკნელ პრობლემაზე გადავდივარ, რის გამოც გ. ასათიანი მედავება და რაც ასეთი კითხვის სახით შეიძლება დაისვას:

მაინც რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს რომანტიზმი?

ასეთი კითხვა სავსებით კანონზომიერია თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობაში ამ პრობლემის გარშემო შექმნილი ვითარებისათვის, რომელსაც ახასიათებს ერთის მხრივ რომანტიზმის მიმართ საერთო ინტერესის გამახვილება, ხოლო მეორეს მხრივ მასზე გამოთქმულ შეხედულებათა დიდი სიჭრელე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია იმავე Вопросы лите-

ратуры-ს 1968 წლის № 12-ში ასეთივე კითხვით — **Что такое романтизм?** — დასათაურებული რეცენზია, რომელშიც შემდეგი სურათია წარმოდგენილი: უწინარეს ყოვლისა, უკმარი ჩანს ჩვენში მტკიცედ დამკვიდრებული დაყოფა რომანტიზმისა „პროგრესულ“, „რევოლუციურ“ და „კონსერვატიულ“, „რეაქციულ“ ნაკადებად, რომელსაც ასეთ დიფერენციაციას „путаница“ შეაქვს რომანტიზმის ვითარცა „მხატვრული მეთოდის“ გაგებაში (საქმე ისაა, რომ ესა თუ ის „მხატვრული მეთოდი“, როგორც „სინამდვილის ასახვისა და გამოსახვის პრინციპთა სისტემა“, მხოლოდ „ერთი“ შეიძლება იყოს, „თავისი არსით, თავისი შემეცნებითი ბუნებით“); მაგრამ ამავე დროს, ჯერ-ჯერობით მოძებნილი არაა სათანადო „სტრუქტურული ნიშანი“, რომელიც ასე გახდის შესაძლებელს რომანტიზმის დიფერენციაციას, რომ არ დაარღვევს მის ტიპოლოგიურ ერთიანობას; სხვა სიტყვით, ვერაა „კონსტრუირებული“ რომანტიზმის ისეთი „მოდელი“, რომლის მიხედვითაც „შეიძლება იქნას აგებული ბაირონის პოემებიც, სკოტის რომანებიც, ნოვალისის „ოფტერდინგენიც“, ბლოკის ლექსებიცა და შილერის დრამებიც“ (ერთნი ასეთ ნიშნად სახავენ „რომანტიკულ განცდას“, ანუ იძლევიან არაესთეტიკურ დეფინიციას, რომლის შედეგადაც რომანტიზმს, როგორც მხატვრულ მოვლენას, ენაცვლება „რომანტიკის“ ფსიქოლოგიური კატეგორია; მეორენი ასეთ ნიშნად მიიჩნევენ გნოსეოლოგიურ ფაქტორს, კერძოდ „სინამდვილის ინტუიტურ წვდომას“, რაც იმ გარემოებას არ ეთანხმება, რომ „რომანტიკულ ხელოვნებაში კოლოსალურ როლს თამაშობენ გონება, აზრი, შემეცნება“); ხოლო ყოველივე ამას საკმაოდ უნუგეშო დასკვნამდე მიჰყავს რეცენზიის ავტორი, რომ ბოლო დროს რომანტიზმისადმი ჩვენში მიძღვნილი მნიშვნელოვანი შრომები, — ვ. ვანსლოვის „რომანტიზმის ესთეტიკა“ (1966) თუ კრებული „რომანტიზმის პრობლემები“ (1967) — «вернее всего следует определить как предварительную разведку...»

მსგავს სიტუაციაში, ცხადია, ძნელია საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა, მაგრამ რაკი ასეთი თვალსაზრისი ყველაფერზე უნდა გვქონდეს, — ჰაინეს ნათქვამი მახსენდება, „ყოველმა კაცმა თავისი „ფაუსტი“ უნდა დაწეროსო“, — მაინც შევეცდები ჩემი პასუხი გავცე ზემოთ დასმულ კითხვას, რომელსაც, რასაკვირველია, არც ორიგინალობაზე და არც უცთომელობაზე ექნება პრეტენზია.

ოღონდ აქაც წინასწარ იმას მინდა მივხედო, — ამან შეიძლება ცოტათი გამიადვილოს საქმე! — თუ რა პოზიცია უჭირავს ამ უძნელეს საკითხში ჩემს ოპონენტს.

გ. ასათიანი მე მისაყვედურებს, რომ „დეკადენტურთან“ აუღლებო „რომანტიკულს“, მაგრამ თვითონაც ამას სჩადის, ოღონდ თავისდაუნებურად და საწინააღმდეგო მიმართულებით: არა მარტო „იცავს“ ორთავეს, არამედ, რაც მთავარია, ერთნაირად და თანაბრად იცავს საერთო მტრისაგან, ვულგარულ-ნიჰილისტური ხელყოფისაგან. თავისთავად ეს მართებულიცაა და გასაგებიც, მაგრამ სამწუხაროდ გ. ასათიანი ისე ცუდად ესწრაფვის თავის კარგ მიზანს, რომ საბოლოოდ კიდევ უფრო შორდება მას, სახელდობრ, მეორე უკიდურესობაში ანუ ვულგარული ნიჰილიზმის საწინააღმდეგოდ მიამიტ აპოლოგეტიკაში ვარდება. თანაც ორივე შემთხვევაში, — როგორც „დეკადენტურის“, ისე „რომანტიკულის“ მიმართ, — ასე ვთქვათ „რეაბილიტაციის“ ერთ „ხერხს“ მიმართავს: მათი ნაკლოვანებების მიჩქმალვის ხარჯზე აზვიადებს მათ ღირსებებს.

პირველ შემთხვევაში, კერძოდ, სიმბოლიზმის მიმართ ეს „ოპერაცია“ ასე გამოიყურება: სიმბოლისტებმა, რომელთაც „წყევასავით“ თანდაყოლიათ „სამყაროს დისჰარმონიულობის, საბედისწერო მოუწესრიგებლობის შეგრძნება“, „სასოწარკვეთით გონსგადამცდარ ოიდიპოსის მსგავსად საკუთარი ხელებით დაითხარესო თვალები, რათა მზის სინათლე არ ეხილათ“,— „ლამაზად“ წერს გ. ასათიანი და იმის ნაცვლად რომ ყოველივე ამაში (როგორც სამყაროს ქაოტურობის ამ გადაჭარბებულ აღქმაში, ისე საერთოდ „მზის სინათლეზე“ ამ უარისთქმაში) სიმბოლიზმის სწორედ დეკადენტური სისუსტე დაენახა, ამასლა შენიშნავს კიდევ უფრო „ლამაზად“: „მაგრამ ამ ნებაყოფლობითმა სიბრმავემ ერთგვარად გააღრმავაო მათი შინაგანი მზერა, ხოლო ზოგიერთს ნათელხილვის განსაცვიფრებელი ნიჭიც შესძინა“; ანდა: „ბლოკისა და მათი რანგის სხვა მწერალთა შემოქმედებაში მთავარი და არსებითი იმდენად ეშმაკეული „სიცილი“ კი არააო, რამდენადაც ადამიანური „ტკივილი“, — გვიხსნის გ. ასათიანი, მაგრამ იმის დაზუსტებას ივიწყებს, რომ ამ „რანგს“ ბლოკმა და მისი მასშტაბის სხვა მწერლებმა თავიანთ თავებში სწორედ დეკადენტური საწყისის დაძლევით ანუ მხოლოდ იმის შედეგად მიაღწიეს, რომ, გ. ასათიანისავე სიტყვებით თუ ვიტყვით, თავიანთი „ადრინდელი შემოქმედების დონეზე არ გაყინულან“.

ხოლო მეორე შემთხვევაში ამავე „ხერხის“ გამოყენების უმკვეთრეს ნიმუშებს შეიცავს გ. ასათიანის ვრცელი ნარკვევი „მერანი“ და მისი ავტორი“, სადაც რომანტიზმი ფაქტიურად ისეა უმაღლესი ხარისხის რეალიზმად წარმოდგენილი, რომ მისი არც ერთი არსებითი, სპეციფიკურ-რომანტიკული ნაკლი არაა „ნამდვილ“ ნაკლად, არსებით მსაზღვრელად მიჩნეული.

მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

გ. ასათიანის თანახმად: „ამ მიმდინარეობის მოწინავე წარმომადგენლები ხელოვნების მთავარ დანიშნულებას ხედავდნენ არა მხოლოდ ობიექტური რეალობის ზუსტ ასახვაში, მათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მხატვრული შემოქმედების აქტიური, გარდამქმნელი, რევოლუციური მისია“ (გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი“, გამ. „საბჭ. საქ.“ 1969. გვ. 10). სინამდვილეში კი მხატვრული შემოქმედების აქტიურ-გარდამქნელი უნარისა და რევოლუციური „მისიის“ იდეა ასეთ პოზიტიურ პლანში „კლასიკოს“ გოეთეს კუთვნილებას წარმოადგენს, ხოლო რომანტიკოსებმა პირიქით (რასაკვირველია, სხვადასხვა ხარისხებში, ვთქვათ, ნოვალისმა — მეტად, ხოლო ჰიუგომ — ნაკლებად) შერყვნეს იგი, „დააწვრილმანეს“ და „დაასუსტეს“, რამეთუ შემოქმედებით აქტს სუბიექტივისტურ-თვითნებური ხასიათი მიაწერეს, ხოლო მისი პროდუქტის, ე. ი. „ახალი რეალობის“ ცნება „მატერიალური“ სინამდვილის გამომრიცხველი სპირიტუალისტური შინაარსით გამსჭვალეს.

გ. ასათიანის თანახმად: რომანტიკულად გაგებულ ხელოვნებაში „ადამიანის თავისუფალი ნება იმარჯვებს აუცილებლობის ბრმა ძალებზე და მათ თავისი მაღალი მოთხოვნილებების მიხედვით წარმართავს“ (იქვე). სინამდვილეში კი აქაც პირუკუ ხდება: რომანტიკოსთა აწყვეტილი, „ცხოვრების“ მთელი დინების წინააღმდეგ მიმართული „ნება“, მხოლოდ ფიქტიურ, წარმოსახვით „თავისუფლებას“ იხვეჭს, ხოლო საბოლოოდ სასტიკად მარცხდება რეალური აუცილებლობის წინაშე, რომელიც მხოლოდ იმას გადაექცევა ხოლმე „ბრმა ძალთა“ მარადგადაულახავ სარბიელად, ვისაც „წუთისოფლის“ საერთო კანონზომიერებანი და კონკრეტული შესაძლებლობანი რჩება შეუცნობელ-გაუთვალისწინებელი.

გ. ასათიანის თანახმად: „რომანტიკოსებმა თავისი შემოქმედების მთავარ საგნად აქციეს კაცობრიობის თანდაყოლილი სწრაფვა უსასრულობისაკენ. მისი სულის ზვიადი, ოკეანისებური მიმოქცევა, მისი ამაყი სიზმრები, განახლების ურყევი რწმენა და შემოქმედი ფანტაზიის განსაცვიფრებელი უნარი. რომანტიზმი ნიშნავდა და ნიშნავს იდეალისადმი თავდადებულ, უკომპრომისო ერთგულებას“, რის გამოც „იგი განსაკუთრებით ახლობელი და საცნაურია თანამედროვე ადამიანის თვითშეგნებისათვის“ (იქვე, გვ. 10-11). სინამდვილეში კი ასე ახლობელ-საცნაური ჩვენთვის კვლავ გოეთეს ფაუსტური „იდეალიზმი“ გახლავთ, რომელსაც მართლაც გამსჭვალავს „ამაქვეყნიური ღწვისა და ბრძოლის“ ქმედითი სული, რამდენადაც „მიწიერ-ობიექტურ“ რეალობაში უდგას ულრმესი ფესვი, მაშინ როდესაც რომანტიკოსთა უბედურება, დიახ ტრაგედია ის იყო, რომ მათ, ამ „შეუპოვარ“ მეოცნებეებს, თავიანთი „განსაცვიფრებელი“ ფანტაზიით შთაგონებული „ზემიწიერი“ (მეტაფიზიკურად განყენებული) იდეალებისადმი „უკომპრომისო ერთგულება სწორედ „ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდა“, რის გამოც უკვე შილერი ასე „ბრეხტისებურად“ ურჩევდა ჰოელდერლინს: „გრძნობად სამყაროსთან უფრო ახლოს გეჭიროთ თავი. მაშინ უფრო აიცდენთ აღმაფრენისას სიფხიზლის დაკარგვის საშიშროებას“.

მართალია, გ. ასათიანიც შენიშნავს, რომანტიკოსთა მსოფლაღქმას „მკვეთრად გამოვლენილი სუბიექტივიზმი“ ახასიათებსო „განუყრელ ნიშანთვისებად“ და მათ იდეალთა სამყარო „ილუზიური“ არისო, ოღონდ ამას ისე „გაკვრით“ აკეთებს და თანაც ისეთ „მაგრამ“-ს ან „დაზუსტება“-ს დაურთავს ხოლმე (იხ. იქვე, გვ. 58-59), რომლებმაც მყისვე უნდა გვაგრძნობინონ, რომ ეს ნაკლოვანებები კი არაა მათს შემოქმედებაში „მთავარი და არსებითი“, არამედ ის „ღირსებანი“, რომლებიც რომანტიზმს უმაღლესი ხელოვნების ეტალონად წარმოგვიდგენენ. თუ რამდენად უმძიმს გ. ასათიანს რომანტიზმში რაიმე სერიოზული მანკის აღიარება, იქიდანაც ჩანს, რომ იგი ფაქტიურად ხელს იღებს მისი სპეციფიკის დადგენაზე. ასე მაგალითად, აღნიშნავს რა, რომანტიზმის „ერთადერთ შედარებით უცილობელ (მსოფლმხედველობრივ) ნიშნად არსებული სინამდვილისადმი უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება იქნასო განხილული“, იგი ასე აბათილებს ამ თითქოსდა მართებულ აღიარებას: „შეიძლება ითქვას, რომ ყველა დროის რომანტიკოსები მწვავე, შეურიგებელ კონფლიქტში იმყოფებოდნენ თავისი ეპოქის სინამდვილესთან. მაგრამ ეს თვისება, როგორც ცნობილია, მხოლოდ რომანტიზმის საკუთრებას არ წარმოადგენს. ასეთი მძაფრი უკმაყოფილება არა ნაკლებად დამახასიათებელია კერძოდ XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმისათვის“ (იქვე, გვ. 57-58).

სინამდვილეში კი სწორედ აქ, ამ კონფლიქტში, მჟღავნდება რეალიზმისა და რომანტიზმის, როგორც „პოეტური ხედვის“ ორი არსებითად სხვადასხვა ფორმის, ურთიერთდაპირისპირებულობა: თუკი კრიტიკულ რეალისტთა „კონფლიქტი“ არ იღებს ხოლმე სინამდვილესთან გადაუჭრელი განხეთქილების ხასიათს, რის გამოც მათ ჯეროვნად მტკიცედ თუ არა, ასე თუ ისე მაინც ობიექტური რეალობის ნიადაგზე უდგათ ფეხი, რომანტიკოსთა „კონფლიქტს“ უღრისი ტრაგიზმი ახასიათებს, რამდენადაც მათი „შეურიგებლობა“, როგორც წესი, ობიექტური რეალობისაგან მათ სუბიექტურ იდეალთა მოწყვეტით მთავრდება, რის საბოლოო შედეგადაც გვევლინება სწორედ ის პათოლოგიური წარმოდგენები, — ცხოვრების მოუწესრიგებლობის მთელ სამყაროს „საბედისწერო“ ე.ი. უსაშველო „დისჰარმონიად“ აღქმა და მისთანანი, — რომელთაც

ვ. ასათიანი ესოდენი პათოსით უქებს ყველა დროის, მაშასადამე როგორც ძველ ანუ „კლასიკურ“, ისე ახალ ანუ „მოდერნისტულ“ რომანტიზმს.

და ამრიგად, შეიძლება ითქვას, ჩვენ უკვე მივაგენით იმ უზოგადეს და გენერალურ მსოფლმხედველობრივ ნიშანს, რომელიც სხვადასხვანაირად, მეტნაკლები სიმწვავით, მაგრამ აუცილებლად ახასიათებს მთელ რომანტიზმს, ერთიანად განაპირობებს მის ორთავე, — როგორც პროგრესულ, ისე კონსერვატულ, — სახეობას ვითარცა რეალიზმისაგან თვისობრივად განსხვავებულ, სულაც ამ უკანასკნელის საწინააღმდეგო ტენდენციით გამსჭვალულ **კრიზისულ** მოვლენას. სახელდობრ, ეს ნიშანი გახლავთ, სინამდვილესა და იდეალს, ობიექტურ „აუცილებლობასა“ და სუბიექტურ „ნებელობას“ შორის **ის რადიკალური** წინააღმდეგობა, **ის ტრაგიკული შეუთანხმებლობა, რომლის შედეგა**დაც „მიწას“ მომწყდარი ფანტაზიის მაცდური „ძალით“ აღმაფრენ ხელოვანს მისი თუნდაც უკეთილშობილესი სულისკვეთება გადაექცევა **უსაფუძვლო** და, მაშასადამე, **არაბუნებრივ**, თ. მანის თქმით, ნაძალადევ, „ოსმოსურ“, ხოლო გოეთეს ენაზე ავადმყოფურ, „ევფორიულ“ ძალთახმევად, ისეთ მეამბოხეობად ან ლტოლვად, რასაც საბოლოოდ აუცილებლად უწერია სასტიკი მარცხი.

ანუ სხვა სიტყვით: სადაც ობიექტური სინამდვილის ცალკეული გამოვლენებით დაუკმაყოფილებელი რეალისტი ამ სინამდვილეშივე ეძებს მათი დაძლევის ქმედით საშუალებებს, მისგან გაუსვლელად, ე. ი. მის კანონთა და შესაძლებლობათა შესაბამისად ცდილობს თავისი ფაუსტური, — ჟამთა დინების გამსწრები, — ნებისადმი „ცხოვრების“ დაქვემდებარებას, რის ძალითაც იმთავითვე შინაგან სისრულესა და სილაღეს სძენს თავის კადნიერ შემართებას, იქ რომანტიკოსი ისე სუბიექტურად აზვიადებს თავისი გარემოცვის ნაკლოვანებებს და ისე თვითნებურად განაზოგადებს მათ „ცხოვრების“ საერთო „უვარგისობის“ ნიშნად, რომ მხოლოდ თავად კი არ ეკიდება მას ძალმომრედ და მტრად, არამედ მასაც იმხედრებს მით უფრო „საბედისწეროდ“, რაც უფრო შეუპოვრად თუ გამწარებით ეძლევა თავის წინდაწინვე „განწირულ სულისკვეთებას“.

ანდა ასეც ითქმის: რომანტიკოსი მხოლოდ თავისი მანკიერი გარემოცვის მსხვერპლი, მარტოოდენ უდროობითა და უამიდობით დამზრალი ნაყოფი კი არ არის, არამედ მეტ-ნაკლებად საკუთარი სუსტძალოვანების შედეგიც გახლავთ, სულაც. მისი ტრაგედია უფრო შინაგანი, ვიდრე გარეგანი ხასიათისაა, რამდენადაც მას სინამდვილესთან უმართებულო, არაჯანსაღი მიმართება ექცევა ყველა ცთომილებისა და მთელი უბედურების თაურ მიზეზად.

დიახ, ყოველივე ამის მიხედვით განსაზღვრა გოეთემ „რომანტიკული“ როგორც „ავადმყოფური“ (kränklich) და „სუსტი“ (schwach) რომელიც „კლასიკურ“-რეალისტურს ეპირისპირებდა ვითარცა „საღსა და ფარსაგს“ (gesund und tüchtig).

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შევნიშნავ, რომ „კლასიკურისა“ და „რომანტიკულის“ ეს გოეთესეული განსაზღვრება ზუსტად ეთანხმება „სისაღისა“ და „სნეულების“ ცნებათა თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულ გაგებას, დღეს „სისაღედ“ მიიჩნევა „ადამიანის ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მისი ყველა ორგანოსა და სისტემის ფუნქციები შეწონასწორებულია გარემოსთან“, ხოლო „სნეულებად“ ითვლება „გარესამყაროსთან ურთიერთმოქმედების“ დარღვევით გამოწვეული შეფერხება „ორგანიზმის ცხოველქმედობისა“ ანუ მისი „საერთო ტანჯვა“ (იხ. БМЭ, т. 4, стр. 47; т. 21, стр. 138; БСЭ, т. 5, стр. 469). და ადვილი დასანახია, რომ ხელოვანის, როხორც ცხოველმოქმედი ორგანიზმის, შემოქმედი სუბიექტის ობიექტურ გარემოსთან „ნორმალური“, ე. ი. ლაღი, ძალდაუტანებელი ურთიერთკავშირის დარღვევა თუ, სულაც, გაწყვეტა და აქედან მომდინარე შეჭირვება, დიახაც „ტანჯვა“, შინაგანი კრიზისი წარმოადგენს სწორედ რომანტიზმის სპეციფიკურ ნიშანთვისებას. ოღონდ, რასაკვირველია. ამ იდენტიფიკაციის გავულგარება რომ ავიცდინოთ, ნიადაგ იმ არსებითი სხვაობის ხსოვნაც გვმართებს, რაც თ. მანმა „რღვევის ფენომენის“ გამო აღნიშნა, სახელდობრ, იმის გათვალისწინება, რომ „სულის ბიოლოგიის“ სფეროში სნეულების ფენომენიც მარტოოდენ ნეგატიური მოვლენებით, კერძოდ, ვიტალობის დაქვეითებითა და მორფოლოგიური გადაგვარებით კი არ ხასიათდება, რასაც „ბუნების ბიოლოგიის“ სფეროში ვხედავთ, არამედ **ახალ ღირებულებათა** შექმნითაც გამოირჩევა, რომლებიც განვითარების შემდგომი, უფრო მაღალი საფეხურის ელემენტებად იქცევიან ხოლმე.

თანაც საგულისხმოა, რომ გოეთემ, თითქოსდა წინასწარ ეგრძნოს, რომ რომანტიზმს ისეთი „დამცველებიც“ აღმოუჩნდებოდნენ, რომლებიც მის ამ დეფინიციას „გერმანული“ ჩარჩოებით ლოკალიზაციას დაუპირებდნენ, თვითონვე უსვამდა ხაზს მის საზოგადო ვარგისიანობას ანუ **მეთოდოლოგიურ** მნიშვნელობას, — საგანგებოდ დასძენდა, „თუკი ამ თვისებათა მიხედვით განვასხვავებთ ერთმანეთისაგან კლასიკურსა და რომანტიკულს, სწრაფად გავერკვევით საქმის ვითარებაში“, — ხოლო მისი სისწორის საბუთად ინგლისელ ბაირონს იმოწმებდა, რომელმაც თავისი წრესგადასულ-დაუოკებელი ეგოტიზმით „მთელი ქვეყანა აიმხედრა“.

ეს უმთავრესი ნიშანთვისება, — სუბიექტურის ობიექტურთან, ნებელობის აუცილებლობასთან, იდეალურის რეალურთან ავადმყოფურ-ტრაგიკული შეუთანხმებლობა, რაც მთელ რომანტიზმს კრიზისულ ხასიათსა სძენს, — მისი ორივე, როგორც კონსერვატული, ისე პროგრესული ნაირსახეობისათვისაა საერთო, თუმცაღა კი გამოვლინდება მათ სახეობრივ თავისებურებათა შესაბამისად. სახელდობრ, პირველში ეს შეუთანხმებლობა თავის უკიდურეს საზღვარს, აბსოლუტურ ხარისხს აღწევს, პრინციპულ-„ფილოსოფიურ“ ხასიათს იძენს, რეალურსა და იდეალურს შორის მარადგადაუწყვეტელი წინააღმდეგობის აღიარებად სრულდება, ხოლო მეორეში იგი უპირატესად რელატიურ-ისტორიულ პრიზმში გადატყდება, იდეალის **მოცემულ** სინამდვილეში განუხორციელებლობის კონსტატაციით იფარგლება, რის, შესაძლოა, უმაღლეს „მოდელს“ ისევ-ისე გოეთეს **ფაუსტი** გვაძლევს, რომელიც ისე განჭვრეტს თავისუფალი შრომის შორეულ სუფევას, რომ იმაზე არაფერი უწყის, თუ როგორი უნდა ან შეიძლება იყოს **ამ** უვარგის აწმყოდან **იმ** კარგ მყობადში გადასასვლელი.

და ამ საერთო პირველთვისებით ისაზღვრება რომანტიზმის ორივე სახეობისათვის არსებითად საზიარო, — თუმცაღა კვლავ კონკრეტულად განსხვავებული, — **მეთოდიც**, რომელიც, ამდენად, მის მეორე **მნიშვნელად** უნდა იქნას მიჩნეული. ესაა განსახიერების, ხატვის ის პრინციპი, რომელსაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა შილერმა **„სენტიმენტალური“** უწოდა **„მეამიტურის“** საწინააღმდეგოდ, ხოლო მარქსმა და ენგელსმა **„შილერიზაცია“** შეარქვეს **„შექსპირიზაციის“** საპირისპიროდ.

ამ მეთოდის არსი, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილესთან საერთო ენის უპოვნელი და კონტაქტის მკარგველი რომანტიკოსი ობიექტურ-მატერიალური რეალობის „მიხედვით“ კი არ ხატავს თავის სახეებს, უფრო ზუსტად, მათ გამოსაძერწად ამ რეალობაში კი არ ეძებს და პოულობს **შესაბამის, ადექვატურ** მასალას, რაც ამ სახეებს ფართოდ „რეპრეზენტატულ“ (წარმომადგენლობით) ხასიათს და ამასთან ერთად მხატვრულ-იდეურ თვითარსობას, „ცხოვრებისეულობას“ ანუ სრულძალოვანებას მიანიჭებდა, არამედ თავის სუბიექტურ წარმოდგენებს თვითნებურად „მიაწერს“ ბუნებისა თუ საზოგადოების ამა თუ იმ ნამდვილ ხატს ან, სულაც, იმავე იმპულსის კარნახით „თავისუფლად“ თხზავს, „იგონებს“ ვითომცდა „ნამდვილ“ ხატებს, რომლებიც, ამდენად, ასეთი ნაძალადევ-ხელოვნური წარმოშობის გამო, მარტოოდენ თავიანთი შემოქმედის იდეათა „რუპორებად“ გვევლინებიან, ე. ი. მეტნაკლებად უხორცო, სქემატურ ალეგორიებს წარმოადგენენ და არა სრულფასოვან სიმბოლოებს.

ხოლო აღნიშნულიდან ის „სენტიმენტალური“, „ფილოსოფიური“ **დასკვნა გამომდინარეობს, რომ რომანტიზმი, როგორც სინამდვილის** მხატვრული ასახვის თავისებური ფორმა, უბრალოდ კი არ „ჩამოუვარდება“ რეალიზმს, არამედ სულაც **მოკლებულია სუბსტანციურ თვითარსობას**, სახელდობრ, ესთეტიკურად მყოფობს მხოლოდ ვითარცა რეალიზმის უარყოფითი სახეობა, როგორც ნაკლოვანი რეალიზმი ანუ ისეთი მოვლენა, რომელიც რეალიზმს **ალტერნატივად** კი არ უპირისპირდება, არამედ მისი შესუსტებისა თუ რღვევის შედეგად ჩნდება და რომლის „არსებაც“ იმდენადვე „მოკლეა“, რამდენადაც უფრო მაღალია ამ შესუსტებისა თუ რღვევის ხარისხი. ანდა სხვა სიტყვით: ყოველივე თქმულის შესაბამისად, რომანტიზმი, რომელსაც საკუთარი ონტოლოგიური საყრდენი არ გააჩნია, მარტოოდენ იმდენად იძენს ესთეტიკურ რეალობას, რამდენადაც მოჭარბებულ ნეგატიურ, ანტირეალისტურ ტენდენციას მთლიანად არ აღმოუფხვრია შემოქმედებითი აქტიდან **რეალიზმი**, სავსებით არ გაუწყვეტია მისი კავშირი სინამდვილესთან, რასაც იგი ასე თუ ისე მაინც ასახავს. აქედან კი, თავის მხრივ, შემდეგი ორი არსებითი დასკვნა გამოდის: პირველი, რომ „წმინდა“, ე. ი. სრული, **კონსექვენტური რომანტიზმი** მხოლოდ ხელოვნურ თეორიულ კონსტრუქციას, მეტაფიზიკურ აბსტრაქციას წარმოადგენს, ხოლო პრაქტიკულად ძირშივე ჩანს შეუძლებელ-გამორიცხული, რამეთუ იქ, სადაც შემოქმედებითი ფანტაზია აბსოლუტურად წყდება სინამდვილეს, თავის არსებობასაც წყვეტს ხელოვნება, რომელსაც ამით აღარც ასახვის საგანი და აღარც განსახიერების მასალა რჩება ხელთ; და მეორე, რომ ხელოვნების ყოველ რომანტიკულ ქმნილებაში, როგორც **მხატვრულ** ფენომენში, შეურიგებელი წინააღმდეგობაა საცნაური, უმწვავესი ჭიდილი მიმდინარეობს რეალისტურ და ანტირეალისტურ ტენდენციებს შორის, ისე რომ ეს ქმნილება მხოლოდ **შედარებით** ანუ იმდენადაა „რომანტიკულად“ მისაჩნევი, რამდენადაც უკანასკნელი, ე. ი. ანტირეალისტური, რომანტიკული ტენდენცია იძენს მასში დომინანტურ ფუნქციას.

ეს დასკვნები მტკიცე თეორიულ-პრაქტიკულ საფუძვლებს ემყარება. თეორიულ ასპექტში მათ ვერავინ აიცდენს, ვინც კი ხელოვნებას, როგორც ცნობიერების გარკვეულ ფორმას, სინამდვილის **ასახვად** მიიჩნევს. ხოლო პრაქტიკულ ასპექტში მათ ჭარბად ადასტურებს რომანტიკული ხელოვნების ისტორია, მისი არა მარტო პროგრესული ნაკადის კორიფეთა, ვთქვათ, აქ მარტო ლიტერატურით რომ შემო-

ვიფარგლოთ, **ბაირონისა** თუ **ჰიუგოს**, **ჰაინესა** და **მიცკევიჩის** ან **პუშკინის შემოქმედება**, რომელშიც რომანტიზმს იმთავითვე ეჰიდება და თანდათან სულ უფრო სძლევს რეალისტური „საწყისი“, არამედ აგრეთვე კონსერვატული ნაკადის თუნდაც ისეთი თითქოსდა „უკიდურესი“ წარმომადგენელიც, როგორიცაა **ნოვალისი**, რომელსაც მასზე შექმნილი „ტრადიციული“ თვალსაზრისი ერთიანად „ზესთასოფლისაკენ“ მიქცეულ რომანტიკოსად სახავდა, ხოლო უკანასკნელ დროის (კერძოდ, ჰ. ა. კორფისა და მეტადრე ჰ. რიტერის) გამოკვლევათა თანახმად არანაკლებ ახასიათებდა „სოფლის ერთობის“ რეალისტური ტენდენციაც. ჰაინც რიტერის მიერ მიგნებული ბიოგრაფიული მასალის მიხედვით, რომელიც მის პოეზიასაც ჰფენს ახალ შუქს, ნოვალისი სულაც არ ყოფილა მხოლოდ „ჭლექიანი მისტიკოსი“, როგორც მას, აღნიშნული „ტრადიციული“ თვალსაზრისის თანახმად უწოდებენ ხოლმე, არამედ იყო ღრმად **გაორებული** პიროვნება. სახელდობრ, მას ახასიათებდა არა მარტო „მხურვალე გრძნობიერება“, რომელმაც ასე განაცდევინა პირველ სატრფოს გარდაცვალება, რომ ერთი ხნით სიკვდილის მგზნებარე მეხოტბედ აქცია იგი, არამედ „ცივი გონიერებაც“, რომელიც ბუნებისმეტყველის თვალით ალაქმევინებდა ყოველივე არსებულს, „წმინდასა“ თუ „უხამსს“, ვითარცა „თანაბრად მნიშვნელოვანსა და საცნაურს“; თანამედროვენი მას იხსენიებენ როგორც „სასიკვდილოდ განწირულ პიროვნებად“, ისე „უჯანსაღეს და უმხიარულეს ადამიანადაც“, რომელიც თავისი „ალერსიანობითა და მიმნდობლობით ყველგან იჩენდა მეგობრებს“; იგი გამოირჩეოდა არა მხოლოდ ვიზიონერული მეოცნებლობით, არამედ ცოცხალი „ცხოვრებისეული“ აქტიობითაც: თავისი „ჰექტური“ (ჭლექისადმი მიდრეკილი) აღნაგობის მიუხედავად, იყო თავაღებული მოჯირითე, დაუღალავი მთამსვლელი და მოგზაური, თამამი მოფარიკავე და ქალთა ტრფიალი; ხოლო მისი ინდივიდუალობის უმთავრესი ნიშანთვისება გახლდათ სასიცოცხლო ენერგიის „უჩვეულო კონცენტრაცია“, რომელიც „დაუცხრომელ ქმედითობად“ ელინდებოდა პოეტურ შემოქმედებაშიც და პრაქტიკულ საქმიანობაშიც (კერძოდ, მემთამადნეობაში); თანაც ერთობ საგულისხმოა, რომ სწრაფმდინარე ჭლექით დაავადებამდე, რისი უშუალო მიზეზიც გამძაფრებული შრომა და „მღელვარე დროსტარება“ უნდა ყოფილიყო, იგი ლამის გოეთესებურად ფიქრობდა, რომ „მწერლობა მეორეხარისხოვანი საქმეა“ (Nebensache-ა), „მთავარი“ კი „პრაქტიკული ცხოვრებაა“, და მხოლოდ უკანასკნელ თვეებში, როცა 29-ე წელში გადამდგარს გარდუვალი სიკვდილის განცდა იპყრობს, იმსჭვალება იმის გრძნობით, რომ პოეტადაა დაბადებული (იხ. H. Ritter. Der unbekannte Novalis. Göttingen, 1967, გვ. 284 — 296).

მაგრამ ამ დასკვნების, როგორც ყოველი ჭეშმარიტების, გაუფასურება ადვილად შეიძლება, თუკი მათ ამა თუ იმ ცრურწმენას დავუქვემდებარებთ ანდა გაუგებრობად ვაქცევთ.

კერძოდ, რაღაც ცრურწმენით ჩანს ნაკარნახევი იმის შიში, თითქოსდა რომანტიზმის ასეთი „ნეგატიური“ განსაზღვრება, — არა თუ მარტო კრიზისულ მოვლენად, არამედ, სულაც, რეალიზმის „ცუდ“ ნაირსახეობად, ასე ვთქვათ, „დაავადებულ“ რეალიზმად „გამოცხადება“, — სხვა არა იყოს რა, რომანტიკოსად მიჩნეული მრავალი დიდოსტატის, უეჭველად გენიალური ხელოვანის ღირსების „ხელყოფასა“ და „დამცირებას“ წარმოადგენს. ამ მიამიტ ცთომილებას უთუოდ ფანტავს იგივე გოეთე, რომელმაც ინგლისის (შექსპირის ქვეყნის) უდიდეს პოეტად აღიარა ბაირონი და ამავე დროს ფაუსტისა და ელენეს უდღეური ძის, **ევფორიონის** სახით წარმოადგინა იგი საერთოდ რომანტიკული ძალთახმევის ტრაგიკულ სიმბოლოდ (გავიხსენოთ, რომ ამ კადნიერი ჭაბუკის „გმირული“ აღზევება, როგორც ამას მისი სახელიც მიუთითებს, — აკი „ევფორია“ მძიმე სენითა თუ მათრობელი საშუალებებით გამოწვეულ აღტკინებულ მხიარულებას ეწოდება მედიცინაში, — იმთავითვე დასაღუპავადაა განწირული გარესამყაროსადმი **თავისი** ყალბი მიმართების გამო).

ხოლო ამ საკითხში შექმნილ გაუგებრობათა შორის „უმთავრესად“ ის ნიჰილისტური „საბოლოო“ დასკვნა გვევლინება, — რომელიც კიდევაც დაედო საფუძვლად „რეალიზმ-ანტირეალიზმის“ ვულგარულ კონცეფციას, — რომ რეალიზმის ანტიპოდის სახით საკუთრივ რომანტიზმი არაფერს შეიცავს ესთეტიკურად ღირებულს.

მართალია, როგორც ნეგატიური რამ, რომანტიზმი მოკლებულია თვითარსობას, ანუ იმდენად ვერ იქცევა სუბსტანციურ მოვლენად, რამდენადაც ნამდვილად ვერაფერს **ადგენს** და **უარყოფას** „ემყარება“, ე.ი. არსებულში ვითარცა თავის „სხვაში“ იდგამს ფესვს. მაგრამ ეს ფაქტი არამც და არამც არ ნიშნავს იმას, თითქოს რომანტიზმს არავითარი პოზიტიური ნაყოფი არ მოსდევს, რომ მას არაფრის ახლის წარმოქმნა არ ძალუძს და ამდენად არც რაიმე ღირებულება გააჩნია. პირიქით! იგი უდიდესი შემოქმედებითი ფაქტორის როლს ასრულებს ხელოვნების მთელს ისტორიაში, ოღონდ იმდენად არა უშუალოდ და პირდაპირი გზით, რამდენადაც ღრმად **დიალექტიკურად**. სახელდობრ: თუკი ხელოვნებაში პოზიტიურ-„ფაუსტური“ საწყისის გამოვლინებად რეალიზმს ვა-

ლიარებთ, რომანტიზმში „მეფისტოფელური" ტენდენცია აღმოჩნდება, რომლის არსი ის გახლავთ, რომ ცუდის ან კარგის ცუდად „მდომელი", მისი ნეგატიური საწყისი ასე თუ ისე მაინც კარგს „სჩადის" ხოლმე. კერძოდ: რომანტიზმი თუმცაღა კი გვევლინება ანტირეალიზმად, მაგრამ რეალიზმის „უბრალო" ნეგაციას, მარტოოდენ რღვევას კი არ წარმოადგენს, არამედ ამ რღვევაში, რომელიც ჩვეულებრივ უკვე მოძველებულ და გაშეშებულ, ვიწროდ ქცეულ და შემდგომი ზრდის შემფერხებელ ფორმებს ეხება, ისეთ ტენდენციებსაც და ელემენტებსაც აჩენს, რომლებიც, მართალია, მხოლოდ რეალისტურ ნიადაგზე გადანერგილნი შეისხამენ ჯეროვან ხორცს, მაგრამ უკვე რომანტიზმისავე წიაღში ამზადებენ ხელოვნების საერთო განვითარების ახალ ეტაპს, უფრო მაღალ თვისობრივ საფეხურს. და სწორედ ამ აზრითაა, რომ იგივე გოეთე მხოლოდ ავადმყოფურ მოვლენად კი არ მიიჩნევდა რომანტიზმს, არამედ ახალი ეპოქის დამწყებ **„რევოლუციასაც"** უწოდებდა მას და ადარებდა **„ძლიერი ციებ-ცხელების მდგომარეობას (dem Zustande des heftigen Fiebers), რომელსაც თავისთავად არაფერი გააჩნია კარგი და სასურველი, მაგრამ საამო შედეგის სახით მოსდევს უკეთესი ჯანი და ღონე"**.

ლიტერატურის სფეროში ამ „რევოლუციის" კეთილისმყოფელი შედეგი, გოეთეს თანახმად, ის იყო, რომ „მდაბალისა" და „საზარელის" კულტს, რაც რომანტიკოსებმა მეორე „უკიდურესობის" სახით დაუპირისპირეს კლასიციზმისათვის ნიშანდობლივ „ამაღლებულისა" და „მშვენიერის" იდეებს, საბოლოოდ **„უფრო თავისუფალ ფორმასთან ერთად უფრო მდიდარი და ნაირგვაროვანი შინაარსიც" მოჰყვა** ანუ „მხატვრული განსახიერების საგანი" ისე გაფართოვდა, რომ რომანტიზმის შემდეგ „ამ უვრცესი ქვეყნისა და ამ უმრავალფეროვანესი ცხოვრების არცერთი საგანი დარჩა, ვითარცა არაპოეტური, მწერლობის სფეროდან გამორიცხული". ანდა კიდევ: მართალია, რომანტიკოსები საერთოდ ნეგატიური მიმართულებით ავითარებდნენ, მაგრამ მრავალი ხარისხობრივად ახალი, მანამდე უცნობი ელემენტითაც ანაყოფიერებდნენ შემოქმედებითი **ფანტაზიის** თავიანთ კულტს, რითაც არსებითად შეუწყვეს ხელი მხატვრის ობიექტურ სინამდვილესთან მიმართების იმ **აქტივიზაციას**, რომლის თანმიმდევრული ზრდა, როგორც ჩანს, ხელოვნების განვითარების გენერალურ ტენდენციას წარმოადგენს. ასევე, თავისი ავადმყოფურობის, სპირიტუალისტურ-მისტიკური ხასიათის მიუხედავად, რომანტიკოსთა „მგრძნობელობამაც" ითამაშა უზარმაზარი დადებითი როლი ,დიდიდ **გაღრმავა და დახვეწა ფსიქოლოგიური ანალიზი**, რომლის სრულქმნა აგრეთვე გვევლინება ხელოვნების პროგრესის ერთ მთავარ ნიშნად. და ყოველივე ამის ძალითაა, რომ XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული რომანტიკული მიმდინარეობა თუმცაღა კი წარმოადგენს იმდროისათვის უმძიმეს სულიერ და შემოქმედებით კრიზისს, რომლის დაუძლეველად შეუძლებელი ხდება ლიტერატურის შემდგომი აღმასვლა, მაგრამ ამავე დროს იგი უთუოდ გვევლინება უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გარდატეხად, რომელმაც ძველებურად წერის შესაძლებლობა და საჭიროება გამორიცხა, რომლის შემდეგაც, ვთქვათ, სტენდალსა და ბალზაკს უკვე **აღარც ძალუძდათ** და **აღარც მართებდათ** განმანათლებელთა მსგავსად იხრობა და ხატვა.

რეალიზმისა და რომანტიზმის აქ წარმოდგენილი დიალექტიკური გაგება implizite გულისხმობს მათ თუმცაღა წინააღმდეგობრივ, მაგრამ განუწყვეტელ ურთიერთკავშირს, რომლის გაუთვალისწინებლად გაუგებარი დარჩება როგორც ერთის ,ისე მეორის ნამდვილი რაობაცა და მთელი ხელოვნების ისტორიაც, რამეთუ ეს უკანასკნელი იმის ანალოგიურად გვევლინება ამ „პოლარულ" პრინციპთა ერთიან ბრძოლად, როგორც აზროვნების ისტორიას გასდევს შინაგანი იმპულსის სახით მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის პერმანენტული ჭიდილი.

ამ წინააღმდეგობრივი კავშირის შუქზე **რეალიზმი სრულიადაც არ გვევლინება „უნაპირო" რაღაცად** რომლის ამორფულ სფეროში, როგორც ამას **როჟე გაროდი** ირწმუნება, იმისაგან დამოუკიდებლად შემოდის ყოველი „ნაპიერი" ხელოვანის „ნამდვილი", „სერიოზული" ქმნილება, თუ რა „სკოლას" მიეკუთვნება იგი, „კლასიკურსა" თუ „მოდერნისტულს". სახელდობრ, **რეალიზმს, რომელიც „წმინდა" სახით აგრეთვე მხოლოდ თეორიულ აბსტრაქციას წარმოადგენს, შინაგან, იმანენტურ საზღვარს რომანტიზმი უდებს**, რომლის ხსენებასაც კი ერიდება როჟე გაროდი, რითაც ფაქტიურად თავად უხდის ხარკს მის მიერ ესოდენ სასტიკად ძაგებულ „რეალიზმ-ანტირეალიზმის" კონცეფციას. ეს ერთობ მოძრავი, დინამიკური და ამდენად სქემატიკოსისათვის ძნელად საცნაური საზღვარი **იქ გადის ხოლმე, სადაც რეალიზმს ძალა ელევა და, მაშასადამე, რომანტიზმს ეხსნება გზა.** რაც ხელოვნების ისტორიის შემდეგ ფუნდამენტურ ფაქტში ჰპოვებს თავის უეჭველ დადასტურებას, სახელდობრ იმაში, რომ, როგორც **მაქსიმ გორკიმ** აღნიშნა, „в крупных художниках реализм и романтизм всегда как будто соединены", ოღონდ მარტო იმგვარად კი არა,—რაზე მითითებებითაც გორკი კმაყოფილდება,—რომ ვთქვათ **ბალზაკი და გოგოლი** „რეალისტურ" თხზულებებთან ერთად „რომანტიკულსაც" სწერენ,

არამედ გაცილებით მეტად იმ აზრით, რომ მსგავს დიდოსტატთა **ერთსა და იმავე** შედევრებშია საცნაური ამ ორი „საწყისის“ მოცემულობა, რის კლასიკურ ნიმუშებსაც თუნდაც **შექსპირი** და **შილერი** გვაძლევენ, რომელთაგან პირველს „შილერისებური“, ხოლო მეორეს „შექსპირისებური“ სახეებიც მოეძევება (სახელდობრ, „ჰამლეტში“ კლავდიუსის, ამ ტიპიური მოძალადე ხელისუფალის საწინააღმდეგოდ „დანიის პრინცი“ არსებითად ვერაფერი პრინცია, არამედ, როგორც ეს **ლევ ტოლსტოიმ** გასაოცრად „მარქსისებურად“ აღნიშნა, «делается фонографом Шекспира», რომლითაც მკითხველ-მაყურებელს თავად დრამატურგი ამცნობს თავის აზრებს; „ყაჩაღებში“ კი ანალოგიური „რუპორის“, კარლ მოორის საპირისპიროდ ფრანცია ჩასათვლელი სრულფასოვან „წარმომადგენლობით“ სახედ, რომელშიც განზოგადების იშვიათი ძალითაა გამოხატული „განათლების“ ეპოქის დროინდელი, ე. ი. „ახალი“ იდეებით „შეიარაღებული“ დეკადენტი ფეოდალის ზნე და მსოფლმხედველობა).[1]

და დასასრულ, რეალიზმისა და რომანტიზმის რაობა-ურთიერთობის ასე გაგების შუქი იმ უკანასკნელ კითხვებსაც ჰფენს ნათელს, რომელთაც გ. ასათიანი, როგორც ჩანს, გადამწყვეტი არგუმენტების ძალას ანიჭებს..

უწინარეს ყოვლისა, სავსებით ლოგიკურად და ნორმალურად წარმოგვიდგენს რომანტიზმისა და „მოდერნიზმის“ ზემოთხსენებულ „შეუღლებას“. დიახ, თუკი რომანტიზმის თაურ ნიშანთვისებად იდეალისა და სინამდვილეს შორის შეუთანხმებლობას, ფანტაზიის რეალობისაგან მოწყვეტას მივიჩნევთ, „მოდერნიზმი“ ტიპიურ რომანტიზმად წარმოგვიდგება, რომლის სპეციფიკა იმაში გამოვლინდება, რომ რომანტიზმის ხსენებული ნიშანთვისებაცა და ყველა მისგან მომდინარე ნაკლიც „მოდერნიზმში“ თავის კონსექვენტურ, უკიდურეს გამოხატულებას იძენს. რომანტიზმის ასეთ ნაკლთაგან, მათი ბოლომდე განვითარებულ-გამოვლენილი სახით „მოდერნიზმის“-[illegible] რომ ქცეულა. აქ თუნდაც [illegible] დასახელება კმარა: ა) ნოვალისის ქიმერიულ-ეფემერულ „ცისფერ ყვავილს“ ამაზრზენი „გამოფხიზლების“ აუცილებელ შედეგად მოჰყვა ბოდლერის „ბოროტების ყვავილი“, რომელიც მთელ „მოდერნისტულ“-დეკადენტურ ხელოვნებას ექმნა იდეურ-შინაარსობრივ ემბლემად.

ბ) რომანტიკოსები უფრო თეორიული პრინციპის სახით ინარჩუნებენ ხოლმე თავიანთ „გრძნობის კულტს“, რამდენადაც ბევრი მათგანის პრაქტიკულ შემოქმედებას უკვე ემჩნევა ცივი, უსიცოცხლო რეფლექსიის მოძალებით განპირობებული ის „კომბინაციური“ ხელოვნურობა, ის აბსტრაქციონისტული ნაკეთობა, რაც მთავარ სტილისტურ ტენდენციად დასჩემდა „მოდერნიზმს“.

რომანტიზმთან „მოდერნიზმის“ მემკვიდრეობითი კავშირის ფაქტს აქ, ვფიქრობთ, არ ესაჭიროება უფრო ვრცელი არგუმენტაცია, რის გამოც ამ საკითხზე მსჯელობა შემიძლია შემდეგი შენიშვნით დავამთავრო: „ძველ“ რომანტიზმსა და „მოდერნისტულს“ ანუ ნეორომანტიზმს შორის აქ აღნიშნული **გვაროვნული იგივეობა** არა თუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს მათ **სპეციფიკურ-ეპოქურ თავისებურებებს,** რომელთა გაუთვალისწინებლობა, რასაკვირველია, გააყალბებს როგორც ერთის, ისე მეორის გაგება-შეფასებას. ამ თავისებურებათა განმაპირობებელ ფაქტორთა შორის უპირველესად ის გარემოება ჩანს მისაჩნევი, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასასვლელს, რომლის ისტორიულ პროდუქტადაც „მოდერნიზმი“ გვევლინება, გაცილებით უფრო არსებითი ძვრები და მწვავე კატაკლიზმები ახასიათებს, ვიდრე ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ზღურბლზე შექმნილ რევოლუციურ სიტუაციას, რომელმაც რომანტიზმი წარმოშვა. ამის შესაბამისად ჩვენი დროის „გზასაცდენილთა “ სულიერი შეჭირვება ბევრად უფრო ღრმაა და მძიმე, ვიდრე მაშინდელ „უგზო-უკვლოდ“ მარებთა ტრაგედია იყო, რის კონკრეტული შედეგიც ის გახლავთ, რომ „მოდერნიზმში“ შეუდარებლად უფრო ძლიერ, დიახ, უკიდურესი, ზღვრული ფორმით გამჟღავნდა ყველა ის უარყოფითი ტენდენცია და ელემენტი, რაც საერთოდ რომანტიზმს, როგორც კრიზისულ, ავადმყოფურ მოვლენას ჩვევია, მეტადრე კი მის იმ სახეობას, რომელსაც ჩვენ კონსერვატულსა თუ რეაქციულს ვუწოდებთ ხოლმე; კერძოდ — უმწეობა „მტრული“ სინამდვილის წინაშე, ინდივიდუალიზმი და სუბიექტივიზმი, ირაციონალიზმი და მისტიციზმი, სკეპსისი და ურწმუნოება, სასოწარკვეთილება და გაბოროტება ანუ ყველა ის ფაქტორი, რომელიც „მოდერნისტული“ ხელოვნების დეჰუმანიზა-

---

1 და რაკი სიტყვამ მოიტანა, აქ ბარემ იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ „შექსპირისებურ“ სახეებად ამ „მოდელებში“ უარყოფითი პერსონაჟები, ხოლო „შილერისებურად“ დადებითი გმირები გვესახებიან ხოლმე, რაც თავის მხრივ იმ საფუძველს მიუთითებს, რომელზედაც არსებითად მთელ ბურჟუაზიულ რეალიზმს შეიძლება **კრიტიკული** უწოდოს და რომელიც მას თვისობრივად განასხვავებს სოციალისტურისაგან, სადაც ხარისხობრივად ახალ სახეს იღებს რეალიზმსა და რომანტიზმს შორის წინააღმდეგობა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩემი ნარკვევი **„სოციალისტური რეალიზმის სპეციფიკისათვის“**, გამოქვეყნებული ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“-ს 1956 წლის № 1-ში).

ციაც და დეესთეტიზაციად „ჯამდება“ საბოლოოდ და რომელსაც მხოლოდ პირველი ყლორტების სახით აჩენს ან, სულაც, ვითარცა ჯერ კიდევ ფარულ შესაძლებლობას შეიცავს ადრინდელი რომანტიზმი; ხოლო ეს გარემოება, თავის მხრივ, იმას ცხადჰყოფს, რომ განსხვავებით ამ რომანტიზმისაგან მის „მოდერნისტულ“ნაირსახეობას უკვე იმისდა მიუხედავად ველარ ვუწოდებთ „რევოლუციას“, რომ რიგი რადიკალური „სიახლე“ მას უთუოდ მოეპოვება.

ყოველივე აღნიშნულის შუქზე კი ასე მესახება სერიოზული პასუხი გ. ასათიანის ერთობ უცნაურ კითხვაზე: „რას ურჩევს ო. ჯინორია ჩვენი დროის ბურჟუაზიული საზოგადოების იმ მხატვრებს ,რომელთაც, ჩვენგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ვერ შესძლეს ისტორიულ მატერიალიზმზე დაფუძნებული ერთადერთი სწორი ესთეტიკური თვალსაზრისის შემუშავება, შილერის მსგავსად კვლავ იდეალის „რეგიონებში“ ეძებონ შთაგონების წყარო, თუ კონფორმიზმის გზას დაადგნენ?“

ჯერ-ერთი: ისტმატის საფუძველზე დადგომა არ ჩანს იმისათვის აუცილებელი, რათა ხელოვანი ძირითადად „შესპირიზაციის“ მეთოდს გაჰყვეს და არა „შილერიზაციისა“ ანუ რეალისტი იყოს და არა რომანტიკოსი; აკი სტენდალი და ბალზაკი, დოსტოევსკი და ტოლსტოი, თ. მანი და ბევრი სხვა თანამედროვე „დასავლეთელი“ ოსტატიც რეალისტები არიან, — თუმცაღა არათანამიმდევრულნი, — რაც იმას ადასტურებს, რომ საამისოდ, რეალისტობისათვის, უნაკლო მსოფლმხედველობაზე მეტად გულის ის კეთილშობილი სიმტკიცეა საჭირო, რომელიც ცხოვრების სიავისათვის თვალს გაასწორებინებს ხელოვანს და კაცის იმ რწმენას არ დააკარგვინებს, ადამიანობისათვის შეუპოვარი ბრძოლის იმ ქინს შეანარჩუნებინებს, „მოდერნიტებს“ ესოდენ რომ აკლიათ, ხოლო ნამდვილად დიდი, სრულძალოვანი ხელოვნებისათვის ყოვლად აუცილებელი გახლავთ.

და მეორეც: იმ ხელოვანს, რომელსაც არ შესწევს რეალისტად ყოფნის ძალა, ცხადია, რომანტიკოსობა უნდა ერჩივნოს, ვიდრე ნატურალისტობა, — რაც ესთეტიკურ კონფორმიზმად ჩაითვლება და რასაც „მოდერნისტები“ დიდ ხარკს უხდიან ხოლმე, — მაგრამ, რა თქმა უნდა, იმის აღიარებაც მართებს, რომ „შილერიანულად“ გაჭირვებამ აქცია ანუ მისი გამოცდილება ნაკლებად გამოდგება ხელოვნების ეტალონად; ყოველ შემთხვევაში, თავად შილერი იმ აზრისა იყო, რომ პოეზიის „სენტიმენტალური“ ანუ რომანტიკული ტიპი ხელოვნების განვითარებისათვის არახელსაყრელი საზოგადოებრივი ვითარების ნაყოფია და სრულფასოვნად არ გვევლინება; და ამ ჭეშმარიტებას სულაც ვერ არყევს რეალისტ თომას მანის მიერ შილერის დაცვის ფაქტი: საქმე ისაა, რომ იმ [illegible], რომელსაც გ. ასათიანი „მახსენებს“, [illegible] მანი შილერისეული „ელემენტის“, სახელდობრ, შილერისათვის ნიშანდობლივი „ამაღლებული ენთუზიაზმის“ უქონლობას უწუნებს თავის, ე. ი. ბურჟუაზიულ-დეკადენტურ საზოგადოებას, რომლის საზღვრებითაც შებოჭილ ხელოვნებასაც „მოდერნიზმი“, ეს უკვე ფრთამოტეხილი, მლოღავი, რომანტიკისაგან განძარცვული რომანტიზმი წარმოადგენს; ანუ „დოქტორ ფაუსტუსის“ ავტორი აქ „რომანტიზმს“ კი არ იცავს, როგორც გარკვეულ შემოქმედებით „მრწამსს“, არამედ შილერს, ვითარცა რაინდული სულის ხელოვანს, ვისაც ჩვენს საუკუნეში კარლეილზე გაცილებით უფრო რადიკალურ „კრიტიკოსად“ მოუდის, ვთქვათ, ორტეგა ი გასეტი, „მოდერნისტული“ ესთეტიკის ეს ერთ-ერთი ბურჯი, რომლის თანახმადაც ხელოვნების იმ კრიზისისაგან ხსნა, ოდითგან ადამიანობისა და მშვენიერების იდეებთან დაკავშირებული „კლასიკის“ გამოფიტვას რომ მოჰყვა, დღეს მხოლოდ მის „დეჰუმანიზაციასა“ და „დეესთეტიზაციას“ ძალუძს.

და დასასრულ, რეალიზმისა და რომანტიზმის გამო თქმულზე დაყრდნობით, ვფიქრობ, შემიძლია ვუპასუხო იმ კითხვას, რომელსაც გ. ასათიანი, ასე ვთქვათ, საბოლოო გამანადგურებელი არგუმენტების სახით მისვამს, თანაც — როგორც „ქართველი ლიტერატორი“ უცხოური „მოდელებით“ გატაცებულ გერმანისტს: „თუ რეალიზმის გარდა ყველაფერს ანტირეალიზმისაკენ მივყევართ, რაც ხელოვნების დეჰუმანიზაციისა და დეესთეტიზაციის თავი და თავია, რაღა ვუყოთ მაშინ ისეთ პოეტს, რომელსაც ჩვენ, ქართველები, ჩვენს ეროვნულ სიამაყედ ვთვლით, რა ვუყოთ ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობას?“

რა ვუყოთ და, ვიდრე მის შესახებ კამათს შევუდგებოდეთ, წინასწარ იმის გამო შევთანხმდეთ, თუ როგორაა გასაგები ანდა, ყოველ შემთხვევაში, რა აზრით გვინდა ვიხმაროთ ხელოვნებათმცოდნეობის ისეთი ფუძისეული ცნებები, როგორიცაა „რეალიზმი“ და „რომანტიზმი“, რომელთა გარეშე ვერც ბარათაშვილის მემკვიდრეობაში გაერკვევა მეცნიერი თუ კრიტიკოსი და ვერც ერთი სხვა ხელოვანის სამყაროში.

ხოლო ვიდრე ეს არ გაგვიკეთებია, — როგორც დავინახეთ, გ. ასათიანსა და მე ერთობ განსხვავებულად გვესმის რეალიზმიცა და რომანტიზმიც, — ის ფაქტი ვაღიაროთ, რომ რეალიზმისა და რომანტიზმის რაობისა და ურთიერთმიმართების ზემოთ წარმოდგენილი გაგება, რასაც მე ვემხრობი, არავითარი „ხელყოფით“ არ ემუქრება არც ერთ რომანტიკოსს,

უცხოელსა და ქართველს, რამდენადაც მას როგორც აგრეთვე დავინახეთ, არაფერი აქვს საერთო რეალიზმ-ანტირეალიზმის ყბადაღებულ კონცეფციასთან, რომლის ასპექტშიც მისვამს გ. ასათიანი თავის „უძნელეს“ კითხვას. სხვა არა იყოს რა, ამ გაგების სათავეში დიდი გოეთე დგას, საერთოდ ხელოვნებისა და კერძოდ პოეზიის ულრმეს-უნატიფესი მსაჯული, რომელიც — ბარემ ერთხელაც კიდევ გაესვას ამას ხაზი! — ბაირონს ინგლისის უდიდეს და თავის უსაყვარლეს მგოსნად ასახელებდა და ამავე დროს მასშივე ეძებდა მისი დაღუპვის სათავეს, სახელდობრ, მის რომანტიკულ „აულაგმობაში“, ავადმყოფურ „თვითდაუსაზღვრელობაში“ ხედავდა იმის მიზეზს რომ ჩაილდ ჰაროლდისა და მანფრედის შემოქმედს არა მარტო ინგლისში, არამედ „ყველგან ეხუთებოდა სული“, „მთელი ქვეყანა ესახებოდა დილეგად“, რასაც კიდევაც შეეწირა, რამეთუ „დაუსაზღვრელი ქმედება, რა სახისაც არ იყოს იგი, საბოლოოდ აკოტრებს ადამიანს“.

ხოლო ვისაც რომანტიზმის გოეთესეული გაგება-შეფასება, ასე ვთქვათ. a priori ესახება ჩვენი ეროვნული მგოსნისათვის შეუფერებლად, იმას, ბოლოს და ბოლოს, ეს რადიკალური გამოსავალიც მოეძევება: სულაც ნუ ჩათვლის რომანტიკოსად „ობოლი სულისა“ და „მერანის“ ავტორს, რომელსაც, როგორც ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს, ჭარბად აღმოუჩენს „კლასიკურ“ ელემენტებსა და ტენდენციებს. მით უფრო, რომ ამის ერთობ საგულისხმო პრეცენდენტი უკვე მოცემული გვაქვს. კერძოდ, ჩვენმა ნიჭიერმა ახალგაზრდა ლიტერატორმა გიორგი გაჩეჩილაძემ არცთუ დიდი ხნის წინ, 1968 წელს, გამოაქვეყნა ორი დიდად საინტერესო ნარკვევი — „ქართლის ბედი და „მერანი““ და „პოეზია სიყვარულის შესახებ“, — რომელთა ზეამოცანა სწორედ იმის დასაბუთებაა, რომ „ბარათაშვილის შემოქმედებითი მრწამსი... არ ვლინდება რომანტიზმის, როგორც იზმის მსოფლმხედველობრივ პათოსში“, რამდენადაც „ბარათაშვილი კლასიკური მსოფლგანცდის პოეტია და გრძნობის რომანტიკული ეგზალტაცია მისთვის უცხოა“ (იხ. „მნათობი“, 1968, № 8, გვ. 139 და „ცისკარი“, 1968, № 9, გვ. 111).

ამით ამოწურულად მესახება გ. ასათიანთან ჩემი დავის საგანი და საბოლოოდ, დასკვნის სახით, ეს-ღა მინდა შევნიშნო:

მთელი ჩვენი შეკამათება, რომლის ცენტრალურ საკითხს „მოდერნიზმის“ განსაზღვრა-შეფასება წარმოადგენდა, იმას [illegible] ცხადჰყოფს, რომ მიუტევებლად ცდება გ. ასათიანი, როდესაც გვათავაზობს „დეკადანსზე მსჯელობა“ უფრო „ისტორიულ“, ვიდრე „აქტუალურ“ ასპექტში წარვმართოთ, რამდენადაც. თურმე, „დეკადენტური ესთეტიკისა და განწყობილებების პრინციპული უარყოფა, მისი საშიში ზემოქმედების დაძლევა ქართული მწერლობის სამკვდრო-სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენდა ნახევარი საუკუნის წინ“, ხოლო „დღეს, საბედნიეროდ, ასეთი საშიშროება გაცილებით ნაკლებ რეალურია...“ საქმე ის გახლავთ, რომ, პირიქით, ამ ბოლო ათეული წლების ჩვენს მწერლობაში დეკადენტურ-მოდერნისტულ იდეათა და განწყობილებათა ხელახალი მოძალება შეიჩმნევა. დღეს ჩვენ არცთუ იშვიათად ვკითხულობთ ისეთ მხატვრულ თხზულებებსა თუ კრიტიკულ და სამეცნიერო შრომებს, რომელნიც მეტ-ნაკლებად და ასე თუ ისე არიან აღბეჭდილი დეჰუმანიზაციისა და დეჰეროიზაციის მანიისა თუ მითოსის კულტის ან ირაციონალიზმისა და მისტიკის ნიშნებით, რომელთა ავტორები ცოდნისა და ტექნიკის თითქოსდა გამაუკაცურებელი განვითარებით ზღუდავენ პროგრესის ცნებას ანდა კიდევ თავისუფალი აზრის სითამამედ რაცხენ გოეთეს ფაუსტის, მებრძოლი ჰუმანისტის, მოძალადედ და მკვლელად გამოცხადებას, ხოლო შეზღუდულობისა და დოგმატიზმის ნიშნად მიიჩნევენ დეკადანსთან ბოდლერის დაკავშირებას. და ამდენად ჩვენი დღევანდელი კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამგვარ დეკადენტურ იდეათა და განწყობილებათა ტალღის დაგდებაა, რაც მათ წინააღმდეგ შეუხრელი, თუმცაღა მარტოოდენ ანალიტიკურად არგუმენტირებული ბრძოლით თუ მოხერხდება. რამდენადაც მესმის, სწორედ ამ ამოცანას ემსახურება „მოდერნიზმის“ არსისა და ღირებულების შესახებ ჩემი ნარკვევი, ხოლო მისი ისეთი კრიტიკა, როგორიც გ. ასათიანმა შემოგვთავაზა, მხოლოდ პრომოდერნიზმის წისქვილზე ასხამს წყალს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც ვესალმები ამ კრიტიკას, რამეთუ, ასე თუ ისე, მან საიმისოდ მიბიძგა, რომ კიდევ ერთხელ ჩავფიქრებოდი ჩვენი დღევანდელი ხელოვნებათმცოდნეობის ზოგიერთ უმწვავეს პრობლემას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*დავით ლაშქარაძე*

# ევროპეიზმი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში

როგორც ცნობილია ი. ჭავჭავაძემ დავით გურამიშვილი (1705-1792) აღიარა იმ პოეტად, რომელმაც „სცადა თითქმის პირველად ზოგიერთგან რასაკვირველია, **ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში**"[1] (ხაზგასმა ჩემი — დ. ლ.) და მართლაც, ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის, ე. ი. ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების დამკვიდრების, მისი სპარსული საკარო პოეზიის „ფიგურალი" გამოთქმისაგან განთავისუფლებისა და ჩვენი მწერლობის ეროვნულ ტრადიციებზე განვითარების თვალსაზრისით, „აღორძინების ხანის" მწერალთაგან დავით გურამიშვილს საგანგებო დამსახურება მიუძღვის.

ქვეყნის ისტორიული ავბედობის გამო სამშობლოდან გადახვეწილი დავით გურამიშვილი, რომელიც სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საქართველოს და სიკვდილის შემდეგაც ვერ ეღირსა მიბარებოდა თავისი კუთხის მიწას, სამართლიანად ითვლება ქართული ლექსის ჭეშმარიტ რეფორმატორად, პოეტად, ვინც „ქართული პოეზია გამოიყვანა დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაციონალური შემოქმედების ფართო შარაგზაზე".[2] დავით გურამიშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მან ათეული წლებით საქართველოს მოცილებულმა და მაინც ქართული ენის უმდიდრეს ინვენტარს ღრმად დაუფლებულმა, გასწმინდა იმ დროის ქართული პოეზია „მაღალფარდოვანი ენაწყლიანობისაგან, ღვარჭნილობისაგან, საზოგადოდ მწიგნობრული ხელოვნურობისა და პირობითობისაგან"[3] და ქართული კლასიკური და ხალხური პოეზიის ტრადიციებზე შექმნილი თავისი თხზულებებით მოუმზადა გზა ახალ ქართულ ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს. მათ შორის ვაჟა-ფშაველასაც, რომელიც ასე მიმართავდა თავის წინამორბედად დასახულ დიდ პოეტს —

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო.

არჩილის, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილის და სხვ. მსგავსად დავით გურამიშვილი რუსთაველის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი იყო: „ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისი ვერ ვნახეო და"[4] ამბობდა იგი. მაგრამ „აღორძინების ხანის" ქართული ლიტერატურის გვირგვინი, — თავისი თხზულების ვეფხისტყაოსანთან შედარებისას თავმდაბლურად რომ აცხადებდა —

ვით მხედარს — ყრმისა მცირისა წკეპელსა
ზედან ჯდომანი,
მიემსგავსება ცხენოსანს ჯოხით რბენა და
ხლდომანი,
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ
მიხდომანიო(5).

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1958, გვ. 457.

[2] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 428.

[3] იქვე, გვ. 428.

[4] დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1955, გვ. 22, სტრ. 4. შემდეგში ადგილები გურამიშვილის პოეზიიდან ყველგან ამ გამოცემის მიხედვით არის ციტირებული. ფრჩხილებში მოთავსებული ციფრით, — თუ არ არის მითითებული „გვ", — აღნიშნულია სტროფი.

და აღნიშნავდა „მე რუსთველისა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს-ჩალის ძირსა“(7). — იმავდროულად ქართული მწერლობის უდიდესი პოეტია, ერთი პირველთაგანი, რომელმაც აკ. წერეთლის აღნიშვნისამებრ, „გადაარჩინა თავი“ რუსთველის „მონობას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა“[5]. ხოლო „საკუთარი გზით მსვლელობისთვის“ დავით გურამიშვილმა ქართული კლასიკური პოეზიის მდიდარ ტრადიციასთან ერთად ფოლკლორიც წარმატებით გამოიყენა. ამასთანავე, ქართული ზეპირსიტყვაობის გვერდით რუსულ, უკრაინულ და პოლონურ ხალხურ შემოქმედებასაც მიმართა[6] და მათი „ხმებით“ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა ქართული ლექსის ვერსიფიკაცია და კიდევ, რაც თავისთავად იყო ანტიაღმოსავლური ტენდენციის ერთდაგვარი გამოვლენა და ჩვენი ლიტერატურის ევროპული ლიტერატურული გემოვნებით, ევროპეიზმის გზით განვითარების ერთ-ერთი ნიშანი. მით უმეტეს, რომ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, ევროპულ ლიტერატურაშიც საგანგებოდ იზრდება ინტერესი ფოლკლორისადმი და ევროპული და რუსული მწერლობის მრავალმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა მიმართა თავის მხატვრულ პრაქტიკაში ხალხური შემოქმედების ფორმებს და მოტივებს.

ხალხური შემოქმედებისადმი ამ ინტერესით იყო გაპირობებული ჯემს მაკფერსონის (1736-1796) ბრწყინვალე ლიტერატურული მისტიფიკაცია — „ოსიანის სიმღერები“, რომელსაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად. შოტლანდიური ხალხური პოეზიის მიბაძვით დაწერილი პოემები მაკფერსონისა, ლეგენდარულ ბარდს — ოსიანს რომ მიაწერა ავტორმა, დაუყოვნებლივ ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. 1792 წელს გამოქვეყნდა „ოსიანის პოემების“ რუსული თარგმანი, ხოლო ქართული თარგმანი, რომელიც ხელნაწერის სახით არის შემონახული, XVIII ს. დასასრულს, ან XIX ს. დასაწყისში უნდა იყოს შესრულებული.

უმთავრესი მიზეზი რობერტ ბერნსის (1759-1796) ლექსების პირველივე კრებულის („ლექსები უმთავრესად შოტლანდიურ დიალექტზე,“ 1786) გრანდიოზული წარმატებისა, რამაც თვით ბერნსიც გააოცა, ის იყო, რომ [illegible] ხალხური სიმღერებისა და ბალადების [illegible] წარმოადგენდა მისი პოეზიის ძირითად წყაროს.

ხალხური პოეზიისადმი ამავე საგანგებო ინტერესს გამოხატავდა იოჰან გოტფრიდ ჰერდერის (1744-1803) თეორიულ-კრიტიკული ხასიათის შრომები, — რომლებშიც იგი ეროვნული ლიტერატურის თვითმყოფობისა და განახლების უმნიშვნელოვანეს წყაროდ სწორედ ხალხურ შემოქმედებას მიიჩნევდა, — და გერმანული ხალხური პოეზიის ნიმუშებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა პოეზიის საუკეთესო ძეგლების შემცველი „ხალხთა ხმები სიმღერებში“ („Stimmen der Völker in Lieder“), რომელიც ჰერდერმა 1778-79 წლებში ორ ტომად გამოაქვეყნა.

ალარაფერს ვამბობთ ხალხური პოეზიის უშრეტ წყაროს მწყურვალედ დაწაფებულ ფრანგ, ინგლისელ და სხვ., განსაკუთრებით კი გერმანელ რომანტიკოსებზე, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ დამსახურებად მართებულად არის მიჩნეული ის, რომ მათ კიდევ უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება ხალხურ შემოქმედებაზე და საფუძველი ჩაუყარეს ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას.

როგორც ცნობილია, ხალხურმა შემოქმედებამ ფართოდ გაიკაფა გზა XVIII ს. რუსულ ლიტერატურაშიც და ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მასზე. საყურადღებოა, რომ ტ. ლივანოვის აღნიშვნისამებრ, XVIII ს. რუსულ ლიტერატურაში ტრადიციად ქცეულა ცნობილ ხალხურ სიმღერათა მოტივების გამოყენება და მათზე მითითება[7] ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დავით გურამიშვილიც, როგორც წესი, ყოველთვის მიუთითებს რომელი „ხმით“ დაუწერია, ან რომელი „ხმის“ სანაცვლოდ შეუთხზავს ესა თუ ის ლექსი. საილუსტრაციოდ ზემოციტირებულ ნიმუშებს დავუმატებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს: „ხარებობის დღის შესხმა“ ან წმინდა კოპალეს „სანაცვლოდ სამღერალი“, „სიტყვა ესე ღვთისა—... „ეეო, მეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“, „სიმღერა ფერხისული — „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“ და სხვ.

XVIII ს. მწერლობის ხალხური შემოქმედებისადმი გაზრდილი ინტერესის ეს ზოგადი მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ დავით გურამიშვილის დაინტერესება ფოლკლორით არ წარმოადგენს გამონაკლისს. იგი გამოვლენაა მხატვრული ლიტერატურის დემოკრატიზაციის იმ დიდი პროცესისა, რომელსაც ფართოდ მიმართა XVIII ს.

---

[5] აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, გვ. 87.

[6] რუსულ-უკრაინულ-პოლონური „ხმები“, რომლებიც დავით გურამიშვილს გამოუყენებია, თავად აქვს მითითებული ლექსების სათაურის ქვეშ. მაგ., „მეორე დავითის შესხმა — რუსულის სიმღერის ხმა; ნე დამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ“, „მესამე დავითის შესხმა — პოლოშის სიმღერის ხმა“, „სიმღერა დავითისა: ზუბოვკა — რომელ არს რუსულად ამისი ხმა: კაზაკ დუშა პრავდივაია“, „სიმღერა რომელ არს რუსულად ამის ხმა: ულეტელა ზაზულინკო ჩერეს დუბინუ“ და სხვ.

[7] Т. Ливанов, Русская музыкальная культура XVIII века, Музгиз, 1953. გვ. 344. იხ. აგრეთვე მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955 წ.

მოწინავე რუსულმა და ევროპულმა მწერლობამ და შედეგია მოვლენათა თუ განცდათა ასასახად ახალი გზების ძიებისა. ხოლო როგორც ს. ვ. ტურაევი აღნიშნავს, „არა ერთი რომელიმე მწერლის გავლენა მეორეზე, არამედ სწორედ ახალი მეთოდის, ახალ შეხედულებათა ჩამოყალიბება და გავრცელება გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ლიტერატურაში ძირითად ტენდენციათა ერთობლიობა“.[8]

და ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში დავით გურამიშვილის საგანგებო მნიშვნელობაც და ადგილიც იმით არის განსაზღვრული, რომ მან ახალ შეხედულებათა გადმოსაცემად არჩეული ახალი გზით შექმნა ძეგლი, რომელშიც ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ძირებთან ერთად უფაქიზესი სულიერი განცდებიცაა ნაჩვენები და „მუხთალი სოფლის გაუტანლობით“ გამოწვეულ უკმაყოფილების გვერდით ამავე „სოფლისადმი“, სიცოცხლისადმი დაუცხრომელი ტრფობაცაა გადმოცემული. ამიტომაც, უწოდა გ. ლეონიძემ გურამიშვილის პოეზიას „ხალხური სულის პოეტური ანარეკლი“[9].

სწორედ იმიტომ, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე დაყრდნობილმა გურამიშვილმა თავის შემოქმედებაში ფართოდ გაუღო კარი ხალხურ ცოცხალ სიტყვას, გაალრმავა და განავითარა ქართული პოეზიის ხალხურ-ეროვნული ტრადიციები, რითაც, ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ პროზაში, გზა გაუკაფა ჩვენი პოეზიის დემოკრატიზაციას და თავისი სადა, უბრალო (მაგრამ არა პრიმიტიული)[10], ნათელი სტილით დაწერილ უაღრესად მელოდიურ და შთამბეჭდავ ლექსებსა და პოემებში „პოეტურად არეკლა“ „ხალხის სული“, საკუთარ თავზე განცდილი უკუღმართობით გამოწვეული ტკივილებით, განწყობილებით ჩასწვდა ხალხის ჭირ-ვარამს და „ღრმა დრამატიზმითა და ლირიზმით“ გამსჭვალულ თხზულებებში შეუფერავად ასახა ერის ტრაგიკული ბედა — სწორედ ამიტომ წარმოგვიდგება ღრმად ეროვნული თვითშეგნების დიდი პოეტი „კაცად-კაცობის ვრცელ მოედნის“ მწვდომ შემოქმედად, ვინც არა მარტო „ქართულ ლექსის გამოთქმაში“ „შემოიტანა ევროპეიზმი“, არამედ თემატიკის, იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც გაუკაფა გზა „მაგ ევროპეიზმს“ და ხელი შეუწყო ევროპული ლიტერატურული გემოვნების ფართოდ დანერგვას ქართულ მწერლობაში.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არა მარტო „ქაცვია მწყემსი“, ქართული მწერლობის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, სადაც მთავარ დადებით მოქმედ პირებად, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამცველად და ნიმუშად გლეხთა წრიდან გამოყვანილი ქაცვია მწყემსი და მისი მამაა წარმოდგენილი, ან XVIII საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედის სიმართლით ამსახველი ისტორიული პოემა, „ქართლის ჭირი“, არამედ თვით რელიგიურ-მისტიკური, ღრმად ალეგორიული ხასიათის ჰიმნებიც, სადაც პოეტის ზეცისკენ აღვლენილი გულმხურვალე ვედრება სიცოცხლემოწყურებულ, ცხოვრებას დაწაფებულ წარმართი მოგვის ცისიერ მნათობებისადმი მიმართულ მგზნებარე ლაღადისს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მორწმუნე ქრისტიანის მომნანიებელ ლოცვას[11].

---

[8] С. В. Тураев, Спортивные вопросы литературы просвещения, იხ. Сборник, Проблемы просвещения в мировой литературе. Москва, 1970, გვ. 10.

[9] ქართული ლიტერატურის ისტორია ექვსტომად, ტომი მეორე, თბილისი, 1966, გვ. 579.

[10] ახალი ქართული ლიტერატურის ერთი უკეთესი მკვლევართაგანი ვახტანგ კოტეტიშვილი, გურამიშვილის პოეზიის მოკლე, მაგრამ საყურადღებო შეფასებისას მართებულად აღნიშნავს „აღორძინების ხანის“ უდიდესი პოეტის როლს ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში, მაგრამ უზუსტობად მიგვაჩნია გურამიშვილის პოეზიის მიმართ გამოყენებული გამოთქმები „პრიმიტიულობა“ და „პრიმიტივი“. ვ. კოტეტიშვილი შედარების შემდეგ — „რუსთაველის ენა დიდ ორკესტრის ხმას გამოცემს, გურამიშვილისა კი ლერწმის სალამურია, ქაცვია მწყემსის ხელით გამოჭრილი“ — განაგრძობს: „თითქოს ამ პრიმიტულობაში პროგრესული არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ არის ხოლმე კაცობრიობის ცხოვრებაში პერიოდული დაბრუნება პირველ წყაროსთან ახალ ძალთა მოსაკრებად, და დავ. გურამიშვილის პრიმიტივიც (ხაზგასმა ყველგან ჩემია დ. ლ.). ასეთი დაბრუნებაა (იხ. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 39). ცხადია ვ. კოტეტიშვილის დახასიათებითვე „მონუმენტალური ლექსის“ შემქმნელი დავით გურამიშვილის მიმართ, — რომელმაც გაამდიდრა „ჩვენი სიტყვის მუსიკა“ შექმნა „ქართლის ჭირი“, „ქაცვია მწყემსი“ და სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები. — ტერმინი „პრიმიტივი“ შეუფერებელი და უმართებულოა.

[11] დ. გურამიშვილის ჰიმნების მიმართ საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული გ. ლეონიძეს. „სხვათა შორის — წერს გ. ლეონიძე, — ლექსს „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“ აქვს მინაწერი. „ამის ხმას ეწოდება რუსულად: „მასონ“ და მართლაც, იგი მასონური ჰიმნია. ხომ არ თანაუგრძნობდა გურამიშვილი მასონთა ლოჟას, როგორც არა ერთი მისი თანამედროვე ქართველი რუსეთში? მაგ., დავითის მეგობარი მგოსანი დიმიტრი სააკაძე ფრანკ-მასონობას სწამებდა პოეტს დიმიტრი ბაგრა-

დავით გურამიშვილი, ისევე როგორც ბევრი განმანათლებელი, მათ შორის თვით „ფერნეს პატრიარქი“ — კათოლიკური ეკლესიის სასტიკი მტერი — ვოლტერი (1694-1778), რწმენას ადამიანის აუცილებელ მოთხოვნილებად მიიჩნევდა და, ცოდნასთან ერთად, ზნეობრივი სიმტკიცის საფუძვლად რაცხდა. მაგრამ ღრმად მორწმუნე პოეტისათვის ჭეშმარიტად უცხო იყო ის დოგმატური მინარევი, რაც საუკუნეთა მანძილზე დაურთავთ ქრისტიანული რელიგიისათვის. იგი თავისი შეხედულებებით არსებითად უპირისპირდება ანტიჰუმანურ, ეკლესიურ ასკეტიზმს, რადგან სიცოცხლის დიდ მომღერალს ეს ქვეყანა უყვარდა, გამრავლებასა და მრავალფეროვნებაში ხედავდა ღვთაებრიობის გამოვლენას და ღმერთსაც იმიტომ ადიდებდა, რომ— მან ქმნა ქალ-ვაჟობა. მისცა ტრფიალობა (გვ. 136, სტრ. 1).

დავით გურამიშვილის ღვთაება ისრაელთა მრისხანე ღმერთი კი არაა, არამედ „შემნდობი“, „სულგრძელ-მოწყალე“ (სტრ. 380) შემოქმედი, სიცოცხლისა და სიყვარულის უშრეტი წყაროა, რომელიც მას მზედ წარმოუდგენია, მზესავით ათბობს და ძალას ძენს ყველაფერს.

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გალექსულია,
იგ სამივ ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა სულია (415).

აცხადებს გურამიშვილი და სასოებით ევჯება მზე-ღმერთს, ანუ, მისივე სიტყვებით, „ნათელს წაროუალს“ —

მზეო, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობა (343), —

ხოლო, შემდეგ აღგზნებული მიმართავს მასვე—

მზეთა-მზევ, მზემან მომნახოს, მითხრას მშვიდობა, სალამი
თავს საფარავად მომმადლოს თავის აღდგომის ალამი (345).

მართალია, გურამიშვილს, რომელიც ასევე გულდაჯერებულად ევედრება განთიადის ვარსკვლავს —

განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო (346)

და — შენ გევედრები, ცისკარო საიდუმლოსა დღისაო
ნათელო შარავანდედო საცნაურისა მზისაო (432) —

გ. ნატროშვილის შენიშვნისამებრ, თავადაც უგრძვნია, შორს გავცილდი ქრისტიანული რწმენის დოგმებსო, ამიტომაც უცდია „თავისი უნაპირო ფანტაზია ქრისტიანობის ჩარჩოებში“[12] ჩაეკეტა და ლექსებისათვის დაურთია სპეციალური განმარტება, სადაც „მკითხველებს ევედრება მისი ლექსი უსათუოდ ქრისტიანულად გაიგონ,“[13]. მაგრამ პოეტის მიმართვა მკითხველისადმი.

— ისმინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა:
ძეს ღმერთს კაცობით მზედ ვსახავ, სახით მზეს თინათინადა,
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ვსახ თქმად სასმინადა (349) —

სულაც არ აქცევს მზე — ღვთისადმი აღვლენილ ჰიმნებს გურამიშვილისა ეკლესიური, ორთოდოქსი ქრისტიანის მორჩილ ლოცვად. მეტიც, ძნელია ჰიმნებში (რომლებიც ს. ცაიშვილის შენიშვნისამებრ, შეთხზულია გურამიშვილისათვის დამახასიათებელი „მძლავრი ტალანტით“ „სინამდვილის კონკრეტული აღთქმისა... რითაც პრინციპულად შორდება ძველ სასულიერო პოეზიას“[14]) ცხოველმყოფელი, რეალური მზის სახით წარმოდგენილი ღვთაება დაისახოს ქრისტიანულ პიროვნულ ღმერთად, ხოლო ჰიმნების ავტორი „მისტიკური ქვეყნის“ „ეკზალტირებულ მჭვრეტელად“, რომელიც ცდილობს „მასთან სიახლოვით საკუთარი თავის გაქრობას“[15].

მისტიკა გურამიშვილისა, რომელიც დაბეჯითებით აცხადებს —

აწ მე საერთო წალკოტი მგონია პატიოსანი:
მიყვარს და მალ-მალ მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსანი (სტრ. 71) —

პასიური ჭვრეტა კი არაა ქვეყნის უარმყოფელი, მისგან განდგომილი, სიცოცხლის და მშვე-

ტიონს: „თქვენი მოგვესმა პატრონო, შექმნილხარ ფარმაზონია, ქრისტეს უარისმყოფლობა, მე თქვენგან არა მგონია“ და სხვ. თუ დადებითად გადაწყდა ეს საკითხი, ციკლი „მზეთა-მზის“ ლექსებისა მასონური მონაბერი უნდა იყოს — ყოველ შემთხვევაში, მასონური მოძრაობა შემჩნეულია გურამიშვილისდროინდელ უკრაინის მოწინავე საზოგადოებაშიც“ (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 577)

12 გ. ნატროშვილი, წინაპარნი და თანამედროვენი, თბილისი, 1961, გვ. 78.

13 იქვე.

14 ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 26.

15 იქვე, გვ. 25.

ნიერების მოძულე ასკეტისა, ვისაც ადამიანში ყოველივე მიწიერისა და ბუნებრივის ჩაკვლა მიუჩნევია იმქვეყნიური სასუფევლის მოპოვების ერთადერთ გზად, არამედ მძლე ჰიმნია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების დიდი პიეტისა, რომელიც სიცოცხლეს უმღერს, მიწიერს დაწაფებული ცხოვრებას ეტრფის[16] და ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერებისათვის აქტიურ მოქმედებისაკენ მოუწოდებს. ამიტომაც გურამიშვილის მისტიკა სუსტი კი არა ძლიერი მისტიკაა, ისეთი, რომელსაც „შეიარაღებულ ამბოხებასთან“ ერთად „მთელი შუა საუკუნეების მანძილზე“ წარმატებით იყენებდა „რევოლუციური ოპოზიცია“.[17]

ღმერთის წარმოდგენა მზის, სინათლის სახით სულაც არაა მხატვრულ ლიტერატურაში იშვიათი გამონაკლისი. მაგრამ აქ, გურამიშვილთან მსოფლმხედველობრივი მსგავსების თვალსაზრისით, რუსთაველთან ერთად, დავასახელებთ მხოლოდ დანტე ალიგიერს (1265-1321), — ვისი მიხედვითაც მზე სინათლის ის წყაროა, რომელიც ანიჭებს ანგელოსთ ძალას, ამოძრაონ ცხრა სფეროდ დაყოფილი სამყარო, — და გოეთეს, ვინც მზის სახით გამოხატა მეუფე არა მარტო „ფაუსტის“ ცაში პროლოგის პირველ სტროფში გამოთქმული სიტყვებით რაფაელისა

— მზე კვლავ აჟღერებს ძველებურ ჰანგზე
ძმურ **სფეროებში** ჯადოსნურ ჩანგსა,

. . . . . . . . . . . . . .

**მისი ჭვრეტა სძენთ ანგელოსთ ძალას**

---

[16] გურამიშვილის ეს ტრფობა მიწიერისადმი მშვენივრად გამოხატა პავლო ტიჩინამ ლექსში „დავით გურამიშვილი ვეფხისტყაოსანს უკითხავს გრიგოლ სკოვოროდას“. უკრაინელი მოაზროვნის სიტყვებს —

— ნეტარებას არა ქვეყნად,
მე ჩემს სულში ვპოებ —

ქართველი პოეტი პასუხობს

— განა ღირს რომ მოიწყინო
როგორც თეთრმა არყმა
დაემდურო წუთისოფლის
ცხროველმყოფელ არილს!

. . . . . . . . . . . .

დახვალ — ნუთუ ბედნიერი
უდაბნოთა შინა?
ცად ისწრაფვი, მაგრამ მაინც
მიწაზე გაქვს ბინა!
მაშ იყავი მიწიერი,
მაშ, დაფიქრდი ცოტა

(თარგმანი მურმან ლებანიძისა)

[17] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, გვ. 39-40.

ვერავინ ჩასწვდეს თუმცა მის სიღრმეს,[18]

არამედ ვაგნერთან ფაუსტის საუბარში:

მზე გადიხარა და სხვა მხარეს მიეშურება,
რომ კვლავ **მოჰფინოს თვის სხივები ახალ სიცოცხლეს,**

. . . . . . . . . . . . .

და რომც **ღვთაება ჩაესვენოს თავის სხივებით,**
მე კვლავ ახალი ალმაფრენა გამიტაცებდა,
**უკვდავ სინათლის დაწაფებით**
**გავგრილდებოდი**
[illegible]
გამ[illegible][19]
(ხაზგასმა ყველგან ჩემია დ. ლ.)

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მზეზე და ქრისტეზე, როგორც ღვთაებრივ გამოცხადებაზე დავით გურამიშვილისა და გოეთეს შეხედულებათა საოცარი მსგავსება.

გურამიშვილისათვის მზე და ქრისტე სინონიმებია იმიტომ, რომ ორივენი სიცოცხლის და სითბოს წყაროდ დაუსახავს და ღვთაებრიობის გამოვლენად უღიარებია. მას — მკვდრეთით აღდგომა ბუნების ჩვეულებრივ მოვლენად რომ ჩაუთვლია, სიკვდილი არსებობის მხოლოდ დროებით შეწყვეტად მიუჩნევია, რომლის შემდეგაც განახლებული სიცოცხლე იბადება, რაც გამოხატული აქვს სიტყვებით „ბნელში მდებარე გამოველ გარე, ვითა დავლამდი, ისე გავთენდი“ (გვ. 112, სტრ. 6) — ქრისტე „სადიდებლად ღვთის“ (გვ. 133, სტრ. 5) მოვლინებულად წარმოუდგენია. თანაც „სიკვდილითა სიკვდილის“ დამთრგუნველი (გვ. 127, სტრ. 28), „ადამიანის ხსნისათვის ჯვარს“ „დამსჭვალული“ (395), „ცხოვრების წყაროს ენბაზი“ (423), „მის მზეთა მზისა“ **„სხივი“ (107) ქრისტე,** ვისგან **„ცხოვრების წყარომა ჩვენთვის დაიწყო დინება“** (130). გურამიშვილის მიხედვით უმაღლესი ზნეობრივი პრინციპის განსახიერება, მისი ღვთაებრივი განცხადებაა. და „საცნაურ“ მზესაც თაყვანს სცემს გურამიშვილი იმიტომ, რომ უმისოდ სიცოცხლე წარმოუდგენელია; ყინვა, სუსხი და სიბნელე მოიცავს ქვეყანას.* ამიტომაც მიმართავს დაღესტანის ორმოში ჩაგდებული პოეტი მზეს — „მზეო, ყოველთა მნათობთა შენ სჯობიხარ მანათობლად“ (343) და

— მზევ სიშორითა შენითა
ვსტირ გულზე კვნესით, ქშენითა;
ყინვა მკლავს და მარჩობს ბუქი;
განმათბე მომფინე შუქი! (354)

რაც შეეხება „დიდ წარმართს“, როგორც

---

[18] გოეთე, ფაუსტი, რედაქცია და კომენტარები დ. ლაშქარაძისა და ო. ჯინორიასი, თბილისი, 1962, გვ. 98.

[19] იქვე, გვ. 129-130.

ჰაინე უწოდებს გოეთეს, რომელმაც ფ. ენგელსის მიხედვით „ხელოვნება რელიგიის არტახებისაგან გაათავისუფლა“[20], მან ეკერმანთან საუბარში ქრისტესა და მზისადმი თავისი დამოკიდებულება ასე ჩამოაყალიბა: „თუ ვინმე მკითხავს, ეთანხმება თუ არა ჩემს ბუნებას მოწიწებული თაყვანი ვსცე მას (ქრისტეს დ. ლ.) მე ვუპასუხებ — დიახაც! მე თაყვანს ვსცემ მას ვითარცა უმაღლესი ზნეობრიობის პრინციპის ღვთაებრივ განცხადებას. და თუ ვინმე მკითხავს, ეთანხმება თუ არა ჩემს ბუნებას თაყვანი ვსცე მზეს, მაშინაც ასევე ვუპასუხებ — დიახ! რადგან მზეც ასეთივე განცხადებაა უზენაესისა და თანაც უძლიერესი ყველა იმ განცხადებათა შორის, რომელიც ჩვენ, მიწის შვილთ გვრგებია. მე თაყვანს ვსცემ მასში ღვთაებრივ სინათლეს და წარმომქნელ ძალას, მარტოოდენ რომლის წყალობითაც ვცოცხლობთ, ვმოქმედებთ და ვართ ჩვენ და ჩვენთან ერთად ყველა მცენარეცა და ცხოველიც“[21].

სინამდვილიდან მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილება, რაც საფუძვლად უდევს გურამიშვილის პოეზიას და ცხოველმყოფელობას ანიჭებს მის თვით ღრმად რელიგიურ — მისტიკურ ჰიმნებს, არის ის ძალა, რომლის კარნახითაც, აკად. ალ. ბარამიძის შენიშვნისამებრ, პოეტი ბიბლიურ სიუჟეტებსაც კი „აცლის სასწაულებრივ სიმშრალესა და ზღაპრულობას, უახლოებს მათ სინამდვილეს, ასე ვთქვათ აბუნებრივებს და ადამიანურებს“[22].

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს არა მარტო შვილის დაკარგვით გულდამწვარი „ნაწლევგათანგული“ (105) ღვთისმშობელი, რომელსაც „მუხლზე“ დაუდვია „დაჭრილი, გვერდ გაპობილი“ (გვ. 139, სტრ. 5) „საწყლად“ ყელგადაგდებული (იქვე. სტრ. 6) ქრისტე და „ლაწვთა სისხლითა მდებარე“ (110) დასტირის —

ძეო, შენს თავსა მნატრიდენ ყოველთა ძეთა
დედები;
ბედნიერობას მიქებდენ, მოსწონდათ ჩემი
ბედები.
. . . . . . . . . . . . . .
ვაიმე, ლახვარ-სობილსა და გულსა
დანა-ვლებულსა,
შენის წყლურების ცეცხლითა დაგულსა,
დანავლებულსა,
შენს უკან წუთის სოფლითგან გულ-კვნესით
ხან-წარებულსა
ძეო, მეტკბობის სიკვდილი სიცოცხლე
გამწარებულსა (სტრ. 111, 112) —

არამედ ქრისტეც, „ძე ღვთისა“, რომელსაც „მამისა“ და „სულისაგან“ მხოლოდ „სიტყვით აქვს განყოფილება, მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან“ (135) და ვინც „ორსავ გზას წრფელს წინ უდებდა, ხორციელსა და სულიერს“ (93).

ღრმად ადამიანურია გურამიშვილის მიერ წარმოდგენილი ჯვარცმის ამბავი, რომელიც მას, როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, — „უდიდეს ადამიანურ ტრაგედიად გაუაზრებია“[23].

მართლაც უაღრესად ტრაგიკულია „ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხული, ჯვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული“ შვილის ხილვით გამწარებული დედის განცდა და მოთქმა, მაგრამ კიდევ უფრო ტრაგიკული და საოცრად ადამიანურია ის, რომ დიდი ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად, უმტკიცესი სულიერი მხნეობის ქრისტე, დედის სასოწარკვეთილი ტირილით შეშფოთებული ამშვიდებს და ამხნევებს მშობელს —

რა ესმა დედის ტირილი ძეს მიკრულს ჯვარსა
ხედაო.
შაემულაბნა მშობელი და მისკენ
გარდმოხედაო.
გამოეძრახა, უბრძანა: ეჰა, ნუ მტირი დედაო
მე წარვალ, შენ ჩემ სანაცვლოდ იოანე
გუვანდეს ძედაო (108) —

ხოლო განაწამები პირმშოს „ხმა ტკბილი“, რამაც მოაგონა მარიამს — გურამიშვილის მიერ გამოსახულ არა აბსტრაქტულ, დემატერიალიზებულ, არამედ მოსიყვარულე, შვილის უბედურებით ტანჯულ დედას — „მის ძის ხელთ-ჰერა, ძუძუს წოება ძისაო“ კიდევ უფრო უკიდებს გულზე ცეცხლს სასომიხდილ მშობელს.

არანაკლებ გაადამიანურებულად წარმოგვიდგება ქრისტე ლექსში „სიტყვა ესე დავითისა“, სადაც ქრისტეს ზრუნვა „კაცთა ძეზე“ ახსნილია წმინდა ადამიანური თვისებით. ადამიანს ხომ ის უყვარს, იმას აფასებს განსაკუთრებით, რაზედაც ამაგი აქვს გაწეული. მაცხოვარი ასე მიმართავს „კაცთა ძეს“ —

ვარ ჰირ ნანახი შენზედა, თორემ რას დაგდეო
(გვ. 126, სტრ. 7)

და

რასაც მე შენთვის გავსჯილვარ, ვითარ
მოვსთვლიდეო!
აწ მე როგორ არ მეწყინოს, წახდე,
გასცრუვდეო? (გვ. 128, სტრ. 35).

---

[20] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-ое, ტ. 1, გვ. 595.

[21]. Eckermann, Gespräche mit Goethe, 1956, გვ. 651.

[22] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 427.

[23] იქვე, გვ. 427.

გურამიშვილის რელიგიურ-მისტიკური ხასიათის ლექსებისათვის დამახასიათებელი ზეციურის გაადამიანურება და მიწიერის გაღმერთება სჩანს „დავითიანის" ლირიკულ შედევრშიც „ზუბოვკა", სადაც ავტორი საოცარი პოეტური გზნებით აგვიწერს შეხვედრას „შავ თვალ-წარბა", „პირად თეთრ", „შავხალიან" (გვ. 144, სტრ. 1) უკრაინელ ქალთან, რომელსაც უკვე მეორე სტროფში მიმართავს, როგორც მზე-ქრისტეს — „ვკითხე: მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?" (იქვე, სტრ. 2). შემდეგ კი პოეტის ვნებიანი ნდობით „გაგულისებული", „კარგი მყვარის", „უკეთესი ვაჟი-კაცი, ქმრის" (სტრ. 4) მყოლი მშვენიერი ქალისადმი ვედრება ღვთისმოსაურ ლალადისში გადადის და, მეხუთე, განსაკუთრებით მერვე სტროფიდან, სულაც ქრისტეს წარმოდგენას უკავშირდება.

ძნელი არ არის აქ დავინახოთ ტიპოლოგიური მსგავსება დანტეს „სალხინებელის" ოცდამეათე სიმღერასთან, სადაც საეკლესიო პროცესიის დროს გამოჩენილ ბეატრიჩეს წმინდა მოხუცნი ისევე მიმართავენ, როგორც ქრისტეს „Benedictus qui venis" — კურთხეულ ხარ მომავალი". ამ სიტყვებით მიუმართავთ ქრისტესათვის, როცა იგი უკანასკნელად წვევია იერუსალიმს; ამით კომენტატორთა აზრით, დანტე „უყოყმანოდ ათანაბრებს ბეატრიჩეს... თვით ქრისტესთანაც კი, რითაც უბრალოდ რომ ითქვას აღმერთებს მას"24.

ოღონდ „ზუბოვკაში" გამოყვანილი ქალი მეტისმეტად მიწიერ-რეალურია ბეატრიჩესთან შედარებით, ხოლო გურამიშვილის ტრფობა მისადმი, ვისმან „ეშხმან დაცალეწა, შეუმუსრა ძვალი," სულაც არ ჰგავს „შუა საუკუნეების უკანასკნელი მგოსნისა და ახალი დროის პირველი მგოსნის"25 პლატონურ — აბსტრაქტულ მიჯნურობას. ეს ტრფობა, განსაკუთრებით პირველ ოთხ სტროფში, ღრმად გრძნობად — ეროტიკულ შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც განასხვავებს დანტესაგან გურამიშვილს და ქართველ პოეტს იდეურად აახლოებს მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებლებთან. კერძოდ გოეთესთან, რომელიც „აღმოსავლურ-დასავლურ დივანში ზულეიკას სახით წარმოდგენილ თავის „უსაყვარლესსა ასე მიმართავს — und wenn ich Allachs Namenhundert nenne, mit jedem klingt ein Name nach für dich (და თუკი ალაჰს, უზენაესს, ას სახელს ვარქმევ, ყოველ მათგანში მოისმის შენიც" თარგმანი ო. ჯინორიასი).25ა

24 დანტე ალიგიერი, ახალი ცხოვრება, თბილისი, 1967 წ. ო. ჯინორიას შესავალი წერილი „დანტეს ახალი ცხოვრება", გვ. 32.

25 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1949, გვ. 36.

25ა Goethes Werke, herausgegeben von Heinrich Kurz, ტ. 2. გვ. 82.

გამანათლებლებთან ეს სიახლოვე კი არც მოულოდნელია და არც შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ სამშობლოდან გადახვეწილი გურამიშვილი დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა რუსეთს ემიგრირებულ ქართველთა იმ წრეში, სადაც არა მარტო პასიურად ეცნობოდნენ ევროპაში დაწყებულ ახალ გონებრივ მოძრაობას, რომელიც ლომონოსოვის სამშობლოშიც უკვე ფართოდ იკაფავდა გზას, არამედ ახალ იდეათა პროპაგანდასაც ეწეოდნენ: გულმოდგინედ სწავლობდნენ ლოკისა და კონდილიაკის ფილოსოფიას, ბეჯითად თარგმნიდნენ მონტესკიეს, ვოლტერს და რუსოს ნაწერებს, და ორიგინალური თხზულებებითაც ავრცელებდნენ დიდ გამანათლებელთა შეხედულებებს. და, ცხადია, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს „შეუძლებელიცაა დავით გურამიშვილს მოსკოვსა და ლენინგრადში გატარებული ხანგრძლივი წლების განმავლობაში, ევროპელი გამანათლებლები და მათი ძირითადი იდეები არ ცოდნოდა. მას არ შეეძლო არ შეესუნთქა ის ჯანსაღი და გამახალისებელი ჰაერი, რომელსაც მოწინავე თაობები ითვისებდნენ პარიზიდან დაწყებული მოსკოვსა და თბილისამდე"26.

ამ „ჯანსაღი და მაცოცხლებელი" სუნთქვის კვალი აშკარად ატყვია გურამიშვილის მთელ შემოქმედებას, განსაკუთრებით მის მონუმენტურ „ქართლის ჭირს", სადაც პირუთვნელად არის ასახული მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედი, რომელთანაც მჭიდროდ დაუკავშირებია პოეტს საკუთარი, არანაკლებ ტრაგიკული, ბიოგრაფია.

თავის მიწა-წყალს დანატრებული დიდი პატრიოტი, რომელიც მზეს ადარებდა საქართველოს, — ისევე მოწიწებულ თაყვანს სცემდა სამშობლოს, როგორც მზეთა-მზე-ღმერთსა და მზე-ქრისტეს, — და „ურჯულოს ქვეყანას" დატყვევებული ევედრებოდა —

სახით სიტყვა შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,
ვეძებ და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო;
გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო (332)27—

26 გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1963, გვ. 60.

27 ეს ჰიმნი — „ოდეს დატყვევებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარ ნახა. ამისი მოთქმა დავითისაგან" — ქრისტესადმი აღდგენილი ლალადისია, „ვინც გარდასთანა ცა — სამყარო" (სტრ. 333) და ვისაც მიმართავს პოეტი —

ქვეყნის ჯანსაღი სიყვარულის კარნახით დაუნ-
დობლად ამხელდა მისი პოლიტიკური და ეკო-
ნომიური დაკნინების, ერის გონებრივი განვი-
თარების შეფერხების და ზნეობრივი დაცემის
მიზეზებს.

სამშობლოს უანგარო სიყვარული, ჯანსაღი პატრიოტიზმი და მაღალი ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად „მართლის თქმის“ გურამიშვილისეულ გაგებას, რომელიც არჩილისა და მისი სკოლის მოთხოვნილებიდან მომდინარეობს, მაგრამ არსებითად ახალ, უფრო მაღალ საფეხურს ქმნის და გურამიშვილს განმანათლებლური რეალიზმის წარმომადგენლად გვისახავს.

პოეტი, რომელსაც პოეზიის ამოცანად „მართლის თქმა“ მიუჩნევია და „ცუდი, ტყუილის მოზღაპრე სიცრუის კანანახად“ (20) ჩაუთვლია, სინამდვილის უტყუარ ასახვას სულაც არ რაცხს, როგორც მისი ზუსტი ასლის გადმოღებას და „დავითიანიც“ ემპირულ მოვლენათა ფოტოგრაფიული სურათი კი არ არის, არამედ ღრმად შთაგონებული ვრცელი მხატვრული ტილოა, რომელიც გაცილებით უფრო სრულ და ცოცხალ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობაზე, ვიდრე ემპირიზმის ტყვეობაში მყოფ მემატიანეთა მშრალი ცნობები.

გურამიშვილი ერთგულად მიჰყვება თავის შემოქმედებით მრწამს, გამოხატულს შემდეგი სიტყვებით —

**საყვარელო,** სახით თქმულო, უსასყიდლო
მარგალიტო
ვის გადარო **ჩემთვის მკვდარო, მზევ, მზეთა**
**მზის მაგალითო** (სტრ. 334)

---

უზუსტობაა მიგვაჩნია დავით გურამიშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებზე აკად. კ. კეკელიძის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, დასახელებულ ლექსში წარმოდგენილი „საყვარელი“ სამშობლოს გამოხატავს, ხოლო ლექსებში — „ზუბოვკა“ და „საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა გულსაწვავი“ — ღმერთს, კერძოდ ძეს ღვთისა.

აკად. კ. კეკელიძე წერს: „დასახელებული სამი ლექსიდან პირველში („ოდეს დატყვევებულმან...“ დ. ლ.) პოეტი მიმართავს **სამშობლოს,** რომლის ფასს ის ვერსად პოულობს და რომლის მახლობლად, თუ წიაღში არა, უნდა განისვენოს; მეორეში („ზუბოვკა“ დ. ლ.) საყვარლად იგულისხმება მაცხოვარი... მესამეშიაც (საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა“ დ ლ.). პოეტი გულისხმობს ღმერთს (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 540).

საქმე ისაა, რომ ეპიტეტები, რომლებსაც იყენებს პოეტი ზემოთციტირებულ ლექსში „მზეო, მზეთა-მზის სახეო“ (სტრ. 332), „ცხოვრების წყარო“, „ვინც გარდასთენ ცა-სამყარო“ (სტრ. 333), „ჩემთვის მკვდარო“ (334), „ჩვენ ცხოვართა, მწყემსის კვერთხო, ძელო ცხოვრებისა ხეო“ (სტრ. 334), აგრეთვე მიმართვა —

შენ იესო, მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის
დამანთხეო!
ვით ცხოვარი ვარ წყმედილი, ნუ დამკარგავ,
მომნახეო (სტრ. 336)
და სამკურნალოს ცვარ-ცხებულო, სნეულთ
წყლურების შემხვეო!
სნეულება განმიკურნე, მო, სალბუნი
მომაცხეო;
გამაგონე ხმა საყვირთა, ამოიღე ხმა მჯახეო,
ვით ლაზარეს დამარხულსა „აღდექ“ —
თავსა დამძახეო“ (სტრ. 337).

— ცხადჰყოფენ, რომ გურამიშვილს „საყვარლად“ აქაც ქრისტე ჰყავს დასახული.

მაგრამ ისევე, როგორც გურამიშვილის მრავალი ჰიმნი, სადაც ს. ცაიშვილის შენიშვნისამებრ „აღარაა მიმართების ერთი განზომილება“ (ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 25) — ეს ჰიმნიც ორპლანიანია და მართებულად არის ჩათვლილი ვედრებადაც სამშობლოსადმი, რომელსაც გურამიშვილი მზედ სახავს, ისევე, როგორც ღმერთს. ეს აშკარად ჩანს ლექსში „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა...“ ამ ლექსის ზემოთ უკვე ციტირებულ (349) სტროფში „დავითიანის“ ავტორი ღმერთს მზეთა-მზეთ სახავს, ქრისტეს — მზედ, ხოლო მზეს თინათინად (სიტყვა თინათინი საბას ასე აქვს განმარტებული „სარკისა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს). გურამიშვილი დასახელებული ლექსის მომდევნო სტროფში დაბეჯითებით მიმართავს მკითხველს —

სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ
ითქოსა,
ძე ღვთისა მხოლოდ — შობილი მზე
სიმართლისა იქოსა
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი
ირქოსა.

ხოლო ამავე ლექსის ბოლო სტროფში ქართველ ერსა და სამშობლოს უწოდებს „სარკის **მზის** შუქის ციალს, ე. ი. თინათინს, მზეს —

საწუთროს მზის თინათინი მოგითხრო რაცა
ფერია:
**სარკის მზის შუქის ციალსა უწოდეს**
**ქართველთ ერია**
ვერას ხორციელს სულდგმულსა ბრჭყალში
ვერ დაუჭერია,
**მე თინათინათ მინათობს სახლთ კედელ-ყურე,**
**ჰერია.** (საზგასმა
— ყველგან ჩემია — დ. ლ.)

მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა
მოამბე რად?
ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა
პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს
გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი
კახაბერად (სტრ. 170).

და თუმცა „ავის გამოჩენის“ კი „ერცხვინება“ (168), ისიც კარგად იცის, რომ მისი სააშკარაოზე გამოტანა მტერს გაახარებს და მოყვარეს გულს ატკენს, — „მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება“ (სტრ. 166) — მაგრამ მაინც დაუნდობლად ამხელს მანკიერებებს, რადგან სწამს, რომ „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ (172). თანაც პოეტი მკითხველს რომ მიმართავს „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“ (168) ამასაც დაბეჯითებით აღნიშნავს „ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოსო“ (173) და მკაცრად ჰგმობს „აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს“, სასტიკად ჰკიცხავს უკიდურეს ეგოიზმს, გაუტანლობას, ურთიერთშუღლსა და მტრობას ქვეყანა რომ დაუკნინებია და დუღუპვის პირას მიუყვანია.

მაგრამ ეს სიმკაცრე გურამიშვილისა, — რომელიც მწვავედ განიცდის „უკუღმართად ხვნა და თესვის“ (183) შედეგად წარმოქმნილ „ქართლის ჭირს“ და ქვეყნის წახდენის შემყურე ამბობს „მეტად მწარედ გული მტკივა, მაგრეოლებს და ტანში მზარავსო“, — მტრულად განწყობილ კაცის გესლიანი ლანძღვა კი არ არის, გულ'შემატკივარი ჭირისუფლის გაფრთხილებაა და მოყვრის პირში ძრახვის იმ პრინციპს გამოხატავს, რომელსაც განუხრელად ატარებდა XIX ს. საქართველოს კოლოსალური ფიგურა — ილია ჭავჭავაძე, ვინც შეუბრალებლად ამხელდა „ქართვლის სიავეს“ და ამის გამო გაგულისებულ ვაი-პატრიოტებს მიმართავდა —

„ჩემზე ამბობენ“ ის სიავეს ქართვლისას
ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“[28].

სამშობლოს ბედით დაინტერესება, ერის ჭირ-ვარამით განპირობებული მამულიშვილური გულისტკივილი და მანკიერებათა მიუკერძოებელი მხილება, რაც, მაღალმხატვრულ ღირსებასთან ერთად, ანიჭებს „დავითიანს“ ცხოველმყოფელ ძალას, წარმოგვიდგენს გურამიშვილს ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული გემოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მებაირახტრედ და განსაზღვრავს მისი შემოქმედების „ევროპეიზმს“.

სამშობლოს სავალალო მდგომარეობით გამოწვეული გულისტკივილი, მწვავე განცდა მისი ბედ-იღბლისა, რომელსაც, როგორც აღინიშნა, განუყრელად უკავშირებს გურამიშვილი თავის ტრაგიკულ ბედს, განაპირობებს, უმთავრესად „დავითიანის“ სევდითა და ნაღვლით სავსე მრავალი ლექსის პესიმისტურ განწყობილებას.

მაგრამ გურამიშვილის პესიმიზმი სულაც არ არის კაეშნიანი მოთქმა უიმედობით შეპყრობილი სასოწარკვეთილი კაცისა, რომელსაც გული გატეხია და ბრძოლაზე ხელი აუღია. პირიქით, იგი მკაცრად ჰგმობს მცონარებას — „კამეჩის სკორსა“ და „მდორე მდინარეს“ რომ აგონებს — და მხნეობისაკენ მოუწოდებს, რომელსაც ლაღად მჩქეფარე მთის წყაროს ადარებს—

ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე
მდორეა;
მხნემან ვით ჩქარმან წყარომან განხეთქოს
მთა და ბარია —

ამბობს პოეტი და ლექსის დასასრულს ოთხჯერ მიმართავს მკითხველს —

მხნე იყავ და გაძლიერდი, დავითს რაც
უთქვამს სწორია (375).

გურამიშვილის მიერ ტრაგიკულად აღქმულ დუხჭირ სინამდვილეში ეს ოპტიმისტური მოწოდება ემყარება სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების გარდუვალობის ღრმა შეგნებას, ანუ, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, იმას რომ პოეტს სჯერა „სინათლის ღმერთის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე“, სწამს, რომ „მოხდება ადამიანის ზნეობრივი განახლება და ფიზიკური გაახალგაზრდავება, მისი განკაცება, მისი ღვთაებასთან დაახლოება“[29]. ხოლო ადამიანის ამ ამაღლებას, ქვეყნის საერთო განახლებასთან ერთად, სამშობლოს ბედნიერებაც მოჰყვება, რადგან მისი ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა გურამიშვილს მდაბალ ვნებებს აყოლილი, ცოდვილი და დაცემული ადამიანის მოქმედების შედეგად მიუჩნევია.

ადამიანის ამაღლებისა და ქვეყნის განახლების ამ იმედის გამოა რომ „დავითიანი“, რომელიც „ღრმად ტრაგიკული და პესიმისტური ჩანს ცალკეულ ნაწილებში, მთლიანად სიკეთის გამარჯვების რწმენითაა გაერთიანებული“[30] ეს რწმენა კი, გ. ქიქოძისავე მართებული შეხედუ-

28 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1951, გვ. 75.

29 გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1969, გვ. 59.

30 იქვე.

ლებით, ადამიანის ცოდვის ქრისტიანული გამოხსნის იდეასთან ერთად, დაკავშირებულია გურამიშვილის რაციონალისტურ მსოფლმხედველობასთან, რაც კარგად ჩანს პოეტის „საწუთროსთან“ დამოკიდებულებიდანაც.

თავისი წინამორბედების — თეიმურაზ I-ის, არჩილისა და ვახტანგ VI-ის — მსგავსად გურამიშვილიც საყვედურობს „ცრუ საწუთროს“ (გვ. 24, სტრ. 17), რომელიც „მტყუანი არს და უპირობო“ (543) „მატყუარა“ და „ფლიდი“ (567) „ქცევადი მომბრუნავია, წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსროს ნავია“ (549).

საწუთროს „სიმუხთლე“ და „გაუტანლობა“ დიდი პოეტური ძალით აქვს გამოხატული გურამიშვილს ლექსში „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, რომლის ყოველ ტაეპს მოსდევს რეფრენი „ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო“. **მაგრამ, არჩილის მსგავსად** გურამიშვილიც, **უწინარეს ყოვლისა ადამიანს** ადანაშაულებს იმაში, რომ „საწუთრო სად კაცს არ უნდა წაიყვანს, ყელზე საბელი აბია“ (556).

საქმე ისაა, რომ დავითიც ადამიანის ბუნებაზე დაახლოებით იმავე შეხედულებისაა, რომელიც, როგორც სხვაგან, არჩილის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით, გვაქვს აღნიშნული, პიკო დელლა მირანდოლამ ჩამოაყალიბა ნაშრომში „ადამიანის ღირსებაზე“ და გოეთესაც გაზიარებული აქვს „ფაუსტის“ პროლოგში. სახელდობრ, ადამიანს მომადლებული აქვს უნარი ამაღლდეს „ღვთაების მსგავს არსებამდე“, მაგრამ იმის „შესაძლებლობაც აქვს — დაეცეს ცხოველის“ დონემდე და ეს „ამაღლებაც“ და „დაცემაც“ ადამიანზეა დამოკიდებული.

გურამიშვილიც, რომლის მიხედვით —

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა
ჩვენთვის განაჩინა;
თვალ-მარგალიტ, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი,
თუ ქვა და რკინა;
ჰიაც ჩვენთვის ამუშავა, ჰიჩნაური აპარკინა
(სტრ. 141) —

თვლის, რომ ადამიანი საწუთროს მეფედ არის გაჩენილი და თუ ამჟამად მონურად დამორჩილებია მას, მხოლოდ იმიტომ რომ სწორ გზას აცდენილი „ცხოველის დონემდე“ დაშვებულა.

კაცის „უმზგავსი საუბრით“ შეშფოთებული „ღვთისგან შემკობილი“ საწუთროს შეკითხვაზე — „აწ რას გიშავებ, რადა მგმობ პირითა საგმობარითა“? (გვ. 171, სტრ. 7) — კაცი პასუხობს —

...ღმერთმან დამბადა თავისი მზგავსებით
მეფედო
მე შენი თავი ყმად მომცა, მოსამსახურედ
სეფედო,
შენ მტრად შემექენ, არ მინდობ, შემქნიხარ
სისხლის მჴჭეფედო
(იქვე, სტრ. 8).

და საწუთროც ეთანხმება მას — „რაც ბრძანეთ, სულ მართალიაო“ (იქვე, სტრ. 9). მაგრამ ამაში თავად კაცს სდებს ბრალს, „თვალ-გულ ხარბ, ანგარ, მუცელ გაუძღომელ“ (იქვე, სტრ. 10) ადამიანს, რომელიც მდაბალ ვნებებს აჰყოლია და „ვერა ხელმწიფობს როგორც რომ სამართალია“ (იქვე, სტრ. 9). საწუთრო ასე მიმართავს კაცს —

წინ არ იხედევ, არ შინჯავ, გზას კარგია თუ
ავია,
ქვას ფეხს წამოკრავ, წაგაქცევს, ჩემი რა
დამნაშავეა?
(გვ. 172, სტრ. 14)

მერე შეაგონებს —

არ ასცილდების დაცემა უფრთხილოდ გზაზე
მარებსა;
უზომოთ ბევრის მჭამელსა სიმაძღრით გულს
დასძმარებსა.
მე კეთილად ვარ ნაზავი, ვინც ზომით
მომიხმარებსა;
მისთვის ვარ ავი უძლებად, ვინც საკმარს არ
აკმარებსა
(იქვე, სტრ 15)

ბოლოს კი აფრთხილებს —

მეფე ბრძანდებით, თვალღებით ნუ შვრებით
ავს სამართალსა
გაფრთხილდით, ხნარცვს არ ჩავარდეთ,
ბრძნად გარდავლებდეთ გზას თვალსა
(გვ. 174, სტრ. 30)

და კაციც იძულებულია „ხმალი ქარქაშში“ ჩააგოს და „თავმდაბლად“ ბოდიში მოუხადოს საწუთროს.

იმის აუცილებელ პირობად, რომ კაცი არ იყოს „თვალ-გულ ხარბი“ და „ანგარი“, არ „შვრებოდეს ავს სამართალს“ და „ბრძნად გარდავლებდეს გზას თვალსა“, გურამიშვილი, — რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის მსგავსად „უცობა“ ქვეყნის დაკნინების ერთ მთავარ მიზეზად მიუჩნევია, — სწავლა-განათლებას, ცოდნას აღიარებს, რადგან, მისი ღრმა რწმენით, „ჰქვა ცოდნით მოიხმარების“ (სტრ. 30) „ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჰკვიანი კაცი ბრიყვია“ და დაბეჯითებით რომ ამბობს „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“ (32). ცოდნის, როგორც სიბრძნის წყაროს მთავარ სიკეთედ „ნდომის“ გონებისათვის დამორჩილებას თვლის, რასაც იგი ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის ბალავრადაც წარმოიდგენს. ხოლო „ნდომის“ გონებისათვის დამორჩილებისა და მის ნიადაგზე ადამიანის ზნეობრივი განწმენდისა და გონებრივი სრულყოფისათვის ეს ზრუნ-

ვა, რაც გურამიშვილის დიდაქტიკის საფუძვლებთა საფუძველია. XVII-XVIII საუკუნეების ევროპული კლასიცისტურ-გამანათლებლური მწერლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემასაც წარმოადგენს. სწორედ ეს არის მთავარი და არა ის, რომ დიდაქტიკურ ნააზრევში გურამიშვილისა, — რომელსაც არჩილის, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვ. სახით ამ მიმართულებითაც ჰყავს აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში წინამორბედები, გვხვდება ცალკეული კონკრეტული რჩევა-დარიგებანი, რომელთა წყარო, როგორც ასაბუთებენ, უნდა იყოს რუსული მწერლობის ძეგლი „დომოსტროი", ალექსანდრე არჩილის-ძის მიერ რუსულიდან თარგმნილი და 1739 წელს გამოცემული „ტესტამენტი ალექსანდრე მაკედონელისა", ბაქარ ბატონიშვილის ბრძანებით 1748 წელს რუსულიდან თარგმნილი „ეკონომია", რომელიც, თავის მხრივ, ფრანგულიდან იყო თარგმნილი[31].

გურამიშვილი, რომელიც გ. ქიქოძის შენიშვნისამებრ, თუმცა „არსად მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებლებს და ენციკლოპედისტებს არ ასახელებს, მაგრამ... იმოწმებს მათ შორეულ წინაპარს, ბერძენ ფილოსოფოს ეპიკურს, როგორც გონების აპოლოგეტს, როგორც ვნებათა ღელვის დათრგუნვის მქადაგებელს"[32], თავად გვევლინება „ნდომის" დათრგუნვისა და გონებისათვის მისი დამორჩილების მღაღადებლად. პოეტის აზრით —

> ჰკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია,
> მაგრამ თუ **ნდომა** გულს აბრმობს, არ ადვილ
> სამოვნელია (66)

და

> **ნდომა** ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს
> ნათლად მხილველსა:
> **ნდომა** მხრდალს გაჰხდის მამაცად შებედავს
> ძნელს საბედველსა;
> **ნდომა** სხვის სწავლას მიიკრავს, ეგრეთ, ვით
> ცერცვი კედელსა!
> **ნდომა** მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს,
> წარსაწყმედელსა (67).
> (ხაზგასმა ყველგან ჩემია დ. ლ.)

„დავითიანის" მიხედვით, „ნდომის" აყოლის შედეგია ზნეობაშერყეულ თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებული გულზვიადობა, უკიდურესი თავკერძობა და ანგარება, რომელთა ალაგმვა ადამიანის ადამიანად ქმნის გარდუვალი პირობაა, ხოლო ამ მაღალი მიზნის განხორციელების გზას სწავლა-განათლება და საზოგადოების ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს.

ამ მიმართებით გურამიშვილის შეხედულებათა მსგავსება გამანათლებლებთან უდაოა. გამანათლებლებიც თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის აუცილებელ პირობად, უწინარეს ყოვლისა, სწავლა-განათლებას და აღზრდას მიიჩნევდნენ. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ფრიდრიხ შილერი, რომელსაც თავისდროინდელ საზოგადოებაში, — სადაც სარგებლიანობა ქცეულა დროს კერპად და უკიდურეს ეგოიზმს ჩაუხშვია უკეთილშობილესი გრძნობები, — ყველ ოცნებად წარმოუდგენია იმის მიღწევა, რომ „ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, პატივი ვცეთ, როგორც თვითმიზანს" და „ჭეშმარიტი თავისუფლება დავუდოთ საფუძვლად პოლიტიკურ გაერთიანებას"[33]. ამის განხორციელებას „კაცობრიობის ადვოკატი" მომავალში თვლიდა შესაძლებლად, მხოლოდ მის შემდეგ, როცა ამჟამად „ნდომას" დამორჩილებული და ამის გამო „თავისი მონის მონად"[34] ქცეული ადამიანი მდაბალ ვნებათა დათრგუნვის გზით კვლავ დაიბრუნებდა ბუნებაზე მეუფეობას. ამის აუცილებელ პირობად კი შილერს კაცობრიობის ზნეობრივი აღზრდა და მისი განათლება მიაჩნდა, რადგან „განათლებული ადამიანი ბუნებას უმეგობრდება, პატივს სცემს მის თავისუფლებას", მაგრამ „მის თვითნებობას ლაგმავს"[35].

შილერის ამ მსჯელობასა და „საწუთროსთან" „კაცის" დამოკიდებულებაზე ზემოთგანხილულ გურამიშვილისეულ შეხედულებათა მსგავსება აშკარა არის, ორივეს აზრით საწუთროს მეუფედ მოვლენილ, მაგრამ ამჟამად „თავის მონის მონად" ქცეულ ადამიანს მხოლოდ ზნეობრივი და გონებრივი სრულყოფის გზით შეუძლია დაიბრუნოს კვლავ მეუფეობა.

---

31 არჩილის, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის დიდაქტიკური შეხედულებების ურთიერთდამოკიდებულება სათანადოდ არის გარკვეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, ტ. II, 1952, გვ. 534-36. კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 430, აგრეთვე ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის გამოცემა, გვ. XVII). უცხოურ წყაროებზე კი — კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941 წ. გვ. 597, ტრ. რუხაძე, დავითიანის ლიტერატურული წყაროებისათვის, ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, III, 1943 წ. გვ. 227-295, აგრეთვე ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი ნ. ტატიშვილის ლიტერატურული ნარკვევები, 1965, გვ. 13-15.

32 გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1963, გვ. 60.

33 ფრიდრიხ შილერი, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, დ. ლაშქარაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბილისი, 1965, ტ. III, გვ. 493.

34 იქვე, გვ. 492.

35 იქვე.

ცხადია შილერისა და გურამიშვილის ამ უტოპიურ შეხედულებათა ტიპოლოგიური მსგავსების მიღმა შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებაც. აქ იგულისხმება არა ის რომ მიუხედავად XVIII საუკუნის ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი სხვადასხვაობისა, — რამაც განაპირობა ამ ქვეყნების განმანათლებელთა ამოცანების სხვადასხვაობაც, — მათ აერთიანებდათ ფეოდალიზმის, ან მისი ჯერ კიდევ ძლიერი გადანაშთების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებათა მხილებასთან ერთად შილერის შემოქმედების პათოსსაც წარმოადგენდა: ხოლო აბსოლუტიზმის მომხრე გურამიშვილი, რომელიც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, სამშობლოს სავალალო მდგომარეობის, პარტიკულარიზმის, თავკერძობისა და ანგარების შედეგად წარმოშობილი შინაური მტრობით, ურთიერთშუღლით, გაუტანლობით და მნიშვნელოვან წილად ამით განპირობებული გარეშე მტერთა განუწყვეტელი თარეშებით რომ ხსნიდა, მიუკერძოებლად კი აძხელდა „ქართლის ჭირის“ მიზეზს, მაგრამ აი მიზეზის მიზეზთა-მიზეზის — ფეოდალური საზოგადოების — არსებობას კანონიერად მიიჩნევდა. ეს მთავარი, პრინციპული განსხვავებაა „დავითიანის“ ავტორსა და XVIII საუკუნის გამანათლებლებს შორის. მაგრამ ამ შემთხვევაში, შილერთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს „ვაიმარული კლასიციზმის“ დიდი წარმომადგენლისა და დავით გურამიშვილის შეხედულებათა სხეობაც ადამიანის აღზრდასა და ამ გზით საზოგადოების გარდაქმნაზე ტიპოლოგიურად მსგავს შეხედულებათა შორის.

შილერი, რომელიც სულაც არ უარყოფდა იმ აზრს, რომ „ხელოვნება გართობას და დასვენებას უნდა ემსახურებოდეს“, გამანათლებელთა დიდი უმრავლესობის შეხედულებისამებრ მის საგანგებო დანიშნულებად „ადამიანის ზნეობრივ გაკეთილშობილებას“[36] მიიჩნევდა და განსაკუთრებით აღნიშნავდა ხელოვნების, კერძოდ პოეზიის კეთილმყოფელი ზემოქმედების ძალას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელ უნარს.

პოეზიის ასეთივე გაგება ანიჭებს გურამიშვილის „დავითიანს“ ცხოველმყოფელობას და გამსჭვალავს მას დიდი მოქალაქეობრივი პათოსით. ქართველი პოეტი, რუსთაველის კვალდაკვალ პოეზიას სიბრძნის დარგად რომ თვლიდა, უწინარეს ყოვლისა, მის სპეციფიკას — ესთეტიკური ტკბობისა და ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების უნარს — ითვალისწინებდა, როგორც საზოგადოების აღზრდის ერთ-ერთ უტყუარ გზას, რასაც ადასტურებს „ქაცვია მწყემსში“ მამის სიტყვები —

მე ლექსად სიტყვებს ამად ვაწყობდი,
უფრო ტკბილად ჩნდა ამას ვატყობდი,

არ მაქვნდა იმედი შენ ამბად ისმენდი
მოუწყენელად (გვ. 248, 488).

პოეზიის ამ მაღალი დანიშნულების შეგნებით არის შეთხზული მთელი „დავითიანი“, რომლის შესავალში გურამიშვილი წერს —

ამისთვის მე არ შევსძეძვე, რაც
დავრგევ იგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად ალვლიან ზედ ყრმანი
დასარხევლად (3).

ასე რომ პოეზიის მაღალ დანიშნულების, მისი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაგების თვალსაზრისითაც გურამიშვილის შეხედულება არსებითად ენათესავება საერთოდ გამანათლებლების და კერძოდ შილერის შეხედულებას.

მაგრამ თუ ვაიმარული კლასიციზმის წარმომადგენელი წინააღმდეგობით დაფლეთილი თანამედროვე საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისა და მისი ზნეობრივი სრულყოფის წყაროდ „თაობათა და დროებათა გახრწნილებისაგან შეურყვნელ“[37] საბერძნეთს მიიჩნევდა, დავით გურამიშვილი ასეთად ქრისტიანულ სარწმუნოებას წარმოადგენდა.

შილერი, — რომელიც გადაჭრით ამბობდა „მე არ ვისურვებდი სხვა საუკუნეში მეცხოვრა და სხვისთვის კი დავმშვრალიყავ. ყოველი მოქალაქე თავისი დროის მოქალაქეა, ისევე როგორც თავისი სახელმწიფოსი“[38] და თანამოკალმეებს მიმართავდა: „იცხოვრე შენს საუკუნესთან ერთად, მაგრამ მისი ქმნილება ნუ იქნები; ემსახურე თანამედროვეებს, მაგრამ იმით, რაც სჭირდებათ, და არა იმით, რასაც აქებენ“[39] — ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად ესთეტიკურ აღზრდას რაცხდა და აღმზრდელის როლს ხელოვანს ანიჭებდა. მაგრამ, „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ წერილების ავტორის აზრით, ამ მაღალ მოწოდებას ხელოვანი მაშინ შეასრულებს, თუ იგი — თავისი „ეპოქის პირმშო“ — მისი „ნებიერი შეგირდიც“ არ იქნება. ამიტომაც მოუწოდებდა „საბერძნეთის ღმერთების“ შემთხზველი ხელოვანს „საბერძნეთის ცის ქვეშ“ „დავაჟკაცებულიყო“, მაგრამ არა იმისთვის, რომ იქ დარჩენილიყო, არამედ იმისთვის, რომ „უკეთესი ეპოქის რძით გამოკვებული“ თავის საუკუნეს დაბრუნებოდა და განეწმინდა იგი. „ხელოვანი, — წერდა შილერი, — მართალია, ეპოქის პირმშოა, მაგრამ ვაი მას, თუ ამავე დროს მისი შეგირდიც არის და თანაც ნებიერი შეგირდი. დაე ქველმოქმედმა ღვთაებამ დროულად მოაშოროს ძუძუთა ბალღი დედის მკერდს, უკეთესი ეპოქის რძით

[36] იქვე, გვ. 658.

[37] იქვე, გვ. 508.

[38] იქვე, გვ. 485.

[39] იქვე, გვ. 510.

გამოჰკვებოს და საბერძნეთის შორეული ზეცის ქვეშ აცალოს დავაჟკაცება. ხოლო როდესაც დავაჟკაცდება, აი მაშინ დაე დაბრუნდეს თავის საუკუნეში, როგორც უცხო ხატება, მაგრამ არა იმისთვის, რომ გაართოს თავისი გამოჩენით, არამედ მრისხანედ, ვითარცა აგამემნონის ვაჟმა, გასწმინდოს იგი"[40].

ხოლო გურამიშვილი „ღვთის მცნების" უარყოფის შედეგად დაცემული ადამიანის ზნეობრივი ამაღლების საშუალებად, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა და აღზრდას „კაცისა", ბრძენს რომ ავალებდა —

აწ ბრძენი უნდა სოფელში, ეგრეთ ვით
წმინდა ბერია,
ცხოვრებდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს
მეცნიერია (49)

თავად ადამიანს ქრისტეს პირით ამას ურჩევდა —

ჩემს სახლამდის მოაწიო, ამდენს ეცადეო,
რაც მაწყინე მისი მითხარ: გცოდე, შემინდეო,
თუ გულ-მხურვლად ეს ბოდიში შენ მაიხადეო,
მერე შენი განსვენება ჩემზედ მოაგდეო.
თუ ვითარ გაგაყმაწვილო, აღარ დაბერდეო,
არა გაქვნდეს რა საჯავრო, სულ იხარებდეო
(გვ. 128, სტრ. 40-42).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნოების ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად აღიარება სულაც არ აპირისპირებს გურამიშვილს საერთოდ გამანათლებლებთან. თავი რომ დავანებოთ გამანათლებელთა ყველაზე მემარცხენე ფრთის წარმომადგენელ ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778), რომელიც 1756 წლის 18 აგვისტოს წერილში ვოლტერისადმი აღნიშნავდა: ერთი წუთითაც ვერ შევიტან ეჭვს სულის უკვდავებისა და განგების სიკეთეზეო, — გოეთე, როგორც ზემოთ ითქვა, ქრისტეს უმაღლესი ზნეობრივი პრინციპის ღვთაებრივ განცხადებად თვლიდა, ხოლო ვოლტერი — ეკლესიურ-ქრისტიანული დოგმატიზმის შეურიგებელი მტერი — ამბობდა, რომ არ ყოფილიყო ღმერთი, უნდა გამოგვეგონებინა, თუკი ღმერთის რწმენა თუნდაც ერთ კაცს ააცდენდა ბოროტების გზასო.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მრავალმხრივ საყურადღებოა „მხიარული ზაფხული", ამქვეყნიური ცხოვრების სიხარულისა და სიცოცხლისადმი მძლეთა მძლე ტრფობის გამომხატველი პოემა. სადაც „ზურმუხტის ტახტზე დამჯდარ ზაფხულს" (გვ. 184 სტრ. 32) ამიტომ უმღერს დიდი პოეტი, რომ იგი სიცოცხლის მარად განახლების სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი.

[40] იქვე, გვ. 508.

ერთი მნიშვნელოვანი მოტივი „ქალვით მწყემსის" სახელწოდებითაც ცნობილი ამ პოემისა, — რომლის წყაროდ გურამიშვილი [illegible] უკრაინული „ვესელა ვესნას" [illegible] ასახელებს — არის ზამთარ-ზაფხულის ბრძოლა და ზაფხულის „გამარჯვებით" გამოწვეული ზეიმი ბუნებისა და ადამიანისა[41].

გურამიშვილი შეჰხარის ზაფხულს, რომელმაც „ზამთრით გაცრცვილნი, შიშველ-ტიტველნი ახლით დამოსა, გაჰხადა ძველნი" (გვ. 185 სტრ. 34) და „ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი" (გვ. 185 სტრ. 35) და როცა ათასფრად მორთულ და სიცოცხლის სიხარულით ამღერებულ ბუნებაში—

მზგავსად-მზგავსადმან იპოვნა ტოლი,
ყველამ დანერბა თავისი ცოლი.
გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი (გვ. 185 სტრ. 38).

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ გურამიშვილის პოეზიაზე საერთოდ ითქმის მისი „ლექსის რიტმული ძალა, მისი მუსიკალური ამღერება", „სიცოცხლის სიხარულის მომასწავებელიაო"[42] — ეს, უწინარეს ყოვლისა, „მხიარულ ზაფხულს" შეეხება. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ „მხიარული ზაფხული" სრულიად თავისუფალი არის აღმოსავლური პოეზიის გავლენით ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული „ფიგუ-

[41] ზაფხულისა და ზამთრის ბრძოლის მოტივი და ზაფხულის დაღგომასთან დაკავშირებით ბუნების ზეიმი, რამდენადაც ცნობილია, თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორშია გავრცელებული. რუსულ „ვესნიანიკებში", ბელორუსულ და უკრაინულ გაზაფხულის საწესჩვეულებო სიმღერებსა და ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ ხალხურ პოეზიაში გაზაფხულის წარმტაც სურათებსა და ბუნების გაღვიძებასთან ერთად მდედრ-მამრის ურთიერთტრფობის ამსახველ სიმღერებთან ტიპოლოგიურად ბევრი რამ აქვს საერთო „მხიარულ გაზაფხულს". ეს მოტივი უძველეს დროიდანვე იყო გავრცელებული მწერლობაშიც. აქ კარლოს დიდის დროინდელ მოაზროვნისა და პოეტის ალკუინის (დაახლ. 730-804) „გაზაფხულისა და ზამთრის გაკამათებასა" და ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს (დაახ. 1160-1230) „ლექსებთან ერთად (ვალტერის ლექსებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა „ცაცხვების ქვეშ"), აღსანიშნავია შექსპირის „სიზმარი ზაფხულის ღამეს", ნ. ოსტროვსკის „სნეგუროჩკა", ლესია უკრაინკას დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა" და სხვ. (უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნატროშვილი, წინაპარნი და თანამედროვენი, 1961, გვ. 68-74).

[42] ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. II, 1966, გვ. 579.

რალი" გამოთქმისაგან, რაც ი. ჭავჭავაძეს „ევროპეიზმის" ერთ მთავარ ნიშნად მიაჩნდა და რის გამოც იგი დავით გურამიშვილს „მაგ ევროპეიზმის" შემომტანად თვლიდა „ქართული ლექსის გამოთქმაში".

მაგრამ ქართული ლიტერატურის „ევროპეიზმის" თვალსაზრისით „მხიარული ზაფხულის" საგანგებო მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს ქართულ ენაზე „პირველ საყოფაცხოვრებო პოემას"[43], რომელშიც ზღაპრულ-ფანტასტიკური, მიჯნურობით გახელებული და ველად გაჭრილი გმირების ნაცვლად მთავარ დადებით მოქმედ პირებად, მაღალზნეობრივი პრინციპების მატარებლად და დამცველად გამოყვანილია უბრალო ხალხი, გლეხობა. ხოლო, როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნის პროგრესული მხატვრული ლიტერატურის ერთი ძირითად განმასხვავებელი ნიშანი წინასაუკუნეების მწერლობისაგან ისაა, რომ „გამანათლებლებმა შემოიყვანეს ლიტერატურაში ახალი გმირი, მდაბიო ხალხი, როგორც დადებითი სახე, მათ უმღერეს და დიდებით შემოსეს მისი შრომა, მისი მორალი, თანაგრძნობით და გულში ჩამწვდომად გამოხატეს მისი ვნებანი"[44]. და თუ მაქსიმ გორკი დანიელ დეფოსა (1661-1731 )და ჰენრი ფილდინგის (1707-1759) დიდ დამსახურებად იმას თვლიდა, რომ ინგლისური გამანათლებლური ლიტერატურის სახელგანთქმულ წარმომადგენელთა ნაწარმოებებში ნაჩვენები იყო „მშვენიერება საყოველდღეო ცხოვრებისა" და „მკითხველი განცვიფრებულია [illegible] ცხოვრებასთან სიახლოვით"[45], [illegible] ხანს" ქართულ პოეზიაში ეს ითქმის სწორედ დავით გურამიშვილის „მხიარულ გაზაფხულზე", რომელიც ჩვენი მწერლობის ერთი უბრწყინვალესი ძეგლია.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საბუთს დაბეჯითებით გავიმეოროთ, რომ დავით გურამიშვილმა არა მარტო „ქართული ლექსის გამოთქმაში" „შემოიტანა ევროპეიზმი", არამედ, უწინარეს ყოვლისა, ახალი თემატიკით, ან ადრიდანვე ნაცნობი მოტივების ახალი ხედვით დამუშავების გზით გაუკაფა გზა ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებას ქართულ მწერლობაში.

პოეზიის დემოკრატიზაცია, მდაბიო ხალხის, კერძოდ გლეხობის დადებით გმირად ლიტერატურაში შემოყვანა, „მართლის თქმის" ახლებური გაგება — სინამდვილიდან ფოტოგრაფიული ასლის გადმოღების ნაცვლად ემპირული მასალის განზოგადოების საფუძველზე მისი მხატვრული ასახვა, საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილება და პოეზიის მაღალ დანიშნულების, მისი გარდამქმნელი ზემოქმედების შეგნება, რაც აშკარად გამოხატავს „დავითიანის" გამანათლებლურ ტენდენციებს და განაპირობებს მის ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პათოსს წარმოგვიდგენს დავით გურამიშვილს მებრძოლ პოეტად, ევროპეიზმის ერთ-ერთ პირველ მედროშედ და ახალი ქართული ლიტერატურის საამაყო წინაპრად.

---

43 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 423.

44 С. Д. Артамонов и З. Т. Гражданская, История зарубежной литературы XVIII в. Москва, 1960, გვ. 7.

45 М. Горький, История русской литературы, М., 1939. ст. 39.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ი. გულუზადე

# ნასიმი

აზერბაიჯანისა და ახლო აღმოსავლეთის კლასიკური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანის ნასიმის შემოქმედებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აზერბაიჯანის მხატვრული აზროვნების ისტორიაში. ნასიმი იყო ერთი პირველთაგანი დიდ პოეტთა შორის, რომელთაც თავისი შემოქმედებით გზა გაუკაფეს მშობლიურ აზერბაიჯანულ ენაზე პოეზიის განვითარებას.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანში ირანელ დამპყრობთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად სპარსული ენა შეიქნა მოწინავე ლიტერატურულ ენად. მე-13-14 საუკუნეებამდე აზერბაიჯანელი მწერლები იძულებული იყვნენ თავიანთი ნაწარმოებები ძირითადად შეექმნათ სპარსულ ენაზე. ის მცირერიცხოვანი ნაწარმოებები, რომლებიც აზერბაიჯანულ ენაზე იყო შექმნილი, ფეოდალურ და რელიგიურ ხელისუფალთა მხრივ მტრულ დამოკიდებულებას ხვდებოდნენ, ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს, დაიკარგა და ჩვენამდე აღარ მოუღწევიათ. მე-13 საუკუნის ბოლოს მცხოვრებ ჰასანოღლუს ერთადერთი ყაზელისა და მე-14 საუკუნის პოეტის ჰაზი ბურხანედინის ლექსების გარდა ჩვენამდე არ მოუღწევია აზრებაიჯანულ ენაზე დაწერილ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ნასიმი, უეჭველად, იყო ყველაზე დიდი და ნიჭიერი პოეტი, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საფუძველი პოეზიას მშობლიურ ენაზე. მან განავითარა და აიყვანა იგი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში თვალსაჩინო კულტურულ მოვლენათა დონემდე.

ნასიმი წერდა აგრეთვე სპარსულ და არაბულ ენებზედაც, მაგრამ უპირატესობას აშკარად ანიჭებდა მშობლიურ ენას. ამისათვის ნასიმის შემოქმედება ითვლება აზერბაიჯანის პოეზიისა და აზერბაიჯანის ლიტერატურული ენის ისტორიაში, ახალი ეტაპის დასაწყისად. მისი ისტორიული დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ იგი პირველთაგანია მე-14 საუკუნეში, როგორც ნამდვილი ჰუმანისტური იდეების გამომხატველი, ადამიანის მიმართ მხურვალე სიყვარულის მომღერალი, არამუსულმანური ხალხების ღრმად პატივისმცემელი. მისმა მხატვრულმა მემკვიდრეობამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ თურქულ ენაზე მოლაპარაკე მრავალი ხალხის პოეტური კულტურის განვითარებაში. ნასიმის შემოქმედების წყალობით აზერბაიჯანული ენა, სპარსული და არაბული ენების გვერდით, გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენა ახლო აღმოსავლეთში.

სეიიდ იმადედინ ნასიმი დაიბადა დაახლოებით 1369 წელს აზერბაიჯანის ქალაქ შემახაში. შირვანის კულტურამ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს ქალაქი და რომელიც უძველესი დროიდან განთქმული იყო მთელს ახლო აღმოსავლეთში თავისი მაღალი ლიტერატურული ტრადიციებითა და პოეზიის გამოჩენილი ოსტატებით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიტერატურითა და მეცნიერებით მომავალი პოეტის დაინტერესების საქმეში. მშობლიურ ენასთან ერთად, ის ბრწყინვალედ დაეუფლა სპარსულ და არაბულ ენებს, ღრმად შეისწავლა ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ლოგიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. პოეტი ბავშვობიდანვე ახლოს იცნობდა ქალაქის მშრომელთა და სხვადასხვა ხელოსანთა ყოფა-ცხოვრებას, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ნასიმის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების გან-

ვითარებაზე, მას არასოდეს დაუკავშირებია თავისი ბედი ფეოდალური მმართველობისათვის. ნასიმის სასტიკად ეზიზღებოდა სახოტბო პოეზია, პირმოთნეობით ქება-დიდებას რომ ასხამდა დამპყრობლებსა და ტირანებს.

თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში პოეტი გამოდიოდა „ჰუსეინის“ ფსევდონიმით, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ფსევდონიმი ნასიმიმ აირჩია მეათე საუკუნის გამოჩენილი სუფისტი პოეტის ჰუსეინ მანსურ ჰალაჯის პატივისცემით. ჰალაჯ მანსურის სექტამ, რომელსაც ეწოდებოდა „ჰუსეინიიე“ ანდა „ჰალაჯიე“ მე-14 საუკუნეში ფართო გავრცელება პოვა აზერბაიჯანში, ცნობილია აგრეთვე ის ისტორიული ფაქტი, რომ ჰალაჯ მანსური ჩამოახრჩვეს იმის გამო, რომ ამტკიცებდა „ანალ ჰაგს“ („თავად ვარ ღმერთი“). პანთეისტურ შეხედულებათა გამო გმირულად დაღუპული ამ პოეტის სახეს ხშირად ვხვდებით ნასიმის ლექსებში, როგორც ვაჟკაცობისა და თვითგანდგომის სიმბოლოს.

ნასიმი აღიზარდა აზერბაიჯანის და აღმოსავლეთის უმდიდრესი ძველი კულტურისა და პოეზიის მოწინავე ჰუმანისტურ ტრადიციებზე, ის კარგად იცნობდა თავისი დიდი წინაპრების — ნიზამი განჯევის, ხაყანი შირვანისა, არაბული და სპარსული პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენელთა ნაწარმოებებს.

ნასიმის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ღრმა გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის წლებში მისმა შეხვედრამ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის ფაზლულაჰ ნაიმისთან (1339-1394). ხურუფიტთა სექტის დამაარსებელმა ფაზლულაჰ ნაიმიმ თავისი შეხედულებები გამოთქვა ნაწარმოებებში „ჯავიდან — ნამე“ („მარადიულობის წიგნი“). მის მიერ შექმნილი ახალი სექტის მოძღვრების საქადაგებლად მოგზაურობისას ნაიმი შირვანშიც ჩავიდა, სადაც დაუახლოვდა ნასიმის. ამ უკანასკნელმა მიიღო ხურუფიზმი და ყოველთვის დიდი სიყვარულით და მოწიწებით ეპყრობოდა ფაზლულაჰ ნაიმას.

თავისი მასწავლებლის იდეური სიახლოვის პატივსაცემად პოეტმა ფსევდონიმად აირჩია „ნასიმი“.[1]

ფაზლულაჰ ნაიმი ისლამური სამღვდელოების წაქეზებით და თემურის ბრძანებით მოკლა თავისმა შვილმა მირანშაჰმა. სხვა ხურუფიტებთან ერთად ნასიმიმ დასტოვა სამშობლოს ფარგლები. რამდენიმე ხანს ცხოვრობდა თურქეთში, სადაც დიდი თურქი პოეტების პატივისცემა დაიმსახურა.

ნასიმი იყო თავისუფალი მოაზროვნე, ვაჟკაცური და შეუდრეკელი ადამიანი. იგი გაბედულად აკრიტიკებდა ფეოდალურ და სასულიერო ხელისუფალთა ფვალთმაქცობას და უსამართლობას. ამისათვის, ყველგან, სადაც კი მას უხდებოდა ყოფნა, უფრო და უფრო მეტ მტრებს იძენდა რელიგიის მსახურთა და დიდგვაროვან ფეოდალთა შორის. პოეტმა განიცადა დევნა თურქეთშიაც, სადაც რეაქციული სამღვდელოება სარგებლობდა დიდი გავლენით. იქიდან სირიაში გადასული პოეტი რამდენიმე ხნით დასახლდა ჰალებში. აქ ერთმა მისმა ახალგაზრდა თაყვანისმცემელმა და მოწაფემ ხმამაღლა წაიკითხა ნასიმის ორი სტრიქონი:

„რომ იხილო, უნდა გქონდეს ჭეშმარიტების
დამნახველი თვალი,
თავმოყვარე, თვალს არ ძალუძს ღმერთის
დანახვა“.[1]

ამ ბეითის აზრი ასეთია:

„ჩემი სახით ღვთაება განსახიერებული,
ჩემი მჭვრეტელი დაინახავს ღმერთს“.

შარიათის ქომაგებმა ღვთისგმობად ჩათვალეს ასეთი მტკიცება. ამ ყაზელის მოსმენისას ყმაწვილს შეეკითხნენ, ეს ლექსი ვისიაო. მან, საყვარელი მასწავლებლისათვის საფრთხის ასაცილებლად უპასუხა — ჩემიაო! იგი დასასჯელად წაიყვანეს. როგორც კი გაიგო ეს ამბავი ნასიმიმ, მიიჭრა შემთხვევის ადგილას და ყველას გასაგონად განაცხადა: ლექსი ჩემია, ეს ახალგაზრდა მიფრთხილდება მე, ყაზელი თავისად რომ გამოაცხადაო. ნასიმის მტრებმა გაიხარეს, ამ შემთხვევითობის წყალობით რომ იგდეს ხელთ პოეტი. განკარგულება გასცეს ცოცხლად გაეძროთ მისთვის ტყავი. ამ საშინელ წამებით დასჯის დროს პოეტი გაფითრდა დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო, ჯალათებმა დაცინვით ჰკითხეს, — რად გაყვითლდი აგრეო, — პოეტმა ამაყად უპასუხა „მე —სიყვარულის მზე ვარ მარადისობის ცის კამარაზე, მზე, კი ჩასვლისას ყვითლდებაო“.

გადმოცემით, სამღვდელოების წარმომადგენელმა, ვისი ბრძანებითაც სიკვდილით დასაჯეს ნასიმი, ხალხს მიმართა და თქვა მოჰაკვდავ პოეტზე. იგი ისეთი უკეთური და წყეული ვინმეა რომ ადგილი, სადაც მისი სისხლის თუნდაც ერთი წვეთიც კი დაეცემა, უნდა მოიკვეთოსო. შემთხვევის წყალობით პოეტის ერთი წვეთი სისხლი მის საკუთარ თითზე დაეწვეთა. ხალხმა მოითხოვა თითის მოკვეთა. „მე ეს ისე ვთქვი სიტყვის მასალადო“, —გამოაცხადა შეშინებულმა და მაშინ სისხლისა-

---

[1] ნაიმი — ნიშნავს ბუნების მოწყალებას სიუხვეს, თავისუფალ შეძლებულ ცხოვრებას. ნასიმი — წმინდას, ნაზს, ნიავს.

[1] ზწკარედი თარგმანი.

გან დაცლილმა პოეტმა ლექსად წარმოსთქვა·

„თუკი შარიათის მქადაგებელს მხოლოდ
ერთ თითს მოკვეთთ, იგი უარყოფს სიმართლეს,
საბრალო მიჯნურს ტყავს აძრობენ, მაგრამ
მისი ჩივილი არ ისმის“[1].

ნასიმი ტრაგიკულად დაიღუპა 1405 წელს. მისი სამარე ახლაც სათუთადაა შენახული სირიის ქალაქ ჰალებში (ალეპო). ხალხურ თქმულებებში, აშუღურ და ზეპირ ხალხურ პოეზიაში ნასიმის სახელი ვაჟკაცობის, შეუდრეკელობის, თავისი მრწამსის მიმართ ერთგულების სიმბოლოა. ნასიმის ცხოვრებასა და ტრაგიკულად დაღუპვის ლეგენდებმა ფართო გავრცელება პოვა აღმოსავლეთში.

ნასიმის თანამედროვე და მისი მოწაფე, თურქი პოეტი რაფიი პოემაში — „ბეშორელამეში“ უმღეროდა თავისი დიდი მასწავლებლის ვაჟკაცობას და შეუპოვრობას. ნასიმის ტრაგიკული დაღუპვის გამო წერდა თავის ლექსებში მე-18 საუკუნის დიდი თურქი პოეტი მახტუმკული. ცნობილი უზბეკი პოეტი ასირი 1775 წელს ნასიმის ცხოვრებასა და ტრაგიკულად დაღუპვისადმი დაწერილ და მიძღვნილ ნაწარმოებებში გამოთქვამდა ღრმა სიყვარულს და პატივისცემას ვაჟკაცი პოეტის მიმართ.

ნასიმის შემოქმედების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა აზერბაიჯანის კლასიკური პოეზიის პროგრესულმა ტრადიციებმა. ისეთი სიტყვის ოსტატების ნაწარმოებთა შესწავლასთან ერთად, როგორებიც იყვნენ: ჰათრან თებრიზი, ხაყანი, ნიზამი და ავხადი, პოეტი ეცნობოდა აგრეთვე სპარსულ და არაბულ პოეზიის თვალსაჩინო მიღწევებს.

ნასიმი ლირიკოსია. მის ისტორიულ დამსახურებად ითვლება ის, რომ, სასახლის სახოტბო პოეზიასთან დაპირისპირებით, თავისი შემოქმედება გამსჭვალა მოწინავე საზოგადოებრივ-ფილოსოფიური იდეებით.

მის ლირიკაში ნათელი მხატვრული განსახიერება პოვა მკვეთრმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ფეოდალურ-კლერიკალურ საზოგადოებისადმი, სოციალური უსამართლობისადმი. პოეტმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთა მასების თანამედროვე ცხოვრებასთან, თავის ლექსებში გაკიცხა უთანასწორობა, სოციალური ჩაგვრა და თვითნებობა, რომელიც ბატონობდა მის თანამედროვე საზოგადოებაში. ნასიმი მგზნებარედ უმღეროდა კაცთმოყვარეობას, სიკეთეს და გულწრფელობას. მხურვალე ჰუმანისტი, წუხდა, რომ ვერ ხედავდა საზოგადოებაში სიმართლეს, თავისუფლებას და სამართლიანობას. მის პოეზიაში გამოიხატა ბუნტარული სული მებრძოლი ჰუმანისტისა, რომელსაც ძალზე აწუხებს ხალხთა მასების მძიმე ხვედრი.

ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული ბოროტებისა და თვითნებობის გამო სასოწარკვეთილ პოეტს ხშირად შეიპყრობდა პესიმიზმი და უიმედობა და ქვეყანას უწოდებდა ადამიანის გამსრესს და დამამცირებელს, მუხანათსა და ცბიერს, ზიზღის გრძნობით ზურგს აქცევდა მას. პოეტის სევდა — მოქალაქეობრივი სევდაა ადამიანისა, რომელიც მის გარშემო ვერ ხედავს ბედნიერებას და პიროვნების თავისუფლებას, ადამიანთა უაზრო დაღუპვის, მათი უბედურების და ტანჯვის მოწმეს.

ნასიმის ლირიკაში ძლიერია სიცოცხლის სიყვარულის მისი სილამაზით დატკბობის მოტივი, მას არ სწამდა რელიგიური მითები ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე, „იმქვეყნიურ ბედნიერებაზე“.

პოეტი დიდი გრძნობით უმღერის სიცოცხლის სიხარულს და მოუწოდებს ადამიანებს, უხვად ისარგებლონ ყოველივე ამით. ნასიმი თავის ლექსებში მკაცრად ილაშქრებდა მიწიერი ბედნიერების მტრების, ცრუმორწმუნეობის, მქადაგებლების. რელიგიური ასკეტებისა და ფანატიკოსების წინააღმდეგ. ადამიანის შეგნებისა და სულის მომწამვლელ ეშმაკებს უწოდებდა მათ.

ნასიმის ლირიკაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ადამიანის სილამაზეს, მისი გონების ძლიერებისა! და შემოქმედებითი გენიის ქებადიდებას ნასიმი ბრწყინვალედ განაგრძობს. აზერბაიჯანულ პოეზიაში ნიზამისა და ხაყანის ტრადიციებს, უმღერის რელიგიის მიერ დამცირებულს და დამონებულ ქალს. თავისი წინამორბედებივით ციურ სამოთხეს და მის ჰურიებს უპირისპირებს ცოცხალ მიწიერ ლამაზმანებს. ნასიმის ლექსებში ქალი ხოტბაშესხმულია, როგორც ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული არსება, როგორც აზრის მატარებელი და სიცოცხლის სილამაზის შემქმნელი. მისი სილამაზე — ესაა ემანაცია „ღვთაებრივი სილამაზისა“. მხოლოდ ეს სილამაზე შექმნილია ადამიანისათვის, მისი სიყვარულისა და ბედნიერებისათვის.

„ნასიმი არ გაგცვლის შენ ათას სამოთხეს
და ათას ჰურიაში,
შენ მიჯნურისათვის ხარ გაჩენილი,
შენშია მისი სამოთხეც და ჰურიაც“.

პოეტის ლექსები ეძღვნება ცოცხალი ადამიანისა და მიწიერი სიყვარულის შექებას, გამოირჩევა გრძნობის უშუალობითა და აზრის სიცხადით.

საპირისპიროდ ნასიმის რთული და ნაკლებ მისაწვდომ ფილოსოფიური ლირიკისა, რაც

1 ზწკარედი თარგმანი.

გამოხატავს მის რელიგიურ-მისტიკურ შეხედულებებს, პოეტის ლექსები, რომელიც ხოტბას ასხამს მიწიერ სიყვარულს და ადამიანურ გრძნობებს, შეთხზულია გასაგები ენით, მარტივია ფორმით, ბუნებრივი და ემოციურია.

ნასიმის შემოქმედება, რომელიც ვითარდებოდა იმ დროის ღრმა საზოგადოებრივი წინააღმდეგობების ვითარებაში, განასახიერებდა როგორც პროგრესულ საწყისებს, ასევე გარდაუვალი ისტორიული შეზღუდულობის თვისებას. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით ნათლად გამოსჭვივის მის სატრფიალო ლირიკაში. პოეტის სულში ერთმანეთს ებრძვის ორი ძალა — მისი პანთეისტური სუბიექტური შეხედულებებით წარმოშობილი ამაღლებული იდეალური სიყვარული ღვთაების მიმართ და მიწიერი ადამიანური სიყვარული. თუ ერთ-ერთი მათგანი ნასიმის ფილოსოფიურ ლირიკას აბსტრაქტულს ხდიდა და აიძულებდა მიემართა რელიგიურ-მისტიკურ სახეთათვის, მაშინ მეორე მათგანი მის პოეზიას ანიჭებდა სასიცოცხლო გრძნობებს, ათბობდა მას ადამიანური სუნთქვის სითბოთი და მსჭვალავდა მძაფრი ვნებებით. საერო სიყვარულისა და თავისუფლების შესახებ ადამიანის საამქვეყნო იდეალის ბედნიერებისა და სამართლიანობის განმტკიცება წარმოადგენს ძირითადს და მთავარს პოეტის შემოქმედებით მემკვიდრეობაში, რომელმაც არაჩვეულებრივად დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანის პოეზიის შემდგომ განვითარებაში, ხალხის ცხოვრებასთან მისი კავშირის გაძლიერებასა და განმტკიცებაში.

აზერბაიჯანის ლიტერატურის კლასიკოსები შაჰ ისმაილ ხატაი, ფუზული და მრავალი სხვა, აგრეთვე, უზბეკი, თურქმენი, და თურქი პოეტები, განაგრძობდნენ და ავითარებდნენ პირველ რიგში სწორედ მიწიერ სიყვარულის ტრადიციებს, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა ნასიმის ლირიკაში, მის მკვეთრ კრიტიკულ დამოკიდებულებას ფეოდალური საზოგადოების მანკიერებისა და რელიგიური ფანატიზმის მიმართ.

ნასიმის ნაწარმოებთა ხელნაწერები მოთავსებულია თურქეთის, ერაყის, სირიის, ეგვიპტის, ირანისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წიგნთსაცავებში, როგორც ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეების — რიეს, ბლოშეს, შპრენგერის, ფლიუგელისა და სხვათა კატალოგები უჩვენებს, ნასიმის ლექსები დაცულია პარიზის, ლონდონის, კემბრიჯის, ოქსფორდისა და ევროპის სხვა ქალაქების და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ბაქოში, ლენინგრადში, ტაშკენტსა და ა. შ. ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში.

ნასიმის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობებს ვღებულობთ თურქეთის, ირანის, შუა აზიისა და არაბული ქვეყნების შუასაუკუნეთა ანთოლოგიებიდან. ნასიმის მემკვიდრეობას შეისწავლიდნენ აგრეთვე ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები, როგორებიც არიან: ჰამერ პურგშტალი, გიბი, ბრაუნი, ალესკო ბომბაჩი, ფ. ბაბინგერი, რუსი სწავლულები ვ. სმირნოვი, ა. კრიმსკი.

ნასიმის ნაწარმოებთა შესწავლისა და პუბლიკაციისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდა თურქეთში. მისი ლექსების კრებული (დივანი) ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოვიდა თურქეთში ორჯერ (1844, 1831 წლებში).

აზერბაიჯანში ნასიმის უფრო სრული დივანი მომზადებული იქნა ცნობილი ლიტერატურათმცოდნის სალმან მუმთაზის მიერ და გამოიცა 1926 წელს. რჩეული ლექსების კრებული დაიბეჭდა 1962 წელს (მოამზადა გ. გულუზადემ).

რუსულ ენაზე თარგმნილი პოეტის ზოგიერთი ლექსი გამოქვეყნებულია აზერბაიჯანული პოეზიის ანთოლოგიაში 1939 და 1960 წლებში.

ნასიმის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დარგში დიდი მუშაობა ჩატარდა საბჭოთა აზერბაიჯანში. 1942 წელს ჰ. არასლიმ გამოაქვეყნა პატარა წიგნი ნასიმის შესახებ— „ფედაკარ შაირი“ („თავგანწირული პოეტი“). სპეციალური ნარკვევები დიდი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შევიდა აზერბაიჯანულ ლიტერატურის მოკლე ისტორიის ორტომეულში (1943-1944 წლები; ავტორი ჰ. არასლი) და აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიის სამტომეულში (1960 წელს; ავტორი მ. გულუზადე) მრავალი მეცნიერული წერილი გამოაქვეყნა ლიტერატურათმცოდნემ ნ. ხ. სეიდზადემ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. გულუზადემ თავის წიგნში ——„ხურუფიზმი და მისი წარმომადგენლებ-

აზერბაიჯანში“ (1970) — ფართო ადგილი დაუთმო პოეტის ფილოსოფიურ შეხედულებათა ანალიზს. ამჯერად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გაჰრამანოვმა მოამზადა და დასაბეჭდად წარმოადგინა პოეტის აზერბაიჯანული დივანის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი.

ნასიმი ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომელთაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს აზერბაიჯანის პოეზიის განვითარების ისტორიაში, მისი შემოქმედება ხელს უწყობდა აზერბაიჯანული ლიტერატურული ენის გამდიდრებას ცოცხალი ხალხური მეტყველებით, პოეტურ ნაწარმოებებში გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა განვითარებას, ლექსის მხატვრული ფორმის სრულყოფას.

ნასიმის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა არა მარტო აზერბაიჯანულ ლირიკაზე, არამედ აღმოსავლეთის ხალხთა მრავალი ლიტერატურის განვითარებაზე.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ